821.111(73)
5-49

 КЕН КИЗИ

...გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა

კენ კიზი
...გუგულის გუდეზე სხვა გადაფრინდა

KEN KESEY
ONE FLEW OVER THE CUCKOO'S NEST

მთარგმნელი ზაზა ჭილაძე

© 1962 by Ken Kesey
© გამომცემლობა „დიოგენე", 2007
პირველი ქართული გამოცემა 2007

ყველა უფლება დაცულია, წიგნის მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით ხელმეორედ გამოცემის ჩათვლით.
წიგნი გამოცემულია Viking-თან (Penguin Group (USA) Inc.-ის წევრი) ხელშეკრულების საფუძველზე.

ISBN 978-9941-11-015-3

გარეკანზე გამოყენებულია კოტე სულაბერიძის ნამუშევარი.

ვიკ ლოველს,
ვინც მითხრა, ურჩხულები არ არსებობენო
და მერე იმათ ბუნაგში შემიყვანა.

...ერთი მოფრინდა, ერთი გაფრინდა,
გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა.

ხალხური საბავშვო ლექსიდან

ნაწილი პირველი

უკვე გამობრძანებულან.

ჩემზე ადრე ამდგარან თეთრად გამოწკეპილი შავი ჯეელები და დერეფანშივე დაცლილან ღამე დაგროვილი სექსუალური ენერგიისგან, სანამ თავზე წავადგები, თვითონვე მოსპობენ კვალს.

სწორედ კვალს შლიან, როცა საძინებლიდან გამოვდივარ. სამივე მოღუშულია, ყველაზე და ყველაფერზე აღრენილი – დღევანდელ დღეზეც, ამ დილაზეც, აქაურობაზეც და აქაურებზეც. ასე აძაღლებულებს, ჯობია თვალში არ შევეჩხირო. ტილოს ფეხსაცმელი მაცვია და მტვრის გორგალივით უხმაუროდ მივიპარები კედელ-კედელ, თუმცა ვის დაემალები? ჩემს შიშს უცებვე აფიქსირებს ამათი ზემგრძნობიარე აპარატურა და სამივე ერთად, ერთდროულად ატრიალებს ჩემკენ თავს. ბადრიჯნისფერ სახეებზე გამოფატრული რადიოს დამჯდარი ნათურებივით უბჟუტავთ თვალები.

„ბელადსაც გაუღვიძია! ცოცხების ბელადს. ადექი, ძველო? ერთი აქეთ გვიკადრეთ, თუ შეიძლება!“

იატაკის მოსაწმენდ ტილოს მჩრიან ხელში და წინასწარ

შერჩეული, დღეს მოსასუფთავებელი ადგილისკენ მითითებენ. მეც იქით ვაღერებ თავს. ერთი, ვითომ ასაჩქარებლად, ცოცხის გრძელ ხის ტარს მირტყამს უკან.

„ნახე, რა მოცოცხა ცოცხების ბელადმა! შეხედავ, მთასავითაა ეს ჩემისა, ამ კარებში ვერ შემოეტევა, არადა, დებილი ბავშვის ტვინი არა აქ თავში, რაც გინდა დაავალე...“

უჯიგროდ იცინიან. მერე მესმის, შეთქმულებივით თავებმიტყუპებულები როგორ ჩურჩულებენ რაღაცას ჩემს ზურგს უკან. გაბმულად ზუზუნებენ შავი მანქანები – სიკვდილზე, სიძულვილზე, საავადმყოფოს ათას სხვა საიდუმლოზე. ძაღლადაც არავინ მაგდებს, ფეხებზე კიდიათ, მეც მესმის თუ არა აქაური სიძულვილის საიდუმლოებები. ყრუ-მუნჯად მთვლიან და იმიტომ. ყველას ყრუ-მუნჯი ვგონივარ. იმდენი ეშმაკობა კი შემრჩა, ყრუ-მუნჯად გავასაღო თავი ამ დამპალ ქვეყანაში. სხვა აბა რაში გამომადგება ჩემი სანახევროდ ინდიელობა, ცოტა თუ არ მოვიტყუე და ვიეშმაკე?! ხოდა მეც ვეშმაკობ და ეს მშველის, კაი ხანია უკვე.

ზუსტად ჩვენი განყოფილების კარებთან ვაპრიალებ იატაკს, საკეტში გასაღები რომ გაიჩხაკუნებს – მთავარი ექთანია, ვიცი, გასაღების ხმაზე ვცნობ, ასეთი ხმით მარტო იმის გასაღები ტრიალდება საკეტში. რბილად, სწრაფად, საქმიანად. დიდი ხანია, ისაა ამ განყოფილების კლიტეთმპყრობელი. უხმაუროდ შემოსრიალდება კარებში, სუსხს შემოიყოლებს და კარს ზურგს უკან კეტავს. მერე ერთხელაც ეხებიან იმისი თითები სლიპინა ფოლადს – ფრჩხილებიც ტუჩების ფერი აქვს: უცნაურად ნარინჯისფერი, გავარვარებულ რკინასავით. ვერც მიხვდები, ძალიან ცივი ფერია თუ ძალიან ცხელი, როცა ხელით გეხება ხოლმე.

მოწნული ჩანთა უჭირავს, ზუსტად იმის ცალი, ამპკვას ტომის ინდიელები რომ ყიდიან შარაგზებზე აგვისტოს ხვატსა და პაპანაქებაში, კანაფის სახელურიანი და დიდნაჩვრეტებიანი. ისე, შესახედად ხელოსნის აბგასაც გავს. რაც აქა ვარ, სულ ამ ჩანთას დაათრევს და მშვენივრად ვიცი, შიგ რაც უწყვია: არავითარი პუდრი, პომადა ან რამე სხვა ქალური სისულელე – ჭან-

ჭიკები, კბილანები, პატარა, პრიალა ქლიბები, ფაიფურივით თეთრად მოციმციმე პაწაწინა აბები, პინცეტები, ნემსები, სპილენძის მავთულის გორგალი... მოკლედ, ყველაფერი, რაც მორიგეობისას დაჭირდება და გამოადგება. გვერდით ჩამივლის და ოდნავშესამჩნევად მიკრავს თავს. მე ჩემს გრძელტარიან ცოცხს მივყვები კედლისკენ, თან ვიღიმები, ვცდილობ თვალებში არ შევხედო, სულაც დავხუჭო თვალები – იქნებ ასე მაინც მოვატყუო როგორმე იმისი შეუმცდარი აპარატურა: თვალები თუ დახუჭე, ბევრს მაინცდამაინც ვერაფერს შეგატყობენ.

მოფარებულში შეყუჟულს მესმის, როგორ მიწკაპუნებენ კაფელის იატაკზე რეზინის ქუსლები. მოწნული ჩანთაც საქმიანად მიჩხარუნებს, ნაბიჯების რიტმში, ვიდრე დერეფანს ჩაათავებს. გახევებული მიაბიჯებს. თვალს რომ ვახელ, უკვე დერეფნის ბოლოშია, საცაა ექთნების სამორიგეოში შეუხვევს და შუშის კედლის იქით თავის მაგიდას მიუჯდება. სარკმელთან მოკალათებული წვრილ-წვრილად ჩააწიკწიკებს დავთარში ყველაფერს, რაც მომდევნო რვა საათის განმავლობაში დღის პალატაში მოხდება. სახეზე აწერია, თავისთვის რაღაც ძალიან სასიამოვნოზე და შვებისმომგვრელზე ფიქრობს.

მერე... მერე უკვე შავტუხა ჯეელებსაც ამჩნევს. ისევ წელანდელივით დგანან, თავებმიტყუპებულები. ისევ ბუტბუტებენ ძველებურად. იმის შემოსვლა არც გაუგიათ. ახლა კი გრძნობენ დაჟინებულ მზერას, მაგრამ რაღა დროსია! მეტი ჭკუა უნდა ეხმარათ, სადმე სხვაგან უნდა ეჩურჩულათ, რამ დაავიწყათ, ვისი მორიგეობის დრო მოდიოდა! შავი სახეები ერთმანეთს სცილდებიან, შეცბუნებულები შორიშორდებიან. ქალი კი იფხორება, იფოფრება, შორიდანვე თვალებით ჭამს დერეფნის ბოლოს მახეში გაბმული მხეცებივით მიყუჟულებს, იცის, რაზეც ჩურჩულებდნენ და უკვე ცოფებს ყრის, თავს ველარ ერევა. ისეთი გაცოფებულია, ერთი სული აქვს ნაკუწ-ნაკუწ დაფლითოს შავი ნაბიჭვრები. ნელ-ნელა სივდება სიბრაზისგან, ისე იბერება, თეთრი ხალათი ზურგზე ასკდება. მკლავებსაც იმოდენაზე შლის, ხუთი-ექვსჯერ შემო-

აწვდენს სამივეს ერთად. თან აქეთ-იქით იყურება, აქეთ-იქით ატ-რიალებს უშველებელ თავს. ჯერ არავინ ამდგარა, ჯერ ვერავინ ვერაფერს დაინახავს. მარტო ყრუ-მუნჯი ბრომდენი, ბებერი ნა-ხევრად ინდიელი მენაგვე ამოფარებია თავის ცოცხს, სადღაც, შორს... ეგ გინდ ყოფილა, გინდ არა. ხოდა, ქალიც ბოლომდე იგიჟებს თავს, ბოლომდე ყვება სიბრაზეს. დახატული ღიმილი სიფათზე გადაგლესია, თამამად აჩენს ავად დაკრეჭილ კბილებს და სულ უფრო და უფრო იბერება, სივდება, იზრდება, დიდდება, ლამის ტრაქტორისხელაა უკვე, ტრაქტორივით ხრჩოლავს და მეტისმეტი ჯაფით დაქანცული ძრავას დამწვრის სუნს აფრქვევს ირგვლივ. სუნთქვაშეკრული ვფიქრობ, ღმერთო, გვიშველე, ეხლა კი ნაღდად დაერევიან, ნაღდად ბოლომდე ნებაზე მიუშვებენ ყელში ამოსულ, მოყირჭებულ სიძულვილს და მანამდე დაფ-ლეთენ ლუკმა-ლუკმა ერთმანეთს, სანამ აზრზე მოვლენ რას აკეთებენ-მეთქი!

საცაა, გაშლილ მკლავებს შემოხვევს სამივეს. ისინიც, ცხა-დია, მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით, თავ-თავიანთ ცოცხებს და ჯაგრისებს იმარჯვებენ, თუ რამეა, მუცელში რომ აძგერონ ქვევიდან. არადა, ბედად, ნელ-ნელა პაციენტებიც გამო-დიან საძინებლიდან, მართალია, ჯერ ვერ ხვდებიან რა ხდება, რა ხმაურია, მაგრამ ქალი მაინც იძულებულია ერთხელ კიდევ იცვალოს ნირი, ერთხელაც შეინიღბოს და დროზე დამალოს ჭეშ-მარიტი, საზიზღარი სახე. მოკლედ, პაციენტები თვალების ფშვნე-ტას რომ მორჩებიან და თანდათან ხმაურის მიზეზშიც გაერ-კვევიან, მათ წინ ისევ ჩვეულებრივად მოღიმარი მთავარი ექთანი დგას, ჩვეულებრივად მშვიდი და უდრტვინველი, უკვე დედაშვი-ლურად მოძღვრავს შავტუხა ჯეელებს, ამ ორშაბათ დილას, ახალი კვირის დამდეგს, აქ ყურყუტს და ჭორაობას ის გირჩევნიათ, საქმეს მიხედოთო...

„...ორშაბათი მძიმე დღეა, ხომ იცით, ბიჭებო...“

„დიახ, მიზ რეჩიდ...“

„...დილაობით უამრავი საქმე გვიგროვდება, თქვენს გასა-

კეთებელს ვინ გააკეთებს? ჰოდა, თუკი რაღაც ძალიან სერიოზული სალაპარაკო არა გაქვთ...“

„დიახ, მიზ რეჩიდ...“

ქალი ჩუმდება და შორიახლოს შეჯგუფულ პაციენტებს, ჩაწითლებული, შეშუპებული, ნამძინარევი თვალებით რომ მისჩერებიან, მისალმების ნიშნად უქნევს თავს. თითოეულს ცალ-ცალკე. ნაცნობი, ავტომატური, ჩვეულებად ქცეული მოძრაობით. გლუვი, სწორი, ძვირფას თოჯინასავით უზადოდ ნაკვეთი სახე, პაჭუა ცხვირი და პატარა, მოვარდისფრო ნესტოები აქვს, კანი კი ხორცისფრად შეღებილ მინანქარს მიუგავს, თითქოს რძიანი ყავის ფერიც გადაკრავს ოდნავ, და ბავშვის ლურჯ თვალებს აჟუ-ჟუნებს – მოკლედ, ყველაფერი შესანიშნავად ესადაგება ერთმანეთს, თუკი ტუჩებისა და ფრჩხილების ფერს და, რაც მთავარია, მკერდის ზომას არ მივიღებთ მხედველობაში. ეტყობა, შემქმნელებმა რაღაც შეცდომა დაუშვეს, როცა სხვა მხრივ ყოვლად ნორმალურ ნაკეთობას ეს უშველებელი დედაკაცური ძუძუები მიამაგრეს. ამ ამბავს თვითონაც ძალიან მწარედ განიცდის და საერთოდ თუ უჭირს რამე, სწორედ ამ მწარე განცდის დამალვა უჭირს.

დერეფანში გამოსული პაციენტები ჯერაც ძველებურად დგანან, ერთი სული აქვთ გაიგონ, მაინც რატომ დაცოფა მთავარმა ექთანმა შავი ბიჭები, ქალს კი უცებ მე ვახსენდები და ამბობს: „ჰოდა, რაკი ორშაბათია, მოდით, ახალი კვირა ერთი კარგი, კეთილი საქმით დავიწყოთ, ბიჭებო – მისტერ ბრომდენი გავკრიჭოთ საუზმემდე. ასე აჯობებს, თორემ ხომ იცით, რა ზედახორაცაა სადალაქოში საუზმის მერე. ბარემ მოვითავოთ ეს საქმე, ოღონდ ჯერ მოვიფიქროთ, როგორ ავიცილოთ თავიდან ერთგვარი... ეეე... უსიამოვნება მისტერ ბრომდენის მხრიდან. აბა, რას იტყვით?“

სანამ ვინმე ჩემკენ გამოხედვას მოასწრებდეს, საკუჭნაოს წყვდიადში ვყვინთავ, სიბნელეში ვიძირები, ზურგს უკან მაგრად ვიხურავ კარს და სუნთქვაშეკრული, გატრუნული ვდგავარ. უზმოზე გაკრეჭაზე უარესი არაფერია. თუ კუჭში რამის ჩაშვება

მოასწარი, უფრო ძლიერიც ხდები და უფრო ფხიზელიც, ვეღარც კომბინატელი ნაბიჭვრები შემოგაპარებენ რამე ეშმაკის მანქანას ელექტროსაპარსის მაგივრად. აი, როცა საუზმემდე გპარსავენ – დილის შვიდის ნახევარზე, ერთიანად თეთრ, თეთრპირსაბნებიან ოთახში, სადაც ჭერში დატანებული გრძელი ნათურები ნებისმიერ ჩრდილს სპობენ და ყოველი მხრიდანაც სარკეებში შეტყუებული, უამრავი აკივლებული სახე მოგჩერებია – მაშინ ნამდვილად ვერაფერი გიხსნის ამათი კლანჭებიდან.

გასუსული და გაფაციცებული საკუჭნაოში ვიმალები, სიბნელეში ჯერ მარტო ჩემივე გულისცემა მესმის, ძალიან მინდა არ შემეშინდეს, ვცდილობ, ფიქრში სადმე სხვაგან გადავბარგდე – წარსული გავიხსენო, ჩემი სოფლის ამბები, დიდი მდინარე ქალამბია, ის დრო, მე და მამა დალეზის მახლობლად, კედრების ჭალაში ჩიტებზე რომ ვნადირობდით... ოღონდ ახლაც, როგორც ყოველთვის, როცა წარსულში გადასახლებას და თავის შეფარებას ვცდილობ ხოლმე, აქაური შიში მაინც ახერხებს მახსოვრობაში შემოჟონვას. ტანით ვგრძნობ, როგორ მოუყვება დერეფანს დაგვაჯული შავი ბიჭი და ყნოსვით დაეძებს ჩემს შიშს. დაბერილი ნესტოები შავ ძაბრებს მიუგავს, ხარბად ისრუტავს ჰაერს და ტანთან შეუსაბამო უშველებელ თავსაც აქეთ-იქით ატრიალებს გაუჩერებლად, ერთბაშად და ერთიანად უნდა შეისრუტოს მთელი განყოფილების შიში. უკვე სცემს ჩემი სუნიც, მესმის როგორ აქსიტინებს ცხვირს. სად დავიმალე, არ იცის, მაგრამ სანადიროდ გამოსული, საკუთარ ყნოსვას ბრმად ენდობა. ვცდილობ არ გავინძრე...

(არ გაინძრეო, მეუბნება მამა, ძაღლმა სადღაც ძალიან ახლოს იყნოსა ჩიტიო. ერთი დალეზელი კაცისგან ვითხოვეთ პოინტერი. ჩვენი სოფლის ქოფაკები ძაღლების სათვალავში არც ითვლებიან, მამა ამბობს, თევზის შიგანს ჭამენ და იმიტომ არ უქნია ღმერთსო; ამ ძაღლს კი, ამას „ინტიქტი“ აქვსო! ხმას არ ვიღებ, არადა უკვე ვხედავ ჩიტს ზევით, კედრის ფოთლებში, მობუზულს, ბუმბულის ნაცრისფერ ბღუჯად ქცეულს. ძაღლი

კი ხეს ურბენს გარშემო გიჟივით, იმდენი სუნი სცემს ერთბაშად, საკბილოს მიგნება უჭირს. სანამ ტოტზე გაუნძრევლად ზის, ჩიტს არაფერი ემუქრება. კარგა ხანსაც იკავებს თავს, მაგრამ ძაღლი დაუღალავად იყნოსავს ჰაერს და დაუღალავად უვლის და უვლის გარშემო ხეს, სულ უფრო და უფრო ხმამაღლაც ყეფს და უფრო და უფრო ახლოვდება. ბოლოს ჩიტიც ვეღარ ითმენს, ფრთხიალებს, ფრთას შლის, ტოტიდან ფრინდება და პირდაპირ მამაჩემის საფანტს ეხლება მკერდით).

სამში ყველაზე დაგვაჯული შავი ბიჭი და მაღლებიდან ერთ-ერთი მანამდე მიჭერენ, სანამ საკუჭნაოდან გამოსული ათიოდე ნაბიჯის გადადგმას მოვასწრებდე, მიჭერენ და პირდაპირ სადა-ლაქოში მიმათრევენ. არც ვიბრძვი და არც ხმას ვიღებ. თუ იყვირე, კიდე უარესი დღე დაგადგება. მეც თავს ვიკავებ, მანამდე, ვიდრე საფეთქლებს მოადგებიან. ჯერ არ ვიცი, მართლა ეშმაკის მან-ქანაა თუ საპარსი, ოღონდ უკვე საფეთქლებს მოადგნენ და რაღა დროს თავის შეკავებაა! უკვე ზედმეტია ნებისყოფაზე ლაპარაკი. ნებისყოფა კი არა... ღილაკს დააჭირეს და – საჰაერო განგაში, საჰაერო განგაშიო – აკივლდა მანქანა, მეც ისეთ ხმაზე ამაკივლა, სხვა ხმა საერთოდ აღარც არსებობს ირგვლივ. ყურებზე ხელებ-მიჭერილები, ყველანი მე მიყვირიან შუშის კედლების იქიდან, გარშემო აყვირებული სახეები ტრიალებენ, არადა ყელიდან ხმა არ ამოსდით, უხმოდ ყვირიან. ჩემი ხმა ისრუტავს ყველა სხვას. ისევ ჩართეს ნისლის მანქანა და ისიც რაღაც ცივს და მოხდილ რძესავით თეთრს მათოვს თავზე, სქელს და ბლანტს, ძალით რომ არ მაკავებდნენ, დავიმალებოდი კიდეც შიგ. ცხვირწინ ვერაფერს ვეღარ ვხედავ ამ ნისლში და საკუთარ ღმუილშიც მარტო მთავარი ექთნის ყიჟინა და ბრძანებები მესმის – დერეფანს მოუყვება და მოწნული ჩანთით გზიდან იშორებს პაციენტებს. მესმის, როგორ ახლოვდება, არადა გაჩუმებაც ვერ მომიხერხებია. ვღრიალებ და ვღრიალებ, იქამდე, სანამ თავზე არ დამადგება. აქეთ-იქიდან მაკავებენ, ის კი მოწნულ ჩანთას მთელი ავლადიდებიანად პირში მჩრის და ცოცხის ტარით აწვება.

(ნისლში გულგახეთქილი ძაღლი ყეფს, დამფრთხალი და დაბნეული დარბის უაზროდ, რადგან დანახვით ვერაფერს ხედავს. მიწაზე მისივე დატოვებულის გარდა სხვა არავითარი კვალი არ ჩანს, ხან აქეთ მოაბრუნებს გათოშილ წითელ რეზინის ცხვირს, ხან იქით, მაგრამ თავისივე შიშის სუნის მეტს სხვა სუნს ვერ გრძნობს, მარტო ეს სუნი უმდუღრავს და უთუთქავს გულ-მუცელს). მეც ასე დავიმდუღრები და დავითუთქები, როცა ბოლო-ბოლო ყველაფერს მოვყვები – საავადმყოფოზე, მთავარ ექთანზე, ჩვენს ბიჭებზე და მაკმერფიზე. იმდენხანს ვიყავი ჩუმად, სათქმელი ნიაღვარივით გადმოსკდება და მსმენელიც იფიქრებს, ღმერთმანი, ნამდვილად ბოდავს, ელანდება ალბათ რაღაც, თორემ ასეთი საშინელება როგორ მოხდებოდა, სიმართლის კვალობაზე ეს ყველაფერი მეტისმეტად საზარელიაო! თქვენი ჭირიმე!.. ამ ამბებზე ფიქრით ჯერაც არეული მაქვს ტვინი. იცოდეთ, რასაც ვიტყვი, გინდაც არ მომხდარიყო, მაინც წმინდა წყლის სიმართლეა.

როცა ნისლიც იფანტება და ცოტა თვალშიც ვიხედები, უკვე დღის პალატაში ვზივარ. ამჯერად დასაშოკში აღარ წავუყვანივართ. მახსოვს, როგორ გამათრიეს სადალაქოდან და იზოლატორში ჩამკეტეს. ოღონდ ჭამა მოვასწარი თუ ვერა, ეგ აღარ ვიცი. სხვა დროსაც დავუმწყვდევივართ დილაობით ასე, უზმოზე, მერე საუზმის ნარჩენები შავებს მოაქვთ ხოლმე პირდაპირ იზოლატორში – ვითომ ჩემზე ზრუნავენ, არადა ყველაფერს თვითონ თქვლეფენ. სანამ სამივე მუცელს ამოიყორავს, მე ფსიტით აქოთებულ ლეიბზე ვაგდივარ და ვხედავ, როგორ აკრიალებენ ერბოკვერცხიან თეფშს გახუხული პურით. ქონის სუნი მცემს და პურის ხრაშა-ხრუში მესმის. ზოგჯერ ხელს გაყინულ, უმარილო ფაფასაც გამოაყოლებენ ხოლმე და აი იმას კი დაუნანებლად მატენიან, ძალით მჩრიან პირში.

დილა ბუნდოვნად მაგონდება. ისე გამჭყიპეს რაღაც საზიზღრობით, რასაც თვითონ წამალს ეძახიან, სანამ განყოფილების კარების ჯახუნს არ გავიგონებ, აზრზე ვერც მოვდივარ. რახან კარს აღებენ, უკვე რვა საათიც შესრულებულა, თურმე მთელი საათ-ნახევარი ვეგდე გაყინულ-გათიშული იზოლატორში და ტექნიკოსებსაც თავისუფლად შეეძლოთ, მობრძანებულიყვნენ და ისე ჩაემონტაჟებინათ ჩემთვის ყველაფერი, რასაც მთავარი ექთანი უბრძანებდა, ბაიბურშიც არ ვიქნებოდი.

დერეფნის ბოლოს, განყოფილების კართან, რაღაც ხმაური

ისმის, თუმცა მე იქაურობას ვერ ვხედავ. კარს პირველად რვაზე აღებენ, მერე კი დღის განმავლობაში ათასჯერ იღება და იკეტება, ჭრრრ, ჯახ, ჭრრრ, ჯახ. ყოველ დილით, ნასაუზმევზე, როცა დღის პალატაში კედლებთან ჩაგვამწკრივებენ და რებუსებს მოგვაჩეჩებენ ხოლმე, ყური სულ კარებისკენ გვიჭირავს, აბა ერთი როდის გაჩხაკუნდება საკეტში გასაღებიო, ველოდებით, ვინ გვესტუმრება. აბა, სხვა რა გვაქვს საქმე?! კართან ხან საავადმყოფოში მუდმივად მცხოვრები ერთ-ერთი ახალგაზრდა ექიმი გამოჩნდება – ადრიანად ამდგარი ხარბად გვაკვირდება, აინტერესებს, როგორი სანახავები ვართ მედიკამენტების მიღებამდე, ანუ, აქაურ ენაზე თუ ვიტყვით, „მემი“-მდე; ზოგჯერ ცოლი ესტუმრება ვინმეს, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, მუცელზე მთელი ძალით საჩუქარმიჭერილი, ზოგჯერ კი დაწყებითი სკოლების მასწავლებლების გუნდი, რომელსაც ექსკურსიაზე მუდამ ის შტერი მოუძღვება, თავისი ჭკუით საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეებს რომ განაგებს: გაუთავებლად უტყაპუნებს ერთმანეთს ნამიან ხელისგულებს და სულ იმას გაიძახის, როგორ უხარია, რა კმაყოფილი და ბედნიერია, ფსიქიატრიულმა საავადმყოფოებმა ერთხელ და სამუდამოდ რომ დაგმეს და უარყვეს ყოველგვარი დრომოჭმული სიმკაცრე. „ხედავთ არა, რა გულითადი ატმოსფეროა?“ აქეთ-იქით დააპრონიალებს ყოველი შემთხვევისთვის ერთმანეთს მიკრულ სკოლის მასწავლებლებს და ხელებს ატყაპუნებს. „ძველი დროის გახსენებაზე ტანში მზარავს, მაშინდელი ჭუჭყის, უვარგისი საჭმლის და, დიახ, ქალბატონებო, თქვენ წარმოიდგინეთ – სისასტიკისაც; ახლა ვრწმუნდები, ჩვენს კამპანიას ფუჭად არ ჩაუვლია!“ სულერთია, ვინც არ უნდა შემოდგას პალატაში ფეხი, იმედი მაინც გვიცრუვდება, მაგრამ სხვა მხრივ თუ შეხედავ კაცი, რაღაც შანსიც ყოველთვის რჩება და, მართლაც, საკეტში გასაღების გაჩხაკუნებისთანავე ყველა თავი ერთდროულად, ერთ თოკზე გამობმულივით კარისკენ მიტრიალდება ხოლმე.

ამ დილით კი საკეტები რაღაც უცნაურად ჟღრიალებენ; კარებთან ჩვეულებრივი სტუმარი არ უნდა იდგეს. მთელ დერე-

ფანში ისმის მიმღების სანიტრის გაღიზიანებული და მოთმინებადაკარგული ხმა – ახალი მოვიდა, მოდით, ხელი მომიწერეთო – და შავი ბიჭებიც იქით მიიჩქარიან.

ახალი. ყველა თავს ანებებს ბანქოს და „მონოპოლიის“ თამაშს, ყველა კარისკენ ტრიალდება. მე ასეთ დროს, როგორც წესი, დერეფანში ვარ ხოლმე, იატაკს ვგვი და პირველი ვხედავ, ვინ მოყავთ. მაგრამ დღეს, იცით უკვე, მთავარმა ექთანმა ათასი ფუთი საზიზღრობით გამჭყიპა და სკამიდან წამოწევის თავიც არა მაქვს. არადა, წესით, ყველაზე ადრე უნდა დამენახა, როგორ შემოიძურწებოდა კარში ახალი, კედელ-კედელ როგორ შემოიპარებოდა, მერე შეშინებული აიტუზებოდა, სანამ შავი ბიჭები მიმღების სანიტარს ქაღალდებზე ხელს მოუწერდნენ და საშხაპეში უკრავდნენ თავს, გააშიშვლებდნენ, აკანკალებულს მოფრიალებულ კართან მიატოვებდნენ და თვითონ კბილებგადმოყრილები დაიწყებდნენ დერეფანში აღმა-დაღმა სირბილს ვაზელინის საძებნელად. „ვაზელინი გვჭირდება,“ ეუბნებიან ხოლმე ასეთ დროს მთავარ ექთანს, „თერმომეტრისთვის“. ქალი ჯერ თვალებით დაბურღავს სამივეს რიგრიგობით, და – დარწმუნებული ვარ, გჭირდებათო – პასუხობს ბოლოს. არც ვაზელინს ამადლის, იმოდენა ქილას იმეტებს, სულ ცოტა, გალონი ვაზელინი მაინც იქნება შიგ. „ოღონდ, გაფრთხილებთ, ბიჭებო, ყველა ერთად ნუ შეგროვდებით“. მერე ორი, ანდა სულაც სამივე ერთად საქმიანობს ხოლმე საშხაპეში, ახალმოყვანილს არ აკლებენ ყურადღებას, თერმომეტრს ცხიმში ატრიალებენ, სანამ ცერისსიმსხო ფენით არ დაიფარება, და თან ღიღინებენ –„ააიი ეგრე, ჩემი ბიჭი, ააიიი ეგრე!“ ბოლოს კარს კეტავენ და ყველა ონკანს ერთად ხსნიან, ვერაფერი რომ ველარ გაიგონო მწვანე კაფელზე წყლის ბოროტი შხუილის მეტი. ხშირად იქვე, შორიახლოს ვტრიალებ და ასეთ რამეებს კარგად ვხედავ.

63680

AMERICAN UNIVERSITY

დღეს დილით კი იძულებული ვარ სკამზე ვიჯდე, მხოლოდ შორიდან ვუგდებ ყურს, როგორ მოყავთ ახალი. და მაინც, თუმცა ჯერ ვერ ვხედავ, უკვე ვიცი – ჩვეულებრივი პაციენტი არ უნდა

იყოს. კედელ-კედელ ქურდული ნაბიჯების ხმა რაღაც არ ისმის და როცა საშხაპეზეც გადაუკრავენ სიტყვას, ემორჩილება კი არა, კი ბატონოო, კი არ კნავის გაპარული, ხმამაღლა, ცოტა თავხედურადაც პასუხობს – ძმურად, შემეშვით, ისედაც სუფთა ბიჭი ვარო.

„ჯერ წუხელ გამახვანჩალეს ციხეში, მერე დილასაც გადამავლეს სასამართლოში წყალი. ონკანი რო გაჩითულიყო, მაზიანი, ტაქსშიც გამომბანდნენ ყურებს. დედას გეფიცებით, კურორტის გამოცვლას დამიპირებენ თუ არა, ეტყობა მაგრად უნდა გამხეხონ – ჯერ წინასწარ, მერე გზაში და ბოლოს ახალ ადგილზეც. ისეთ დღეში ჩამაგდეს, წყლის დანახვაზე ეგრევე ჩემი ხაბაკის მოგროვებას ვიწყებ. ნუ გამიხურე მაგ შენი თერმომეტრით, სემ, ერთი წუთი მაცალე, ახალი ბაითი დავათვალიერო. აქამდე რაღაც ვერ მოვახერხე ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მოხვედრა.“

პაციენტები გაშტერებულები უყურებენ ერთმანეთს, მერე ისევ კარისკენ, ამ უცხო ხმისკენ ატრიალებენ თავებს. წესით, ასე ხმამაღლა არ უნდა ლაპარაკობდეს, მით უმეტეს, როცა შავი ჯეელებიც იქვე დგანან. ხმა სადღაც მაღლიდან ისმის, თითქოს შავი ბიჭების თავზემოთ მოცურავს და ქვევით დარჩენილებს ჩამოსძახის. ხმით თუ იმსჯელებ, კაი მოხეული ტიპი ჩანს. მესმის, როგორ მოაბიჯებს დერეფანში და სიდიდე სიარულზეც ეტყობა, ცხადია, არ მოიპარება – ფეხსაცმლის ქუსლებზე რკინის ნალები აქვს დაკრული და ცხენივით მობაკუნებს. მერე კარებშიც გამოჩნდება, ჩერდება, ცერებს ჯიბეებში იყოფს, ილაჯება, დგას და ჩვენებიც ყველანი მოჯადოებულებივით შესცქერიან.

„დილა მშვიდობისა, ძმებო.“

ჭერში ყველაწმინდას დღიდან დარჩენილი ქაღალდის ღამურა კიდია; ხელს იწვდენს, წკიპურტს ურტყამს, აბზრიალებს.

„რას იტყვით, შემოდგომის მშვენიერი დღეა, არა?“

ცოტათი მამასნაირად უქცევს, მამასავით ძლიერი და ჯიგრიანი ხმა აქვს, მაგრამ მამას მაინც არ გავს. მამა წმინდა წყლის ქალამბიელი ინდიელი იყო – ბელადი, მაგარი და თოფის კონდახივით მბზინავი. ეს წითურია, გრძელ, წითურბაკენბარდებიანი,

ქუდის ქვეშ აწეწილი, დიდი ხნის გასაკრეჭი კულულები მოუჩანს. მამა თუ მაღალი იყო, ეს ჩადგმულია, რაღაცნაირად განიერი – ყბებიც განიერი აქვს, მხრებიც და მკერდიც, სახეზე ფართო ღიმილი გადაფენია და თეთრი კბილები უელავს. არა, მამას არ გავს, სხვანაირად მაგარია, ბეისბოლის ბურთივით. მაგარი და მკვრივი გაცვეთილი ტყავის ქვეშ. ცხვირზე და ყვრიმალზე ნაიარევი გასდევს, ეტყობა, ვიღაცამ ხოშიანად დაადო ჩხუბში, ნაკერები ჯერაც არ მოუხსნიათ. დგას და იცდის. როცა რწმუნდება, ამათ კრინტს ვერ დავაძვრევინებო, ეცინება. ვერავინ იტყვის, რა აცინებს; სასაცილო ნამდვილად არაფერი ხდება. არადა, ამის სიცილი საზოგადოებასთან მოჟღურტულე ქლიავის სიცილსაც არა გავს, ლაღია, თამამი, თავისუფლად მოდის ღონიერი ყელიდან და ფართოდ მოღიმარი პირიდან, ტალღა-ტალღა ვრცელდება მთელ ოთახში, სულ უფრო და უფრო შორს, სანამ რიგრიგობით ოთხივე კედელს არ მიეხლება. ჩვენი კოტიტა ჭკუისკოლოფივით არ იცინის. მაგდენი კი მესმის. უცებ ვხვდები, ამდენი წელიწადია სიცილი პირველად გავიგონე-მეთქი.

დგას და გვიყურებს, ტერფებზე ირწევა წინ და უკან, თან იცინის, არ ჩერდება. ცერები ჯერაც არ ამოუღია ჯიბეებიდან, დანარჩენ თითებს კი მუცელზე ითამაშებს. ვხედავ რამოდენა, როგორი დაჩეხილი ხელები აქვს. ახალმოსულის იერმა და სიცილმა განყოფილებაში ყველას – პაციენტებსაც, პერსონალსაც, სუყველას – ენა ჩაუგდო. არც იმის გაჩუმებას ცდილობს ვინმე და არც კრინტის დაძვრას აპირებს. ბოლოს თვითონვე ბეზრდება სიცილი, ცოტა ხნით ისვენებს და პალატაში შემოდის. თუმცა სიცილის გამოძახილი ახლაც ტრიალებს მის გარშემო, როგორც ხმა ტრიალებს ხოლმე დიდი, ეს-ესაა დადუმებული ზარის ირგვლივ. სიცილის კვალი ჩარჩენია თვალებშიც, ღიმილშიც, ყოყოჩობაშიც, ლაპარაკშიც.

„გვარად მაკმერფი გახლავართ, ძმებო, რ. პ. მაკმერფი, თავგადაკლული და გამოუსწორებელი მოთამაშე.“ თვალს გვიკრავს და რომელიღაც სიმღერის ნაწყვეტს ღიღინებს: „ ...სადმე კარტს თუ წავაწყდი... ფულზე უკან არ ვიხევ,“ ისევ ეცინება.

ბანქოს სათამაშო მაგიდას უახლოვდება, ერთ-ერთი მწვავეს კარტს ზორბა, მძიმე თითით პირაღმა აბრუნებს, ალმაცერად დასცქერის და თავს აქნევს.

„დიახ, ბატონებო, მეც სწორედ ამიტომ გეახელით – ხალისი და მხიარულება არ მოვაკლო თქვენისთანა ჩიტუნიებს. პენდლტონის კოლონიაში კაციშვილი აღარ დარჩა, ჩემი ცხოვრებისთვის რამე აზრი მიეცა, ხოდა, მეც, ასე ვთქვათ, გარემოს გამოცვლა მოვითხოვე. ახალი სისხლი მჭირდებოდა. ერიჰა�ა, ნახეთ ერთი, ამ ჩიტუნას კარტი როგორ უჭირავს, ბრმა დაინახავს, ძმაკაც! ჩემმა მზემ, ბეკეკებივით გაგკრეჭთ, საყვარლებო!“

ჩესვიკი თავის კარტს ერთად აქუჩებს. წითურთმიანი ხელს უწვდის.

„სალამი, ძმაო! რას თამაშობთ? ათასს? მეც არა ვთქვი, კარტს რატო არ მალავენ-მეთქი. წესიერი კარტი არა გაქვთ? ეგ არაფერი, არ ინერვიულოთ, კიდე კაი, ჩემი გამოვაყოლე ხელს, სხვა მხრივაც ერთ რამედ ღირს – სურათები ნახეთ, სურათები! ყველა სხვადასხვანაირია. ორმოცდათორმეტი პოზა!“

ჩესვიკს ჯერ საერთოდ ისედაც გადმოცვენაზე აქვს თვალები და კარტზე დახატული სურათები მთლად ბოლოს უღებს.

„კარგი, ხო, დაწყნარდი, ნუ დალაქავ; დროის მეტი რა გვაქვს?! დავჯდეთ და ვითამაშოთ. ამნაირი კარტით თქვენთან თამაში იმიტომაც მაწყობს, საუკუნე გავა, სანამ ფერებს მაინც გაარჩევთ ზედ.“

პატიმრის შარვალ-ხალათი აცვია, მზით გახუნებულ ტანსაცმელს უკვე მოხდილი რძის ფერი დასდებია. მინდორში დიდხანს მუშაობისგან თვითონაც ხარის სისხლისფრად გარუჯვია სახე, კისერი და მკლავები. ხშირ თმაში მოტოციკლისტის ქუდი გაბლანდვია, შავ ფისტონს გავს, მკლავზე ტყავის ქურთუკი გადაუგდია, მაღალყელიანი, ნაცრისფერი და დამტვერილი ფეხსაცმელები იმსიმძიმე ჩანს, მტერს მოსცხო წიხლი, ნაკერავზე გაარღვევს კაცს. ჩესვიკს თავს ანებებს, ქუდს იხდის, ბარძაყზე იტყაპუნებს და მტვრის ბუქს აყენებს. ერთ-ერთი შავი ბიჭი ჯერაც

უტრიალებს თავისი თერმომეტრით, მაგრამ ახალი შავი ჯეელე-ბისთვის იოლი საკბილო არ ჩანს, მეტისმეტად მკვირცხლია საამათოდ. შავი ბიჭი თერმომეტრის დასამიზნებლად მოემზა-დება თუ არა, ისიც ზუსტად მაშინ მოწყდება ხოლმე ადგილს, ხან ერთ მწვავეს მიეჭრება, ხან მეორეს და ყველას საქმიანად, გუ-ლითადად ართმევს ხელს. იმის ლაპარაკიც, თვალის ეშმაკური პაჭუნიც, გაუთავებელი როხროხიც და ყოყლოჩინობაც, მოკლედ, ყველაფერი – მანქანების გადამყიდველს, აუქციონერს თუ სუ-ლაც ქუჩის იმ მოვაჭრეს მახსენებს, ყველა ბაზრობაზე აუცილებ-ლად რომ გადაეყრები კაცი. დგას ხოლმე სახელდახელოდ შე-კონინებულ დახლთან სადღაც, მეორე რიგში, აფრიალებული ბაირაღების წინ, ყვითელღილებიან, ზოლიან პერანგში გამოწყო-ბილი, თავის უვარგის საქონელს უსინდისოდ აქებს და მაგნიტი-ვით იზიდავს ნახერხის ცქერით დაქანცული მუშტრების სახეებს.

„არაფერს დაგიმალავთ, კოლონიაში ერთ-ორ პატარა შარ-ში გავეხვიე, თუ სიმართლე გინდათ იცოდეთ და სასამართლო-მაც დაასკვნა – ფსიქოპათიაო. როგორ გგონიათ, სასამართლოს დავუწყებდი კამათს? დოლარზე გაგიმაზავთ ვისაც გინდათ, მე მაგის არიფი არ ვყოფილიყავი. იმ ჩაშვებულ მინდვრებს თუ მომაშორებდნენ, ფსიქოპათი კი არა, ყველაფერი ვიქნებოდი რაც იმათ პაწაწინა გულებს გაახარებდა – გინდა ცოფიანი ძაღ-ლი და გინდა პირსისხლიანი კაციჭამია. არა, ბიჭო, თოხის ქნე-ვით მოვიწყვეტდი წელს! თან რას მეუბნებიან – ფსიქოპათი ისაა, ვინც მუდმივად ჩხუბობს და ქალის ამბავშიც ზომა არ იცისო. ხო აზრზე ხართ? არა, გაგიგიათ, კაცს ეგ ამბავი მოყირ-ჭებოდეს? სალამი ძმაო, შენი სახელი? მე მაკმერფი ვარ და ორ დოლარზე თუ დამენიძლავები, ზუსტად გეტყვი, რამდენი ქუ-ლა გიჭირავს ხელში. ოღონდ ჯერ არ ჩახედო. არ ჩახედო! ორ დოლარზე, ჰა, მოსულა? კარგი რა, სემ, შენ რაღა მოგივიდა, ერთი წუთი მაცალე, დაგინებული ხო არა გაქ, ეგ თერმომეტრი მატაკო მაინცდამაინც?“

ჩვენი ახალი მეგობარი ცოტა ხანს უხმოდ ათვალიერებს დღის პალატას.

ოთახის ერთ ბოლოში შედარებით ახალგაზრდა პაციენტებს მოუყრიათ თავი, ჩვენებურად მწვავეებს, იმათ, ვინც ექიმების აზრით, ჯერ საკმარისად არ არის მზად მკურნალობისთვის – მკლავის გადაწევაში ეჯიბრებიან ერთმანეთს და ბანქოს ფოკუსებით ერთობიან: აი, როცა რაღაც უნდა მიამატო, რაღაც გამოაკლო, გამოითვალო და ჩაფიქრებული კარტი გამოიცნო. ბილი ბიბიტი ცდილობს, სიგარეტის გახვევა ისწავლოს, მარტინი თავისებურად დაბორიალებს და რაღაც-რაღაცეებს პოულობს მაგიდების და სკამების ქვეშ. საერთოდ, მწვავეები ბევრს მოძრაობენ. ხშირად ხუმრობენ, მუჭში ხითხითებენ (თამამად გაცინებას ვერასდროს ვერ ბედავს ვერავინ, თორემ მთელი სამედიცინო პერსონალი მაშინვე კალმისტრებ- და ბლოკნოტებმომარჯვებული მიესევა და გაუთავებელი შეკითხვებით დააშტერებს) და წერილებსაც წერენ ყვითელი, დალეული, დაღეჭილი ფანქრებით.

თან ერთმანეთსაც ფხიზლად უთვალთვალებენ. ზოგჯერ ვინმეს საკუთარ თავზე რამე ისეთი წამოსცდება ხოლმე, რასაც სხვა დროს არაფრით გაახმაურებდა და მაშინ მაგიდასთან გვერდით მჯდომი რომელიმე მეგობარი ზანტად დაამთქნარებს, წელმოწყვეტილი წამოიზლაზნება და კედელ-კედელ გვერდულად გაიძურწება სამორიგეოსკენ, სადაც ახალგაგებულ ინფორ-

მაციას კოხტად ჩააწიკწიკებს უშველებელ დავთარში. ასეთ დროს ის მთელი განყოფილების თერაპიულ ინტერესებს იცავს. მთავარ ექთანს თუ დაეჯერება, დავთარიც ზუსტად ამ მიზნითაა შემოღებული. მაგრამ მე ვერ მომატყუებენ, მე ხომ ვიცი – უბრალოდ მთავარი ექთანი საკმარის საბუთებს აგროვებს საიმისოდ, მერე მავანი და მავანი ძირითად კორპუსში რომ მიაბრძანოს, თავფეხიანად შეამოწმოს და ამღვრეული ტვინიც ისევ დაუწმინდოს.

დავთარში ინფორმაციის ჩამწერს საერთო სიაში ვარსკვლავით აღნიშნავენ ხოლმე და ნებასაც აძლევენ, მეორე დღეს გვიანობამდე იძინოს.

მწვავეების პირდაპირ, ოთახის მეორე ბოლოში, კომბინატის მონარჩენები ყრია – ქრონიკულები. ამათ აღარავინ მკურნალობს და საავადმყოფოშიც მარტო იმიტომ აჩერებენ, ქუჩა-ქუჩა არ იყიალონ და აქაურ პროდუქციას სახელი არ გაუტეხონ. პერსონალის ერთსულოვანი აზრით, ქრონიკულები სამუდამოდ აქ უნდა დარჩნენ. ისინი სამ კატეგორიად იყოფიან – ჩემსავით საკუთარი ფეხით მოსიარულეებად (რამე თუ გვაჭამეს, მოძრაობა ჯერ კიდევ შეგვიძლია), ბორბლებიანებად და ბოსტნეულებად. ქრონიკულების უმრავლესობა უბრალოდ შიგნიდან დაზიანებული მანქანებია, უკვე შეუძლებელია ზოგჯერ თანდაყოლილი და ზოგჯერაც წლების მანძილზე მაგარ საგნებზე თავის ხათქუნით გაჩენილი ზადის გამოსწორება – ჩვენი უმრავლესობა ხომ სადღაც, ამომშრალ თხრილებში ეყარა და უპატრონოდ იჟანგებოდა, სანამ კომბინატი მოგვაგნებდა და შეგვიფარებდა.

თუმცა ქრონიკულებშიც მოინახება რამდენიმე კაცი, ვინც წლების წინ პერსონალის უმნიშვნელო შეცდომების მსხვერპლი გახდა, საავადმყოფოში მოსვლამდე მწვავედ ითვლებოდა და უკვე მერე, აქ ეტირა ყოფა. მაგალითად, ელისი. თავიდან მწვავე იყო, მაგრამ მეტისმეტად დიდი პატივი სცეს იმ ბინძურ ტვინისგამაწყალებელ კაბინეტში, „დასაშოკში“, როგორც შავი ბიჭები ეძახიან. ახლა ელისი ზუსტად იმ პოზაშია კედელზე მიჭედებული, რა პოზაშიც უკანასკნელად გადმოიყვანეს მაგიდიდან

საკაცეზე – მკლავებგაშლილი, მტევნებჩამოყრილი, სახეზეც იგივე, მაშინდელი შეძრწუნება აქვს შერჩენილი. ასე, ნადირის ფიტულივითაა კედელზე მილურსმული. ლურსმნებს მარტო მაშინ აძრობენ, როცა ჭამის დრო მოუწევს ხოლმე, ანდა როცა დასაძინებლად მიყავთ, და მეც მხოლოდ მაშინღა ვახერხებ იმის ფეხებთან დამდგარი გუბის მოწმენდას. ძველ ადგილას იმდენ ხანს იდგა გაუნძრევლად, შარდმა იატაკი ამოჭამა და ქვედა განყოფილებაში ვარდებოდა ხოლმე, ათას თავსატეხს უჩენდა იქაურებს სიის ამოკითხვისას.

რაქლიც ქრონიკულია და რამდენიმე წლის წინ, ახალი მოყვანილი, ისიც მწვავედ ითვლებოდა. მერე რაქლიც მეტისმეტად გადატვირთეს: სერიოზულად შეეშალათ რაღაც, როცა თავში გაყვანილობას უმონტაჟებდნენ. ისე, სულო ცოდვილო და, მართლა ღვთის წყრომა კი იყო მთელი საავადმყოფოსთვის: შავ ბიჭებს ურტყამდა, პრაქტიკაზე მოსულ სტუდენტ გოგოებს ფეხებზე კბენდა... ამათაც რა ექნათ, ადგნენ და უმკურნალეს. მაგიდაზე გაშოტეს და კარი მოიხურეს, მერე კარგა ხანს აღარ გვინახავს; თუმცა კარის მოხურვამდე შავ ბიჭებს თვალი ჩაუკრა და სანამ წამოვიდოდნენ, მოაძახა: მე რაქლი არ ვიყო, ეს თუ შეგარჩინოთ, თქვე კუპრში ნაბანავებოო.

ორი კვირა გავიდა, სანამ ისევ განყოფილებაში დააბრუნებდნენ. თავგადაპარსულს სახე ერთ უშველებელ, ცხიმიან, მეწამულ სისხლჩაქცევად ჰქონდა გადაქცეული, თვალების ზემოთ კი თითო პატარა, ღილისოდენა საცობი ჩაეკერებინათ. თვალებზე დღემდე ეტყობა, როგორ გამოწვეს და გამობუგეს იქ, ზევით: ნისლი გადაკვრია, განაცრისფრებია და შიგნიდან გამოცარიელებია გადამწვარი ნათურებივით. ახლა სხვა საქმე აღარაფერი აქვს, მთელი დღე ძველი ფოტოსურათი უჭირავს და გადაბუგულ-გადარუჯული სახის წინ გაუთავებლად აქეთ-იქით ატრიალებს გათოშილი თითებით. ამდენი ტრიალისგან უკვე სურათიც იმის თვალებივით გაუფერულდა და ვეღარც მიხვდები, რა ჩანდა ადრე ზედ.

პერსონალი არ მალავს, რაქლის შემთხვევაში მარცხი მოგვივიდაო, თუმცა თავს ვერ დავდებ, მონტაჟს სწორადაც რომ ჩაევლო, უკეთესი სანახავი იქნებოდა-მეთქი. აი თანამედროვე მონტაჟი, როგორც წესი, უკვე წარმატებით მთავრდება. ტექნიკოსები დაოსტატდნენ და დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. სადღაა ღილისოდენა ნახვრეტები შუბლზე, ძველებური ჭრა-კერვა – უკვე თვალის ფოსოებიდან შედიან თავის ქალაში. წაიყვანენ ხოლმე ზოგჯერ რომელიმე ჩვენიანს მონტაჟზე – შეშლილს, გადარეულს, ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ ამხედრებულს – და როცა ერთ-ორ კვირაში ნაჩხუბარივით თვალებდალურჯებულს ისევ უკან დააბრუნებენ, იფიქრებ, ამაზე ბუნჩულა, ამაზე წესიერი და ზრდილობიანი კაცი ცხოვრებაში არ შემხვედრიაო. ის კი არა, ბოლოს შეიძლება სახლშიც გაუშვან, აუკრავენ გუდანაბადს, მთვარეულის სახეზე მაგრად ჩამოაფხატებენ ქუდს და ისიც მიდის, მიბორიალობს, თითქოს მარტივ, იოლად გასაგებ, ბედნიერ სიზმარს ხედავსო. დიდ წარმატებას მივაღწიეთო, ამბობენ ასეთ დროს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ახალი რობოტი მიუმატეს სხვა უამრავს და მეტი არაფერი, შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო, ისევ მარცხი მოსვლოდათ და კიდევ ერთი რაქლი შეექმნათ, დღემდე უაზროდ რომ აფათურებს ხელებს და თავის სურათს ალბობს დორბლით. სხვა რა ქნას რო? ხანდახან დაგვაჯული შავი ბიჭი მიუცუცქდება და ეკითხება, ერთი მითხარი, რაქლი, შენი ჭკუით რას შვება ეხლა შენი ცელქი ცოლიო? რაქლიც მაშინვე ყურებს დაცქვეტს ხოლმე, დაიძაბება, თითქოს სადღაც, მოშლილ მექანიზმში მახსოვრობა რაღაცას ჩურჩულებს, მერე წითლდება, ვენებში სისხლი ეჭედება, ქოშინი უტყდება და მხოლოდ სუსტი, სტვენასავით ხმა ამოსდის ყელიდან. ტუჩის კუთხეებიდან დორბლს აფრქვევს, ყბებს მთელი ძალით ჭიმავს, რამის თქმა რომ მოახერხოს. მართლა ახერხებს ძლივსგასაგონად რამდენიმე სიტყვის ამოხავლებას და ამ ხმის გაგონება კანს დაგიბურძგლავს კაცს – „ცცცოლის დედაც!.. ცცცოლის დედაც!..“ ძალიან იძაბება, მეტი არ შეიძლება, და ეგრევე გონებას კარგავს.

ელისი და რაქლი ქრონიკულებიდან ყველაზე ახალგაზრდები არიან. ყველაზე ხნიერი კი პოლკოვნიკი მეთერსონია, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ბებერი, გაშეშებული კავალერისტი. ან გვერდით ჩავლილ ექთნებს თავისი ჯოხით კაბებს უფრიალებს და ასე ერთობა, ანდა მარცხენა ხელისგულზე დაწერილ რაღაც ტექსტს უკითხავს და ისტორიის უფასო ლექციას უტარებს ნებისმიერ მოხალისე მსმენელს. განყოფილების უხუცესი წევრი კია, მაგრამ დიდი ხნის მოსული არაა: სულ ორიოდე წლის წინ მოიყვანა ცოლმა, როცა დარწმუნდა, მე ამის მოვლა აღარ შემიძლიაო.

აქაურობის უძველესი ბინადარი მე ვარ, მეორე მსოფლიო ომის დროიდან. ყველას დავასწარი. ჩემამდე მოსული მარტო მთავარი ექთანია.

ქრონიკულები და მწვავეები, როგორც წესი, ერთმანეთს ერიდებიან. ყველა პალატის თავ-თავის ნახევარსაა მიჯაჭვული. შავ ბიჭებსაც ასე ურჩევნიათ: წესრიგია მთავარიო, ამბობენ და წესრიგის დარღვევასაც არავის აპატიებენ. დღის პალატაში ნასაუზმევს შევყავართ ხოლმე, გვიყურებენ, როგორ ვიკავებთ ჩვენ-ჩვენს ადგილებს და მოწონების ნიშნად თავსაც გვიქნევენ – აი ასე, ბატონებო, სწორედ ასე. აი, ასე უნდა მოიქცეთო.

ოღონდ საქმე ისაა, სინამდვილეში იმათი თვალთვალი და შექება არც არაფერში გვჭირდება, ჯერ ერთი, ქრონიკულები, ჩემ გარდა, თითქმის არც მოძრაობენ, მწვავეები კი საკუთარი ნებით არაფრით არ გადავლენ იმათ ნახევარზე, იმიზეზებენ – ქრონიკულების მხარე ჩირქიან სახვევებზე უარესად ყარსო, მაგრამ მე ნამდვილი მიზეზიც ვიცი: უბრალოდ, ძალიან არ უყვართ, როცა ახსენებენ, ერთ მშვენიერ დღეს თქვენც იგივე მოგელითო. ეშინიათ და ამ შიშის შესახებ მთავარ ექთანსაც კარგად მოეხსენება, არც გამოყენება უჭირს; რომელიმე მწვავეს უგუნებობა თუ შეატყო, აუცილებლად ჩააწვეთებს – ჭკვიანი ბიჭი თუ არ იქნები, პერსონალთან არ ითანამშრომლებ და შენივე სასიკეთოდ დადგენილ განაწესს არ დაიცავ, იცოდე, იქითა მხარეს ამოყოფ თავსო.

(პაციენტების ინიციატივით და თანამშრომლობით განყოფილებაში ყველა კმაყოფილია. ნეკერჩხლის ფიცარზე დაკრული პატარა, თითბრის ფირფიტითაც დაგვაჯილდოვეს, ზედ აწერია: გილოცავთ! თქვენ სხვა განყოფილებებთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანი პერსონალით ართმევთ საქმეს თავსო. ესაა სწორედ თანამშრომლობის საზღაური. ზუსტად დავთრის თავზე კიდია კედელზე, გამოსაჩენ ადგილას, ქრონიკულებსა და მწვავეებს შორის).

წითურთმიანი ახალი, მაკმერფი, უცებვე ხვდება, ქრონიკული არ უნდა ვიყოო. ერთ წუთს ათვალიერებს პალატას, რწმუნდება, საითაც უკრავენ თავს და თვითონვე მიეშურება მწვავეებისკენ, ყველას უღიმის და რიგრიგობით ართმევს ხელს. ვხედავ, ყველა უხერხულად იშმუშნება, ყველას ეხამუშება, როგორ ისულელებს ძალით თავს, როგორ შაყირობს და როგორ თავხედურად დაყვირის ჯერაც თერმომეტრმომარჯვებულ შავ ბიჭს, განსაკუთრებით კი იმისი გულიანი, ხმაურიანი ხორხოცი აკრთობთ. სიცილის ხმაზე საკონტროლო პულტის ისრები გიჟივით დახტუნავენ. მწვავეებსაც კლასში უმასწავლებლოდ დარჩენილი მოწაფეებივით დაბნეული და შეშფოთებული სახეები აქვთ, როცა ერთი, ყველაზე ცელქი ბავშვი ყირაზე გადადის, იქაურობას იკლებს და სხვებს გული უსკდებათ, ვაითუ უცაბედად დაბრუნებულმა მასწავლებელმა ყველანი გაკვეთილების შემდეგაც დაგვტოვოსო. ისინიც პულტის ისრებივით ცქმუტავენ და ადგილს ვერ პოულობენ. ვხედავ, მაკმერფიც ამჩნევს ჩვენების უხერხულობას, მაგრამ დაშოშმინებას არც ფიქრობს.

„რა იყო, რა სახეები ჩამოგტირით ყველას? იცოდეთ, ბიჭებო, ჩემ თვალში არც ეგეთი გიჟები ჩანხართ.“ ცდილობს წაათამამოს, ლაპარაკის საღერღელი აუშალოს, როგორც აუქციონერი ცდილობს ხოლმე ფასების გამოცხადებამდე მყიდველების ხუმრობით წახალისებას. „აბა, რომელი თვლით თავს ყველაზე მაგარ გიჟად? ვინაა თქვენში ყველაზე დიდი ცენტრი? კარტის ამბები ვის ეკითხება? პირველი დღეა და მინდა აქედანვე მო-

ვიგო საჭირო კაცის გული, ოღონდ თუ ღირსია და თუ დამიმტკიცებს კიდეც. ჰა, რომელი ხართ მთავარი ცენტრი?“

რატომღაც ბილი ბიბიტს მიმართავს. ბილისკენ იხრება და ისე მკაცრად უყურებს თვალებში, ბილი იძულებული ხდება ბორძიკ-ბორძიკით ამოილუღლუღოს – მე მმმმთავარი ცცენტრი ჯჯჯეერ არა ვარ, თუმცა ააჰაჰლბათ მმმეორედ კი უნდა ჩჩჩავითვალო ნნნეესითო.

მაკმერფი ზედ ბილის ცხვირწინ აშეშებს თავის უშველებელ ტორს და ბილისაც რა დარჩენია, იძულებულია ხელი ჩამოართვას. „კეთილი, ძმაო,“ ეუბნება მაკმერფი, „გულით მიხარია, ამ საქმეში მმმეორე თუ ხარ, მაგრამ რახან აქ განაბობას ვაპირებ, იქნება ჯობდეს, მთავარ გიჟს ველაპარაკო“. აქეთ-იქით იყურება, ხელისგულებს ატყუპებს და ყველა სახსარს იტკაცუნებს ხმაურით. ბევრმა მწვავემ კარტის თამაშს დიდი ხნის წინ მიანება თავი. „რა არი, იცი, ძმაო, ამ თქვენ კაზინოს გადმოვიბარებ, მერე დავჯდეთ და ბოლომდე შევიყვანოთ ოცდაერთი, კაცურად. აბა, მიმიყვანე ერთი შენ უფროსთან, ჩვენ თვითონ გავარკვევთ ერთმანეთში, ვინც იქნება აქ ბოსი.“

ვერავინ მიმხვდარა, ეს დოლივით გულმკერდიანი, სახედაჩეხილი, აჭიხვინებული კაცი თვალთმაქცობს, მართლა ასე აფრენს თუ ერთიცაა და მეორეც ერთდროულად; თუმცა მისი აყოლა მაინც ყველას ძალიან სიამოვნებს. ხედავენ, როგორ ბღუჯავს დიდი, წითური ხელით ბილის წვრილ მკლავს და ელოდებიან, ბილი რაღას იტყვისო. ისიც ხვდება, ჩუმად ყოფნა აღარ გამოვაო, მაგიდასთან ათასის სათამაშოდ დამსხდარ მეგობრებს ათვალიერებს და ერთ-ერთს ადგამს თვალს: „ჰარდინგ,“ ამბობს ბილი, „მე მგონი, შენ უუუუნდა იყო. შენ არა ხარ პაჰპაჰ-პაციენტების საბჭოს პპპრეზიდენტი?! ამ კკკკაცს შენთან ლაპარაკი უუუნდა.“

მწვავეები უკვე ილიმებიან, უკვე უხერხულადაც აღარ გრძნობენ თავს, თან უხარიათ, რაღაც არაჩვეულებრივი ხდებაო. ჰარდინგს ელაზღანდარავებიან, ეკითხებიან, მართლა შენა ხარ

ნომერი პირველი ცენტრიო? ჰარდინგი ბანქოს მაგიდაზე ალაგებს.

ერთი უხასიათო, მუდმივად გაღიზიანებული კაცია, ისეთი სახე აქვს, იფიქრებ, ფილმში ხომ არ მინახავსო, თითქოს ეს სახე მეტისმეტად ლამაზია ქუჩაში უბრალო გამვლელის კვალობაზე. როცა საკუთარ თავში ჩაიკეტება და შეიყუჟება ხოლმე, განიერ, თხელ მხრებს მოწურავს და მკერდს მხრებში მალავს. ჰარდინგის თეთრი, ფაქიზი ხელებისა და გრძელი თითების შემხედვარეს ბევრჯერ მიფიქრია, ამ ხელებმა ერთმანეთი საპნის ქაფიდან გამოძერწეს-მეთქი, ზოგჯერ ლაპარაკში თუ გაერთო, ხელები თავისუფლდებიან და ნებაზე მიშვებული ორი ჩიტივით დაფარფატებენ ჰაერში – სანამ ისევ არ მოეგება გონს და მუხლებს შორის არ მოიმწყვდევს: რცხვენია, ასეთი ლამაზი ხელები რომ აქვს.

თანაც პაციენტების საბჭოს პრეზიდენტია, როგორც კოლეჯის დამთავრების საბუთის ერთადერთი მფლობელი. ჩარჩოში ჩასმული საბუთი საწოლთან ტუმბოზე უდევს, ბიკინიში გამოკვანწული ქალის სურათის გვერდით. ის ქალიც კინოში ნანახს გავს – ძალიან დიდი მკერდი აქვს და ლიფის ბრეტელი ორი თითით უჭირავს წკიპზე, ცერად გასცქერის ფოტოაპარატს სადღაც, გვერდით. ქალის ზურგს უკან პირსახოცზე დასკუპებული ჰარდინგიც მოჩანს, გახდილი ცარიელი ძვალი და ტყავია და ისეთი სახე ადევს, თითქოს ელოდება, როდის მიაყრის ვინმე მუტრუკი ფეხით ქვიშას. ტვინი წაგვჭამა ცოლზე ტრაბახით, ძალიან ამაყობს ასეთი ქალის ქმრობით, ამბობს, მსოფლიოში უსექსუალურესი ვინმეა და ღამე ჩემთან ალერსით ვერ ძღებაო.

მაინცდამაინც იმაზე რომ აჩერებს ბილი არჩევანს, ჰარდინგიც სავარძელში ითხლაშება, საქმიან, სერიოზულ სახეს იღებს, ბილის და მაკმერფის აღარ იმჩნევს, ჭერს ასცქერის და ლაპარაკითაც ჭერს ელაპარაკება ვითომ მოღლილი, მოქანცული ხმით: „კი, მაგრამ ამ... ჯენტლმენს რამე სარეკომენდაციო წერილი თუ აქვს, მისტერ ბიბიტ?“

„გაქვთ სარეკომენდაციო წერილი, მისტერ მაკმმერფი? მისტერ ჰარდინგი მოუცლელი კაცია, წწწერილის გარეშე არავის ღებულობს.“

„და, ესე იგი, ეს მოუცლელი მისტერ ჰარდინგია მთავარი ცენტრი, არა?“ მაკმერფი ცალი თვალით ბილის გასცქერის და ისიც ჩქარ-ჩქარა უკანტურებს თავს; კმაყოფილებას ვერ მალავს, ასე უცებ დავიმსახურე საერთო ყურადღებაო.

„მაშინ გადაეცით მთავარ ცენტრ ჰარდინგს, რ. პ. მაკმერფის სურს თქვენი ნახვა-თქო, ეს საავადმყოფო არც ისე დიდია, ორივე რო დაგვიტიოს-თქო. რა ვქნა, ქურდად ჯდომას ვარ მიჩვეული. ჩრდილოდასავლელ ტყისმჭრელებშიც პირველი კაცი ვიყავი და კორეაშიც პირველი ყომარბაზი, ეგ კი არა, ბარდის გამარგვლაშიც არ დამითმია არავისთვის პირველობა პენდლტონის ფერმაში, მოკლედ, თუკი მაინცდამაინც ცენტრობა მიწერია, არავიზე ნაკლებად გაფრენას არ ვაპირებ. უთხარი მაგ შენ ჰარდინგს, ან კაცურად ერთი-ერთზე გამოვიდეს, ან არადა, თუ ჩაისვარა და ქვეშიდან გამოსვლა უნდა, ურჩევნია, მზის ჩასვლამდე აორთქლდეს ქალაქიდან.“

ჰარდინგი კიდევ უფრო ითხლაშება სავარძელში და პიჟამის საყელოს ცერი თითებით ებღაუჭება. „ბიბიტ, გადაეცი მაგ ახლად წამოჩიტულ ყვინჩილას, მთავარ დარბაზში შევხვდები ზუსტად შუადღისას და ამ საკითხსაც ერთხელ და სამუდამოდ გავარკვევთ ჩვენი აგიზგიზებული ლიბიდოების დახმარებით.“ ჰარდინგი ცდილობს, მაკმერფივით გაწელოს სიტყვები; ოღონდ ცოტა სასაცილო მოსასმენი კია, იმისი წვრილი ხმა და ქოშინი მაინცდამაინც არ უხდება ძველბიჭურ კილოს. „თან გააფრთხილე, გაუგებრობა არ მოხდეს რამე, უკვე თითქმის ორი წელია, ამ განყოფილების მთავარი ცენტრია და მაგისნაირი გიჟი ცოცხლებში სანთლით არ მოინახება-თქო“.

„მისტერ ბიბიტ, ჩემგანაც გააფრთხილეთ ბატონი ჰარდინგი, ისეთი დარეხვილი ვინმეა, თავისი პირით აღიარებს, ეიზენჰაუერს რომ მისცა ხმაო.“

„ბიბიტ! ნებას გაძლევ, ამცნო მისტერ მაკმერფის: ჩემი სიგიჟე კიდევ უფრო შორს მიდის, მე ეიზენჰაუერს ორჯერ მივეცი ხმა!“

„თამამად უპასუხეთ მისტერ ჰარდინგს,“ – მაკმერფი ხელებს მაგიდაზე აწყობს, მთელი ტანით ხელებისკენ იხრება და უფრო ხმადაბლა ამბობს: „ჩემთან მაინც ვერ მოვა, მე ისე ვერეკები, ვაპირებ, ამ წლის ნოემბერშიც მივცე ეიზენჰაუერს ხმა.“

„ქედს ვიხრი თქვენ წინაშე“, ამბობს ჰარდინგი, თავს უკრავს და ხელს ართმევს მაკმერფის. მაკმერფის გამარჯვებაში ეჭვი აღარ მეპარება, თუმცა კარგად არ ვიცი, რა მოიგო.

დანარჩენმა მწვავეებმა უწინდელი საქმიანობა მიატოვეს, მოპაექრეებს შემოეხვივნენ, უნდათ გაიგონ, მაინც რა ჩამოსხმაა ეს ახალი ბიჭი. ამისნაირი ადრე არასდროს არავინ ყოფილა განყოფილებაში. ეკითხებიან, საიდან მოხვედი, ვინა ხარ, რას საქმიანობო – ასე გამოცოცხლებულ მწვავეებსაც პირველად ვხედავ. შეწირული კაცი ვარო, ამბობს. ერთი მოხეტიალე და მოხალისე ტყისმჭრელი ვიყავი, სანამ არმიამ ხელი არ მტაცა და ჩემს ბუნებრივ მიდრეკილებაზე თვალი არ ამიხილაო; ზოგს თუ მოვალეობისგან თავის დაძვრენას, სიზარმაცეს და უსაქმურობას აჩვევს და ასწავლის ჯარი, მე პოკერის თამაში მასწავლაო. მას მერე ცხოვრებაში ადგილი ვიპოვე და თავი აზარტულ თამაშებს შევწირე, სხვათა შორის, სულერთია, რა დონეზეო. ახლა უბრალოდ პოკერს ვთამაშობ, მარტოხელა ვარ და იქ და ისე ვცხოვრობ, სადაც და როგორც მინდა, თუკი, რა თქმა უნდა, დამაცლიანო. „არადა, ხომ იცით, როგორ დევნის საზოგადოება შეწირულ კაცს,“ ეუბნება მწვავეებს, „მას მერე, რაც ჩემ მოწოდებას მივაგენი, იმდენი პატარ-პატარა ქალაქის ციხეების კედლები ვლესე, ბროშურას დავწერდი. ჩემზე ამბობენ „შფოთისთავიაო“. ჩხუბი უყვარსო, რა! როცა უენო ტყისმჭრელი ვიყავი და შარში ვეხვეოდი, მაშინ რაღაც არ აწუხებდათ ჩემი შფოთისთავობა; ეპატიებაო, ჭიკჭიკებდნენ, ესო, მძიმე შრომაში ჩაბმული კაცისთვის ორთქლის გამოშვებაოო! ხო აზრზე ხართ?! აი, მოთამაშე თუ გახდი,

თუ გაიგეს, ხანდახან უკანა ოთახში პოკერის მაგიდასთან ჯდებაო, გინდა სამჯერ გადააფურთხე, გინდა სამასჯერ – მაინც დათარსული ხარ. ოოო, დრო იყო, ბიუჯეტს დაეტყო ჩემი ციხიდან ციხეში გადაყვანის ხარჯები."

თავს აქნევს და ლოყებს ბერავს.

„თუმცა ცოტა ხანს გაგრძელდა ეგრე. ჭკუა ვისწავლე, გავეშმაკდი. თუ დამიჯერებთ, პენდლტონში ატეხილი შუხური და გინება პირველი იაღლიში იყო ლამის ბოლო ერთ წელიწადში. მაგან დამბრიდა კიდეც. გადაჩვეული ვიყავი; ის ჩემისაც მანამდე ადგა და მანამდე ჩამიშვა ძაღლებთან, სანამ ქალაქიდან ავითესებოდი. მაგარი ვირი გამოდგა..."

ისევ იცინის, ისევ რიგრიგობით ართმევს ყველას ხელს და თუ თერმომეტრიანი შავი ბიჭი ძალიან მიუახლოვდება ხოლმე, უახლოეს მაგიდასთან ჯდება და რომელიმე მწვავეს მკლავის გადაწევაში ეჯიბრება. უცებ ასწრებს ყველას გაცნობას და ახლა პირდაპირ ქრონიკულებისკენ აღერებს თავს, თითქოს ჩვენც არაფრით განვსხვავდებით სხვებისგან. ვერ იტყვი, მართლა ასეთი გულიანი და მეგობრული ბიჭია, თუ შებერტყილი მოთამაშის რაღაც ანგარიში აიძულებს იმათი გაცნობაც სცადოს, ვისაც ისე აქვს გარეკილი, უმრავლესობას საკუთარი ნათლობის სახელიც აღარ ახსოვს.

უკვე ოთახის მეორე მხარესაა, ელისის მარჯვენა ხელს კედლიდან ხსნის და ისეთი ამბით ართმევს, თითქოს საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული პოლიტიკოსი მყავდეს და იმისი ყოფნა-არყოფნაც ელისის ამ ერთ ხმაზე ეკიდოს. „ძმაო," ეუბნება ელისს ხალისიანად, „მე რ. პ. მაკმერფი მქვია და მაგრა არ მომწონს, როცა შენი ხნის ვაჟკაცი კაცი თავისივე დაქცეულ სითხეში დატივტივებს. რატო არ მოაწმენდინებ?"

ელისი გულწრფელად გაკვირვებული დასცქერის ფეხებთან დამდგარ გუბეს. „უი, ჩემი სიკვდილი, დიდი მადლობა," რამდენიმე ნაბიჯსაც კი დგამს საპირფარეშოსკენ, სანამ ლურსმნები ისევ კედელს არ მიაკრავენ.

მაკმერფი ქრონიკულების რიგს მიუყვება, პოლკოვნიკ მეთერსონსაც ართმევს ხელს, რაქლისაც და ბებერ პიტსაც. ბორბლებიანებსაც, საკუთარი ფეხით მოსიარულეებსაც და ბოსტნეულებსაც, იმათაც, ვისაც თვითონვე ძალით აწევინებს ზევით მკვდარი, მექანიკური ჩიტებივით – წვრილი ძვლებისა და მავთულებისგან შეკოწიწებული, ყავლგასული და სამუდამოდ დამსხვრეული უცნაური სათამაშოებივით – კალთაში ჩაყრილ ხელებს. ყველას ხელს ართმევს, ვისთანაც კი მიდის, დიდი ჯორჯის, „წყლის გიჟის" გარდა. ჯორჯი უხმოდ ხითხითებს და მორცხვად იხევს უკან, სათოფეზე არ იკარებს ამ ანტიჰიგიენურ ხელს, მაკმერფიც მხოლოდ შორიდან ესალმება და უკვე სხვა პაციენტისკენ დაძრული, საკუთარ მარჯვენას ეუბნება – ნეტა რაზე შეგატყო ამ პატიოსანმა კაცმა, რამდენ ჭუჭყში და სიბინძურეში გამოგივლიაო.

ვერავინ ხვდება, რა აქვს გუნებაში, რისთვის ატეხა ამხელა აურზაური, ან რატომ მოინდომა ასე ერთბაშად მისალმებოდა ყველას; თუმცა რაც ხდება, მაინც ნამდვილად ჯობია რებუსების კირკიტს. თვითონ უწინდებურად კი გაიძახის, აუცილებელია აქაურობის და ამ ხალხის გაცნობა, ვისთანაც საქმის დაჭერა მომიწევს, ესეც მოთამაშის დაუწერელი კანონიაო, მაგრამ ხომ მშვენივრად ხვდება, არანაირი საქმე რომ არ ექნება ოთხმოცი წლის ორგანულ შიზოფრენიკთან, ვინც ბანქოს ქაღალდს სხვას ვერაფერს მოუხერხებს, პირში თუ არ ჩაიდო და ცოტა ხანს ლოღნა. მაინც ისეთი სახით მიდი-მოდის, ვითომ უდიდეს სიამოვნებას განიცდიდეს, ვითომ ამ ხალხთან მისალმებაზე დიდ ბედნიერებას ამქვეყნად არაფერი ანიჭებდეს.

მე ბოლო ვარ, ჯერაც სკამზე მიბმული ოთახის კუთხეში. ჩემამდე რომ მოდის, ჩერდება, ცერებს ისევ ჯიბეებში იჩრის და გასაცინებლად გამზადებული წელში იზნიქება, ეტყობა, მე რაღაც კიდევ უფრო სასაცილოს მატყობს, ვიდრე ნებისმიერ სხვას. უცებ, ერთი პირობა, შიში მიპყრობს, კი ვზივარ ასე ფეხებაპლაკული, მუხლებზე ხელებშემოჭდობილი და ყრუ-მუნჯივით

ერთ წერტილს მიშტერებული, მაგრამ იქნება ხვდება ჩემს მაიმუნობას და იმიტომ ეცინება-მეთქი.

„ბიიჯოო, ერთი ნახეთ, რა ვიპოვე!“

ეს ამბავი მართლა კარგად მახსოვს. მახსოვს, როგორ მოჭუტა ცალი თვალი, თავი უკან წაიღო და ღვინისფრად შეხორცებული, ნაიარევი ცხვირის ზემოდან გამომხედა, თან სახეში შემომცინოდა. გაეცინება, აბა რა, სად ჩემნაირი ლენჩი და სად ინდიელის სახე და შავი, მბზინავი თმა-მეთქი, ვიფიქრე თავიდან. ანდა სულაც ჩემი უმწეობა და უსუსურობა აყენებს-მეთქი სიცილის გუნებაზე. მაგრამ, მახსოვს, მერე მივხვდი – ჩემს მოჩვენებით ყრუმუნჯობას წამითაც არ მოუტყუებია და სიცილის ნამდვილი მიზეზიც ეგ იყო; მთელი ჩემი ეშმაკობის მიუხედავად, სიმართლეს მაშინვე მიხვდა და ახლა იცინოდა, თან თვალსაც მიკრავდა – აზრზე ვარ, ოღონდ ნუ გეშინიაო.

„შენ რაღას გვეტყვი, დიდო ბელადო? ჩემმა მზემ, ნაღდი მჯდომარე ხარი ხარ! მჯდომარე ხარი – მჯდომარე გაფიცვაზე.“ მწვავეებს გახედა, ხუმრობას შემიფასებენ თუ ვერაო, იმათ მარტო ზრდილობისთვის რომ ჩაიხითხითეს, ისევ მე მომიბრუნდა და ერთხელ კიდევ ჩამიკრა თვალი. „სახელს ხომ ვერ მაჩუქებთ, ბელადო?“

„მმმაგის სსსახელი ბრომდენია,“ გამოსძახა ბილი ბიბიტმა ოთახის მეორე ბოლოდან. „ბელადი ბრომდენი. ისე, ყველა ცოცხების ბელადს ეძახის, სულ იატაკს აგვევინებენ ხოლმე და იმმმიტომ. მე მგონი, სხვა არც არაფერი შეუძლია. ყრუა.“ ბილიმ ნიკაპი ხელებზე ჩამოიდო. „მე რომ ყყყრუ ვიყო,“ ამოიოხრა გრძნობით, „თავს მოვიკლავდი“.

მაკმერფი თვალს არ მაშორებდა. „გაიზრდება – მაღალი ბიჭი იქნება, არა? ნეტავი რამსიმაღლეა?“

„მგონი, ერთხელ ggგაზომეს და ორ მეტრზე ოდნავ მეტი გამოვიდა. ამხელა კია, მაგრამ საკუთარი ჩჩჩრდილისაც ეშინია. მოკლედ, ერთი დდდიდი ყრუ ინდიელია.“

„რო დავინახე, კი ვიფიქრე, ინდიელი იქნება-მეთქი... ისე,

ბრომდენი რანაირი ინდიელია?! რომელი ტომიდანაა?“

„არ ვიცი,“ თქვა ბილიმ. „მე უკვე აქ დამხვდა“.

„ექიმს თუ დავუჯერებთ,“ ჩაერთო ჰარდინგი, „მითხრა, მხოლოდ სანახევროდაა ინდიელიო, თუ არ ვცდები, ქალამბიელი ინდიელი. ამათ ტომს ქალამბიის ხეობაში უცხოვრია, ოღონდ ახლა მთლად გადაშენებულან. ექიმმა თქვა, მამამისი ტომის ბელადი იყოო, ამისი მეტსახელიც აქედანაა. ბრომდენს რაც შეეხება, ვშიშობ, ინდიელთა საკითხის ჩემეული ცოდნა ამდენის გარკვევას ვეღარ გასწვდება.“

მაკმერფიმ თავი დახარა, ზედ სახესთან მომიტანა და მეც იძულებული გავხდი, მისთვის შემეხედა. „მართალია, რასაც შენზე ამბობენ? მართლა ყრუ ხარ, ბელადო?“

„ყყყრუცაა და მუნჯიც.“

მაკმერფიმ ტუჩები მომუწა და კარგა ხნით ჩამაცქერდა. მერე ისევ წელში გასწორდა და ხელი გამომიწოდა.

„კეთილი, სხვა თუ არაფერი, ხელის ჩამორთმევა ხო მაინც შეუძლია? გინდა ყრუ იყოს და გინდა არა. იცოდე, ბელადო, ამოდენა კი გაზრდილხარ, ოღონდ ხელი თუ არ ჩამომართვი, დედას გეფიცები, შეურაცხყოფილად ჩავთვლი თავს. ახალი მთავარი ცენტრის შეურაცხყოფა კიდე მთლად კარგი საქმე ვერ არი.“

ამის თქმაზე ბილის და ჰარდინგს გახედა და დაიჭყანა, მათლაფასავით ხელი კი უკან აღარ წაუღია.

ეს ხელიც ნათლად მახსოვს: ეტყობა, თავის დროზე გარაჟში ნამუშევარს, ფრჩხილები ჩაშავებოდა; შუა თითის სახსართან ღუზა ამოესვირინგებინა – კუთხეებაპრეხილი, ჭუჭყიანი სალბუნის ქვეშ მოუჩანდა; ხუთივე თითის სახსარი ძველი თუ ახალი იარებით და ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. ხელისგული კი, მახსოვს, უხეში და ძვალივით მაგარი იყო – ალბათ თოხის ტარს გაეუხეშებინა ასე, ვერც იფიქრებდი, ამისთანა ხელის პატრონი კარტის დარიგებას თუ მოახერხებდა. დამსკდარ კოჟრებში ჭუჭყი ჩაჯდომოდა. ხელისგული დასავლეთში აღმა-დაღმა მისივე უთავბოლო ხეტიალის რუკად გამოდგებოდა. შრაშუნით ჩამო-

მართვა ხელი. მახსოვს, როგორი სქელი და ღონიერი თითები ქონდა, ჩემს ხელს რაღაც უცნაური დაემართა, მერე ნელ-ნელა გასიება დაიწყო, ქვევიდან ზევით, მთელი მკლავის გაყოლებაზე, თითქოს საკუთარ სისხლს მისხამდა. სისხლით და ძალ-ღონით ვივსებოდი. ლამის მისი ხელისოდენა გამიხდა ხელი, მახსოვს...

„მისტერ მაკმარი!“

ეს უკვე მთავარი ექთანია.

„მისტერ მაკმარი, ერთი აქეთ მობრძანდით, გეთაყვა.“

ნამდვილად მთავარი ექთანია. თერმომეტრიანმა შავმა ბიჭმა დაუძახა. დგას, შავი ბიჭისთვის გამორთმეულ თერმომეტრს მაჯის საათზე იკაკუნებს, თვალებს ვერ ასვენებს და ცდილობს, კარგად გაზომ-აწონოს ეს ახალი ჩიტი. სამკუთხედად დაწყობილი თოჯინას ტუჩები სათამაშო საწოვარასთვის გაუმზადებია.

„სანიტარი უილიამსი მეუბნება, მისტერ მაკმარი, თითქოს რაღაც გართულებას ჰქონდა ადგილი შხაპთან დაკავშირებით. მართალია? ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგოთ, მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მივესალმები თქვენს სურვილს, ახლოს გაიცნოთ განყოფილების დანარჩენი პაციენტები, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს, მისტერ მაკმარი. ვწუხვარ, რომ გაწყვეტინებთ თქვენ და მისტერ ბრომდენს, მაგრამ, ხომ იცით, წესი... წესი ყველასთვის წესია.“

მაკმერფის თავი უკან მიაქვს და თვალს მიკრავს, ვითომ, შენი არ იყოს, აწი ვერც ეგ მომატყუებს, უკვე მაგასაც მოხარშულს ვიცნობო. ცოტა ხანს ცალი თვალით გასცქერის ქალს.

„იცით, ქალბატონო,“ ეუბნება მთავარ ექთანს, „ცხოვრებაში ძალიან ხშირად გამომიჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ზუსტად სიტყვა-სიტყვით იგივეს მიმეორებენ წესების შესახებ...“

ნაძალადევად იღიმება. ქალიც უღიმის, თან თვალით ზომავენ ერთმანეთს.

„...როცა ხვდებიან, აუცილებლად საპირისპიროს გააკეთებსო.“

მერე ხელს მიშვებს.

ეუშის სამორიგეოში მთავარი ექთანი უცხოეთიდან მიღებულ ამანათს ხსნის და შპრიცებს მომწვანო-რძისფერი სითხით ავსებს ამანათში ჩაწიკწიკებული პატარა ამპულებიდან. უმცროსი ექთნებიდან ერთ-ერთი, რომელსაც ცალი თვალი გვერდზე გაურბის და მუდმივად შეწუხებული იცქირება მხარს ზემოდან, სანამ მეორე თვალი, ჩვეულებრივ, საქმეს ჩასჩერებია ხოლმე, უკვე გავსებულშპრიცებიან ლანგარს იღებს, თუმცა ჯერ, ეტყობა, არსად არ აპირებს წასვლას.

„ჩვენს ახალ პაციენტზე რას ფიქრობთ, მის რეჩედ? მე თუ მკითხავთ, რა ქვია, შესახედად არა უშავს და ისეც მეგობრული ტიპი ჩანს და რა ვიცი, ოღონდ, ნუ, ცოტათი ამლაშებს.“

მთავარი ექთანი თითზე იმოწმებს ნემსის წვერს. „ძალიან მეშინია,“ – ნემსს რეზინისხუფიან შუშაში არჭობს და შპრიცის დგუშს ექაჩება – „რომ თვითონაც სწორედ ამას უნდა ესწრაფოდეს: გადამლაშებას. ეგეთ ხალხს ჩვენ „მანიპულატორებს“ ვეძახით, მის ფლინ, ასეთი კაცი ცდილობს, ყველა და ყველაფერი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს.“

„კარგით, რა, მის რეჩედ. კი, მაგრამ, ესე იგი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? რა მიზნები უნდა ჰქონდეს?“

„რაც თქვენს სულსა და გულს გაუხარდება.“ მთავარი ექთანი მშვიდია, მოღიმარი, ერთიანად ჩაფლული თავის საქმეში. „მაგალითად, კომფორტი და ტკბილი ცხოვრება; ძალაუფლების

და საყოველთაო პატივისცემის განცდა, ალბათ; ფულის შოვნა. შეიძლება, ყველაფერი ერთადაც. ზოგჯერ მანიპულატორის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ განყოფილების შიგნიდან დანგრევაცაა მარტო ნგრევის ჟინის დაკმაყოფილების გამო. მერწმუნეთ, ჩვენი საზოგადოება ამგვარი ხალხის ნაკლებობას არ უჩივის. მანიპულატორს შეუძლია სხვა პაციენტებზეც იქონიოს გავლენა და ისეთ დონემდეც დაიყვანოს, მერე თვეები დასჭირდეს ყველაფრის ისევ უწინდელ კალაპოტში დაბრუნებას. თანამედროვე ლმობიერი ფილოსოფიის წყალობით მათთვის იოლია ჩანაფიქრის განხორციელება ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. რამდენიმე წლის წინ სულ სხვანაირად იყო საქმე. მახსოვს, ერთხელ ერთი პაციენტი გვეწვა, ვინმე მისტერ თეიბერი. ამ განყოფილებაში მსგავსი მანიპულატორი არასდროს გვყოლია, პირდაპირ აგვიკლო და ჯვარს გვაცვა... ცოტა ხანი." საქმეს თავს ანებებს, მოგონებებში იძირება, სანახევროდ სავსე შპრიცი დირიჟორის პაწაწინა ჯოხივით უჭირავს სიამოვნებისგან დაბინდული თვალების წინ. „მისტერ თეი-ბერი", იმეორებს ნეტარი ხმით.

„კი, მაგრამ, ისა," ამბობს უმცროსი ექთანი, „განყოფილების დანგრევა რატომ უნდა მოინდომოს, მის რეჩედ? რა მიზეზით?.."

მთავარი ექთანი სიტყვას აწყვეტინებს, ისევ არჭობს ნემსს ამპულის რეზინის ხუფში, შპრიცს ავსებს, ნემსს აძრობს და შპრიცს ლანგარზე დებს. ვხედავ, როგორ იწვდის ხელს ახლა სხვა ცარიელი შპრიცისკენ, ისევ არჭობს, ავსებს, აძრობს, დებს...

„მის ფლინ, ეტყობა, დაგავიწყდათ, რომ ეს სულით ავადმყოფთა ინსტიტუტია."

თუ ვინიცობაა, ღმერთი გაწყრა და რამემ კალაპოტიდან ამოაგდო, მის მეურნეობას დაზეთილ, აწყობილ მანქანასავით მუშაობაში შეუშალა ხელი, მთავარი ექთანი თვითონაც გიჟს ემსგავსება ხოლმე. საკმარისია სულ ოდნავი უწესრიგობა, არეულობა, მცირე შეფერხება და მაშინვე დაძაბულად მოღიმარ, თეთრ,

პატარა მძვინვარე გორგლად გადაიქცევა. მართალია, ნიკაპსა და ცხვირს შუა იგივე, თოჯინას ღიმილის ნაიარევი მოუჩანს, თვალებიდანაც ისევ მშვიდ ზუზუნს აფრქვევს, მაგრამ სადღაც შიგნით, საკუთარი არსების სიღრმეში, ფოლადის ბაგირივითაა დაჭიმული. ვიცი, ასეა, რადგან ყველაფერს ვგრძნობ. ასე იქნება დაჭიმული, ოდნავაც არ მოეშვება, სანამ წესრიგის დამრღვევს – როგორც თვითონ უყვარს თქმა – „კალაპოტში“ არ დააბრუნებს.

მისი ძალაუფლების წყალობით შიდა სამყარო, ანუ ჩვენი განყოფილება, მართლაც თითქმის არასოდეს გადმოდის კალაპოტიდან. მაგრამ საქმე ისაა, მუდმივად განყოფილებაში ყოფნას ვერ ახერხებს. გარკვეული დრო ამ კედლებს გარეთაც უნდა გაატაროს. ხოდა, ბარემ გარე სამყაროს კალაპოტში ჩაყენებასაც ადევნებს თვალს და, შეძლებისდაგვარად, ფასეული წვლილიც შეაქვს ამ საქმეში. იმასაც და ბევრ იმისნაირსაც, ვისაც მე „კომბინატს“ ვეძახი. უშველებელი ორგანიზაციაა, მიზნად გარე სამყაროს ისეთივე კალაპოტში მოქცევა აქვს დასახული, რა კალაპოტშიც ჩვენა ვართ მოქცეულები, შიდა სამყარო, და უპირველესი „კალაპოტში ჩამყენებელიც“, რაღა თქმა უნდა, ღრმად პატივცემული მთავარი ექთანია, ამ საქმის დიდოსტატი და ჭეშმარიტი ვეტერანი. როცა უხსოვარ დროს აქ მომიყვანეს, ჯერ კიდევ ძველ შენობაში, უკვე მთავარი ექთანი იყო და მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენი ხნის წინ ჰქონდა თავი გადადებული და შეწირული „კალაპოტში ჩაყენების“ დიადი საქმისთვის.

წლები ვადევნებდი თვალს და ვრწმუნდებოდი, მართლა სულ უფრო და უფრო როგორ იწვრთნებოდა და იწაფებოდა თავის საქმეში. გამოცდილებამ ისე დააბრძენა და გააძლიერა, ნამდვილად ყოვლისშემძლე გახდა და საკუთარ ძალაუფლებას უკვე ოთხივე მხარეს ავრცელებს თმის ღერივით წვრილი, ჩემ გარდა ყველა სხვა თვალისთვის უჩინარი მავთულებით. ვხედავ ხოლმე, როგორ ზის ამ მავთულების აბლაბუდის შუაში ფხიზელი რობოტივით, მექანიკური ობობას სიმარჯვით მართავს თავის ბადეს და ყოველთვის ზუსტად იცის, რომელი მავთული საით მიდის,

რომლით როგორი ნაკადი უნდა გაუშვას სასურველი შედეგის მისაღებად. საწვრთნელ ბანაკში, სანამ არმია გემით გერმანიაში გამამგზავრებდა, ელექტრიკოსის თანაშემწე ვიყავი, მანამდეც ერთი წელი კოლეჯში ცოტ-ცოტა ელექტრობას ვსწავლობდი და მშვენივრად ვხვდები მთელ იმის ეშმაკობებს.

თან, მავთულის ამ აბლაბუდის შუაგულში გაყუჩებული, ოცნებობს კიდეც – შუშისხუფიანი ჯიბის საათივით აწყობილ და უზადოდ მომუშავე სამყაროზე, სადაც არასოდეს დაირღვევა შინაგანაწესი და სადაც მის მანათობელ სხივებქვეშ შეყუჟული უკლებლივ ყველა პაციენტი ბორბლებიან სავარძლებს მიჯაჭვული, შარვლის ტოტებიდან გამოყოფილი კათეტერებით იატაკში დატანებულ საკანალიზაციო მილზე მიერთებული ქრონიკული იქნება. საოცნებო და, მისი აზრით, იდეალურ პერსონალსაც წლების მანძილზე აგროვებდა: ვინ იცის რამდენმა, რა ტიპის და რა ასაკის ექიმმა არ გაიარა მის თვალწინ, მოვიდოდნენ, გამოეჯგიმებოდნენ, ათასნაირ იდეას დაახვავებდნენ – როგორ აპირებდნენ განყოფილების მოწყობა-გარდაქმნას... ზოგს იმოდენა გული ჰქონდა, საკუთარი იდეების დაცვასაც კი ბედავდა, ჩვენი მთავარი ექთანი კი მშვიდად მიაჩერდებოდა ხოლმე მშრალი ყინულის თვალებით, ერთი დღე, ორი, იქამდე, ვიდრე მავანი და მავანი ექიმი საბოლოოდ დაყრიდა ფარ-ხმალს უკვე რაღაც არაბუნებრივი გულგრილობით. „გეუბნებით, წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება-მეთქი," ეუბნებოდნენ კადრების განყოფილების უფროსს, „მას მერე, რაც იმ განყოფილებაში, იმ ქალთან დავიწყე მუშაობა, ჩემს ძარღვებში თითქოს ამიაკი მიედინება. განუწყვეტლივ მამცივნებს, შვილები კალთაში აღარ მიჯდებიან, ცოლი აღარ მიწვება გვერდით. გადაყვანას გთხოვთ – ნევროლოგიურ განყოფილებაში, ალკოჰოლიკებში, პედიატრიაში, ჯანდაბაში – სულერთია!.."

წლების მანძილზე გრძელდებოდა ასე. ზოგი ექიმი სამ კვირას ძლებდა, ზოგი სამ თვეს, ოღონდ უფრო დიდხანს – ვერავინ. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი პატარა, ჩია, ფართოშუბლიან და განიერყვრიმალებიან კაცზე შეაჩერა, რომელსაც წვრილი თვალების

გაყოლებაზე თავიც ისე გაწვრილებოდა, თითქოს ერთ დროს ზომაზე ბევრად პატარა სათვალე გაიკეთა, დიდხანს აღარ მოიხსნა და სათვალემ თავიც ჩაუჭყლიტაო. თუმცა ახლა სათვალე უკვე ზონრით აქვს კისერზე დამაგრებული. ახალი სათვალე ციცქნა ცხვირის მეწამულ კეხზე უყანყალებს და გაუთავებლად ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ჩამოუცურდება ხოლმე – სათვალის გასაწონასწორებლად ლაპარაკისას თავსაც გაუჩერებლად აქეთ-იქით აკანტურებს. აი, ასეთი გახლავთ მთავარი ექთნის საოცნებო ექიმი.

დღისით მორიგე სამი შავი ბიჭის შერჩევას კიდევ უფრო დიდი დრო და ათასების დაწუნება დასჭირდა. უსასრულოდ გაგრძელდა მოღუშული, ბრტყელცხვირა, მთავარი ექთნის და იმისი ცარცის თოჯინისებური სითეთრის პირველივე დანახვაზე მოძულე ნიღბების შავი მწკრივი. დაახლოებით ერთი თვე აფასებდა ხოლმე სავარაუდო კანდიდატების ღირსებებს და სიძულვილის უნარს, მერე კი უკანვე ისტუმრებდა, არასაკმარის სიძულვილში დარწმუნებული. ბოლოს ეს სამი იშოვა – სამივე ცალ-ცალკე გამოჩნდა, რიგრიგობით – და სამივე საკუთარ გეგმაში, საკუთარ ბადეში ჩააქსოვა. უკვე ეჭვი არ ეპარება: საქმეში გამოდგებიან, ამათ სიძულვილს საზღვარი არ უჩანს.

პირველი განყოფილებაში ჩემი მისვლიდან ხუთი წლის შემდეგ გამოგვეცხადა, ცივი ასფალტისფერი, დაგრეხილ-დაკუნთული ჯუჯა. თურმე დედამისი ჯორჯიაში გააუპატიურეს ვიღაცეებმა, იქვე, გავარვარებულ თუჯის ქურაზე გუთნის ღვედებით დაბმული ქმრის თვალწინ, რომელსაც სისხლი თქრიალით ჩასდიოდა ფეხსაცმელებში. ხუთი წლის ბიჭიც საკუჭნაოდან იჭყიტებოდა, თვალებად ქცეული, იქნებ ღრიჭოში რამე გამოჩნდესო, და იმ დღიდან გოჯიც არ მოუმატია სიმაღლეში. ახლა უსიცოცხლო, სიფრიფანა ქუთუთოები ისე გადმოფარებია თვალებზე, თითქოს ცხვირის კეხზე ღამურა აჯდეს. თხელი ნაცრისფერი ტყავის ნაკუწებს მიუგავს ქუთუთოები, ყოველი ახალი თეთრკანიანის გამოჩენაზე ოდნავ, ზარმაცად აწევს ხოლმე, სწრაფად გამოაჭყეტს თვალს, ახალმოსულს თავფეხიანად,

უცებ შეისწავლის და ერთადერთხელ დააქნევს თავს, აქაოდა, კი ბატონო, ერთხელ კიდევ, საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რაშიც არც ადრე მეპარებოდა ეჭვიო. პირველად რომ გამოცხადდა სამსახურში, საფანტით გატენილი წინდაც მოაყოლა ხელს პაციენტების ჭკუაზე მოსაყვანად, მაგრამ მთავარმა ექთანმა უთხრა, ასე უკვე აღარ ვიქცევითო და წინდის შინ დატოვება უბრძანა. მერე საკუთარი ტექნიკაც შეასწავლა; ასწავლა, სიძულვილი არასდროს გამოამჟღავნოო, მუდამ შეინარჩუნე სიმშვიდე, დაელოდე და აუცილებლად მოიპოვებ თუნდაც სულ მცირე უპირატესობას, აუცილებლად მოესწრები მსხვერპლის ოდნავ მოდუნებას და უკვე მერეღა გადააცვი ყულფი, მაგრად მოუჭირე და აღარასდროს, არასდიდებით აღარ მოადუნოო. მხოლოდ ასე მოიყვან ჭკუაზეო, დაარიგა.

ორი წლის მერე მეორე მოვიდა, კიდევ ერთ თვეში მესამეც. ეს ორნი ისეთი ერთნაირები არიან, მე მგონი, მთავარმა ექთანმა უფრო ადრე მოსულის ასლი შეუკვეთა. ორივე მაღალია, სხარტი, ძარღვიანი, ისრის კაჟის ბუნიკებს უგავთ სახეები და გამომეტყველებაც არასდროს არ ეცვლებათ. ბურღებივით თვალებით სულ საკბილოს დაეძებენ. თმაზე ხელი რომ აუსვა, ხელისგულზე ტყავი არ შეგრჩება.

სამივე ტელეფონივით შავია. თვალწინ ჩავლილი კანდიდატების გრძელმა რიგმა მთავარი ექთანი დაარწმუნა, რაც უფრო შავები იქნებიან, მით უფრო მეტად დაუდებენ გულს განყოფილების უსიტყვოდ დასუფთავებას, დახეხვას და დაკრიალებასო. თან სამივეს მუდამ თოვლივით ქათქათა და უმწიკვლო ფორმა აცვია. მთავარი ექთნის ხალათივით თეთრი, ცივი და გახამებული.

თოვლივით თეთრ, ქათქათა შარვლებში და თეთრ, ცალ მხარეს ერთ მწკრივად ჩარიგებულ რკინისღილებიან ქურთუკებში გამოწკეპილებს, თეთრ, ყინულივით პრიალა ფეხსაცმელებზე წითელი რეზინის ლანჩები აქვთ და ისე უხმაუროდ ჩაათავებენ ხოლმე დერეფანს, თითქოს თაგვმა გაირბინაო. საერთოდ უხმოდ მოძრაობენ, საკმარისია პაციენტმა სადმე განმარ-

ტოება მოინდომოს ანდა ამხანაგს საიდუმლო უჩურჩულოს, თვალის დახამხამებაში საიდანღაც იქვე გაჩნდებიან. გაიტრუნება რომელიმე ჩვენიანი თავისთვის მარტო, რომელიმე მივარდნილ კუთხეში, და მოულოდნელად ჯერ წრიპინს გაიგონებს, მერე კი ლოყას, მთელ სიგრძეზე, ყინულივით დაუსუსხავს რაღაც, მოტრიალდება და კედლის ფონზე აუცილებლად დაინახავს ცივი ქვის მკაცრ ნიღაბს. მარტო შავ სახეს. ტანი არ ჩანს. კედლებიც, ქურთუკების არ იყოს, თეთრია, მაცივრის კარივით თეთრად მბზინავი, ამ კედლების ფონზე შავი სახე და შავი ხელები მოჩვენებებივით მოცურავენ შენკენ.

წვრთნა წლები გაგრძელდა და შავი ბიჭებიც საბოლოოდ მოიმართნენ მთავარი ექთნის ტალღის სიხშირეზე. რიგრიგობით ძირითადი მავთულიდანაც ჩახსნეს და უკვე სხივების საშუალებით იმართებიან. მთავარი ექთანი განკარგულებებს ხმამაღლა არასდროს იძლევა და არც წერილობით ინსტრუქციებს ტოვებს ხოლმე, რა იცი, ვის ხელში მოხვდეს შემთხვევით – სტუმრად მოსული ვინმეს ცოლის ან ექსკურსანტი სკოლის მასწავლებლების! პრინციპში, აღარც სჭირდება. ის და შავი ბიჭები ერთმანეთს სიძულვილის მაღალი ძაბვის ტალღით უკავშირდებიან და შავი ბიჭებიც ლამის იქამდე ასრულებენ ქალის ნებისმიერ ბრძანებას, სანამ თვითონ ფიქრს დაამთავრებდეს.

მოკლედ, პერსონალს წუნი აღარ დაედება და განყოფილებაც, ღამის დარაჯის საათივით, სრულ წესრიგშია. ყველაფერი, რასაც პაციენტები ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ, რამდენიმე თვით ადრე წინასწარაა გათვლილი და დღის განმავლობაში მთავარი ექთნის მიერ გამოთქმულ პატარ-პატარა შენიშვნებს ეფუძნება. ყველაფერი დაბეჭდილია და ფოლადის კარების უკან ჩაკეტილ იმ მანქანაშია შეტანილი, რომლის ზუზუნიც ექთნების სამორიგეოს იქიდან ისმის. მერე დღის განაწესს მანქანა უკანვე აბრუნებს პატარა, ოთხკუთხა ნახვრეტებიან ფურცლებად. ყოველ დილით მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დგ-ს ფოლადის კარების ჭუჭრუტანაში ყოფენ და კედლებიც ზუზუნს იწყებენ: შვიდის

ნახევარზე საძინებელ ოთახში შუქი ინთება; შავი ბიჭები საწოლებიდან ყრიან მწვავეებს და ისინიც ფართხაფურთხით დგებიან. ჯერ იატაკს ახეხვინებენ, საფერფლეებს აცლევინებენ. იმ ადგილას, სადაც გუშინწინ ერთი ბებერი პაციენტი მოკლე ჩართვამ კედელს მიაკრა, მერე კი დამწვარი რეზინის ბოლში გახვეული საშინელი ძალით დაანარცხა ძირს, ნაკაწრის კვალს აშლევინებენ. ბორბლებიანები გახევებულ, მორებად ქცეულ ფეხებს საწოლებიდან მოათრევენ და მჯდომარე ქანდაკებებივით გაშტერებულები ელოდებიან, როდის მიუგორებს ვინმე სკამს. ბოსტნეულები ლოგინში იფსამენ, ზარის და ელექტროშოკის წრედს რთავენ, კაფელის იატაკზე ეხეთქებიან და შავი ბიჭებიც შლანგებით ასხამენ წყალს, მერე სუფთა, მწვანე პიჟამები რომ ჩააცვან...

შვიდს თხუთმეტი უკლია. ელექტროსაპარსები ბზუილს იწყებენ და მწვავეებიც ანბანის მიხედვით მწკრივდებიან – ა, ბ, გ, დ... მწვავეების მერე გასაპარსად ჩემსავით თავისი ფეხით მოარული ქრონიკულები შედიან, მერე ბორბლებიანებს შეაგორებენ. სამი, მობოშებულ ნიკაპებზე ყვითელობმოდებული ბებერიღა რჩება, ესენი თავ-თავიანთ მოხერხებულ სავარძლებშივე გაპარსეს, დღის პალატაში, შუბლზე ტყავის ღვედები გადაუჭირეს, საპარსით დაფეთებულებმა იატაკზე ზღართანი არ მოადინონო.

ზოგჯერ დილით – განსაკუთრებით ორშაბათობით – ვიმალები ხოლმე და ვცდილობ განაწესს არ დავემორჩილო. სხვა დროს კი უფრო დიდი ეშმაკობა მორჩილად საკუთარი ადგილის დაკავება მგონია, ა-სა და გ-ს შორის, მირჩევნია მეც სხვებივით ჩავდგე მწკრივში, ლამის იატაკიდან ფეხის მოუშორებლად ჩავათავო გრძელი დერეფანი – იატაკში დატანებული მაგნიტების წყალობით თოჯინებივით დაგვაჩოჩიალებენ ხოლმე აქეთ-იქით.

შვიდ საათზე სასადილო იღება და იქ შესვლის თანმიმდევრობაც იცვლება: ჯერ ბორბლებიანები, მერე თავისი ფეხით მოსიარულეები და ბოლოს უკვე მწვავეები იღებენ ლანგრებზე დაწყობილ ბატიბუტს, ლორს, კვერცხს, გახუხულ პურს – ამ დილით კი სალათის დაკენკილ ფურცლებზე დალაგებულ დაჭრილ

ატამსაც. ზოგი მწვავე ბორბლებიანებსაც ეხმარება ლანგრების აღებაში. ბორბლებიანების უმრავლესობა უბრალოდ ფეხებწართმეული ქრონიკულია, საკუთარი ხელით ჭამენ, მაგრამ ის სამი კისრის ქვევით მთლიანად მოწყვეტილია და, სიმართლე თუ გინდათ, არც კისრის ზევით აქვთ საქმე მთლად კარგად. ამათ ბოსტნეულებს ეძახიან. შავი ბიჭები მერეღა შემოაგორებენ ხოლმე სასადილოში, როცა ყველა დანარჩენი მაგიდებს მიუჯდება, კედელთან მიაგორებენ და ერთნაირი ლანგრებით მიუტანენ ტალახისმაგვარ სალაფავს თან დართული დიეტის ფურცლებით. როგორც დიეტის ფურცლები იუწყება, ამ სამი უკბილოსთვის გათვალისწინებულ საკვებს „მექანიკური რბილი“ ქვია: კვერცხი, ლორი, გახუხული პური, შაშხი – ოღონდ ყველაფერი წინასწარ, სამზარეულოშივე ოცდათორმეტჯერ წვრილ-წვრილად გადაღეჭილი მანქანის უჟანგავი ფოლადის კბილებით. ვხედავ ხოლმე, როგორ მოამრგვალებს მანქანის მტვერსასრუტისნაირი შლანგი წყვილ ტუჩს და ისეთი ხმით გადმოაფრქვევს თეფშზე გადაღეჭილი ლორის გუნდას, თითქოს ძროხამ ორღობეს ფუნა უსახსოვრაო.

გარეშე თვალისთვის შეუმჩნევლად შავი ბიჭები ჩქარ-ჩქარა უვსებენ ხოლმე ბოსტნეულებს ვარდისფერ, უაზროდ დაფჩენილ პირებს; იმდენს ატენიან, უბედურები ჩაყლაპვას ვერ ასწრებენ და „მექანიკური რბილიც“ უხვად მოჟონავს მწვანე პიჟამებზე წაწვეტებული, მოფხსნიკული ნიკაპების გავლით. შავი ბიჭები ბოსტნეულებს აგინებენ, მეტი მონდომებით უბურღავენ კოვზებით პირებს ისე, თითქოს დამპალი ვაშლის გულს ჭრიანო: „ეს ბებერი კუანა ბლასტიკი ნაწილ-ნაწილ იშლება. ვეღარ გავიგე, პიურეს აგლახავებს პირში თუ თავისი დამპალი ენის ნაფლეთებს.“

რვის ნახევარზე ისევ უკან, დღის პალატაში გვერეკებიან. მთავარი ექთანი თვალს გვადევნებს სპეციალური შუშის იქიდან, რომელიც ყოველთვის ისე პრიალებს, დანამდვილებით ვერც იტყვი, საერთოდ არის ფანჯარაში შუშა თუ არა. რასაც ხედავს, ყველაფერს უსიტყვო თავის კანტურით აფასებს, მერე ხელს იშვერს, კალენდარს ფურცელს ახევს – ერთი დღით უახლოვდება

მიზანს. მესმის, როგორ დაჰკრეს სადღაც ჩაქუჩი თუნუქის ფურცელს, ააჟრღიალეს. დროა ყველა მოწესრიგდეს. მწვავეებო: დასხედით დღის პალატის თქვენს მხარეს და დაელოდეთ, როდის შემოგიტანენ ბანქოს და „მონოპოლიას“. ქრონიკულებო: თქვენი ადგილები დაიკავეთ, საცაა „წითელი ჯვრის“ კოლოფიდან თავსატეხებს ამოგილაგებენ. ელის: მიდი შენს ადგილზე კედელთან, ასწიე ხელები, მოირგე ლურსმნები და გაითბე ლაჯები საკუთარი შარდით. პიტ: აქნიე თავი მოსამართ თოჯინასავით. სქანლონ: აფათურე დახეთქილი ხელები მაგიდაზე, ააწყვე გამოგონილი ყუმბარა გამოგონილი სამყაროს ასაფეთქებლად. ჰარდინგ: დაიწყე ლაქლაქი, მტრედებივით ხელები იქნიე ცოტა ხანს ჰაერში, მერე კი იღლიებში ამოიჩარე – ზრდასრულ კაცს არ შეშვენის ლამაზი ხელების ასე საჯაროდ ქნევა. სეფელტ: იწუწუნე, კბილი მტკივა და თმა მცვივაო. ყველამ: ჩაისუნთქეთ... ახლა ამოისუნთქეთ... სრული წესრიგი დაიცავით. ყველა გული დგ-ს ნაბრძანებ ტაქტში ძგერს. ისმის ხმაშეწყობილი დგუშების გუგუნი.

ღმერთმანი, კომიქსების სამყაროა. ბრტყელი, შავად მოხაზული ფიგურები რაღაც ტუტუცურ, უაზრო ამბავში გზის გაგნებას ცდილობენ, ალბათ, მართლა სასაცილო ამბავში, ფიგურები ცოცხალი ადამიანები რომ არ იყვნენ...

შვიდ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე შავი ბიჭები ქრონიკულების რიგს დაუყვებიან და კათეტერებს დაუმაგრებენ იმათ, ვინც ამ დროს წყნარად გაჩერდება. კათეტერები ბოლოებწაჭრილი, შარვლების ქვეშ რეზინის მილებზე ჩამოცმული ნახმარი განდონებია. ყველა მილი პლასტიკატის ტომსიკაში ბოლოვდება, რომლებსაც „ერთჯერადი გამოყენებისთვისო“ აწერია, მაგრამ სინამდვილეში იმათი გამორეცხვაც მე მევალება ყოველი დღის ბოლოს. შავი ბიჭები პაციენტებს პლასტირით უმაგრებენ განდონებს თმაზე; კათეტერებიანი ბებერი ქრონიკულებიც ჩვილი ბავშვებივით უთმოები გახდნენ პლასტირის ხშირი დაკვრა-აძრობისგან...

რვა საათზე კედლები მთელი ხმით იწყებენ გუგუნს და ბზუ-

ილს. ჭერში დატანებული რეპროდუქტორი მთავარი ექთნის ხმით გვამცნობს – წამლების მიღების დროაო. იმის შუშის ყუთისკენ გაგვირბის თვალი, მაგრამ თვითონ მიკროფონის სიახლოვეს არ ჩანს; ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დგას და ერთ-ერთ უმცროს ექთანს მოძღვრავს, როგორ უნდა დაალაგოს აბები კოხტად წამლების ლანგარზე. მწვავეები შუშის კართან მწკრივდებიან, ა, ბ, გ, დ... მერე ქრონიკულები, მერე ბორბლებიანები (ბოსტნეულები თავიანთ ულუფას მოგვიანებით მიიღებენ კოვზით, ვაშლის ფაფაში არეულს). რიგი წინ მიიწევს, ავადმყოფები რიგრიგობით იღებენ ქაღალდის ჭიქაში ჩაგდებულ წამლის კაფსულებს, კაფსულებს ყლაპავენ, მერე უმცროს ექთანს ჭიქებს წყლით ავსებინებენ და ყელს ისველებენ. იშვიათად თუ იკითხავს ვინმე სულელი, რას მაყლაპებთ, რის დალევას მაიძულებთო.

„ერთი წუთით, ტკბილო, ეს რაღა ორი წითელი კაფსულაა ჩემს ვიტამინებთან ერთად?“

ვიცნობ ამ კაცს, ზორბა, ჭირვეული მწვავეა, უკვე მოახერხა და შფოთისთავის სახელი დაიმსახურა.

„უბრალო წამალია, მისტერ თეიბერ, თქვენთვის სასარგებლო, აბა, გადაყლაპეთ!“

„კი, მაგრამ, მინდა ვიცოდე, რის წამალია. ღმერთო ჩემო, წამლის კაფსულები როა, მაგას ჩემი თვალითაც ვხედავ...“

„თქვენც ადექით და უხმოდ გადაყლაპეთ! აბა, მისტერ თეიბერ, ჩემი ხათრით!“ უმცროსი ექთანი ცალ თვალს თან მთავარი ექთნისკენ აპარებს, როგორ შეაფასა ჩემი პატარა ფლირტიო. მერე ისევ პაციენტს მიაჩერდება. თეიბერი ჯერაც ჭირვეულობს, არ უნდა, ბრმად გადაყლაპოს წამალი, რომლის დანიშნულებაც არ იცის, ექთნის ხათრითაც კი არ უნდა.

„მის, უმიზეზო აყალმაყალი ნამდვილად არ მიყვარს. ოღონდ ვერც ისეთ რამეს ჩავყლაპავ, რის დანიშნულებაც არ ვიცი. იქნება და, რაღაც იმ უცნაური აბებისნაირია, სხვა კაცად რომ გადაგაქცევს, რაც სინამდვილეში არა ხარ?“

„ნუ აღელდებით, მისტერ თეიბერ...“

„ავღელდები? ღმერთო დიდებულო, უბრალოდ მინდა ვიცოდე...“

ვიღა აცლის დამთავრებას, მთავარი ექთანი უხმაუროდ უახლოვდება, თეიბერს მკლავში კიდებს ხელს და ერთიანად ადამბლავებს, კისრამდე. „ყველაფერი რიგზეა, მის ფლინ,“ ეუბნება უმცროს ექთანს, „თუკი მისტერ თეიბერს ურჩევნია, ბავშვივით მოიქცეს, ჩვენც ბავშვად ჩავთვალოთ. რამდენჯერ ვცადეთ, სიკეთე და გულისხმიერება დაგვენახვებინა მისთვის. ეტყობა, ამაოდ გავისარჯეთ. მადლობის მაგიერ ყოველთვის მტრობით გვიპასუხეს. შეგიძლიათ მიბრძანდეთ, მისტერ თეიბერ, თუკი თქვენივე ხელით არ გნებავთ თქვენი წამლის მიღება.“

„ღმერთო ჩემო, მე უბრალოდ მინდოდა მცოდნოდა...“

„შეგიძლიათ წაბრძანდეთ!“

ისიც ბუზღუნ-ბუზღუნით მიდის, როცა ქალი ხელს უშვებს, და მერე, მთელი დღე, სანამ საპირფარეშოს ასუფთავებს, იმ კაფსულებზე ფიქრით იჭყლეტს ტვინს. ერთხელ ერთი ეგეთივე წითელი კაფსულა ენის ქვეშ დავმალე და გამოვიპარე, მოვიტყუე, ვითომ გადავყლაპე; მერე საკუჭნაოში გავტეხე. თვალის დახამხამებაში თეთრ მტვრად იქცა, მაგრამ მაინც მოვასწარი დანახვა – ზუსტად ისეთივე მინიატურული ელექტროელემენტი იყო, ჯარშიც რომ მინახავს, სარადარო ნაწილებში: ჰაერის შეხებისთანავე ერთიანად დასაშლელად გამიზნული მიკროსკოპული მავთულები, მმართველი ბადეები და ტრანზისტორები...

ცხრის ოც წუთზე ბანქო და თავსატეხები შემოაქვთ...

ცხრის ოცდახუთ წუთზე ერთ-ერთი მწვავე სხვათა შორის ამბობს, როცა ჩემი და ბანაობდა, ხშირად ვიჭყიტებოდი აბაზანაშიო; იმის მაგიდასთან მჯდომი სამი სხვა პაციენტი ერთმანეთს აწყდება – აბა, ვინ მოასწრებს ახალი ამბის დავთარში ჩაწერასო...

ცხრის ნახევარზე განყოფილების კარი იღება და არყის ოხშივარში გახვეული ორი ტექნიკოსი შემორბის ჩორთით; ამათ სულ ცეცხლი უკიდიათ, სულ დაოთხილები დაქრიან, ისე ძლიერ

იხრებიან წინ, თუ არ უნდათ შუბლებით იატაკს დაენარცხონ, იძულებული არიან, ფეხიც დროზე გადადგან ხოლმე. მუდმივად წინ წახრილები დარბიან და მუდმივად ისეთი სუნი ასდით, თითქოს თავიანთი ინსტრუმენტები არყით გაასტერილესო. ზურგს უკან იკეტავენ ლაბორატორიის კარს, მე იქვე ახლოს ვგვი და სალეს ქვაზე ფოლადის ავი ხმების მიუხედავად – ზზზტ, ზზზტ, ზზზტ – მაინც შემიძლია იმათი სიტყვების გარჩევა.

„აბა, რისთვის დაგვაფეთეს ამ დილაუთენია?“

„ცნობისმოყვარეობის ამომრთველი უნდა დავუყენოთ ვიღაც მეტიჩარას. დედიკომ – საჩქარო საქმეაო, არადა, არც ვიცი, დაგვრჩა ერთი მაინც?“

„ჩვენებს დავურეკოთ, იქნებ გამოგვინახონ; ანდა ჯერ მომარაგებაში ვიკითხავ...“

„ოქრო ხარ! იქ თუ ჩახვალ, ბარემ ერთი ბოთლი დალოცვილი ხორბლისაც გამოაყოლე ხელს. ისე ვატყობ, ცოტა აზრზე თუ არ მოვედი, უბრალო წინალობასაც ვერ გამოვცვლი. პრინციპში, მეც ვახურებ, გარაჟში მუშაობას მაინც ჯობია...“

ბუნებრივი საუბრის კვალობაზე ძალიან ნაძალადევად და სწრაფად ლაპარაკობენ – თითქოს მულტფილმს ახმოვანებდნენ. ჩემს საქმეს ვაგრძელებ და თანდათან ვშორდები, ვეცლები იქაურობას, სანამ ჩამავლებენ.

ორი მაღალი შავი ბიჭი თეიბერს საპირფარეშოში იჭერს და ლეიბებიან ოთახში მიათრევს. ერთ-ერთს მაგრად, მწარედ ხვდება წვივში. თეიბერი დასაკლავი გოჭივით ჭყივის. მიკვირს, რა უსუსურია გაკოჭილი, თითქოს შავი რკინის სალტეები შემოაკრესო.

ლეიბზე პირქვე ანარცხებენ. ერთი თავზე აზის, მეორე შარვალს ხდის, ტანზევე აფლეთს, სანამ თეიბერის ატმისფერი უკანალი სალათისფერი ნაკუწების ჩარჩოში არ გამოანათებს. თეიბერი სულშეხუთული იგინება ლეიბში, თავზე მჯდომი შავი ბიჭი კი უყვავებს – „სწორია, მისტა თეიბერ, სწორია...“ მთავარი ექთანი დერეფანს მოუყვება, ვაზელინს უსვამს გრძელ ნემსს, კარს იჯახუნებს და წამით ყველა თვალს ეფარება, მერე ისევ მალევე გამო-

დის ოთახიდან, ნემსს თეიბერის შარვლის ნაგლეჯით წმენდს. ვაზელინის ბოთლი ოთახში დატოვა. სანამ ერთი შავი ბიჭი ქალის ზურგს უკან კარს დაკეტავდეს, ვხედავ მეორე, ისევ თეიბერის თავზე წამოსკუპებული, როგორ ამშრალებს საცოდავს ქაღალდის ხელსახოცით. დიდხანს რჩებიან ოთახში, ვიდრე ისევ გააღებენ კარს, გამოვლენ და თეიბერს დერეფნის მოპირდაპირე მხარეს, ლაბორატორიაში გადაიყვანენ. მწვანე პიჟამა ახლა მთლად შემოუხევიათ და დამბალ ზეწარში გაუხვევიათ...

ცხრა საათზე ახალგაზრდა ექიმი-სტაჟიორები მოდიან, ყველა ერთნაირად ტყავისიდაყვებიან პიჯაკებში გამოწყობილები, და ორმოცდაათი წუთი ალაპარაკებენ მწვავეებს, რას აკეთებდით, როცა პატარა ბიჭები იყავითო. მთავარი ექთანი ეჭვის თვალით უყურებს ექიმების მოკლედ შეკრეჭილ თმას და განყოფილებაში იმათი ყოფნის ორმოცდაათი წუთიც მისთვის დროის უმძიმესი მონაკვეთია. სანამ აქ არიან, მექანიზმები ჭირვეულობენ, რაღაცას ურევენ და მთავარი ექთანიც შუბლს იჭმუხნის, წიგნაკში ინიშნავს – არ დამავიწყდეს ამ ყმაწვილების პირადი საქმეების შემოწმება, ნეტა ადრე მოძრაობის წესები ხომ არ დაურღვევიათ, ან რამე ამგვარი უწესობა ხომ არ ჩაუდენიათო...

ცხრა საათსა და ორმოცდაათ წუთზე სტაჟიორები მიდიან და მექანიზმებიც ძველებურად, დაუბრკოლებლად იწყებენ ღუღუნს. მთავარი ექთანი თავისი შუშის კოლოფიდან ადევნებს თვალს დღის პალატას; თვალწინ გადაშლილ სცენას ისევ უბრუნდება უწინდელი ფოლადისფრად ლურჯი შუქი და კომიკური მულტფილმის გამოზომილი, მოწესრიგებული მოძრაობები.

ბორბლებიანი საკაცით თეიბერი გამოაგორეს ლაბორატორიიდან.

„მეორედაც დაგვჭირდა ჩხვლეტა, როცა პუნქციის დროს გონზე მოვიდა," პატაკს აბარებს ტექნიკოსი მთავარ ექთანს. „რას იტყვით, რახან საფუძვლიანად მოვკიდეთ ხელი, ბარემ იქნებ პირველ კორპუსშიც გადაგვეყვანა და ეშთ-ც ჩაგვეტარებინა? თან ძილის წამალსაც დავზოგავდით."

„რას ვიტყვი და, მე მგონი, მშვენიერი აზრია. მერე ელექტროენცეფალოგრამაც იქვე გადავუღოთ – ვნახოთ, რას გვიჩვენებს. იქნებ უფრო სერიოზული მიხედვაც სჭირდება ტვინს.“

ტექნიკოსები ისევ ჩორთით აგრძელებენ გზას, საკაცეზე გაშოტილ თეიბერს მიარახრახებენ დახატული კაცუნებივით თუ ტიკინებივით, ფანჩის და ჯუდის ერთ-ერთ იმნაირ წარმოდგენაში მონაწილე მარიონეტებივით, როცა მაყურებლის გასაცინებლად ან ეშმაკი უნდა უბარტყუნებდეს ტიკინას თავში გამეტებით, ანდა გაღიმებული ალიგატორი სანსლავდეს...

ათ საათზე ფოსტა მოაქვთ. ზოგჯერ უკვე გახსნილ კონვერტებს გვირიგებენ ხოლმე.

თერთმეტის ნახევარზე საზოგადოებასთან ურთიერთობის დამამყარებელი ჯიგარი მობრძანდება ქალთა კლუბის თანხლებით. კოტიტა თითებით აკაკუნებს დღის პალატის კარებზე. „ოოო, სალამი ბიჭებს; გაიღიმეთ, გაიღიმეთ... ხედავთ, გოგონებო? ხედავთ, რა სისუფთავეა, რა სინათლე? ეს სულ მის რეჩედის დამსახურებაა. მეც იმიტომ ავირჩიე ეს განყოფილება, მის რეჩედი რომ განაგებს აქაურობას. ნამდვილ დედობას უწევს, გოგონებო. ცხადია, ასაკს არ ვგულისხმობ, ხვდებით, ალბათ, რის თქმაც მინდა...“

პერანგის საყელო ისე უჭერს, სიცილისას სახე უსივდება, არადა, თითქმის სულ იცინის, ოღონდ არ ვიცი, რა აცინებს, იცინის ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა, თან თითქოს ნატრობს კიდეც, ნეტა გაჩერება შემეძლოსო, მაგრამ ვერ ჩერდება. სახე წითლად გასიებია და გასაბერ ბუშტზე დახატულს მიუგავს. პირწმინდადაა გაპარსული და, სიმართლე გითხრათ, არც თავზე აქვს თმა; თითქოს ერთ დროს ცოტა კი დაიწება, მაგრამ თმა თავზე არ უჩერდება და სახელოებში, გულის ჯიბეში და პერანგის საყელოში უცვივაო. შეიძლება, ამიტომაც უჭერს ასე უღმერთოდ საყელო – რაც შეიძლება ნაკლები თმა რომ ჩაეყაროს კისერში.

შეიძლება, სიცილითაც ამიტომ იცინის ამდენს: საყელოში ჩარჩენილ თმის ღერებს ბოლომდე ვერ იფერთხავს და ეღიტინება.

ასეთი ვიზიტები ძალიან უყვარს, სერიოზული, საკლუბო პიჯაკებში გამოწყობილი ქალებიც უსიტყვო პატივისცემით უკანტურებენ ხოლმე თავებს, როცა უხსნის და უჩვენებს, როგორ გაუმჯობესდა ყველაფერი ბოლო წლების განმავლობაში. ხან ტელევიზორისკენ გაიშვერს თითს, ხან ტყავის დიდი სავარძლებისკენ, ხან ჰიგიენური შადრევნებისკენ... ბოლოს ყველანი ერთად ყავის დასალევად შედიან ექთნების სამორიგეოში. თუმცა ხანდახან თვითონ რჩება, დადგება თავისთვის მარტო დღის პალატის შუაგულში და ტაშს უკრავს (გესმის კიდეც, როგორი ნამიანი ხელისგულები აქვს), ორჯერ-სამჯერ ასწრებს ტაშის შემოკვრას, სანამ ხელისგულები მთლად მიეწებება ერთმანეთს, მერე მლოცველივით დაიკრეფს ხელებს ფენოვანი ღაბაბის ქვეშ და ოთახში ტრიალს იწყებს. ტრიალებს და ტრიალებს შუა ოთახში, გიჟივით აცეცებს თვალებს და შეშლილივით შესცქერის ტელევიზორს, ახალ ნახატებს კედელზე, ჰიგიენურ შადრევანს... თან იცინის.

ცოცხალი თავით არ ამხელს, რას ხედავს ასე სასაცილოს; მე კი, მე თუ მაცინებს რამე, ისევ იმისი უსასრულო ბზრიალ-ტრიალი: რეზინის სათამაშოსავითაა – წაკრავ თითს და, ძირდამძიმებული, უკან გადაქანდება, გადატრიალდება, ისევ გასწორდება... ჯერ არ მახსოვს, რომელიმე პაციენტისთვის სახეში შეეხედოს.

თერთმეტს ოცი უკლია, თხუთმეტი, ათი – პაციენტები გადიან და შემოდიან, ზოგს *ეთ* აქვს დანიშნული, ზოგს – *ოთ*, ზოგს – *ფთ*, ზოგიც იმ უცნაური, პატარა ოთახებისკენ მიცუხცუხებს, რომლებსაც არასდროს არა აქვთ ერთი ზომის კედლები და სწორი იატაკები. მანქანებსაც უკვე ქანი აუკრეფიათ და გაბმულად ზუზუნებენ ოთხივე მხრიდან.

განყოფილებაც ზუსტად ისევე ზუზუნებს, როგორც, მახსოვს, ბამბის სართავი ფაბრიკა ზუზუნებდა ერთხელ, ერთ დროს, როცა ჩვენი ფეხბურთის გუნდი კალიფორნიაში ჩავიდა სკოლების პირველობაზე სათამაშოდ. იმ წელს საკმაოდ წარმატებული სეზონი ჩავატარეთ და ჩვენმა გაამაყებულმა, მადაზე მოსულმა

გულშემატკივრებმაც კალიფორნიაში გასაფრენად თვითმფრინავი გვიქირავეს – თქვენ იცით, ბიჭებო, იქაურებსაც აჩვენეთ კლასიო. უცხო ქალაქში ჩასულებს აუცილებლად რომელიმე საწარმო უნდა მოგვენახულებინა ხოლმე. ჩვენი მწვრთნელი დღედაღამ გვიჩიჩინებდა, სპორტს საგანმანათლებლო მისია აკისრია და მოგზაურობისას შეძენილი ცოდნა ამის თვალნათელი დადასტურებაა; ამიტომაც ყველა ახალ ქალაქში თამაშის წინ მთელ გუნდს ხან ერბო-კარაქის ფაბრიკაში, ხან ჭარხლის ფერმაში და ხან საკონსერვო ქარხანაში მიგვერეკებოდა. კალიფორნიაში ბამბის სართავ ფაბრიკაზე მიდგა ჯერი. ხეირიანად შესულებიც არ ვიყავით, უმეტესობამ ერთი მიიხედ-მოიხედა და ეგრევე ისევ ავტობუსში დაბრუნდა, ბიჭებმა ჩემოდნები მუხლებზე დაიწყვეს და პოკერი გააგრძელეს; მე კი რატომღაც დავრჩი, კუთხეში მივდექი ჩემთვის, გზიდან მოვეცალე ზანგ გოგოებს, რომლებიც ჩარხებს შორის აღმა-დაღმა დაქროდნენ ვიწრო გასასვლელში. ფაბრიკამ რული მომრია, მთელმა იმ ზუზუნმა, ჩხარაჩხურმა, მუშების ყაყანმა, მანქანების რახრახმა, ირგვლივ გამეფებულმა მოწესრიგებულმა რია-რიამ. ამიტომაც დავრჩი, ამიტომაც და კიდევ იმ მიზეზითაც, ფაბრიკამ რაღაცნაირად ჩემი ტომის ხალხი რომ გამახსენა, ისინი, ვინც ბოლო დროს სოფლიდან კაშხალზე გაიკრიფა ქვის სამტეხლოში სამუშაოდ. აღგზნებული წესრიგი, ყოველდღიური ერთფეროვნებით დაჰიპნოზებული სახეები... მინდოდა გამოვტრიალებულიყავი და მეც სხვებივით ავტობუსში ჩავმჯდარიყავი, მაგრამ არ შემეძლო.

ადრიანი ზამთრის დილა იდგა, ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ჯილდოდ მიღებული ქურთუკი მეცვა – წითელ-მწვანე, ტყავის სახელოებიანი, ზურგზე ბურთის ფორმის ემბლემიანი, ზედ ჩვენი ჩემპიონობის ამბავიც ეწერა – და ჩემი ქურთუკი ბევრ ზანგ გოგოს სტაცებდა თვალს. მეც ავდექი და გავიხადე, მაგრამ გოგოები მაინც მიყურებდნენ. მაშინ ტანად ბევრად უფრო დიდი ვიყავი.

ერთმა გოგომ თავისი დაზგა მიატოვა, გასასვლელში გაიხედ-გამოიხედა, შორიახლოს ოსტატი ხო არ არის სადმეო, და

ჩემკენ წამოვიდა. მკითხა – ამ საღამოს აქაურ გუნდს უნდა ეთამაშოთო? ჩემი ძმა ცენტრალური დამცველიაო. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ ფეხბურთზე და ათას სხვა სისულელეზე, ბუნდოვნად ვხედავდი იმის სახეს, თითქოს ჩვენ შორის ნისლი იწვა. ჰაერში ბამბის ღინღლი დაფრინავდა და იმიტომ.

მეც ამ ღინღლზე გადავუკარი სიტყვა. შენ სახეს ისე ბუნდოვნად ვხედავ, თითქოს ნისლიან დილას იხვებზე სანადიროდ ვართ გამოსული-მეთქი, ვუთხარი და იმანაც თვალები გადაატრიალა, მუჭში ჩაიფხუკუნა. დედას გაფიცებ, მითხარი, მე და შენ, ორმა, ნადირობაზე რა უნდა ვაკეთოთო – მკითხა. მეც ვუპასუხე, თოფს მოგაბარებდი, იმას მოუვლიდი-მეთქი და ამაზე უკვე მთელი ფაბრიკის გოგოები გადაბჟირდნენ. ცოტა მეც ვიცინე, ეს რა ჭკვიანური პასუხი მომაფიქრდა-მეთქი. ჯერ ისევ ვსაუბრობდით და ვიცინოდით, როცა გოგომ მაჯებში ჩამავლო ხელები და მაგრად მომიჭირა. სახის ნაკვთები მკაფიოდ გამოეკვეთა, თითქოს ფოკუსში მოიყარეს თავი; დავინახე, როგორ ძალიან ეშინოდა რაღაცის.

„წამიყვანე," მითხრა ჩურჩულით, „ხო, წამიყვანე, დიდო ბიჭო, ამ ფაბრიკიდან, ამ ქალაქიდან, ამ ცხოვრებიდან. წამიყვანე იხვებზე სანადიროდ სადმე გადაკარგულში. სადმე, სხვაგან. ჰა, დიდო ბიჭო, ჰა?"

ჩემ წინ იმისი მუქი, ლამაზი სახე ბრწყინავდა. პირდაღებული ვიდექი, რა მეთქვა, არ ვიცოდი. ასე, გადაბმულები ვიდექით ერთორ წამს; მერე ფაბრიკის ხმაშეწყობილ ზუზუნში რაღაც დაირღვა და იმ რაღაცამ აიძულა, ხელი გაეშვა და გამცლოდა. ჩემთვის უჩინარი სიმი იყო გამობმული ამ წითელ, ყვავილებიან ქვედაკაბაზე და ის ექაჩებოდა უკან. თანდათან მშორდებოდა და თან ფრჩხილებით მაჯებს მიფხოჭნიდა, ხელი გამიშვა თუ არა, სახეც ისევ გაუბუნდოვანდა, გამდნარი შოკოლადივით დაურბილდა და გაულღვა ბამბის მფრინავ ნისლს მიღმა. ერთიც შემომცინა, შეტრიალდა და ქვედაკაბა რომ აუფრიალდა, ნიგვზისფერი კანჭიც დამანახვა. მხარს ზემოდან გამომხედა ბოლოჯერ, თვალი ჩამიკ-

რა და სირბილით მიაშურა თავის დაზგას, საიდანაც უკვე იატაკზე იგრაგნებოდა ძაფი; ძაფი მობოჭა და სირბილითვე უხმოდ გაუყვა დაზგებს შორის გასასვლელს ძაფის ძაბრში ჩასაშვებად. მერე კუთხეს მიეფარა და გაუჩინარდა.

თითისტარები ბზრიალებდნენ, მაქოები დახტოდნენ, კოჭები თავიანთი სიმებით ამათრახებდნენ ჰაერს, ზანზარებდნენ შეთეთრებული კედლები, ფოლადისფერ-ნაცრისფერი დაზგები, და ყვავილებიან ქვედაკაბებიანი გოგოებიც წინ და უკან დახტოდნენ. იქაურობა მთელი ფაბრიკის გამაერთიანებელი, მთელი ფაბრიკის დამაკავშირებელი თეთრი, მოძრავი ძაფების აბლაბუდაში იყო გახვეული – და ეს ყველაფერი სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში, ჩვენი განყოფილების შემხედვარეს, ახლაც ხშირად მახსენდება ხოლმე.

დიახ. ეს ნამდვილად ვიცი. განყოფილება კომბინატის ფაბრიკაა. აქ – საავადმყოფოს ვგულისხმობ – მეზობელ სახლებში, სკოლებში, ეკლესიებში დაშვებულ შეცდომებს ასწორებენ. როცა მზა ნაწარმი ისევ უკან, საზოგადოებას უბრუნდება, შეკეთებული და განახლებული, ზოგჯერ კი ახალზე უკეთესიც, მთავარი ექთნის გული სიხარულს ვეღარ იტევს; ის, რაც მის ხელში ერთიანად მოშლილ-მონგრეული მოხვდა, უკვე სულ სხვაა, უკვე მუშაობს, უკვე მთელის აუცილებელი, კარგად მორგებული ნაწილია – დაწესებულების სიამაყის საგანი და აშკარა სასწაულის გამოვლინება. შეხედეთ, სახეზე ღიმილმიდუღებული ყოფილი პაციენტი როგორ მისრიალებს მიწაზე ფეხდაუკარებლად, ბუნებრივად როგორ ერწყმის რომელიღაც კოპწია, პატარა უბნის ყოველდღიურ ცხოვრებას, სადაც სწორედ ახლა, ეს-ესაა დაიწყეს მიწის თხრა მთელი ქუჩის გაყოლებაზე წყლის ახალი მილების ჩასაყრელად. ის ამ ამბითაც უაღრესად ბედნიერია. ის ხომ, ბოლოს და ბოლოს, გარემოს აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა...

„გეფიცებით, ასეთი არაფერი მინახავს. არა, მაინც როგორ შეიცვალა მექსველ თეიბერი საავადმყოფოდან დაბრუნების მე-

რე! თვალები კი აქვს ჩაშავებულ-ჩალურჯებული, ცოტა შეფერთხილა კიდეც, მაგრამ თუ დამიჯერებთ, მაინც სულ სხვა კაცია. რაც გინდათ თქვით, დღევანდელი ამერიკული მეცნიერება...“

მისი ნახევარსარდაფის ფანჯარაში შუქი ნაშუაღამევსაც ანთია გვიანობამდე, ტექნიკოსების ჩადგმული შენელებული მოქმედების ელემენტები საჭირო სისწრაფეს და მოქნილობას ანიჭებენ მის თითებს, როცა ცოლის, ოთხი და ექვსი წლის ორი ქალიშვილის და იმ მეზობლის გაბრუებულ-დაბანგული სხეულებისკენ იხრება, ვისთანაც ოთხშაბათობით ბოულინგს თამაშობს ხოლმე; იმათაც ისევე აქცევს მთელის აუცილებელ, კარგად მორგებულ ნაწილებად, როგორც ადრე თვითონ აქციეს. ასე და ამ გზით ვრცელდება ბაცილა.

იმ დროისთვის, როცა წინდაწინ დადგენილი ვადის გასვლის მერე საბოლოოდ გამოდის წყობიდან, ქალაქი უკვე მთელი გულით მის შეყვარებასაც ასწრებს, გაზეთებში ფოტოებიც იბეჭდება – როგორ ეხმარებოდა შარშან ბოისკაუტებს სასაფლაოს დასუფთავებაში; სკოლის დირექტორი წერილს უგზავნის მის ქვრივს – მექსველ თეიბერი ჩვენი საზოგადოების ნათელი მომავლის, ჩვენი საამაყო ახალგაზრდობის ჭეშმარიტი შთამაგონებელი და სწორ გზაზე დამყენებელი სასიქადულო პიროვნება ბრძანდებოდაო.

ბალზამის გამკეთებლებსაც, ამ წუწურაქ და, როგორც წესი, სულ გამორჩენაზე დაფეთებულ წყვილსაც კი უჩუყდება გული: „არა, ძმაო, რაც გინდა თქვი და ბებერი თეიბერი ნაღდად ჯიგარი იყო. მოდი, ძვირიანი, ოცდაათიანი ვიხმაროთ და ცოლსაც ნუ ვუანგარიშებთ განსხვავებას. ბოლო-ბოლო, ფულის დედაც ვატირე, ჩვენ ხარჯზე იყოს.“

მკურნალობის ამგვარი წარმატებით დაგვირგვინება და ასეთი ავადმყოფის გაწერა ის შედეგია, რაც მთავარი ექთნის გულსაც სიხარულით ავსებს, მის უნარზეც მეტყველებს და საერთოდ, წარმოების რენტაბელობასაც თვალნათლივ წარმოაჩენს. ასეთ დროს ყველა ბედნიერია ხოლმე.

თუმცა ახლად მოსულები სხვა საქმეა. როგორც არ უნდა იქცეოდნენ, რანაირი თითით საჩვენებლებიც არ უნდა იყვნენ, გარკვეული დამუშავება მაინც სჭირდებათ ყოველდღიურ რუტინასთან მოსარგებად; თანაც წინასწარ ვერასდროს იტყვი, როდის მოგევლინება სწორედ ის ერთადერთი ზედმეტად თამამი და თავისუფალი, რომელიც წლობით დალაგებულ მეურნეობას აგირ-დაგირევს, მართლა ჯოჯოხეთურ ცეცხლს დაგინთებს და აქ გამეფებულ იდეალურ წესრიგს დაემუქრება. მგონი, უკვე ვთქვი კიდეც – მთავარი ექთანი დასაბმელი გიჟი ხდება, თუკი კალაპოტში მიშვებული ცხოვრების მდორე დინებას ოდნავი დაბრკოლება მაინც გადაეღობა წინ.

ჯუადღემდე ერთხელაც აამუშავეს ნისლის მანქანა, თუმცა სრული დატვირთვით არა; ნისლი არც ისე სქელია, ძალიან თუ დავიძაბები, რაღაცის დანახვა შემიძლია. ერთხელაც იქნება, მომბეზრდება ამდენი დაძაბვა, ხელს ჩავიქნევ და ზოგი სხვა ქრონიკულივით მეც ჩავიკარგები ნისლში, მაგრამ ჯერჯერობით ახალი მაინტერესებს – მინდა ერთი ვნახო, როგორ მოეწონება მოახლოებული ჯგუფური შეკრება.

პირველს ათი უკლია, ნისლი ერთბაშად იფანტება და შავი ბიჭები მწვავეებს ეუბნებიან, შეკრების დაწყებამდე იატაკი მოაპრიალეთო. დღის პალატიდან მაგიდებიც გააქვთ სააბაზანოში, დერეფნის მოპირდაპირე მხარეს. რა ამბავია, ცეკვებს ვმართავთო? – კითხულობს მაკმერფი.

მთავარი ექთანი თავისი ფანჯრიდან ადევნებს თვალს მთელ ამ ფაცაფუცს. სამი საათია, არ განძრეულა, ფეხი არ მოუცვლია, სადილის დროსაც არ მიუტოვებია სათვალთვალო პუნქტი. პალატაში არც ერთი მაგიდა აღარ დგას, პირველ საათზე ექიმიც გამოდის კაბინეტიდან, მთელ დერეფანს გამოივლის, ფანჯარასთან ჩავლილი ერთხელ უქნევს თავს მთავარ ექთანს და პალატაში კარებიდან ხელმარცხნივ, თავის სკამზე ჯდება. მერე პაციენტებიც სხდებიან; ბოლოს უმცროსი ექთნები და ახალგაზრდა ექიმები შემორბიან. როცა ყველა თავ-თავის ადგილს იკავებს, მთავარი ექთანიც ფეხზე დგება, ფანჯარას შორდება, ექთნების

სამორიგეოს უკანა კედლისკენ მიდის – ღილაკებიანი და ციფერ-ბლატებიანი ფოლადის პულტისკენ, ავტოპილოტს რთავს, რომელიც მის არყოფნაში ყველა საქმეს უნდა გაუძღვეს, და დღის პალატაში გამოდის; თან დავთარი და ქაღალდებით სავსე კალათიც მოაქვს. თითქმის უკვე ნახევარი დღე გაატარა საავადმყოფოში, არადა, მისი ხალათი ჯერაც ისეთი გახამებულია, ერთ ნაოჭს არ იკეთებს – ისეთი ხმით უტკაცუნებს სახსრებზე, თითქოს გაყინულ ტილოს ნაჭერს ახვევენო.

ისიც კართან ჯდება, ხელმარჯვნივ.

დაჯდომას ვერ ასწრებს, ბებერი პიტ ბანჩინი რომ წამოხტება ფეხზე, თავს აქეთ-იქით აქნევს და – დავიღალე, ოოოო, ღმერთო, რა საშინლად დავიღალეო – ხიხინებს. სულ ასე იცის ხოლმე, როცა განყოფილებაში ვინმე ახალი მოდის და, ვინ იცის, შეიძლება მოუსმინოს კიდეც.

მთავარი ექთანი პიტისკენ არც იყურება. კალათში აფათურებს ხელს, რაღაცას ეძებს. „მიდით, მისტერ ბანჩინის მიუჯექით ვინმე გვერდით," ამბობს ქალი, „იქნებ დაწყნარდეს და გვაცალოს ლაპარაკი."

ბანჩინის გვერდით ბილი ბიბიტი ჯდება. პიტი მაკმერფის მიშტერებია და თავს არ აჩერებს, მეისრის სასიგნალო ფარანივით აქნევს აქეთ-იქით. ოცდაათი წელი იმუშავა რკინიგზაზე; მართალია, უკვე მთლად გაცვდა და გამოიწურა, მაგრამ რაღაც-რაღაც პროფესიულ მოვალეობებს ჯერაც ასრულებს მახსოვრობის კარნახით.

„და-ვიი-ღაა-ლეე", ხავის ისევ და ზედ მაკმერფის სახის წინ აქნევს თავს.

„დამშვიდდი, პიტ," უყვავებს ბილი და მუხლზე ადებს დაჭორფლილ ხელს.

„... საშინლად დავიღალე..."

„ვვვიცი, პიტ," ბილი ხელს გაძვალტყავებულ მუხლზე უთათუნებს, პიტიც მოწყვეტით აგდებს თავს უკან, ხვდება, დღეს ჩემს ჩივილს არავინ მიაქცევს ყურადღებასო.

მთავარი ექთანი მაჯის საათს იხსნის, კედლის საათს ასცქე-

რის, თავისას ქოქავს და კალათში დებს ციფერბლატით ზევით. მერე კალათიდან საქაღალდეს იღებს.

„აბა, შევუდგეთ საქმეს!“

ოთახს ათვალიერებს, უნდა დარწმუნდეს, აღარავინ აპირებს სიტყვა გამაწყვეტინოსო, სახიდან მშვიდი ღიმილი არ შორდება, სანამ მძიმე-მძიმედ ატრიალებს საყელოში კისერს. თვალის გასწორებას ვერავინ უბედავს; ყველა თავ-თავის აქერცლილ ნუნებს დასცქერის. მაკმერფის გარდა. იმან კუთხეში მოიკალათა, სავარძელში, ისე მოეწყო, თითქოს საშვილიშვილოდ დაეპატრონაო და თან ქალის ყველა მოძრაობას აკონტროლებს. ჯერაც არ მოუხდია ქუდი, მოტომრბოლელივით მაგრად ჩამოუფხატია წითურ თავზე. მუხლზე ბანქოს დასტა უდევს, ცალი ხელით ჭრის, ორად ყოფს და მერე, სრულ სიჩუმეში, ხმამაღალი ტკაცანით ისევ აერთიანებს. მთავარ ექთანს წამით მაკმერფიზე ეყინება მაძებარი მზერა. ხედავდა, მთელი დილა პოკერს რომ თამაშობდა და, მართალია, ფულისთვის თვალი არ მოუკრავს, მაინც ეჭვობს, მარტო ასანთის ღერებზე თამაშის ჩვენთან დადგენილი წესი ამ ახლად მოფრენილ ჩიტს ალბათ არ დააკმაყოფილებსო. ბანქოს დასტა ისევ შარიშურით იყოფა, ისევ ტკაცანით ერთიანდება და საბოლოოდ უჩინარდება მაკმერფის ტორში მომწყვდეული.

მთავარი ექთანი ერთხელ კიდევ დასცქერის თავის საათს, მერე მომარჯვებული საქაღალდიდან სანიშნედ ჩადებულ წვრილ ფურცელს აძვრენს, რაღაცას ამოწმებს ზედ და საქაღალდეში აბრუნებს. საქაღალდეს დებს და ახლა დავთარს იღებს. კედელზე მილურსმულ ელისს ხველა უტყდება; ქალი მის დაშოშმინებას ელოდება.

„დიახ. პარასკევს, ვიდრე დავიშლებოდით... მისტერ ჰარდინგის პრობლემებზე ვსაუბრობდით... ახალგაზრდა ცოლთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მისტერ ჰარდინგმა განაცხადა, ჩემს მეუღლეს უაღრესად კარგად განვითარებული მკერდი აქვს და როცა ქუჩაში მამაკაცები თვალს აყოლებდნენ, გარკვეულ უხერხულობას განვიცდიდიო.“ დავთარს მონიშნულ გვერდზე შლის.

„რამდენიმე პაციენტის მიერ დავთარში შეტანილი ინფორმაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისტერ ჰარდინგს უთქვამს – ჩემი ცოლიც კარგი ჩიტია, ის ნაბიჭვრები ტყუილად კი არ აშტერდებიანო. ისიც განუცხადებია, შეიძლება, მე თვითონაც მივეცი გარეგარე თვალის ცეცების საბაბიო. რამდენიმე პაციენტმა გაიგონა, როგორ უთქვამს: „ჩემი ძვირფასი, ჩემი ტკბილი, ოღონდ მთლად უწიგნური ცოლის ჭკუით, ნებისმიერი სიტყვა და ჟესტი უხერხემლო დენდიზმის გამოხატულებაა, თუკი კუნთმაგარი მუტრუკობით და ყიამყრალი უწმაწურობით არ არის გაჯერებულიო“.

ცოტა ხანს უხმოდ კითხულობს დავთარში რაღაცას, მერე დავთარს ხურავს.

„ისიც უთქვამს, ცოლის ვეება მკერდი ზოგჯერ არასრულფასოვნების განცდას მიჩენსო. დიახ. აბა, ვის სურს, უფრო საფუძვლიანად შეეხოს ამ საკითხს?“

ჰარდინგი თვალებს ხუჭავს, ხმას არავინ იღებს. მაკმერფი ბიჭებს ათვალიერებს, ელოდება, ვინმე თუ აპირებს მთავარ ექთანს უპასუხოსო, და ბოლოს მოწაფესავით სწევს ხელს მაღლა, თან მოუთმენლად თითებსაც ატკაცუნებს. მთავარი ექთანი თავს უქნევს.

„გთხოვთ, მისტერ... ეეე... მაკმარი.“

„რას შეეხოსო?“

„რა ბრძანეთ? შეეხოს?..“

„თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ გვკითხეთ – ვის სურს, შეეხოსო...“

„საკითხს, საკითხს შეეხოს-მეთქი, მისტერ მაკმარი; მისტერ ჰარდინგის პრობლემებს ცოლთან დაკავშირებით.“

„ააა, მე მეგონა, სხვა რამეების შეხებას გულისხმობდით.“

„თუ რამის თქმა გნებავთ...“

თუმცა მაშინვე ენას კბილს აჭერს, თითქოს ოდნავ აღელდა კიდეც. ზოგი მწვავე ღიმილის დამალვას ცდილობს, მაკმერფი გემრიელად იზმორება, ამთქნარებს და ჰარდინგს თვალს უკრავს. ისევ სიმშვიდის განსახიერებად ქცეული მთავარი ექთანი დავთარსაც

კალათში დებს, იქიდან უკვე სხვა საქაღალდეს იღებს, შლის და კითხვას იწყებს.

„მაკმარი, რენდლ პატრიკი. შტატის ხელისუფლების მიერ პენდლტონის გამოსასწორებელი კოლონიიდანაა გადმოყვანილი დიაგნოზის დასასმელად და შესაძლო მკურნალობის ჩასატარებლად. ოცდათხუთმეტი წლის. უცოლო. კორეაში გამოჩენილი მამაცობისათვის – კომუნისტური ბანაკიდან ტყვეების გაქცევას ედგა სათავეში – ჯვრითაა დაჯილდოებული. მერე, დაუმორჩილებლობისთვის, სამარცხვინოდ იქნა ჯარიდან გამოძევებული. ამის შემდეგ იწყება ქუჩაში თუ ბარებში ატეხილი ჩხუბების უსასრულო რიგი, პატიმრობები ლოთობისთვის, ხულიგნობისთვის, მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევისთვის, აზარტული თამაშებისთვის და ერთხელ – გაუპატიურებისთვის.“

„გაუპატიურებისთვის?“ – უცებ ფხიზლდება ექიმი.

„გოგონას შეცდენისთვის, რომელიც...“

„ჰე-ჰე-ჰე, ეგ ვერ შემომტენეს,“ ექიმს მიმართავს მაკმერფი. „გოგომ არ დაუმონწმა.“

„თხუთმეტი წლის ბავშვის...“

„დაიფიცა, ჩვიდმეტის ვარო, ექიმო, თანაც ძაან გულით უნდოდა.“

„სასამართლო ექსპერტიზამ დაადასტურა ურთიერთობის ფაქტი, თანაც არაერთჯერადი ურთიერთობის, ოქმი გვაუწყებს...“

„მართლა ისე უნდოდა, კინაღამ ხვანჯარი ამოვიკერე.“

„ექსპერტიზის მონაცემების მიუხედავად, ბავშვმა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, ეტყობა, დაშინებულიც იყო. სასამართლოს შემდეგ ბრალდებულმა მალევე დატოვა ქალაქი.“

„ბიჭი იყავი და არ დატოვებდი, ექიმო, თქვენ არ დაგიმალავთ,“ მუხლებზე იდაყვებდაბჯენილი მაკმერფი წინ იხრება, ხმას იდაბლებს და ოთახის მეორე ბოლოში მჯდომ ექიმს მიმართავს პირადად – „ის პატარა კიბო ნაღდად სიქას გამაცლიდა, სანამ თექვსმეტის გახდებოდა. იქამდე მივიდა, ფეხს მიდებდა და ძალით მანარცხებდა იატაკზე.“

მთავარი ექთანი საქაღალდეს ხურავს და ექიმს უწვდის. „აი, ეს გახლავთ ჩვენი ახალი პაციენტი, მისტერ სპაივი," საქაღალდეში თითქოს ცოცხალი კაცი უზის და ექიმს უგზავნის, უფრო გულდასმით დაათვალიერე ახლოდანო. „დღეს ცოტა მოგვიანებით ვაპირებდი, მისი ისტორია თქვენთვის გამეცნო, მაგრამ რაკი ასე დაჟინებით მოითხოვს დამსწრეთა ყურადღებას, არ შეგვიძლია, ანგარიში არ გავუწიოთ."

ექიმი პიჯაკის ჯიბიდან სათვალის ზონარს ექაჩება, სათვალეს ცხვირზე ირგებს. სათვალე მარჯვნივ ცურდება, მაგრამ ექიმი თავს მარცხნივ ხრის და აწონასწორებს. საქაღალდის ფურცვლისას ოდნავ შესამჩნევად იღიმება, ისიც ყველა დანარჩენივით გამხიარულებული ამ ახალი პაციენტის თავხედური ლაპარაკით, მაგრამ, სწორედ დანარჩენებივით, ისიც ფრთხილობს, ცდილობს თავი შეიკავოს და ხმამაღლა არ გაიცინოს. ბოლოში გასული საქაღალდეს ხურავს და სათვალესაც ისევ ჯიბეში აბრუნებს. ოთახის მეორე ბოლოსკენ, ჯერაც მისკენ წინგადმოხრილი მაკმერფისკენ გაურბის თვალი.

„თქვენ... რამდენადაც ვხედავ... ფსიქიატრიასთან ჯერ შეხება არ გქონიათ, არა, მისტერ მაკმარი?"

„მაკმერფი, ექიმო."

„მართლა? მაგრამ, თუ არ ვცდები... მთავარმა ექთანმა თქვა..."

ხელახლა ფურცლავს საქაღალდეს, ხელახლა ებრძვის სათვალეს, ერთხელ კიდევ ამოწმებს ისტორიას, სანამ საქაღალდეს საბოლოოდ დახურავდეს და სათვალეს ჯიბეში ჩაიდებდეს. „დიახ. მაკმერფი. სწორია. ბოდიშს ვიხდი."

„არა უშავს, ექიმო. ქალბატონს შეეშალა და თქვენც შეცდომაში შეგიყვანათ. ადრეც შემხვედრია მსგავსი ტიპის ხალხი. ბიძა მყავდა ერთი, გვარად ხალაგანი, ვიღაც ქალთან დადიოდა, ის კიდე, ვითომ ბიძაჩემის გვარს ვერ იმახსოვრებდა, გასაბრაზებლად ხულიგანს ეძახდა. რამდენიმე თვე გაგრძელდა ასე, სანამ დაამახსოვრებდა. არადა, კარგად კი დაამახსოვრა."

„მართლა? როგორ დაამახსოვრა?" – ეკითხება ექიმი.

მაკმერფი იღიმება და ცერით ცხვირს ისრესს. „აჰ, აჰ, მაგას აქ ვერ ვიტყვი. ძია ხალაგანის მეთოდს საიდუმლოდ ვინახავ, კაცნი ვართ, რა ვიცი, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მეც გამომადგეს.“

ახლა პირდაპირ მთავარ ექთანს მიმართავს, ღიმილით, ისიც ღიმილითვე პასუხობს, მაკმერფის კი ისევ ექიმზე გადააქვს მზერა. „ჰოოო, რას მეკითხებოდით, ექიმო?“

„რას და, მაინტერესებს, ადრე თუ გქონიათ საქმე ფსიქიატრებთან. თუ გისაუბრიათ ვინმე სპეციალისტთან, გარკვეული დრო მაინც თუ გაგიტარებიათ სხვა დაწესებულებაში?“

„როგორ არა, თუ შტატის და ოლქის ვირის აბანოებს ჩავთვლით...“

„ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.“

„ااا. ეგ თუ გაინტერესებთ, არა. აქ ჩემი პირველი ექსკურსიაა. მაგრამ გიჟი ნამდვილად ვარ, ექიმო, დედას გეფიცებით. აი, ნახეთ... მოდით, გაჩვენებთ. მე მგონი, კოლონიის ექიმმა...“

ფეხზე დგება, ბანქოს დასტას ქურთუკის ჯიბეში იტენის, მთელ ოთახს გადაჭრის და ექიმის მხარზემოდან ცერი თითით იწყებს საქაღალდის ფურცვლას. „დარწმუნებული ვარ, რაღაც ჩაწერა, ბოლოში, აი, სადღაც აქ...“

„მართლა? ესე იგი გამომრჩა. ერთი წუთით.“ ექიმი ისევ იკეთებს სათვალეს და მაკმერფის მითითებულ ადგილს დასცქერის.

„სწორედ აქ, ექიმო. ჩემ ისტორიას რომ გაცნობდათ, მთავარმა ექთანმა ეს ადგილი გამოტოვა. აი, როგორაა ნათქვამი, ნახეთ – „მისტერ მაკმერფის ახასიათებს აგრესიის აშკარად განმეორებადი...“ – ექიმო, მინდა, უბრალოდ დავრწმუნდე, რომ ბოლომდე გამიგეთ, – „...აშკარად განმეორებადი სიმპტომები, რაც სავარაუდოს ხდის ფსიქოპათიის შესაძლო დიაგნოზს“. იმ ექიმმა ისიც მითხრა, „ფსიქოპათია“ იმას ნიშნავს, უთავბოლოდ რო ჩხუბობ და ტყნ... ბოდიში, ქალბატონო, როგორ თქვა? მოკლედ, სქესობრივ ამბავში მეტისმეტი მოგდისო. არ დამიმალოთ, ექიმო, მართლა ეგრე საშიშია?“

ამას რომ ეკითხება, ფართო, უხეშ სახეზე ბავშვური შიშის

და ინტერესის ისეთი ალალი გამომეტყველება ეხატება, ექიმი იძულებულია, თავი ჩამალოს და ერთხელაც ჩუმად ჩაიხითხითოს საყელოში, თან ცხვირიდან სათვალეც სძვრება, პირდაპირ ჯიბეში უვარდება და უკვე ყველა მწვავე და ზოგი ქრონიკულიც კი იწყებს სიცილს.

„მეტისმეტი მოგდისო, ექიმო. ისე, თქვენ თუ შეუწუხებიხართ როდისმე ეგეთ ამბავს?“

ექიმი თვალებს იმშრალებს. „არა, მისტერ მაკმერფი, გულწრფელად შემიძლია ვაღიარო, რომ არა. ასეა თუ ისე, კოლონიის ექიმის ეს შენიშვნაც ფრიად ყურადსაღებია: „მხედველობიდან არც იმის შესაძლებლობა უნდა გამოგვრჩეს, რომ პატიმარი განგებაც იგონებდეს ფსიქოზს მძიმე სამუშაოსთვის თავის ასარიდებლად.“ ექიმი თავს მაღლა სწევს და მაკმერფის ასცქერის. „ამაზე რას იტყვით, მისტერ მაკმერფი?“

„ექიმო,“ მაკმერფი წელში იმართება, შუბლს იჭმუხნის და მკლავებს შლის – ყველამ დამინახეთ, ყველა დარწმუნდით ჩემს გულწრფელობაშიო – „განა მე დალაგებულ კაცს ვგავარ?“

ექიმი ერთხელ კიდევ ისეთი მონდომებით ცდილობს ხარხარის შეკავებას, პასუხის გაცემას ვერ ახერხებს. მაკმერფი ექიმისკენ ზურგით დგება და ახლა მთავარ ექთანს ეკითხება იგივეს: „მითხარით, ვგავარ?“ მთავარი ექთანი უხმოდ დგება სკამიდან, ექიმს საქაღალდეს ართმევს და ისევ კალათში, მაჯის საათის ქვეშ დებს. მერე კვლავ ჯდება.

„ექიმო, ალბათ, უკეთესი იქნება, თუკი მისტერ მაკმარის ჩვენი ჯგუფური შეკრებების წარმართვის წესს გააცნობთ.“

„ქალბატონო,“ ამბობს მაკმერფი, „არ მახსოვს, ბიძაჩემი ხალაგანის და მისი მეგობარი ქალის ამბავი გიამბეთ თუ არა?“

ქალი დიდხანს უყურებს, დაჟინებით, უკვე თავისი ჩვეული ღიმილის გარეშე. საოცარი უნარი აქვს, ღიმილი ნებისმიერ სხვა, ყოველ ახალ მოსაუბრესთან გამოსადეგ, თავისთვის სასურველ გამომეტყველებად გარდაქმნას ხოლმე, თუმცა ამით არასდროს არაფერი იცვლება, ყოველი გამომეტყველება მაინც უწინდე-

ლივით ხელოვნური და მექანიკურია, მხოლოდ და მხოლოდ კონ-კრეტულ, გარკვეულ მიზანს დამორჩილებული. როდის-როდის ამბობს – ბოდიშს გიხდით, მაკ-მერ-ფიო – და ისევ ექიმისკენ ტრიალდება: „დიახ, ექიმო, თქვენ თუ აუხსნით...“

ექიმი ხელისგულებს ატყუპებს და უკან იხრება. „ცხადია, რა თქმა უნდა... მე ვფიქრობ, რაკი სიტყვამ მოიტანა, სასურველია, ჩვენი თერაპიული საზოგადოების ზოგადი თეორიაც ავხსნათ. თუმცა, როგორც წესი, ამ საქმეს ბოლოსთვის ვიტოვებთ ხოლმე. დიახ. მშვენიერი აზრი მომაწოდეთ, მის რეჩედ. ძალიან კარგი აზრი...“

„თეორიაც აუცილებელია, ექიმო, რასაკვირველია, ოღონდ მე მაინც უფრო იმ წესს ვგულისხმობდი, რომელიც შეკრების მიმდინარეობისას პაციენტებს სკამიდან წამოდგომას უკრძალავს.“

„დიახ, დიახ. რა თქმა უნდა. მერე კი თეორიასაც ავხსნი. მისტერ მაკმერფი, ერთ-ერთი უპირველესი პირობა ის გახლავთ, რომ პაციენტები შეკრების დროს უნდა ისხდნენ. ხომ გესმით, სწორედ ესაა ერთადერთი გზა, რაც უწესრიგობას აგვაცილებს.“

„თქვენი არ მიკვირს, ექიმო?! მე მარტო იმისთვის წამოვ-დექი, ჩემ ისტორიაში ჩანაწერს ვაჩვენებ-მეთქი.“

მაკმერფი თავის სავარძელთან ბრუნდება, ერთხელ კიდევ იზმორება გემრიელად, ერთხელაც ამთქნარებს, ჯდება და და-სასვენებლად მიწოლილი ძაღლივით ცოტა ხანს მაინც ცქმუტავს. ბოლოს და ბოლოს თავის გემოზე ეწყობა და ისევ ექიმზე გადააქვს მომლოდინე მზერა.

„რაც შეეხება თეორიას...“ ექიმი ხარბად, ბედნიერი სახით ისუნთქავს ჰაერს.

„ცცცოლის დედაც...“ გმინავს რაქლი. მაკმერფი პირზე ხელს იფარებს და მოშორებით მჯდომ რაქლის ჩახლეჩილი ჩურჩულით გასძახის – ვისი ცოლისო? თვალებდაჭყეტილი და გაცეცებული მარტინი იმწამსვე ყურებს ცქვეტს. „მართლა,“ კითხულობს დი-დი ინტერესით, „ვისი ცოლის? ააა, იმის? ხო, იმას ვხედავ, კი.“

ნეტა ამის თვალები მომცაო – მარტინიზე ამბობს მაკმერფი და მერე, მთელი შეკრების განმავლობაში, კრინტსაც აღარ ძრავს. თავისთვის ზის, ჩუმად, ოღონდ არაფერს ტოვებს უყურადღებოდ, რაც ხდება და ითქმება. ექიმი მანამდე ლაპარაკობს თავის თეორიაზე, სანამ მთავარი ექთანი საბოლოოდ არ გადაწყვეტს, მეტისმეტად დიდი დრო წაგვართვაო და გაჩუმებას არ სთხოვს; ისევ ჰარდინგს დავუბრუნდეთო – ახსენებს და მართლაც, შეკრების დამთავრებამდე უკვე მარტო ჰარდინგ ზეღა ლაპარაკობენ.

სავარძელში გადაწოლილი მაკმერფი ერთი-ორჯერ კიდევ წამოიწევს წინ, თითქოს რაღაც ჰქონდეს სათქმელი, მაგრამ დროზევე აჭერს ენას კბილს და ძველ პოზას უბრუნდება. საგონებელში ჩავარდნილი კაცის სახე აქვს. რაღაც ძაან უცნაური ხდება აქო – ეტყობა ასკვნის თავისთვის. ოღონდ ბოლომდე მაინც ვერ გარკვეულა. არც არავინ რომ არ იცინის?! რაქლის რომ კითხა, – ვისი ცოლისო? – ეგონა, ყველა გადაბჟირდებოდა, არადა, მსგავსიც არაფერი მომხდარა. აქაური ჰაერი სიცილისთვის მეტისმეტად მაგრადაა კედლებით შეკუმშული. რაღაც უცნაური ხდება აქ, ამ ოთახში, სადაც ხალხს ისიც ვერ გაუბედია, ოდნავ მოეშვას, მოდუნდეს და გაიცინოს. ალბათ, ისიც ეუცნაურება, როგორ ეგებიან ფეხქვეშ მოღიმარ, სახეშეფიფქულ ბებერ დედიკოს, ვისაც ნამეტანი წითელი პომადა სცხია და ნამეტანი დიდი ჯიგრები აქვს. ფიქრობს, ცოტა ხანს მოვიცდი, მივიხედ-მოვიხედავ, სანამ რამის გაგებას მოვახერხებო. ამ წესს არც ერთი გამოცდილი მოთამაშე არ უღალატებს: სანამ თავისთვისაც დაარიგებინებს კარტს, თამაშს ცოტა ხანს მაინც უნდა უყუროს.

თერაპიული საზოგადოების ეს თეორია იმდენჯერ მომისმენია, ზეპირად შემიძლია ჩავაბულბულო თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე – როგორ უნდა მიეჩვიოს კაცი ჯგუფში არსებობას, ვიდრე ნორმალურ საზოგადოებაში ფუნქციონირებას შეძლებს; როგორ შეუძლია ჯგუფს, ნებისმიერ თავის წევრს საკუთარი ზადი დაანახვოს; როგორ წყვეტს საზოგადოება, და მხო-

ლოდ და მხოლოდ საზოგადოება, ვინ ნორმალურია და ვინ არა, შენ კი, საზოგადოების ერთ-ერთო რიგითო წევრო, კეთილი ინებე და მოერგე და შეეწყვე ამ საზოგადოებას! აი, ასეთ რამეებს გვასწავლის ცნობილი თეორია. საკმარისია, ახალი პაციენტი მოიყვანონ და ექიმიც მაშინვე იწყებს თავისებურად ქადაგებას. ჩვენში დარჩეს, მარტო ამ დროსაა ხოლმე მთავარი ფიგურა, შეკრებების წარმმართველი. იმას თუ დავუჯერებთ, თერაპიული საზოგადოების საბოლოო და სანუკვარი მიზანი დემოკრატიული განყოფილებაა, მთლიანად პაციენტების ნებას და ხმების უმრავლესობას დამორჩილებული, დღედაღამ იმაზე მზრუნველი, როგორ დააბრუნოს ვარგისი პაციენტები ისევ უკან, ქუჩაში, გარე სამყაროში. ნებისმიერმა უკმაყოფილებამ, ნებისმიერმა სატკივარმა, ყველაფერმა, რაც არ მოგვწონს, შიგნიდან კი არ უნდა გვღრღნას და გვტანჯოსო – ბრძანებს ჩვენი ექიმი, პირიქით, საჯაროდ უნდა გამოვიტანოთ პრობლემები, ჯგუფის თანდასწრებით განვიხილოთ და გადავწყვიტოთო. გარშემომყოფთა შორის თითოეულმა იმდენად თავისუფლად უნდა იგრძნოს თავი, თამამად მოახერხოს საკუთარი ემოციური დისკომფორტის გამომზეურება როგორც დანარჩენი პაციენტების, ისე პერსონალის წინაშეცო. ილაპარაკეთ, განსაჯეთ, აღიარეთო – ჩაგვჩიჩინებს ერთსა და იმავეს. და, რაც მთავარია, კერძო საუბარში ამხანაგს რამე თუ წამოსცდა, დაუყოვნებლივ ჩაწერეთ დავთარში, პერსონალიც აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსშიო. ეს თქვენი მეგობრის დახმარებაა და არა „ჩაშვება“, როგორც ფილმებში ამბობენო. გამოიტანეთ

-ში ზეველი ცოდვები, რათა საყოველთაო მზერით განიწმინდოთო. აუცილებლად მიიღეთ მონაწილეობა ჯგუფურ განხილვებში; საკუთარ თავსაც და მეგობრებსაც დაეხმარეთ ქვეცნობიერის საიდუმლოებების წვდომაში; მეგობრებს შორის არავითარი საიდუმლო არ უნდა არსებობდესო.

ჩვენი განზრახვაა – როგორც წესი, ამ სიტყვებით ამთავრებს ხოლმე – რაც შეიძლება მეტად დავუახლოვოთ აქაურობა იმ დემოკრატიულ, თავისუფალ ყოფას, რომელშიც საავადმყო-

ფოში მოხვედრამდე გიცხოვრიათო; გვინდა პატარა შიდა სამყაროს სახით შევქმნათ იმ დიდი, გარე სამყაროს ზუსტი ასლი, სადაც ერთ მშვენიერ დღეს ისევ დაიკავებთ კუთვნილ ადგილსო.

შეიძლება, უფრო მეტის თქმაც უნდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, მთავარი ექთანი ამ ადგილას აჩერებს ხოლმე. მერე, უკვე სიჩუმეში, ბებერი პიტი დგება ფეხზე, თავისი დაღეჭილ-დაჭმუჭნილი ქუდის ქნევას იწყებს და ყველას შესჩივის, რა დაღლილია. მთავარი ექთანი ვინმეს ავალებს, მიდით, ესეც გააჩუმეთო, პიტიც, როგორც წესი, ზედმეტი დავიდარაბის გარეშე ჩუმდება და შეკრებაც გრძელდება.

მარტო ერთხელ, მე რაც მახსოვს, ერთადერთხელ მოხდა სხვანაირად, ამ ოთხი თუ ხუთი წლის წინ. ექიმი, როგორც იქნა, ლაყაფს მორჩა და მთავარი ექთანიც იმწუთას ჩაერთო თავისი გაზეპირებული ფრაზით – აბა, ვინ დაიწყებს? ამოთქვით ძველი საიდუმლოებებიო. ამ სიტყვებმა ყველა ტრანსში ჩააგდო, ის კი არა, მთელი ოცი წუთი მთავარ ექთანსაც აღარ ამოუღია ხმა: ასაკივლებლად გამზადებული ელექტროგანგაშივით გაინაბა, მოლოდინად ქცეული – აბა, როდის გაამხელენ დაფარულ ცოდვებსო. დინჯად, შუქურის პროჟექტორივით დაატარებდა თვალებს პაციენტების სახეებზე. ოცი უსასრულო წუთის განმავლობაში დღის პალატაში სამარისებური სიჩუმე იდგა, შერხევითაც არავინ შერხეულა. ოცი წუთი რომ გავიდა, მთავარმა ექთანმა საათს დახედა და იკითხა – დავიჯერო, თქვენში არავის ისეთი არაფერი ჩაუდენია, რისი აღიარებაც მერე ვერ გაუბედავსო? კალათში დავთარი მოიძია და – მოდით, ძველ საქმეებს გადავხედოთო – ჩაილაპარაკა ვითომ თავისთვის.

ამის თქმა იყო და აშკარად საოცრება მოხდა, კედლებში ჩატანებული რაღაც აკუსტიკური მოწყობილობა ჩაირთო, თითქოს მაინცდამაინც ამ ხმაზე, მაინცდამაინც ამ ქალის სიტყვებზე ასამუშავებლად მომართული. მწვავეები დაიბნენ. ერთად დააღეს პირები. მთავარმა ექთანმა კედელთან ჩამწკრივებულებიდან პირველივეზე შეაჩერა გაფაციცებული მზერა.

იმანაც მაშინვე ააცმაცუნა ტუჩები: „მე ერთხელ გარაჟის სალარო გავტეხე.“

ქალმა შემდეგ ზე გადაიტანა მზერა.

„მე მინდოდა, ჩემი უმცროსი და ლოგინში შემეწვინა.“

თვალებმა ტკაცატკუცით გადაინაცვლეს გვერდით მჯდომ პაციენტზე; მთელი მწკრივი ისე ხტოდა, როგორც სამიზნეები ტირში.

„მე... მე ერთხელ... ვცადე, ჩემი ძმა ჩამეწვინა ჩემთან ლოგინში.“

„ექვსი წლისამ კატა მოვკალი. ოოო, ღმერთო, ღმერთო, მაპატიე! ქვით გავუჩეჩქვე თავი და მეზობელმა მოკლა-მეთქი, მეზობელს დავაბრალე.“

„ტყუილი გითხარით. კი არ მინდოდა, მართლა ჩავიწვინე ჩემი და ლოგინში!“

„მეც! მეც!“

„მეც! მართლა!“

მთავარ ექთანს ამაზე ოცნებაც არ შეეძლო. ყველა ყვიროდა, ცდილობდნენ ერთმანეთისთვის ეჯობნათ, სულ უფრო ღრმად ტოპავდნენ დაუკრეფავში, ველარ ჩუმდებოდნენ, ისეთ რამეებს ყვებოდნენ, არ ვიცი, ერთმანეთისთვის როგორღა უნდა შეეხედათ. ყოველ ახალ აღსარებაზე მთავარი ექთანი თავს აკანტურებდა და – დიახ, დიახ, დიახო – გაიძახოდა.

მერე ბებერი პიტი წამოდგა ფეხზე. დავიღალეო, იბღავლა გაბრაზებულმა და ხმაშიც ისეთი ლითონი გამოურია, ყველა გაშტერდა, პიტისგან ადრე მსგავსიც არავის არაფერი გაუგონია.

ყველამ გაკმინდა ხმა. თითქოს შერცხვათ. თითქოს პიტმა უცებ რაღაც ისეთი თქვა, რაც მართალიც იყო, ნაღდიც და მნიშვნელოვანიც, რამაც სამარცხვინოდ აქცია დანარჩენების მთელი ეს ბავშვური ტიტინი. მთავარი ექთანი გაცოფებული მიტრიალდა პიტისკენ, თვალები მიანათა და ღიმილიც ნიკაპზე ჩამოეღვენთა: ძლივს თავის გემოზე ჰქონდა საქმე აწყობილი!

„მიხედეთ ვინმემ საცოდავ მისტერ ბანჩინის“, ძალიან ცდილობდა, სიბრაზე არ შეტყობოდა.

ორნი თუ სამნი წამოდგნენ სკამებიდან. პიტს უყვავებდნენ, მხარზე ხელებს უთათუნებდნენ, ცდილობდნენ დაეწყნარებინათ, არადა პიტი არ ჩერდებოდა, – დავიღალე და დავიღალეო, – აგრძელებდა თავისას.

ბოლოს მთავარმა ექთანმა ერთ-ერთ შავ ბიჭს უბრძანა, მოკიდე ხელი და აქედან გაათრიეო. ეტყობა დაავიწყდა, შავ ბიჭებს პიტისნაირებზე არავითარი ზემოქმედების უნარი რომ არ გააჩნიათ.

პიტი დაბადებიდანვე ქრონიკული იყო. ყოველთვის. თუმცა, სანამ ორმოცდაათს არ გადასცილდა, საავადმყოფოში არ დაუწვენიათ. თავზე, აქეთ-იქით, ორი დიდი ღრმული ეტყობა, სამშობიაროშივე დაუზიანა თავის ქალა ექიმმა, როცა ძალით ცდილობდა დედის საშოდან პიტის გამოთრევას. პიტმა საშოდან ერთი რომ გამოიჭყიტა, საოპერაციო და იქაური ხელსაწყო-იარაღები დაინახა, ეგრევე მიხვდა, სადაც უნდა ამოეყო თავი და მთელი ძალით ჩააფრინდა ყველაფერს, რის მობღაუჭებაც მოახერხა, არაფრის დიდებით არ უნდოდა დაბადება. ექიმი კი უკვე ხელს აფათურებდა, საშოში დაეძებდა, მერე ყინულის ასაღები, ტუჩებმობლაგვებული მაშა ნაავლო თავზე და მაგრად მოქაჩა, ყველაფერი რიგზეაო, დაასკვნა ხმამაღლა. არადა, პიტის თავის ქალა მაშინ მთლად თოთო იყო, თიხასავით რბილი, და როცა თანდათან გამკვრივდა, მაშების ნაკვალევი სამუდამოდ შერჩა ზედ. ტვინი თითქმის აღარ მომატებია, უმარტივესი საქმის გასაკეთებლადაც, რასაც ექვსიოდე წლის ბავშვიც იოლად გაართმევდა თავს, არაადამიანური დაძაბვა და მთელი ნებისყოფის, მთელი ყურადღების მოკრება სჭირდებოდა.

თუმცა ბედმა ბოლომდეც არ გაწირა – ასე უტვინოდ დარჩენილი კომბინატის კლანჭებსაც გადაურჩა. ვერ ჩამოასხეს თავიანთ ყალიბში. ამიტომაც აცალეს, იოლი სამუშაო ეშოვა რკინიგზაზე: ბევრი არაფერი ევალებოდა, პატარა ფიცრულ ბუდრუგანაში უნდა მჯდარიყო, სადღაც, გადაკარგულში, მიყრუებულ ისართან, და როცა ისარი ერთ მხარეს უჩვენებდა, წითელი ფარანი

ექნია, როცა მეორე მხარეს – მწვანე; ყვითელი ფარნის ქნევა მაშინ უწევდა, თუკი გზას სხვა მატარებელი კეტავდა. დაკისრებულ მოვალეობას დიდი მონდომებით ართმევდა თავს, მთელი ძალების დაძაბვით და იმ ნებისყოფის წყალობით, რაც უკაცრიელ ისართან მარტოდმარტო, უამხანაგოდ დარჩენილს მაინც ვერაფერმა შეურყია. სხვათა შორის, მისთვის არც არანაირი საკონტროლო რეგულატორები ჩაუდგამთ.

ამიტომაც ვერ ატარებდა შავი ბიჭი თავის ჭკუაზე. ოღონდ ეს ამბავი არც იმას და არც მთავარ ექთანს დროზე არ გახსენებიათ, ისე დაუპირეს პიტს ოთახიდან გაყვანა. შავი მიუახლოვდა, მკლავში წაავლო ხელი და კარისკენ გაქაჩა. სწორედ ისე, გუთანში შებმულ ჯორს რომ მოქაჩავენ ხოლმე ლაგამზე, მოსაბრუნებლად.

„გეყოფა, პიტ. წამო, საძინებელში გავიდეთ. ყველა შეაწუხე უკვე...“

პიტმა მკლავი გაითავისუფლა. „მე დავიღალე,“ გააფრთხილა შავი ბიჭი.

„წამო, ბებერო, ნუ ატეხავ აურზაურს. წამო, დაწექი, შენ ხო კაი ბიჭი ხარ!“

„დავიღალე...“

„გითხარი, საძინებელში გაბრძანდები-მეთქი!“

ერთხელაც მოქაჩა მკლავზე და პიტმაც თავის ქნევა შეწყვიტა. ამაყად, მტკიცედ, წელში გამართული იდგა და თვალებიც დაწმენდოდა. ჩვეულებრივ, სანახევროდ დახუჭულ, ერთიანად ამღვრეულ თვალებში თითქოს რძე აქვს ხოლმე ჩამდგარი, მაშინ კი ლურჯი ნეონივით გადაუკრიალდა. შავი ბიჭის ჩაბღუჯულმა მკლავმაც ნელ-ნელა გასიება დაიწყო. პერსონალი და დანარჩენი პაციენტების უმრავლესობა საუბრით იყო გართული, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ბებერ კაცს და მის ძველისძველ სიმღერას დაღლილობაზე; როგორც ყოველთვის, ახლაც მალე დაწყნარდება და შეკრებაც გაგრძელდებაო – ფიქრობდნენ. ვერ ხედავდნენ პიტის ხელის მტევანს, რომელიც სულ უფრო და უფრო იბერებოდა, სანამ პიტი ნელ-ნელა კრავდა და შლიდა

მუშტს. ჩემ გარდა არავის დაუნახია. მარტო მე შევამჩნიე, როგორ გასივდა და გამკვრივდა, ჩემ თვალწინ გაიზარდა, გაგლუვდა, გაუხეშდა. ჯაჭვის ბოლოზე აქანავებულ ვეება, ჟანგიან რკინის ბურთად იქცა. დაძაბული ვუყურებდი, ერთხელაც როგორ გაქაჩა შავმა ბიჭმა მკლავით საძინებელი ოთახისკენ.

„გითხარი-მეთქი, ბებერო!...“

მერე იმანაც დაინახა ხელი. შეეცადა გასცლოდა, თან პიტს უყვავებდა – აბა, შენ ხო კაი ბიჭი ხარ, პიტერო – მაგრამ ცოტათი დააგვიანა. პიტმა ლამის მუხლის სიმაღლიდან გამოიქნია ის რკინის ბურთი. შავი ბიჭი ბეჭებით აეკრა კედელს, ზედ მიეწება და ნელ-ნელა იატაკზე ჩაცურდა – თითქოს იმ ადგილას კედელი გაქონილი იყო. გავიგონე, სადღაც, შიგნით, მთელი კედლის გაყოლებაზე, როგორ ჩაიმსხვრა კედელში ჩატანებული ნათურები, მოკლეზე ჩაირთო და ბათქაშიც ზუსტად შავი ბიჭის სხეულის ფორმაზე დასკდა.

დანარჩენი ორი – დაგვაჯული და მეორე მაღალ-მაღალი – გაშტერებული იდგა. მერე მთავარმა ექთანმა თითები გაატკაცუნა და ისინიც ამოძრავდნენ. ადგილს მოწყდნენ, ოთახის მეორე ბოლოსკენ წასრიალდნენ. ამხანაგის გვერდით დაგვაჯული სიცილის ოთახში ამოზნექილ სარკეში არეკლილს გავდა. უკვე თითქმის პიტთან იყვნენ, როცა უცებ იაზრეს, რაც წესით იმათ მესამე ამხანაგსაც უნდა სცოდნოდა, გაახსენდათ, ყველა ჩვენგანისგან განსხვავებით, პიტი საკონტროლო რეგულატორებზე არ იყო შეერთებული და არაფრის დიდებით არ დაემორჩილებოდა მარტო იმიტომ, რომ უბრძანებდნენ ანდა მკლავზე მოქაჩავდნენ. თუ შეპყრობას უპირებდნენ, ისევე უნდა შეეპყროთ, როგორც დათვს ან ველურ ხარს იპყრობენ ხოლმე და რაკი ერთ-ერთი მათგანი უგონოდ ეგდო პლინტუსთან, ორი დანარჩენი მაინცდამაინც დიდ უპირატესობას ვეღარ გრძნობდა პიტთან შედარებით.

ამ აზრმა ორივეს ერთდროულად გაუელვა და მაშინვე გაქვავდნენ, მაღალ-მაღალიც და იმისი ჯუჯა ორეულიც, ზუს-

ტად ერთნაირ პოზაში – მარცხენა ფეხ- და მარჯვენა ხელაწე-ულები: სადღაც, შუა გზაში პიტსა და მთავარ ექთანს შუა. წინ რკინის ბურთი ირწეოდა, უკნიდან თოვლივით თეთრი სიბრაზის სუსხი მოდიოდა და ისინიც აცახცახდნენ, ბოლი აუშვეს და გავი-გონე კიდეც, როგორ აუღრჭიალდათ კბილანები. ვხედავდი, რა დაბნეულები თახთახებდნენ, მანქანასავით, როცა გაზის პედალ-საც ბოლომდე აჭერენ და თან მუხრუჭიდანაც არ იღებენ ფეხს.

პიტი შუა ოთახში იდგა, თეძოსთან წინ და უკან აქნევდა რკინის ბურთს, იმის სიმძიმისგან წელში გაზნექილი. უკვე ყველა პიტს უყურებდა. თვითონ მზერა მაღალ-მაღალი შავი ბიჭიდან დაგვაჯულზე გადაიტანა და როცა დარწმუნდა, ახლოს მოსვლას აღარც ერთი აღარ აპირებსო, პაციენტებს მიუბრუნდა.

„ხედავთ, ეს ყველაფერი ერთი დიდი სისულელეა," თქვა წყნა-რად, „ერთი დიდი სისულელე."

მთავარი ექთანი სკამიდან ჩაცურდა და კარებთან დატო-ვებული თავისი მოწნული ჩანთისკენ გააპარა ხელი. „დიახ, დიახ, მისტერ ბანჩინი," შემპარავად ეკრუტუნებოდა პიტს, „ახლა, თუ დამშვიდდებით..."

„სისულელე, სხვა არაფერი," პიტის ხმამ უწინდელი ლითო-ნისებური სიმტკიცე დაკარგა, ხმა დაეძაბა და გაუჯიუტდა, თითქოს დრო ბევრი აღარ რჩებოდა და სათქმელის ბოლომდე თქმას ვერ მოასწრებდა. „მე ვერაფერს გავაწყობ, გესმით, ვე-რაფერს... არ გესმით? მე მკვდარი დავიბადე. თქვენ არა. თქვენ მკვდრები არ დაბადებულხართ. ოოოხხხ, რა ძნელი იყო..."

პიტმა ტირილი დაიწყო. სიტყვებს წესიერად უკვე ვეღარ გამოთქვამდა; ტუჩებს კი აცმაცუნებდა, ოღონდ რაღაც გაუგე-ბარს ლუღლუღებდა. გონების დასაწმენდად თავი ღონივრად გადააქნია და თვალებახამხამებული ისევ მწვავეებს მიაჩერდა:

„ოოოხხხ, მე... აკი გეუბნებით... თქვენ გეუბნებით."

თანდათან ისევ მოიღვენთა, რკინის ბურთიც დაპატარავდა და მუჭისოდენა გახდა. მერე პეშვი გაიწვდინა წინ, თითქოს პეშ-ვით სთავაზობდა რაღაცას პაციენტებს.

„არაფერი არ შემიძლია. შეცდომით დავიბადე. იმდენი შეურაცხყოფა მომაყენეს, დედის მუცელშივე მოვკვდი. მკვდარი დავიბადე. არც არაფერი შემიძლია. დავიღალე. დავნებდი. თქვენ რაღაც გელოდებათ. მე იმდენი შეურაცხყოფა მომაყენეს, მკვდარი დავიბადე. თქვენთვის ადვილია. მე კი მკვდარი დავიბადე და ცხოვრებაც რთული იყო. მე დავიღალე. დავიღალე ლაპარაკით და ფეხზე დგომით. ორმოცდათხუთმეტი წელი მკვდარი ვიყავი."

მთავარმა ექთანმა ლამის ოთახის მეორე ბოლოდან მიაწვდინა ნემსი, პირდაპირ მწვანე შარვალში გაარჭო. მერე სწრაფად გახტა უკან, ნასროლი ნემსის გამოძრობა არც უფიქრია და ნემსიც პატარა, შუშის და ფოლადის კუდივით ეკიდა პიტის შარვალზე. ბებერი პიტი კი თვალსა და ხელშუა იღვენთებოდა, სულ უფრო და უფრო მეტად იხრებოდა წინ, ნემსისგან კი არა, საკუთარი აღგზნებისგან ძალაგამოცლილი; ბოლო ორმა წუთმა სამუდამოდ და უსაშველოდ დაქანცა, სამარადისოდ – შეხედავდი და მიხვდებოდი, ამისი საქმე წასულიაო.

კაცმა რომ თქვას, ნემსის გაკეთება არც იყო აუცილებელი; თავს უკვე ისედაც ვეღარ იმაგრებდა და თვალებიც ებლიტებოდა. როცა მთავარი ექთანი ბოლოს და ბოლოს მაინც მიეპარა უკნიდან ნემსის გამოსაძრობად, ატირებული პიტი ისე იყო წინ წამოხრილი, ცრემლი სახეს არც უსველებდა, პირდაპირ იატაკზე ეწვეთებოდა. პიტი გაუჩერებლად აქნევდა თავს და ცრემლის წვეთებიც წკაპუნით ცვიოდნენ აქეთ-იქით, ოთხივე მხარეს, თითქოს მთესველი იყო და ცრემლს თესავდა. ოოხხხო – ერთხელაც ამოიგმინა პიტმა. თვალიც არ დაუხამხამებია, როცა მთავარმა ექთანმა ნემსი გამოაძრო.

პიტი, შეიძლება, სულ ერთი წუთით დაუბრუნდა სიცოცხლეს, შეეცადა, ჩვენთვის რაღაც ეთქვა, არადა მისი სათქმელი არც ერთი ჩვენგანისთვის არაფერს ნიშნავდა, არც მოსმენის თავი გვქონდა, არც გაგების. თვითონ პიტი კი ამ მცდელობამ ერთიანად გამოფიტა. იმისი დუნდულის ჩხვლეტა ისეთივე ზედმეტი და ამაო იყო, გინდაც მკვდრისთვის გაეკეთებინათ ნემსი – ვე-

ღარც გული გადატუმბავდა ამ შხამს ვენებში, ვეღარც ვენები აიტანდნენ ტვინამდე და ვეღარც ტვინი დაიბანგებოდა. ზუსტად იმავე წარმატებით მთავარ ექთანს გაფიჩხებული გვამისთვისაც შეეძლო ნემსის ჩხვლეტა.

„მე... დავიღალე..."

„ძალიან კარგი. აბა, თქვენ ორს ვაჟკაცობა თუ გეყოფათ, მე მგონი, მალე მისტერ ბანჩინი უკვე ლოგინში იწვება; როგორც წესიერ და კარგ ბიჭს შეეფერება."

„...საშინლად დავიღალე."

„ეტყობა, სანიტარი უილიამსიც მოდის გონზე, ექიმო სპაივი. მიხედეთ, გეთაყვა. აი, საათი გასტეხია და ხელიც გასჭრია."

პიტს მსგავსიც აღარაფერი უცდია და ვერც ვეღარასდროს ცდის. ახლა, თუკი რამე წამოუვლის ხოლმე შეკრებების დროს, უცებვე აწყნარებენ და ისიც წყნარდება. მართალია, ხანდახან ისევ დგება, თავის ქნევას იწყებს და გვაუწყებს, როგორი დაღლილია, მაგრამ მისი სიტყვები უკვე აღარც ჩივილია, აღარც მობოდიშება და აღარც გაფრთხილება – ამისთანები დიდი ხანია მოთავდა. ძველი საათივითაა, ზუსტ დროს ვეღარ აჩვენებს, მაგრამ არც ჩერდება; ისრებდაგრეხილი, ციფერბლატზე რიცხვებგადაშლილი, ენაჩავარდნილი, ჟანგიანზარიანი ძველი, უვარგისი კედლის საათივით – უბრალოდ, ჩვეულების გამო აგრძელებს წიკწიკს და გუ-გუს ძახილს, თორემ არც წიკწიკი და არც ეს ძახილი აღარაფერს ნიშნავს.

ორი საათი სრულდება, არადა ჯგუფი ჯერ ისევ საცოდავ ჰარდინგს ფლეთს და აქუცმაცებს.

ზუსტად ორზე ექიმი სკამზე ცქმუტვას იწყებს. საკუთარ თეორიაზე თუ არ ლაპარაკობს ხოლმე, შეკრებებზე მთლად კომფორტულად ვერ გრძნობს თავს; ამ დროს უფრო დიდი სიამოვნებით კაბინეტში გაატარებდა, დიაგრამების ხაზვაში. ვერაფრით ისვენებს, ერთი-ორჯერ ახველებს კიდეც, ბოლოს მთავარი ექთანიც იყურება საათზე და – სააბაზანოდან ისევ უკან შემოიტანეთ

მაგიდებიო, – გვეუბნება; შეკრების შედეგების შეჯამებას კი სახვალიოდ, პირველ საათზე გვპირდება. მწვავეები ტკაცატკუცით გამოდიან ტრანსიდან, წამით ჰარდინგისკენ გაურბით თვალები. სახეები სირცხვილისგან უხურთ, თითქოს ეს-ესაა გამოეღვიძათ და მიხვდნენ, ერთხელ კიდევ გაგვასულელესო. ზოგი დერეფანში გადის მაგიდების შემოსატანად, სხვები ჟურნალების თაროებისკენ მიფრატუნებენ და ენით უთქმელი ინტერესით ჩაკირკიტებენ „მაკქოლის“ ადამისდროინდელ ნომრებს, სინამდვილეში კი ყველანი ჰარდინგთან ურთიერთობას არიდებენ თავს. ამჯერადაც იძულებით მიუქსიეს საწამებლად ამხანაგს, თითქოს ის მსჯავრდებული იყო, თვითონ კი ბრალმდებლები, მოსამართლეები, მსაჯულები, ჯალათები... ორმოცდახუთ წუთს წვრილად კეპავდნენ კაცს, თან თითქოს ხალისითაც, სიამოვნებითაც აყრიდნენ კითხვას კითხვაზე: მაინც როგორ გგონია, ეგეთი რა უნდა გჭირდეს, პატარა ქალბატონისთვის რომ ვერ გისიამოვნებიაო; ასე დაბეჯითებით რატომ ამტკიცებ, სხვა კაცთან საქმე არ ჰქონიაო; როგორ აპირებ განკურნებას, თუკი კითხვებზე გულწრფელად არ გვიპასუხებო? ამდენი შეკითხვის დასმის და ამხანაგის ასეთი დამცირების მერე ახლა თვითონაც საძაგლად გრძნობენ თავს და, უფრო დიდ უხერხულობაში არ ჩავცვივდეთო, ჰარდინგს გარე-გარე უვლიან.

მაკმერფის თვალს არაფერი ეპარება. თავისი სავარძლიდან ჯერ არ წამომდგარა და ისევ გაოგნებული კაცის სახე ადევს. კიდევ ცოტა ხანს გაუნძრევლად ზის, მწვავეებს შესცქერის, ბანქოს დასტით ნიკაპზე მოდებულ ყღალ ჯაგარს იფხანს. მერე ისიც დგება, ამთქნარებს, იზმორება, ერთს ჩამოიკრავს ბანქოს დასტას პერანგის ღილზე, ჯიბეში ინახავს და მარტოდმარტო მჯდომი, ოფლში გაწურული და სკამზე დაწებებული ჰარდინგისკენ აღერებს თავს.

ცოტა ხანს ზევიდან დაყურებს ჰარდინგს, მერე ვეებერთელა ტორით შორიახლოს მდგარ სკამს თავისკენ ითრევს, ჰაერში ატრიალებს, ზურგით ჰარდინგისკენ დგამს და ისე ჯდება

ზედ, როგორც პაწაწინა პონიზე. ჰარდინგს არაფერი შეუმჩნევია. მაკმერფი ხელებს ჯიბეებზე იტყაპუნებს, სიგარეტს ეძებს, კოლოფიდან ერთ ღერს იღებს და უკიდებს. ანთებული სიგარეტი სახესთან მიაქვს, მოღუშული დასცქერის, მერე ცერს ნერწყვით ისველებს და სველი თითით თავის გემოზე აღვივებს ცეცხლს.

ერთმანეთს თითქოს ვერც ამჩნევენ. დაბეჯითებით იმის თქმაც გამიჭირდება, საერთოდ თუ შეამჩნია ჰარდინგმა მაკმერფის მისვლა. მწვანე ფრთებივით დაკრეფილი თხელი მხრები ლამის მიუტყუპებია, დაჭიმული, წელგამართული, წკიპზე ზის სკამზე და თეთრი ხელები მუხლებშუა მოუმწყვდევია. პირდაპირ იყურება, თავისთვის ღიღინებს რაღაცას და ცდილობს, სრულიად მშვიდი კაცის იერი შეინარჩუნოს – არადა შიგნიდან ლოყებს ღეჭავს, გაღიმებულ თავის ქალას ჰგავს და სიმშვიდის ნამდვილად არაფერი სცხია.

მაკმერფი ისევ კბილებში იმწყვდევს სიგარეტს, ხელებს სკამის საზურგეზე აწყობს, ნიკაპით ზედ ეყრდნობა და ბოლით დამწვარ ცალ თვალს ჭუტავს. მეორე თვალით ჰარდინგს გასცქერის ცოტა ხანს, მერე ლაპარაკს იწყებს და კბილებში გაჩრილი სიგარეტიც ზევით-ქვევით დაუხტის.

„ერთი მითხარი, ძმაკაც, ეს საყვარელი შეკრებები ყოველთვის ამნაირად ტარდება ხოლმე?“

„ყოველთვის ამნაირად?“ ჰარდინგი აღარ ღიღინებს. აღარც ლოყებს ღეჭავს, მაგრამ ჯერაც წინ იყურება, მაკმერფის თვალს არიდებს.

„სულ ეს მენიუ გაქვთ ჯგუფური თერაპიის ბანკეტებზე? ასე კორტნით საქათმეში წიწილები ერთმანეთს?“

ჰარდინგი მოწყვეტით აბრუნებს თავს, იმის თვალები ბოლოს და ბოლოს ამჩნევენ მაკმერფის, თითქოს მხოლოდ ახლა ხვდება, ვიღაც დამსკუპებია წინო. ერთხელაც ეტანება შიგნიდან ლოყებს საკბენად, ლოყები ისევ უცვივდება და ისევ გაღიმებულ თავის ქალას ემსგავსება. მხრებს შლის, სკამზე ითხლაშება და ცდილობს, მოთენთილი კაცის იერით ილაპარაკოს.

„კორტნითო, ბრძანეთ? ვშიშობ, ჩემთვის გაუგებარი დარჩება თქვენი უცნაური, სოფლური შედარებები, მეგობარო. მიახლოებითაც ვერ ვხვდები, რის თქმა გნებავთ.“

„კეთილი და პატიოსანი, მაშინ მე თითონ აგიხსნი.“ მაკმერფი ხმას უწევს. მართალია, ზურგს უკან შეგროვილ, ყურებდაცქვეტილ მწვავეებს ზედ არ უყურებს, მაინც იმათ გასაგონად ლაპარაკობს. „წიწილები თუ ერთ-ერთი თავისიანის ბუმბულზე სისხლის წვეთს დაინახავენ, ყველანი დასაკორტნად მიესევიან ხოლმე, გესმის, რასაც გეუბნები? არ მოეშვებიან, სანამ ნაკუწ-ნაკუწ არ დაფლეთენ, მარტო სისხლს, ძვალს და ბუმბულს არ დატოვებენ იმისგან. ოღონდ ამ რია-რიაში, როგორც წესი, ერთი-ორი სხვაც სისხლიანდება და მერე უკვე იმათი ჯერი დგება. მერე კიდე ჩნდება ახალ-ახალი საკბილო და ესე... ოოოო, შენ არ იცი, ტოტალური კორტნა ორიოდე საათში მთელ გუნდს აჩანაგებს, ძმაკაც, ჩემი თვალით მაქ ნანახი. მართლა საზარელი საყურებელია. გადარჩენის ერთადერთი გზა – წიწილისთვის – თვალების ახვევაა. ვერაფერი რო ვეღარ დაინახოს.“

ჰარდინგი მუხლზე იჭდობს გრძელ თითებს და, სკამზე უკან გადაწოლილი, მუხლსაც თავისკენ ეზიდება. „საყოველთაო კორტნა! ეს მართლა სასიამოვნო ანალოგიაა, მეგობარო.“

„არ დაგიმალავ, საქათმე და წიწილები თქვენმა შეკრებამ გამახსენა. მწარე სიმართლე ეს არი, რა ვქნა?! ბინძური წიწილების ზედახორა...“

„ესე იგი, მე სისხლით დაწინწკლული წიწილა ვარ, არა?“

„გამოცანა გერგება, ძმაკაც.“

ჯერ ისევ უღიმიან ერთმანეთს, მაგრამ ხმას ისე დაუწიეს, ისე დაიძაბა ორივე, ცოტა ახლოს თუ არ მივუცუცქდი ჩემი ცოცხიანად, ვეღარაფერს გავიგონებ. ნელა-ნელა მწვავეებიც მიიწევენ წინ.

„გინდა, სხვა რამეც აგიხსნა, ძმაკაც? გინდა იცოდე, პირველი ვინ გაგკრავს ნისკარტს?“

ჰარდინგი უხმოდ ელოდება, როდის გააგრძელებს მაკმერფი სათქმელს.

„ვინა და, ის ბებერი ექთანი.“

სიჩუმეში შეძრწუნებული წკმუტუნი ისმის. კედლებში დატანებულმა მანქანებმა ეს ხმა დაიჭირეს და გააგრძელეს. ჰარდინგს დიდი ჯაფა ადგას, ხელები უძრავად რომ გააჩეროს, თუმცა მაინც ვაუკაცურად ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას.

„ესე იგი,“ ვითომ წყნარად ამბობს ჰარდინგი, „ყველაფერი ასე მარტივად და იოლად აიხსნება, არა? ბრიყვიც მიხვდება! ექვსი საათიც არ გაგიტარებიათ ჩვენს განყოფილებაში და უკვე ფროიდის, იუნგის და მექსველ ჯონსის მთელი ნაღვაწი გაამარტივეთ, ერთ ანალოგიამდე, რაღაც საყოველთაო კორტნამდე დაიყვანეთ!“

„ფრედ იუნგები და მექსველ ჯონსები მე არ ვიცი, ძმაკაც, მე იმაზე გელაპარაკები, რაც წეღან ბანძ შეკრებაზე გიყვეს იმ თქვენმა ექთანმაც და დანარჩენმა ახვრებმაც. ტრაქტორივით გადაგიარეს ზედ!“

„მე გადამიარეს?!“

„არა, მე! არ დაგზოგეს. ბოლომდე მოგაწვნენ. ეტყობა, მართლა ქენი რაღაც იმისთანა, აქ ამდენი მტერი გაიჩალიჩე, ძმაკაც. აბა, მტრის მეტი ეგრე ვინ გაგიმეტებს.“

„არა, ეს უკვე მართლა წარმოუდგენელი ამბავია! თქვენ საერთოდ არ ითვალისწინებთ, ვერც ამჩნევთ და არც ითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბიჭების დღევანდელი საქციელი მხოლოდ და მხოლოდ ჩემივე საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით იყო განპირობებული! განა მის რეჩედის, გინდაც პერსონალის ნებისმიერი სხვა წევრის დასმული შეკითხვები მხოლოდ თერაპიულ მიზნებს არ ემსახურებოდა? თქვენ, გეტყობათ, ექიმ სპაივის საუბრიდან სიტყვაც არ გაგიგონიათ თერაპიული საზოგადოების თეორიაზე, ანდა, თუ გაიგონეთ რამე, განათლება არ გყოფნით მისახვედრად. არა, ნამდვილად იმედი გამიცრუეთ, მეგობარო, ოოო, რომ იცოდეთ, რა მწარედ გამიცრუეთ!.. დილით, გაცნობისას, უფრო ჭკვიანი მეჩვენეთ – თქვენი ტეტიური უწიგნურობა თავიდანვე კი მეცა თვალში, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი,

ერთი ბაქია და ცრუპენტელა ტყიური რომ ბრძანდებოდით და ბატზე მეტი მგრძნობიარობა არ გახასიათებდათ, მაგრამ, გამოგიტყდებით, არსებითად მაინც გონებაგახსნილ კაცად ჩაგთვალეთ. რას ვიზამთ, ჩემი ჩვეული დაკვირვებულობის და გამჭრიახობის მიუხედავად, ეტყობა, შეცდომებისგან ჯერჯერობით არც მე ვარ დაზღვეული."

„მიდი ერთი, კოჭი გააგორე, თუ ძმა ხარ!"

„დიახ, რა თქმა უნდა, დამავიწყდა მეთქვა, რომ დილით თქვენი პრიმიტიული უხეშობაც შევამჩნიე. ფსიქოპათია გამოკვეთილი სადისტური მიდრეკილებებით, რაც, შესაძლოა, უსაგნო ეგომანიითაც იყოს განპირობებული. დიახ. როგორც ჩანს, ბუნებით მომადლებულმა ყველა ამ ღირსებამ კომპეტენტურ თერაპევტად ჩამოგაყალიბათ და, ამდენად, სრული უფლებაც გაქვთ, მის რეჩედისეული მეთოდები გააკრიტიკოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალბატონს ფსიქიატრი ექთნის უაღრესად მდიდარი გამოცდილება და მუშაობის ოცწლიანი სტაჟი უმაგრებს ზურგს. დიახ, მეგობარო, თქვენი ნიჭის პატრონს ნამდვილად შეგეძლოთ ქვეცნობიერის სასწაულებზე გემუშავათ, მტკივანი Id დაგეწყნარებინათ და დაჭრილი სუპერეგოც განგეკურნათ. თქვენ შეგეძლოთ, მხსნელად მოვლენოდით მთელ განყოფილებას, ბოსტნეულებსაც და, საერთოდ, ყველას. ბატონებო და ქალბატონებო! მისტერ მაკმერფის წყალობით თქვენი ავადმყოფობა ექვს უმოკლეს თვეში უკვალოდ გაქრება, თუ არადა, შეგიძლიათ, თქვენი ფული უკანვე მოითხოვოთ!"

მაკმერფი კამათში აყოლას არ აპირებს, ისევ ძველებურად შესცქერის ჰარდინგს, ბოლოს კი ძალიან წყნარად ეკითხება – და შენ ალალად გგონია, დღეს შეკრებაზე მოსმენილ ბოდვას რამე სიკეთის მოტანა და ვინმეს მორჩენა მართლა შეუძლიაო?

„აბა, სხვა რა მიზეზით უნდა ვმონაწილეობდეთ ამ შეკრებებში?!" ცხარობს ჰარდინგი. „პერსონალსაც ხომ ზუსტად ისევე უნდა ჩვენი განკურნება, როგორც ჩვენ თვითონ. ურჩხულები კი არ არიან. შეიძლება, მის რეჩედი მკაცრი შუახნის მანდილოსნის

შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ საქათმეში დაბუდებული და ჩვენი თვალების სადისტურად ამოკორტნის მოსურნე ურჩხული ნამდვილად არ გახლავთ, მეგობარო. ამას ნამდვილად ვერ დასწამებთ, ხომ ასეა?“

„არა, ძმაკაც, მაგას არც მე ვამბობ. თვალები რა შუაშია? ის რასაც ემუქრება, იმას სხვა სახელი ქვია.“

ჰარდინგი კრთება, ვხედავ, როგორ უსხლტება მუხლებშორის მომწყვდეული ხელები – თითქოს ხავსმოდებულ ტოტებზე ორი თეთრი ობობა მიცოცავს ქვევით, ტოტების განაყარისკენ.

„სხვა სახელი?“ ეკითხება მაკმერფის. „თუ ღმერთი გწამთ, მაშინ აბა ისიც გვიბრძანეთ, მეგობარო, რას გვგლეჯს და გვკორტნის, რას ემუქრება?“

მაკმერფი იღიმება. „შენ რა, თითონ ვერა ხვდები, ძმაკაც?“

„რასაკვირველია, ვერ ვხვდები! რა თქმა უნდა, თუკი ასე დაიჟი...“

„ყვერებს, ძმაკაც, ყვერებს; შენ ორ ცალ ძვირფას კვერცხს.“

ობობები ტოტების განაყარს აღწევენ და, ათრთოლებულები, იქ იკალათებენ. გაღიმებას ჰარდინგიც ცდილობს, მაგრამ გადათეთრებულ სახეზე და ტუჩებზე ღიმილი არა და არ ეკარება. გაშტერებული უყურებს მაკმერფის. მაკმერფი პირიდან სიგარეტს იღებს და ნათქვამს იმეორებს.

„ზუსტად შენ კვერცხებს. ეგ თქვენი ექთანი რაღაც საშინელი მონსტრი-ნიწილა კი არ არი, ერთი ჩვეულებრივი ყვერიგლეჯიაა. ათასობით მინახია მაგისთანები. ბებრებიც და ახალგაზრდებიც, ქალებიც და კაცებიც. სად არ შევხვედრივარ, შინაც და გარეთაც, სავსეა ქვეყანა... მაგათ შენი დასუსტება უნდათ ძაან გულით, მერე რო დაგითრიონ და თავის ჭკუაზე გატარონ, თავიანთი წესებით გაცხოვრონ, თავიანთებურად, თავიანთ ნებაზე. კაცის დასასუსტებლად და დასაჩმორებლად კიდე უკეთესი რა გინდა, ყველაზე მტკივნეულ ადგილზე უნდა წაატანო ხელი. ჩხუბის დროს შენთვის ნაშენში ამოურტყიათ, ძმაკაც? ხო მაშინვე ითიშები? უარესი ვარიანტი არ არსებობს. ეგრე არა-

ფერი გბრიდავს, ბოლო წვეთამდე გაცლის ძალას. ისეთს თუ გადაეყარე ვინმეს, ვისაც თავისი სიძლიერით კი არა, შენი სისუსტით უნდა გაჯობოს, იცოდე, იმის ფეხს არ მოაშორო თვალი, უეჭველი იქ დაგიმიზნებს, ჩვენ რო ვიცით. ეს ბებერი სვავიც ეგრეა, ყველაზე მტკივნეულ ადგილას გიჭახუნებთ.“

ჰარდინგს ჯერაც არ დაბრუნებია სახეზე ფერი, მაგრამ ახლა ხელების დამორჩილებას ისევ ახერხებს; დუნედ, უღონოდ იქნევს ცხვირწინ მაკმერფის სიტყვების მოსაგერიებლად.

„ჩვენი ძვირფასი მის რეჩედი? ჩვენი ტკბილად მოღიმარი, ჩვენი მწყალობელი ანგელოზი, დედის მაგიერი მის რეჩედია ყვერიგლეჯია? კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მართლა უძვლოა კაცის ენა!“

„ძმაკაც, არ გინდა ეს სიაბანდი ბაზარი ნაზ დედიკოებზე! ვისთვის იქნებ დედაზე ტკბილიც იყოს, ოღონდ, თუ ძმა ხარ, ნუ დამაბრმავებ მაინც – ტრაქტორივითაა და თან დანასავით მჭრელი. ამ დილით რო შემოვედი, ერთი სამი წუთი მეც გამაბრიყვა თავისი კეთილი, ბებრული ღიმილით, მარა სამ წუთზე მეტი ვერა. ვერ დავიჯერებ, თქვენც მართლა წლობით გასულელებდეთ, ან გინდაც ექვსი თვე... უუუხ, ბევრი ძუკნა შემხვედრია ცხოვრებაში, მარა ეგეთი ძნელად!“

„ძუკნა? წუთის წინ ყვერიგლეჯიაო, მერე სვავიო – თუ წიწილა? თქვენი შედარებები ურთიერთს ანადგურებს, მეგობარო.“

„აი, ამ ჩემ ფეხებს, თუ არ ანადგურებს! ერთიცაა, მეორეც და მესამეც და ნუ მაბოლებ ეხლა, ვითომ ვერ ვხვდებიო.“

ჰარდინგის ხელებიც და სახის ნაკვთებიც ახლა უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ოდესმე – მიმიკის, ჟესტების, მანჭვა-გრეხის და ხითხითის აჩქარებული კადრებივით. რაც უფრო მონდომებით ცდილობს დაწყნარებას, მით უფრო უმატებს სიჩქარეს. როცა არც ხელების და არც სახის დაწყნარებაზე არ ფიქრობს, მისი მოძრაობები მართლა საამო საცქერია, მაგრამ თუ დაფიქრდა და თანაც შეწუხდა, კიდურების ძალით დამორჩილებას შეეცადა – გადარეულ, სხვის ნებაზე მოხტუნავე, გიჟურად აცეკვებულ

ტიკინას ემსგავსება. სულ უფრო ჩქარ-ჩქარა იქნევს ხელ-ფეხს და ცდილობს, სიტყვებიც ამ სისწრაფეს ააყოლოს.

„კი მაგრამ, მისმინეთ, მისტერ მაკმერფი, მეგობარო, ჩემო ფსიქოპათო კოლეგავ, მის რეჩედი ჩვენი ჭეშმარიტი მფარველი ანგელოზია და ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ის ქარივით უანგაროა, მადლობისთვის კი არ ემსახურება საყოველთაო კეთილდღეობის საქმეს დილიდან დაღამებამდე, კვირაში ხუთი უსასრულო დღის განმავლობაში. ამას გული უნდა, ჩემო კარგო, გული. სხვათა შორის, სანდო წყაროდან ჩემთვის ისიცაა ცნობილი – წყაროს გამხელის უფლება არ მაქვს, ისე კი, იმ ხალხს მისტერ მარტინიც დიდი ხანია იცნობს, – კაცთა მოდგმის სამსახურს უქმე დღეებშიც რომ აგრძელებს, ათას საქმეს აუდის ქალაქში და თან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურვილით, უანგაროდ და უსასყიდლოდ. დღენიადაგ ქველმოქმედებაზე ფიქრობს, გაამზადებს საჩუქრად კონსერვებს, ყველს, საპონს და რომელიმე ხელმოკლე, ახლად შეუღლებული წყვილის მადლს მოისხამს ხოლმე.“ ჰარდინგის ხელები ჰაერში დაფარფატებენ, ნათქვამს ასურათხატებენ. „აჰა, შეხედეთ: აი ისიც, ჩვენი მთავარი ექთანი. ნაზად აკაკუნებს კარზე ბაფთებიანი კალათით ხელდამშვენებული. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სიხარულისგან ენა მუცელში უვარდება. ქმარს პირი დაუფჩენია, ცოლი ქვითინებს და ცრემლის დამალვას არც ცდილობს. მის რეჩედი ბინას ათვალიერებს. პირდება, სარეცხის ფხვნილისთვის ფულს გამოგიგზავნითო. დიახ, ჩემო ბატონო. კალათს შუა ოთახში დგამს. და როცა ჰაეროვანი კოცნებისა და ეთერული ღიმილების მერე ჩვენი ანგელოზი იქიდან მოდის, იმდენადაა გაბრუებული უანგარო ღვაწლის წყალობით მის ვეება მკერდში ჩამდგარი, ადამიანური სიკეთის ტკბილი რძით, საკუთარი დიდსულოვნებისაგან არაქათი ეცლება და ერთიანად იბნიდება. იბნიდება-მეთქი, გესმით? წამით კართან შეყოვნებული, ორი სიტყვის სათქმელად იმარტოხელებს მორცხვ პატარძალს და თავისი ჯიბიდან აძლევს ოც დოლარს: „წადი, შე საცოდავო, უბედურო ბავშვო, წადი და ერთი რიგიანი კაბა მაინც იყიდე.

მესმის, შენს ქმარს ამის საშუალება არა აქვს, მაგრამ აჰა, ეს გამო-მართვი და წადი!“ ამ საარაკო გულმოწყალებისთვის ახალგაზ-რდა ცოლ-ქმარი სამუდამოდ დავალებული რჩება მისგან.“

ჰარდინგი ტყვიამფრქვევივით ისვრის სიტყვებს, კისერზე ლამის ძარღვები დააწყდეს... როცა ბოლოს და ბოლოს ჩუმდება, განყოფილებაში სამარისებური დუმილია გამეფებული. არა-ვითარი სხვა ხმა არ ისმის რაღაცის სუსტი ბზრიალის გარდა – ეტყობა, მაგნიტოფონზე იწერენ ყველაფერს.

ჰარდინგი აქეთ-იქით იხედება, ხედავს, ყველა მე მომჩე-რებიაო და მთელი მონდომებით ცდილობს, გაიცინოს. ყელიდან ისეთი ხმა ამოსდის, თითქოს ნედლი ფიჭვის ფიცრიდან ლურ-სმანს აძრობენო – ییییყ–ییییყ–ییییყ. ვერაფერს უხერხებს ამ ხმას. ობობას საცეცებივით გრეხს თითებს და თვალებსაც მაგრად ხუჭავს ამ საშინელი წრიპინით შეძრწუნებული. გაჩერება კი არ შეუძლია. ნაძალადევი სიცილი თანდათან ძლიერდება, სანამ ბოლოს ერთს არ ამოიხრიალებს და მოწყვეტით არ ჩააგდებს თავს უკვე მომლოდინე ხელებში.

„ოხ, ეგ ძუკნა, ძუკნა, ძუკნა,“ ცრის კბილებში გამწარებული.

მაკმერფი მეორე სიგარეტსაც უკიდებს და ჰარდინგს უწ-ვდის. ჰარდინგი უსიტყვოდ ართმევს. მაკმერფი ჯერ ისევ რა-ღაცნაირი გაოცებული ინტერესით მისჩერებია, ისე უყურებს, თითქოს პირველად ხედავს ადამიანის სახეს. მანამდე უცქერის, ვიდრე მოკრუნჩხული ჰარდინგი ცოტა არ დაწყნარდება და ისევ მაღლა არ აწევს თავს.

„თქვენ მართალი ხართ,“ ამბობს ჰარდინგი. „აბსოლუტურად მართალი.“ მერე დანარჩენ პაციენტებზე გადააქვს მზერა. „ადრე ვერავინ გაბედა ამის თქმა, მაგრამ ყველა, როგორც ერთი, იმავეს ფიქრობს, იმავეს განიცდის სადღაც, საკუთარი დამ-ფრთხალი, პაწია სულის ფსკერზე.“

„ის გაპარული ცუანა ექიმი რაღას მიკეთებს?“ შუბლშეჭ-მუხნილი ეკითხება მაკმერფი. „მთლად დალაგებულს არ გავს, მარა ხო ხედავს, როგორ დაგატარებთ ყველას თავის ჭკუაზე?!“

ჰარდინგი ღრმა ნაფაზს არტყამს და სიტყვებს ბოლს აყოლებს. „ექიმი სპაივი... ექიმიც ზუსტად ჩვენს დღეშია, მაკმერფი, მშვენივრად ხვდება საკუთარ არასრულფასოვნებას. ერთი გულგახეთქილი, სასოწარკვეთილი, უსუსური პატარა ბაჭიაა, აბსოლუტურად უძლური, ძვირფასი მის რეჩედის დახმარების გარეშე გაუძღვეს ამ განყოფილების საქმეებს. და ეს თვითონაც იცის. კიდევ უარესი, ქალმაც იცის, ექიმმა რომ იცის და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ხშირ-ხშირად არ შეახსენოს. საკმარისია, ჩანაწერებში ან დიაგრამებში რამე უმნიშვნელო შეცდომა უპოვოს, სულ ცხვირს არტყმევინებს მაგიდაზე.“

„სწორია,“ ამბობს ჩესვიკიც და მაკმერფის უახლოვდება, „მტრისას, შეცდომა თუ გაგვეპარა.“

„მერე რატო არ დაიქნევს?“

„ამ საავადმყოფოში,“ უხსნის ჰარდინგი, „ ექიმს არც არავის დანიშვნის უფლება აქვს და არც დათხოვნის. ეს უფროს ზედამხედველს ეხება, უფროსი ზედამხედველი კი ქალია, მის რეჩედის ძველისძველი და გულითადი მეგობარი: ოცდაათიან წლებში ერთად მსახურობდნენ მოწყალების დებად ჯარში. ჩვენ მატრიარქატის მსხვერპლი გახლავართ, ჩემო მეგობარო, და ამ მატრიარქატის წინაშე ექიმიც ჩვენსავით უძლურია. კარგად იცის, საკმარისია მის რეჩედმა ხელი გაიწვდინოს, ტელეფონის ყურმილს დასწვდეს, ზედამხედველს დაურეკოს და სხვათა შორის უთხრას, ვთქვათ, ასეთი რამ – ექიმი სპაივი, მგონი, მეტისმეტად ბევრ დემეროლს უკვეთავსო...“

„მოიცა, მოიცა, ჰარდინგ. ეგეთი ალაფრონცკი სიტყვების გაგება ცოტა მიჭირს.“

„დემეროლი, ჩემო მეგობარო, სინთეტიკური ნარკოტიკია, რომელსაც კაცი ორჯერ უფრო სწრაფად ეჩვევა, ვიდრე ჰეროინს. ექიმებისთვის ამგვარი გართობა საკმაოდ ხშირი და ჩვეულებრივი ამბავია.“

„ეგ ცუანა? ნარკომანი?“

„არ ვიცი, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი.“

„აბა, მაშინ სიაბანდზე დაბრალებით რას მოიგებს...“

„ოოო, თქვენ, ეტყობა, გულისყურით არ მისმენთ, ჩემო მეგობარო. არაფერსაც არ აბრალებს. უბრალოდ ეჭვს აღვივებს, ნებისმიერ ეჭვს, ვერ ხვდებით? აი, თუნდაც დღეს, ვერ შეამჩნიეთ? მიიხმობს ხოლმე ვინმეს, მაგალითად, ექთნების სამორიგეოსთან, დააყუდებს და საწოლის ქვეშ ნაპოვნ ქაღალდის ხელსახოცზე ჩამოუგდებს სიტყვას. უბრალოდ შეეკითხება, იქ საიდან გაჩნდაო? მეტი არაფერი. ავადმყოფი კი დარწმუნებულია, რაც არ უნდა ვუპასუხო, მაინც ტყუილი გამომივაო. თუ ეტყვის, კალმისტრის გასაწმენდად მინდოდაო, – აჰა, კალმისტრის, გასაგებიაო – მიუგებს ქალი; თუ სურდოს მოიმიზეზებს, – გასაგებია, სურდოო – დაუქნევს პაწია, კოხტად დავარცხნილ ჭაღარა თავს და გაიღიმებს, სათნო, უზადო ღიმილით დააჯილდოებს, ისევ ექთნების სამორიგეოში შებრუნდება, პაციენტს კი გაოგნებულს დატოვებს კარებთან – ნეტავი მართლა რაში დამჭირდა ის ხელსახოციო?“

ჰარდინგს ისევ ცახცახი იტანს, ისევ მხრებში მალავს მკერდს.

„არა. ვინმეს დადანაშაულება და ბრალის დადება არაფერში სჭირდება. უბრალოდ, ეჭვის დათესვის გენიითაა დაჯილდოებული. განა დღეს, დღევანდელ შეკრებაზე, რამეში დამდო ბრალი? არადა, მაინც თითქოს უამრავი ბრალდება წამიყენეს, ეჭვიანობაც დამაბრალეს, პარანოიაც, უვარგისი ქმრობაც, მამრობითი სქესის მეგობრებთან არაჯანსაღი ურთიერთობაც, ხელში სიგარეტის უცნაურად დაჭერაც, ის კი არა, მგონი, დარწმუნდნენ კიდეც – ლაჯებშუა არაფერი ჰქონია ერთი ბლუჯა თმის მეტიო! თანაც ფაფუკი, ნაზი ქერა თმის მეტი! ყვერიგლეჯიაო? არა, თქვენ მას სათანადოდ ვერ აფასებთ!“

ჰარდინგი მოულოდნელად ჩუმდება, წინ იხრება და ცდილობს, მაკმერფის ხელი ხელებში მოიმწყვდიოს. უცნაურად წამახვია, უცნაურად წაწვეტებია, წითელ და ნაცრისფერ კუთხეებად ქცევია სახე – დამსხვრეული ღვინის ბოთლი.

„ეს ქვეყანა... ძლიერებს ეკუთვნით, ჩემო მეგობარო! ჩვენი

არსებობის რიტუალი სუსტის შთანთქმის გზით ძლიერის კიდევ უფრო გაძლიერებაზეა დაფუძნებული. ამ ამბავს თამამად უნდა გავუსწოროთ თვალი. ასეც უნდა იყოს, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სამყაროს კანონად ამის აღიარება. რიტუალში კურდღლები მორჩილად ასრულებენ საკუთარ როლს და მგლის ძლიერებას აღიარებენ. თავდაცვის მიზნით კურდღელი ეშმაკი ხდება, მშიშარა, ფეხმარდი, სოროებს თხრის და შორიახლოს მგლის სუნი თუ იკრა, სოროში იმალება. მხოლოდ ასე ძლებს, ასე აგრძელებს სიცოცხლეს. იცის თავისი ადგილი. რასაკვირველია, მგელს არასოდეს ინვევს ბრძოლაში. და რომც გამოეწვია, განა ეს გონივრული იქნებოდა? ა, გონივრული იქნებოდა-მეთქი?“

მაკმერფის ხელს უშვებს, სკამის საზურგეს ეყუდება, ფეხს ფეხზე იდებს და ერთხელაც არტყამს ღრმა ნაფაზს. მერე გაწელილი, ნაძალადევი ღიმილიდან სიგარეტს იძრობს და ისევ სიცილს იწყებს – იიყ–იიყ–იიყ, თითქოს ფიცრიდან ლურსმანს ექაჩებიანო.

„მისტერ მაკმერფი... ჩემო მეგობარო... მე წიწილა არა ვარ, მე კურდღელი ვარ. ექიმიც კურდღელია. აი, ჩესვიკიც. ბილი ბიბიტიც. ყველანი კურდღლები ვართ, სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვანაირი, დავხტუნავთ და დავკუნტრუშებთ ამ ჩვენს უოლტ დისნეის სამყაროში. სწორად გამიგეთ, ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოგვიყარეს თავი, კურდღლები რომ ვართ – ჩვენ ყველგან კურდღლები ვიქნებოდით – არამედ იმიტომ, საკუთარ კურდღლობასთან შეგუება რომ არ შეგვიძლია. ექთანივით ძლიერი და ღონიერი ერთი კარგი მგლის გარეშე გაგვიჭირდებოდა ჩვენი ადგილის პოვნა.“

„შენ, ძმაო, მართლა სულელივით ლაპარაკობ. ესე იგი, აპირებ, გულხელდაკრეფილი იჯდე აქ და ვიღაც ბებერ, ცისფერთმიან ქალს მიცე ნება გიჩიჩინოს, კურდღელი ხარო?“

„არავინ არაფერი არ უნდა მიჩიჩინოს, არა. მე კურდღლად დავიბადე. აბა შემომხედე. უბრალოდ, გადია მჭირდება, ჩემმა ხვედრმა თან ბედნიერებაც რომ განმაცდევინოს.“

„კურდღელი არა, ჩემი ფეხები!“

„ყურებს ხედავ? აცახცახებულ ცხვირს? პატარა, მოკლე, კოხტა კუდს?“

„ისე ლაპარაკობ, თითქოს მართლა გი...“

„გიჟი ვიყო, არა? როგორი გამჭრიახი ბრძანებულხართ!“

„მორჩი ეხლა, ჰარდინგ, ხო ხვდები, რასაც გეუბნები? ეგეთ გიჟობას არ ვგულისხმობ. შენ... ფუი ეშმაკს... გამიკვირდა კიდეც, რა ჭკვიანები ხართ ყველანი. მე თუ მკითხავთ, ქუჩაში გამვლელ ნებისმიერ სირზე გიჟებს ნაღდად არ გავხართ...“

„აჰა, ესე იგი, ქუჩაში გამვლელ ნებისმიერ სირზე, არა?“

„მოკლედ, ისეთი გიჟები არა ხართ, აი, კინოებში რო არიან ხოლმე, ხო გესმის? უბრალოდ, გათიშულები ხართ და... რაღაცნაირად...“

„რაღაცნაირად კურდღლებს ვგავართ, ხომ?“

„კურდღლების დედაც!.. რა გამიხურე შენი კურდღლებით!“

„მისტერ ბიბიტ, აბა ერთი ხტუნვა-ხტუნვით შემოუარეთ მისტერ მაკმერფის! მისტერ ჩესვიკ, აჩვენეთ ჩვენს ახალ მეგობარს, როგორი ფაფუკი ბეწვი გაქვთ!“

ბილი ბიბიტიც და ჩესვიკიც უცებ, პირდაპირ ჩემ თვალწინ, მობუზულ, თეთრ კურდღლებად იქცევიან, ოღონდ, ეტყობა, ჰარდინგის ბრძანების შესრულების ძალიან რცხვენიათ.

„ხედავთ, მაკმერფი, ეუხერხულებათ. ისე, რა ლამაზები არიან, არა, რა საყვარლები?! შეიძლება იმისიც რცხვენიათ, მეგობარს გვერდში ვერ დავუდექითო. შეიძლება დამნაშავედ გრძნობენ თავს, რადგან ერთხელ კიდევ იძულებით აქციეს დაკითხვის თანამონაწილეებად. გამხნევდით, მეგობრებო, არაფერი გჭირთ სასირცხვილო. ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს. კურდღელს მოძმისთვის თავგამოდება არ მოეთხოვება. ასეთ საქციელს უგუნურობადაც კი ჩაუთვლიდნენ. ნუ ღელავთ, თქვენ ჭკვიანურად მოიქეცით, ლაჩრულად, მაგრამ ჭკვიანურად.“

„მომისმინე, ჰარდინგ,“ ამბობს ჩესვიკი.

„არა, არა, ჩესვიკ. სიმართლე ნუ გაგაბრაზებს.“

„მომისმინე-მეთქი! დრო იყო, მეც იგივეს ვამბობდი ბებერ ქალბატონზე, რაც ახლა მაკმერფიმ თქვა.“

„ხო, ოღონდ ძალიან ჩუმად ლაპარაკობდი და მერე საკუთარი სიტყვები უკან წაიღე. შენც კურდღელი ხარ და ნუ ცდილობ, სიმართლეს თვალი აარიდო. ამიტომაც არ მწყენია დღევანდელი შენი შეკითხვები. შენც დაკისრებულ როლს თამაშობდი. ტატამზე შენ რომ გაეყვანე ან ბილი, ან, ვთქვათ, ფრედრიქსონი, მეც ზუსტად ისეთივე გაშმაგებით შემოგიტევდით. ჩვენ საკუთარი საქციელის არ უნდა შეგვრცხვეს; ჩვენგან, უმწეო ცხოველებისგან, სხვას არც მოელის არავინ.“

მაკმერფი სკამზე სანახევროდ ტრიალდება და მწვავეებს ათვალიერებს, რიგრიგობით, დაჟინებით. „მართალი გითხრა, არ მესმის რატო არ უნდა ცხვენოდეთ. ჩვენში დარჩეს, ძაან ბინძურად მოგაწვნენ იმ აფთართან ერთად. ერთი წუთით ისიც ვიფიქრე, უკან, წითელი ჩინელების ბანაკში ხო არ დამაბრუნეს-მეთქი...“

„თუ ღმერთი გწამს, მაკმერფი,“ ამბობს ჩესვიკი, „ერთი მეც მომისმინე.“

მაკმერფი ინტერესით უყურებს, მოსასმენად ემზადება, მაგრამ ჩესვიკი სიტყვას აღარ აგრძელებს. სხვათა შორის, სულ ასე იცის, ერთი იმათგანია, დიდ ალიაქოთს რომ წამოიწყებენ ხოლმე, თითქოს შეტევაზე გადასულ ჯარს სარდლობენო, ყიჟინით მოუწოდებს ყველას იერიშისკენ, ცოტა ხანს ფეხებსაც აბაკუნებს, ერთ-ორ ნაბიჯსაც გადადგამს წინ, მერე კი ჯორივით შტერდება. მაკმერფი თვალს არ აშორებს ისევ უწინდელივით დამფრთხალ და გაპარულ ჩესვიკს, ცოტა ხანში კი ეუბნება – ხო, მართლა ძაან გავდა ჩინელების ბანაკსო.

ჰარდინგი შემრიგებლურად სწევს მაღლა ორივე ხელს. „არა, არა, ეგ სწორი არ არის. თქვენ არ უნდა დაგვძრახოთ, მეგობარო. არავითარ შემთხვევაში. სინამდვილეში...“

ვხედავ, ჰარდინგს ისევ ეშმაკურად აციმციმებია თვალები; მგონია, ისევ სიცილს აპირებს-მეთქი, მაგრამ არ იცინის, პი-

რიდან სიგარეტს იღებს და მაკმერფისკენ იშვერს – აბოლებუ-ლი სიგარეტიც იმის ერთ-ერთ თხელ, თეთრ, ნატიფ თითს გავს.

„...თქვენც, მაკმერფი, მთელი თქვენი კოვბოური ბაქიბუქის და ბალაგანური ყოყლოჩინობის მიუხედავად, მაგ უხეში გარსის ქვეშ ალბათ ისეთივე ფაფუკი და ფუმფულა ყურცქვიტა ბრძანდებით, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი.“

„აბა, ბიჭო, გამოცანა გერგება! მეც პატარა ნაცარა ვარ. არა, მაინც რით მამსგავსებ კურდღელს, ჰა, ჰარდინგ? ჩემი ფსიქოპათიური მიდრეკილებებით? ჩხუბის სიყვარულით თუ ქალების? ალბათ ქალების, არა? ჩქარ-ჩქარა, ერთი, ორი და მორჩა, არა? ეგრე ფიქრობ? მაგით ვგავარ კურდღელს?..“

„მოითმინეთ, ვშიშობ, ისეთი საკითხი წამოჭერით, უთუოდ სერიოზული დაფიქრება სჭირდება. კურდღლები სწორედ მაგ უნარით არიან ცნობილი, არა? შეიძლება ითქვას, საარაკოდ ცნობილიც ამ თავიანთი სისწრაფის გამო. დიახ, ჰმ. მაგრამ, ასეა თუ ისე, თქვენი შენიშვნა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ უბრალოდ ჯანმრთელი, სრულყოფილი და უაღრესად აქტიური კურდღელი ბრძანდებით, მაშინ, როცა ჩვენი უმრავლესობა აქ ნებისმიერ სექსუალურ გამოცდილებას მოკლებულია და სრულყოფილ კურდღლადაც ვერ ჩაითვლება. ჩვენ, დამარცხებათა ნამსხვრევები – სუსტი რასის ყველაზე გამოფიტული, უვარგისი და უმაქნისი წარმომადგენლები ვართ. სისწრაფედაკარგული კურდღლები – თუკი ეს განსაზღვრება მეტისმეტად პათეტიკურად არ მოგეჩვენებათ.“

„დაიცა, ნუ გაუტევ; ჩემ ნათქვამს ყოველ წუთას ნუ ამახინჯებ...“

„არა, თქვენ მართალი იყავით. გახსოვთ, აკი სწორედ თქვენ მიაპყარით ყურადღება იმ ადგილს, სადაც ასეთი შეუპოვრობით გვინისკარტებს მთავარი ექთანი? სრული სიმართლე ბრძანეთ. ერთ კაცსაც ვერ ნახავთ აქ, ვისაც შიში არ კლავდეს, ვაითუ დავკარგო ანდა სულაც უკვე დავკარგე კურდღლის ჯიშის საამაყო სისწრაფეო. ჩვენ, პაწაწინა კომიკურ არსებებს, კურდღლების

სამყაროშიც კი არ შეგვიძლია საკუთარი მამრობის გამომჟღავნება, რა ვქნათ, აი, ასეთი სუსტები და არასრულფასოვნები ვართ! აბაა. ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კურდღლებშიც ყველაზე დიდი კურდღლები გახლავართ!“

ჰარდინგი ერთხელ კიდევ იხრება წინ, ყელიდანაც ისევ ის დაჭიმული, ჭრაჭუნა ხმა ამოსდის, რასაც ამდენ ხანს ველოდი, და სახედაღრეჯილი, უაზროდ იწყებს ჰაერში ხელების ფათურს.

„მოკეტე, ჰარდინგ!“

გინდაც სილა გაერტყას მაკმერფის. ჰარდინგი ჩუმდება, ჯერაც პირდაფჩენილი და ტუჩმოქცეული, უცებ მოდის გონს და აწეული ხელები თამბაქოს ცისფერ ღრუბელში უშეშდება. წამით ასეა გახევებული, მერე თვალები ეშმაკურად უვიწროვდება, ორ პაწაწინა ხვრელად ექცევა, თვალებს ნებას აძლევს, მაკმერფისკენ გაექცნენ და თან ისე ჩუმად ლაპარაკობს, იძულებული ვხდები, ლამის ზედ გადავაწყდე ჩემი ცოცხიანად, ოღონდ რამე გავიგონო.

„თქვენ... ჩემო მეგობარო... თქვენ, შეიძლება მგელიც იყოთ.“

„მორჩი ბაზარს, რა კურდღელიც შენა ხარ, მეც ის მგელი ვარ. არ გადამიყვანა ჭკუიდან, ცხოვრებაში არ გამიგია ეგეთი...“

„რა ვიცი, ძალიან მგელივით კი იღრინებით.“

მაკმერფი ხმამაღალი შიშინით უშვებს ფილტვებიდან ჰაერს და მზერა ჰარდინგიდან ირგვლივ მდგომ მწვავეებზე გადააქვს. „მისმინეთ ყველამ! რა ჯანდაბა გჭირთ? ბოლო-ბოლო არც ეგეთი გიჟები ხართ, თქვენი თავი რაღაც ცხოველები გეგონოთ.“

„არა,“ ამბობს ჩესვიკი და მაკმერფის გვერდით დგება. „ნაღდად არა ვართ, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც. რა კურდღელი, რის კურდღელი...“

„ჯიგარი ხარ, ჩესვიკ. აბა, ეხლა თქვენც, ყველამ ერთად მიაფურთხეთ ამ სისულელეს. შეხედეთ ერთმანეთს, რა დღეში ხართ, იქამდე მიგიყვანეს, ჩასვრილები კანკალებთ ვიღაც ორმოცდაათი წლის დედაკაცის შიშით. აზრზე მოდით, რა შეუძლია, რას გიზამთ?“

„მართლაც, რას?“ ამბობს ჩესვიკი და დაჟინებით აშტერდება დანარჩენებს.

„როზგით ვერ გცემთ, შანთით ვერ დაგდაღავთ, ძელზე ვერ გაგსვამთ. ეგეთები ეხლა კანონით ისჯება, შუა საუკუნეები ხო აღარ არი. არ არსებობს ვარიანტი...“

„შენ თვითონ ნნნახე, რაც შეუძლია გგგვიყოს! დღეს, ششეეკ-რებაზე.“

ვხედავ, ბილი ბიბიტს ისევ ადამიანური სახე დაბრუნებია. დორბლით პირდამბალი და სახეაჭარხლებული მაკმერფისკენ იხრება, ცდილობს, სათქმელი დააბოლოოს. მერე ტრიალდება და მიდის. „ეეეხ, უუუაზრობაა ყველაფერი. თთთავის მოკვლა ჯობია.“

მაკმერფი უკან ადევნებს სიტყვას. „დღეს? რა ვნახე მაინც დღეს? ჩემი ფეხები, უბრალოდ ერთი-ორი რაღაც გკითხათ, თან სუ ერთმანეთზე უკეთესი, იოლი შეკითხვები იყო. შეკითხვა რა, ძვლებს დაგიმტვრევთ? კომბალია თუ ქვა?“

ბილი უკან ბრუნდება. „კი, მაგრამ რორორროგორ გვეკითხე-ბოდა...“

„შენც ნუ უპასუხებდი, რა, არ შეიძლება?“

„თუ ააარ უპასუხებ, ერთს გაგაგაგიღიმებს და რაღაცას ჩჩჩჩაიწერს თავის პატარა წიგნაკში, მერე ადადად... ოოოხ, ჯანდაბას ყყყველაფერი!“

ბილის სქანლონი უბამს მხარს. „ შეკითხვებზე თუ არ უპა-სუხე, მაკ, დუმილით მხოლოდ საკუთარ დანაშაულს აღიარებ, ზუსტად ისევეა, როგორც ხელისუფლებაში გაჩითული ნა-ბიჭვრები გამოგიჭერენ ხოლმე კაცს. ვერაფერს ვერ იზამ. ერთა-დერთი – ძირფესვიანად უნდა ააფეთქო ქვეყნიერება, სამუდა-მოდ აღგავო ამ დამპალი მიწიდან – ერთხელ და სამუდამოდ.“

„კარგი და, როცა რამეს გეკითხება, რატო არ ეტყვი, საყვა-რელო, მოკეტე და კოჭი გააგორეო?“

„დიახ,“ ამბობს ჩესვიკი და მუშტს იქნევს, „უთხარით, მოკეტოს და კოჭი გააგოროს.“

„მაგით რა გამოვა, მაკ? ღიმილით მოგიბრუნდება და – სწორედ ამ შეკითხვამ რატომ გაგაღიზიანათ ასე, პაციენტო მაკმერფიო – გეტყვის.“

„ხოდა, შენც კიდე ერთხელ გააგორებინე კოჭი. იმასაც და სხვასაც. ჯერ ხო არ გერჩიან მაგისთვის?“

მწვავეები სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან მაკმერფის, წრეში იქცევენ. ამჯერად უკვე ფრედრიქსონი პასუხობს. „კი ბატონო, შენ ეგრე ეტყვი და მაშინვე პოტენციურად აგრესიულების სიაში ჩაგწერენ, ზედა სართულზე აგაბრძანებენ დასაბმელების განყოფილებაში. ეგ გამოვცადე. სამჯერ. იმ შტერებს, ზევით, შაბათობით კინოს საყურებლად გასვლის ნებას არ აძლევენ და ტელევიზორიც კი არ უდგათ განყოფილებაში.“

„თანაც, ჩემო მეგობარო, თუკი თქვენ ჯიუტად ეცდებით ამგვარი მტრული მიდრეკილებების გამომჟღავნებას – კოჭის გაგორებაზე გეუბნებით – დასაშოკში მიმავალთა მწკრივშიც ჩაგაყენებენ. შეიძლება უარესიც დაგმართონ, ვთქვათ, ოპერაცია, ან...“

„გეყოფა, ჰარდინგ, ხო გითხარი, ეგეთი ლაპარაკი არ მესმის-მეთქი.“

„დასაშოკი, მისტერ მაკმერფი, ჟარგონია და ეშთ-ს მანქანას ნიშნავს, ელექტროშოკური თერაპიის მანქანას. ამ მოწყობილობას შეიძლება ძილის წამლის ფუნქციის შესრულება დააკისრონ ან ელექტრონის სკამის, ან რამე სხვა წამების იარაღის. ხანმოკლე, გონივრული პროცედურაა – მარტივი, სწრაფი და თითქმის უმტკივნეულო ამ სისწრაფის წყალობით. თუმცა ხელმეორედ იგივეს განცდა ჯერ არასდროს არავის მონდომებია. არასდროს.“

„მაინც რას შვება ეგ რაღაცა?“

„პაციენტს მაგიდაზე აბამენ, თქვენ შეიძლება დაცინვადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ზუსტად ჯვარცმულივით აკრავენ ზედ, ეკლის გვირგვინის ნაცვლად ელექტრონული ნაპერწკლების გვირგვინს ადგამენ თავზე და აქეთ-იქიდან მავთულებს უერ-

თებენ. ზაპ! და ხუთი ცენტის ღირებულების ელექტროენერგია თვალის დახამხამებაში გაირბენს ტვინში. თქვენ უკვე ნამკურნალებიც ხართ და დასჯილიც თქვენი კოჭების გაგორ-გამოგორებისთვის, თანაც ველარავის გადაეღობებით გზაზე სულ ცოტა ექვსი საათი ანდა სულაც სამი დღე – ეს ინდივიდზეა დამოკიდებული. გონზე მოსვლის შემდეგაც, რამდენიმე დღის განმავლობაში ორიენტაცია დაკარგული გექნებათ, რაღაც-რაღაცეებს ვერ გაიხსენებთ. ერთი-ორჯერ ამ მეთოდით მკურნალობა და კაცი შეიძლება მისტერ ელისად იქცეს – აგერ, მოპირდაპირე კედელთან ხედავთ! დორბლიან, ქვეშაფსია იდიოტად ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. ანდა უგუნურ ორგანიზმად, რომელიც მხოლოდ ჭამს, კუჭში გადის და „ცოლის დედაცო“ – ღრიალებს ჩვენი რაქლივით. გნებავთ, თუნდაც ბელად ცოცხს შეავლეთ თვალი, საკუთარ სეხნიას რომ ჩაფრენია სწორედ თქვენ გვერდით.“

ჰარდინგი ჩემკენ იშვერს სიგარეტს, იმდენად მოულოდნელად, ველარც ვასწრებ უკან გავდგე, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდე და ვერაფერს ვხვდებოდე, და იქვე ვაგრძელებ იატაკის მოგვას.

„როგორც ამბობენ, რამდენიმე წლის წინ, როცა შოკური თერაპია ძალიან მოდურად ითვლებოდა, ბელადისთვის ორასზე მეტი პროცედურა ჩაუტარებიათ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა უკვე ისედაც თითქმის ამღვრეული გონება. შეხედეთ, რას ჰგავს: ბუმბერაზი დამლაგებელი. გადაშენების გზაზე დამდგარი ჭეშმარიტი ამერიკელი, ორმეტრიანი მანქანა-ცოცხი, ვისაც საკუთარი ჩრდილის დანახვაზეც კი გული უსკდება. აი, რა გვემუქრება ყველას, ჩემო მეგობარო.“

მაკმერფი ცოტა ხანს უხმოდ მიყურებს და მერე ისევ ჰარდინგისკენ ტრიალდება. „მეც მაგას გეუბნები, როგორ ითმენთ მეთქი ეგეთ რამეებს? ხმის უმრავლესობით ვერ გადაწყვეტთ ყველაფერს? ექიმი რა, სიაბანდზე ბაზრობდა დემოკრატიაზე?“

ჰარდინგს ამ სიტყვებზე მხოლოდ ეღიმება, დინჯად არტყამს კიდევ ერთ ნაფაზს. „კი მაგრამ, რას ვუყაროთ კენჭი?

შეკრებებზე მთავარმა ექთანმა რამის კითხვა გაგვიბედოს თუ არა? თავისებურად აღარ შემოგვხედოს ხოლმე? მითხარით ერთი, მაინც რა გადავწყვიტოთ ხმის უმრავლესობით, მისტერ მაკმერფი?“

„სულერთია, რაც გინდათ. რა მნიშვნელობა აქვს? უბრალოდ, უნდა დაანახოთ, ცოტა ვაჟკაცობა მაინც შეგვრჩაო. ბოლომდე არ უნდა დაისვათ თავზე. სარკეში ჩაიხედეთ: ამბობთ, ბელადს თავისი ჩრდილის ეშინიაო, არადა, თუ სიმართლე გინდათ, თქვენისთანა ჩაფსმულები ჯერ არ მინახია, ძმებო!“

„ჩემ გარდა!“ ამბობს ჩესვიკი.

„კი ბატონო, მარა დანარჩენებს კაცურად გაცინებისაც ეშინიათ. თავიდანაც მაგან დამცენტრა – არავინ რო არ იცინოდა. რაც აქ შემოვედი, ჯერ გულიანი სიცილი არ გამიგონია, როგორი ამბავია?! გაცინებაც თუ ველარ მოახერხე, მორჩა, საბოლოოდ დაბრედილი ხარ. ქალი თუ ეგრე გაათამამე, სიცილიც რო დაგავიწყოს, დაგრხევია და ეგ არი. ეჭვიც თუ გაგიჩდა, მგონი მაჯობაო, ჩათვალე...“

„აჰაა, ძმებო კურდღლებო! მე მგონი, ჩვენი მეგობარი თანდათან რაღაცეებს ხვდება. თუ შეიძლება, მითხარით, მისტერ მაკმერფი, მაინც როგორ უნდა დაუმტკიცოს მამაკაცმა ქალს უპირატესობა, თუკი, რა თქმა უნდა, არ დასცინებს და აბუჩად არ აიგდებს? როგორ დაანახვოს, ვინ არის კვერთხის მპყრობელი? თქვენნაირმა კაცმა, წესით, უნდა აგვიხსნას. ცემას ხომ არ დაუწყებს? თუ სცემთ, აუცილებლად გიჩივლებთ. არც ყვირილს და თმის გლეჯას ექნება აზრი; მაინც გაჯობებთ, მშვიდად ეცდება, დააწყნაროს დიდი, ბებერი, ბრაზიანი ბიჭუნა: „ჩვენი პატარა გაჭირვეულდა? ოოიიი, რა ცუდი ბიჭი ყოფილა.“ როგორ ფიქრობთ, ადვილია ღირსეული და გაბრაზებული სახის შენარჩუნება, როცა ასე გელაპარაკებიან? მოკლედ, დაახლოებით მართლა ისეა საქმე, როგორც თქვენ ბრძანეთ: თანამედროვე მსახვრალი მატრიარქატის წინააღმდეგ კაცს მხოლოდ ერთადერთი ნამდვილად ქმედითი იარაღი მოეძევება. ოღონდ, რა თქმა უნდა,

ეს იარაღი სიცილი არ გახლავთ. არადა, ჩვენს მელანქოლიურად მოქანცულ და მოტივაციურად გამოკვლეულ საზოგადოებაში ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხვდება, როგორ აქციოს უსარგებლოდ ეს ერთადერთი იარაღიც და როგორ დაიპყროს ისინი, ვინც ერთ დროს დამპყრობლები იყვნენ...“

„ღმერთო, შენ მაინც მიშველე, ჰარდინგ, უკვე მართლა გარეკე, აი,“ ამბობს მაკმერფი.

„...თქვენ კი გგონიათ, მთელი თქვენი საჯაროდ გამომზეურებული ფსიქოპათიური ღირსებების მიუხედავად, შეძლებთ ეფექტურად გამოიყენოთ თქვენი იარაღი ჩვენი ჩემპიონის წინააღმდეგ? მისტერ რეჩედის წინააღმდეგ, მისტერ მაკმერფი? როდისმე მაინც?“

ცალ ხელს შუშის კოლოფისკენ იშვერს. ყველა იქითკენ აბრუნებს თავს. ის კი ზის იმ კოლოფში, ფანჯარასთან, მაგნიტოფონიც სადღაც დაუმალია, არადა, ვიცი, ყველაფერს იწერს და უკვე გეგმებსაც აწყობს, რა ზომები უნდა მიიღოს.

ამჩნევს, ყველა იმას რომ მივჩერებივართ, თავს გვიქნევს და ჩვენც მაშინვე ვარიდებთ თვალს. მაკმერფი ქუდს იხდის და თითებს წითურ თმაში იფათურებს. ახლა უკვე ყველას მზერა მისკენაა მიმართული; ყველანი მაკმერფის პასუხს ელოდებიან და ამას თვითონაც ხვდება. გრძნობს, რაღაც ხაფანგში გავებიო. ქუდს ისევ იხურავს და ნაიარევ ცხვირს იფხანს.

„შენ თუ ის გაინტერესებს, ამ ბებერ სვავს დავადებდი თუ ვერა, არა მგონია, მაგდენზეც გავქაჩო...“

„რატომ, არც ეგეთი ჩამოსაწერია, მაკმერფი. სახე საკმაოდ სანდომიანი აქვს, შენახულიც კარგადაა და მთელი მონდომების მიუხედავად – უსქესო არსებად მოგვაჩვენოს თავი – მართლაც რომ არაჩვეულებრივი ძუძუები მაინც აუცილებლად გეცემა კაცს თვალში. თავის დროზე ლამაზი ქალი იქნებოდა. და მაინც, რაკი ვკამათობთ, იმ შემთხვევაში თუ იკისრებდით, ხნიერი რომ არ იყოს, ახალგაზრდასთან და ელენესავით მშვენიერთან?“

„ელენეს არ ვიცნობ, მარა ვხვდები, საითაც ურაკუნებ.

ალალად გეუბნები – მართალი ხარ. მაინც ვერ ვიკისრებდი. მერლინ მონროც რო იყოს, ეს გაყინული სახე მაინც დამიგდებდა.“

„მეც მანდა ვარ! ესე იგი, გაჯობებდათ.“

ესაა და ეს. ჰარდინგი სკამზე ითხლაშება და ყველა ელოდება, ამაზე რაღას უპასუხებს მაკმერფი. მაკმერფიც ხვდება, კუთხეში მიმიმწყვდიესო. ერთ წუთს გარშემო მდგომთა სახეებს ათვალიერებს, მერე მხრებს იჩეჩავს და დგება.

„კი ბატონო, ეგრე იყოს, მეტი სადარდებელი არ მომცა ღმერთმა.“

„სწორია, არც უნდა იდარდოთ.“

„რა ჩემფეხებად მინდა, ვიღაც ბებერი, შექანებული ექთანი კუდში დამდევდეს და სამი ათასი ვოლტით მემუქრებოდეს. მით უმეტეს, თუ ამ საქმიდან ვერაფერს ვიხეირებ პატარა თავგადასავლის გარდა.“

„სწორი ბრძანებაა. ვერაფერს.“

ჰარდინგმა კამათში კი გაიმარჯვა, მაგრამ ამას არავინ გაუხარებია. მაკმერფი ცერებს ჯიბეებში იყოფს და ცდილობს, გაიცინოს.

„არა, ბატონო, მარტო საქველმოქმედო მიზნით ამ ბებერ ყვერიგლეჯიას ნაღდად ვერ დავადებ.“

ამ სიტყვებზე ყველას ეღიმება, თუმცა უგულოდ, ნაძალადევად. მიხარია, ყველაფრის მიუხედავად, მაკმერფი იხტიბარს რომ არ იტეხს და არც ისეთ საქმეში გარევას აპირებს, რასაც ვერ მოერევა. თუმცა ისიც ვიცი, ბიჭები რას ფიქრობენ. მაინცდამაინც ბედნიერად არც თვითონ ვგრძნობ თავს. მაკმერფი ახალ სიგარეტს უკიდებს. ჯერ არავინ შერხეულა, უწინდებურად დგანან, უხერხულად იღიმებიან. მაკმერფი ერთხელ კიდევ იფხანს ცხვირს და მზერა მწვავეების ერთმანეთს მიტყუპებული, გაშტერებული სახეებიდან ისევ მთავარ ექთანზე გადააქვს, თან ტუჩს იკვნეტს.

„მარა, შენ ამბობ... სანამ ბოლომდე არ ამოგიყვანს ყელში, იქ, ზევით, ვერ გაგაგ ზავნისო, არა? სანამ რამენაირად მოთმი-

ნებიდან არ გამოგიყვანს და ბოლო-ბოლო დედას არ გაგინებინებს, ფანჯრებს არ ჩაგალეწინებს ან რამე ეგეთი, არა?“

„დაახლოებით.“

„დარწმუნებული ხარ? ერთი ბუნდოვანი აზრი გამიჩდა, ცოტა-ცოტა როგორ გაგპუტოთ წიწილები და იმიტო გეკითხები. ოღონდ შარი არ მინდა. ერთი სიცოცხლე გავათავე, სანამ იმ მეორე ორმოდან ამოვძვერი; ისე არ მომივიდეს – ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო.“

„აბსოლუტურად დარწმუნებული. სანამ რამე ისეთს არ ჩაიდენ, რაც ნამდვილად იმსახურებს დასაბმელების განყოფილებაში გადაყვანას ან ეშთ-ს, დედიკო ფაქტიურად უძლურია. თუ მაგარი ბიჭი გამოდექი და ბოლომდე არ აყევი, ვერაფერს გიზამს.“

„მოკლედ, კარგად თუ მოვიქეცი და არ ვაგინე...“

„ან იმას, ან იმის ერთ-ერთ თანაშემწეს.“

„...ან ერთ-ერთ თანაშემწეს თუ არ დავახურე, ან აქაურობას ჩემ გემოზე არ დავუარე, ფეხებსაც ვერ მომჭამს?“

„ამ წესებს ვიცავთ თამაშისას. თუმცა გამარჯვებული, რა თქმა უნდა, მუდამ ის რჩება ხოლმე. მუდამ. იმას ხომ არაფერი ემუქრება, შეუვალია, და რაკი დროც იმის მხარესაა, არსად არ ეჩქარება, ნელ-ნელა ყველას ამოგვიტრიალებს გულ-მუცელს. ამიტომაც ითვლება საავადმყოფოს საუკეთესო ექთნად და ამიტომაც აძლევენ ამდენის უფლებას; მოცახცახე ლიბიდოს სააშკარაოზე გამოტანის უბადლო ოსტატია...“

„გავარტყი მაგეებს. შენ ის მითხარი, რამე თუ მემუქრება, თამაშში რო ავყვე? კრავივით წყნარი და უწყინარი თუ ვიქენი და ფეხქვეშ გავეგე, სხვას ჩემთვის რასაც არ უნდა ვეშმაკობდე, დენს არ შემიერთებს?“

„სანამ თავს იკავებ, არაფერი გემუქრება. სანამ მოთმინებიდან არ გამოდიხარ და მართლა არ აძლევ საბაბს, დასაბმელებში შენი ათრევა მოითხოვოს; ანდა ელექტროშოკის თერაპიული სიკეთეები გამოგიწეროს. მანამდე არაფერი გიჭირს. ოღონდ მაგისთვის, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, დიდი მოთმი-

ნებაა აუცილებელი. გესმით, მოთმინება! თქვენ კი, მაგ ჟღალი თმისა და შავი პირადი საქმის პატრონს, რისი იმედი უნდა გქონდეთ? თავს ნუ მოიტყუებთ.“

„კარგი. კეთილი.“ მაკმერფი ხელისგულებს ერთმანეთს უხახუნებს. „აი, რას ვფიქრობ! თქვენ, ჩიტუნიებო, გგონიათ თქვენი ჩემპიონი გყავთ აქ, არა? მაგარი და – რას ეძახით? – ხო, შეუვალი. მაინტერესებს, მაინც რამდენი ხართ მაგ ამბავში დარწმუნებული და რამდენი გამოხვალთ ფოსტას მაზიანზე?“

„მაგ ამბავში დარწმუნებული?..“

„დიახ, დიახ: რომელს გინდათ, ხუთი დოლარი ამახიოთ, ლამაზებო, აი, გეუბნებით – ამ კვირის ბოლომდე მაგ ჩემის შეუვალს ავაგდებ-მეთქი, ის კიდე ვერ ამაგდებს! ერთ კვირაში თუ სუ „ვაი დედა“ არ ვაძახებინე, რა გინდათ, ნიძლავს თქვენ მოიგებთ.“

„მაგაზე დავნაძლევდეთ?“ ჩესვიკი ჩქარ-ჩქარა ინაცვლებს იატაკზე ფეხებს და ხელებს ზუსტად მაკმერფივით იფშვნეტს.

„სწორედ მაგაზე, მოსულა?“

ჰარდინგი და ზოგი სხვაც ამბობენ, ვერაფერი გავიგეთო.

„რა ვერ გაიგეთ? უბრალო ამბავია. დიდი ფილოსოფია არ უნდა. მე თამაში მიყვარს. თამაში და მოგება. ვიცი, ამ თამაშს ასიანი მოვიგებ, გაიგეთ? პენდლტონში ბიჭებს ბოლოს ცენტის დადებაზეც ხელები უკანკალებდათ, ისე გავატყავე ყველანი. უფრო მაგიტომაც გადმოვაყვანინე თქვენთან თავი, ახალ-ახალი არიფები რო მჭირდებოდა. ერთს გეტყვით: სანამ აქ მოვხვდებოდი, წინასწარ რაღაც-რაღაცეები გავიკითხე. თქვენში თითქმის ყველა მეორე კომპენსაციას იღებს – სამას, ოთხას დოლარს თვეში და არაფერში ხარჯავს, მტვერს და ობს აჭმევინებს. ვიფიქრე, იქნება საქმეს მოვკიდო ხელი და თქვენი და საკუთარი ცხოვრებაც ცოტა გავახალისო-მეთქი. თავიდანვე ალალად გეუბნებით: მოთამაშე ვარ და წაგება არ მჩვევია. თანაც ჯერ ისეთი ქალი არ შემხვედრია, ჩემზე მაგარ კაცად ჩამეთვალოს, სულერთია, ვიკისრებდი იმასთან თუ ვერა. შეიძლება, დრო იმის მხარეს კი იყოს, მარა მეც კაიხანია სუ მოგებაში ვარ.“

ქუდს იხდის, თითზე იბზრიალებს, ჰაერში აგდებს და მეორე ხელით ოსტატურად, ლამაზად იჭერს ზურგს უკან.

„მეორე ამბავი: აქ იმიტომა ვარ, მე თითონვე რო გავიჩალიჩე გადმოსვლა. უბრალოდ და მარტივად – აქაურობა კოლონიას ჯობია და იმიტომ. როგორც ვიცი, გიჟი არ უნდა ვიყო, ყოველ შემთხვევაში, აქამდე საკუთარ თავს გიჟობა ნაღდად ვერ შევატყე. თქვენმა შეუვალმა ეგ არ იცის; არ ელოდება, ჩემსავით ჩახმახივით მომართული ჭკუა-გონების პატრონი თუ შერჩება ხელში. ჩემი კოზირები მეც ბლომად მაქ. მოკლედ, თუ ერთ კვირაში თავისივე იდაყვები არ დავაკბენინე, თითო ხუთ-ხუთ დოლარს დაირტყამთ, გინდათ, გინდათ, არადა კარგად იყავით.“

„მაინც არა ვარ დარწმუნებული...“

„ეგრეა რა! იდაყვებსაც დავაკბენინებ და გაჩენის დღესაც ვაწყევლინებ. კედლებზე გავიყვან. იმდენს ვუზამ, ნაოჭებზე გაირღვეს და ერთხელ მაინც დაგანახებთ, არც ისეთი შეუვალგაუვალია, როგორც თქვენ გგონიათ-მეთქი. ერთ კვირაში. შენ კი ნებას გაძლევ, იმსაჯო და გადაწყვიტო, მოვიგე თუ წავაგე.“

ჰარდინგი ფანქარს იღებს და რაღაცას წერს პატარა ბლოკნოტში.

„აი, მტვრით შეჭმული ფულიდან ათი დოლარის მინდობილობა ჩემი სახელით, ორი ამდენიც მიღირს იმის ნახვა, როგორ განხორციელდება ეს დაუჯერებელი სასწაული.“

მაკმერფი ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელს დასცქერის, მერე კეცავს. „აბა, ბიჭებო, სხვას არავის გიღირთ?“ მწვავეები მწკრივად დგებიან, რიგრიგობით წერენ ბლოკნოტში. წერას რომ ამთავრებენ, ფურცლებს მაკმერფის უწვდიან, ისიც ხელისგულზე იწყობს, ზევიდან გაუხეშებულ ცერს აფარებს. ვხედავ, როგორ იზრდება დასტა. კმაყოფილი მაკმერფიც დასტას ვერ აშორებს თვალს.

„მანდობთ ხელწერილების შენახვას, ძმებო?“

„მე მგონი, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ,“ ამბობს ჰარდინგი. „ჯერჯერობით აქედან სხვაგან გადაბარგება არ გემუქრებათ.“

ჟობა ღამეა. ზუსტად თორმეტ საათზე ძველ კორპუსში ხმაურით იღება განყოფილების კარი, მსუქანი, წვერებიანი კაცი შემოდის, ყინვისგან თვალების გარშემო წითელი რკალები ეტყობა და ცხვირიც გაალუბლისფრებია. შავი ბიჭები დერეფნის ბოლოს, კუთხეში იმწყვდევენ თავიანთი ჯიბის ფარნების სხივებით. ვხედავ, როგორ თავფეხიანად გაბლანდულა ყველა მხრიდან ჩამოკონწიალებულ კილიტებში (ჩვენმა პიარის დიდოსტატმა მორთო და მოგვიკაზმა იქაურობა) და სიბნელეში ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ახერხებს. ფარნების შუქით დაბრმავებული, ჩაწითლებულ თვალებზე ხელებს იფარებს და ულვაშს იწუწნის.

„ჰოხ-ჰოხ-ჰოხ," ხორხოცებს მსუქანა, „სიამოვნებით დავრჩებოდი თქვენთან, მაგრამ უნდა ვიჩქარო. იცით, ალბათ, რა მკაცრი განრიგი გვაქვს. ჰოხ-ჰოხ. უნდა ვიჩქარო..."

ფარნებიანი ბიჭები უახლოვდებიან. ექვსი წლის მერეღა გაუშვეს ჩვენგან, პირწმინდად გაპარსული და კამფეტივით გალოკილი.

ფოლადის კარში დატანებული ერთ-ერთი დისკოს უბრალო გადატრიალებით მთავარ ექთანს შეუძლია, რა სიჩქარითაც უნდა, იმ სიჩქარით აამუშაოს კედლის საათი – თუ ჩვენი შეფუცხუნება გადაწყვიტა, სიჩქარეს უმატებს ხოლმე და საათის ისრებიც ბორბლის მანებივით ტრიალებენ ციფერბლატზე. ფანჯარა-

ეკრანზე ჩქარ-ჩქარა მიხტიან კადრები – დილა, შუადღე და ღამე, ნათელი და ბნელი თვალის დახამხამებაში ენაცვლება ერთმანეთს და ყველა დამდუღრულივით დაქრის, ოლონდ კი როგორმე აუწყოს ფეხი ამ ყალბი დროის დინებას; გიჟურად ირევა ერთმანეთში გაპარსვა, საუზმე, ექიმის დანიშნულებები, სადილი, წამლების მიღება და ათწუთიანი ღამე, როცა ხეირიანად თვალის დახუჭვასაც ვერ ასწრებ და საძინებელი ოთახის სინათლეები უკვე დაგკივიან – ადგომის დროაო. ისევ იწყება ფაცაფუცი, ისევ დაწყევლილივით უნდა გაიარო იგივე გზა, შეიძლება მთელი დღის განაწესი ოცჯერ ამოწურო ერთ საათში, სანამ მთავარი ექთანი არ დარწმუნდება, ყველას ქანცი გაუწყდაო და სიჩქარეს არ შეანელებს, ბოლო-ბოლო არ მოეშვება ციფერბლატის ტრიალს, ცელქი ბავშვივით, კინოპროექტორით რომ ერთობოდა და როგორც იქნა დაღალა ბუნებრივზე ათჯერ უფრო სწრაფად გაშვებული ფილმის ყურებამ, მობეზრდა მთელი ეს უაზრო ცუხცუხი, გამაშტერებელ წკავწკავად ქცეულმა ლაპარაკმაც ყურები გაუყრუა და მაიმუნობას თავი დაანება.

ასეთი თავბრუდამხვევი სიჩქარეები უფრო მაშინ მოენატრება ხოლმე, როცა, ვთქვათ, სტუმრად აპირებს ვინმე მოსვლას, ანდა როცა ვეტერანების შეხვედრას გადმოცემენ პორტლენდიდან – მოკლედ, ისეთ დროს, როცა კაცს გინდა, ერთიანად მოეშვა და სიამოვნება გაიხანგრძლივო. სწორედ მაშინ შეუბერავს ხოლმე ბოლომდე.

ისე, როგორც წესი, მაინც სხვანაირად ვცხოვრობთ, უფრო ნელა. მკვდარ წერტილში გააქვავებს ხოლმე დისკოს და მზესაც ყინავს ეკრანზე ისე, რომ ერთხელაც ვერ შეიცვალოს ადგილი რამდენიმე კვირა, ფოთოლი ვერ შეთრთოლდეს ხეზე, ბალახის ღერი ვერ შეირხეს მდელოზე. საათის მკვდარ ციბერბლატზე სამს ორი წუთი აკლია, მანამდე შეუძლია ასე გაუნძრევლად დატოვოს ისრები, სანამ საბოლოოდ არ დავჟანგდებით. ზიხარ ერთ ადგილს მიჯაჭვული და ფეხი ვერ მოგიცვლია, ვერც გაივლი, ვერც იმოძრავებ, ცოტა მაინც რომ გამოაცოცხლო ჯდომისგან გახევებული

კუნთები; ნერწყვს ვერ ჩაყლაპავ, ჰაერს ვერ ჩაისუნთქავ... მარტო თვალები შეგიძლია ამოძრაო, არადა, დანახვითაც ვერაფერს დაინახავ ოთახის მეორე ბოლოში გახევებული მწვავეების გარდა – ერთმანეთს მიჩერებიან და ვერ გადაუწყვეტიათ, ვისი სვლაა. ჩემ გვერდით ექვსი დღის მკვდარი ბებერი ქრონიკული სკამზევე ლპება. ზოგჯერ ნისლის მაგივრად ვენტილატორებში უფერულ ქიმიურ გაზს უშვებს ხოლმე და გაზის პლასტიკად ქცევისთანავე მთელი განყოფილება ერთბაშად მკვრივდება.

მარტო ღმერთმა იცის, რამდენ ხანს ვართ ასე ჰაერში გამოკიდებული.

მერე თანდათანობით ერთი დანაყოფით აბრუნებს დისკოს და ეს კიდე უარესია. მკვდარ უძრაობას უფრო შემიძლია გავუძლო, ვიდრე იმის ყურებას, ბლანტი სიროფივით როგორ მოძრაობს სქანლონის ხელი ოთახის მეორე ბოლოში, სამი დღე უნდება მაგიდაზე კარტის ჩამოსვლას. დიდი ბრძოლის ფასად ვახერხებ და სქელ, პლასტიკურ ჰაერს ვისუნთქავ, ჰაერი თითქოს ნემსის ყუნწის გავლით ჩამდის ფილტვებში. ტუალეტში მინდა გასვლა, არადა ვგრძნობ, ტონა ქვიშის ქვეშ ვარ ჩამარხული. იქამდე ვკუმშავ შარდის ბუშტს, სანამ შუბლიდან მწვანე ნაპერწკლები არ დამცვივა ტკაცატკუცით.

ყველა კუნთს და სახსარს ვჭიმავ, ოღონდ როგორმე სკამიდან წამოვდგე და ტუალეტამდე მივაღწიო, იქამდე ვწვალობ და ვჯახირობ, სანამ მკლავები და ფეხები არ ამიცახცახდება და კბილები არ ამტკივდება. ვიძაბები, თავს ძალას ვატან, მაგრამ მარტო იმას ვახერხებ, დაახლოებით მეოთხედი გოჯით წამოვიწიო ტყავგადაკრული სკამიდან, ბოლოს ისევ სკამზე ვეშვები, ფარ-ხმალს ვყრი და ქვეშ ვიფსამ. მარცხენა ფეხის გაყოლებაზე ცხელი, მლაშე მავთული იმუხტება, ირთვება გამაბითურებელი განგაში, სირენები, ნათურები... ყველა ყვირილით წამოცვენილა და აქეთ-იქით აწყდება, მაღალ-მაღალი შავი ბიჭები ბრბოში მუჯლუგუნებით მოიკვლევენ გზას ჩემკენ, ტყვიანაკრავებივით მოქრიან, თან სპილენძის სველი მავთულების საზარელ ბღუჯებს იქნევენ თავ-

ზემოთ და წყლისგან მოკლედ ჩართული მავთულებიც ტკაცუნობენ და ნაპერწკლებს ისვრიან.

დროით ასეთი კონტროლისგან მარტო ნისლში თუ ვისვენებთ ხოლმე; მაშინ დრო უკვე აღარაფერს ნიშნავს. ისიც ისევე იკარგება ნისლში, როგორც სხვა ყველაფერი (მაკმერფის მოსვლის მერე ხეირიანად რაღაც არ დავუნისლივართ. სანაძლეოს დავდებ, მანქანა დღესაც მთელი ძალით რომ აემუშავებინათ, მაკმერფი ხარივით აბღავლდებოდა).

სხვა საინტერესო თუ არაფერი ხდება, ჩვეულებრივ ნისლს ან დროით მაიმუნობას ვებრძვით ხოლმე, მაგრამ დღეს, ეტყობა, რაღაც მოხდა: მთელი დღეა, გაპარსვის მერე, არც ნისლი გახსენებია მთავარ ექთანს და არც ციფერბლატის ბზრიალი. ნაშუადღევსაც ყველაფერი ბუნებრივი დროით მიედინება ჩვეულ კალაპოტში. ხუთის ნახევარზე საღამოს ცვლა რომ ცხადდება სამორიგეოდ, საათიც წუთი-წუთში ხუთის ნახევარს აჩვენებს. მთავარი ექთანი თავის შავ სამეულს დილამდე უშვებს და ბოლოჯერ ათვალიერებს განყოფილებას. კეფაზე დაგრაგნილი ტყვიისფრად ცისფერი თმიდან გრძელ ვერცხლის თმის სამაგრს იძრობს, თეთრ ქუდს იხდის, ფრთხილად დებს მუყაოს ყუთში (ყუთში ნაფტალინის ბურთულები ყრია) და ხელის მოწყვეტილი მოძრაობით სამაგრს ისევ თმაში ირჭობს.

შუშის იქით ვხედავ, როგორ ემშვიდობება ყველას. თავის შემცვლელს, პატარა, ხალიან ექთანს რაღაც ბარათს უწვდის; მერე ფოლადის კარებში დატანებული საკონტროლო დაფისკენ იშვერს ხელს და დღის პალატაში რეპროდუქტორი ირთვება: „დილამდე, ბიჭებო. ჭკუით იყავით.“ მერე ჩვეულებრივზე მეტად, თითქმის ბოლომდე უწევს მუსიკას ხმას. შუშაზე ხელისგულს უსვამს; სამორიგეოდ ეს-ესაა მოსულ ჩასუქებულ შავ ბიჭს ზიზღიანი მზერით კარნახობს – ჯობია, ამწუთასვე შეუდგე შუშის წმენდასო – და მართლაც, სანამ მთავარი ექთანი განყოფილების კარს ბოლომდე მოიხურავდეს ზურგს უკან, ის უკვე ქაღალდის ხელსახოცით ებრძვის ლაქას.

კედლებში მექანიზმები უსტვენენ, ოხრავენ, ბრუნვას ანელებენ.

მერე, დაღამებამდე, ვვახშმობთ, შხაპს ვივლებთ და ისევ დღის პალატაში ვბრუნდებით. ბებერი ბლასტიკი, ყველაზე ხნიერი ბოსტნეული, მუცელზე იკიდებს ხელს და კვნესის. ჯორჯი (შავი ბიჭები ხან „პუწკიას“ ეძახიან, ხან „წყლის გიჟს“) ჰიგიენურ შადრევანში იბანს ხელებს. რამდენიმე მწვავე კარტის სათამაშოდ დამჯდარა, დანარჩენები ტელევიზორს ეომებიან – მთელ ოთახში, სადამდეც ზონარი მიწვდება, აქეთ-იქით დაატარებენ წესიერი გამოსახულების დასაჭერად.

ჭერიდან ჯერაც გვაყრუებენ მუსიკით რეპროდუქტორები. სხვა ტალღაზე მომართულებს, კედლებში ჩამონტაჟებული მექანიზმები მუშაობაში ხელს არ უშლიან. მუსიკა მაგნიტოფონზეა ჩაწერილი, უსასრულოდ გრძელ ფირზე და უკვე ყველამ ისე კარგად დავიზეპირეთ, ახალმოსული მაკმერფის გარდა ყურს აღარავინ უგდებს. ის ჯერ არ შეჩვევია. სიგარეტზე თამაშობს „ოცდაერთს“, ზუსტად რეპროდუქტორის ქვეშ ზის. ქუდი შუბლზე ჩამოუფხატია, კარტში ჩასახედად მაგრად უნდა გადაწიოს თავი უკან. სიგარეტი კბილებით უჭირავს და ისე ლაპარაკობს, აუქციონერივით, დალეზში რომ ვნახე ერთხელ საქონლის ბაზრობაზე.

„ჰე, ჰე, ჰე, აბა მოდით, ჯიგრებო,“ ხმამაღლა, სწრაფად ისვრის სიტყვებს. „გელოდებით, ჩიტუნებო, ერთიც თუ გეყოფა? ერთიც? კეთილი, კეთილი, ბატონო ჩემო, ბაბუა მოგეცი და კიდე გინდა... იცის ბიჭმა თავის საქმე და რას ერჩი?! არ გაგიმართლა გოგონამ, არ უნდა ენდო ამ ბოზანდარებს, ხო ხედავ, გიღალატა, იჯექი ეხლა და მიყურე! ესეც შენ, სქანლონ. ნეტა ვინმე იდიოტმა მოიფიქროს და ექთნის სათბურში იმ ბანძ მუსიკას ჩაუწიოს! გახვრიტა ყური. ეგ რა, ოცდაოთხი საათი ეგრე უბერავს, ჰარდინგ? ცხოვრებაში არ მომისმენია ამისთანა რახარუხი, წაიღო რა ტრაკის ტვინი...“

ჰარდინგი უაზროდ უყურებს. „მაინც რა ხმაურს უჩივით, მისტერ მაკმერფი?“

„ამ სირულ რადიოს. ჩემი კარგი... დილიდან არ გაჩერებულა. შენც რას მეკაიფები, ვითომ არ გესმის, არა?“

ჰარდინგი რეპროდუქტორისკენ იგრძელებს კისერს. „ახ, ეგრეთ წოდებულ მუსიკაზე ბრძანებთ? დიახ, რა თქმა უნდა, გვესმის, თუკი გულისყურს მოვიკრებთ, მაგრამ ეგრე კაცს საკუთარი გულისცემაც ესმის, ძალიან თუ დაიძაბა.“ ჰარდინგი მაკმერფის უღიმის. „ეს რადიო არ გახლავთ, ჩემო მეგობარო, მაგნიტოფონის ჩანაწერს უკრავენ. რადიოს იშვიათად ვუსმენთ ხოლმე. თერაპიული თვალსაზრისით, მსოფლიო სიახლეების გაგებამ ჩვენზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ეს ჩანაწერი კი უკვე იმდენჯერ მოვისმინეთ, ახლა უბრალოდ სმენას აღარ გვიღიზიანებს. სხვათა შორის, სწორედ ასე ეჩვევა ხმაურს ჩანჩქერთან ახლოს მცხოვრები ხალხიც. როგორ ფიქრობთ, ჩანჩქერთან რომ ცხოვრობდეთ, დიდხანს შეგაწუხებდათ მისი ხმა?“

(ჯერაც ყურში მიდგას წყლის ვარდნის ხმა ქალამბიაზე, ყოველთვის გავიგონებ კიდეც და არც არასდროს შემაწუხებს... მესმის, როგორ დასცა ყიჟინა დათვის ფაშვმა ჩარლიმ, როცა წამახული ბარჯი ჩაასო დიდ ჩაინუკს, წყალში თევზის ფართხალიც მესმის, ტიტლიკანა ბავშვების ჟრიამული ნაპირზე, მრეცხავი ქალების სიცილი... შორეული, დიდი ხნის წინანდელი).

„და ჩანჩქერივით ეგეც არასდროს არ ჩუმდება?“ კითხულობს მაკმერფი.

„ჩუმდება, როცა გვძინავს,“ ამბობს ჩესვიკი. „სხვა დროს კი მართლა გაუჩერებლად უკრავს.“

„აი, ეგღა აკლდა ჩემ ბედნიერებას. ეხლა მივალ, იმ ტარაკანას ვეტყვი გამორთოს, თუ არადა, მაგრა მოხვდება ჩასუქებულ ტაკუნებზე!“

მაკმერფი წამოდგომას აპირებს, მაგრამ ჰარდინგი მკლავზე კიდებს ხელს: „მეგობარო, მსგავსი შინაარსის განცხადება სავსებით საკმარისია პაციენტის აგრესიულად ჩასათვლელად. დავიჯერო, ასე გულით გინდათ ნაძლევის წაგება?“

მაკმერფი ჰარდინგს უყურებს. „ნახე, როგორ ქონიათ დაყენებული საქმე! პრესინგს გვთავაზობენ მთელ მოედანზე? ბოლომდე შეყავთ?“

„დაახლოებით.“

მაკმერფი მძიმე-მძიმედ ისევ სკამზე ეშვება და – ნეხვის ჭიებიო – ამბობს ჩუმად.

ჰარდინგი გამარჯვებული სახით უყურებს მაგიდის გარშემო მჯდომ მწვავეებს. „ბატონებო, უკვე ვამჩნევ, რა სამარცხვინოდ ირყევა ჩვენი წითური ყოჩის, ჩვენი ეკრანული კოვბოის სტოიციზმის საფუძვლები.“

თან მაკმერფის უღიმის, ისიც თავს უქნევს, მერე, უკან თავგადაგდებული, თვალს უკრავს და ცერა თითს ილოკავს. „კეთილი, ჩემო ბატონო, პატივცემული პრაფესორი ჰარდინგი ისე ჭიკჭიკებს, ეტყობა, გული მიეცა. ერთი-ორი ხელი მოიგო და მაგარი ჭკუისკოლოფი გონია თავი. კეთილი, კეთილი... აი, ორიანი ამოუტრიალებია, ესეც „მარლბოროს“ კოლოფი, როგორც მესმის, ჩვენი ჭკუისკოლოფი აგრძელებს... რაშია საქმე? შემეშალა? თქვენც შემოდიხართ? კაი ბიჭი! აი, პრაფესორს სამიანი, კიდევ ნებავს? ნებავს და ესეც კიდე ერთი ორიანი, ხუთის მოგროვება გინდოდათ, პრაფესორო? იქნება გაგეორმაგებინათ ბანკი, თუ წყნარად გააგრძელებთ თამაშს? მეორე კოლოფი გვაუწყებს, არაფერსაც არ გაორმაგებსო. რა ვუყოთ მერე?! პრაფესორი ასწორებს, ყველაფერი გასაგებია, ფინთათაა საქმე, ერთი პატარა გოგოცუნაც და ჩვენი პრაფესორი ჩაიწვა...“

რეპროდუქტორი ახალ სიმღერას იწყებს, უფრო ხმამაღალს და ჟღრიალას, აკორდეონით ზედმეტად გადატვირთულს. მაკმერფი რეპროდუქტორს ასცქერის და იმის ჯინაზე, თვითონაც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყაყანებს.

„ჰე, ჰე, ჰე, ო'კეი, აბა შემდეგი, დაგწყევლოთ გამჩენმა, ან შემოდი, ან გაიარ-გამოიარე... ეს შენ...“

ათის ნახევრამდე გრძელდება ასე, სანამ შუქს არ ჩააქრობენ.

მთელი ღამე არ მომბეზრდებოდა მაკმერფის თამაშის ცქერა, სიამოვნებით ვუყურებდი, როგორ არიგებდა, როგორ ლაქ-ლაქებდა, ნელ-ნელა როგორ იტყუებდა პარტნიორებს, როგორ მიყავდა იქამდე, ყველანი მზად იყვნენ, თამაშისთვის მიეფურ-თხებინათ, მერე ერთ ან ორ ხელს აგებდა – არიფებისთვის მადა რომ გაეღვიძებინა და ისევ ეშხში შეეყვანა. ერთხელ სიგარეტის მოსაწევად შეისვენა, სკამის ზურგზე გადაწვა, ხელები კეფაზე შემოიჭდო და ბიჭებს უთხრა: „მაგარ მოთამაშედ მაშინ ჩაით-ვლები, როცა გამოიცნობ, რა უნდა არიფს და თან იმასაც აფიქ-რებინებ, ჩემსას ვაღწევო. ერთი წელი მოხეტიალე ატრაქციონებ-ზე ვიმუშავე და მაშინ მივხვდი. მოვა ვინმე არიფი, ერთს შეხედავ, უკვე მოხარშულს იცნობ და შენთვის ფიქრობ – აი, ამ ქინძს უნდა მაგარ ბიჭად იგრძნოს თავიო. ყოველ ჯერზე, როცა აჯობებ, ის კიდე გიბღვერს და თვალებით გჭამს, შენ ვითომ შიშისგან შარ-ვალში იფსამ, გაპარული ხმით ეხვეწები – ძაან გთხოვთ, სერ, გულთან არ მიიტანოთ. მოდის ეს ოხერი კარტი და რა ვქნაო. ხოდა, ისიც კმაყოფილია, ბოლო-ბოლო ორივე მართლა იმას იღებთ, რასაც ეძებდით.“

მაკმერფი წინ იხრება, სკამის ფეხებს ხმაურით აბჯენს იატაკს. მერე ისევ ბანქოს დასტას იღებს, ცერით ატკაცუნებს, გვერდულად აკაკუნებს მაგიდაზე და ცერს და საჩვენებელ თითს ილოკავს.

„თქვენ რაც შეგეხებათ, არიფებო, თქვენ, როგორც შე-გატყეთ, გასაღიზიანებლად დიდი ბანკი გჭირდებათ. აჰა, ამ დარიგებაზე ათ კოლოფს ჩამოვდივარ. ჰე, ჰე, ჰე, ვიწყებთ, წავიდა, ვისაც ეშინია – თვალები დახუჭოს!“

თავს უკან აგდებს და ხმამაღლა იცინის, სანამ ბიჭები ჩქარ-ჩქარა, ფაცაფუცით ჩამოდიან თავიანთ ფსონს.

ეს სიცილი მთელი საღამო ეხლებოდა პალატის კედლებს. ყოველთვის, როცა არიგებდა და თან გაუჩერებლად შაყირობდა და ლაყბობდა, ცდილობდა დანარჩენებიც აეყოლიებინა. იმათ კი ეშინოდათ, ვერ ბედავდნენ, ცოტათი მაინც მოდუნებუ-

ლიყვნენ და მოშვებულიყვნენ. დიდი ხნის წინ გადაეჩვივნენ ამ ყველაფერს. ბოლოს მაკმერფიმაც ჩაიქნია ხელი და სერიოზულად შეუდგა თამაშს. ერთი-ორჯერ მოუგეს ბანკი, მაგრამ წაგებულს მალევე იბრუნებდა უკან და თანდათანობით სიგარეტის კოლოფების უშველებელი პირამიდები აიშენა წინ.

მერე, დაძინების დრო რომ მოახლოვდა, წაგება დაიწყო, ყველაფერი ისევ ჩვენებს მოაგებინა და თან ისე სწრაფად, წაგება აღარავის ახსოვდა. აი, უკანასკნელ ორ ღერსაც აბარებს მოგებულს, დასტას მაგიდაზე დებს, ოხვრით სკამის ზურგს ეყუდება და ქუდსაც იწევს შუბლიდან – თამაში დამთავრებულია.

„კეთილი, ბატონებო. როგორც იტყვიან – ცოტა მოვიგე, დანარჩენი წავაგე.“ სევდიანად აქნევს თავს. „ვერაფერი გამიგია – „ოცდაერთში“ ყოველთვის კერკეტი კაკალი ვიყავი, მარა თქვენ, ჩიტუნებო, ეტყობა, ჩემთვის ნამეტანი ეშმაკები ბრძანდებით. რაღაც სხვანაირი ჯიგრით თამაშობთ, თქვენნაირ ყისმათებს კაცი მარტო ნაღდ ფულზე უნდა ეთამაშოს. ერთი სული მაქ, ხვალინდელი დილა როდის გათენდება.“

არა მგონია, თავს იტყუებდეს, აქაოდა მართლა დამიჯერებენო. ძალით მოაგებინა და ვინც თამაშს ვუყურებდით, ყველამ მშვენივრად ვიცით. თვითონ მოთამაშეებმაც იციან. არადა იმათში, ვინც ორ-ორი ხელით ითრევს თავისკენ სიგარეტებს – სინამდვილეში მოგებულს კი არა, საკუთარს, უბრალოდ უკან დაბრუნებულს – ერთიც არაა ისეთი, სახე ეშმაკურად არ უცინოდეს და მთელ მისისიპის შტატში ყველაზე შებერტყილ ყომარბაზად არ მიაჩნდეს თავი.

ღამის მორიგე, ჩასუქებული შავი ბიჭი და იმისი მეწყვილე, გივერი, დღის პალატიდან გვერეკებიან და შუქების ჩაქრობას იწყებენ ჯაჭვზე ჩამოკონწიალებული ციცქნა გასაღებებით. რაც უფრო მეტად ბინდდება და ბნელდება განყოფილებაში, მით უფრო უდიდდება და უელავს თვალები პატარა, ხალიან ექთანს სამორიგეოში. შუშის სამორიგეოს კართან დგას, ღამე დასალევ აბებს უწვდის რიგში ჩამდგარ პაციენტებს და დიდი გასაჭირიც

ადგას, არ უნდა შეეშალოს, ვინ რითი მოწამლოს ამაღამ. არც უყურებს, სად ასხამს წყალს. ყურადღება კი სწორედ იმ წითურმა ახალმა გაუფანტა, საშინელი ქუდი რომ ახურავს და საზარელი იარა უმახინჯებს სახეს, სწორედ ის უახლოვდება. მას მერე არ მოუშორებია თვალი, რაც მაკმერფიმ კარტის თამაში მოათავა და სხვებთან ერთად ჩადგა რიგში. ახლა დაკოჟრილი თითებით პატიმრის პერანგის გაღეღილი საკინძიდან ამოჩრილ თმის წითელ ბღუჯას იწვალებს და დამფრთხალი ექთანიც უკან-უკან იწევს, ვხვდები, ეტყობა, მთავარმა ექთანმა გააფრთხილა წინასწარ მაკმერფის შესახებ. „ჰო, და კიდევ, მის ფილბოუ! სანამ ამღამინდელ საქმეებს გადაიბარებდეთ, ერთიც უნდა გითხრათ: ეგ ახალმოსული, აგერ, იქ რომ ზის, წითურ ბაკენბარდებიანი და სახედაღადრული ყბედი – ჩემი ღრმა რწმენით, სექსუალური მანიაკი უნდა იყოს, ყველა საფუძველი გამაჩნია ამის სათქმელად.“

მაკმერფიც ამჩნევს, რა შეშინებული მიჩერებია თვალებდაყვლეპილი ექთანი, სამორიგეოს კარებში თავს ყოფს და, მთელი არსებით გაცნობის სურვილის გამომხატველი, გულიანად, მეგობრულად უღიმის. ეს ღიმილი ექთანს იმდენად აბნევს, წყლით სავსე გრაფინი უვარდება ხელიდან. ყვირის და ცალ ფეხზე ხტუნავს, თან ხელებს ასავსავებს. ჩემთვის მოსაცემი აბი პატარა ფინჯნიდან უხტება და პირდაპირ ხალათის საკინძეში უვარდება – ზუსტად იქ, საიდანაც ის ხალი ღვინის ნაკადულივით ჩარბის დაბლობისკენ.

„ნება მომეცით, მოგეხმაროთ, ქალბატონო.“ მაკმერფი სამორიგეოს კარებში ყოფს უმი ხორცისფერ, ნაიარევ და მოსვირინგებულ ტორს.

„ფეხი არ მოიცვალოთ მაქედან! ჩემთან ერთად განყოფილებაში კიდევ ორი სანიტარია!“

შავი ბიჭებისკენ გაურბის თვალი, მაგრამ ისინი საწოლებზე ქრონიკულების დაბმით არიან დაკავებულები, სწრაფად მორბენას ვერ მოასწრებენ. მაკმერფი იღიმება და ხელის მტევანს

აქეთ-იქით აბრუნებს – დანა არ მიჭირავსო, უჩვენებს ექთანს. ის კი მარტო ცვილისფერი, გლუვი, გაქვავებული ხელისგულიდან არეკლილ შუქს ხედავს.

„მის, მე უბრალოდ მინდოდა...“

„არ გაბედოთ ფეხის შემოდგმა! პაციენტებს აქ შემოსვლის უფლება არა აქვთ... ოხ, გაჩერდით-მეთქი, მე კათოლიკე ვარ!“ ღონივრად ექაჩება კისერზე ჩამოკიდებულ ოქროს ძეწკვს და ძუძუებშორის მომწყვდეული ჯვარიც ზევით მოფრინავს დაკარგულ აბთან ერთად! მაკმერფი ჰაერში, ზუსტად ექთნის ცხვირწინ კრავს მუშტს. ექთანი კივის, ჯვარს პირში იჩრის და თვალებს მაგრად ხუჭავს, თითქოს დარტყმას ელოდება; ასე დგას, მიტკალივით გაფითრებული თავფეხიანად, ხალის გარდა – ხალი, პირიქით, უფრო მუქდება, ვიდრე ოდესმე, თითქოს მთელი დანარჩენი სხეულიდან შეუწოვია სისხლი. როცა ბოლოს და ბოლოს ისევ ბედავს თვალის გახელას, თვალწინ სწორედ გაქვავებულ ხელისგულს ხედავს, ზედ ჩემი პატარა, წითელი კაფსულა დევს.

„...ეს სარწყავი ამეღო, ხელიდან რო გაგივარდათ.“ მაკმერფის მეორე ხელში გრაფინი უჭირავს.

ექთანი ხმაურით სუნთქავს, შიშინით. მაკმერფის გრაფინს ართმევს და ისიც სამორიგეოდან გამოდის. „მადლობა და ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის...“ რიგში მაკმერფის უკან მოჩლატუნე პაციენტის ცხვირწინ კეტავს კარს, ამაღამ აბები აღარ იქნება.

საძინებელ ოთახში მაკმერფი აბს ჩემს საწოლზე აგდებს. „არ გინდა შენი შაქარყინული, ბელადო?“

აბის დანახვაზე უარით ვაქნევ თავს და მაკმერფიც წკიპურტით ისვრის საწოლიდან, როგორც აბეზარ ხოჭოს. აბი იატაკზე მიხტუნავს და კალიასავით მიტკაცუნობს. მაკმერფი დასაწოლად ემზადება, ტანისამოსს იხდის. პატიმრის შარვლის ქვეშ ნახშირივით შავი სატინის შორტები აცვია, დიდი თეთრი, წითელთვალება ვეშაპები ახატია ზედ. ამჩნევს, იმის შორტებს

რომ ვუყურებ და ეღიმება. „ერთმა ორეგონის უნივერსტეტელმა ნაშამ დამიადა, ბელადო, ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა.“ ელასტიკურ რეზინს ცერით იტკაცუნებს მუცელზე. „სიმბოლო ხარ და იმიტო გჩუქნიო.“

მკლავებიც და კისერიც სახესავით მზით გარუჯვია, ხვეული, ნარინჯისფერი თმით დაფარვია. ღონიერი ბეჭები მოსვირინგებული აქვს. ცალ ბეჭზე „ტყავის საყელოები“ აწერია, თან წითელთვალება, წითელრქებიანი ეშმაკიც და M-1 შაშხანაც მიუხატია, მეორეზე – პოკერის გადაშლილი კომბინაცია: ტუზები და რვიანები. დახვეულ ტანსაცმელს ღამის ტუმბაზე დებს ჩემი საწოლის გვერდით და ბალიშის გაფუებას იწყებს. ჩემ მეზობლად მიუჩინეს ადგილი.

მერე წვება და მეუბნება, ჯობია, შენც წაუპლაცკარტო, თორე შავი ბიჭი მოდის შუქის ჩასაქრობადო. თავს ვატრიალებ და მართლა ვხედავ გივერს, ფეხსაცმელს ვიხდი და ვწვები სწორედ იმ დროს, როცა გივერი ზეწრების გადასაჭერად მიახლოვდება. ამ საქმეს რომ ამთავრებს, უკანასკნელად ათვალიერებს საძინებელ ოთახს, ხითხითებს და შუქს აქრობს.

ექთნების სამორიგეოდან მომავალი, დერეფანში მობნეული შუქის თეთრ ფხვნილს თუ არ ჩავთვლით, საძინებელი ოთახი მთლად ჩაბნელებულია. მარტო მაკმერფის სილუეტს ვარჩევ ჩემ გვერდით, ღრმად და თანაბრად სუნთქავს, საბანი გამოზომილად ადი-ჩადის. მერე, ნელ-ნელა, სუნთქვა კიდევ უფრო უმშვიდდება და ვხვდები, დაუძინია-მეთქი. უცებ იმისი საწოლის მხრიდან ჩუმი, ხორხისმიერი, ცხენის ხვიხვინივით ხმა მესმის. თურმე ჯერაც ღვიძავს და თავისთვის იცინის რაღაცაზე.

მალევე წყნარდება და ჩურჩულებს: „ისე, მაგრა კი შეხტი, აი, შავი მოდის-მეთქი, რო გითხარი. არადა, ბელადო, მგონი, შენზე თქვეს – ყრუაო.“

ვიდი, ძალიან დიდი ხნის მერე პირველად დავწექი წითელი აბის ჩაუყლაპავად (როცა წამლების მიღებისას დამალვას ვცდილობ, როგორმე ჩემს წილ შხამს რომ გადავურჩე, ხალიანი ღამის ექთანი გივერს აგზავნის ხოლმე ჩემ მოსაძებნად. ისიც თავისი ფარნის სხივით მიჭერს და იქამდე ვყავარ კუთხეში მიმწყვდეული, სანამ ექთანი შპრიცს გაამზადებს) და როცა ფარანმომარჯვებული შავი ბიჭი გვერდით ჩამივლის, დიდი მონდომებით ვიმძინარებ თავს.

წითელი აბი უბრალოდ კი არ გაძინებს, ძილით გადამბლავებს და მერე მთელი ღამე აღარ გაგეღვიძება, სულერთია, რაც უნდა მოხდეს ირგვლივ. ამიტომაც მაძალებს პერსონალი წამალს; ძველ კორპუსში ზოგჯერ ღამღამობით მეღვიძებოდა და ვხედავდი, რა საზიზღრობებს უშვრებოდნენ მძინარე პაციენტებს.

გაუნძრევლად ვწევარ და ვცდილობ, სუნთქვაც შევიკავო, ვიცდი, მინდა ვნახო, მოხდება რამე თუ არა. კუნაპეტი სიბნელეა და მესმის, როგორ დაცაცუნებენ აქეთ-იქით თავიანთი რეზინისძირიანი ფეხსაცმელებით, ორჯერ საძინებელ ოთახშიც იჭყიტებიან, თავზე გადაგვატარ-გადმოგვატარებენ ფარნების შუქს. თვალს არ ვახელ, თუმცა არ მძინავს. დასაბმელების განყოფილებიდან მოთქმა მესმის – ვუუუ, ვუუუ, ვუუუ... ეტყობა, ვიღაცას მავთულები შეუერთეს კოდური სიგნალების მისაღებად.

„რა გაიყვანს, შეჩემა, ამსიგრძე ღამეს ულუდოდ,“ ეჩურჩუ-

ლება ერთი შავი ჯეელი მეორეს. რეზინისძირიანი ფეხსაცმელები სამორიგეოს კენ მიწკმუტუნებენ, მაცივარი იქ დგას. „გიყვარს ლუდი, ხალიანო? გრძელ ღამეში?“

დასაბმელებში ბიჭი ჩუმდება. კედლებში დატანებული მოწყობილობების ხმდაბალი ღმუილიც თანდათან უფრო სუსტდება, მერე საბოლოოდ წყდება. მთელ საავადმყოფოში არავითარი ხმა აღარ ისმის ბუნდოვანი, მონოტონური, ყრუ დგანდგარის გარდა. სადღაც ქვემოდან, შენობის სიღრმიდან მოდის, ადრე არასდროს გამიგონია. ასეთ ხმას მარტო ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის წვერზე შუაღამისას მდგომი თუ გაიგონებ. დაგუბებული, მოუთოკავი, სასტიკი ძალა იგრძნობა ხმაში.

ჩასუქებული შავი ბიჭი დერეფანში დგას. კარგად ვხედავ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ხითხითებს. საძინებელი ოთახის კარებისკენ მოდის ნელ-ნელა, სველ, ნაცრისფერ ხელისგულებს იღლიებში იმშრალებს. იმის სპილოსავით ვეებერთელა ჩრდილს ექთნების სამორიგეოს შუქი საძინებელი ოთახის კედელს ახლის, რაც უფრო უახლოვდება კარს, ჩრდილიც პატარავდება, შავი ბიჭი ოთახში იხედება. ისევ ხითხითებს, კარის გვერდით დამცველების ჩაკეტილ კარადას აღებს და ხელს შიგ ყოფს. „კარგია პატარებო, ღრმა ძილით იძინეთ.“

კარადაში რაღაცას ატრიალებს და იატაკიც ქვევით მიცურავს, ნელ-ნელა შორდება კართან დარჩენილ შავ ბიჭს და მარცვლეულის ელევატორის პლატფორმასავით დაბლა ეშვება.

იატაკის გარდა სხვა არაფერი იძვრის ადგილიდან. კედლებს, კარებს, ფანჯრებს ვწყდებით და ჯოჯოხეთური სისწრაფით მივექანებით – საწოლებიანად, ღამის ტუმბებიანად და საერთოდ ყველაფრიანად. მექანიზმები – ეტყობა, შახტის ოთხივე კუთხეში დატანებული კბილანები და მუხლუხოები – სამარისებურ სიჩუმემდეა დაზეთილი. მარტო ბიჭების ფშვინვა მესმის და ის ბაგაბუგი ქვევიდან, სულ უფრო და უფრო რომ ძლიერდება, რაც უფრო მეტად ვეშვებით. საძინებელი ოთახის კარში შემომავალი შუქი – სადღაც შორს, ზევით, ხუთასი ნაბიჯის იქით დარჩენილი – პა-

ტარა ლაქადაა ქცეული და ეს ლაქა მკრთალ ფხვნილს აფრქვევს შახტის ოთხკუთხა ხახას. შუქი სულ უფრო მკრთალდება, სანამ შორეული კივილის ექო – „შეჩერდით!“ – ხათქახუთქით არ ჩამოუყვება შახტის კედლებს და მთლად არ დაბნელდება.

იატაკი რაღაც მყარ ფსკერს აღწევს და მსუბუქი თრთოლვით ჩერდება. უკუნეთი სიბნელეა, ზეწრის მარწუხები სულს მიხუთავს. ზეწრის გახსნას ვაპირებ და სწორედ ამ დროს სუსტი ბიძგით იატაკი წინ გასრიალდება. ალბათ რამე გორგოლაჭებზე დგას, თუმცა გორგოლაჭების ხმა არ მესმის. აღარ მესმის არც მძინარე ბიჭების სუნთქვა და უცებ ვხვდები, როგორ გადაფარა და ჩაახშო თანდათანობით სხვა ყველაფერი იმ დგანდგარმა. ეტყობა, უკვე მთლად იმის გულისგულში უნდა ვიყოთ. ერთხელაც ვეჯაჯგურები ტანზე გადაჭერილ დაწყევლილ ზეწარს და თითქმის ვიხსნი კიდეც, როცა ახლა მთელი კედელი ასრიალდება ზევით: უთვალავი მანქანა-მექანიზმით გადაჭედილ ოთახს ვხედავ, ბოლო არ უჩანს ამათ რიგებს, მანქანებს შორის ოფლიანი, წელზევით შიშველი კაცები დაქრიან, აღმა-დაღმა დარბიან ვიწრო კიბეებზე, ასობით ბრძმედიდან გამოვარდნილი ცეცხლის შუქზე უაზრო, გათიშული სახეები ულაპლაპებთ.

ეს ყველაფერი – რასაც ვხედავ – მარტო ხმით კი არა, შესახედადაც უზარმაზარი კაშხლის შიგანს გავს. სპილენძის დიდი მილები ზევით, სიბნელეში, უჩინარდებიან. მავთულები უხილავი ტრანსფორმატორებისკენ გარბიან. ზეთი და წიდა აკვრია ყველაფერს, წითლად და ნახშირისფრად დალაქულა შემაერთებელი ქუროებიც, ძრავებიც, დინამოებიც...

ყველა მუშა ერთნაირად მოძრაობს, სწრაფად, გაწაფულად, მსუბუქი, ნარნარი ბიძგებით. არავინ ფაციფუცობს. მარტო წამით თუ შეჩერდება რომელიმე, ციფერბლატს გადაატრიალებს, ღილაკს თითს დააჭერს, ჩამრთველის ბერკეტს ასწევს, კონტაქტისგან გაყრილ ნაპერწკლებს სახეს აარიდებს და ისევ გარბის, ფოლადის საფეხურებს აათავებს და რკინის ოღროჩოღრო, ვიწრო ბაქანს გაუყვება – მუშები ისე სწრაფად და ისე ახლოს ჩაურბენენ

ხოლმე ერთმანეთს, წყალზე ორაგულის კუდის თხლაშუნივით ისმის იმათი ფერდების შეხლა-შემოხლა; ისევ ის მუშა მერე სხვაგან ჩერდება, სულ ერთი წამით, ახლა სხვა ჩამრთველს გააყრევინებს ნაპერწკლებს და სირბილით აგრძელებს გზას. საითაც გაიხედავ, ყველგან იგივე სურათია – მორბენალი მუშების ალმურმოდებული, თოჯინებივით გაშტერებული სახეები კრთებიან ოთხივე მხარეს.

ერთ-ერთ მუშას, ეტყობა, სირბილშივე მოერია ძილი, თვალები დაეხუჭა, ფეხი აერია და ძირს გაიშხლართა; ორმა ამხანაგმა, იმის გვერდით რომ მირბოდნენ, ხელი დასტაცა და ნაბიჯის შეუნელებლად, სირბილშივე გვერდულად შეუძახა ღუმელში. ღუმელმა ხვნეშით ამოაფურთხა ცეცხლის ბურთი, გავიგონე, როგორ გასკდა ერთბაშად მილიონი რადიონათურა, თითქოს სპილოების ჯოგმა ცერცვის მინდორს გადაურბინაო. ეს ხმაც დანარჩენი მანქანების ზუზუნსა და ჟღრიალში ირევა.

ყველაფერს თავისებური რიტმი ახლავს, ქუხილის პულსაციისმაგვარი.

საძინებლის იატაკი კიდევ უფრო წინ მისრიალებს, შახტიდან პირდაპირ მანქანებიანი საამქროსკენ. მაშინვე ვამჩნევ, რა დაგვცქერის ზევიდან – ზუსტად ისეთი, ლიანდაგზე შეყენებული გორგოლაჭები, სასაკლაოზე გატყავებულ-გამოშიგნული საქონლის მაცივრიდან ყასბამდე უდავიდარაბოდ მისატანად რომ ხმარობენ ხოლმე. ორი, შავ შარვლებში, სახელოებაკაპიწებულ, თეთრ პერანგებში და ვიწრო, შავ ჰალსტუხებში გამონკეპილი ტიპი თუჯის კიბიდან ჩვენი საწოლებისკენ გადმოხრილა, საუბრისას ხელებით ანიშნებენ ერთმანეთს რაღაცას, წითლად ხაზავენ ჰაერს გრძელ მუნდშტუკებში გარჭობილი სიგარეტებით. კი ლაპარაკობენ, მაგრამ რიტმულ ხმაურში იმათ სიტყვებს ვერ ვარჩევ. ერთ-ერთი თითებს ატკაცუნებს, უახლოესი მუშა სირბილშივე, მოწყვეტით ტრიალდება და მისკენ მიიჩქარის. ტიპი თავისი მუნდშტუკით ქვევით, რომელიღაც საწოლისკენ უთითებს. მუშა კიბეზე ჩამორბის და ჩვენკენ აღერებს თავს, ცოტა ხნით თვალს

ეფარება, ორ ვეებერთელა, კარტოფილის საწყობისოდენა ტრანსფორმატორს შორის უჩინარდება. როცა ისევ ვხედავ, უკვე სქელ ჯაჭვზე დაკიდებულ კაუჭს მოაგორებს ჭერში გადებულ ლიანდაგზე და გოლიათური ნაბიჯებით მოიწევს წინ. გვერდით ჩამივლის და რომელიღაც მოგუგუნე ღუმლიდან უეცრად გამოვარდნილი ცეცხლის ალიც სწორედ ამ დროს უნათებს სახეს – საკმაოდ სიმპათიურს, მკაცრს, ცვილის ნიღბისნაირს, არაფრის მდომელს. ადრეც მინახავს მილიონი ასეთი სახე.

ბებერი ბოსტნეული ბლასტიკის საწოლთან მიდის და ქუსლში ავლებს საცოდავს ხელს, მაღლა სწევს, თითქოს ბლასტიკს საერთოდ არ ჰქონდეს წონა, მეორე ხელით კაუჭს უყრის ქუსლის მყესში და ჩვენი ბებერიც თავდაყირა ფართხალებს ჰაერში, ობმოდებული სახე გაბერვია და გადიდებია, დაფეთებულ თვალებში უსიტყვო შიში ჩადგომია. იქამდე იქნევს ორივე ხელს და თავისუფალ ფეხს, სანამ პიჟამის კალთები თავზე არ ჩამოეფარება. მუშა კალთებს ბლუჯავს, ჭმუჭნის, ტომრის პირივით კრავს, მერე ხმაურით მიაგორებს გორგოლაჭებს ლიანდაგზე კიბის ბაქნისკენ და თეთრპერანგებიან ტიპებს ასცქერის. ერთ-ერთი ქამარზე ჩამოკიდებული ბუდიდან სკალპელს იღებს. სკალპელი ჯაჭვზეა მიდუღებული. ტიპი სკალპელს მუშას უწვდის, ჯაჭვის ბოლოს კი მოაჯირზე ახვევს – შეიარაღებულმა მუშამ გაქცევა რომ ვერ მოახერხოს.

მუშა სკალპელს ართმევს, ერთი მოძრაობით უსერავს გულმკერდს ბებერ ბლასტიკს და ისიც მაშინვე წყვეტს ფართხალს. ვუცდი, საცაა გული წამივა-მეთქი, მაგრამ ბლასტიკს ჭრილობიდან არც სისხლი სდის და არც ნაწლავები უცვივა – მარტო ჟანგის და ნაცრის ჭავლი იფრქვევა, შიგადაშიგ მავთულის ნაკუწები და შუშის ნამსხვრევები. მუშა უკვე მუხლამდე რაღაც ხენჯისმაგვარ გროვაში დგას.

კიდევ ერთმა ღუმელმა დააღო ხახა, ვიღაც ალოკა ცეცხლის ენით.

ვფიქრობ წამოვხტე, გავიქცე, მაკმერფი, ჰარდინგი და

დანარჩენებიც გავაღვიძო, თუმცა ამას არანაირი აზრი არ ექ-ნება. გინდაც იმდენ ხანს ვანჯღრიო, ბოლოს მართლა ჩავაგდო გონში, მეტყვიან – რა გჭირს, შე იდიოტო, რა ჯანდაბა გეტაკა ამ შუაღამისასო? მერე, ალბათ, მუშასაც მიეხმარებიან ჩემს აწევაში და კაუჭზე ჩამოცმაში, თან დაინტერესდებიან, მოდი ერთი ვნახოთ, ამ ინდიელს რა უყრია მუცელშიო?

ნილის მანქანის ხმამაღალი, ცივი, სველი, სტვენისმაგვარი სუნთქვა მესმის, ვხედავ, მაკმერფის საწოლის ქვემოდან ნელ-ნელა როგორ მოცოცავენ ნილის პირველი ბოლქვები. იმედი მაქვს, მაკმერფის იმდენი ჭკუა ეყოფა, ნილში დაიმალოს.

მერე სხვა ხმაც მესმის, ვიღაც ძალიან ნაცნობის უაზრო ტი-ტინი. იმდენზე ვტრიალდები საწოლში, გვერდზე გახედვა მო-ვახერხო და თურმე მართლა საზოგადოებასთან ჩვენი მელოტი ხიდისგამდები არ ყოფილა! ახლაც თავისებურად სახეშეშუ-პებულია. სხვათა შორის, პაციენტები სულ კამათობენ და ვერ აუხსნიათ, რამ შეუშუპა სახე ასე უღმერთოდ. „გეუბნებით, ნაღ-დია, წყალი არ გაუვა-მეთქი," ვერა და ვერ თანხმდებიან ხოლმე ერთმანეთში. „ვარიანტი არ არსებობს, სად გაგიგიათ კაცს ეგეთი რამე ცმოდეს?" „კარგი და, მასეთი კაცი ბევრი შეგხვედრია?" მოკამათეები მხრებს იჩეჩავენ და აღიარებენ – ეგ მართლა საყუ-რადღებო არგუმენტიაო.

ჩვენს ჭკუისკოლოფს მარტო გრძელი ღამის პერანგი აცვია, მკერდზე და ზურგზე ამოქარგული უცნაური წითელი მონოგრა-მებით. საკუთარი თვალით ვხედავ და ამიტომ საბოლოოდ ვრწმუნდები (გვერდით რომ ჩამივლის და ერთს ცერად გამომ-ხედავს, პერანგი ცოტაზე ეჩაჩება) – თურმე მართლა კორსეტს ხმარობს, ზონრები ისე მოუჭერია, ყოველ წამს შეიძლება ტანზე შემოასკდეს.

კორსეტზე კი ათიოდე ჩამომჭკნარი საგანი კონწიალებს, სკალპებივით თმით ჩამოკიდული.

ხელში პატარა მათარა უჭირავს, რაღაცას ყლურწავს ლაპა-რაკის დაწყებამდე ყელის ჩასაწმენდად და აქაური ყროლის სუ-

ნის გასაქარვებლადაც დროდადრო ქაფურში დასველებული ცხვირსახოცი მიაქვს ცხვირთან. უკან ჯგროდ მოსდევენ მასწავლებლები და კოლეჯის სტუდენტი გოგოები – მთელი თავისი ამალა. ლურჯი წინსაფრები უკეთიათ და დაკულულებული თმა კეფაზე შეუკრავთ. გზადაგზა მის მოკლე განმარტებებს ისმენენ.

უცებ რაღაც სასაცილო ახსენდება და იძულებული ხდება, კაი ხნით შეწყვიტოს ლექცია, ხითხითის შესაჩერებლად მათარას უნდა დაეწაფოს საფუძვლიანად. პაუზის დროს ერთ-ერთი მისი მხლებელი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ქუსლით ჩამოკონწიალებულ, გამოფატრულ ქრონიკულს ხედავს. კივის და გველნაკბენივით უკან ხტება. ჩვენი ჯიგარიც იქით იხედება, გვამს ამჩნევს, მივარდება, იმის უსიცოცხლო ხელს ჩააფრინდება და უგრიხავს. სტუდენტი გოგონაც უკან მიყვება, დამფრთხალი, მაგრამ თან სახეგაბრწყინებული.

„ხედავთ? ხედავთ?“ წკმუტუნებს, თვალებს აცეცებს და ისე გულიანად იცინის, გარშემო აფრქვევს მათარაში დარჩენილ სითხეს. მგონია, იმდენს იცინებს, ბოლოს გასკდება კიდეც.

ძლივძლივობით წყნარდება, ისევ მანქანების რიგს მიუყვება და თავის ლექციასაც აგრძელებს. მერე უეცრად ჩერდება, შუბლზე ირტყამს ხელს – „ოხ, ჩემი ჭკუა რა ვთქვი!“ – და სირბილით ბრუნდება ჩამოკონწიალებულ ქრონიკულთან: ხო უნდა დაითრიოს კიდევ ერთი ნადავლი და სარტყელზეც ჩამოიკიდოს.

ირგვლივ, მარჯვნივაც და მარცხნივაც, სხვა ასეთივე ცუდი და კიდევ უარესი ამბებიც ხდება – გიჟური, საზარელი, იმდენად უაზრო და ველური, ვერ იტირებ, და იმდენად ნამდვილი – არ გაგეცინება. თუმცა ნისლი უფრო და უფრო სქელდება და ცქერასაც აზრი ეკარგება. ვიღაც მექაჩება მკლავზე. ვიცი, რაც მოხდება: ნისლიდან გამათრევენ, ყველანი ისევ განყოფილებაში აღმოვჩნდებით და ღამე თავსგადახდენილის კვალიც არ იქნება არსად; მე კი, თუ ჭკუა არ მეყო და ვინმესთვის რამის მოყოლა ვცადე, მეტყვიან – იდიოტო, კოშმარი დაგსიზმრებიაო; ეგეთი გიჟური

ამბები არ ხდება, არავითარი მანქანებიანი ოთახი, სადაც რობოტი-მუშები ხალხს ფატრავენ, არ არსებობსო.

მაგრამ, თუ არ არსებობს, როგორღა ხედავ?

თურმე ბატონი თერქლი მექაჩება მკლავზე, ნისლიდან მომათრევს, მანჯღრევს და თან იღიმება: ცუდ სიზმარს ხედავ, მისტა ბრომდენო – მეკითხება. თერქლიც სანიტარია, მარტო მორიგეობს ღამის გრძელ ცვლაში, თერთმეტიდან შვიდამდე, ბებერი ზანგია, მთელ სახეზე რულმორეული ღიმილი გადაფენია და ჟირაფის კისერი უყანყალებს. ისეთი სუნი ასდის, ეტყობა ცოტა ჩაურტყამს. „ძილი შეიბრუნე, მისტა ბრომდენ.“

ზოგჯერ, ღამღამობით, ზეწარს მხსნის ხოლმე, თუ მაგრად ვარ გაკოჭილი და ძილში ვბორგავ. არ ეშინია, დღის ცვლა ჩემზე იფიქრებსო. რომ გაუგონ, ალბათ დაითხოვენ, მაგრამ დარწმუნებულია, დღის ცვლა ამასაც მე დამაბრალებს. მგონი, მართლა კეთილი გულით მეხმარება, თუმცა მაინც უნდა დარწმუნდეს – არაფერი მემუქრებაო.

ზეწარს ამჯერად არ მხსნის, საწოლს შორდება და აქამდე ჩემთვის უცნობ ორ სანიტარს და ახალგაზრდა ექიმს ეხმარება ზეწარგდაფარებული ბლასტიკის ბორბლებიან საკაცეზე გადატანაში. მერე საკაცეს მიაგორებენ – ისე ფრთხილად და ისეთი ყურადღებით ეპყრობიან ცხონებულ ბლასტიკს, როგორც მთელი ცხოვრება არავინ მოპყრობია.

ღილაა. მაკმერფი ჩემზე ადრე ამდგარა. კედლებზე მოსიარულე ძია ჯულზის მერე პირველად დამასწრო ვიღაცამ ადგომა. ძია ჯულზი ერთი ბებერი გამჭრიახი ჭაღარა ზანგი იყო, თავისი თეორია ჰქონდა – ღამღამობით შავი ბიჭები მთელ ქვეყანას გვერდზე აფერდებენო; როგორც წესი, სისხამ დილით გამოძვრებოდა ხოლმე ლოგინიდან და უნდოდა შავი ბიჭებისთვის ამ საქმეზე წაესწრო. ჯულზის არ იყოს, დილაობით მეც ადრე ვდგები, თვალს ვადევნებ, დღეს რა აპარატურას შემოგვჩრიან განყოფილებაში, რა ეშმაკის მანქანებს დააყენებენ სადალაქოში... სანამ ვინმე სხვაც ადგებოდეს, ჩვეულებრივ მთელი თხუთმეტი წუთი მარტო მე და შავი ბიჭები ვართ ხოლმე დილაობით დერეფანში. ამ დილით კი, გაღვიძებისთანავე, საპირფარეშოდან მაკმერფის ხმა მესმის. იმისი სიმღერა! ისე მღერის, იფიქრებ, თავის დღეში სადარდებელი არ ჰქონიაო. დაწმენდილი, ძლიერი ხმა ცემენტს და ფოლადს ეხლება. „მგონი შენ ცხენებს შიათო, მორცხვად მითხრა...“ მომწონს, როგორ რეკს ხმა საპირფარეშოში. „...დაჯექი, ნუ ჩქარობ, შეჭამონო შვრია“. ჰაერს ხარბად ისუნთქავს და ხმას უწევს, მეტ სიმაღლეს და ძალას აძლევს, სანამ კედლებში ყველა მავთული არ აჟღრიალდება. „არ შიათ ჩემ ცხენებს, არც ეგ შვრია უ-უ-უ-უ-ნდა-ა-ათ.“ ერთ ნოტს იჭერს და ათამაშებს, მერე დარჩენილი ტექსტის ჩასათავებლად ისევ ქვევით ხტება. „მშვიდობით მენახე, მე შორ გზას ვადგავარ.“

მღერის! ყველა გაშტერებულია. საუკუნეა, აქ მსგავსი არავის არაფერი გაუგონია, ყოველ შემთხვევაში, ამ განყოფილებაში მაინც. ახალგაღვიძებული მწვავეები იდაყვებზე წამოწეულან, თვალებს ახამხამებენ და მაკმერფის უსმენენ. წარბებაწკეპილები გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს – რა ხდება, რატომ არ აჩუმებენ შავი ბიჭები? როდის იყო, ვინმეს ამდენი ხმაურის ნებას აძლევდნენ? ვითომ ეს ახალი რა წითელი კოჭია? ისიც ადამიანია, იმასაც ჩვეულებრივი ხორცი და ძვალი აქვს, სხვასავით ისიც შეიძლება შეშინდეს, დაუძლურდეს, მოკვდეს... ყველა დანარჩენივით ისიც იმავე კანონებს ემორჩილება, იმასაც უნდა ჭამა, ვერც ის გაექცევა ყველასთვის საერთო უსიამოვნებებს; მოკლედ, წესით ისიც აბსოლუტურად დაუცველია კომბინატის წინაშე, სხვა ნებისმიერივით, რა, არ არის ასე?

ოღონდ ახალი მაინც სხვა ჩამოსხმაა და ამას მწვავეებიც ხედავენ, ყველასგან განსხვავდება, ვისაც კი ბოლო ათ წელიწადში ამ განყოფილებაში შემოუდგამს ფეხი, ამ კედლებს გარეთ ნანახთაგანაც კი არ ჰგავს არავის. მართალია, ალბათ, ისიც სხვებივით დაუცველია საბოლოო ჯამში, მაგრამ აქამდე მაინც როგორღაც გადარჩენია კომბინატის კლანჭებს.

„ურმებიც დავტვირთე," მღერის მაკმერფი, „შოლტიც მოვიმარჯვე..."

არა, ნეტა მაინც როგორ დაიძვრინა თავი? ბებერი პიტის არ იყოს, ეტყობა, დროზე ვერც ეს ჩაიგდო კომბინატმა ხელში და საკონტროლო რეგულატორების ჩადგმაც დაუგვიანა. შეიძლება, ბავშვობიდანვე ველურად იზრდებოდა, ღობე-ყორეს ედებოდა, აღმა-დაღმა დაწანწალებდა, რამდენიმე თვეზე დიდხანს არც ერთ ქალაქში არ ჩერდებოდა და სკოლაც ვერ მოერია... მერე ხან ხეს ჭრიდა, ხან კარტს თამაშობდა, ხან კარუსელებს ატრიალებდა, ზედმეტი ბარგი-ბარხანის გარეშე დახეტიალებდა, ადგილსამყოფელს სწრაფ-სწრაფად იცვლიდა და კომბინატმაც ვერაფრის ჩამონტაჟება ვერ მოუხერხა. ალბათ ასეა, ალბათ კომბინატსაც არაფერი აცალა, როგორც გუშინ დილით არ აცალა

თერმომეტრიან შავ ბიჭს მიახლოება – მოძრავი სამიზნისთვის მორტყმა მართლა ძნელი საქმეა.

ცოლი ამას არ უბურღავს ტვინს ახალ ლინოლეუმზე წუწუნით და ბებერი, თვალებაწყლიანებული ნათესავები არ უწვრილებენ გულს. კაციშვილი არ ყავს მოსავლელ-საპატრონებელი საკუთარი თავის გარდა და სხვა რა უნდა საქმის მცოდნე თაღლითს?! ეტყობა, იმიტომაც არ უვარდებიან შავი ბიჭები საპირფარეშოში და იმიტომაც არ აწყვეტინებენ ხმას, იციან – არანაირ კონტროლს არ ემორჩილებაო; პიტთან გატარებული დრო ახსოვთ და მშვენივრად მოეხსენებათ, რა შეუძლია უკონტროლო კაცს. თან ხედავენ, ბებერ პიტთან შედარებით გოლიათია: ამის გაქაჩვაზე თუ მიდგა საქმე, მარტო სამივე ერთად კი არ უნდა დაეძგეროს, მთავარი ექთანიც იქვე უნდა იდგეს შპრიცმომარჯვებული. მწვავეები ერთმანეთს თავებს უქნევენ, კი, ესაა მიზეზიო, ფიქრობენ; ამიტომ არ აწყვეტინებენ სიმღერას, თორემ ჩვენ ამდენს აბა ვინ დაგვაცდიდაო.

დერეფანში სწორედ იმ დროს გავდივარ, როცა მაკმერფიც გამოდის საპირფარეშოდან. თავზე ქუდი ახურავს, არადა ისე, სხვა მხრივ, თითქმის დედიშობილაა – მარტო პირსახოცი შემოუხვევია თეძოებზე და ცალი ხელით იმაგრებს. მეორე ხელში კბილის ჯაგრისი უჭირავს. დერეფანში დგას, აქეთ-იქით იყურება და რაც შეუძლია მაგრად იწევა თითის წვერებზე, ცდილობს ტერფები ცივ იატაკს მოაშოროს. სამში ყველაზე დაგვაჯულ შავ ბიჭს ირჩევს, იმისკენ მიდის და მხარზე ხელს უტყაპუნებს კაი ძმაკაცივით.

„ჩვენი ძმა, არსებობს რამე ვარიანტი, კაცმა კიჭების გასაკრიალებლად ცოტა პასტა იშოვოს?“

ჯუჯა თავს ატრიალებს და ცხვირით პირდაპირ მაკმერფის ტორს ეხლება. ტორს უბღვერს, მერე საჩქაროდ მეგობრების ძებნას იწყებს თვალებით – რა იცი, რა ხდება? – და მაკმერფის ეუბნება, სანამ შვიდს თხუთმეტი არ დააკლდება, კაბინეტს არ ვაღებთ, ჩვენთან ასეთი წესიაო.

„დედას გაფიცებ! ესე იგი, თუ სწორად გაგიგე, კბილის პასტას იქ ინახავთ ხოლმე? კაბინეტში?“

„სწორია, კარადაშია ჩაკეტილი.“

შავ ბიჭს უნდა, ისევ პლინტუსების ხეხვა გააგრძელოს, არადა მაკმერფის ხელი ჯერაც დიდი, წითელი კავივით აქვს მხარზე მოდებული.

„კაბინეტში, არა? კარგია, კარგი... აბა, ეხლა ერთი შენ თითონ დაფიქრდი და ისე მიპასუხე, რატო უნდა ინახავდნენ კბილის პასტას ჩაკეტილს? არა, მე იმას გეუბნები, მაინცდამაინც სახიფათო იარაღს არ უნდა გავდეს-მეთქი, არა? რას იტყვი? კაცს იმით ვერ მოწამლავ, ეგრეა? ვერც თავს გაუხეთქავ... შენი აზრი მაინტერესებს, რატო უნდა კეტავდნენ ეგეთ უვნებელ რამეს ცხრაკლიტულში?“

„განყოფილების შინაგანაწესია ასეთი, მისტა მაკმერფი, მიზეზიც ეგაა.“ მაგრამ როცა რწმუნდება, ეს უკანასკნელი მიზეზი პაციენტზე სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენსო, იმისი წითელი ტორის დანახვაზე ერთხელაც იჭმუხნის შუბლს და ამატებს: „როგორ გგონიათ, რას დაემგვანება აქაურობა, ყველამ თუ მაშინ დაიწყო კბილების ხეხვა, როცა ჯაგრისს მოკრავს სადმე თვალს?“

მაკმერფი ოდნავ ათავისუფლებს შავი ბიჭის მხარს, მეორე ხელით წითელი ბანჯგვლის ბლუჯას იწვალებს კისერთან და იმის ნათქვამზე ფიქრობს. „აჰა-ჰაა, მგონი მივხვდი, საითაც უკაკუნებ: განყოფილების შინაგანაწესი იმათთვისაა მოგონილი, ვისაც ყოველი ჭამის მერე არ შეუძლია კბილების გახეხვა.“

„ღმერთო ჩემო, აბა რა!“

„კი, ეხლა ვხვდები. ესე იგი, შენ ამბობ, კბილებს ყველა მაშინ გაიხეხავდა, როცა ხოში მოუვიდოდათო, არა?“

„სწორია, ამიტომაც...“

„არა, მართლა, წარმოგიდგენია? ზოგი შვიდის ოც წუთზე, ზოგი შვიდის ნახევარზე – ამათსას გაიგებ? – ზოგმა იქნებ ექვსზეც მოინდომოს! კი, ეხლა ნაღდად დავრწმუნდი შენ სიმართლეში, ძმაო!“

მე კედელთან ვდგავარ, მაკმერფი თვალს მიკრავს, შავმა ბიჭმა რომ არ დაინახოს, ისე.

„ეს პლინტუსი მაქ გასაწმენდი, მაკმერფი.“

„აბა რა, მიდი, თუ ძმა ხარ, საქმეს არ მოცდე.“ უკან-უკან იხევს და სანიტარიც ისევ პლინტუსისკენ იხრება. მერე მაკმერფი ისევ უახლოვდება და შავი ბიჭის გვერდით მდგარ რკინის ყუთში იჭყიტება. „ეე, ნახე! ეს რაღაა?“

შავი ბიჭიც იყურება ყუთში. „რა ვნახო?“

„ნახე, ნახე, მაგ ჟანგიან ყუთში, სემ. რა გაქ მანდ?“

„ესა?.. საპნის ფხვნილია.“

„კარგი, მართალია, მე პასტას ვხმაროობ ხოლმე, მარა...“ ჯაგრისს ფხვნილიან ყუთში ყოფს, ღონივრად ატრიალებს, მერე იღებს და ყუთის კედელზე აკაკუნებს. „...ესეც გამოდგება. მადლობელი ვარ. რო მოიცლი, შინაგანაწესზე ლაპარაკი გავაგრძელოთ.“

ისევ საპირფარეშოსკენ აღერებს თავს, ცოტა ხანში იქიდან ისევ ისმის ჯაგრისის დგუშისებურ, ფეთქებად ხმებში არეული სიმღერა.

შავი ბიჭი გაშტერებული დგას, საპირფარეშოსკენ იყურება, ნაცრისფერ ხელში უსიცოცხლოდ ჩამოკიდებული ჩვარი უჭირავს. როდის-როდის ახამხამებს თვალს, ცოტა აზრზე მოდის, ამჩნევს რომ ვუცქერი, მიახლოვდება და პიჟამის ზონრით მიმათრევს დერეფნის ბოლოსკენ, იმ ადგილისკენ მექაჩება, რომელიც გუშინ უკვე მოვაპრიალე.

„აგე! აი აქ, შე კრეტინო! აქ უნდა იმუშაო და ნუ გაშტერებულხარ რძეგამშრალ ძროხასავით! აქ-მეთქი! აქ!“

წელში ვიხრები და, შავი ჯუჯასკენ ზურგშექცეული, ჩვრით იატაკის ხეხვას ვიწყებ, არ მინდა ღიმილი დავანახო. მშვენიერ გუნებაზე ვარ, საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ამოვიდა მაკმერფი შავი ბიჭის ოხტში, ბევრი ვერ მოახერხებდა ამას; მამაჩემს შეეძლო ასეთი რამეები – იმ დღეს, პირველად რომ მოგვადგნენ მთავრობის კაცები თამასუქის გამოსასყიდად, მამა ფეხებგალა-

ჯული, თვალგაშტერებული, ცას მიჩერებული დახვდათ. აგე, აიხედეთ, კანადური ბატებიო – ეუბნება მთავრობის კაცებს, თან ცას არ აშორებს თვალს. ისინიც მაღლა იხედებიან და რაღაც ფურცლებს აშრიალებენ. „რას ბრძანებთ? ივლისში? ამ დროს – ჰმ! – აქ ბატებს რა უნდათ. როგორ გეკადრებათო“.

აღმოსავლეთ სანაპიროდან მოსული ტურისტებივით ლაპარაკობდნენ, იმათსავით, ვისაც ჰგონია, ინდიელს სხვანაირად ვერაფერს გააგებინებო. მამას არაფერზე შეტყობია, საერთოდ თუ აქცევდა ყურადღებას იმათ ლაპარაკს. ისევ ცას ასცქეროდა. „ბატები მიფრინავენ, თეთრო კაცო. თქვენც ხომ იცით?! წელსაც მიფრინავენ. როგორც შარშან. შარშანწინაც. იმის წინაც.“

მოსულები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და მალ-მალე ახველებდნენ. „დიახ, შეიძლება მართლაც ასეა, ბელადო ბრომდენ. მაგრამ, მოდი, ახლა ბატები დაივიწყეთ. კონტრაქტს მიაქციეთ ყურადღება. ჩვენს წინადადებას თუ დასთანხმდებით, დიდ სარგებელს ნახავთ – თქვენც და თქვენი ხალხიც. წითელკანიანთა ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ შეიცვლება.“

მამა კი – იმის წინაც, და იმის წინაც, და იმის იმის იმის წინაცო – აგრძელებდა თავისას.

როცა მთავრობის კაცები ბოლო-ბოლო მიხვდნენ, გვაშაყირებსო, ჩვენი ქოხის პარმაღზე უკვე მთელი ტომის სათათბირო იჯდა: ჩაიყოფდნენ ჩიბუხებს თავიანთი წითელ- და შავუჯრედებიანი შალის პერანგების ჯიბეებში, ისევ ამოიღებდნენ და ერთმანეთს და მამაჩემს შესცინოდნენ – ლამის მუცლები დაასკდათ სიცილისგან. ძია ერ ჯი მგელი მიწაზე გორაობდა, სიცილისგან იფხრიწებოდა და – თქვენც ხო იცით, თეთრო კაცებოო – გაიძახოდა.

მართლა ამოვიდნენ მაშინ იმათ ოხტში. მთავრობის კაცები უსიტყვოდ შებრუნდნენ და გზატკეცილისკენ წაცუხცუხდნენ კეფააწითლებულები. ჩვენი სიცილი მიაცილებდათ. ზოგჯერ მავიწყდება კიდეც, რა ძალა აქვს სიცილს.

მთავარი ექთანი გასაღებს არგებს კარის საკეტს, შემოდის და შავი ბიჭიც მაშინვე გვერდზე აეტუზება, მალ-მალე ინაცვლებს იატაკზე ფეხს, თითქოს პატარა ბავშვია და ფისი მოუნდაო. საკმაოდ ახლოს ვარ იმათთან და მესმის, რამდენჯერმე როგორ ახსენებს მაკმერფის გვარს, ეტყობა, კბილის გახეხვის ამბავს უყვება ქალს, წუხელ გარდაცვლილი ბებერი ბოსტნეული არც ახსენდება, კრინტსაც არ ძრავს იმაზე. თან ლაპარაკში ხელებს იქნევს, ერთი სული აქვს, წვრილად ჩაუკაკლოს, უკვე რამდენი მოასწრო ამ სისხამ დილით წითურმა გიჟმა – ყველაფერი აურ-დაურია, ყველა ფეხებზე დაიკიდა, წესებს არ დაემორჩილა და ბოლო იმედად მთავარი ექთანილა რჩება.

ქალი ჯიქურ მიჩერებია, სანამ შავი ბიჭი ფაცაფუცს არ მორჩება, მერე დერეფნის ბოლოსკენ გადააქვს მზერა, საპირ-ფარეშოს კარებისკენ, საიდანაც უწინდელზე ხმამაღლა მოგუ-გუნებს მაკმერფის სიმღერა. „ღარიბიაო, შენ მშობლებს არ მო-ო-ო-ვწონვა-ა-არ; ახლოს არ გაეკაროო ჩვენ ეზო-კარს.“

მთავარ ექთანს თავიდან აშკარად გაოგნებული სახე აქვს; ყველა ჩვენგანის არ იყოს, სიმღერა იმდენი ხანია აღარ მოუს-მენია, დრო ჭირდება მისახვედრად, რა ხდება მის თავს.

„სიღარიბის არ მრცხვენია, რაცა ვარ, ესა ვ-ა-ა-არ, არ მოგ-წონვარ და კარგს იზამ, თუ დამანებებ თავს.“

ერთ წუთს კიდევ უსმენს, უნდა დარწმუნდეს, არაფერი მეჩ-ვენებაო; მერე თანდათანობით სივდება. ნესტოები ებერება და ყოველ ამოსუნთქვაზე დიდდება, ამოდენა და ასეთი საშინელი თეიბერის ამბის მერე აღარასდროს მინახავს. აი, იდაყვის და თითების სახსრები აამუშავა. სუსტი ჭრიალი მესმის. მერე ადგი-ლიდან წყდება, მე კედელს ვეკვრები, გვერდით რომ ჩამიქრო-ლებს, უკვე საბარგო მანქანისოდენაა, როგორც მისაბმელს, ისე მიაპრონიალებს ზურგს უკან მოწნულ ჩანთას, გამონაბოლქვის ბოლში გახვეულს. ტუჩები შუაზე გაპობია, ღიმილი რადიატორის ბადესავით მიუძღვის წინ. ცხელი ზეთის სუნი მცემს და მაგნე-ტოს ნაპერწკლებს ვხედავ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ერთი-

ორად იზრდება, იბერება, სივდება, ყველაფერს სპობს თავის გზაზე! გაფიქრებაც კი მზარავს, რა შეიძლება მოიმოქმედოს.

უზომოდ გაბერილი და უსაშველოდ გაბრაზებული უკვე საპირფარეშოს კარებთანაა და სწორედ ამ დროს იქიდან თეძოებზე პირსახოცშემოხვეული მაკმერფიც გამოდის, თითქმის ზედ აწყდება და ტყვიანაკრავივით აშეშებს ერთ ადგილას! მთავარი ექთანი იბუზება, პატარავდება, თავით ძლივს სწვდება მაკმერფის პირსახოცამდე და მაკმერფიც ღიმილით დასცქერის ზემოდან. მთავარ ექთანს ღიმილი სახეზე აჭკნება, ტუჩის კუთხეები ებრიცება.

„დილა მშვიდობისა, მის რეჩედ! რა ხდება გარეთ, რა ამბავია?“

„აქ ასე სირბილი არ შეიძლება... პირსახოცით...“

„არა?“ მაკმერფი სველ, ტანზე შემოტკეცილ პირსახოცს დასცქერის, სწორედ ქალის თვალების დონეზე. „პირსახოცებიც განყოფილების შინაგანაწესს ეწინააღმდეგება? კეთილი, რა გაეწყობა, მაშინ უნდა...“

„გაჩერდით! არ გაბედოთ. შებრუნდით საძინებელში და ამ წუთშივე ჩაიცვით ტანზე.“

ისე უწყრება, როგორც მასწავლებელი მოწაფეს, მაკმერფიც მართლა მოწაფესავით თავჩაღუნული დგას და ისეთი ხმა აქვს, თითქოს საცაა ზლუქუნს ამოუშვებსო. „მაგას ვერ ვიზამ, ქალბატონო. ვშიშობ, ვიღაც ხელმრუდმა წუხელ ტანსაცმელი ამწაპნა. ეს რა ლეიბები გქონიათ, მკვდარივით დამეძინა.“

„ვიღაცამ აგწაპნათ?“

„დამაწერა. შეიტყაპუნა. ამახია. მომპარა,“ ბედნიერი სახით უხსნის მაკმერფი. „ეტყობა, მაგრა დაევასა ჩემი ზმანები.“ ეს ამბავი ისე ამხიარულებს, ფეხშიშველი ერთს წაუცეკვებს კიდეც მთავარი ექთნის წინ.

„ტანსაცმელი მოგპარეს?“

„დიახ, თქვენ ზუსტად ჩაწვდით ჩემი ნათქვამის აზრს.“

„კი, მაგრამ... პატიმრის ტანისამოსი?.. რად უნდოდათ?“

მაკმერფი ტლინკაობას წყვეტს და ისევ თავჩაქინდრული ჩერდება. „კარგად მახსოვს, დაწოლისას ტანსაცმელი გვერდით

დავილაგე, დილით კი აღარ დამხვდა. ვითომ არც მქონია. არა, მე კი ვიცი, პატიმრის უბრალო ჭინჭები იყო, ქალბატონო, გაზინთული, გახუნებული, უვარგისი... როგორ არ ვიცი! ვის წაუცდებოდა მაგაზე ხელი, ვისაც სხვაც მოეძებნება რამე ჩასაცმელი, მარა შიშველი კაცისთვის...“

„თქვენი ტანისამოსის წაღება გათვალისწინებული იყო,“ როგორც იქნა, ახსენდება მთავარ ექთანს. „ამ დილით მწვანე ფორმა გამოგიყვეს.“

ჯერაც დარცხვენილი მაკმერფი თავს აქნევს და ოხრავს. „არა, არა, მე მგონი, ცდებით, არაფერიც არ გამოუყვიათ. დილით ამ ქუდის და ამ...“

„უილიამს!“ ეძახის მთავარი ექთანი შავ ბიჭს, რომელიც ისევ განყოფილების კარებთანაა ატუზული, თითქოს გასაქცევად გამზადებული. „უილიამს, ერთი წუთით აქ ხომ არ მობრძანდებოდით?“

უილიამსი ისე მოხოხავს მისკენ, როგორც ძაღლი როზგისკენ.

„უილიამს, რატომ არ გამოუყვეს ამ პაციენტს სათანადო ტანისამოსი?“

სანიტარი მშვიდდება. წელში იმართება, იღიმება, ნაცრისფერ ხელს მაღლა სწევს და დერეფნის მეორე ბოლოში მდგომი ერთ-ერთი მაღალი ამხანაგისკენ უთითებს მთავარ ექთანს.

„მე არა. არა. დღეს თეთრეულზე მისტა უოშინგტონია პასუხისმგებელი.“

„მისტერ უოშინგტონ!“ მთავარი ექთანი თვალებით ყინავს ადგილზე ვედროში ტილოს გასავლებად გამზადებულ უოშინგტონს, თვალებითვე ალურსმავს კედელს. „ერთი აქეთ მობრძანდით!“

ტილო უხმაუროდ მისრიალებს ვედროში, სანიტარი ნელ-ნელა, ფრთხილად იმშრალებს ხელებს, მთელი ტანით ტრიალდება და მაკმერფისკენ, ჯუჯასკენ და მთავარი ექთნისკენ აპარებს თვალს. მერე ჯერ მარცხნივ იხედება, შემდეგ მარჯვნივაც – თითქოს ქალი სხვას ეძახდეს ვინმეს.

„მოდით აქ!“

უოშინგტონი ხელებს ჯიბეებში იწყობს და ფეხების ფლა-

ტუნით მოუყვება დერეფანს. საერთოდაც არასდროს დადის ჩქარა, მაგრამ ახლა, ვატყობ, ცოტა თუ არ შეფუცხუნდა, მთავარ ექთანს შეუძლია მარტო თავისი მზერით მიაყინოს ერთ ადგილს და წამში აქციოს ყინულის ნამსხვრევებად. მაკმერფისთვის განკუთვნილი მთელი ზიზღი, რისხვა და სიძულვილი ახლა უოშინგტონისკენაა მიმართული და ისიც გრძნობს, ქარაშოტივით როგორ ეხლება ცხვირ-პირში ყველა ეს გრძნობა, კიდევ უფრო მეტად ებორკება ფეხები, ვიდრე სხვა დროს. თითქოს მართლა ქარაშოტს ებრძვის ტანზე მაგრად ხელებმიტყუპებული. თმაზე და წვერზე თრთვილი ედება. ლამის წაქცევამდე იხრება წინ, არადა ნაბიჯის გადმოდგმა სულ უფრო და უფრო უჭირს; ვეღარასდროს მიაღწევს დანიშნულ ადგილს.

მერე მაკმერფი „ტკბილი ჯორჯია ბრაუნის“ სტვენას იწყებს და მთავარი ექთანიც სწორედ დროზე არიდებს თვალს უოშინგტონს. ასეთი გაცოფებული და გაბითურებული ჯერ არც მინახავს. თოჯინას ღიმილის კვალიც აღარსად ჩანს, ტუჩები გავარვარებული მავთულებივით გაწითლებია, დაჭიმვია და გაწვრილებია. ახლა დერეფანში რომელიმე პაციენტი რომ გამოვიდეს და ამ დღეში ნახოს, მაკმერფის თამამად შეუძლია, მოგებული ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალოს.

ბოლოს და ბოლოს შავი ბიჭიც აღწევს დანიშნულების ადგილს. ორი საათი მოანდომა გზას. მთავარი ექთანი ღრმად სუნთქავს. „უოშინგტონ, რატომ არ მისცეს ამ კაცს დილით თავისი კუთვნილი მწვანე პიჟამა? ვერ ხედავთ, პირსახოცის ამარა რომაა დარჩენილი?“

„და ქუდის“, ჩურჩულით კარნახობს მაკმერფი და ქუდზე თითს იკაკუნებს.

„ჰა, მისტერ უოშინგტონ?“

მაღალ-მაღალი უოშინგტონი დაგვაჯულს ჭამს თვალებით, ვინც წელან თითი მიუშვირა, და ისიც ისევ იწყებს ადგილზე ცქმუტვას. დიდხანს არ აშორებს რადიოლამპებად ქცეულ თვალებს, ანგარიშის გასწორებას კი მოგვიანებით აპირებს; მერე თავს

აბრუნებს და მაკმერფის ახედ-დახედავს, იმის ღონიერ, დაკუნთულ მხრებს, დამცინავ ღიმილს, ნაიარევ ცხვირს, პირსახოცს ჩაფრენილ ხელს ათვალიერებს და ბოლოს მზერა მთავარ ექთანზე გადააქვს.

„ჩემი აზრით...“ აპირებს რაღაცის თქმას.

„თქვენი აზრით! მაშ, აზრიც გაგაჩნიათ? ამწუთასვე მოუტანეთ ფორმა, მისტერ უოშინგტონ, თორემ მომდევნო ორი კვირა გერიატრიულ განყოფილებაში მოგიწევთ მუშაობა! დიახ. ცოტა ხანს ღამის ქოთნების და ტალახის აბაზანების სურნელს რომ იყნოსავთ, შეიძლება, მაშინ მიხვდეთ, რა ცოტა გევალებათ სანიტრებს ამ განყოფილებაში. თქვენი აზრით, სხვაგან ვინ დაგიდგებოდათ მთელი დღე დერეფნების სახეხად? მისტერ ბრომდენი? მე მგონი, პასუხი თვითონაც მშვენივრად იცით. ჩვენ ბევრი შავი საქმისგან მარტო იმიტომ გათავისუფლებთ, პაციენტებს მეტი ყურადღება მიაქციოთ. ამაში ისიც იგულისხმება, დედიშობილა არ დარბოდნენ ყველას დასანახად. როგორ გგონიათ, რა მოხდებოდა, რომელიმე ახალგაზრდა ექთანი ადრიანად რომ მოსულიყო და დერეფანში მოტანტალე შიშველი პაციენტი ენახა? როგორ გგონიათ-მეთქი, ჰა?“

შავ ბიჭს, ეტყობა, ჯერ მთლად ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, მაინც რა მოხდებოდა, მაგრამ ნათქვამის აზრს ძირითადად ხვდება და დაოთხილი მითოხარიკობს თეთრეულის საწყობისკენ მაკმერფისთვის ერთი ხელი ტანისამოსის მოსატანად – ალბათ, სულ ცოტა ათი ზომით პატარა ტანისამოსის, მერე თოხარიკითვე ბრუნდება უკან და ტანსაცმელს ისეთი დაუფარავი სიძულვილით უწვდის, რის მსგავსიც ადრე არაფერი მინახავს. მაკმერფი, ერთი შეხედვით, დაბნეული ჩანს, თითქოს არ იცის, ტანსაცმელი როგორ ჩამოართვას, როცა ცალ ხელში ჯაგრისი უჭირავს, მეორით კი თეძოებზე პირსახოცის შემაგრებას ცდილობს; ბოლოს მთავარ ექთანს თვალს უკრავს, მხრებს იჩეჩავს, პირსახოცს იხსნის და ექთანს კიდებს კისერზე, ვითომ ტანსაცმლის საკიდი იყოს.

ვხედავ, პირსახოცის ქვეშ თურმე თავისი ვეშაპებიანი შორტები სცმია.

ჩემი აზრით, მთავარ ექთანს ერჩივნა კიდეც, მართლა შიშველი ყოფილიყო, ამ შორტების დანახვაზე მთლად ექცევა ღრანჭი. შორტებზე მოდგაფუნე დიდ, თეთრ ვეშაპებს უტყვი აღშფოთებით მიჩერებია. ამდენის მოთმენა უკვე იმასაც კი უჭირს; მთელი წუთი სჭირდება, სანამ იმდენად მაინც მოერევა თავს, დაგვაჯულ შავ ბიჭს მიუბრუნდეს; ისეთი გაცოფებულია, ხმა უკანკალებს, ვერაფრით იმორჩილებს.

„უილიამს... მე მგონი... ჩემს მოსვლამდე ექთნების სამორიგეოს ფანჯარა თქვენ უნდა გაგეპრიალებინათ.“ ჯუჯა თეთრწინწკლებიან შავ ხოჭოსავით გარბის ფართხაფურთხით. „თქვენ კი, უოშინგტონ, თქვენ...“ უოშინგტონიც ისევ თავისი ვედროსკენ მიქრის თავქუდმოგლეჯილი. ქალი დერეფანს ათვალიერებს, სხვას ვის ვეცეო, ფიქრობს. მე მამჩნევს, მაგრამ ამ დროს უკვე სხვებიც გამოდიან საძინებელი ოთახიდან, ძალიან აინტერესებთ, რატომ შეკრებილა ეს პატარა ჯგუფი დერეფანში. მთავარი ექთანი თვალებს ხუჭავს და ცდილობს, გულისყური მოიკრიბოს. ასეთი სახით ვერავის დაენახვება – გადაფითრებული, რისხვისგან დამანჭული სახით. მთელი თავისი საარაკო ნებისყოფის მოხმობა სჭირდება. თანდათანობით ტუჩები ისევ იყრიან თავს პაწია, თეთრი ცხვირის ქვეშ, უწინდელ ფორმას იბრუნებენ – თითქოს გაწითლებულ-გავარვარებული მავთული მეტისმეტად გახურდა, დნობის წერტილს მიაღწია, წამით იციმციმა, მერე ყალიბში ჩასხმული ლითონივით გამკვრივდა, ნელ-ნელა გაცივდა და უცნაურად გაუფერულდაო. ბაგე ორად ეპობა და ტუჩებს შორის ენა – ტყვიის ნატეხი – მოჩანს. ისევ ახელს თვალებს, თვალებიც, ტუჩებივით, უცნაურად გაუფერულებულან, ტუჩებივით გაციებულან და დაბლაგვებულან, მაგრამ, აქაოდა არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაო, მაინც ჩვეულებრივად ესალმება ყველას, იმედი აქვს, ნამძინარევი პაციენტები ვერაფერს შემატყობენო.

„დილა მშვიდობისა, მისტერ სეფელტ, ისე ძალიან ხომ აღარ

გაწუხებთ კბილები? დილა მშვიდობისა, მისტერ ფრედრიქსონ, კარგად გეძინათ წუხელ თქვენ და მისტერ სეფელტს? თქვენი საწოლები ხომ გვერდიგვერდ დგას? ამასწინათ მითხრეს, თურმე წამლების დალევის თქვენებური წესი მოგიგონიათ, თქვენს წამალს ბრუსი სვამს და პირიქით. ასეა, მისტერ სეფელტ? ამაზე მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებთ. დილა მშვიდობისა, ბილი. აქეთ რომ მოვდიოდი, დედაშენი შემხვდა და მთხოვა, აუცილებლად გადმომეცა შენთვის, სულ ბილიზე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, იმედს არ გამიცრუებსო. დილა მშვიდობისა, მისტერ ჰარდინგ. უი, ნახეთ, თითის წვერები გაგწითლებიათ და აგქერცლიათ, ისევ იჭამდით ფრჩხილებს?“

სანამ ვინმე უპასუხებდეს, გინდაც ჰქონდეთ რამე საპასუხო, ჯერაც შორტებისამარა მდგომი მაკმერფისკენ ტრიალდება. შორტებს ჰარდინგიც ამჩნევს და შთაბეჭდილებას სტვენით გამოხატავს.

„თქვენ კი, მისტერ მაკმერფი,“ უკვე ჩვეული ღიმილით ეუბნება შაქარივით დამტკბარი მთავარი ექთანი, „თუკი თქვენი მამაკაცური ღირსებებისა და მყვირალა საცვლების დემონსტრირება დაამთავრეთ, იქნებ საძინებელ ოთახში შებრძანებულიყავით და ჩაგეცვათ.“

მაკმერფის ქუდთან მიაქვს ხელი, მთავარ ექთანს და თვალებგაბრწყინებულ, მხიარულად აჟივჟივებულ, ვეშაპებიანი შორტებით მოხიბლულ პაციენტებს მხედრულად ესალმება და უსიტყვოდ შედის საძინებელ ოთახში. მთავარი ექთანიც უკვე დერეფნის მეორე ბოლოსკენ მიაბიჯებს, წინ გადღაბნილი წითელი ღიმილი მიუძღვება; სანამ სამორიგეოს კარს მოიკეტავდეს, საძინებლიდან ერთხელაც ესმის ტალღა-ტალღა მომავალი სიმღერის ხმა.

„მაინც შემიტყუა შინ, გა-აა-ააშალა მარაო,“ უბერავს მაკმერფი და თან შიშველ მუცელზე იტყაპუნებს ხელს, „დედი, ეს კაცი მიი-იი-ყვარსო, რა ვქნა – სხვა არაო.“

დაცარიელდება თუ არა, მეც მაშინვე ვიწყებ საძინებელი ოთახის დალაგებას; დასორსოლავებულ მტვერს ვგვი მაკმერფის საწოლის ქვემოდან და უცებ რაღაც სუნი მცემს. საავადმყოფოში მოხვედრის მერე პირველად ვხვდები, პირველად ვაქცევ ყურადღებას, რომ ეს უშველებელი, ორმოცი ზრდასრული მამაკაცის საწოლებით გადაჭედილი ოთახი თურმე მუდმივად ათასი სხვადასხვანაირი სუნით ყარდა – დეზინფექციის, თუთიის მალამოსი, ფეხის ფხვნილის, შარდის, ბერიკაცების განავლის, რძის ფაფის, თვალის საფენების, ეს წუთია სამრეცხაოდან მოტანილი და მაინც ობმოდებული ნიფხვებისა და წინდების, თეთრეულის სახამებლის, ახლად გაღვიძებულების პირების, მანქანის ზეთის და ზოგჯერ შეტრუსული თმის სუნითაც – თუმცა აქამდე, მაკმერფის გამოჩენამდე, ჯერ არასდროს მცემია ტრიალი მინდვრიდან მობრუნებული დამტვერილი, გაჭუჭყიანებული, ნაშრომ-ნაჯაფი კაცის ოფლის სუნი.

ძთელი საუზმისგანმავლობაში მაკმერფი წუთში ერთი მილის სიჩქარით ყბედობს და იცინის. ეტყობა, დილანდელი ამბის მერე მთავარი ექთანი უკვე იოლ საკბილოდ ეჩვენება. იმდენს ვერ ხვდება, წარმატებას მოულოდნელი შეტევის წყალობით მივაღწიე და საქმეზე საქმეზე თუ მიდგა, მთავარი ექთანი უბრალოდ იძულებული იქნება, გულისყურიც და ძალ-ღონეც კიდევ უფრო მოიკრიბოსო.

ჯამბაზობს, ცდილობს, ვინმე მაინც აიყოლიოს და გააცინოს. არ მოწონს, ბიჭები მორცხვი ღიმილის და შიგადაშიგ ჩუმი ხითხითის მეტს რომ ვერაფერს ბედავენ. მაგიდაზე გადაწოლილი პირდაპირ მჯდომ ბილი ბიბიტს მუჯლუგუნს კრავს და გასაიდუმლოებული ხმით ეკითხება – „ბილი ჩემო, გახსოვს ის დრო, სიეტლში ორი ნაშა რო დავითრიეთ მე და შენ? ეგეთი დრო იშვიათად მიტარებია...“

თვალებგადმოცვენილი ბილი თეფშიდან იღებს თავს. ტუჩებს აცმაცუნებს, მაგრამ ვერაფერს ამბობს. მაკმერფი ჰარდინგისკენ ტრიალდება.

„არაფერი არ გამოგვივიდოდა, ეგრე უცებ ნაღდად ვერ შევაბამდით, ბილი ბიბიტის ამბავი რო არ ქონოდათ გაგებული. ბილი „ყვერება“ ბიბიტის. იმ დროს ეგრე ეძახდნენ. გოგოები უკვე ათესვას აპირებდნენ, მარა ერთმა შეხედა და ეუბნება – შენ ის ბილი ბიბიტი ხო არა ხარო? ცნობილი ოცდაათსანტიმეტრიანის

პატრონიო? – ბილიმ მორცხვად დახარა თავი და გაწითლდა, აი, ზუსტად ესე, როგორც ეხლა. შეუბერეთ, მარა რა შეუბერეთ! მახსოვს, უკვე სასტუმროში ვართ და ბილის საწოლიდან გოგოს ხმა მესმის – მისტერ ბიბიტ, ძაან გამიცრუეთ იმედიო; თქვენზე მითხრესო და, უცებ – ოოოოოოო, თუ ღმერთი გწამს, ბილი, მეტი აღარ შემიძლიაო!“

თახთახებს, ბარძაყზე ხელს იტყაპუნებს, თან მალ-მალე ბილის წაკრავს ხოლმე ცერა თითს. ასე მგონია, ბილი საცაა გონებას დაკარგავს და მკვდარივით იატაკზე მოადენს ზღართანს, ამდენჯერ გაწითლებისგან და შეკავებული სიცილისგან სიქაგამოცლილი.

მერე მაკმერფი სხვათა შორის ამბობს, აქაურობას რამე თუ აკლია, ერთი-ორი იმათნაირი ტკბილი ნაშა აკლიაო. წუხელ რო მეძინა, ეგეთ საწოლში ჯერ ცხოვრებაში არ მძინებია და სუფრაც მშვენიერი გაშალესო. ვერ გამიგია, აქ მოხვედრილი კაცი უკმაყოფილო რით უნდა იყოსო.

„აბა შემომხედეთ,“ ეუბნება ბიჭებს და სინათლეზე გასცქერის თავის ჭიქას, „ექვს თვეში პირველად ვსვამ ფორთოხლის წვენს. რაც კაია, კაია! ეხლა გეკითხებით, კოლონიაში რას მომართმევდნენ საუზმეზე? რით გამიმასპინძლდებოდნენ? კი ბატონო, შესახედად რა იქნებოდა, შემიძლია გითხრათ, ოღონდ სახელს ნაღდად ვერ დავარქმევ; დილასაც, შუადღეზეც და საღამოსაც რაღაც ერთნაირად შავი და დამწვარი მოქონდათ, კარტოფილგარეული და ხის წებოს გემოსი. ერთ რამეზე ალალად დავიფიცებ: ფორთოხლის წვენი ასიანი არ ყოფილა. ეხლა აქეთ მოიხედეთ: ბეკონიო, ტოსტიო, კარაქი, კვერცხი, ყავა – პატარა ცუგრუმელამ, სამზარეულოში, ისიც კი მკითხა, რძიანს ინებებთ თუ ურძეოსო – და, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ვეებერთელა! დიიიდი! ჩაციებული ჭიქა ფორთოხლის წვენი! არა, ძმაო, ფულიც რო შემომაძლიონ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ!“

ყველაფერს იმატებს, ყავის ჩამომსხმელ გოგოს პაემანს უნიშნავს – აქედან რო გავალ, მე და შენ აუცილებლად უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო, ზანგ მზარეულს ნახელავს უქებს: მსგავსი

ერბოკვერცხი ჩემ დღეში არ მიგემიაო. ბატიბუტთან ერთად ბანანი მოაქვთ და მთელ ბღუჯა ბანანს ითრევს, თან შავ ბიჭს ეუბნება, ერთ ცალს შენც გაგიშანსავ, რაღაც ძაან მშიერი თვალებით მიყურებო. შავი ბიჭი დერეფნის ბოლოსკენ აპარებს თვალს, შუშის კოლოფში დასკუპებული მთავარი ექთნისკენ და ბურდღუნებს – პაციენტებთან ერთად ჭამის უფლება არა გვაქვსო.

„ეგეც განყოფილების შინაგანაწესს ეწინააღმდეგება?“

„სწორია.“

„არა მშურს შენი ბედი,“ – მაკმერფი ბანანს ფცქვნის, სამ ცალს ზედიზედ, ლამის შავი ბიჭის ცხვირწინ, და მადიანად ილუკმება. ბიჭს ეუბნება – როცა მოგინდეს, მითხარი, სემ, არ მოგერიდოს და სასადილოდან შენთვისაც დავითრევო.

უკანასკნელ ბანანსაც უღებს ბოლოს, ხელს მუცელზე იტყაპუნებს, დგება და კარისკენ მიდის. შავი მუტრუკი გზას უღობავს, ეუბნება, აქაური წესებით პაციენტები მანამდე სხედან სასადილოში თავ-თავიანთ ადგილებზე, სანამ ყველა ერთად არ გავა რვის ნახევარზეო. მაკმერფი ისეთი სახით უყურებს, თითქოს საკუთარი ყურებისთვის ვერ დაუჯერებია, მერე ჰარდინგისკენ ტრიალდება და თვალებით თხოვს ნათქვამის დადასტურებას, ჰარდინგიც თავს უქნევს, მაკმერფი მხრებს იჩეჩავს, ისევ თავის სკამთან ბრუნდება. – ღმერთმა ხო იცის, თქვენი სულელური წესების დარღვევა სრულებით არ მეპიტნავებაო, ამბობს.

სასადილოს ბოლოში კედლის საათი რვის თხუთმეტ წუთს აჩვენებს. ტყუის მამაძაღლი, ვითომ მარტო თხუთმეტი წუთია, რაც აქ ვსხედვართ, არადა, სულ ცოტა, ერთი საათი მაინც გავიდა. ყველამ მოათავა ჭამა, სკამების საზურგეებზე გადაწვნენ, უყურებენ, როდის მიაღწევს დიდი ისარი რვის ნახევრამდე. შავ ბიჭებს ბოსტნეულების მოწუნწკლული ლანგრები მოაქვთ და სავარძლებით ორ ბებერსაც მოაგორებენ, შლანგებით უნდა გადაავლონ წყალი. პაციენტების თითქმის ნახევარს თავი მკლავებზე ჩამოუდვია, სანიტრების დაბრუნებამდე იქნებ ცოტა წავუძინოთო. სხვას რას გააკეთებენ – არც ბანქო აქვთ, არც

ჟურნალები და არც სურათებიანი რებუსები. ან უნდა დაიძინო, ანდა გაშტერებულმა საათს უყურო.

ოღონდ მაკმერფის წყნარად გაჩერება არ შეუძლია; რაღაც უნდა მოიგონოს. დაახლოებით ორ წუთს თეფშზე საჭმლის მონარჩენებს ურევს კოვზით და უკვე მზადაა ახალი გასართობისთვის. ცერებს ჯიბეებში იჩრის, სკამს უკანა ფეხებზე აყენებს და თვალმოჭუტული ასცქერის კედლის საათს. მერე ცხვირს იფხანს.

„იცით, ძმებო, ეს ძველი საათი ფორტ რაილის სასროლეთის სამიზნეებს მახსენებს. ზუსტად იქ მივიღე ჩემი პირველი მედალი, სნაიპერის ჯილდო. მაგრა ვისროდი. ვის გინდათ, დოლარზე გაგიმაზოთ, აი, ამ კარაქის გუნდას პირდაპირ ციფერბლატის შუაში დავაჭედებ, ყოველ შემთხვევაში, ციფერბლატს უეჭველი მოვარტყამ?“

სამნი ენაძლევებიან, ისიც კარაქს დანის წვერით იღებს და ისვრის. კარაქი საათიდან ოციოდე სანტიმეტრით მარცხნივ ეტყეპება კედელს და სანამ მაკმერფი წაგებულს იხდის, ყველა აშაყირებს. ჯერაც ელადავებიან – შენ ისროდი თუ სვრიდიო? – როცა ბოსტნეულების გასარეცხად წასული დაგვაჯული შავი ბიჭი უკან ბრუნდება. ყველა ისევ თეფშებში რგავს ცხვირს და ხმას იკმენდს. შავ ბიჭს გული რაღაც ავს კი უგრძნობს, მაგრამ ჯერ ვერაფერს ხედავს. ალბათ, ვერც დაინახავდა ვერაფერს, ბებერი პოლკოვნიკი მეთერსონი რომ არ აცეცებდეს გაუჩერებლად თვალებს, სწორედ ის ამჩნევს კედელზე მიდღაბნილ კარაქს და ხელს იქითკენ იშვერს, თავისებურად იწყებს ლექციის კითხვას, ყოვლისმომთმენი, დაგუდული ხმით ცდილობს, რაღაც აგვიხსნას, თითქოს იმის ნათქვამს რამე აზრი ჰქონდეს.

„კა-რა-ქი... რეს-პუბ-ლი-კელ-თა პარტიაა...“

შავ ბიჭსაც იქით გაურბის თვალი, საითაც პოლკოვნიკს გაუშვერია თითი. კარაქი კედელზე იღვენთება ყვითელ ლოკოკინასავით. შავი ბიჭი გაშტერებული მისჩერებია, მაგრამ ხმას არ იღებს, არც იმის გარკვევას ცდილობს, ვინ ჩაიდინა ეს მკრეხელობა.

მაკმერფი ირგვლივ მჯდომ პაციენტებს ეჩურჩულება და მუჯლუგუნებს კრავს, ცოტა ხანში ყველა თანხმობის ნიშნად უქნევს თავს და მაკმერფიც სამ დოლარს დებს მაგიდაზე. საერთო ყურადღება კედელზე გადღაბნილი კარაქის ლაქისკენაა მიპყრობილი, კარაქი ქვევით მოჟონავს, მერე ქვავდება, ცოტა ხანში ისევ აგრძელებს გზას და ბრჭყვიალა კვალს ტოვებს კედლის საღებავზე. კრინტსაც არავინ ძრავს, კარაქს არ აშორებენ თვალს, მერე მზერა საათზე გადააქვთ, მერე ისევ კარაქზე. საათის ისრები უკვე ამოძრავებულან.

კარაქი იატაკამდე აღწევს. დაახლოებით ნახევარი წუთით ადრე, სანამ რვის ნახევარი შესრულდება, და მაკმერფიც მთელ წაგებულ ფულს უკან იბრუნებს.

შავი ბიჭი რინდიდან ფხიზლდება, კედელზე დარჩენილ ქონიან ზოლს თვალს აშორებს და – შეგიძლიათ გახვიდეთო – გვეუბნება. მაკმერფი ფულს ჯიბეში იჩრის და სასადილოდან გამოდის. კარებთან შავ ბიჭს მხარზე ხვევს ხელს და არ ვიცი, მიყავს თუ მიაქვს დღის პალატისკენ. „სემ, შე ძველო, თითქმის ნახევარი დღე გავიდა და ჯერაც წაგებაში ვარ. რამეს თუ ვაპირებ, ცოტა უნდა დავუჩქარო. თუ ძმა ხარ, იქნებ კაბინეტში ჩაკეტილი კარტი დაიაღო და მერე ვნახოთ, გაგაგონებთ ჩემ ხმას ამ რეპროდუქტორის კივილში თუ ვერა.“

მაკმერფი მთელი დილა წაგებულს უკან იბრუნებს, „ოცდაერთს“ თამაშობს, ოღონდ ახლა სიგარეტზე კი არა, ხელწერილებზე. ორჯერ თუ სამჯერ უცვლის ადგილს მაგიდას, ცდილობს, როგორმე რეპროდუქტორს გაექცეს. აშკარად ძალიან უშლის ნერვებს. ბოლოს ექთნების სამორიგეოსთან მიდის, იქამდე აკაკუნებს შუშაზე, სანამ მთავარი ექთანი თავის სავარძელს იმისკენ შემოაბრუნებს და კარს გაუღებს, მაკმერფი ეკითხება – რა დაშავდება, ცოტა ხნით ეს ჯოჯოხეთური ხმაური შეწყვიტოთო? სავარძელში მოკალათებული მთავარი ექთანი უკვე ისეთი მშვიდია, როგორიც არასდროს; უკვე აღარავის გამოყავს

წონასწორობიდან, დერეფანში წინ და უკან აღარ დარბიან ნახევრად შიშველი კერპთაყვანისმცემლები. ღიმილი მყარად მოურგია სახეზე. თვალებს ნაბავს, თავს აქნევს და ძალიან ტკბილად პასუხობს – არ შეიძლებაო.

„ცოტა ხმას მაინც ვერ ჩაუწევთ? ვითომ აუცილებელია, მთელმა ორეგონის შტატმა საათში სამჯერ მოისმინოს, როგორ უკრავს ლორენს უელკი „ორისთვის გაწყობილ ჩაის“? ცოტათი რო ჩაგეწიათ, იქნებ პარტნიორების ხმაც გამეგონა და პოკერიც წამოგვეწყო...“

„მისტერ მაკმერფი, თქვენ ერთხელ უკვე აგიხსნეს, ფულზე თამაში განყოფილებაში დადგენილ წესებს ეწინააღმდეგება.“

„ო'კეი, მაშინ იმდენზე მაინც დაუწიეთ, ასანთის ღერებზე ვითამაშოთ ან შარვლის ღილებზე... ჩააწყვეტინეთ მაგ ოხერს ხმა!“

„მისტერ მაკმერფი...“ ქალი ცოტა ხნით ჩუმდება, საკ̣ნამ სიტყვას გააგრძელებდეს, ელოდება, როდის მოახდენს მისი მშვიდი, პედაგოგიური ტონი საჭირო ზემოქმედებას; თან ისიც იცის, ყველა მწვავე გაფაციცებული გვიგდებს ყურსო. „...გინდათ იცოდეთ, მე რას ვფიქრობ? მე მგონი, თქვენ დიდი ეგოისტი ბრძანდებით. ნუთუ ვერ ამჩნევთ, ამ საავადმყოფოში, თქვენ გარდა, სხვებიც არიან?! მაგალითად, მოხუცები, რომლებიც საერთოდ ვეღარ მოუსმენენ რადიოს, ხმას თუ დავუწიეთ; მათ არც კითხვა შეუძლიათ, არც რებუსების ამოხსნა, სხვათა შორის, არც სხვების კუთვნილი სიგარეტების ბანქოში მოგება. მეთერსონისა და ქითლინგისნაირ მოხუცებს ამ მუსიკის მეტი სხვა სიხარული არ გააჩნიათ, თქვენ კი ესეც გინდათ წაართვათ. ჩვენ არასოდეს ვამბობთ უარს პაციენტების მოსაზრებებისა და მოთხოვნების მოსმენაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, სანამ რამეს მოითხოვდით, აჯობებდა, ცოტა სხვაზეც გეფიქრათ.“

მაკმერფი ქალისკენ ზურგით დგება და ქრონიკულებისკენ იყურება, რწმუნდება, მთავარი ექთნის ნათქვამში სიმართლის ნატამალი ნამდვილად არისო. ქუდს იხდის, თმაში თითებს იცუ-

რებს და ისევ მთავარი ექთნისკენ ტრიალდება. იმისი არ იყოს, თვითონაც ხვდება, მწვავეები ყურებად არიან ქცეულიო.

„ო' კეი, მაგაზე მართლა არ მიფიქრია...“

„მეც ასე მგონია.“

მაკმერფი მწვანე პიჟამის საყელოდან ამოჩრილ თმის პატარა ბლუჯას იწიწკნის, მერე ამბობს: „კეთილი, მარა იმაზე რას იტყვით, კარტი სადმე სხვაგან რო ვითამაშოთ? სხვა ოთახში? მაგალითად, შეკრებების დროს მაგიდები სადაც გაგაქთ, იქ? სხვა დროს ხო სუ ცარიელია? გაგვიღეთ ის ოთახი, დავჯდებით ჩვენთვის, წყნარად ვითამაშებთ და ბებრებიც იმდენ მუსიკას მოისმენენ, რამდენიც იმათ გულს და სულს გაეხარდება – რა გინდათ უკეთესი?“

ქალი იღიმება, ისევ ნაბავს თვალებს და ნაზად აქნევს თავს. „რასაკვირველია, თქვენი მოსაზრება როდისმე შეგიძლიათ ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებსაც გაუზიაროთ, მაგრამ ვშიშობ, ყველას აზრი ჩემსას დაემთხვევა: დღის ორი პალატის მოსავლელად საკმარისი ზედამხედველები არა გვყავს. პერსონალი არ გვეყოფა. კარგი იქნებოდა, ამ შუშას თუ არ მიეყრდნობოდით, გეთაყვა; ქონიანი ხელები გაქვთ და ფანჯარას ლაქავთ. დამლაგებლის შრომასაც უნდა ვცეთ პატივი.“

მაკმერფი დამდუღრულივით იღებს შუშიდან ხელს, ვხედავ, რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ დროზევე აჭერს ენას კბილს, ხვდება, ლანძღვა-გინებას თუ არ მოვყევი, პრინციპში სხვა სათქმელი ქალმა არაფერი დამიტოვაო. სახე და კისერი აჭარხლებია. ხარბად ისუნთქავს ჰაერს და ცდილობს, ნებისყოფა მოიკრიბოს, სწორედ ისევე, როგორც დილით მთავარი ექთანი ცდილობდა; ძალიან ვწუხვარ, ტყუილა შეგაწუხეთო – ეუბნება და ბანქოს სათამაშო მაგიდასთან ბრუნდება.

ყველა ხვდება – დაიწყოო.

თერთმეტ საათზე პალატაში ექიმი შემოდის და მაკმერფის ეპატიჟება – კარგი იქნებოდა, ჩემს კაბინეტში თუ წამობრძანდებიდით, ცოტა ვისაუბროთო. „ახალმოსულებს მეორე დღეს ყოველთვის ვესაუბრები ხოლმე.“

მაკმერფი ბანქოს მაგიდაზე ალაგებს, დგება და ექიმისკენ მიდის. ექიმი ეკითხება – როგორ გეძინათო? – მაგრამ მაკმერფი პასუხად რაღაც გაუგებარს ბურდღუნებს.

„დღეს რაღაც ჩაფიქრებული ჩანხართ, მაკმერფი.“

„ო, მე საერთოდ ძაან ფიქრიანი ბიჭი ვარ,“ ამბობს მაკმერფი და მერე ექიმთან ერთად დერეფანში გადის. როცა ისევ უკან ბრუნდებიან, თითქოს რამდენიმე დღის შემდეგ, ორივე ილიმება, ხალისიანად საუბრობენ რაღაცით გაბედნიერებულები. ექიმი ცრემლით დანამულ სათვალის შუშებს აპრიალებს – ეტყობა, მართლა ძალიან გულით იცინა, მაკმერფიც ისეთივე ხმაურიანი, თავხედი და ტრაბახაა, როგორც ყოველთვის. მთელი სადილის განმავლობაშიც გადასარევ ხასიათზეა და პირველი საათი რომ სრულდება, ყველაზე ადრე იკავებს თავის ადგილს ჯგუფის შეკრებაზე, კუთხეში ზის და ლურჯ თვალებს ზარმაცად აჟუჟუნებს.

ქაღალდებით სავსე კალათით ხელდამშვენებული მთავარი ექთანი სტუდენტი-ექთნების ამალის თანხლებით შემოდის დღის პალატაში. მაგიდიდან დავთარს იღებს და წუთით კოპებშეკრული რაღაცას ეძებს შიგ (მთელი დღეა, დავთარში ახალი არავის არაფერი ჩაუწერია), მერე კარებთან ჯდება თავის სკამზე. კალათიდან რამდენიმე საქაღალდეს იღებს, მუხლებზე ილაგებს, ჰარდინგის ისტორიას შლის.

„როგორც მახსოვს, გუშინ მისტერ ჰარდინგის პრობლემების განხილვისას საკმაოდ წავიწიეთ წინ...“

„დიახ... ოღონდ ვიდრე მაგ საკითხს დავუბრუნდებოდეთ,“ აწყვეტინებს ექიმი, „ თუ შეიძლება, წუთით ჩაგერთვებით. ორი სიტყვით გეტყვით, რაზე ვისაუბრეთ მე და მისტერ მაკმერფიმ ამ დილით ჩემს კაბინეტში. უფრო სწორად, რა გავიხსენეთ. ძველ დროზე ვლაპარაკობდით. იცით, ბევრი საერთოც აღმოვაჩინეთ – თურმე მისტერ მაკმერფის და მე ერთ სკოლაში გვისწავლია.“

ექთნები ერთმანეთს უცქერენ და ვერ გაუგიათ, რამ უკბინა ამ კაცსო. პაციენტები ოთახის კუთხეში გაყუჩებული, მოღი-

მარი მაკმერფისკენ აპარებენ თვალს და ელოდებიან, როდის გააგრძელებს სიტყვას ექიმი. ექიმი თავს აკანტურებს.

„დიახ, ერთ სკოლაში. სხვათა შორის, იმ სკოლაში გამართული კარნავალებიც მოვიგონეთ – შესანიშნავი, ხმაურიანი გალა-წარმოდგენები! დეკორაციებით, ფერად-ფერადი ალმებით, კიოსკებით, თამაშობებით... წლის უმთავრესი მოვლენა იყო ხოლმე! მე – მაკმერფისაც ვუთხარი – ბოლო ორ კლასში სწავლისას კარნავალების პირველი მოთავე ვიყავი. რა მშვენიერი, რა უდარდელი წლები იყო...“

დღის პალატაში მართლა ბუზის გაფრენას გაიგონებს კაცი. ექიმი თავს მაღლა სწევს, მსმენელების სახეებს ათვალიერებს – ძალიან სულელურად ხომ არ გამოვიყურებიო. მთავარი ექთანი ისეთი სახით მიჩერებია, წესით ეჭვი აღარაფერში უნდა შეეპაროს, მაგრამ სათვალე არ უკეთია და ქალის მზერაც მიზანს ვერ აღწევს.

„ასეა თუ ისე, ამ ნოსტალგიური გრძნობების სენტიმენტალურ ამოფრქვევას, ჯობია წერტილი დავუსვათ და საქმეზე ვილაპარაკოთ: მე და მაკმერფის იდეა დაგვებადა – რას იტყოდით, კარნავალი აქაც, ჩვენს განყოფილებაში რომ გაგვემართა?“

სათვალეს იკეთებს და ერთხელ კიდევ ავლებს თვალს გარშემო მსხდომებს. თუმცა ამ სიტყვების გაგონებაზე სიხარულისგან ხტუნვას არავინ იწყებს. ზოგ ჩვენიანს კარგად ახსოვს, რამდენიმე წლის წინ თეიბერიც ცდილობდა კარნავალის მოწყობას და მტრისას, რაც ამ ამბიდან გამოვიდა. სანამ ექიმი მდუმარედ ელოდება პასუხს, სიჩუმე მთავარი ექთნის ირგვლივ ყალყზე დგება და მერე ყველას და ყველაფერს თავზე ექცევა, ბიჭი ხარ და გაარღვიე ეს კედელი. ვიცი, მაკმერფიც ვერ დაძრავს კრინტს, კარნავალის იდეის შთამაგონებელი. საბოლოოდ ვრწმუნდები, ეგეთი სულელი ნამდვილად არავინ გამოდგება, ახლა სიჩუმე დაარღვიოს-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს მაკმერფის გვერდით მჯდომი ჩესვიკი ბუზღუნ-ბუზღუნით და ფერდების ფხანა-ფხანით დგება ფეხზე.

„ხოოო, მე თუ მკითხავთ... მე პირადად... როგორ გითხრათ...“ თან მაკმერფის სკამის სახელურზე ჩამოდებულ ვეება ტორს დასცქერის – მაკმერფის მუშტი შეუკრავს, დიდი, გახევებული ცერი კი, ძროხის ცურს რომ უგავს, მაღლა აუშვერია. „კარნავალი მართლა კარგი იდეაა. რაღაცა მაინც დაარღვევს ერთფეროვნებას.“

„სწორია, ჩარლი,“ უხარია ექიმს, ღირსეულად აფასებს ჩესვიკის დახმარებას, „თანაც არც სამკურნალო ეფექტი დაგავიწყდეს!“

„რა თქმა უნდა,“ ჩესვიკი უკვე ვეღარ მალავს ბედნიერებას, „რა თქმა უნდა, არ უნდა დამავიწყდეს. კარნავალივით არაფერი უხდება ჯანმრთელობას! თქვენგან არ მიკვირს?!..“

„ძა-ა-ან ვვ-ი-იმხიარულებთ,“ ამბობს ბილი ბიბიტი.

„ეგეცაა, აბა რა,“ ეთანხმება ჩესვიკი. „მაგ საქმეს თავს მოვაბამთ, ექიმო სპაივი, ნამდვილად არ გაგვიჭირდება. სქანლონი თავის ნომერს გვიჩვენებს – კაცი-ყუმბარა, მე კიდევ საწარმოო თერაპიის ოთახში სერსოებს გავაკეთებ...“

„მე გიმკითხავებთ,“ ამბობს მარტინი და ჭერში ერთ წერტილს უშტერებს თვალს.

„მეც მეხერხება ხელისგულზე მკითხაობა, პათოლოგიების დიაგნოსტირება შემიძლია,“ ამბობს ჰარდინგი.

„კარგია, გადასარევია,“ უხარია ჩესვიკს და ტაშს უკრავს. ადრე მის ნათქვამს მომხრე არასდროს გამოჩენია.

„მე კი,“ სიტყვებს წელავს მაკმერფი, „ატრაქციონებზე თუ მამუშავებთ, დიდ პატივად ჩაგითვლით. ცოტ-ცოტა გამოცდილებაც მაქ...“

„ცხადია, რა თქმა უნდა, უამრავი შესაძლებლობა არსებობს,“ ამბობს ექიმი და ამაყად სწორდება სავარძელში – მართლა გახალისებული და დაინტერესებული. „მეც მილიონი იდეა მიტრიალებს თავში...“

კიდევ ხუთი წუთი ლაპარაკობს მოქოქილი. მაშინვე შეატყობ, ეს მილიონი იდეა მაკმერფისთვის უკვე გაზიარებული აქვს.

სხვადასხვა თამაშებს იგონებს, რაღაც კიოსკებს ახსენებს, გვიხსნის, როგორ აპირებს ბილეთების გაყიდვას და უცებ ისე მოულოდნელად ჩუმდება, თითქოს მთავარმა ექთანმა მზერა პირდაპირ თვალებშუა ჩააჭედა ტყვიასავითო. რეალობას დაბრუნებული, წამწამებს აფახულებს და ეკითხება – თქვენ რას იტყვით, მის რეჩედ, აქ, ამ განყოფილებაში კარნავალის მოწყობაზეო?

„გეთანხმებით, ამ წამოწყებას შეიძლება მართლაც მოჰყვეს მთელი რიგი სამკურნალო ეფექტები," პასუხობს მთავარი ექთანი და ცოტა ხნით ისევ ჩუმდება. სიჩუმეს აცდის ხელახლა აზვირთებას და ყალყზე შედგომას. როცა რწმუნდება, სიჩუმის დარღვევას არავინ ფიქრობსო, სიტყვას აგრძელებს: „თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, მსგავსი იდეა ხელმძღვანელობის საერთო კრებაზე უნდა იქნეს ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი. არ მეთანხმებით, ექიმო?"

„რა თქმა უნდა. უბრალოდ, მე ვიფიქრე... ხომ გესმით? ჯერ ზოგიერთების აზრს გავიგებ-მეთქი. თუმცა, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელობას მოვეთათბირებით, მერე კი გავაგრძელოთ ჩვენს გეგმებზე საუბარი..."

ყველა ხვდება, კარნავალმა ჭირი მოგვჭამაო.

მთავარი ექთანი ქაღალდების ფურცვლას იწყებს და სადავეებსაც ისევ იბრუნებს. „ძალიან კარგი! მაშინ, თუ სხვა ახალი ამბავი არაფერი გვაქვს გასარჩევი – და თუკი მისტერ ჩესვიკიც კეთილს ინებებს და დაბრძანდება – ვფიქრობ აჯობებს, საქმეზე გადავიდეთ. ჩვენ..." კალათიდან საათს იღებს და დასცქერის – „... ორმოცდახუთი წუთიღა დაგვრჩა. და როგორც უკვე..."

„ბოდიში რა, ერთი წუთიც, კიდე გამახსენდა რაღაც." მაკმერფის ხელი აუწევია და თითებს ხმაურით ატკაცუნებს. სანამ რამეს უპასუხებდეს, მთავარი ექთანი კარგა ხანს უცქერის უხმოდ.

„ბრძანეთ, მისტერ მაკმერფი."

„უფრო სწორად, ექიმ სპაივის გაახსენდა. ექიმო, გვითხარით ერთი, რა გადაწყვიტეთ ჩვენი სმენადაქვეითებულების და რადიოს ამბავში!"

მთავარი ექთანი ნერვიულად, ოდნავ შესამჩნევად აქნევს თავს, თუმცა მე მაინც გული გუგუნს მიწყებს. ქაღალდებს ისევ კალათში ალაგებს და ექიმისკენ ტრიალდება.

„დიახ," ამბობს ექიმი. „კინაღამ დამავიწყდა." სკამის ზურგს ეყრდნობა, ფეხს ფეხზე იდებს და ხელის თითებს ერთმანეთს ატყუპებს; ვხედავ, კარნავალის წყალობით ჯერაც კარგ გუნებაზეა. „იცით, მე და მაკმერფიმ ვისაუბრეთ იმ ძველისძველ პროლემაზე, რომელიც დღემდე აწუხებს ჩვენს განყოფილებას: ჭრელ შემადგენლობაზე, მოხუცების და ახალგაზრდების გვერდიგვერდ ცხოვრებაზე. თერაპიული თვალსაზრისით, ამგვარი მდგომარეობა იდეალურად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ადმინისტრაცია აცხადებს, გადატვირთული გერიატრიული კორპუსის პირობებში ამჟამად სხვა გამოსავალი არ არსებობსო. არ შემიძლია, გულწრფელად არ ვაღიარო – ნებისმიერისათვის, ვისაც უშუალოდ ეხება, არსებული სიტუაცია ნამდვილად არასასიამოვნოა. ჰოდა, მე და მაკმერფის ერთი აზრი დაგვებადა, რამაც ორივე ასაკობრივი ჯგუფის ყოფა შეიძლება შედარებით გააუმჯობესოს. მაკმერფის შეუმჩნევია, ზოგიერთ ჩვენს მოხუცს, ეტყობა, რადიოს ხმა ძნელად ესმისო. გვთავაზობს, რეპროდუქტორები უფრო ხმამაღლა ჩავრთოთ, სმენადაქვეითებულმა ქრონიკულებმა შვება რომ იგრძნონ. ჩემი აზრით, უაღრესად ჰუმანური წინადადებაა."

მაკმერფი ხელს იქნევს და თავმდაბლად უარობს – მე რა შუაში ვარო; ექიმი თავს უკანტურებს და აგრძელებს:

„მაგრამ მე არ დავუმალე, რამდენიმე შედარებით ახალგაზრდა პაციენტმა ადრე უკვე მომმართა-მეთქი საჩივრით – რადიო ისეთ ხმაზეა ჩართული, საუბარი და კითხვა შეუძლებელიაო. მაკმერფი გამომიტყდა, ამაზე არ მიფიქრიაო, თუმცა შენიშნა, სირცხვილია, კაცს კითხვა უნდოდეს და არ შეეძლოს სადმე თავისთვის მყუდროდ მოკალათდეს, რადიო კი მთლიანად იმას დაუთმოს, ვისაც მოსმენა უნდაო. დავეთანხმე, მართლაც სირცხვილია-მეთქი და ამ საკითხზე საუბარიც ფაქტიურად ამო-

წურულად ჩავთვალე, როცა მოულოდნელად გამახსენდა ძველი სააბაზანო ოთახი, სადაც შეკრებების დროს მაგიდები გაგვაქვს ხოლმე. სხვაში არც არაფერში ვიყენებთ. ჰიდროთერაპიამ, რისთვისაც ის ოთახი თავიდან იყო განკუთვნილი, თავისი დრო მოჭამა, ისეთი წამლები გვაქვს, ჰიდროთერაპია ვიღას ახსოვს. რას იტყვით, იმ ოთახში რაღაც მეორე დღის პალატასავით რომ მოგვეწყო, ვთქვათ, სათამაშო ოთახი დაგვერქმია?“

არავინ იღებს ხმას. ყველამ იცის, ახლა ვისი ლაპარაკის ჯერიცაა. მთავარი ექთანი ერთხელ კიდევ ხურავს ჰარდინგის საქაღალდეს, მუხლებზე იდებს, საქაღალდეზე აჯვარედინებს ხელებს და ისეთი სახით ათვალიერებს ოთახს, თითქოს ვინმე სულელი გაბედავდეს და კრინტს დაძრავდეს. როცა რწმუნდება, ამჯერად მაინც ვეღარავინ დაასწრებს სიტყვის თქმას, თავს ექიმისკენ აბრუნებს. „ორი აზრი არ არსებობს, თავისთავად შესანიშნავი გეგმაა, ექიმო სპაივი; და მეც მხოლოდ მივესალმები მისტერ მაკმერფის ზრუნვას სხვა პაციენტებზე, ოღონდ ვშიშობ, მეორე დღის პალატისთვის პერსონალი არ გვეყოფა.“

იმდენადაა დარწმუნებული, ამ სიტყვების მერე საუბარს წერტილი დაესმებაო, ისევ საქაღალდის გადაშლას აპირებს, მაგრამ ექიმი, მთავარი ექთნის გასაოცრად, ეტყობა, ზედმიწევნით კარგადაა მომზადებული.

„მაგაზე მეც ვიფიქრე, მის რეჩედ. რამდენადაც აქ, რადიოსთან, უმეტესად ქრონიკულები დარჩებიან – უმრავლესობა სავარძლებს მიჯაჭვული – ერთი სანიტარი და ერთი ექთანი სავსებით იოლად მოახერხებენ ნებისმიერი შფოთის და ჯანყის ჩანასახშივე ჩახშობას, რა თქმა უნდა, თუკი საერთოდ დაგვემუქრება მსგავსი საშიშროება. თქვენ არ მეთანხმებით?“

ქალი არაფერს პასუხობს, შფოთსა და ჯანყზე ხუმრობით გადაკრული სიტყვა მაინცდამაინც არ ეჭაშნიკება, თუმცა სახეც არ ეცვლება. ღიმილს არ იშორებს.

„ამდენად, დანარჩენი სანიტრები და ექთნებიც ალბათ კიდევ უფრო უკეთესად მიადევნებენ პაციენტებს თვალს სააბა-

ზანოში, ვიდრე აქ, ამოდენა პალატაში. თქვენ თვითონ რას ფიქრობთ, ბიჭებო? მოგწონთ ეს იდეა? მე პირადად ძალიან დამიჯდა ჭკუაში. ჩემი აზრით, უნდა ვცადოთ, რამდენიმე დღე შევხედოთ, რა გამოვა. თუ არ გაამართლა, კი ბატონო, ისევ ძველი წესი და რიგი აღვადგინოთ, ჩვენი ნება არ არის?!"

„სწორია," ასკვნის ჩესვიკი და ხელისგულზე მუშტს ირტყამს. ჯერ ისევ ფეხზე დგას, თითქოს მაკმერფის ვეება ტორთან მიახლოების ეშინია. „სწორია, ექიმო სპაივი, არ გაამართლებს და, სააბაზანოს გასაღები კი არ დაგვკარგვია! ისევ ჩავკეტავთ, თქვენგან არ მიკვირს?!"

ექიმი ოთახს ათვალიერებს, ხედავს, ყველა დანარჩენი მწვავეც თავს უქნევს, იღიმება. ყველას მოწონს იდეა, რომელიც ექიმს უკვე თავის საკუთრებად მიაჩნია, და ექიმიც ბილი ბიბიტივით წითლდება, სანამ სიტყვას გააგრძელებდეს, იძულებულია რამდენჯერმე გააპრიალოს სათვალის შუშები. ვუყურებ და მეცინება, იმდენად კმაყოფილია პატარა კაცუნა საკუთარი თავით. პაციენტებს აყოლილი, თვითონაც აკანტურებს თავს, მშვენიერია, მშვენიერიო, – იმეორებს რამდენჯერმე და ხელებს მუხლებზე იწყობს. „ძალიან კარგი, მაშინ, თუ ეს ამბავი გადაწყვეტილია... მგონი, დამავიწყდა კიდეც, რაზე ვაპირებდით დღეს საუბარს?"

მთავარ ექთანს ერთხელაც ოდნავშესამჩნევად უთრთის თავი, კალათისკენ იხრება, საქაღალდეს იღებს. ფურცლავს და თითქოს ხელებიც უკანკალებს. საჭირო ფურცელს პოულობს, მაგრამ სანამ კითხვას დაიწყებდეს, მაკმერფი ისევ დგება, ხელს მაღლა სწევს, მოუთმენლად ინაცვლებს იატაკზე ფეხებს და გაბმულად, ფიქრიანად ამბობს – მოოოიიიცათო; ქალს ხელი უშეშდება, ქვავდება, თითქოს მაკმერფის ხმამ ახლა ისიც ისევე მიაყინა სკამს, როგორც თვითონ გაყინა ამ დილით დერეფანში შავი ბიჭი. ამის დანახვაზე ერთხელაც ჟრუანტელივით მივლის ტანში სასიამოვნო შეგრძნება. სანამ მაკმერფი ლაპარაკობს, მთავარ ექთანს არ ვაშორებ თვალს.

„მოოოიცათ, ექიმო! გავგიჟდები, თუ არ გამარკვიეთ, ჩემი წუხანდელი საზმარი რას ნიშნავს. მოკლეთ, სიზმარში თითქოს მე – მე ვიყავი, და მერე უცებ თითქოს მე – მე არ ვიყავი; ვიღაც სხვა გაიჩითა, არადა მაგრა მგავდა, როგორც... როგორც მამაჩემი! ხო, ნაღდად, მამაჩემი იყო. იმიტო, რო ჯერ ჩემ თავსაც – როცა მე მე ვიყავი, და მერე იმასაც ყბაში რკინის სოლგაყრილს ვხედავდი, ზუსტად მამაჩემივით...“

„მამათქვენს ყბაში რკინის სოლი აქვს გაყრილი?“

„არა, ეხლა უკვე აღარ... ადრე ქონდა, როცა მე პატარა ბიჭი ვიყავი. აი, აქედან გაუყარეს და აქედან გამოუყარეს! სუფთა ფრანკენშტეინს გავდა! რაღაცა დაკა-დაკა ატყდა სამხერხაოში ტბისპირელებთან და ნაჯახის ყუა თხლიშეს ყბაში – აბაა! ერთი, ეგ ამბავი უნდა მოგიყვეთ...“

ქალს ახლაც მშვიდი სახე აქვს, თითქოს სასურველი გამომეტყველების ნიღაბი შეკვეთით ჩამოუსხმევინებია და შეუღებინებია. თავდაჯერებული, ყოვლის მომთმენი და გაუბზარავი. აღარც თავი უთრთის წეღანდელივით, ოდნავშესამჩნევად, მარტო საშინელ, ცივ სახეს ვხედავ და მშვიდ, დაშტამპულ, წითელი პლასტმასის ღიმილს; გადატკეცილ, გლუვ შუბლს, რომელსაც სისუსტის ან შეშფოთების ერთი ნაოჭიც არ ამჩნევია; ფართო, დიდ, დახატულ მწვანე თვალებს: უსასრულოდ შემიძლია ლოდინიო, ამბობენ ეს თვალები, დროდადრო, შეიძლება, თითო გოჯი დავთმო, მაგრამ მოვიცდი, მოვითმენ, სიმშვიდეს და რწმენას შევინარჩუნებ, რადგან ვიცი, ჭეშმარიტი დამარცხებისგან ყოველთვის დაზღვეული ვარო.

მხოლოდ წუთით გამკრა ფიქრში, ახლა კი გატყდა-მეთქი. შეიძლება, მართალიც ვიყავი. მაგრამ ახლა ვხედავ, არც ამასა აქვს რამე მნიშვნელობა. პაციენტები რიგრიგობით აპარებენ ქალისკენ ქურდულ მზერას, ხედავენ, როგორ არაფრად აგდებს შეკრებაზე მაკმერფის გალაღებას და ისინიც იმავეს ფიქრობენ, რასაც მე. ძალიან დიდია საიმისოდ, ვინმემ დაამარცხოს. იაპონურ ქანდაკებასავით დაუპყრია ოთახის მთელი ერთი მხარე.

ვერც შეარყევ, ვერც თავს დაიძვრენ იმისგან. დღეს პატარა ბრძოლა კი დათმო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი უმნიშვნელო შეტაკებაა იმ დიდ ომში, რომელიც ადრეც არაერთხელ მოუგია და საბოლოოდაც მოიგებს. არ უნდა მივცეთ მაკმერფის ნება, ფუჭი იმედები გაგვიღვივოს, თავისი თამაშის უტყვ მონაწილეებად გვაქციოს. ეს ქალი მაინც ყოველთვის მოგებული დარჩება, როგორც კომბინატი, იმიტომ რომ ზურგს კომბინატის მთელი ძალაუფლება უმაგრებს. ერთი წაგებით არაფერს კარგავს, ჩვენი დანაკარგებით კი ძალიან ბევრს იგებს. თუ გინდა დაამარცხო, არ კმარა, სამიდან ორჯერ ან ხუთიდან სამჯერ აჯობო: უკლებლივ ყველა შეტაკებაში უნდა დააჩოქო. თუ არადა, როგორც კი ოდნავ მოადუნებ სიფხიზლეს, როგორც კი თუნდაც ერთხელ დათმობ, საბოლოო გამარჯვება იმას დარჩება, ჩვენ კი რიგრიგობით, ცალ-ცალკე დავმარცხდებით. ამ საქმეს არაფერი ეშველება.

აი ახლაც ნისლის მანქანა ჩართო. ისე სწრაფად იგრაგნება ნისლი, იმისი სახის მეტს ველარაფერს ვხედავ – სქელდება და სქელდება, უკვე ისეთსავე უძლურებას და უიმედობას განვიცდი, როგორ ბედნიერებასაც ხუთი წუთის წინ განვიცდიდი, როცა ოდნავ შესამჩნევად შეუთრთოლდა თავი; უფრო დიდ უიმედობას, ვიდრე ოდესმე, რადგან უკვე ვიცი – მისგან და მისი კომბინატისგან საშველი ნამდვილად არ არსებობს. მაკმერფიც ჩემსავით უძლურია. ვერავინ ვერაფერს გააწყობს. რაც უფრო მეტს ვფიქრობ უსაშველობაზე, მით უფრო სწრაფად იკარგება ყველაფერი ნისლში.

მეც ვიკარგები და მიხარია, იმიტომ რომ შემიძლია მოვეშვა და ხიფათს ცოტა ხნით მაინც გადავურჩე.

ღ ღის პალატად ქცეულ სააბაზანოში „მონოპოლიის“ თამაშია გახურებული. სამი დღეა გრძელდება. საითაც გაიხედავ, სახლებისა და სასტუმროების ცვენაა, ორი მაგიდაა ერთმანეთზე მიდგმული – მთელი ბარათები და სათამაშო ფულის დასტები რომ დაეტიოს. მაკმერფიმ დანარჩენებიც დაიყოლია, ინტერესისთვის აჯობებს, ბანკიდან აღებულ ყოველ სათამაშო დოლარში თითო ნაღდი პენი გადავიხადოთო; „მონოპოლიის“ ყუთი ხურდა ფულითაა სავსე.

„შენი გაგორებაა, ჩესვიკ.“

„ერთი წუთი მოიცათ, სანამ გააგორებს. ამ სასტუმროების საყიდლად რა მჭირდება?“

„რა გჭირდება, მარტინი და, ერთი ფერის ყველა უჯრაზე ოთხ-ოთხი სახლი. თუ ძმა ხარ, დრო ნუ გაგყავს.“

„მოიცათ ერთი წუთი!“

მაგიდის იქიდან ფულების წვიმა მოდის, წითელი, მწვანე და ყვითელი ბარათები დაფრინავენ ჰაერში.

„შენ, ძმურად, სასტუმროს ყიდულობ თუ ახალ წელს ზეიმობ?“

„შენც გააგორე რა, ჩესვიკ, რა დაგეტაკა?“

„იაგანი! ჰე-ჰე, ჩესვიკუნა, მაჩვენე ერთი, სად ამოყავი თავი? შემთხვევით ჩემ „მარვინ გარდენზე“ ხო არ შემოგიცდა ფეხი? მაიცა, კარგად ვნახო... სამას ორმოცდაათი დოლარი უნდა გადამიხადოთ, თუ არ შეწუხდებით!“

„ფუ, მე ამის...“

„ეგ რაღაა? მოიცადეთ ერთი წუთი. ეგ რეებია მთელ დაფაზე?“

„მარტინი, მაგ რაღაცეებს უკვე ორი დღეა უყურებ! მოდი ახლა და ითამაშე ამათთან. მაკმერფი, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, რანაირად შეგიძლია ყურადღება მოიკრიბო, როცა გვერდზე მარტინი გიზის და წუთში ერთი მილის სიჩქარით ხედავს ჰალუცინაციებს?“

„ჩესვიკ, მარტინის შეეშვი! მარტინი ჭკუას არ წააგებს. შენ გირჩევნია, სამას ორმოცდაათი დოლარი დაყაჭო. მარტინი თავის თავს თითონ მოუვლის; რა გინდა, ქირას ხო ვახდევინებთ, როცა იმის „რაღაცა“ სხვის მიწაზე ხვდება?“

„ერთი წუთი მოიცათ. ნახეთ რამდენია.“

„ეგ არაფერი, მარტ. შენ უბრალოდ გვითხარი ხოლმე, ვის მამულებში გაგორდებიან. ჩესვიკ, ნუ აგლახავებ კამათელს ამდენი ხანი! წყვილია. ისევ შენ აგორებ. ჯიგარი ხარ. ნახე! ექვსია.“

„ესე იგი, სად მოვედით?.. შანსი: „თქვენ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ აგირჩიეს, გადაუხადეთ ყოველ მოთამაშეს...“ წადი, შენი დედაც და მამაც!“

„ღმერთი არა გწამთ? მითხარით, ეს ვისი სასტუმროა რედინგის რკინიგზაზე?“

„ჩემო მეგობარო, ნუთუ ვერ ხედავთ, ეს სასტუმრო არ არის, ეს – დეპოა.“

„ერთი წუთი მოიცათ...“

მაკმერფი მაგიდის ერთ მხარეს მიდი-მოდის, ქაღალდებს ადგილს უცვლის, ფულს ხელახლა ალაგებს, „სასტუმროებს“ ასწორებს. ქუდიდან წიგნის სანიშნესავით გამოჩრია ასდოლარიანი; არამად ნაშოვნი ფულიაო – თვითონ ასე ამბობს.

„სქანლონ, თუ არ მეშლება, შენი ჯერია, ძმაკაც!“

„მომეცით კამათელი. ბდღვირს ავადენ ამ დაფას. წავიდაა. ძაღლის ძვალო... თერთმეტზე გადამისვი, მარტინი!“

„კი ბატონო.“

„ეგ არა, შე გამოტვინებულო, მაგას გაუშვი, ეგ ჩემი სახლია!“

„ფერი ერთი აქვთ და...“

„ამ პატარა სახლს ელექტროკომპანიის მიწაზე რა უნდა?“

„ეგ ელექტოსადგურია.“

„მარტინი, კამათლები აქ ყრია, შენ რას ურევ, ნუ გადამრიე!“

„აცალე. რა მნიშვნელობა აქვს?“

„ორი სახლი აუღია!“

„აუჰ! შემახედეთ, ცხრამეტზე წაიწია წინ ჩვენმა მარტინიმ. რა მადლიანი ხელი გაქ, მარტ; ესე იგი, შენ მიხვედი... სად არი შენი ფიგურა?“

„ჰა? აგერ არ არის?!“

„პირში ედო, მაკმერფი. ძალიან კარგი! მაშასადამე, ორი ნაბიჯით წაუწევია წინ ფუძის მეორე და მესამე კბილებზე, ოთხი უჯრით დაფაზე და ბოლოს თავი ამოუყვია... ბელთიქ ავენიუზე, ჩემო მარტინი. შენივე საკუთარ და ერთადერთ სამფლობელოში. არა, ზოგს მაინც რა ბედი აქვს, არა, მეგობრებო? მესამე დღეა, თამაშობს და ჯერ სხვის ტერიტორიაზე ცხვირი არ შეუყვია.“

„ენა გააჩუმე და გააგორე, ჰარდინგ, შენი ჯერია!“

ჰარდინგი გრძელი თითებით კამათლებს იღებს, ცერით წიბოებს უსინჯავს, თითქოს ბრმაა. თითებიც კამათლისფერია. კამათელს ურევს, მუჭში აჩხარუნებს. მერე აგორებს და კამათლები ზუსტად მაკმერფის წინ ჩერდებიან.

„აუუუჰ, ხუთი... ექვსი... შვიდი! ბედი არა გაქ, ძმაკაც. ისევ ჩემ უსაზღვრო მამულებში მოხვდი. ჩემი გმართებს... ვნახოთ, ვნახოთ, დიახ, ორასი დოლარი მთლიანად დაფარავს თქვენ ვალს.“

„სამწუხარო ამბავია.“

კამათლის ჩხრიალში და ფულის შარიშურში თამაში უსასრულოდ გრძელდება.

ზოგჯერ დროის ისეთი ხანგრძლივი მონაკვეთები გამოერევა ხოლმე – სამდღიანი, რამდენიმეწლიანი – როცა ირგვლივ ვერაფერს ხედავ და მარტო რეპროდუქტორებიდან მომავალი, ნისლში დარხეული ზარის ექოსმაგვარი ხმა გაგებინებს სად ხარ, სად იმყოფები. მერე, როცა მხედველობა ისევ მიბრუნდება, ბიჭები ჩვეულებრივად მიდი-მოდიან და ისეთი უზრუნველი სახეები აქვთ, ვითომ ჰაერში ნისლის ნატამალიც არ შეუმჩნევიათ. მე მგონი, ნისლი იმათ მახსოვრობაზე რაღაცნაირად მოქმედებს, ჩემსაზე კი არა.

ეტყობა, მაკმერფიც ვერ ხვდება, თავფეხიანად მხვევენ ნისლშიო. ყოველ შემთხვევაში, თუ ხვდება, ყველანაირად ცდილობს არ შეიმჩნიოს, ეს ამბავი ოდნავ მაინც თუ აწუხებს. ძალიან უნდა, პერსონალის ვერც ერთმა წევრმა ვერ შეატყოს, საერთოდ თუ აწუხებს რამე; როცა ვიღაც ნატრობს, ცხოვრება გაგიმწაროს, მთავარია უზრუნველი და უდარდელი კაცის იერი შეინარჩუნო, უკეთესად ძნელად გააღიზიანებ.

ექთნებთან და შავ ბიჭებთან ურთიერთობისას არასდროს ღალატობს თავისი დახვეწილი მანერები – სულერთია, რას ეუბნებიან, რა ეშმაკობებს მიმართავენ წონასწორობიდან გამოსაყვანად. ხანდახან რომელიმე უტვინო წესი გადარევს ხოლმე, მაგრამ ასეთ დროს უბრალოდ თავს ძალას ატანს და კიდევ უფრო ზრდილობიანად იქცევა, იქამდე იკავებს თავს, სანამ მართლა არ

დამშვიდდება და არ გაიაზრებს, რა სასაცილოა ეს ყველაფერი – წესებიც, ამ წესების ძალით თავზე მოსახვევად გამიზნული მკაცრი მზერაც და ამხელა ხალხთან ენის მოჩლექით ლაპარაკიც, ვითომ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ვიყოთ. და მართლაც, როცა რწმუნდება, მთელი ეს მაიმუნობა სასაცილოაო, გულიანადაც იცინის, მთლად აგიჟებს პერსონალს. სანამ სიცილი შეუძლია, არაფერი ემუქრება, თვითონაც ასე ჰგონია და ჯერჯერობით ვარაუდიც უმართლებს. მარტო ერთხელ უჭირს თავის შეკავება, ერთადერთხელ ეტყობა, როგორი გაცოფებულია, ოღონდ მთავარი ექთანი ან იმისი ბიჭები კი არ აცოფებენ, იმათ ნამოქმედარს კი არ გამოყავს წონასწორობიდან, არამედ პაციენტების უმოქმედობას.

ეს ამბავი ერთ-ერთი ჯგუფური შეკრების დროს მოხდა. მაშინ გაამწარეს ბიჭებმა თავიანთი მეტისმეტი სიფრთხილით – მეტისმეტი კურდღლობით – როგორც მაკმერფიმ თქვა. პარასკევს ბეისბოლის ფინალური მატჩების სერია უნდა დაწყებულიყო და ისიც ბიჭებისგან ფსონებს იბარებდა. იმედი ჰქონდა, თამაშებს ტელევიზორში ვუყურებთო, თუმცა მატჩები ტელევიზორის საყურებლად ნებადართულ დროს არ იწყებოდა. რამდენიმე დღით ადრე შეკრებაზე მთავარ ექთანს ეკითხება, რა იქნება, პალატები საღამოს დავალაგოთ, სატელევიზიო დროს, შუადღისას კი თამაშებს ვუყუროთო. მთავარი ექთანიც – არავითარ შემთხვევაშიო – უჭრის და, მე მგონი, სხვა პასუხს არც მაკმერფი ელოდება. მერე ქალი არ იზარებს და უხსნის, შინაგანაწესი საგულდაგულოდ აწონ-დაწონილი მოსაზრებებით იქნა შედგენილი და წესების შეცვლა ზედმეტ არევ-დარევას გამოიწვევსო.

მაკმერფის მთავარი ექთნის პასუხი არ აკვირვებს, მწვავეების რეაქციითაა გაოგნებული – როცა ეკითხება, თქვენ რას ფიქრობთ ჩემ იდეაზეო, და არავინ არაფერს პასუხობს. ყველა ნისლის პატარ-პატარა ქულებში იყუჟება. ძლივს ვხედავ დამალულებს.

„ერთი აქეთ მომხედეთ," ეუბნება დანარჩენებს, მაგრამ ისინი თვალს ვერ უსწორებენ, მზერას არიდებენ. რა თქმა უნდა, ელოდებოდა, ვინმე მაინც გაბედავს ხმის ამოღებას, ერთი კაცი მაინც

მიპასუხებს კითხვაზეო. არადა, ყველას ისე უჭირავს თავი, ვითომ შეკითხვა არც გაუგონიათ. „მოიხედეთ-მეთქი, რამ დაგაყრუათ?“ უკვე ბრაზობს საერთო აპათიით გადარეული. „რაც მე ვიცი, სუ ცოტა თორმეტ კაცს მაინც აინტერესებს და ანერვიულებს, ვინ მოიგებს ამ სერიას. ვითომ სულერთია, თქვენი თვალითაც ნახავთ თუ ვერა?“

„არ ვიცი, მაკ,“ ბოლოს და ბოლოს სქანლონი არღვევს საერთო დუმილს, „მე უკვე დიდი ხანია, ექვს საათზე ახალი ამბების ყურებას მივეჩვიე. და თუ დროის შეცვლა მართლა ისე არევს შინაგანაწესს, როგორც მის რეჩედი ამბობს...“

„ჯანდაბას შინაგანაწესი! იმ კვირაში, როცა თამაშები მორჩება, ისევ აღადგინეთ თქვენი ძველი წესები. რას იტყვით, ძმებო? მოდი, კენჭი ვყაროთ, ვის უნდა საღამოს მაგივრად შუადღისას უყუროს ტელევიზორს? რომელია მომხრე?“

„მე!“ ყვირის ჩესვიკი და ფეხზე დგება.

„ვინც მომხრეა, ხელი აწიოს, გესმით? ვინც მომხრეა-მეთქი!“

ჩესვიკი ხელს სწევს. დანარჩენები თვალებს აცეცებენ, აბა სხვა სულელიც თუ გამოჩდებაო. მაკმერფი გაშტერებული დგას.

„რა იყო, რა გეტაკათ? მე მეგონა, შეგეძლოთ კენჭისყრით საქმის გადაწყვეტა, აკი ადრეც გვიყრია კენჭი, როცა რაღაცრაღაცეები არ მოგვწონებიაო? ეგრე არ არი, ექიმო?“

ექიმი იატაკს ჩასცქერის და თავს აკანტურებს.

„ჰა, აბა, ვის უნდა თამაშების ყურება?“

ჩესვიკი კიდევ უფრო მაღლა სწევს ხელს და თან აქეთ-იქით იყურება. სქანლონი თავს აქნევს და მერე, სკამის სახელურზე იდაყვჩამოდებული, ისიც მორცხვად სწევს ხელს. მეტი არავინ. მაკმერფი კრინტს ვეღარ ძრავს.

„თუკი საკითხი გადაწყვეტილია,“ ამბობს მთავარი ექთანი, „იქნებ შეკრებაც დაგვეწყო.“

„კეთილი,“ კბილებში ცრის მაკმერფი და ლამის წვება სკამზე, ქუდის ბოლო თითქმის მკერდზე ედება. „კეთილი, ჩემო ბატონო, ეტყობა, მართლა დროა, ეს ოხერი შეხვედრა დავიწყოთ.“

„დიახ,“ ბუზღუნებს ჩესვიკი, რიგრიგობით ბურღავს თვალებით ყველას და გაბრაზებული ჯდება. „დავიწყოთ ღვთითკურთხეული შეკრება!“ პირქუშად აქნევს თავს, მერე ნიკაპს მკერდზე იბჯენს – მკაცრი და მოღუშული. ჩესვიკს მაკმერფის გვერდით ჯდომაც სიამოვნებს და ასეთი სიმამაცის გამოჩენაც. პირველი შემთხვევაა, როცა იმთავითვე წაგებულ საქმეში მოკავშირე შეიძინა.

შეკრების დამთავრების მერე მაკმერფი ხმას არავის სცემს, ძალიან გაბრაზებულია, გაცოფებული, ყველა ეზიზღება. მაკმერფის ბილი ბიბიტი უახლოვდება.

„ზოგი ჩვენგანი უ-უკვე ხუ-ხუთთი წელია აქ არის, რენდლ,“ ეუბნება ბილი. ხელში დაგრაგნილი ჟურნალი უჭირავს და თითებით აწვალებს; ორივე ხელის ზურგი სიგარეტით აქვს ამომწვარი. „ბევრი შეიძლება კი-კი-კიდევ ერთი ამდენი დარჩეს, შ-შ-შენი წასვლის და ამ ფი-ფი-ფინალური თთ-ააა-მაშების დამთავრების მ-მ-მერრრეც. და... რ-როგორ ვერ ხვდები...“ ჟურნალს ძირს აგდებს და მიდის. „ეეჰ, რა აზრი აქვს, სულერთია ყველაფერი.“

მაკმერფი თვალს აყოლებს, გაოცებულს უფერული წარბები აწკეპია და ერთმანეთზე გადაბმია.

მთელი ის დღე ბიჭებს ეჯიჯღინება, მხარი რატო არ ამიბითო, მაგრამ ისინი ლაპარაკს აშკარად გაურბიან, მაკმერფიც აღარ კამათობს, თითქოს ყველაფერს ივიწყებს და კრინტს აღარ ძრავს ამ ამბავზე; ფინალური სერიის წინა დღესღა ამბობს ვითომ თავისთვის – ხუთშაბათიც დადგაო – და მოწყენილი აქნევს თავს.

სააბაზანოში მაგიდაზე ზის, ფეხები სკამზე უწყვია და თითზე ქუდის ტრიალით ერთობა. მწვავეები დანაღვლიანებულები მიდი-მოდიან და ცდილობენ არავითარი ყურადღება არ მიაქციონ. მაკმერფისთან ფულზე პოკერის და „ოცდაერთის“ თამაშს აღარავინ აპირებს – გაბრაზებულ გულზე ისე გაატყავა ყველა, უკვე დიდ ვალში არიან და უფრო შორს შეტოპვის ეშინიათ; ველარც სიგარეტზე ითამაშებენ, მთავარმა ექთანმა ყველას სამორიგეოში შეანახვინა კუთვნილი სიგარეტები და ახლა თვითონვე ანაწილებს – თითო მწეველს დღეში თითო კოლოფს აძლევს

და ამბობს, მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა მაიძულებს, ასე მოვიქცეო. ის კი ამას ამბობს, მაგრამ ბიჭები მშვენივრად ხვდებიან, სინამდვილეში მაკმერფის უდგას კრიჭაში, მაკმერფის ართმევს ლუკმას. უპოკეროდ და უოცდა-ერთოდ სააბაზანოში სრული სიწყნარეა, მარტო დღის პალატიდან მომავალი რეპროდუქტორის სუსტი ხმა არღვევს ამ სიწყნარეს. ისეთი სიჩუმეა, გაიგონებ ზევით, დასაბმელებში, როგორ გადის ვიღაც კედლებზე – ლუუ, ლუუ, ლუუ – სიგნალს გვაძლევს დროდადრო გულისგამაწვრილებელი, მოსაწყენი ხმით, თითქოს ჩვილი ღნავის და ღნავილ-ღნავილში დაძინებას ცდილობსო.

„ხუთშაბათი," ერთხელაც იმეორებს მაკმერფი.

„ლუუუუუუუუ," უბერავს ბიჭი ზედა სართულზე.

„როულერია," ამბობს სქანლონი, თან ჭერს ასცქერის. ცდილობს, მაკმერფის ნათქვამს ყურადღება არ მიაქციოს. „ქალაჩუნა როულერი. რამდენიმე წლის წინ ჩვენთან იყო. მაგრამ არა და არ მოასვენა მის რეჩედი. გახსოვს, ბილი? ლუუ და ლუუ და ლუუო – გაუთავებლად ღნაოდა, კინაღამ შევიშალე. ამათ ადგილზე, ავდგებოდი და იმ დასაბმელებს, ზევით, ერთ-ორ ხელყუმბარას შევუგდებდი საძინებელში. მაინც არაფერი ხეირი არ არის მაგათგან..."

„ხვალ კი პარასკევია," თავისას ერეკება მაკმერფი. ძალიან არ უნდა, სქანლონმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოს.

„ხო," ამბობს ჩესვიკი და მუქარით ათვალიერებს ოთახს. „ხვალ პარასკევია."

ჰარდინგი ჟურნალს ფურცლავს. „ესე იგი, თითქმის ერთი კვირაა, რაც ჩვენი მეგობარი მაკმერფი აქაა და ჯერ მაინცდამაინც ვერ წაიწია წინ ხელისუფლების დამხობის საქმეში, ამის თქმა გინდა, ჩესვიკუნა? ღმერთო ჩემო, არა, მაინც რა აპათიამ დაგვრია ხელი – სირცხვილია, სირცხვილი და თავის მოჭრა."

„ხელისუფლების ჭკუაც!.." ამბობს მაკმერფი. „ჩესვიკს იმის თქმა უნდა, ხვალ უკვე პირველი თამაშის რეპორტაჟია და ჩვენ რას ვაპირებთო? ისევ ამ ბაგა-ბაღის კედლები ვხეხოთ?"

„მართლაც," კვერს უკრავს ჩესვიკი. „შაქარივით ტკბილი დედილო რეჩედის თერაპიული ბაგა-ბაღის."

სააბაზანოს კედელს ვარ აკრული და თავი ჯაშუში მგონია. ხელში გრძელი, ლითონისტარიანი ცოცხი მიჭირავს (ლითონი ხეზე უკეთესი გამტარია). ტარი შიგნიდან ფუტუროა – უამრავი მინიატურული მიკროფონის ჩამონტაჟება შეიძლება. მთავარ ექთანს თუ ეს ლაპარაკი ესმის, ჩესვიკს კარგი არაფერი ემუქრება. ჯიბიდან დასორსლილ, გახევებულ კევს ვიღებ, პატარას ვაგლეჯ და პირში ვიდებ, ვარბილებ.

„მოდი, ერთხელაც ვცადოთ," არა და არ ისვენებს მაკმერფი, „ეხლა რამდენი აწევთ ხელს, ჩიტუნებო, დღესაც რო დავაყენო ჩემი წინადადება კენჭისყრაზე?"

მწვავეების დაახლოებით ნახევარი თანხმობის ნიშნად აქნევს თავს, ბევრად მეტი, ვიდრე სინამდვილეში აყვება მაკმერფის, საქმე საქმეზე თუ მიდგა. მაკმერფი ისევ იხურავს ქუდს და ნიკაპს ხელისგულებზე აბჯენს.

„არა, დედას გეფიცებით, თქვენი ვერ გამიგია! ჰარდინგ, შენ რაღა დაგემართა, რა სახე ჩამოგტირის? რისი გეშინია, ხელს თუ აწევ, რა, ბებერი სვავი გეცემა და ძირში წაგაწყვიტავს?"

ჰარდინგი მეჩხერ წარბს მაღლა წკიპავს. „შეიძლება, მეშინია კიდეც; მეშინია, ხელი თუ ავწიე, ძირში არ წამაწყვიტოს."

„შენა, ბილი? შენც მაგის გეშინია?"

„არა. არა მგონია, რ-რ-რამე გვიყოს, მაგრამ..." ბილი მხრებს იჩეჩავს, ოხრავს და შხაპის შლანგების საკონტროლო დიდ პულტზე ძვრება, მაიმუნივით იკალათებს ზედ. „... მაგრამ, უბრალოდ არა მგონია, კენჭისყრამ რ-რ-რამე გვარგოს. ს-ს-საბოლოო ჯამში. უბ-ბ-ბ-რალოდ, აზრი არა აქვს, მაკ."

„რამე გვარგოს?! ჩემი კარგი!.. ჩიტუნიებო, მარტო ხელის აწევ-დაწევა გარგებთ – ცოტას წაივარჯიშებთ მაინც."

„რისკი მაინც არსებობს, ჩემო მეგობარო. ყოველთვის შეუძლია, კიდევ უფრო უარეს დღეში ჩაგვაგდოს. ბეისბოლის მატჩი ასეთ რისკად ნამდვილად არ ღირს," ამბობს ჰარდინგი.

„ერთი დამენახეთ, რომელი ამბობთ მაგას! ღმერთო ჩემო, რამდენი წელია ფინალური სერია არ გამიცდენია! ციხეში გვაყურებინებდნენ, ციხეში! დაგვიშლიდნენ და, იმათი აჯობებდა! ნეტა რას გეჩიჩინებით?! ჩამოვიღებ ამ გოთვერან კარს, დავუბერავ ქალაქში და სადმე ბარში ჩავუჯდები ტელევიზორს, მარტო მე და ჩემი ძმაკაცი ჩესვიკი წავალთ!“

„აი, ეს უკვე მართლა გენიალურთან წილნაყარი აზრია,“ ამბობს ჰარდინგი და ჟურნალს იატაკზე აგდებს. „აი, რას უნდა ვუყაროთ კენჭი ხვალინდელ შეკრებაზე! „მის რეჩედ, გთხოვთ, კენჭისყრაზე დააყენოთ ჩემი წინადადება: მე მინდა, მთელი განყოფილება სრული შემადგენლობით, ასე ვთქვათ en masse, კაფე „მკვდარ საათში“ გადავიდეს ლუდის დასალევად და ტელევიზორის საყურებლად.“

„მე მხარს დავუჭერდი,“ ამბობს ჩესვიკი. „ძალიანაც სწორია.“

„მე ეგ ანმას-ალემანსები არ ვიცი,“ ბრაზობს მაკმერფი. „და ამ კუანა ქალაჩუნების თავყრილობის ყურებაც მომბეზრდა. როცა მე და ჩესვიკი აქედან ავაცვამთ, კარსაც ავჭედავთ. ასიანი! თქვენ იჯექით და იწუწუნეთ – დედიკო ქუჩაში მარტოკებს არ გვიშვებსო!“

„არა, მართლა?.. სერიოზულად ამბობ?“ ფრედრიქსონი მაკმერფის უახლოვდება. „იმ შენ ნალებიან ჩექმას ხეთქავ კარს და ჩამოიღებ? მართლა მაგარი ბიჭი ხარ.“

მაკმერფი ფრედრიქსონს ზედაც არ უყურებს; უკვე იცის, ფრედრიქსონმა ხანდახან კი შეიძლება თავი გამოიდოს, მაგრამ ერთი პატარა დაცაცხანება უნდა და ისევ ბუჩქებში დაიმალება.

„მითხარი ერთი, მაგარო ბიჭო,“ არ ეშვება ფრედრიქსონი, „მართლა ჩამოიღებ კარს, მართლა გვაჩვენებ, რა ვაუკაცი ხარ?“

„არა, ფრედ, ალბათ არა. ფეხსაცმელს ხო არ გავცვითავ!“

„ჰოოო? კაი ბატონო! არადა, ისე კარგად კი ლაპარაკობდი – აქედან ავაცვამო, ესაო, ისაო...“

მაკმერფი აქეთ-იქით იყურება. „ჩვენში დარჩეს და, ძაან თუ მოვინდომებ, სკამით ფანჯრის გისოსის განგრევას კი მოვახერხებ...“

„არა, მართლა? მოახერხებ? სკამს აიღებ და ეგრევე თხლიშავ? ძალიან კარგი, აბა ვნახოთ! მოდი, ათ დოლარზე დაგენიძლავები, მაგარო ბიჭო, რომ არაფერი გამოგივა.“

„ნურც ეცდები, მაკ,“ ეუბნება ჩესვიკი. „ფრედრიქსონი აზრზეა, მარტო სკამს დაამტვრევ და თან დასაბმელებშიც გიკრავენ თავს. აქ გადმოყვანის პირველივე დღეს ჩაგვიტარეს დარაბების სიმტკიცის დემონსტრირება. სპეცშეკვეთაა. ტექნიკოსმა ერთი ეგეთი სკამი აიღო, აი, შენ რომ ფეხები გიწყვია ზედ, და გისოსს ლეწა, მანამდე ურტყა, სანამ სკამი ნაფოტებად არ იქცა, გისოსს საერთოდ არაფერი შეტყობია.“

„კაი მაშინ,“ ამბობს მაკმერფი და თან ისევ აქეთ-იქით იყურება, ვატყობ, თანდათან სულ უფრო და უფრო როგორ ვარდება ინტერესში. იმედი მაქვს, მთავარ ექთანს არაფერი ესმის: უკვე დიდი ხანია დასაბმელებში იქნებოდა. „ესე იგი, რაღაც უფრო მძიმე გვჭირდება. მაგიდა არ გამოდგება?“

„მაგიდაც იგივეა. ხისაა და სკამის წონა აქვს.“

„კეთილი და პატიოსანი... ღმერთო ჩემო, ცოტა თქვენც გაანძრიეთ ტვინი – რა შეიძლება ვგლიჯო ამ გისოსს, რითი გავანგრიო? ისე, ჩიტუნებო, თუ გგონიათ, ჩემისთანა გულით მოწადინებულ კაცს არაფერი გამოუვა, ძაან შემცდარხართ! დიდი იმედგაცრუება გელით. ო'კეი, რაღაცა... მაგიდაზე და სკამზე უფრო მძიმე... ეხლავე, ეხლავე... ღამე იყოს, კი ვიცი, რასაც ვიზამდი. იმ გასიებულ ზანგს ვგლიჯავდი ფანჯარას... კაი მძიმე ბიჭი ჩანს, ჰა?“

„ოღონდ თან ფუმფულა,“ ამბობს ჰარდინგი. „განგრევა არ ვიცი და ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთილი კი შეიძლება გამძვრალიყო გისოსებში, ხორცის მანქანაში გატარებული ფარშივით.“

„საწოლზე რას იტყვით?“

„საწოლი ძალიან დიდია. გინდაც აწიო, ფანჯარაში არ გაეტევა.“

„აწევით, იცოცხლე, ავწევ. კი მარა, აგე, იმ პულტს რას უწუნებთ, ბილი რო დასკუპებულა ზედ? რამ დამასირა?! ნახე, რამდენი სახელურები და ბერკეტები აქ, ვითომ არ იქნება მძიმე? კაი მაგარიც უნდა იყოს, ჩემმა მზემ...“

„აწევ, კი.“ ამბობს ფრედრიქსონი. „ერთი მაგას აწევ და მეორე ჩვენი განყოფილების ფოლადის კარს გაანგრევ წიხლით!“

„რა უჭირს, პულტი რო ვცადოთ? იატაკზე დაბმულსაც არ გავს...“

„არც არის დამაგრებული – ალბათ, სულ რამდენიმე მავთულს უჭირავს – მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ერთი კარგად შეხედე!“

ყველა პულტს უყურებს. ფოლადის და ცემენტის ნაგლეჯს. ნახევარი მაგიდისოდენა, სულ ცოტა, ალბათ, ოთხას ფუნტს მაინც იწონის.

„აჰა, შევხედე. რაა რო? მე რო ფურგონებზე თივით სავსე ტომრებს ვტვირთავდი, იმ ტომრებზე დიდი არა ჩანს.“

„დიდი არა ჩანს, ოღონდ დაახლოებით მეოთხედი ტონით მეტს იწონის; თუ გინდა, დაგენიძლავები,“ ამბობს ფრედრიქსონი.

„მართალს ამბობს, მაკ,“ ღელავს ჩესვიკი. „საშინლად მძიმე იქნება.“

„იყოს, მაგის დედაც... თქვენ რა, ჩიტუნებო, მიმტკიცებთ, აი, ამ მახინას ვერ მოერევიო?“

„ჩემო მეგობარო, რაღაც ვერ ვიხსენებ, რომ სხვა უამრავ ღირსებასთან ერთად ფსიქოპათებს როდისმე მთების გადაადგილების უნარიც გამოემჟღავნებინოთ.“

„ო'კეი. თქვენ ამბობთ, ვერ აწევო. ძალიან კარგი! დედას ვფიცავარ...“

მაკმერფი მაგიდიდან ხტება და მწვანე ქურთუკს იხდის. დაკუნთულ მკლავებზე მოტკეცილი მაისურის მოკლე სახელოებიდან სვირინგებს გამოუყვიათ ბოლოები.

„თუ ეგრეა, მაშინ რომელი ჩამოყაჭავთ ხუთ დოლარს? სანამ თითონ არ ვცდი, სიტყვაზე არავის დაგიჯერებთ – რამეს ვერ მოახერხებო! აბა, ხუთი დოლარი...“

„ძველის არ იყოს, ეს ნაძლევიც სრული უაზრობაა, მაკმერფი.“

„ჰა, რომელსა გაქთ დასაკარგი ხუთი დოლარი? ტყუილი ბაზარ-ვაგზალი არ მინდა...“

ბიჭები მაშინვე ხელწერილების წერას იწყებენ. უკვე იმდენი წააგეს მაკმერფისთან პოკერშიც და „ოცდაერთშიც“, ერთი სული აქვთ, როდის გადაუხდიან სამაგიეროს, ამაზე ნაღდი შანსი კი, ვინ იცის, როდის მიეცემათ. აი, მაკმერფი საით უმიზნებს, ვერ ვხვდები. ჩასხმული და ჯანიანი ბიჭი კია, მაგრამ სამი იმისნაირი არ ეყოფა პულტის ადგილიდან დაძვრას, თვითონაც მშვენივრად იცის. ერთი შეხედვითაც ცხადია, ძვრასაც ვერ უზამს, აწევას ვიღა ჩივის. ამ პულტის მორევას გოლიათის ღონე უნდა. არადა, როგორც კი მწვავეები ხელწერილების წერას ამთავრებენ, მაინც გულდაჯერებული უახლოვდება პულტს, ბილი ბიბიტს ძირს სვამს, რიგრიგობით იფურთხებს თავის ვეება, დაკოჟრილ ხელისგულებზე, ხელებს იფშვნეტს და მხრებს ათამაშებს.

„აბა, ბიჭებო, გზიდან მომეცალეთ. ზოგჯერ, როცა ძალღონე მაქ მოსაკრები, მთელ ჰაერს ვხაპავ ხოლმე და სხვები გონებას კარგავენ, სული ეხუთებათ. უკან გაიწით. გამორიცხული არ არი, ცემენტი დასკდეს და ნამსხვრევები მოგხვდეთ. ქალები და ბავშვები გახიზნეთ. უკან დაიწიეთ-მეთქი!“

„ღმერთო, შენ მიშველე, მგონი, მართლა აწევს, ხო იცით!“ ბუტბუტებს ჩესვიკი.

„ნამდვილად. იმდენს ილაპარაკებს, ლაპარაკით უზამს ძვრას,“ ამბობს ფრედრიქსონი.

„რა გითხრათ?! მე მგონი, ერთ კარგ თიაქარს აიკიდებს,“ ამბობს ჰარდინგი. „მორჩი ახლა, მაკმერფი, გეყოფა მაიმუნობა. ადამიანს მაგის აწევა არ შეუძლია.“

„უკან გაიწით, სირიკოებო! ჟანგბადში ნუ მეცილებით.“

რამდენჯერმე ინაცვლებს იატაკზე ფეხს, საყრდენს ეძებს, მერე ხელებს ბარძაყებზე ისვამს, წინ იხრება და პულტის სახელურებს ეჭიდება. საბოლოოდ იკრებს ძალას, იძაბება, ტყუილად იჭინთება და ბიჭებიც ყიჟინას სცემენ, ელადავებიან.

მაკმერფი დუნდება, წელში სწორდება და ერთხელ კიდევ ინაცვლებს ფეხს.

„დაყარე ფარ-ხმალი?“ იღიმება ფრედრიქსონი.

„ჯერ ვვარჯიშობ. ეხლა იწყება თავდავიწყება!“ ისევ ორივე ხელით აფრინდება სახელურებს.

უცებ ყველა მუნჯდება, აღარავინ უკიჟინებს და ეღადავება. მაკმერფის მკლავები ეძაგრება, ლამისაა დააწყდეს. მაგრად ხუჭავს თვალებს, კბილებს კრეჭს. თავი უკან გადაუგდია, დაჭიმული კისრიდან ძარღვები დანასკვული თოკებივით მოუყვებიან მკლავებს ხელის მტევნებისკენ. დაძაბულობისგან მთელი ტანი უძაგძაგებს, თვითონაც იცის, ისეთი ტვირთის აწევას ცდილობს, რასაც ვერ მოერევა, ვხვდებით – არაფერი გამოუვაო.

მაგრამ უცებ სულ ერთი წამით, როცა ფეხქვეშ ცემენტი აგვიხრაშუნდება, ისეთი განცდა გვეუფლება ყველას, ვითომ შეიძლება მართლა მოახერხოს და აწიოს.

მერე, თითქოს რაღაც ჩაუწყდაო, ისეთი ხმით უშვებს ფილტვებიდან ჰაერს და არაქათგამოცლილი ზურგით აწყდება კედელს. სახელურებზე სისხლის კვალია – ხელისგულები ხორცამდე დაუტყავებია. ერთ წუთს კედელს მიყრდნობილი, თვალდახუჭული ქშინავს ხმამაღლა. სხვა ხმა არც ისმის, იმისი ჩახრინწული სუნთქვის გარდა. კრინტს არ ძრავს არავინ.

მერე თვალებს ახელს და გვათვალიერებს. სათითაოდ. მეც კი მიყურებს. ორ თითს იყოფს ჯიბეში და ბოლო ორ დღეში მოგებულ ხელწერილებს იღებს. მაგიდისკენ იხრება, ცდილობს ფურცლები დააცალკეოს, მაგრამ ხელები გათოშვია, წითელ კლანჭებად ქცევია, ვერ იმორჩილებს გახევებულ თითებს.

მთელ დასტას იატაკზე აგდებს – თითო კაცისგან, ალბათ, ორმოცი-ორმოცდაათი დოლარი მაინც ერგება – ტრიალდება და სააბაზანოდან გასვლას აპირებს. კართან ერთხელაც ჩერდება, ერთხელ კიდევ გვათვალიერებს რიგრიგობით.

„ხო, მარა მე ვცადე მაინც,“ გვეუბნება ჩუმად. „დამწყევლოს გამჩენმა, მაგას ხო ვერ დამიკარგავთ, ხო ვცადე მაინც?“

ოთახიდან გადის და ყველა მსურველს გადასარჩევად უტოვებს იატაკზე მობნეულ ჭუჭყიან ქაღალდებს.

ყვითელ თავის ქალაზე ნაცრისფერ აბლაბუდამოდებული მოწვეული ექიმი ახალგაზრდა კოლეგებს მოძღვრავს პერსონალის ოთახში.

მეც შორიახლოს ვგვი იატაკს. „ოჰო, ეს ვიღაა?“ ისეთი თვალებით მიყურებს, ვითომ ხოჭო ვიყო. ერთ-ერთი ჩვენიანი ყურზე იდებს ხელს, ყრუაო – ანიშნებს და მოწვეული კორიფეც ლაპარაკს აგრძელებს.

გრძელტარიან ცოცხს მაღლა ვწევ, კედელზე დაკიდებულ დიდ ნახატს ვუსწორებ, რომელიც ერთხელ ისეთ ნისლში მოათრია ჩვენმა პიარტექნოლოგმა, მაშინ ვერაფერი გავარჩიე ზედ. სურათზე ვიღაც ტიპი ბუზის მისატყუარათი თევზაობს სადღაც მთებში, ფეინვილთან, ოჩოკოსსაც ჰგავს იქაურობა: ფიჭვებს იქით დათოვლილი მწვერვალები მოჩანს, ნაკადულს მაღალი, თეთრი ვერხვები გასდევენ, ირგვლივ ყველაფერს მწკლარტე, მწვანე ნაკუწებად მოსდებია მჟაუნა. ის ტიპი თავის ბუზიან ანკესს კლდის უკან, დამდგარ წყალში ისვრის. ეგეთ ადგილას მისატყუარად ბუზი არ გამოდგება, აქ ბრჭყვიალა სატყუარა უნდა ექვს ნომერ ანკესზე – უკეთესს იზამდა, თავის ბუზიანად ცოტა ქვევით თუ დაუყვებოდა დინებას, ჩქარობისკენ.

ვერხვებს შორის ბილიკი მიიკლაკნება. მთელი ძალით ვუსვამ ცოცხს ბილიკზე, მერე ქვაზე ვჯდები და ჩარჩოდან გამოვცქერი მოწვეულ ექიმს, რაღაცას რომ უმტკიცებს აქაურებს.

ხელისგულზე ერთ წერტილს უჩვენებს პირდაღებულ მსმენელებს, ოღონდ რას ამბობს, არ ვიცი, იმის ხმა არ მესმის, ისე ხმაურობს გაყინული, ქაფიანი, კლდეებიდან გამოვარდნილი ნაკადული. მთებიდან მონაბერ ქარს თოვლის სურნელი მოაქვს. სარეველა ბალახში თხუნელას სოროებს ვხედავ. ჩამოსაჯდომად და მოსასვენებლად უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ.

კაცს ზოგჯერ გავიწყდება კიდეც – თავს ძალა თუ არ დაატანე, არ დაჯექი და საგანგებოდ არ გაიხსენე – რა ცხოვრება გვქონდა ძველ საავადმყოფოში. სად იყო ასეთი ადგილი, კედელზე ამძვრალიყავი და თან შენ გემოზეც დაგესვენა. არც ტელევიზორი იყო, არც საცურაო აუზი, არც წიწილას გაჭმევდნენ კვირაში ორჯერ... მარტო შიშველი კედლები, სკამები და გიჟის პერანგები, თან იმისთანა, საათობით უნდა გეჯახირა გახდაზე. მას მერე ბევრი რამე ისწავლეს. დიდი გზა გავიარეთო – ამბობს ხოლმე ჩვენი პუტკუნა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დამამყარებელი. ძალიან გაგვილამაზეს ცხოვრება ნახატებით, სათამაშოებით და ქრომიანი სანტექნიკით. „აქედან გაქცევა რომ მოუნდება, ის კაცი მთლად დალაგებული ვერ უნდა იყოსო“, – ხშირად იმეორებს პუტკუნა.

ადგილობრივი ექიმების ყველა კითხვაზე პასუხისას მოწვეული ავტორიტეტი იდაყვებს ფერდებზე იჭერს და ისე კანკალებს, თითქოს გათოშილია და იყინებაო. გამხდარი კაცია, გაძვალტყავებული, ტანსაცმელი ტომარასავით კიდია ზედ. აკანკალებული დგას, აწურული: შეიძლება, იმანაც იგრძნო დათოვლილი მწვერვალებიდან მონაბერი ქარის სუსხი.

ამღამობით სულ უფრო და უფრო მიჭირს ხოლმე ჩემი ლოგინის მიგნება; დაოთხილს მიწევს ხოხვა, საწოლის ზამბარების ქვევიდან სინჯვა, სანამ ზედ მიკრულ ჩემს კევს ვიპოვი. ნისლს არავინ უჩივის. უკვე ვიცი, რატომაც: როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს, ნისლში მაინც შეგიძლია შეიყუჟო, დაიმალო და ცოტა ხნით ხიფათს გაერიდო. მაკმერფიმ ეს ვერ გაიგო, ვერა და ვერ შეეგუა, ვერ გვაპატია, ხიფათს რომ ვერიდებით. ჯიუტად ცდილობს, ძალით გაგვათრიოს ნისლიდან, მოტიტვლებულ ადგილზე, სადაც იოლად გვტაცებენ ხელს.

ქვევით გაყინული ორგანოები მოიტანეს – გულები, თირკმლები, ტვინები და ასე შემდეგ. მესმის, როგორ მიახრიგინებენ მაცივრებისკენ, სარდაფში ნახშირის ჩასაზიდი კიბით. ოთახში ვიღაც უჩინარი ამბობს, დასაბმელებში ერთმა თავი მოიკლაო. ბებერმა როულერმა. ორივე ყვერი მოიჭრა და სისხლისგან დაიცალა ტუალეტში, უნიტაზზე დამჯდარი. ათი კაცი მაინც იყო იქვე, მაგრამ სანამ უსულოდ არ დაენარცხა იატაკზე, ვერაფერი გაიგეს.

არ მესმის, როგორ შეიძლება, კაცი ეგეთი მოუთმენელი გახდეს. რა ეჩქარებოდა საცოდავს, ცოტაც მოეცადა.

ძშვენივრად ვიცი, როგორც ამუშავებენ – ნისლის მანქანაზე ვამბობ. ომის დროს ევროპაში აეროდრომების გარშემო დაყენებულ ნისლის მანქანებს სპეციალური ოცეული ემსახურებოდა. დაზვერვა რომ შეგვატყობინებდა, დაბომბვაა მოსალოდნელიო, ანდა როცა გენერლებს გამოუჩდებოდათ ხოლმე რამე საიდუმლო საქმე – თავისიანებისგანაც დამალული – მაშინვე ნისლით ფარავდნენ მთელ მინდორს.

სულ უბრალო ეშმაკობა უნდა: ჩვეულებრივი კომპრესორი ერთი ავზიდან წყალს ისრუტავს, მეორიდან კი სპეციალურ ზეთს; მერე ერთსაც და მეორესაც ერთად კუმშავს და მანქანის უკან დატანებული შავი ხვრელიდანაც ნისლის თეთრი ღრუბელი იფრქვევა – წუთ-ნახევარში მთელი აეროდრომის დაფარვა შეუძლია. პირველი, რაც ევროპაში ფეხის დადგმისთანავე დავინახე, სწორედ ამ მანქანის გამონაბოლქვი ნისლი იყო. ჩვენს სამხედრო ტრანსპორტს მტრის თვითმფრინავები დაედევნნენ, გზის გადაჭრა დაუპირეს და ლამის მაშინვე, ბორბლებით მიწას შევეხეთ თუ არა, ოცეულმა ნისლის მანქანები აამუშავა. მრგვალი, დაკაწრული ილუმინატორებიდან ვხედავდით, როგორ მოაყენეს ჯიპებმა ეს მანქანები თვითმფრინავს, მერე თუხთუხით გამოიფრქვა ნისლი, მთელი მინდორი დაფარა და ფანჯრებსაც სველ ბამბასავით აეკრო.

თვითმფრინავიდან გადმოსულები გზას მსაჯის პატარა

სასტვენის ხმით ვიგნებდით. ლეიტენანტი გაუჩერებლად უსტვენდა და სასტვენის ხმა ბატის ყიყინს გავდა. ტრაპზე ფეხს გადმოდგამდი და აღარაფერი ჩანდა, ოთხივე მხრიდან ნისლის გაუმჭვირვალე კედელი გერტყა ირგვლივ. ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს ამოდენა აეროდრომზე მარტოდმარტო იყავი დარჩენილი. მტრისგან დაცული, მაგრამ ყველასგან მიტოვებული. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის მერე უკვე სიტყვებსაც ველარ არჩევდი, ისინიც ნისლში ითქვიფებოდნენ, შენიანების ხმა აღარ გესმოდა, საერთოდ არავითარი ხმა პატარა სასტვენის წრიპინის თუ ყიყინის გარდა რბილი, ფუმფულა სითეთრიდან, ისეთი სქელი სითეთრიდან, ქამარს ქვემოთ სხეული უბრალოდ უჩინარდებოდა ამ სითეთრეში; ყველაფერი ქრებოდა, მარტო ყავისფერი პერანგი და თითბრის ბალთაღა ჩანდა, სხვა არაფერი – მხოლოდ ერთიანი სითეთრე: თითქოს წელს ქვევით შენც ნისლში იყავი გათქვეფილი.

მერე მოულოდნელად ვიღაც შენსავით ნისლში დაკარგულ, აბორიალებულ ჯარისკაცს გადააწყდებოდი, პირისპირ ეფეთებოდი და ასე მკაფიოდ ცხოვრებაში პირველად დანახული ადამიანის ამოდენა სახე მართლა გზარავდა და გაფორიაქებდა. თუნდაც რამის გასარჩევად თვალები ისე გეძაბებოდა, ვინმე შენიანს როცა ხედავდი, იმისი ყოველი ნაკვთი ჩვეულებრივზე ათჯერ ნათლად ჩანდა, იმდენად მკაფიოდ, ორივე იძულებული ხდებოდით, მაშინვე თვალი აგერიდებინათ ერთმანეთისთვის. აღარც შენ გინდოდა იმისი სახის დანახვა და აღარც იმას შენი, იმიტომ რომ ასეთი მკაფიო სახის ცქერა ტკივილსაც კი გაყენებს, თითქოს შიგნიდან ხედავ ადამიანს. არადა, ბოლომდე თვალის მოწყვეტასაც ვერ ბედავდი, იმ მეორე კაცის საბოლოოდ დაკარგვას. სერიოზული არჩევანის წინაშე იდექი: ან, ტკივილის მიუხედავად, თავისთვის ძალა დაგეტანებინა და მაინც გეცქირა, ან არადა, მოშვებულიყავი და მარტოდმარტო ჩაკარგულიყავი ნისლში.

როცა განყოფილებაში პირველად ჩართეს ნისლის მანქანა – ჩამოწერილი სამხედრო მანქანა იყიდეს და ახალ კორპუსში ჩვენს

გადაყვანამდე მიუერთეს ვენტილაციის სისტემას – სანამ შემეძ-ლო, ყველაფერს დაძაბული, გაფაციცებული ვადევნებდი თვალს, რაც კი ნისლში გამოკრთებოდა ხოლმე; ვცდილობდი, გზა-კვალი არ დამკარგვოდა, როგორც იქ, ევროპაში, აეროდრომებზე. ოღონდ საავადმყოფოში სასტვენს უკვე აღარავინ უსტვენდა და არც თოკებს გვიბამდნენ, ხელი რომ ჩაგვევლო და ისე გვემოძრავა. ერთადერთი, რაც ნისლში დაკარგვას გადაგარჩენდა, მოულოდ-ნელად დანახული საგნისთვის თვალის გაშტერება იყო. თუმცა ზოგჯერ მაინც ვიკარგებოდი – დამალვას თუ დავაპირებდი, მეტის-მეტად ღრმად ვყვინთავდი ნისლში და ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე ამოვყოფდი ხოლმე თავს, ერთსა და იმავე ლითონის კართან, რომელსაც ადამიანის თვალისმაგვარი მოქლონების რიგი ჩასდევდა და არავითარი ნომერი არ ეწერა. ეს კარი და ეს ოთახი თითქოს თვითონ მიზიდავდნენ თავისკენ და სულერთია, როგორც არ ვცდილობდი, შორს დამეჭირა თავი, საწადელს მაინც აღწევ-დნენ; თითქოს იმ ოთახში რაღაც ავი სულების გამომუშავებულ დენის ნაკადს ნისლში სხივად უშვებდნენ და მეც რობოტივით ვემორჩილებოდი და მივყვებოდი ამ სხივს. რამდენიმე დღე დავბორიალებდი ხოლმე ნისლში, თან გული მისკდებოდა, იმ კარის მეტს ვერაფერს დავინახავ-მეთქი. აი, საცაა გაიღება, მოფრი-ალდება და ხმების ჩასახშობად კედლებზე აკრულ ლეიბებს, მო-ელვარე სპილენძის მავთულებს, მოციმციმე ნათურებს და თვა-ლისმომჭრელ, მოტკაცუნე ელექტრონულ ნაპერწკლებში ზომბე-ბივით ჩამწკრივებულ კაცებს დამანახვებს-მეთქი. მეც ჩემი ადგი-ლი უნდა დამეკავებინა იმ მწკრივში, მეც უნდა დავლოდებოდი, როდის მიმიყვანდნენ მაგიდასთან. ჯვრის ფორმის მაგიდას ათასობით მოკლულის ჩრდილი ეფინა ზედ, ხშირი ხმარებისა და ოფლისგან გამწვანებულ ტყავის ღვედებს მაჯების და კოჭების ანაბეჭდები შერჩენოდათ, კისრებისა და თავების სილუეტები კი შუბლზე გადასაჭერი ვერცხლის სალტეებისკენ წაგრძელებუ-ლიყვნენ... საკონტროლო პულტთან მჯდარი ტექნიკოსი ციფერ-ბლატს თვალს მოაშორებდა, რიგს ჩაათვალიერებდა, რეზინის

ხელთათმანიან ხელს მომაშვერდა და იტყოდა – მოიცათ, ამ დიდ ნაბიჭვარს ხო ვიცნობ! ჯობია, გათიშეთ ან მოსახმარებლად დაუძახეთ ვინმეს. ამან შეიძლება დალეწოს აქაურობაო.

მოკლედ, ვცდილობდი ძალიან ღრმადაც არ შემეტოპა, მეშინოდა, არ დავკარგულიყავი და დასაშოკის კართან არ ამომეყო თავი. დაძაბული მივაშტერდებოდი ხოლმე ყველაფერს, რაც კი ნისლში გამოჩნდებოდა და თვალს აღარ ვაშორებდი, ისე ვებღაუჭებოდი, როგორც ქარბუქში მოხვედრილი კაცი ებღაუჭება მესერს. მაგრამ ნისლს სულ უფრო და უფრო ასქელებდნენ და მთელი ჩემი მცდელობის მიუხედავად, თვეში ორჯერ ან სამჯერ მაინც იმ კართან აღმოვჩნდებოდი ხოლმე ჩემდა უნებურად, კარიც იღებოდა და სახეში ნაპერწკლებისა და ოზონის მომწარო სუნს მაფრქვევდა. ყველაფერს ვაკეთებდი, რაც შემეძლო, მაგრამ გზა-კვალი მაინც მებნეოდა.

მერეღა მივხვდი: როცა ნისლი მომეჯარებოდა, თუკი უბრალოდ გაუნძრევლად გავჩერდებოდი და ხმასაც არ ამოვღებდი, შეიძლება ჩემი გზა იმ კართან არც დასრულებულიყო. საქმეს ის ართულებდა, ზოგჯერ კარს მე თვითონვე დავეძებდი ხოლმე – ძალიან მეშინოდა დიდხანს ნისლში უგზო-უკვლოდ ბორიალის და ხანდახან ყვირილსაც კი ვიწყებდი, მშველელს ვეძახდი და ისინიც იოლად მპოულობდნენ. მართალი გითხრათ, შეგნებულად ვყვიროდი, მალე მიპოვონ-მეთქი; მეგონა, უკვალოდ დაკარგვას ყველაფერი ჯობდა, შოკის ოთახიც კი. ახლა უკვე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. დაკარგვა არც ისე არასასიამოვნოა.

მთელი დღევანდელი დილა ველოდებოდი, ერთი როდის დაგვნისლავენ-მეთქი – ბოლო რამდენიმე დღეა, ძალიან მოუხშირეს. მე მგონი, მაკმერფის გამო. ჯერ იმისთვის საკონტროლო რეგულატორები არ ჩაუდგამთ და მოულოდნელად უპირებენ თავდასხმას. ატყობენ, ბევრ თავსატეხს გაგვიჩენსო. რამდენჯერმე უკვე ისე წააქეზა ჩესვიკი, ჰარდინგი და ზოგი სხვაც, თითქმის მართლა მზად იყვნენ, რომელიმე შავ ბიჭს დატაკებოდნენ; თუმცა ყოველთვის, სწორედ იმწუთას, როცა ამბოხებულ პა-

ციენტს თითქოს დანარჩენებიც უნდა აყოლოდნენ, მაშინვე ნისლის მანქანა ირთვებოდა, დღევანდელივით.

გავიგონე, რამდენიმე წუთის წინ გისოსებს იქით როგორ აბუყბუყდა კომპრესორი. სწორედ იმ დროს, როცა თერაპიული შეკრების სამზადისში ბიჭები დღის პალატიდან მაგიდებს ეზიდებიან, ბურუსი უკვე ისე სქლად იგრაგნება იატაკზე, შარვლის ტოტებს მისველებს. ექთნების სამორიგეოს შუშის კარს ვაპრიალებ და მესმის, როგორ იღებს მთავარი ექთანი ტელეფონის ყურმილს და ექიმს ურეკავს – თითქმის მზად ვართ შეკრების დასაწყებად, შუადღისას კი იქნებ ერთი საათი გამონახოთ პერსონალის თათბირის ჩასატარებლადო. „საქმე ის გახლავთ," ეუბნება ექიმს, „რომ, ჩემი აზრით, უკვე კარგა ხანია, პაციენტ რენდლ მაკმერფის საკითხის გარკვევის დრო დადგა; ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყდეს, ამ განყოფილებაშია მისი ადგილი თუ სხვაგან." ცოტა ხანს ექიმის პასუხს უსმენს, მერე აგრძელებს: „დიდი უგუნურება იქნება ჩვენი მხრიდან, კიდევ ამდენის ნება თუ მივეცით; ბოლო დროს უკვე ძალიან ააფორიაქა პაციენტები."

აი, სწორედ ამიტომ ნისლავს განყოფილებას შეკრების დაწყების წინ. ჩვეულებრივ ასე არ იქცევა ხოლმე, მაგრამ ახლა რაღაცას უპირებს მაკმერფის, ალბათ, დასაბმელებში უკრავს თავს. ჩვარს ვდებ და ჩემი სკამისკენ მივდივარ ქრონიკულების რიგის ბოლოში, ძლივსღა ვხედავ, როგორ იკავებენ ბიჭები თავთავიანთ ადგილებს და როგორ შემოდის პალატაში ექიმი სათვალის წმენდა-წმენდით, ეტყობა, დაბინდულ მზერას ნისლს კი არა, დაორთქლილ ლინზებს აბრალებს.

ასე სქლად დაგრაგნილი ნისლი ჯერ არასდროს მინახავს.

საიდანღაც მესმის ხმები, შეკრების დაწყებას ცდილობენ, რაღაც სისულელეს მიედ-მოედებიან ბილის სიბლუეზე – როდიდან დაგეწყო, რანაირადო. ისეთი სქელი ნისლი დგას, თითქოს წყალში მესმის იმათი სიტყვები. მართლა ისე გავს წყალს, სკამიდან მივცურავ და ცოტა ხანს მიჭირს კიდეც, გავარკვიო, სად თავია და სად – ბოლო. ერთი პირობა, ცოტა ხანს, ცურვა მუცელს მატკიებს.

ვერაფერს ვხედავ. ასეთ სქელ ნისლში ჯერ არ მიცურავია.

სიტყვები იკარგება, ხმები სუსტდება და მერე ისევ ძლიერდება, ქრება და კვლავ ისმის, სანამ მე დავცურავ და დავცურავ, თუმცა როცა ძლიერდება, ისე მკაფიოდ მესმის, ვხვდები – ახლა ზუსტად მოლაპარაკეს გვერდითა ვარ-მეთქი. დანახვით კი მაინც ვერაფერს ვხედავ.

ბილის ხმას ვცნობ, ჩვეულებრივზე მეტად უკიდებს ენას, ეტყობა, ძალიან აღგზნებულია. „...კო-კო-კოლეჯიდან გა-გა-გამომრიცხეს, ი-მმმ-იტომ რ-რ-რომ სა-სა-სამხედროზე აღარ დავდიოდი. ვერ ვ-ვ-ვუძლებდი! რო-რო-როცა კი მორიგე ო-ოო-ოფიცერი კლასში ს-ს-სიას ამოიკითხავდა და „ბიბიტო“ – იღრიალებდა, პას-ს-სუხს ვერ ვცემდი. უნდა მეთქვა – „ა-ა-ა...“ სიტყვა ყელში ეჩხირება, ძვალივით. მესმის, როგორ ყლაპავს ნერწყვს და თავიდან იწყებს. „უნდა გეპასუხა: „აქ ვარ, სერ!“, მე კი ვ-ვ-ვერ-აფრით ვახერხებდი.“

ბილის ხმა სუსტდება; მერე მარცხნიდან მთავარი ექთნის ხმა იჭრება ნისლში დანასავით. „ბილი, შეგიძლია გაიხსენო, პირველად როდის გაგიჭირდა მეტყველება? როდის დაგება პირველად ენა, გახსოვს?“

ვერ გამიგია, იცინის ბილი თუ რას შვრება. „ე-ე-ენა პირველად როდის დ-დ-ამება? პირველად? პირველად დ-დ-დედა რომ ვთქვი, მ-მ-მ-აშინ.“

მერე საუბარი მთლად წყდება; ადრე მსგავსი არაფერი მომხდარა. შეიძლება, ბილიც დაიმალა. შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, ბიჭები ერთიანად, საიმედოდ შეიყუჟნენ ნისლში.

ერთ მხარეს მე მივცურავ და მეორე მხარეს – ჩემი სკამი. სკამს კარგად ვხედავ. ნისლიდან იჭყიტება, ჩემგან მარჯვნივ, და რამდენიმე წამს ზედ ჩემ სახესთან ტივტივებს, ხელის გაწვდენაზე. ბოლო დროს მივეჩვიე, ნისლში გამოჩენილ საგნებს ყურადღება აღარ მივაქციო, ჩემთვის ვიყო, წყნარად და აღარ წავეტანო ხოლმე. ახლა კი მეშინია, ძველი შიში მიპყრობს ისევ, რაც ძალა და ღონე მაქვს, ვფართხალებ, ვცდილობ, სკამს ხელი

ჩავავლო, მაგრამ საყრდენს ვერ ვპოულობ და უაზროდ ვაფა-
თურებ ჰაერში ხელებს, სხვა არაფერი გამომდის – შორიდან ვუც-
ქერი, როგორ ახლოვდება, თანდათან როგორ ნათლად იკვეთება
სკამი, უფრო ნათლად, ვიდრე ოდესმე; იმდენზე ახლოვდება, იმ
ადგილას, სადაც დურგალი შემთხვევით ჯერაც შეუმშრალ ლაქს
შეხებია, თითის ანაბეჭდებსაც კი ვარჩევ; მერე, რამდენიმე წა-
მით, სკამი უკვე ბუნდოვნად მოჩანს და ბოლოს ისევ უჩინარდე-
ბა. არასდროს მინახავს, საგნები ასე დაცურავდნენ. არც ამსის-
ქე და ასე მკვრივი ნისლი მინახავს, იმდენად მკვრივია, იატაკ-
ზეც ვერ დაეშვები, რომც გინდოდეს, ფეხზე ვერ დადგები და
ვერ გაივლი. ამიტომაც ვარ ასე შეშინებული; ისეთი გრძნობა
მაქვს, თითქოს ამჯერად უკვე სამუდამოდ და უკანმოუხედავად
უნდა გავცურდე სადღაც.

ჩემგან ოდნავ ქვევით ნისლიდან ვიღაც ქრონიკული გამო-
ცურდა. ბებერი პოლკოვნიკი მეთერსონი ყოფილა. თავის სიფ-
რიფანა, გაყვითლებულ, დახეთქილ ხელისგულზე იდუმალ
წარწერებს კითხულობს. ყურადღებით ვაკვირდები, რადგან
მგონია, ცხოვრებაში უკანასკნელად ვხედავ-მეთქი. უშველე-
ბელი, აუტანლად დიდი სახე აქვს. იმოდენა მოჩანს იმისი თმის
ყოველი ღერი და იმისი სახის ყველა ნაოჭი, თითქოს მიკროს-
კოპში ვუყურებდე. ისე ნათლად ვხედავ, მთელი მისი ცხოვრება
მეშლება თვალწინ. პოლკოვნიკის სახე სამხრეთ-დასავლეთის
სამხედრო ბანაკებში გატარებული სამოცი წლის სარკეა, ზარ-
ბაზნების რკინისსალტეებიანი ბორბლებით დათხრილ-დაღა-
რული და ორდღიანი მარშ-გადასვლების მონაწილე ჯარისკა-
ცების ათასობით ჩექმით დაჩეჩქვილი.

სიფრიფანა ხელისგულს შლის, მაღლა სწევს, თვალებთან
მიაქვს და დაელმებული დასცქერის, მერე მეორე ხელსაც სწევს
და ხელისგულზე დაწერილ სიტყვებს გახევებულ, ნიკოტინისგან
ჩაჟანგებულ, თოფის კონდახისფერ თითს აყოლებს. დაგუდუ-
ლი, დუნე, ყოვლისმომთმენი ხმა აქვს, ვხედავ, კითხვისას რო-
გორ შავად და მძიმედ წყდებიან სიტყვები იმის მყიფე ტუჩებს.

„არა... დროშა... აჰ-მერ-იკაა. ამერიკა არის... ქლიავი. ატამი. საჰ-ზამ-თრო. ამერიკა არის... შაქარყინული. გოგრის თესლი. ამერიკა არის... ტე-ლეჰ-ვიზორი.“

მართალს ამბობს. ეს ყველაფერი ჩაყვითლებულ ხელისგულზე წერია. მეც ზუსტად იმავეს ვკითხულობ ზედ.

„ახლა... ჯვარი... მექსიკა.“ თავს მაღლა სწევს, აბა, მიყურებს თუ არაო? როცა რწმუნდება, თვალს არ ვაშორებ, მიღიმის და აგრძელებს: „მექსიკა არის... კაკალი. ნიგოზი. რკო. მექსიკა არის... ცისარტყელა. ცისარტყელა... ხისაა. მექსიკა... ხი-საა.“

ვხვდები, საით უკაკუნებს. რაც აქაა, უკვე სრული ექვსი წელიწადი, სულ ასეთ რამეებს გაიძახის, მაგრამ აქამდე ყურადღება არასდროს მიმიქცევია; ვფიქრობდი, მოლაპარაკე ქანდაკებაა და სხვა არაფერი-მეთქი, ძვლებისგან და ართრიტებისგან შეკოწიწებული რაღაც ნივთი, რომელიც უაზროდ და უსასრულოდ აფრქვევს ამგვარ ტუტუცურ შედარებებს. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, ვხვდები, რასაც ამბობს. ვცდილობ, ჩემი დაჟინებული მზერით ცოტა ხანსაც შევაკავო, კარგად მინდა დავიმახსოვრო ნათქვამი, ჯიუტად ვაშტერდები და მინდა ბოლომდე გავუგო. წამით სიტყვა უწყდება, ისევ ჩემკენ აპარებს თვალს, დასარწმუნებლად – ესმის თუ არაო, და მეც მთელი ხმით მინდა ვუყვირო: ხო, ვხედავ, მექსიკა მართლა კაკალს გავს, ყავისფერია და მაგარი, თვალითაც შეგიძლია იგრძნო, მართლა კერკეტი კაკალივითაა-მეთქი! ჭკვიანურ რამეს ამბობ, ბებერო, ოღონდ შენებურად. არც ისეთი გიჟი ხარ, ვიღაც-ვიღაცეებს რომ გონიათ. ხო... ვხედავ...

მაგრამ ნისლმა ყელი გამომივსო და კრინტსაც ვერ ვძრავ. მოხუცი ნელ-ნელა იცრიცება, თან ისევ თავის ხელისგულს ჩაკირკიტებს.

„ახლა... მწვანე ცხვარი... ეს კა-ნა-დაა. კანადა არის... ნაძვი. პურის ყანა. კა-ლენ-დარი...“

ნელ-ნელა მშორდება და მეც კიდევ უფრო ვიძაბები, მინდა, თვალი გავაყოლო. ისე ვიძაბები, თვალები მტკივდება და იძულებული ვხდები, დავხუჭო. როცა ისევ ვახელ, პოლკოვნიკი

აღარსად ჩანს. მე ძველებურად ვტივტივებ – სიმარტოვეში კიდევ უფრო მეტად ჩაკარგული, ვიდრე როდისმე.

ჩემი დროც მოსულა-მეთქი, ვეუბნები საკუთარ თავს. მივდივარ და მივდივარ...

მერე ბებერი პიტი ჩნდება საიდანღაც, სახე პროჟექტორს მიუგავს. ჩემგან ორმოცდაათ ნაბიჯზეა, თუმცა ისე გარკვევით ვხედავ, თითქოს ნისლის ხსენებაც არსად იყოს. ანდა, შეიძლება, სულაც აქვეა, გვერდით და მართლა ასეთი პატარაა – არ ვიცი, ველარ გამიგია. ერთხელ მეუბნება, ძალიან დაღლილი ვარო: სწორედ ამ სიტყვებმა დამანახვა თვალნათლივ მთელი იმის ცხოვრება, რკინიგზაზე გატარებული წლები; დამანახვა, როგორ ცდილობდა, საათის ცნობა ესწავლა, როგორ იღვრებოდა ოფლად რკინიგზელის ფორმაზე ღილების სწორად შეკვრისას, როგორ იდგამდა წელებზე ფეხს იმ საქმის გასაკეთებლად, რასაც სხვები სულ იოლად ართმევდნენ თავს – იმდენი თავისუფალი დრო რჩებოდათ, შეეძლოთ, თითქმის მთელი დღე მუყაოგადაკრულ სკამებზე მსხდარიყვნენ და დეტექტივები ეკითხათ, ანდა ტიტველგოგოებიანი ჟურნალები ეთვალიერებინათ. თავიდანვე იცოდა, გამიჭირდებაო, მაგრამ მაინც უნდა ეცადა საცდელი, ყველასგან რომ არ გარიყულიყო და არ დაკარგულიყო. ასე იცხოვრა ორმოცი წელი ადამიანების სამყაროს შუაგულში თუ არა, ამ სამყაროს მიჯნაზე მაინც.

ყველაფერს ვხედავ და დანახული ტკივილს მაყენებს ისევე, როგორც ომის დროს ჯარში ნანახი მაყენებდა ტკივილს. მაშინაც ზუსტად ასეთ ტკივილს ვგრძნობდი, როცა ვნახე, რა დაემართა მამას და მთელ ჩვენს ტომს. მეგონა, მსგავსსაც ველარაფერს ვნახავ და აღარც ვიდარდებ-მეთქი. ან რა აზრი აქვს დარდს?! მაინც ვერაფერს იზამ.

„დავიღალე," ახლაც თავისას ამბობს პიტი.

„ვიცი, პიტ, ვიცი... ოღონდ, მეც რომ შენსავით ვიდარდო მაგაზე, რას გიშველი? თვითონაც ხვდები – ვერაფერს."

პიტიც მოხუცი პოლკოვნიკის გზას მიუყვება და უჩინარდება.

ახლა უკვე ბილი ბიბიტს ვხედავ, ისიც იქიდან ჩნდება, სა-

იდანაც წელან პიტი გამოჩნდა. კვალში ჩამდგრები მოყვებიან ერთმანეთს, უნდათ, უკანასკნელად შემავლონ თვალი. ვიცი, არ შეიძლება ბილი ჩემგან რამდენიმე ფუტზე შორს იყოს, მაგრამ ისეთი პაწაწინაა, თითქოს მთელი მილი გვაშორებს ერთმანეთს. ჩემკენ იხედება, სახე მათხოვარს მიუგავს, რაღაცას ითხოვს, გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე ვინმემ შეიძლება მისცეს. პატარა თოჯინასავით აცმაცუნებს ტუჩებს.

„მაშინაც, როცა ხე-ხელი ვთხოვე, თავი შევირცხვინე. ვეუბნები – ძვირფასო, გა-მომყვები ც-ცო-ცო-ცო... იმას კი სი-სიცილი აუვარდა."

მთავარ ექთანს ვერ ვხედავ, მარტო ხმა მესმის: „დედაშენი მელაპარაკა იმ გოგოზე, ბილი. შენი შესაფერისი ნამდვილად არ ყოფილა. როგორ გგონია, ასე ძალიან რით დაგაფრთხო?"

„მე ის მიჰ-მიჰ-მი-ყვარდა."

ვერც შენ მოგეხმარები ვერაფრით, ბილი. შენც იცი. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მოგეხმარება. უნდა მიხვდე, როგორც კი კაცი სხვის საშველად გამოიდებს თავს, მაშინვე თვითონაც თავფეხიანად შიშვლდება. ეშმაკობაა საჭირო, ბილი; და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოთ შენც და ყველამ. მე რა შემიძლია? მეტყველებას ვერ გამოგისწორებ, მაჯებიდან სამართებლის ნაიარევს ვერ მოგაშორებ და ვერც ჩამქრალი სიგარეტების კვალს გაგიქრობ ხელებიდან! ვერც სხვა დედას გიშოვი. კი, მთავარი ექთანიც ძალიან გამასხარავებს, შენი სისუსტით სარგებლობს და ყოველ წუთას გამცირებს, თუ რამე ღირსება შეგრჩენია, იმასაც გართმევს და არარაობად გაქცევს, მაგრამ მე ხომ ვერც იმისგან დაგიცავ? ანციოში ჩემი ძმაკაცი ხეზე მიაბეს, ჩემგან სულ ორმოცდაათ ნაბიჯზე, ვხედავდი, რა დღეში იყო, ბღაოდა, წყალს ითხოვდა, იმდენ ხანს გააჩერეს მზის გულზე, სახე ერთიანად დაუწყლულდა. უნდოდათ, იმის საშველად გამოვეტყუებინეთ. თვითონ ფერმაში იყვნენ ჩასაფრებულები. ცხვირი რომ გამომეყო, საცერივით დამცხრილავდნენ.

გაწიე სახე, ბილი.

ისევ მოსდევენ ერთმანეთს, დამწკრივებულები.

სახეები თითქოს წარწერებიანი ფირფიტებია, აი ისეთი, პორტლენდში იტალიელ აკორდეონისტებს რომ კიდიათ ხოლმე კისერზე და – ბრმა ვარო – აწერიათ ზედ. ოღონდ, ამ სახე-ფირფიტებზე სხვა სიტყვები წერია – „დავიღალე“, „მეშინია“, „ციროზით ვკვდები“, ან: „მავთულებით ვარ გაკოჭილი და ყველა მე მიტყაპუნებს თავში“. სიტყვების წაკითხვა არ მიჭირს, სულერთია, რა წვრილადაც არ უნდა იყოს ნაწერი. ზოგი სახე სხვას მიჩერებია, ვინც მოინდომებს, თავისუფლად წაიკითხავს მეორის ფირფიტას, თუმცა რა აზრი აქვს? სახეები ფანტელებივით დნებიან ნისლში.

ახლა უფრო შორსა ვარ, ვიდრე როდისმე. ასეთი იქნება ალბათ სიკვდილიც. ვხვდები, რას ნიშნავს ბოსტნეულად ყოფნა: საკუთარი თავი გეკარგება ნისლში. ვერ ინძრევი. შენს სხეულს იქამდე კვებავენ, სანამ საბოლოოდ არ კარგავ ჭამის უნარს; მერე გწვავენ. ეს არც ისე ცუდია. არანაირი ტკივილი არ გაწუხებს. ბევრს ვერაფერს გრძნობ სიგრილის შეხების გარდა და იცი, თავის დროზე ეს შეგრძნებაც გაივლის.

ვხედავ, ჩვენი ოფიცერი განცხადებების დაფაზე ახალ ბრძანებას აკრავს – დღეს რა უნდა ჩავიცვათ. მერე იმასაც ვხედავ, აშშ-ს შინაგან საქმეთა დეპარტამენტი როგორ უტევს ჩვენს მცირერიცხოვან ტომს ქვის სამტვრევი მანქანით.

ვხედავ, ღარტაფიდან ხტუნვა-ხტუნვით მამა მორბის, მერე ნაბიჯს ანელებს, ცდილობს, მიზანში ამოიღოს დიდი, ექვსად გატოტილრქიანი მამალი ირემი, რომელიც კედრებში აპირებს თავის შეფარებას. ტყვიას ტყვიაზე ახლის, მტვრის ბუქს აყენებს ირმის გარშემო. მამას ფეხდაფეხ მოვყვები ღარტაფიდან და მეორე გასროლით უსულოდ ვაგდებ ირემს ზუსტად იმ წუთას, როცა ქვიშრობის კბოდეზე ცდილობს აფორთხებას. მამას ვუღიმი.

შენი აცდენილი ტყვია პირველად ვნახე, მამა.

ძველებურად აღარ მიჭრის, შვილო, თვალი. უწინდებურად

ველარ ვუმიზნებ. ახლაც ისე მიკანკალებდა ლულა, როგორც ატმის კურკების დასაყრელად ჩაცუცქულ ძაღლს უკანკალებს ხოლმე ტრაკი.

მამა, ადრეც გითხარი: იცოდე, სიდის გამოხდილი კაქტუსის არაყი დროზე ადრე მოგიღებს ბოლოს.

ეეე, შვილო, კაცმა თუ სიდის არყის სმა დაიწყო, იმის საქმე უკვე წასულია. წამო, სანამ ბუზები დასევია, ირემი გამოვშიგნოთ.

ეს ამბავი ახლა არ ხდება. ხვდებით ალბათ, არა? წარსულიდან უეცრად ამოტივტივებულ მოგონებას კი ვერაფერს მოუხერხებ.

აბა, ერთი იქით გაიხედე...

შავი სანიტრების ჩურჩული მესმის.

ნახე, ყეყეჩ ცოცხს რა ტკბილად ჩაძინებია.

სწორი ხარ, ბელადო, სწორი. აი, ეგრე. გძინავს და ფეხებზე გკიდია ყველაფერი. აი, ეგრე.

აღარ მცივა. მე მგონი, მივაღწიე დანიშნულ ადგილს. უკვე იქა ვარ, სადაც სიცივეც ვერ მომწვდება. შემიძლია, სამუდამოდ აქ დავრჩე. აღარც მეშინია. ველარ მომწვდებიან. მარტო სიტყვები აღწევს ჩემამდე და ნელ-ნელა ისინიც იკარგებიან.

კეთილი... მაშინ, რაკი ბილიმ საუბარს თავი აარიდა, იქნებ სხვას სურს ვინმეს, ჯგუფის თანდასწრებით რამე პრობლემის განხილვა?

სხვათა შორის, ქალბატონო, ერთი პრობლემა კი მაწუხებს...

ისევ მაკმერფია. სადღაც შორს. ჯერ ისევ ცდილობს, ძალით გამოათრიოს ხალხი ნისლიდან. ნეტა რატომ არ მანებებს თავს?

„...გახსოვთ არა, ორი დღის წინ ტელევიზორის ამბავზე კენჭი რო ვყარეთ? კი გეხსომებათ... დღეს პარასკევია და ვიფიქრე, ერთხელაც ხო არ წამომეჭრა-მეთქი ეს საკითხი, უბრალოდ, მინდა გავიგო, ვინმე სხვასაც ხო არ მიეცა გული.“

„მისტერ მაკმერფი, ამ შეკრების მიზანი თერაპიაა, ჯგუფური თერაპია და მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელო საჩივრები...“

„კარგი, კარგი, გვეყოფა... ეგ ლაპარაკი ადრეც ბევრჯერ მოგვისმენია. მე და რამდენიმე ბიჭმა გადავწყვიტეთ...“

„ერთი წუთით, მისტერ მაკმერფი, ნება მომეცით, ჯგუფს ვკითხო: ხომ არ გეჩვენებათ, რომ მისტერ მაკმერფი გადამეტებული მონდომებით გახვევთ საკუთარ ნება-სურვილს? იქნებ უკეთ გეგრძნოთ თავი, თუ მას სხვა განყოფილებაში გადავიყვანდით?“

მთელი წუთი ხმას არავინ იღებს. მერე ვილაც ამბობს: „უყაროს კენჭი, რატომაც არა? ვითომ ერთი კენჭისყრისთვის დასაბმელებში რატომ უნდა უკრათ თავი? რა დაშავდება, ტელევიზორის ყურების დრო თუ შეიცვლება?“

„კი, მაგრამ, მისტერ სქანლონ, როგორც მახსოვს, თქვენ სამდღიანი შიმშილობით დაგვემუქრეთ, თუკი შვიდის ნახევრის ნაცვლად ექვსზე არ ჩაგირთავდით ტელევიზორს.“

„ხომ უნდა გაიგოს კაცმა, რა ხდება მსოფლიოში?! ღმერთო ჩემო, იმათ შეიძლება დედაქალაქი დაგვიბომბონ და ჩვენ ერთი კვირის მერეღა გავიგოთ!“

„მართლა? აბა, ახლა რატომღა გირჩევნიათ ახალი ამბების გაგებას ოფლიანი ბეისბოლისტების ცქერა?“

„ორივე ერთად არ შეიძლება, ჰა? ეტყობა, არ შეიძლება. კარგი, ჯანდაბას – არა მგონია, ამ კვირაში დაგვბომბონ.“

„აცალეთ, ყაროს კენჭი, მის რეჩედ!“

„კეთილი, ბატონებო. მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ესაა ნათელი მაგალითი, როგორ გაღიზიანებთ იგი ზოგიერთებს. აბა, რას გვთავაზობთ, მისტერ მაკმერფი?“

„ერთხელაც ვყაროთ კენჭი და გავარკვიოთ, ვის უნდა ტელევიზორის ყურება შუადღისას.“

„დარწმუნებული ბრძანდებით, რომ კიდევ ერთი კენჭისყრა საბოლოოდ დაგაკმაყოფილებთ? ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც გვაქვს.“

„დამაკმაყოფილებს. გამიხარდება, ვნახო, ამ ჩიტუნიებიდან რომელს შერჩა ცოტა ვაჟკაცობა და რომელს – არა.“

„აი, ექიმო სპაივი, სწორედ ამგვარი ლაპარაკი მაფიქრე-

ბინებს, მისტერ მაკმერფი სხვაგან ხომ არ გადაგვეყვანა-მეთქი. პაციენტები უფრო მშვიდად იქნებოდნენ...“

„ვაცალოთ, ყაროს კენჭი, რა უშავს?“

„რა თქმა უნდა, მისტერ ჩესვიკ, ჯგუფი კენჭისყრისთვის მზადაა. ხელის აწევა საკმარისია თუ ფარულ კენჭისყრას მოითხოვთ, მისტერ მაკმერფი?“

„მარტო ხელების დანახვა მინდა. თანაც არა მხოლოდ ზევით აწეულის.“

„აბა, ყველამ, ვისაც შუადღისას უნდა ტელევიზორის ყურება, ხელი ასწიოს!“

პირველს მაკმერფის ხელს ვხედავ, სხვაში არ შემეშლება, იმ დღეს საკონტროლო პულტზე გაიჭრა და ახლა შეხვეული აქვს. მერე და მერე, სულ უფრო შორს და შორს, სხვა ხელებსაც, ნისლიდან ამოყოფილებს. თითქოს... თითქოს მაკმერფის ვეება, წითელი ტორი ნისლში დაფათურობს, ეძებს, პოულობს კიდეც და ხელებით მოათრევს ნისლიდან ხალხს, სინათლით დაბრმავებულს და თვალებახამხამებულს. ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს... ყველა მწვავეს რიგრიგობით, სანამ ოცივე არ ჩამწკრივდება. ხმას მარტო ტელევიზორის სასარგებლოდ კი არა, მთავარი ექთნის წინააღმდეგაც აძლევენ – მაკმერფის დასაბმელებში გადაყვანის, ქალის ლაპარაკის, ქცევის, ამდენხნიანი ბატონობის წინააღმდეგ...

სრული სიჩუმეა. ვგრძნობ, როგორი შემცბარია ყველა, პაციენტებიც და პერსონალიც. მთავარი ექთანი ვერ მიმხვდარა, რა ხდება: გუშინ, სანამ მაკმერფი საკონტროლო პულტს დაეძგერებოდა, ოთხი-ხუთი მომხრე ძლივს მოუგროვდებოდა... თუმცა, როცა ლაპარაკს იწყებს, მთავარი ექთანი მაინც ახერხებს, გაოცება არ შეიმჩნიოს.

„მე მხოლოდ ოცი დავთვალე, მისტერ მაკმერფი.“

„ოცი? კი ბატონო, ძალიანაც კარგი. ოცნი არა ვართ აქ?..“ მერე ხვდება, საითაც უმიზნებს ქალი და ხმა უწყდება. „აბა, აბა, ქალბატონო, ეხლა მოიცათ...“

„ვშიშობ, კენჭისყრა თქვენთვის არასახარბიელოდ დამთავრდა.“

„მოიცათ-მეთქი ერთი წუთი!“

„განყოფილებაში ორმოცი პაციენტია, მისტერ მაკმერფი, ორმოცი პაციენტი, თანახმა კი მხოლოდ ოცია. შინაგანაწესის შესაცვლელად უმრავლესობის ნება-სურვილია საჭირო. ვწუხვარ, მაგრამ კენჭისყრა დასრულებულია.“

ხელები მოწყვეტით ცვივა ქვევით. ბიჭები ხვდებიან, დავმარცხდითო და ცდილობენ, ისევ უკან, უხიფათო ნისლში შეიყუჟონ. მაკმერფი ფეხზე დგას.

„მაშინ კარგი... ძაღლიშვილი ვიყო!.. ესე იგი, ამნაირათ შეატრიალე, არა? კუთხეში მიყუჟული იმ ბებრების ხმებიც მიათვალე, არა?“

„კენჭისყრის წესი არ აგიხსნიათ მისთვის, ექიმო?“

„იცით, უმრავლესობა მართლაც საჭიროა, მაკმერფი. მთავარი ექთანი სწორს ბრძანებს, სწორს...“

„უმრავლესობა, მისტერ მაკმერფი; ასე წერია განყოფილების წესდებაში.“

„და, როგორც გავიგე, ამ დაწყევლილი წესდების შეცვლის ერთადერთი გზაც უმრავლესობის სურვილია! აბა რა! ბევრი ტრაკობა მინახია ცხოვრებაში, მარა ამან ყველას მოუჯოკრა, ჩემი კაი!..“

„ვწუხვარ, მისტერ მაკმერფი, მაგრამ შინაგანაწესში ასე წერია, თუ გნებავთ, მე შემიძლია...“

„აქ ესე ატარებთ, არა, დემოკრატიულ მამაძაღლობებს?.. ბოზიშვილი ვიყო!..“

„თქვენ აღელვებული ჩანხართ, მისტერ მაკმერფი. აღელვებული ჩანს, არა, ექიმო? ჩაინიშნეთ, თუ არ შეწუხდებით!“

„ეხლა, მაგ ლაპარაკს მოეშვი, ქალბატონო! კაცი თუ გააგიჟე, იყვირებს, აბა რას იზამს?! კიდე კაი ჭკუაზე ვართ ყველა.“

„ექიმო, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, დღევანდელი შეკრება ალბათ ადრე უნდა დავასრულოთ...“

„მოიცათ! ერთი წუთი მაცალეთ, იმ ბებრებსაც დაველაპარაკო.“

„კენჭისყრა დამთავრებულია, მისტერ მაკმერფი!“

„მაცალეთ, დაველაპარაკო..“

ჩვენკენ მოდის. ნელ-ნელა დიდდება და დიდდება, სახე წითლად უვარვარებს. ნისლში ყვინთავს და ცდილობს, რაქლი ზედაპირზე ამოათრიოს, რაქლი ყველაზე ახალგაზრდაა და იმიტომ.

„აბა, ერთი შენ რას იტყვი, ძმაკაც? არ გინდა ფინალური სერიის ყურება? ბეისბოლის ყურება გინდა? მაშინ, აი, ეს ხელი ესე აწიე..“

„ცცცცოლის დედაც!“

„კაი, ბატონო, ვითომც არაფერი მითქვია. შენა, ჩემნაირო, შენ რა აზრისა ხარ? რა მითხარი, რა მქვიაო – ელისი? რას იტყვი, ელის, შე ძველო, არ გინდა ტელევიზორში ბურთაობის ყურება? მარტო ხელი აწიე...“

ელისს ორივე ხელი კედელზე აქვს მიჭედებული, ცხადია, თანხმობად ვერ ჩაეთვლება.

„მე ვთქვი, კენჭისყრა დამთავრებულია-მეთქი, მისტერ მაკმერფი! სასაცილოდ იხდით თავს.“

მაკმერფი ყურადღებას არ აქცევს. ქრონიკულების რიგს მოუყვება. „მიდით, ჰა, შობეთ! მარტო ერთი თქვენი ხმაა საჭირო, ჩიტებო, ერთი ხელი აწიეთ ვინმემ! დაანახეთ ქალბატონს, ხელის აწევა ჯერ კიდე შეგვიძლიაო!“

„დავიღალე,“ ამბობს პიტი და თავს აქნევს.

„ღამე... არის... წყნარი ოკეანე.“ პოლკოვნიკი ხელისგულზე კითხულობს, კენჭისყრის გამოც კი არ შეიძლება მისი შეწუხება.

„აბა, რომელიმემ ჭექეთ ხმამაღლა, ბიჭებო! აი, სად გვეძლევა შანსი, ვერა ხვდებით? ეხლა უნდა ვივაჟკაცოთ – არადა, ყოფა გვეტირება! არ გესმით, ტვინგაწყალებულებო, რას გეუბნებით? ვერავინ აწევთ ხელს? შენ, გებრიელ? ჯორჯ? ვერა? შენა, ბელადო, შენ რას იტყვი?“

ნისლში ზედ წამომდგომია. რატომ არ დამანებებს თავს?

„ბელადო, შენა ხარ ჩვენი ბოლო იმედი!“

მთავარი ექთანი ქაღალდებს ერთად აქუჩებს. დანარჩენი ექთნები გარს შემოხვევიან, უკვე ფეხზე დგანან. ბოლოს მთავარი ექთანიც დგება.

„მაშ ასე, დღევანდელი შეკრება გადადებულია,“ მესმის მისი ხმა. „პერსონალს ჩვენს ოთახში ველოდები, დაახლოებით ერთ საათში. რაკი სხვა...“

უკვე ძალიან გვიანია, ვეღარ გავაჩერებ. იმ პირველ დღესვე უყო რაღაც მაკმერფიმ, თავისი ხელით მოაჯადოვა და უკვე აღარც მემორჩილება. არადა, ბრიყვიც მიხვდება, მაინც არავითარი აზრი არა აქვს; ჩემი ნებით არც მე ვიზამდი. საკმარისია, მთავარი ექთნის მზერა ვიგრძნო, დავინახო, როგორ შეშრობია ბაგეზე სიტყვა, და მაშინვე მივხვდე – საცაა, მაგარ შარში გავეხვევი-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ ვაჩერებ. ეტყობა, მაკმერფის ძაფი შეუბამს ზედ, ოღონდ სადღაც მალავს; მერე ნელ-ნელა ზევით ექაჩება, მარტო იმიტომ, ნისლიდან გამომათრიოს და სააშკარაოზე გამომიყვანოს, ყველასთვის იოლ სამიზნედ მაქციოს. ეს უნდა ალბათ. ძაფი...

არა. ტყუილს ვამბობ. მე თვითონ ავწიე ხელი!

მაკმერფი სიხარულისგან ჭყივის, ძალით მაგდებს ფეხზე და ბეჭებზე ხელს მიბაგუნებს.

„ოცდაერთი! ბელადიანად ოცდაერთია! და ღმერთს გეფიცებით, ესეც თუ არ ნიშნავს უმრავლესობას, ავდგები და აი, ამ ჩემ ქუდს შევჭამ!“

„ჰე-ჰე-ჰეეე!“ ჭყლოპინებს ჩესვიკი. დანარჩენი მწვავეები ოთახის მეორე ბოლოდან ჩემკენ მოიჩქარიან.

„შეკრება დამთავრებული იყო,“ ამბობს მთავარი ექთანი. ტუჩებზე ჯერაც ღიმილი აფენია, მაგრამ როცა დღის პალატიდან ექთნების სამორიგეოში გადის, კეფა ისეთი აჭარხლებული აქვს და კისრის ძარღვებიც ისე დაბერვია, თითქოს საცაა უნდა აფეთქდეს და გასკდესო.

თუმცა არ ფეთქდება, ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ერთ საათს მაინც. შუშის იქით მჯდარს, ღიმილი მორღვევია, უცნაური სახე ადევს, ჯერ არნახული. გაუნძრევლად ზის. ვხედავ, სუნთქვისას როგორ აუდ-ჩაუდის მხრები.

მაკმერფი კედლის საათს ასცქერის და ამბობს – დაიწყო თამაშიო. ის და კიდევ რამდენიმე მწვავე ჰიგიენურ შადრევანთან დგანან მუხლებზე და პლინტუსს ხეხავენ. მე საკუჭნაოსთან ვგვი იატაკს, დღეს უკვე მეათედ. სქანლონი და ჰარდინგი დერეფანში აღმა-დაღმა დაატარებენ იატაკის საპრიალებელ მანქანას, კოხტა, მბზინავი რვიანები გამოყავთ ახლად წასმულ მასტიკაზე. მაკმერფი ერთხელაც იმეორებს, ჩემი მოკლე ჭკუით, უკვე თამაშის დაწყების დრო უნდა იყოსო და ფეხზე დგება, ჩვარს იქვე აგდებს. დანარჩენები საქმეს აგრძელებენ. ქალი ფანჯრიდან მოსჩერებია მაკმერფის, გვერდით რომ ჩაუვლის, მაკმერფი ისე უღიმის, თითქოს ეჭვიც აღარ ეპარება – მაგარი ჭოჭი მივეციო. მერე თვალსაც უკრავს და ქალს ისევ ოდნავ შესამჩნევად უთრთის თავი.

შეფარულად ყველა მაკმერფის უყურებს, ოღონდ აშკარად თვალის გაყოლებას ვერ ბედავენ. ის კი უკვე სავარძელს მოათრევს, ტელევიზორის წინ დგამს, ტელევიზორს რთავს და ჯდება. ეკრანი ჯერ ჭრელდება, მერე გამოსახულება იწმინდება – ბეისბოლის მოედანზე თუთიყუში სახუმარო კუპლეტებს მღერის. მაკმერფი დგება, რეპროდუქტორების მუსიკის ჩასახშობად ტელევიზორს ხმას უწევს, სავარძლის წინ სკამსაც დგამს, სავარძელში ითხლაშება, ფეხებს სკამზე აჯვარედინებს, სიგარეტს უკიდებს, მუცელს იფხანს და გემრიელად ამთქნარებს.

„ჰუუუ-ჰუ! ეხლა ერთი ქილა ლუდი და ერთი გოგოც მომცა და პირველი კაცი ვარ!“

მთავარი ექთანი გაშტერებული მისჩერებია, ვხედავ, ნელ-ნელა როგორ უწითლდება სახე და ტუჩების უაზრო ცმაცუნსაც იწყებს. წამით ჩვენკენ გამოურბის თვალი და ხედავს, ყველა იმის შემდეგ ნაბიჯს ველოდებით, ძალიან გვაინტერესებს, ახლა

რაღას მოიმოქმედებს. ყველანი: ჩვენც, შავი ბიჭებიც, უმცროსი ექთნებიც და პერსონალის თათბირზე გამოცხადებული ახალგაზრდა ექიმებიც ქურდულად ვუთვალთვალებთ. ისევ მაკმერფიზე გადააქვს მზერა და იცდის, როდის მორჩება თუთიყუში სიმღერას; მერე დგება და სამართავღილაკებიანი ფოლადის კარისკენ მიდის, წკიპურტით თიშავს ტელევიზორს, გამოსახულება ისევ ჭრელდება, მერე ნაცრისფრდება და ეკრანზეც აღარაფერი რჩება სინათლის პაწაწინა თვალის გარდა – ისიც სავარძელში მოკალათებულ მაკმერფის მიჩერებია.

ჯიუტად მიჩერებული თვალი მაკმერფის ოდნავადაც ვერ უფუჭებს გუნებას. სიმართლე ითქვას, არც ეტყობა არაფერზე, საერთოდ თუ შეამჩნია ტელევიზორის გამორთვა. სიგარეტს კბილებში იჩრის და ქუდს ისე იფხატებს, ლამის უნდა დაწვეს, ქუდს ქვევიდან რამე მაინც რომ დაინახოს.

ზის ასე, კეფაზე ხელებშემოჭდობილი, სავარძელში გადათხლაშული – სახე არც უჩანს, მარტო ანთებული სიგარეტი – და ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს უყურებს.

მთავარი ექთანი დიდხანს ვერ უძლებს ამ სანახაობას; ექთნების სამორიგეოს კართან მიდის და გამოსძახის – მაკმერფი, უკეთესი იქნება, სხვებს მიეხმაროთ განყოფილების დალაგებაშიო. მაკმერფი ყურადღებას არ აქცევს.

„მისტერ მაკმერფი, მე გეუბნებით, ამ დროს მუშაობა გევალებათ-მეთქი!“ ქალის ხმა ფიჭვს შეჭიდებული ელექტროხერხის ღმუილს გავს. „მისტერ მაკმერფი, იცოდეთ, უკანასკნელად გაფრთხილებთ!“

ყველამ მიანება საქმეს თავი. მთავარი ექთანი თვალებს აცეცებს, მერე ექთნების სამორიგეოდან მაკმერფისკენ დგამს ნაბიჯს.

„თქვენ აქ კანონის ძალით ხართ მოყვანილი, გესმით? თქვენ... ჩემი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებით... პერსონალის.“ ქალს მუშტები აუწევია, ათივე მოწითალო-მონარინჯისფრო ფრჩხილი იმის ხელისგულებში იწვის. „იურისდიქციის და მეთვალყურეობის...“

ჰარდინგი იატაკის საპრიალებელს აჩუმებს, დერეფანში ტოვებს, პალატაში შედის, სკამს ირჩევს, მაკმერფის გვერდით დგამს, ჯდება და ისიც სიგარეტს უკიდებს.

„მისტერ ჰარდინგ! თქვენ შინაგანაწესით დადგენილი საქმე გაქვთ დასამთავრებელი!“

ისეთი ხმა აქვს, თითქოს ხერხი ლურსმანს გადააწყდაო. ამის გაფიქრება მამხიარულებს, ცოტაც და გამეცინება.

„მისტერ ჰარ-დინგ!“

მერე ჩესვიკიც ითრევს სკამს, მერე ბილი ბიბიტიც, მერე სქანლონი, მერე ფრედრიქსონი და სეფელტი, მერე უკვე ყველა ვყრით ჩვენ-ჩვენს ჩვრებს, ცოცხებს, ჯაგრისებს და ტელე-ვიზორის წინ ვამწკრივებთ სკამებს.

„ახლავე შეწყვიტეთ ეს უმსგავსობა... თქვენ გეუბნებით, ახლავე!“

გამორთული ტელევიზორის წინ ვსხედვართ და ნაცრისფერ ეკრანს არ ვაშორებთ თვალს, თითქოს მართლა დაძაბულ თამაშს ვუყურებდეთ გაფაციცებულები, ის კი, სადღაც ჩვენ ზურგს უკან, თუხთუხებს და კივის.

ვინმეს ცალი თვალით რომ შემოეჭყიტა და დაენახა, რო-გორ მიშტერებოდა ამდენი ხალხი გამოთიშულ ტელევიზორს, ან რა ხმით კიოდა იმათ ზურგს უკან ორმოცდაათი წლის დარ-ბაისელი ქალი რაღაც აბდაუბდას დისციპლინაზე, წესრიგსა და სასჯელზე, ჩვენს სიგიჟეში ნაღდად არ შეეპარებოდა ეჭვი.

ნაწილი მეორე

სადღაც შორს, ზედ ჩემი თვალსაწიერის ზღვარზე, ექთნების სამორიგეოში, იმ თეთრ მინანქრის სახეს ვხედავ. ვხედავ, მაგიდისკენ დახრილი, ათრთოლებული, მორღვეული და დაბრეცილი, როგორ ცდილობს ჩვეული ფორმის მიღებას. დანარჩენი ბიჭებიც ამ სახეს უცქერენ, თუმცა ძალიან არ უნდათ, შეიმჩნიონ. ისე უჭირავთ თავი, ვითომ ჯერაც ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს მიშტერებიან, სხვა არაფერი აინტერესებთ, ოღონდ ვის მოატყუებენ? ჩემი არ იყოს, იმათაც ყველას შუშის ყუთისკენ გაურბის ქურდულად თვალი. შუშის იქით დარჩენილი მთავარი ექთანიც ცხოვრებაში პირველად ცდის საკუთარ ტყავზე, როგორია, როცა ამდენი თვალი მოგჩერებია, შენ კი იმაზე უფრო არაფერი გინდა, ამ თვალებსა და შენს სახეს შორის გაუმჭვირვალე ფარდის ჩამოფარება შეგეძლოს.

ახალგაზრდა ექიმებიც, შავი ბიჭებიც, უმცროსი ექთნებიც – ყველა ქალს უცქერის, ელოდებიან, როდის წამოდგება და როდის გაუყვება დერეფანს იქით, სადაც უკვე კარგა ხნის წინ უნდა დაწყებულიყო მისივე დანიშნული თათბირი; ერთი სული აქვთ ნახონ, ახლა როგორღა მოიქცევა, როცა აშკარა გახდა, იმისი

წონასწორობიდან გამოყვანაც შეძლებია ვიღაცასო. იცის, რომ უცქერენ, მაგრამ არ ინძრევა, მაშინაც კი, როცა სხვები ფეხათრევით, უიმისოდ მიიზლაზნებიან პერსონალის ოთახისკენ. ვამჩნევ, კედლებში ჩატანებული ყველა მოწყობილობაც ჩაჩუმებულა, თითქოს ისინიც ქალის შერხევას ელოდებიან.

ნისლის კვალიც აღარსად ჩანს.

ახლაღა მახსენდება, რომ პერსონალის ოთახი არ გამომიგვია. უკვე რამდენი წელია, მე ვალაგებ იქაურობას. მაგრამ ისეთი შეშინებული ვარ, სკამიდან წამოდგომაც კი მესიკვდილება. გაგანია თათბირების დროსაც ვტრიალებ ხოლმე იქ, არ მიკრძალავენ, დარწმუნებულები არიან, არაფერი ესმისო, თუმცა დღეს, როცა იმ ჩემი ცოდვით სავსე მაკმერფიმ ყველას დასანახად ამაწევინა ხელი, ალბათ მიხვდებიან, ყრუ რომ არა ვარ. მიხვდებიან, მთელი ამ ხნის მანძილზე მეც რომ მესმოდა მარტო იმათი ყურისთვის განკუთვნილი საიდუმლოებები. ხოდა, თუკი მიხვდებიან, კარგ ჩიტსაც დამაჭერინებენ! თანაც ჩემივე ფეხით უნდა ვეახლო.

არ ვეახლები და უარესად დაეჭვდებიან, საბოლოოდ აეხილებათ თვალი: აი, ხომ ხედავთ, რას გეუბნებოდით, ახლაც არ გჯერათ, დასალაგებლად აღარ მოეთრაო! ხომ უკვე ნათელია, როგორც უნდა მოვიქცეთო...

უკვე ბოლომდე ვიაზრებ, რა საფრთხეშიც ჩავიგდეთ თავი, როცა მაკმერფის არ გავუძალიანდით და ნისლში არ დავრჩით შეყუჟულები.

კარებთან შავი ბიჭი მიყუდებია კედელს, გულხელდაკრეფილი დგას, ვარდისფერი ენით გაუჩერებლად იტლეკს ტუჩებს და თვალებით გვჭამს ტელევიზორთან მსხდომებს. ენის არ იყოს, არც თვალებს აჩერებს და ბოლოს მე მაშტერდება ჯიქურად. ვხედავ, სულ ოდნავ როგორ ეწევა ზევით ქუთუთო. დიდხანს მიყურებს, წეღანდელ ჩემს საქციელზე ფიქრობს. მერე, თითქოს საყრდენი გამოეცალაო, ტორტმანით შორდება კედელს, საკუჭნაოსკენ მიდის, იქიდან საპნიანი წყლით სავსე ვედრო და ღრუბელი მოაქვს, ძალით მაწევინებს ხელს, ვედროს სახელურს

მკლავზე მაცმევს – თითქოს ატკრციალებულ კოცონზე ჩაიდანი ჩამოკიდაო.

„აბა, მიდი, ბელადო," მეუბნება, „აბა, ადექი და მიხედე საქმეს!"

არ ვინძრევი. მკლავზე ვედრო ქანაობს. ვცდილობ, არაფერზე შემეტყოს, იმისი ნათქვამი თუ გავიგე. ეს კრუხის პალოც ჩემს მოტყუებას ცდილობს. ერთხელაც მიყვავებს – ადექიო – და როცა მაინც არ ვიცვლი ფეხს, ტანჯული კაცივით ატრიალებს თვალებს, ოხრავს, საყელოში მაფრინდება და ოდნავ მქაჩავს. მაშინღა ვდგები. ღრუბელს ჯიბეში მიჩურთავს და დერეფნის ბოლოსკენ, პერსონალის ოთახისკენ მითითებს. მითითებს და მეც იქით მივდივარ.

სანამ მკლავზე ვედროჩამოკიდებული დერეფანს მივუყვები – ზზზზუუუუო – და მთავარი ექთანიც ჩამიქროლებს გვერდით, ძველებურად მშვიდი და ძლევამოსილი, მერე კარებში უხვევს და უჩინარდება. თავსატეხი და სადარდებელი მაკლდა ვითომ!

უკაცრიელ დერეფანში დარჩენილს, უჩვეულო სინათლე მეხამუშება – ნისლის ხსენებაც აღარსადაა. იქ, სადაც ეს-ესაა მთავარმა ექთანმა ჩაიქროლა, ოდნავ უფრო მეტად ცივა და ჭერში დატანებულ გრძელ, თეთრ, ხვეულ ნათურებშიც შუქი ყინულის კაშკაშა ლოლუებივით ჩაყინულა, თითქოს მაცივრის შეთრთვილული სპირალები თეთრი შუქის საფრქვევად გადაუკეთებიათ საგანგებოდ. სინათლის ლოლუები პერსონალის ოთახის კარისკენ იწვართებიან, იქით, სადაც წუთის წინ მთავარმა ექთანმა შეუხვია – მძიმე, ფოლადის კარისკენ, რომელიც პირველი კორპუსის დასაშოკის კარსაც წააგავს, ოღონდ ამას ნომერი აწერია და კაცის სიმაღლეზე პატარა ჭუჭრუტანაც აქვს დატანებული: პერსონალმა რომ გამოიხედოს და ნახოს, ვინ აკაკუნებს. კარს ვუახლოვდები და ვხედავ, ჭუჭრუტანიდანაც შუქი მოჟონავს – მწვანე, ნაღველივით მწარე. ოთახში საცაა თათბირი დაიწყება, ეს მწვანე გამონაჟონიც ამიტომაა; თათბირი კარგად რომ გახურდება, მერე კედ-

ლებს და ფანჯრებსაც მოედება, მე კი ღრუბლით უნდა ჩამოვწმინდო, ღრუბელი ვედროში ჩავწურო და საქმეს როცა მოვრჩები, ამ ნაწურით კანალიზაციის მილები ჩავრეცხო ტუალეტში.

საზიზღარი საქმეა პერსონალის ოთახის დალაგება-დასუფთავება. ვინ დამიჯერებს, რას არ გადავაწყდები ხოლმე იქ; საშინელ რამეებს – ადამიანის კანის ფორებიდან გამოჟონილ შხამებსაც და ჰაერში გახსნილ ისეთ ძლიერ მჟავებსაც, ცოცხლად დაადნობენ კაცს. საკუთარი თვალით მინახავს.

ისეთ თათბირებსაც შევსწრებივარ, როცა მაგიდის ფეხები დაძაბულობას ველარ უძლებდნენ და იბრიცებოდნენ, სკამები იკვანძებოდნენ, კედლები კი ჭრიალ-ჭრიალით მიიწევდნენ ერთმანეთისკენ, სანამ მოვახერხებდი და ოთახს ოფლს ჩამოვწურავდი. ზოგ თათბირზე იმდენ ხანს ლაპარაკობდნენ ხოლმე რომელიმე პაციენტზე, ბოლოს ისიც, ხორცშესხმული, თითქოს ჰაერიდან მატერიალიზდებოდა ოთახში – ყავის მაგიდაზე საჯაროდ გართხმული, დედიშობილა... იმათ ტვინებში დაბადებული ნებისმიერი სატანური იდეისგან სრულიად დაუცველი; მერე პერსონალი იმ უბედურს ძვალ-რბილს გაუერთიანებდა, აზელდა და კედლებზე გადღაბნიდა.

მეც მარტო ამიტომ ვარ საჭირო თათბირებზე – ყოველი შემთხვევისთვის. ამგვარი არაჰიგიენური ღონისძიებებისგან წინასწარ არასდროს არიან დაზღვეული და ვიღაცამ ხომ უნდა წაშალოს კვალი. პერსონალის ოთახი საერთოდ ძალიან გასაიდუმლოებულია და ის ვიღაცაც იმისთანა კაცი უნდა იყოს, ვინც იქ ნანახზე კრინტის დაძვრას ვერ მოახერხებს. ჩემზე უკეთესს ვის იპოვიან?! ეს საქმე უკვე იმდენი ხანია მევალება – ღრუბლით კარ-ფანჯრის ჩამოწმენდა, მტვრის გამოგვა, იატაკის მოპრიალება, პერსონალი ჩვეულებრივ ველარც მამჩნევს. მე აქეთ-იქით დავბორიალობ, ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ, ისინი კი, გინდაც მიყურებდნენ, მაინც ვერ მამჩნევენ – არა ვარ და მორჩა! ცოტა თუ დავაგვიანე მისვლა, ერთადერთი, რასაც მოისაკლისებენ, ჩემს მკლავზე აქანავებული ვედრო იქნება.

თუმცა ამჯერად, როცა კარზე ვაკაკუნებ და ჭუჭრუტანიდან მთავარი ექთანი იჭყიტება, რატომღაც კარის გაღებასაც უჩვეულოდ დიდ დროს ანდომებს და მერე მეც რაღაც სხვანაირი დაჟინებით შემომცქერის. სახე უკვე უწინდელ ყალიბში ჩამოუსხამს, ისეთივე მკაცრი სახე მიყურებს, როგორიც მუდამ. სხვები ყავის ფინჯნებში შაქარს ურევენ, ერთმანეთს სიგარეტს სთხოვენ... ყველაფერი ისეა, როგორც ყოველი თათბირის დაწყების წინ, მაგრამ ჰაერში მაინც იგრძნობა დაძაბულობა. ერთი პირობა, ამ დაძაბულობის მიზეზი საკუთარი თავიც კი მგონია, მაგრამ მერე ვამჩნევ – მთავარი ექთანი ჯერ საერთოდ არც დამჯდარა მაგიდასთან და ყავის ფინჯნისთვისაც კი არ უხლია ხელი.

კარს იმოდენაზე მიღებს, ძლივძლივობით ვეტევი ღრიჭოში და გვერდით ჩავლილსაც ერთხელ კიდევ მბურღავს მკაცრი მზერით. მერე კარს კეტავს, საგულდაგულოდ რაზავს, ისევ ჩემკენ ტრიალდება და ცოტა ხანს თვალებით მჭამს. ვიცი, ეჭვი ღრღნის. ჯერ მეგონა, წეღანდელი შეურაცხყოფა ისე აუბნევდა თავგზას, ჩემი არსებობა საერთოდ დაავიწყდებოდა, მაგრამ თავგზააბნეულის არაფერი ეტყობა. ბოლომდე დაწმენდია გონება და უკვე იმაზე ფიქრობს, ჩვენმა მისტერ ბრომდენმა ნეტა როგორ გაიგონა, მაკმერფი კენჭისყრისას რას ითხოვდა იმისგანო. სასწრაფოდ უნდა გაარკვიოს, რამ მომაფიქრა, ჩვარი ძირს დამეგდო და მეც ტელევიზორის წინ მოკალათებულ მწვავეებს მივჯდომოდი გვერდით. ისე მართლა, მსგავსი ხომ თავის დღეში არც ერთ ქრონიკულს არაფერი ჩაუდენია! ფიქრობს, ჩვენი მისტერ ბრომდენის მსუბუქად გამოკვლევის დრო ხომ არ დამდგარაო.

მთავარ ექთანს ზურგს ვაქცევ და ჩემი ვედრო-ღრუბლიანად კუთხეში ვუჩინარდები. ღრუბელი თავზემოთ მიჭირავს, მინდა, ყველამ დაინახოს, წამში როგორ გაიჟღინთა მწვანე ლორწოთი და ჩემი გულმოდგინებაც დააფასონ; მერე წელში ვიხრები და კიდევ უფრო ღონივრად ვიწყებ იატაკისა და პლინტუსების ხეხვას, ვიდრე როდისმე მიხეხია. ოღონდ, მთელი ჩემი სიბეჯითის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რა მონდომებით

ვცდილობ, ზურგს უკან დარჩენილი მთავარი ექთნის მზერა არ შევიმჩნიო, მაინც ვიცი, ვგრძნობ – ისევ იქ დგას და ახლა კეფას მიბურღავს, ცოტაც და ტვინსაც მოადგება, თუკი, რა თქმა უნდა, არ დავნებდი, ფარ-ხმალი არ დავყარე და არ ვაღიარე: ხო, დამნაშავე ვარ, ოღონდაც ეგ თვალები მომაშორეთ-მეთქი!

მერე ხვდება, კოლეგები მეც რაღაც უცნაური დაჟინებით მიცქერენო – ყველანი, მთელი დანარჩენი პერსონალი. ის ჩემზე ფიქრით იჭყლეტს ტვინს, სხვები კი თვითონვე ჩაუგდია საგონებელში: ვერ მიმხვდარან, რას უპირებს დერეფნის მეორე ბოლოში, დღის პალატაში დარჩენილ წითურ მეამბოხეს. უხმოდ მისჩერებიან და ელოდებიან, რა განაჩენს გამოუტანს, ამ დროს სადღაც კუთხეში წაკუზული ყეყეჩი ინდიელი კი სულ ცალ ფეხზე კიდიათ. ელოდებიან და ბოლოს ქალიც მარიდებს თვალს, მიდის, თავის ფინჯან ყავას იღებს მაგიდიდან და სკამზე ჯდება – ისე ფრთხილად ურევს ყავაში შაქარს, კოვზი ერთხელაც კი არ ეხება ფინჯნის კედელს.

პირველი ექიმი არღვევს დუმილს: „აბა, ხალხო, რას იტყვით, აღარ მივხედოთ საქმეს?“

მოღიმარი ათვალიერებს ყავის წრუპვით გართულ ახალგაზრდა კოლეგებს. ცდილობს, მთავარი ექთნისკენ არ გაექცეს თვალი. ქალის სიჩუმე ანერვიულებს და მოსვენებას უკარგავს. ჯიბიდან სათვალეს ექაჩება, იკეთებს და საათს დასცქერის, ერთდროულად იწყებს საათის ქოქვას და ლაპარაკს.

„თხუთმეტი წუთია. დაწყება დაგვიგვიანდა. დიახ. ჩვენი თავყრილობის ინიციატორი, როგორც უმრავლესობისთვისაც ცნობილია, მის რეჩედი გახლდათ. თერაპიული ჯგუფის შეკრებამდე დამირეკა და მითხრა, ვშიშობ, მაკმერფიმ განყოფილებაში უსიამოვნებები არ გამოიწვიოსო. მხედველობაში თუ მივიღებთ ყოველივე იმას, რაც ამ რამდენიმე წუთის წინ მოხდა, მართლაც შესაშური ინტუიციაა, არ მეთანხმებით?“

საათის ქოქვას თავს ანებებს, ეტყობა, ხვდება, ერთი გადატრიალებაც და, ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებული, მთელ ოთახში

მიმოიფანტებაო. ზის, საათს დაღიმის, პატარა, ვარდისფერ თითებს ხელის ზურგზე ათამაშებს და იცდის. როგორც წესი, დაახლოებით ამ დროს თათბირებზე უკვე მთავარი ექთანი იღებს ხოლმე სადავეებს, თუმცა ამჯერად კრინტსაც არ ძრავს.

„დღევანდელი ამბის შემდეგ," აგრძელებს ისევ ექიმი, „უკვე ველარავინ იტყვის, ჩვეულებრივ კაცთან გვაქვს საქმეო. ნამდვილად ველარ იტყვის. ეს პაციენტი მართლაც უსიამოვნებების გენერატორია, აშკარად და უდავოდ. ასე და ამრიგად – ხოოო – როგორც მესმის, ჩვენი თათბირის ძირითადი მიზანია, ერთობლივად გადავწყვიტოთ, რა გზით, რანაირად ვიმოქმედოთ მაკმერფისთან დაკავშირებით. ჩემი ღრმა რწმენით, მთავარმა ექთანმა ეს თათბირი სიტუაციის ბოლომდე გასარკვევად და – მის რეჩედ, თუ რამე მეშლება, შემისწორეთ – მაკმერფისთან პერსონალის შემდგომი მუშაობის ტაქტიკის შესამუშავებლად მოიწვია, ასე არ არის?"

იმედით შესცქერის მთავარ ექთანს, კვერს დამიკრავსო, მაგრამ ქალი ჯიუტად დუმს. სახე ჭერისკენ აღუპყრია, ალბათ აბლაბუდას თუ ეძებს, და არაფრით ამჟღავნებს, სიტყვა მაინც თუ გაიგონა ექიმის ნალაპარაკებიდან.

ექიმი კედელთან მიმსხდარი ახალგაზრდა კოლეგებისკენ ტრიალდება; იმათ, ყველას ერთნაირად, ფეხი ფეხზე გადაუდიათ და მუხლებზე ყავის ფინჯნები დაუსკუპებიათ. „ყმაწვილებო," ამბობს ექიმი, „ვიცი, პაციენტისთვის ზუსტი დიაგნოზის დასასმელად საჭირო დრო ჯერ არ გქონიათ, მაგრამ მისი ქცევისთვის თვალის დევნება შეგეძლოთ. რას იტყვით, რას ფიქრობთ?"

ეს შეკითხვა ექიმის ახალგაზრდა კოლეგებს აიძულებს, თავები ასწიონ და კისრებიც მოიღერონ. მართლა ეშმაკური სვლა მოიფიქრა. ბეჭებით გააკრა ყველა ხალიჩას. ახალგაზრდებს მზერა ექიმისგან მთავარ ექთანზე გადააქვთ. უცებ, სულ რამდენიმე წამში, ქალმა რაღაცნაირად მოახერხა და მთელი თავისი ძველი ძლევამოსილება დაიბრუნა. კრინტიც არ დაუძრავს, ისე; დამუნჯე-

ბულმა, ღიმილით ჭერს მიშტერებულმა – ისევ ხელთ იგდო სადა-ვეები და ყველას აგრძნობინა, აქ ჭეშმარიტად ანგარიშგასაწევი ძალა მხოლოდ და მხოლოდ მე გახლავართო. ეს ყვინჩილები თამა-შის წესებს ალღოს თუ ვერ აუღებენ, სწავლა-განათლების დასრუ-ლება უეჭველად პორტლენდის ალკოჰოლიკების ჰოსპიტალში მოუწევთ. იციან და ისინიც ექიმივით იწყებენ ცქმუტვას.

„საკმაოდ არასასურველ ზეგავლენას ახდენს, აშკარად," ფრთხილად იწყებს პირველი.

თან ყავას წრუპავენ და ნათქვამს აანალიზებენ. მერე მე-ორე იღებს სიტყვას: „და გამოუსწორებელი ზიანის მოტანაც შეუძლია."

„მართალია, მართალი," კვერს უკრავს ექიმი სპაივი.

ყვინჩილა ფიქრობს, ეგაა, ათიანში გავარტყიო, და აგრძე-ლებს: „ძალიან სერიოზული ზიანის... ნამდვილად!" ეშხში შედის, მთელი ტანით იხრება წინ: „არ დაგავიწყდეთ, მაგ კაცმა ერ-თადერთი მიზნით ჩაიდინა უამრავი ძალადობა – როგორმე კო-ლონიისთვის დაეღწია თავი და ჩვენი საავადმყოფოს ფუფუნე-ბებით ესარგებლა."

„თანაც, წინდაწინვე შეგნებულად დაგეგმილი ძალადობა!" სიტყვას ურთავს პირველი.

„რა თქმა უნდა," ბუტბუტებს უკვე მესამეც, „თავისთავად უკვე მთელი ამ გეგმის ხასიათი და არსი მიუთითებს, რომ პაცი-ენტი უბრალოდ შორსმჭვრეტელი ბოროტმოქმედია და არამც და არამც – სულით ავადმყოფი."

მთავარი ექთნისკენ აპარებს თვალს, აინტერესებს, როგორ იმოქმედებს მისი ნათქვამი ქალზე. ქალი კი წარბსაც არ იხრის, არაფერს იმჩნევს, არაფერს ამჟღავნებს. სამაგიეროდ სხვები, მთელი დანარჩენი პერსონალი ისე უცქერის ბოლო გამომ-სვლელს, თითქოს იმას რაღაც საშინლად ვულგარული ეთქვას. თვითონაც ხვდება, დაუკრეფავში გადავედიო, ნაძალადევად ხითხითებს და, ვითომ ნათქვამის ხუმრობაში გადასატანად, ამატებს: „ხომ გაგიგიათ, მწყობრს ვინც ფეხს ვერ უწყობს, იმას

სხვა დოლის ბრაგუნი ესმისო...“ მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. პირველი, ვინც ახალგაზრდა ექიმებიდან ხმა ამოიღო, ფინჯანს მაგიდაზე დგამს, ჯიბიდან დიდ, კაცის მუშტისოდენა თავიან ჩიბუხს იღებს და ქორივით აცხრება ამხანაგს.

„გულწრფელად გეტყვი, ელვინ, ძალიან გამიცრუე იმედი. ნებისმიერი, გინდაც ამ პაციენტის ისტორია საერთოდ არც ენახოს თვალით, განყოფილებაში მაკმერფის ქცევას ოდნავი ყურადღებით თუ დააკვირდება, აუცილებლად მიხვდება შენი დასკვნის აბსურდულობას. ეგ კაცი არა მარტო ძალიან, ძალიან ავადაა, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, პოტენციურად აგრესიულების რიცხვსაც განეკუთვნება. ვფიქრობ, მის რეჩედიც ამას ვარაუდობდა, როცა თათბირს იწვევდა. ნუთუ ფსიქოპათის არქეტიპს ვერ ხედავ? უფრო თვალსაჩინო მაგალითი ძნელი წარმოსადგენია. ის ხომ ნაპოლეონია, ჩინგის ხანი, ატილა...“

საუბარში მეორე ახალგაზრდაც ერთვება. ეტყობა, დროულად გაახსენდა მთავარი ექთნის შენიშვნა დასაბმელებთან დაკავშირებით. „რობერტი სწორია, ელვინ. ვერ ნახე, რა დღეში იყო წეღან? რა სახით წამოვარდა სკამიდან, როცა გეგმა ჩაეფუშა? ცოტაც და დაგვერეოდა... ექიმო სპაივი, იქნებ გვითხრათ, რა მონაცემებია ისტორიაში ძალადობის გამოვლინებების თაობაზე?“

„დისციპლინისა და ხელისუფლების აშკარა და სრული უგულებელყოფა!“ გაზეპირებულივით ამბობს ექიმი.

„დიახ, სწორედაც რომ!.. ისტორია ადასტურებს, ელვინ, რომ მას არა ერთხელ და ორჯერ გამოუვლენია მტრული დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ – სკოლაშიც, ჯარშიც, ციხეშიც! და მე ვფიქრობ, მისი რეაქცია სკანდალური კენჭისყრის შემდეგ ნათლად მიგვანიშნებს, რას შეიძლება ველოდოთ მომავალში.“ რობერტი ჩუმდება, ცოტა ხანს კოპებშეკრული იყურება ჩიბუხში, მერე ჩიბუხს ისევ პირში იდებს, ასანთს ანთებს, უკიდებს და ხმამაღლა, ქსუტუნით ისრუტავს ბოლს. ცალი თვალი ქურდულად ბოლის ყვითელი ქულის მიღმა

დარჩენილი მთავარი ექთნისკენ გაურბის; ეტყობა, ქალის დუმილს თანხმობის ნიშნად თვლის, რადგან სიტყვას უწინდელზე უფრო გალაღებული და თავდაჯერებული აგრძელებს:

„ერთი წუთით დაფიქრდი და წარმოიდგინე, ელვინ,“ თამბაქოს ბოლს სიტყვები ბამბასავით დაურბილებია, „წარმოიდგინე, რა შეიძლება დაემართოს ნებისმიერ ჩვენგანს, მაკმერფისთან ერთიერთზე თუ მოგვიწია დარჩენა ინდივიდუალური თერაპიის განყოფილებაში. დავუშვათ, საუბარში რამე განსაკუთრებულად მტკივნეულ თემას მიადექი, იმას კი ყელში ამოუვიდა ჩვენებური – თვითონ როგორ იტყოდა? – ჩვენებური „სტუდენტური სიაბანდი სირიკო ბაზარი!“ შენ უყვავავე, უხსნი, ეუბნები, ჩემდამი მტრულად არ უნდა განეწყოო, ის კიდევ – მორჩი ტრაკანს, ნუ გამიხურეო, – გპასუხობს. ამშვიდებ, რა თქმა უნდა, ეფერები, მაკმერფი კი ბოლომდე იგიჟებს თავს და აი, მაგიდის იქიდან თავზე გემხობა ორასი ჟღალი, ფსიქოპათური, ირლანდიური ფუნტი! ხარ თუ არა შენ – საერთოდ ვართ თუ არა ნებისმიერი ჩვენგანი – მზად, მაკმერფის გავუმკლავდეთ, თუკი საქმე საქმეზე მიდგა და მართლა დადგა ასეთი წუთი?“

უშველებელი ჩიბუხი ტუჩის კუთხეში გადააქვს, ხელებს მუხლებზე იწყობს და მთელი არსებით მოლოდინს გამოხატავს. ყველას მაკმერფის დაკუნთული, წითური მკლავები, დაჩეხილი ხელები და მაისურის საყელოდან ჟანგიანი სოლივით ამოჩრილი კისერი ახსენდება. ამის წარმოდგენაზე ელვინი მიტკალივით ფითრდება და ამხანაგის ჩიბუხის ბოლიც თითქოს ყვითლად ულაქავს სახეს.

„ესე იგი, ყველაზე ბრძნულ გადაწყვეტილებად მაკმერფის დასაბმელებში გადაყვანა მიგაჩნიათ?“ კითხულობს ექიმი.

„ყოველ შემთხვევაში, საფრთხეს ნამდვილად ავიცილებთ.“ პასუხობს ჩიბუხიანი და თვალებს ნაბავს.

„მგონი, საკუთარ მოსაზრებაზე უარი უნდა ვთქვა და სავსებით დავეთანხმო რობერტს,“ საჯაროდ აცხადებს ელვინი, „თუნდაც მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით.“

ყველა იცინის. უკვე შედარებით ლაღად გრძნობენ თავს, დარწმუნებულები არიან – მთავარი ექთნის გული მოვიგეთ, მისთვის სასურველი გამოსავალი ვიპოვეთო. ყველანი ისევ ყავის ფინჯნებისკენ იწვდიან ხელებს, ჩიბუხიანის გარდა; ის დიდ გაწამაწიაშია, ჩიბუხმა დატანჯა, წამდაუწუმ ქრება და ისიც ზედიზედ ანთებს ასანთს, ჩიბუხს აქსუტუნებს, ლოყებს ბერავს და ტუჩებს აცმაცუნებს. ბოლოს და ბოლოს, დანარჩენების გულის გასახარად, მაინც ახერხებს ბოლის გამოშვებას და, ცოტა არ იყოს გაამაყებული, ამბობს: „დიახ, ეჭვი არ მეპარება, დასაბმელების განყოფილება ზედგამოჭრილი იქნება ჩვენი წითური ძველი ბიჭისთვის. ეს რამდენიმე დღეა ვაკვირდები და იცით, რას ვფიქრობ?“

„შიზოფრენიული რეაქცია?“ ეკითხება ელვინი.

ჩიბუხიანი უარის ნიშნად აქნევს თავს.

„ლატენტური ჰომოსექსუალიზმი რეაქციის ფორმირებით?“ ვარაუდობს მესამე.

ჩიბუხიანი ისევ აქნევს თავს და ერთხელ კიდევ ნაბავს თვალებს. „არა,“ ამბობს მძიმე-მძიმედ და ოთახს ღიმილით ათვალიერებს. „უარყოფითი ოიდიპოსისეული.“

ყველა ულოცავს.

„დიახ, მე ვფიქრობ, ამაზე ბევრი რამ მიუთითებს,“ ჩიბუხიანს აშკარად უჭირს კმაყოფილების დამალვა. „თუმცა, საბოლოო დიაგნოზის მიუხედავად, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ჩვეულებრივ კაცთან არა გვაქვს საქმე!“

„თქვენ ძალიან, ძალიან მწარედ ცდებით, მისტერ გიდეონ.“

ეს კი უკვე მთავარი ექთანია.

ყველა თავი მოწყვეტით ტრიალდება მისკენ – სხვათა შორის, ჩემიც, მაგრამ დროულად მოვდივარ აზრზე და ვითომ ზუსტად ჩემ ზევით, კედელზე ეს-ესაა შემჩნეული კიდევ ერთი ლაქის წმენდას ვიწყებ გამალებული. ამჯერად მართლა გვარიანად შეცბუნებულებს გვანან. ეგონათ, სწორედ იმას სთავაზობდნენ, რაც მთავარ ექთანსაც გულით ეამებოდა, რა განაჩენის გამოტანასაც თვითონვე აპირებდა ამ სახელდახელო თათ-

ბირზე. მეც ასე ვფიქრობდი. ბევრჯერ მინახავს, როგორ გაუგზავნია არა ერთი და ორი, ნახევარი მაკმერფისხელა პაციენტი დასაბმელებში მარტო იმიტომ, ვიღაცისთვის რომ შეუფურთხებიათ. ამ აწყვეტილმა ბუღა მაკმერფიმ კი ლამის რქებზე წამოიცვა მთელი დანარჩენი პერსონალიანად, აკი თვითონაც დაპირდა, დღესვე მიგაბრძანებ ჩემი განყოფილებიდანო, და უცებ – მწარედ ცდებითო – გაიძახის.

„ვერა, ვერასდიდებით ვერ დაგეთანხმებით!“ გარშემო ღიმილს აფრქვევს, ყველას სათითაოდ აჯილდოებს ღიმილით. „ვერ დაგეთანხმებით, დასაბმელებში უნდა გაიგზავნოსო. ჩვენი თავსატეხის სხვისთვის გადალოცვა პრობლემის მოგვარების მეტისმეტად იოლი გზა იქნებოდა. ვერც იმაში დაგეთანხმებით, თითქოს ახალი პაციენტი, გარკვეული თვალსაზრისით, არაჩვეულებრივი არსება იყოს – რაღაც „სუპერ“ ფსიქოპათი!“

ცოტა ხნით ჩუმდება, მაგრამ შეკამათებას არავინ ფიქრობს. მხოლოდ ახლაღა წრუპავს ყავას ნაზად; ფინჯანზე მოწითალო-მონარინჯისფრო კვალი რჩება. სულ არ მინდა, მაგრამ ჩემდა უნებურად თვალს ვერ ვაშორებ ფინჯნის კიდეს; არაფრით არ შეიძლება, მართლა ამ ფერის პომადას ხმარობდეს. ფინჯანი ალბათ სიმხურვალემ გაანარინჯისფრა, იმისმა ტუჩებმა წაუკიდეს ალბათ ცეცხლი.

„გამოგიტყდებით, როცა შარიანი ხასიათი შევატყვე, ერთი პირობა მეც ვიფიქრე მისტერ მაკმერფის დასაბმელებში გადაყვანა. მაგრამ ახლა, დარწმუნებული ვარ, უკვე გვიანია. განა კონკრეტული პაციენტისთვის ადგილის შეცვლა გამოასწორებს იმ ზიანს, რაც მოასწრო და უკვე მიაყენა ჩვენს განყოფილებას? დღევანდელი დღის შემდეგ პირადად მე ამის აღარ მჯერა. დასაბმელებში თუ გადავიყვანთ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ იმას გავაკეთებთ, რასაც ჩვენგან პაციენტებიც მოელიან. მაკმერფი მათთვის წამებულად იქცევა. ვეღარაფერი გადაარწმუნებთ, ეს კაცი მართლაც „არაჩვეულებრივი პიროვნება“ ყოფილაო – მგონი, ასე ბრძანეთ, არა, მისტერ გიდეონ?“

ერთხელაც წრუპავს ყავას და ფინჯანს მაგიდაზე დგამს. ფინჯნის დადგმის ხმა ჩაქუჩის დაკვრას ჰგავს. სამივე ახალგაზრდა ექიმი სარგადაყლაპულივით ზის.

„არა, არაჩვეულებრივი ნამდვილად არ არის. ერთი ჩვეულებრივი კაცია, მეტი არაფერი. იმასაც ნებისმიერ სხვასავით ახასიათებს შიშიც, სიმხდალეც, სიმორცხვეც. ვაცადოთ კიდევ რამდენიმე დღე და თვითონვე დაგვიდასტურებს ამას ჩვენც და ყველა დანარჩენ პაციენტსაც. თუკი ჩვენთან დავტოვებთ, ეჭვი არ მეპარება, თანდათან ეს თავხედობაც ჩაცხრება და ეს სამოყვარულო ამბოხიც ნელ-ნელა სასაცილო გახდება. და აი, მაშინ...“ იღიმება, რაღაც ისეთი იცის, რაც სხვებისთვის უცნობია. „...მაშინ ჩვენი თავწითელა გმირი დაილევა, დაჩიავდება, ყველა პაციენტისთვის ნაცნობ სახეს მიიღებს და იმათ პატივისცემასაც დაკარგავს: იმ ყაიდის ბაქიად და უკუდო ამპარტავნად გადაიქცევა, ნებისმიერ სახელდახელო ტრიბუნაზე რომ აფოფხდებიან ხოლმე მისტერ ჩესვიკივით; თავიდან ვაჟკაცურად მოძღვრავენ მიმდევრებს, მაგრამ რამე რეალური საფრთხე თუ დაემუქრათ პირადად – იმწამსვე სოროებში იყუჟებიან. არაერთხელ გვინახავს ასეთი სურათი.“

„პაციენტი მაკმერფი...“ ჩიბუხიანი ქვეცნობიერად საკუთარი პოზიციის დაცვის აუცილებლობას გრძნობს, ცოტა ხანს კიდევ ცდილობს წეღანდელი წარმატების გახანგრძლივებას და ღირსების შენარჩუნებას. „...ლაჩარს, მე მგონი, არ უნდა ჰგავდეს.“

ველოდები, მთავარი ექთანი საცაა იფეთქებს-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად; ძალიან მშვიდადაა, მოვიცადოთ და ვნახოთო, – აწერია სახეზე. „მე არ მითქვამს, გინდა თუ არა ლაჩარია-მეთქი,“ პასუხობს ჩიბუხიანს, „უბრალოდ, მისტერ გიდეონ, ძლიერი სიყვარული იცის. ფსიქოპათის კვალობაზე, გადაჭარბებული სიყვარულით უყვარს ერთი არსება და ეს არსება თავად რენდლ პატრიკ მაკმერფია. ისე ძალიან უყვარს, არავითარ გაუთვალისწინებელ საფრთხეს არ შეუქმნის.“ ისე უღიმის, მისტერ გიდეონს ახლა უკვე საბოლოოდ უქრება ჩიბუხი. „ცოტა ხანს თუ

მოვიცდით და მოთმინება არ გვიღალატებს, ამასობაში ჩვენი გმირიც – როგორ ამბობენ სტუდენტები? – აზრზე მოვა, არა?“

„დიახ, მაგრამ ამას შეიძლება რამდენიმე კვირაც დასჭირდეს.“ არა და არ უნდა დანებება ჩიბუხიანს.

„რამდენიმე კვირა იყოს,“ ამბობს ქალი. მერე ფეხზე დგება, გაცილებით უფრო მეტად კმაყოფილი საკუთარი თავით, ვიდრე როდისმე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაკმერფის გადაეყარა ჭირად. „კვირა, თვე, გნებავთ წელიწადი – თუკი საჭირო გახდა. ნუ დაგავიწყდებათ, მისტერ მაკმერფი იძულებით მკურნალობისთვისაა გამოგზავნილი. ამ საავადმყოფოში მისი ყოფნის ხანგრძლივობა ჩვენზეა დამოკიდებული, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზე. ახლა კი, თუ სხვა საკითხი არაფერი გვაქვს...“

ათბირზე მთავარი ექთნის ასეთმა თვითდაჯერებამ, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა, მაკმერფის კი, თქვენც არ მომიკვდეთ, გულთან ახლოსაც არ მიუტანია არაფერი. ის შაბათ-კვირა და მომდევნო შვიდი დღე ძველებურად უშრობდა სისხლს ქალსაც და იმის შავ ჯეელებსაც, რაც პაციენტებს ძალიან მოწონდათ და უხაროდათ. სანაძლეო უეჭველად და უკამათოდ მოიგო; დანაპირები შეასრულა – მართლა მიაყენა მთავარი ექთანი კედელთან და გვარიანი თანხაც ჩაიჯიბა, თუმცა არც ამას დაჯერებია და ისევ უწინდებურად იქცეოდა: ყიჟინით იკლებდა დერეფანს, შავ ბიჭებს აშაყირებდა, მთელ მედპერსონალს თავგზას უბნევდა და ერთხელ იმდენად შორსაც შეტოპა, ექთნების სამორიგეოსთან მის რეჩედს წამოეწია და კითხა – თუ ძალიან დიდი საიდუმლო არ არის, იქნება მითხრათ, ზუსტად მაინც რა ზომაა ეგ თქვენი ბარაქიანი ბებერი ჯიქნები, ასეთი მონდომებით რომ მალავთ და მაინც ვერაფრით დაგიმალიათო. ქალმა უსიტყვოდ გააგრძელა გზა, ვითომ არც ამჯერად შეიმჩნია, როგორ განიცდიდა, ბუნებას ზომაზე ამდენად დიდი ქალური სამკერდე ნიშნებით რომ დაეჯილდოებინა; ვითომ ეს ამბავი სრულებითაც არ ანაღვლებდა, ამაზე მაღლა იდგა – საკუთარ სქესზეც და საერთოდ ყოველივე წარმავალზე და ხორციელზე მაღლა.

როცა მეორე დღეს განცხადებების დაფაზე მორიგეობის სია გამოაკრა და მაკმერფიმ სიაში ნახა, ტუალეტში გავუმწესე-

ბივარო, სამორიგეოსთან მივიდა, ფანჯარაზე მიაკაკუნა და პირადად გადაუხადა მადლობა ამგვარი პატივისთვის; უთხრა – შარდით დალაქული უნიტაზების ხეხვისას სულ თქვენზე ვიფიქრებო. ეგ არ არის აუცილებელიო, – მიუგო ქალმა, – თქვენი მოვალეობა შეასრულეთ პირნათლად და მაგითაც დიდი მადლობელი დაგირჩებითო.

მაკმერფის მთელი კეთილსინდისიერება კი იმით გამოიხატებოდა, თითო უნიტაზში ერთი-ორჯერ ჰაიჰარად მიუსვ-მოუსვამდა ჯაგრისს – თან შრომის რიტმში რაღაც სიმღერას უბერავდა მთელი ხმით – მერე ქლორს მიასხურებდა და მორჩა, სულ ეგ იყო. ძალიანაც სუფთააო, უმტკიცებდა შავ ბიჭს, რომელიც ფეხდაფეხ დაყვებოდა და გულს უწყალებდა – ჩქარობო; შეიძლება, ზოგს ჭუჭყიანი ეჩვენება, ოღონდ მე, ჩემდა თავად, მოფსმას ვაპირებ შიგ, აქიდან წყლის დალევა არც მიფიქრიაო. შავმა ბიჭმა მთავარ ექთანთან დაიჩივლა, ხვეწნა-მუდარით ჭირი მოსჭამა და ბოლოს ქალიც მობრძანდა მაკმერფის მუყაითობის შესამოწმებლად, თან პატარა ჯიბის სარკეც გამოაყოლა ხელს. იმ სარკეში იჭყიტებოდა და ისე ამოწმებდა სისუფთავეს უნიტაზების სალტეების ქვეშ. ყველა უნიტაზი სათითაოდ შეამოწმა, თან უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და ყოველ უნიტაზთან იმეორებდა – კი მაგრამ, ეს ხომ უმსგავსობაა... უმსგავსობაო. მაკმერფი საწყლად თავჩაღუნული დასდევდა და – არა, ქალბატონო, ეს უნიტაზია, უნიტაზიო – უხსნიდა.

თუმცა ქალს არც ამჯერად დაუკარგავს მოთმინება, ისიც არ შეტყობია, საერთოდ როდისმე რამე თუ გამოიყვანდა მოთმინებიდან. უხეიროდ ჩარეცხილი უნიტაზების გამო ტუქსავდა, არცხვენდა, იმასაც სხვებივით თავისი შემზარავი, ჯიუტი, ყოვლის მომთმენი წნეხით პრესავდა, მაკმერფი კი, ვითომც არაფერი, დასჯილი ბავშვივით ატუზვოდა წინ, თავდახრილი, მორცხვად აწურული და თავს იმართლებდა – დედას ვფიცავარ, ვცდილობ, მართლა გულით ვცდილობ, ქალბატონო, მარა ჩეჩმის ხეხვის ნიჭი არ მომცა გამჩენმა და რა ჯანდაბა ვქნაო...

ერთხელ რაღაც დაწერა ქაღალდის ნაკუწზე – უცნაური ასოები რომელიღაც უცხო, უცნობ ანბანს გავდნენ – და ერთ-ერთი უნიტაზის სალტის ქვეშ კევით მიაწება. როცა ქალი იმ უნიტაზს მიადგა თავის სარკიანად, სარკეში არეკლილი წარწერის წაკითხვაზე ერთი მოკლედ შეჰკივლა და სარკე უნიტაზში ჩაუვარდა. თუმცა წონაწორობა მაინც შეინარჩუნა. თოჯინას სახეზე საიმედოდ ჰქონდა მორგებული თოჯინისავე ღიმილი. მაშინვე წელში გასწორდა, ისეთი თვალებით შეხედა მაკმერფის, კედელზე ბათქაში დასკდებოდა და უთხრა – თქვენი მოვალეობა ტუალეტის დასუფთავებაა და არა უარესად დაბინძურებაო.

ისე, კაცმა რომ თქვას, განყოფილების დალაგება-დასუფთავებით მაინცდამაინც აღარავინ იწუხებდა თავს. შუადღისას, განაწესის მიხედვით სწორედ დალაგების დროს, ბეისბოლის ტრანსლაციაც იწყებოდა, ყველანი ტელევიზორთან ვამწკრივებდით სკამებს და სადილამდე ფეხს აღარ ვიცვლიდით იქიდან. არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით, სამორიგეოდან დენს რომ გვითიშავდნენ და ჩამქრალი, ნაცრისფერი ეკრანის მეტს ვერაფერს ვხედავდით – მაკმერფი გვართობდა საათობით, იჯდა და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად... ათას ტყუილ-მართალს გვიყვებოდა, ვთქვათ, როგორ ეშოვა ერთ თვეში ათასი დოლარი რომელიღაც პატარა საკონსერვო კომპანიის მძღოლად მუშაობისას, მერე როგორ შეჯიბრებოდა კანადელ ტყისმჭრელს ცულის სროლაში და როგორ წაეგო მთელი ეს ფული, უკანასკნელ ცენტამდე; ანდა როგორ დააბეს და დაიყოლიეს იმან და იმისმა ძმაკაცმა ვიღაც არიფი, ოლბანის როდეოზე თვალებახვეული შემჯდარიყო ხარზე: თურმე უთხრეს, როცა ხარი ბზრიალს და ტლინკაობას დაიწყებს, თვალებახვეულს თავბრუ აღარ დაგეხვევაო. მაგრად რომ შემოუჭერიათ ნაჭერი და დარწმუნებულან, მართლა ვერაფერს ხედავსო, ხარზე უკუღმა შეუსვამთ. ეს ამბავი რამდენჯერმე გვიამბო და ყოველ ჯერზე სიცილით კვდებოდა, იმ ბიჭის გახსენებაზე ბჟირდებოდა და ქუდს გიჟივით ბარძაყზე იტყაპუნებდა. „თვალახვეული და უკუღმა... ბოზიშვილი ვიყო,

ბოლომდე თუ არ გაეძლო და პრიზიც არ დაეთრია. მე იმის მერე გამოვდიოდი. ის რო გადმოვარდნილიყო, პირველობაც და ის საკაიფო პრიზიც ასიანი ჩემი იყო. დედას ვფიცავარ, ეგეთი ფოკუსი კიდე თუ ჩავატარე, უეჭველი ხარს ავუხვევ თვალებს...“

თავს უკან გადააგდებდა, დაიწყებდა ფეხზე ხელის ტყაპუნს და მიდიიი – იცინოდა და იცინოდა გულიანად, თან, ვინც გვერდით ეჯდა, ნეკნებში ატაკებდა ხოლმე ცერს, ცდილობდა ისიც გაეცინებინა.

იმ კვირის განმავლობაში, როცა ეს გულიანი სიცილი მესმოდა, როცა ვხედავდი, სავარძელში გადათხლაშული როგორ იფხანდა მუცელს, როგორ იზმორებოდა და ამთქნარებდა, როგორ გვიპაჭუნებდა თვალს ეშმაკურად – ისევე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, როგორც სუნთქავდა, – ზოგჯერ ჩემი საწუხარიც მავიწყდებოდა, აღარც მთავარი ექთანი მახსოვდა და აღარც იმის ზურგს უკან დადარაჯებული კომბინატი. ვფიქრობდი, საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, ბოლომდე საკუთარი თავის ერთგული რომ დარჩეს და, მთავარი ექთნის გულის გასახეთქად, ქედიც არასდროს მოიდრიკოს-მეთქი. ზოგჯერ მართლა არაჩვეულებრივი ვინმე მეგონა. ვფიქრობდი, უბრალოდ, რაც არი – ეს არი, მორჩა და გათავდა-მეთქი. ჩემი აზრით, ძალასაც სწორედ ეს ანიჭებდა. მართლაც, თუკი ამდენი ხნის მანძილზე კომბინატმა ვერსად მოიხელთა და ნირი ვერ შეაცვლევინა, ვითომ მთავარ ექთანს რატომ უნდა ჰქონოდა იმედი, რამდენიმე კვირაში გამოვასწორებ ყველაფერსო? ასე მეგონა და არც თვითონ მაკმერფი აპირებდა, ვინმესთვის საშუალება მიეცა, მისთვის კისერი მოეგრიხა და სხვის ჭკუაზე ევლო.

მერე, საღამოობით, ძილის წინ, შავ ბიჭებს ტუალეტში ვემალებოდი და დიდხანს ვიყურებოდი სარკეში; თავს ვიტეხდი, რანაირად შეიძლებოდა, რანაირად ახერხებდა ვიღაც, ასეთი გმირობა გამოეჩინა და საკუთარი თავისთვის არ ეღალატა, იმად დარჩენილიყო, რაც სინამდვილეში იყო. სარკეში ჩემს მუქ, უხეშ სახეს ვაკვირდებოდი, ღაწვმაღალს და ისეთ ყვრიმალებიანს,

თითქოს ლოყები ყვრიმალებქვეშ პატარა ცულით ამოუპიათო; კუნაპეტ თვალებს, თან მკაცრს და თან უხერხულად მომზირალს, ზუსტად მამაჩემივით, მამაჩემივითაც და ტელევიზორში ნანახი ყველა იმ ყველაფრის ამტანი, უხერხულად მაცქერალი ინდიელივითაც... ვფიქრობდი, არა, ეს მე არა ვარ, ეს ჩემი სახე არ არის-მეთქი. არც ვიყავი. მაშინაც კი, როცა ვცდილობდი ყველანაირად სარკეში დანახულ სახეს დავმსგავსებოდი, სინამდვილეში მე – მე არ ვიყავი. მაშინაც კი. უბრალოდ, ის ვიყავი, რაც ვჩანდი, რის დანახვაც სხვებს უნდოდათ. ეტყობა, მე არც არასდროს ვყოფილვარ მე. ხოდა, მაშინ აბა მაკმერფი როგორღა ახერხებს, რანაირად შეუძლია, სულ მაკმერფი იყოს?

ახლა უკვე სხვანაირსაც ვხედავდი ხოლმე, ისეთს არა, როგორიც პირველ დღეს ვნახე, ახალმოსული. გაცილებით მეტს ვამჩნევდი, ვიდრე უბრალოდ ვეება ტორებს, ჟღალ ბაკებს ანდა ცხვირმონგრეულ, გაბადრულ სიფათს. ვხედავდი, როგორ აკეთებდა ამ სიფათთან და ტორებთან სრულიად შეუფერებელ რამეებს, მაგალითად, ნამდვილი საღებავებით ხატავდა ნახატს შრომითი თერაპიის ოთახში, თანაც სუფთა ფურცელზე, ისეთზე კი არა, რაღაც ხაზებით და ციფრებით რომაა მითითებული, სად რა ხაზი უნდა გაავლო; ანდა წერილებს სწერდა ვიღაცას ულამაზესი, გაკრული ხელით... არ ვიცი, როგორ შეეძლო იმისი გარეგნობის კაცს ხატვა, ვინმესთვის წერილის მიწერა ან ისეთი აღელვება და მოწყენა, როგორი აღელვებული და მოწყენილიც ვნახე ერთხელ, როცა წერილი უკან დაუბრუნდა. ასეთი რამ მარტო ბილი ბიბიტისგან ან ჰარდინგისგან თუ იყო მოსალოდნელი. ჰარდინგს ისეთი ხელები აქვს, თითქოს წარმოუდგენელიცაა, არ ხატავდეს, თუმცა თავის დღეში არაფერი დაუხატავს; ხან იღლიებში მოიმწყვდევს ხოლმე ხელებს და ხან ძალით აკეთებინებს უხეშ ფიზიკურ საქმეს, ვთქვათ – ფიცრებს ახერხინებს ძაღლების ხუხულებისთვის. მაკმერფი სხვა იყო. თვითონვე ირჩევდა ცხოვრების წესს და ყაიდას და საკუთარი გარეგნობაც ფეხებზე ეკიდა ისევე, როგორც მთელი კომბინატი, რომელსაც

არც იმის ჭკუაზე ატარებინებდა თავს და არც საშუალებას აძლევდა, ჭანჭიკივით მოერგო წინასწარ შერჩეული ადგილისთვის.

ბევრ რამეს ვხედავდი სხვანაირად. მივხვდი, რომ პარასკევს, ჯგუფური შეკრებისას, ნისლის მანქანა ზედმეტად გადატვირთეს და გააფუჭეს. ამიტომაც ვეღარ ატრიალებდნენ განყოფილებაში ვერც ნისლს და ვერც გაზს და საგნების ჭეშმარიტ სახესაც ვეღარ ამახინჯებდნენ. წლების მერე პირველად ვხედავდი ადამიანებს ლამის აუცილებლად ქცეული შავი კონტურების გარეშე და ერთ ღამეს ფანჯრიდან გახედვაც კი მოვახერხე.

როგორც ადრეც აგიხსენით, სანამ ლოგინში ჩამაწვენდნენ, თითქმის ყოველ ღამე იმ წითელ აბს მაყლაპებდნენ, ნოკაუტში მაგდებდნენ და მთიშავდნენ. თუკი დოზა აერეოდათ და დროზე ადრე გამეღვიძებოდა ხოლმე, თვალებზე მაინც თითქოს რაღაც ფუფხისმაგვარი მქონდა გადაკრული, საძინებელი ოთახი მუდამ დაბინდული მეჩვენებოდა, კედლებში ჩატანებული, უკიდურესად დაჭიმული მავთულები იძაბებოდნენ, იძაგრებოდნენ, ირგვლივ სიკვდილს და სიძულვილს აფრქვევდნენ და ამის ატანა მართლა შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომაც უკვე საკუთარი ნებით ვდურთავდი ხოლმე თავს ბალიშის ქვეშ და თვითონვე ვცდილობდი დაძინებას. რამდენი ბალიშიდან გამოვყოფდი ცხვირს, სულ დამწვარი თმის სუნი მცემდა და თითქოს გავარვარებულ ტაფაზე ქონის შიშხინიც მესმოდა.

მაგრამ, როცა უეცრად იმ ღამესაც გამომეღვიძა, ყბადაღებული თათბირიდან რამდენიმე დღის მერე, საძინებელი ოთახი სრულიად სუფთა, კრიალა და ჩუმი დამიხვდა: მარტო მძინარეთა მშვიდი სუნთქვა და ჭარბი ნივთიერების სუსტი ხიხინი ისმოდა ორი ბოსტნეულის ნეკნებქვეშ. ფანჯარაზე ფარდა გადაეწიათ და ისეთი სუფთა იყო ჰაერი, ისეთი დამათრობელი, ისეთი გამაბრუებელი სუნი და გემო დაკრავდა, ლოგინიდან წამოხტომა და რამის გაკეთება მომინდა.

გადაჭერილი ზეწრებიდან გამოვძვერი და საწოლებს შორის ცივ ფილებზე დავიწყე სიარული ფეხშიშველმა. ფეხისგულებით

ფილების სიცივეს ვგრძნობდი და ვფიქრობდი – ვინ იცის, რამდენჯერ, რამდენი ათასჯერ მომიწმენდია ეს ქვის იატაკი სველი ტილოთი, მაგრამ არასდროს არაფერი მიგრძვნია-მეთქი. იატაკების მორეცხვა ახლა სიზმარში ნანახივით მახსენდებოდა, ვერაფრით დამეჯერებინა, ამდენი წელიწადი მართლა ამ საქმით თუ ვიყავი დაკავებული. იატაკზე დაგებული ფილები ჩემთვის მხოლოდ იმ ღამეს, მხოლოდ იმწუთას იყო ნამდვილი.

თოვლის თეთრი წაგრძელებული ზვინულებივით ჩარიგებულ მძინარეთა შორის მივიკვლევდი ფრთხილად გზას, ვცდილობდი, ზედ არავის გადავწყდომოდი და ბოლოს ფანჯრებსაც მივადექი. იმ ფანჯარასთან დავდექი, რომელზეც ნიავი ნელა არხევდა ფარდას, და შუბლი რკინის გისოსებს მივაბჯინე. რკინა ცივი და ბასრი იყო, მერე სახე ავუსვი ქვევიდან ზევით, მინდოდა ლოყებითაც მეგრძნო, თან ნიავის სურნელებას ვიყნოსავდი. შემოდგომა მოდის-მეთქი, გავიფიქრე, ჰაერში ზარივით წკრიალებდა სილოსის მომჟავო-მოტკბო სუნი, სადღაც ვიღაცას მუხის ჯერ კიდევ მწვანე ფოთლებისთვის წაეკიდებინა ცეცხლი – კოცონი ალბათ დილამდე იბჟუტებდა.

შემოდგომა მოდის, ვაგრძელებდი ფიქრში, შემოდგომა... თითქოს ეს იყო ყველაზე უცნაური ამბავი, რაც კი ოდესმე მომხდარა ცისქვეშეთში – შემოდგომის დადგომა. ცოტა ხნის წინ გაზაფხული იდგა, მერე ზაფხული, ახლა შემოდგომაც მოდის, მეტი უცნაურობა რაღა გინდა?!

თვალები თურმე ჯერაც დახუჭული მქონდა. მაშინ დავხუჭე, როცა შუბლი რკინის გისოსებს მივაბჯინე, თითქოს გარეთ გახედვის მეშინოდა. ახლა უნდა გამეხილა. ფანჯრიდან გავიხედე და პირველად დავინახე, რა შორს იყო საავადმყოფო ქალაქიდან. საძოვრის გადაღმა მთვარე ძალიან დაბლა ეკიდა ცაზე – გაცრეცილი, დაღარული, სახედაკაწრული... ეს-ესაა გამომძვრალიყო ჰორიზონტზე გაბნეული ტანდაბალი მუხებისა და მადრონიების ტოტებიდან. მთვარის შორიახლოს ვარსკვლავებს ფერი გაკრთომოდათ, მაგრამ რაც უფრო შორდებოდნენ მთვა-

რის საბრძანებელ სინათლის წრეს, მით უფრო ივსებოდნენ შუქით. გამახსენდა, ერთხელ ადრეც როგორ შევამჩნიე რაღაცა მსგავსი, როცა მამა-ბიძებს სანადიროდ წავყევი და ღამე ბებიის მოქსოვილ საბანში გახვეულმა გავატარე კოცონთან. კაცები კოცონის გარშემო ჩაცუცქულიყვნენ და უხმოდ გადააწოდებდნენ ხოლმე ერთმანეთს კაქტუსის არყის კვარტიან ბოთლს. ორეგონის პრერიის დიდ მთვარეს ავცქეროდი და ვხედავდი, როგორ ახუნებდა და ჩაგრავდა თავის სიახლოვეს ყველა ვარსკვლავს. არ მეძინებოდა, თვალდაჭყეტილი ვიწექი – მინდოდა მენახა, გაუფერულდებოდა როდისმე მთვარე თუ არა, ანდა ვარსკვლავები თუ მოახერხებდნენ ცოტათი უფრო მეტად აკაშკაშებას. იქამდე არ მომიშორებია თვალი, სანამ დილის ნამმა ლოყები არ დამიცვარა და იძულებული არ გავხდი, საბანი თავზე წამეხურა.

ფანჯრის ქვეშ, მიწაზე, რაღაცამ გადაირბინა – გრძელი, ობობასმაგვარი ჩრდილი დააფინა ბალახს და გალავანს იქით გაუჩინარდა. ცოტა ხნის მერე უკან დაბრუნდა და მაშინღა დავინახე ახალგაზრდა, კანჭმაღალი ეზოს ძაღლი, შინიდან იმის გასაგებად გამოპარული, რა ამბები ხდებოდა ქვეყანაზე მზის ჩასვლის შემდეგ. ყნოსვით დაეძებდა მინდვრის თაგვების სოროებს, ოღონდ სოროებს კი არ თხრიდა, აინტერესებდა, გაეგო, რას საქმიანობდნენ ამ დროს სოროს ბინადრები – ჩაყოფდა სოროში დრუნჩს, უკანალს გაბზეკდა, ცოტა ხანს კუდს ააქიცინებდა და ახლა სხვა სოროსკენ გარბოდა. ძაღლის გარშემო, სველ ბალახზე, მთვარე ბრწყინავდა და როცა ძაღლი აქეთ-იქით დარბოდა გაფაციცებული, ისეთ კვალს ტოვებდა, თითქოს ცისფრად მოციმციმე მდელოზე მუქი საღებავი მსუბუქად მიაშხეფესო. ისე გაერთო და გახალისდა ერთი უაღრესად საინტერესო სოროდან მეორისკენ კუნტრუშ-კუნტრუშში – ცაზე მთვარე ანათებს, ღამეა, ნიავი ახალგაზრდა ძაღლის დამათრობელი ამდენი ველური სურნელითაა გატენილი – იძულებული გახდა, ზურგზე გაწოლილიყო და გორაობა დაეწყო სიამოვნებისაგან. იგრიხებოდა და თევზივით ფართხალებდა, ზურგმორკალული,

მუცელაშვერილი, მერე კი, როცა ისევ ფეხზე დადგა და ტანი შეიფერთხა, მთვარის შუქზე ვერცხლის ქერცლივით დასცვივდა ნამის შხეფები.

ერთხელ კიდევ ჩქარ-ჩქარა დაყნოსა ყველა სორო, ზედ-ზედ, რიგრიგობით, რათა ბოლომდე, კარგად შეეწოვა ყველა სუნი და სურნელი, მერე კი უცებ ადგილზე გახევდა თათაწეული, თავდახრილი და რაღაცას მიყურადებული. მეც ყურები ვცქვიტე, მაგრამ ფარდის შრიალის მეტი ვერაფერი გავიგონე. დიდხანს ვუსმენდი. მერე შორიდან ხალისიანი ყიყინი მომესმა, ხმა ჯერ სუსტად მოდიოდა, თუმცა თანდათან ახლოვდებოდა. გარეული ბატები მიფრინავდნენ, კანადიდან სამხრეთისკენ, გამოსაზამთრებლად. გამახსენდა, რამდენჯერ ჩავსაფრებივარ, რამდენი მიხოხია მუცელზე გარეული ბატის მოკვლის ჟინით შეპყრობილს, მაგრამ ჩემი ცდა ყოველთვის უშედეგოდ თავდებოდა ხოლმე.

მეც ძაღლის მზერას გავაყოლე თვალი და ბატების გუნდის დანახვა ვცადე; ძალიან ბნელოდა და ვერაფერი გავარჩიე. არადა, ყიყინი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, ბოლოს ისეთი გრძნობაც კი დამეუფლა, თითქოს ბატებმა საძინებელ ოთახში, ზედ ჩემ თავზე გადაიფრინეს. მერე მთვარის განათებული დისკო გადასერეს – მთვარეზე მუქი, რომაული ხუთიანის ფორმის, წინამძღოლის მიერ წვერწამახული, მთრთოლვარე ყელსაბამი აირეკლა. წამით სწორედ წინამძღოლი მოექცა დისკოს ზუსტად შუაგულში, სხვებზე უფრო დიდი, მოძრავი შავი ჯვარი, რომელიც რიტმულად იშლებოდა და იკეცებოდა... სინათლის წრიდან ნელ-ნელა გაათრია, ნელ-ნელა თან გაიყოლა მთელი ყელსაბამი და თვალს მიეფარა.

იქამდე ვუგდებდი ყურს, ვიდრე ხმა საბოლოოდ არ მიწყდა და უკვე მხოლოდ ხმის ხსოვნალა ჩამრჩა სმენაში. ძაღლს ჩემს მერეც კარგა ხანს ესმოდა. ისევ თათაწეული იდგა; არც შერხეულა და არც დაუყეფია, როცა თავზე გადაუფრინეს. იმისთვისაც რომ საბოლოოდ მიჩუმდა ბატების ხმა, ადგილს მოწყდა და

ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა იქით, საითაც გუნდი გაუჩინარდა, გამოზომილად, საქმიანად მიხტოდა გზატკეცილისკენ, თითქოს იქ პაემანი აქვს დანიშნულიო. სუნთქვა შევიკარი და ბალახზე ძაღლის დიდი თათების ტყაპუნი გავიგონე, ისიც გავიგონე, როგორ უმატა სიჩქარეს მოსახვევიდან გამოვარდნილმა მანქანამ. სინათლეებმა ოდნავ გაიელვეს შემაღლებულზე და მერე წინ გაწოლილ გზატკეცილს ჩააჩერდნენ. ვუცქეროდი, გზაზე ერთი და იმავე წერტილისკენ როგორ მიიწევდნენ ძაღლიც და მანქანაც.

ძაღლი თითქმის უკვე ფიცრის ღობესთან იყო მისული, ჩვენი ეზოს ბოლოში, როცა ვიგრძენი, როგორ მომეპარა ვიღაც უკნიდან. ვიღაცეები. ორნი. არ შევტრიალებულვარ, მაგრამ ვიცოდი, ერთი – შავი ბიჭი იყო, გივერი, მეორე კი – ხალიანი ექთანი. გავიგონე კიდეც, როგორ ამიზუზუნდა თავში შიში. შავმა გივერმა მკლავში ხელი ჩამავლო და შემომაბრუნა. მე მოვუვლიო, – უთხრა ექთანს.

„გრილა აქ, ფანჯარასთან, მისტერ ბრომდენ," მეუბნება ექთანი. „არ ჯობია, ისევ სუფთა, თბილ ლოგინში ჩაწვეთ?!"

„ვერ გაიგებს," ამბობს გივერი. „მაცალე, მე წავიყვან. სულ ესე იხსნის ხოლმე ზეწრებს და დაბორიალებს."

ფანჯარას ვშორდები, ექთანი ერთი ნაბიჯით იხევს უკან და გივერს სთხოვს – ხო, თუ არ შეწუხდები, შენ წაიყვანეო. თან ძეწკვს იწვალებს კისერზე. შინ, ყველასგან მალულად, აბაზანაში იკეტება ხოლმე, ტანზე იხდის და ჯვრით იხეხავს იმ ხალს, რომელიც ტუჩის კუთხიდან იწყება და მერე წვრილ ზოლად ჩასდევს მხარზე და მკერდზე. იხეხავს, იხეხავს და გონების დაკარგვამდე ევედრება შველას ღვთისმშობელს; მაგრამ ხალი მაინც ჯიუტად თავის ადგილზე რჩება. სარკეში იხედება და ხედავს, ხალი უწინდელზე კიდევ უფრო მეტად გამუქებულა. ბოლოს ჯაგრისს იღებს, ნავებიდან საღებავს რომ ფხეკენ, ისეთს, მავთულის კბილებიანს, და ახლა იმით აგრძელებს ხეხვას, მერე დაგლეჯილ, დასისხლიანებულ ტანზე ღამის პერანგს იცვამს და საწოლში იკუნტება.

თუმცა, ეტყობა, ამ ნივთიერების მარაგი ამოუწურავია მის ორგანიზმში. სანამ სძინავს, ყელში ამოსდის, პირიდან, ტუჩის კუთხეებიდან მოჟონავს ალისფერი დორბლივით, კისერს მოუყვება და მთელ ტანს ედება. დილით ერთხელ კიდევ რწმუნდება დამღის მარადიულობაში და რატომღაც ასკვნის, სინამდვილეში ამ დამღის არსებობას რამე შინაგანი მიზეზი კი არა აქვს – მართლაც, როგორ შეიძლება შინაგანი მიზეზი ჰქონდეს? განა რა შეიძლებოდა დაეშავებინა ასეთ ღვთისმოსავ კათოლიკე გოგოს? – ყველაფერი ღამღამობით აქ, აი ამისთანებთან (პირველ რიგში, მე მგულისხმობს) ყოფნის ბრალიაო. ჩვენ გვაბრალებს საკუთარ უბედურებას და მზადაა, რადაც უნდა დაუჯდეს, სამაგიეროც გადაგვიხადოს. ნეტავი ახლა მაკმერფის გაეღვიძებოდეს და რამეს მიშველიდეს.

„საწოლზე დააბი, მისტერ გივერ, მე კი წამალს გავამზადებ.“

ადრე ჯგუფურ შეკრებებზე ბევრი ისეთი, იმდენი ხნის ჩაკ-ლულ-ჩამარხული სატკივარი ამოტივტივდებოდა ხოლმე, ტკივილის თავდაპირველ გამომწვევ მიზეზს წესიერად ვეღარც იხსენებდა ვერავინ, სახელსაც ვეღარ არქმევდა. ბოლო დროს კი, როცა ქომაგად მაკმერფი მოგვევლინა, ბიჭებმა აშკარად და დაუფარავად დაიწყეს წლების მანძილზე დაგროვილი ბოღმის გადმონთხევა.

„ვითომ რატომ უნდა ჩაიკეტოს საძინებელი ოთახები შაბათ-კვირას?“ იკითხავდა, ვთქვათ, ჩესვიკი ან ვინმე სხვა. „არ შე-იძლება, კაცმა შაბათ-კვირა მაინც გაატაროს თავის გემოზე?“

„მართლაც, მის რეჩედ,“ მაშინვე მხარს აუბამდა ხოლმე მაკ-მერფი. „რატომ არ შეიძლება, ჰა?“

„წარსულის მწარე გამოცდილებამ გვიჩვენა, საძინებლებს ღიას თუ დავტოვებთ, თქვენ საუზმის შემდეგაც ლოგინებში იკოტრიალებთ.“

„მერე, ვითომ ეგ მომაკვდინებელი ცოდვაა? მე მგონი, უქმე დღეს გამოძინება ნორმალური ამბავია.“

„თქვენ ამ საავადმყოფოში იმიტომ იმყოფებით,“ ისეთი სა-ხით იტყოდა ხოლმე მთავარი ექთანი, თითქოს ათასმეერთედ იმე-ორებდა ერთსა და იმავეს, „უკვე არაერთხელ რომ გამოავლინეთ და დაამტკიცეთ საზოგადოებასთან შეგუების უუნარობა. ექიმი სპაივიც და მეც დარწმუნებულები ვართ, ერთად გატარებული

ყოველი წუთი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მკურნალობის საერთო კურსზე კეთილისმყოფელად მოქმედებს, მაშინ როცა სხვებისგან გამიჯვნა, განმარტოება და საკუთარ საფიქრალში ჩაკეტვა მხოლოდ აძლიერებს თქვენს გაუცხოებას.“

„ესე იგი, ამიტომ მოუყრიან ხოლმე ერთად თავს ყველაზე ცოტა რვა კაცს მაინც, ოთ-ში, ფთ-ში ან რამე სხვა თ-ში წასაყვანად?“

„სწორედ ასეა!“

„აბა, თქვენ ამტკიცებთ, მარტო დარჩენის სურვილი – ავადმყოფობაა?“

„არა, მე ეგ არ მითქვამს...“

„თქვენი აზრით, ძაან თუ გამიჭირდა, ფეხსადგილში ისე ვერ წავალ, შვიდი კაცი მაინც თუ არ გავიყოლე თან – უნიტაზზე ფიქრებში არ გაერთოსო?“

სანამ ქალი ამდაგვარ კითხვასაც მოუძებნიდა ხოლმე დამაჯერებელ პასუხს, ჩესვიკი წამოხტებოდა და ყვიროდა – არა, თქვენ მართლა ასე ფიქრობთო? მერე ჩესვიკს დანარჩენებიც აყვებოდნენ და იწყებოდა ხალისი...

ქალი მოთმინებით ელოდებოდა მწვავეების დაწყნარებას და ოთახში ისევ სიჩუმე რომ დაისადგურებდა, მშვიდად აგრძელებდა აღმზრდელობით მუშაობას: „თუ შეგიძლიათ, დამშვიდდეთ, ეზოში მოთამაშე ბავშვებივით არ იყაყანოთ და დინჯად ისაუბროთ, როგორც ზრდასრულ ადამიანებს შეეფერებათ, აგერ, ექიმიც აქაა და ვკითხოთ, იქნებ სასარგებლოდაც მიაჩნია განყოფილების შინაგანაწესის შეცვლა, რას იტყვით, ექიმო?“

ექიმი რასაც იტყოდა, ყველამ კარგად იცოდა და ამიტომ, სანამ ის კრინტის დაძვრას მოახერხებდა, ჩესვიკი უკვე სხვა სატკივარზე ჩივილს იწყებდა. ერთ დღესაც სიგარეტების თემა გახდა უაღრესად საჭირბოროტო, ჩვენს კუთვნილ სიგარეტს რატომ გვამადლითო – შეუტიეს მთავარ ექთანს. ჯერ ჩესვიკი აბუზღუნდა როგორც ყოველთვის, მერე დანარჩენებმაც აუბეს მხარი.

სანამ ქალი პასუხის გაცემას მოახერხებდა, მაკმერფი ექი-

მისკენ შეტრიალდა და პირდაპირ ექიმთან მოინდომა საქმის გარჩევა. „ხო, მართლა, დოკ! ჩვენს სიგარეტზე გვითხარით ორი სიტყვა. რა უფლება აქ ვინმეს – ვინც გინდა იყოს – ჩვენი ალალი სიგარეტი მაგიდაზე დაიხვაოს, ვითომ თავის ფულით ქონდეს ნაყიდი, და თითო კოლოფი მოგვიგდოს სამადლოდ? ხანდახან, როცა ხოში ექნება... რაღაც ვერ გავიგე, მე სიგარეტში ფული ვიხადო და მერე ვიღაცამ მითხრას, როდის მოვწიო და როდის არა?“

ექიმი აცქმუტდა, აფორიაქდა, შეეცადა, მთავარი ექთნის სახე სათვალის ფოკუსში მოექცია. პირველად გაიგო, სიგარეტის მთელ მარაგს მის რეჩედი რომ დაეპატრონა – სიგარეტზე თამაშისთვის უნდოდა წერტილი დაესვა. „რა სიგარეტზეა ლაპარაკი, მის რეჩედ? მე რომ არაფერი ვიცი...“

„ექიმო, მე ვფიქრობ, პაციენტისთვის დღეში სამი, ოთხი და ზოგჯერ ხუთი კოლოფი სიგარეტი აშკარად მეტისმეტია. გასულ კვირაში კი – მაკმერფის მოსვლის შემდეგ – სწორედ ასე იყო საქმე. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე, ბუფეტში შეძენილი სიგარეტი პაციენტებისთვის ჩამომერთმია, მე თვითონ შემენახა და დღეში მხოლოდ თითო კოლოფის მოწევის ნება მიმეცა.“

მაკმერფი ჩესვიკისკენ გადაიხარა და ხმამაღლა უჩურჩულა – „ეხლა შემდეგი გადაწყვეტილება ნახე, ჩეჩმაში სიარულზე! იტყვის, შვიდი ძმაკაცი ხო უნდა გაიყოლო თან, ეგ არაფერი, დღეში მარტო ორჯერ უნდა შეხვიდეთ და ისიც მაშინ, როცა მე გეტყვითო!“

მერე ისევ სკამის ზურგზე გადაწვა და ისე გულიანად გაიცინა, თითქმის მთელ წუთს კრინტი ველარ დაძრა ვერავინ.

თავისივე ატეხილი აურზაური მაკმერფის განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა და მე მგონი, თან ცოტა უკვირდა კიდეც, პერსონალი მაინცდამაინც რომ არ ავიწროებდა; განსაკუთრებით ის აოცებდა, დავიჯერო, რასაც მეუბნება, იმის მეტი არაფერი აქვს მთავარ ექთანს ჩემთვის სათქმელიო? „ბებერი სვავი უფრო მაგარი მეგონა,“ უთხრა ერთ-ერთი შეკრების მერე ჰარდინგს, „შეიძლება, მართლა მარტო ერთი კაი შეფუცხუნება ჭირ-

დებოდა ჭკუაზე მოსაყვანად და სხვა არაფერი. ოღონდ...“ წამით ჩაფიქრდა, შუბლი შეიჭმუხნა, „...მაინც ისე იქცევა, ვითომ ყველა კოზირი თეთრი ხალათის სახელოში ქონდეს დამალული.“

ასე ბაირამობდა მომდევნო კვირის ოთხშაბათამდე, როცა საბოლოოდ გაიგო, სინამდვილეში რა კოზირებსაც მალავდა მთავარი ექთანი და საერთოდ, რის იმედიც ჰქონდა. ოთხშაბათობით ყველას, ვისაც რამე სიდამპლე არ სჭირდა, ერთად მოგვაქუჩებდნენ ხოლმე და საცურაო აუზისკენ გვერეკებოდნენ – სულერთია, გვინდოდა ჭყუმპალაობა თუ არა. როცა განყოფილებაში ნისლი იდგა, როგორც წესი, ნისლში ვიმალებოდი ამ ღონისძიებიდან თავის გადასარჩენად. აუზი ყოველთვის მაშინებდა; სულ იმაზე მისკდებოდა გული, ერთხელაც იქნება, წყალი მთლიანად დამფარავს, დავიხრჩობი, მერე წყალსადენის მილი შემისრუტავს და პირდაპირ გაშლილ ზღვაში ამომაფურთხებს-მეთქი. აი ბავშვობაში, ქალამბიაზე, წყალში მართლა გულადი ვიყავი; დიდი კაცებივით გავდი-გამოვდიოდი ჩანჩქერზე გადებულ ბეწვის ხიდებზე, თამამად დავძვრებოდი მწვანედ და თეთრად მოგუგუნე ნიაღვრის ნაპირზე, ცისარტყელას ფერებად აჭრელებულ ნისლში და თან, კაცებისგან განსხვავებით, დაჭედილი ჩექმებიც არ მეცვა ხოლმე. მაგრამ მერე, როცა ვნახე, როგორ შეაშინა რაღაც-რაღაცეებმა მამა, მეც გამიჩნდა შიში, პატარა გუბურის დანახვაზეც კი მაკანკალებდა.

გასახდელიდან გამოვედით. ტიტველი კაცებით სავსე აუზი ტორტმანებდა, შხეფებს ისროდა; მაღალ ჭერს ყიჟინა და ყვირილი ეხლებოდა, როგორც მუდამ და ყველგან დახურულ აუზებში. შავმა ბიჭებმა წყალში შეგვდენეს. წყალი სასიამოვნოდ თბილი კი იყო, მაგრამ მაინც არ მინდოდა, აუზის კიდეს მოვშორებოდი (შავი ბიჭები აუზს ირგვლივ უვლიან და თუკი შეეცადე, კიდეს ჩააფრინდე, ბამბუკის გრძელი ჭოკებით ძალით გაშვებინებენ ხელს), მაკმერფის შორიახლოს ვტრიალებდი – ვიცოდი, თვითონ თუ არ ენდომებოდა, ძალით ღრმა წყალში ვერ შეაგდებდნენ.

მაკმერფი აუზის მეთვალყურეს ესაუბრებოდა და მეც რამ-

დენიმე ფუტის მოშორებით ვიდექი ფსკერზე. მაკმერფი, ეტყობა, უფრო ღრმა ადგილას ტივტივებდა, ვხედავდი, როგორ გამოზომილად იქნევდა წყალში ფეხებს. მეთვალყურე აუზის ნაპირზე იდგა; გულზე სასტვენი ეკიდა და მოკლემკლავებიანი, განყოფილებისნომრიანი მაისური ეცვა. ციხეს და საავადმყოფოს შორის არსებულ განსხვავებაზე ლაპარაკობდნენ. მაკმერფი ამბობდა – საავადმყოფო ბევრად უკეთესიაო. მეთვალყურე მთლად დარწმუნებული არ ჩანდა ამ ამბავში. გავიგონე, როგორ უთხრა მაკმერფის, სხვა თუ არაფერი, ერთი საქმეა, როცა პატიმრობას მოგისჯიან და სულ სხვა, როცა სამკურნალოდ იძულებით მოგათავსებენო. „ციხეს მოგისჯიან და იცი მაინც, რამდენი უნდა იჯდე გათავისუფლებამდე.“

მაკმერფი წყალში ნებივრობას შეეშვა. აუზის კიდესთან მიცურდა ნელა და ჩაეჭიდა, თან მეთვალყურეს ასცქეროდა. „და თუ იძულებით მოგათავსეს?“ – კითხა ცოტა ხნის მერე.

მეთვალყურემ დაკუნთული მხრები აიჩეჩა და კისერზე ჩამოკიდებული სასტვენის წვალება დაიწყო. ის ძველი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, შუბლზე ბუცების ნაკბილარები აჩნდა. ხშირად, როცა თავისი განყოფილებიდან უშვებდნენ, სადღაც, თვალების უკან, სიგნალი გაუტკაცუნდებოდა ხოლმე და ციფრების ფურთხებას იწყებდა, მერე ოთხზე დადგებოდა, ხაზის მოთამაშის პოზაში, გვერდით ჩავლილ რომელიმე ექთანს ეძგერებოდა, ჭაჭებში დაატაკებდა მხარს და ნახევარმცველს საშუალებას აძლევდა, ექთნის ზურგს უკან დარჩენილ თავისუფალ დერეფანში შეჭრილიყო. მოკლედ, კარგა ხანია, დასაბმელებში იწვა. როცა აუზის მეთვალყურეობა არ ევალებოდა, ყოველ წუთს შეეძლო, რაღაც ეგეთი ჩაედინა.

მაკმერფის შეკითხვაზე ერთხელ კიდევ აიჩეჩა მხრები, მერე გაიხედ-გამოიხედა – ახლომახლო შავი ბიჭები ხომ არ ჩანანო – და ზედ აუზის კიდეზე ჩაიჩოქა. მაკმერფის დასანახად წინ გაიწვდინა მკლავი.

„თაბაშირს ხედავ?“

მაკმერფიმ ღონიერ ტორს დახედა. „რა თაბაშირი, რის თაბაშირი, ძმაკაც?“

მეთვალყურემ მხოლოდ ჩაიცინა პასუხად. „ბოლო თამაშში მოვიტეხე, „დათვებთან“. სანამ არ შეხორცდება და თაბაშირს არ მომხსნიან, ფორმას ვეღარ ჩავიცვამ. ჩემი განყოფილების ექთანი მეუბნება, ხელს ჩუმად ვმკურნალობო. აბა! თუ გაუფრთხილდები და ძალას არ დაატან, მოგხსნი თაბაშირს და შეგიძლია, შენ გუნდს დაუბრუნდეო.“

სველ კაფელს მუშტი დაადო, ცალ ხელს და ორივე ფეხს დაებჯინა შესამოწმებლად, როგორ შუშდებოდა მკლავი. მაკმერფი ცოტა ხანს უხმოდ შესცქეროდა, მერე კითხა – რამდენი ხანია, რაც მორჩენას და საავადმყოფოდან გაშვებას ელოდებიო? მეთვალყურე მძიმედ წამოიმართა და მკლავი მოისრისა. შეეტყო, მაკმერფის შეკითხვა ეწყინა, ამას ხომ არ გონია, ვინაზები და ჩემს იარებს დავკანკალებო. „მე იძულებით მომათავსეს აქ,“ თქვა ბოლოს. „ჩემი ნება რო ყოფილიყო, კაიხნის წინ დავუქნევდი ამათ ხელს. მოტეხილობის მერე, შეიძლება, გუნდში პირველი კაცი ვეღარც გავხდე, მარა ბიჭებისთვის პირსახოცების დაკეცვას ხო მოვახერხებ? ჰა? რალაცაში მაინც არ გამოვდგები? არადა, ექთანი ექიმს ეუბნება, ჯერ მზად არ არისო. ჩაოფლილ გასახდელში პირსახოცების დასაკეცადაც არა ვარ თურმე მზად!“

შეტრიალდა და ოჩოფეხებზე შემდგარი თავისი სკამისკენ გაემართა, გაბრუებულ გორილასავით აფოფხდა კიბეზე და, ბუტიასავით ტუჩგადმობრუნებული, ზემოდან დაგვაშტერდა.

„მთვრალი დებოშისთვის დამაკავეს და უკვე რვა წელი და რვა თვეა, აქა ვარ!“ ჩამოსძახა მაკმერფის.

მეთვალყურის ნათქვამით შეფიქრიანებული მაკმერფი ზურგზე გაწვა, აუზის კედელს ფეხები მიარტყა და მოკლე-მოკლე ბიძგებით მოშორდა: თვითონ ექვსთვიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, აქედან ორი უკვე მოეხადა, ოთხი რჩებოდა და არსად, რანაირი სამოთხეც უნდა ყოფილიყო, ოთხ თვეზე დიდხანს ჩაკეტილი ყურყუტს არ აპირებდა. საგიჟეთში ყოფნის თით-

ქმის თვე სრულდებოდა, ეს თვე, შეიძლება, გაცილებით ჯობდა კოლონიაში გატარებულ დროს – რბილი საწოლი, დილაობით ფორთოხლის წვენი, მაგრამ აქაურობა ისე მაინც ვერ მოხიბლავდა, კიდევ ერთი-ორი წლის გატარება ენატრა.

აუზის მეორე ბოლოსკენ გაცურა, კიბის საფეხურებისკენ, და მთელი დარჩენილი დრო უკვე იქ გაატარა კიბეზე ჩამომჯდარმა – შუბლშეჭმუხნილი იწვალებდა თმის ბღუჯას მკერდზე. ვუყურებდი ასე განმარტოებით ჩამომჯდარს და ჩაფიქრებულს, მერე უცებ თათბირზე მთავარი ექთნის ნათქვამიც გამახსენდა და საოცარი შიში დამეუფლა.

როცა სასტვენს ჩაბერეს – თქვენი დრო დამთავრდაო – და გასახდელისკენ წაგვაჩანჩალეს, გზაში მეორე განყოფილების პაციენტებს შევეფეთეთ, ვინც ჩვენს მერე უნდა შეეყარათ აუზში, საშხაპეში კი, ფეხების სავალდებულოდ გასაბან აბაზანაში, ერთი იმათიანი ეგდო. დიდი, დასვრეტილი, ვარდისფერი თავი ჰქონდა, დასიებული ფეხები და განიერი თეძოები – თითქოს ვიღაც გოლიათი წყლით სავსე ბუშტს ჩააფრინდა და შუაში ღონივრად მოუჭირაო, კოჭებამდე წყალში გვერდულად იწვა და მთვლემარე სელაპის ხმებს გამოსცემდა. ჩესვიკმა და ჰარდინგმა წამოყენება დაუპირეს, მაგრამ ის მაშინვე ისევ აბაზანაში ჩაწვა. თავი დეზინფექციაში უტივტივებდა. მაკმერფი უხმოდ შეცქეროდა, როგორ აწიეს და როგორ წამოაყენეს ერთხელ კიდევ.

„რა ჯანდაბა ჭირს?“ იკითხა ბოლოს.

„ჰიდროცეფალია,“ აუხსნა ჰარდინგმა. „რაღაც ლიმფური დარღვევის ბრალია... მე მგონი... თავი სითხით ივსება ხოლმე. მოგვეხმარე, წამოვაყენოთ.“

ბიჭს ხელი შეუშვეს და ისიც კვლავ აბაზანაში მიწვა. სახეზე მოთმინება, უიმედობა და სიჯიუტე ეწერა; დუჟი მოსდიოდა და რძისფერ წყალში ბუშტები ჩნდებოდა. ჰარდინგმა მაკმერფის თხოვნა გაუმეორა – ხელი შეგვაშველეო – და ჩესვიკთან ერთად ერთხელაც დაიხარა ბიჭისკენ. მაკმერფიმ კი სწრაფი ნაბიჯით გააგრძელა გზა, ბიჭს გადააბიჯა და საშხაპეში შევიდა.

„აცალეთ, იწვეს,“ უკვე იქიდან გამოსძახა ჰარდინგს და ჩესვიკს, „ეგება არ უყვარს კაცს ღრმა წყალი!“

უკვე ვხვდებოდი, რაც ხდებოდა. მეორე დღესვე გააშტერა ყველა, როცა დილით ჩიტებს დაასწრო წამოფრენა და იქამდე ხეხა და აპრიალა ტუალეტი, სანამ ყველაფერმა ბზინვა და ბრჭყვიალი არ დაიწყო. მერე, როცა შავმა ჯეელებმა სთხოვეს, დერეფანში იატაკის დაგვაც არ დაიზარა. მოკლედ, ყველა გააოგნა, მთავარი ექთნის გარდა: იმას თავი ისე ეჭირა, თითქოს უჩვეულო და საოცარი არაფერი ხდებოდა.

შუადღისას ჯგუფურ შეკრებაზე ჩესვიკმა განაცხადა – საერთო აზრია, სიგარეტთან დაკავშირებულ მაიმუნობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოსო. „პატარა ბავშვი არა ვარ, მურაბასავით დამიმალოს ვიღაცამ სიგარეტი! ჩვენ მოვითხოვთ, ამ საქმეს რაღაცნაირად მოევლოს, ასე არ არის, მაკ?“ დარწმუნებული იყო, ახლაც მაკმერფი ამიბამს მხარსო, მაგრამ სიჩუმე არავის დაურღვევია.

ჩესვიკმა იქით გაიხედა, სადაც მაკმერფი ეგულებოდა. დანარჩენებსაც მისკენ გაექცათ თვალი. მაკმერფი ძალიან მშვიდად იჯდა, ბანქოს დასტას აწვალებდა თითებით, ხან გააქრობდა, ხან ისევ გამოაჩენდა. თავიც არ აუწევია. საზარელი სიჩუმე იდგა; მარტო ბანქოს გაზინთული ქაღალდის ტყაპანი და ჩესვიკის მძიმე სუნთქვა ისმოდა.

„მე მოვითხოვ, რაღაც გადაწყდეს!“ უცებ ისევ იყვირა ჩესვიკმა. „პატარა ბავშვი არა ვარ!“ ფეხი დააბაკუნა და ისეთი სახით მიმოიხედა, თითქოს მართლა ტყეში დაკარგული ბავშვია და საცაა, ზლუქუნი უნდა ამოუშვასო. ხელები მომუშტა და მთელი ძალით მიიჭირა ხორციან, ფუმფულა მკერდზე. მუშტები პატარა, ვარდისფერ ბურთებს გავდნენ მწვანე ფონზე, ისე მაგრად უჭერდა, მთელი ტანით აძაგძაგდა.

ბრგე ვაჟკაცი არასდროს ეთქმოდა – ტანმორჩილი იყო და ძალიან მსუქანი, კეფაზე ვარდისფერი დოლარიანივით აჩნდა მელოტის ლაქა – მაგრამ დღის პალატის შუაგულში ახლა ასე

ეულად მდგომი მთლად დაილია. ერთხელაც შეხედა მაკმერფის, თუმცა საპასუხო მზერას ვერც ამჯერად ეღირსა, და უკვე სხვა მოკავშირის პოვნის იმედით მწვავეების რიგს ჩააყოლა თვალი ბოლომდე. ყველა თვალს არიდებდა, უსიტყვო უარს ეუბნებოდნენ მხარდაჭერაზე და ჩესვიკსაც თანდათან სულ უფრო აშკარად დაეტყო სახეზე პანიკა. იქამდე აცეცა თვალები, სანამ ბოლოს მთავარი ექთნის თვალებს არ შეაფეთა. ერთხელ კიდევ დაბაკუნა ჭირვეულად ფეხი.

„მე მოვითხოვ, რაღაც გადაწყდეს! გესმით? მოვითხოვ-მეთქი! რაღაც უნდა გადაწყდეს! რაღაც! რა...“

ორმა მუტრუკმა შავმა უკნიდან გაუკავა ხელები, ჯუჯამ კი ღვედი შემოუჭირა. ჩესვიკი ერთიანად მოიღვენთა, თითქოს პუნქცია გაუკეთესო, და მუტრუკებმაც ზევით, დასაბმელებში გააქანეს. კიბეზე რომ მიათრევდნენ, დარტყმების ყრუ ხმა ისმოდა. მთავარი ექთანი შავი ბიჭების დაბრუნების მერეღა მიუტრიალდა მწვავეებს და დაჟინებით მიაჩერდა. ჩესვიკის წაყვანის შემდეგ სიტყვა აღარ თქმულა.

„დაგვრჩა ვინმეს რამე სათქმელი?“ როდის-როდის იკითხა მთავარმა ექთანმა. „სიგარეტის რაციონის შესახებ?..“

როცა ოთახის მეორე ბოლოში კედლის ფონზე წაშლილი სახეების რიგს გავცქეროდი, ჩემი თვალები საბოლოოდ კუთხეში მიმჯდარ მაკმერფის მიაცივდნენ – ისევ ცალი ხელით ბანქოს დასტის აჭრის ხელოვნებას ხვეწდა... ჭერში დატანებულმა თეთრმა მილებმა ისევ დაიწყეს გათოშილი შუქის ფრქვევა... ამას მაინც ვგრძნობ – პირდაპირ მუცელში ატანენ ცივი სხივები.

მას მერე, რაც მაკმერფიმ ჩვენს ქომაგობაზე აიღო ხელი, ზოგი მწვავე ამბობს, ახლაც ჭკუაში ატყუებს მთავარ ექთანსო. იმათ თუ დაეჯერებათ, მაკმერფის თურმე ვიღაცამ ჩააწვეთა, დასაბმელებში გიპირებენ გადაყვანასო და ისიც ამიტომ იკატუნებს ცოტა ხნით თავს, ცდილობს საბაბი არ მისცეს ქალს. სხვები ფიქრობენ, ყურადღებას უდუნებს, მერე კიდევ რამე ახალს მო-

უგონებს, უფრო მხეცურს და ადრინდელზე ბევრად მავნესო. სულ ამაზე ლაპარაკობენ, შეჯგუფდებიან და რას აღარ ვარაუდობენ.

მაგრამ მე, მე ნამდვილი მიზეზი ვიცი. ჩემი ყურით გავიგონე, რა ილაპარაკეს იმან და აუზის მეთვალყურემ. უბრალოდ, როგორც იქნა, მოვიდა ჭკუაზე, გაეშმაკდა – ესაა და ეს. მამასი არ იყოს, ბოლოს მამაც ხომ მიხვდა, მაინც ვერ აჯობებდა იმ ქალაქელებს, მთავრობისთვის კაშხლის აშენება რომ უნდოდათ და დიდ მოგებაზე, ახალ სამუშაო ადგილებზე და ჩვენი სოფლის საბოლოოდ მოსპობაზე ოცნებობდნენ. მიუგდეთ ამ აქოთებულ, თევზიჭამია ინდიელებს ორასი ათასი დოლარი და სადაც უნდათ, იქ წაეთრიონ ამ ფულიანად და თავიანთ სუნიანადო! მამამაც იეშმაკა, როცა ქაღალდებს ხელი მოაწერა: გაჯიქებით რას მოიგებდა?! ასე თუ ისე, მთავრობის კაცები იქაურობას მაინც ჩაიგდებდნენ ხელში. ადრე თუ გვიან. მამას ეშმაკობით კი მთელ ტომს გვარიანი თანხა ერგო. ეშმაკობა იყო, აბა რა?! მაკმერფიც ეშმაკობდა. მე ვერ გამომაპარებდა ვერაფერს. ფარ-ხმალს ყრიდა, იმიტომ რომ ამაზე ეშმაკურს ვერაფერს მოიფიქრებდა, მიზეზიც მარტო ეს იყო და სხვა არაფერი, მწვავეების ნავარაუდევი. თავისი პირით არ უთქვამს, მაგრამ ვიცოდი და იმწამსვე გავიფიქრე – უეჭველად ეშმაკობს-მეთქი. ერთსა და იმავეს ვიმეორებდი ფიქრში: ეს დამალვასავით უხიფათო გზაა, სწორედ ეშმაკობაა და სხვა არაფერი, მე ხომ ვიცი, რასაც აკეთებს-მეთქი.

მერე, ერთ დილასაც, უკვე ყველა მწვავე მიხვდა უკანდახევის ჭეშმარიტ მიზეზს, ყველა დარწმუნდა, ფუჭი იმედებით მარტო თავს ვიტყუებდით და ვიბითურებდითო. მოკლედ, აუზთან ნალაპარაკები არავისთვის გაუმხელია, მაგრამ ბიჭებმა მაინც უკვე ყველაფერი გაიგეს. მე მგონი, ცნობა მთავარმა ექთანმა გაავრცელა, ალბათ, ღამე საძინებლის იატაკში დატანებული ყველა წვრილი მავთულით გადასცა ერთდროულად, რადგან ყველამ ერთად და ერთბაშად შეიტყო ნამდვილი მიზეზი. დილით, როცა მაკმერფი დღის პალატაში შემოდის, ყველაფერი სახეებზე აწე-

რიათ: არც სიბრაზე, არც თუნდაც იმედგაცრუება – ისინიც ხომ ჩემსავით კარგად ხვდებიან, აქედან თავის დაღწევას თუ აპირებს, ისე უნდა მოიქცეს, როგორც მთავარ ექთანს ეამება – მხოლოდ ფუჭი ოცნება: ნეტავ საქმე ასე არ წასულიყოო.

ჩესვიკიც კი მიხვდა ყველაფერს და წყენა არანაირად არ შეტყობია – რატომ წინ არ გაგვიძეხი და ერთი ამბავი არ ატეხე სიგარეტების გამოო. დასაბმელებიდან სწორედ იმ დილას დაბრუნდა, როცა მთავარ ექთანს ახალი გადაცემული ჰქონდა თავისი ინფორმაცია საძინებელში, პირდაპირ მაკმერფის მიადგა და უთხრა – შენი კარგად მესმის, მართლა მაგარი რამე მოგიფიქრებია, რომ მცოდნოდა, იძულებით იყავი მოთავსებული, იმდღევანდელივით შარში როგორ გაგხვევდიო. ამას გზადაგზა ელაპარაკებოდა, სანამ აუზისკენ მიგვერეკებოდნენ. თუმცა, აუზს მივადექით თუ არა, მოწყენილმა დაამატა: ისე, მაინც გულით მინდოდა, რაღაც გადაწყვეტილიყოო – და წყალში ჩაყვინთა. არ ვიცი, რანაირად მოახერხა, ფსკერზე, დრენაჟის ცხაურში გაეჭედა თითები... ვერც მოდღლეზილმა მეთვალყურემ, ვერც მაკმერფიმ და ვერც ორმა შავმა ბიჭმა ვერ გაუთავისუფლეს; ბოლოს კი, როცა იარაღები მოიტანეს, ცხაური მოხსნეს და ჩესვიკიც ამოიყვანეს – ფუმფულა, მოვარდისფრო-მოლურჯო თითებით ჯერაც ცხაურს ჩაფრენილი, უკვე დამხრჩვალი იყო.

სადილის რიგში ვდგავართ. ვხედავ, სადღაც წინ ლანგარი აფრინდა ჰაერში, მწვანე პლასტიკატის ღრუბელმა რძე, ბარდა და ბოსტნეულის სუპი მოწვიმა. ცალ ფეხზე ახტუნავებული და ხელებაწვდილი სეფელტი დანარჩენებს სწყდება და გაფიჩხებული, მორკალული ეცემა ზურგზე – იმისი გადატრიალებული თვალების თეთრი გუგები წამით ჩემ გვერდით გაიელვებენ. ისეთი ხმით ახლის ფილაქანს თავს, თითქოს წყალქვეშ ფსკერს ქვა მოხვდაო. ქუსლებზე და კეფაზე დამდგარი, მთელი ტანით ცახცახებს – მიწისძვრისას ატორტმანებული ხიდივით. ფრედრიქსონი და სქანლონი მიხმარებას ცდილობენ, მაგრამ მაღალ-მაღალი შავი ბიჭი არ აცლის, უხეშად უბიძგებს და ისევ რიგში აბრუნებს ორივეს; მერე შარვლის უკანა ჯიბიდან გლუვ, ზონარდახვეულ, ყავისფრად დალაქულ ჯოხს იღებს, სეფელტს კრიჭას უხსნის, კბილებშუა ჯოხს სჩრის და მესმის, როგორ იმსხვრევა ჯოხი. პირში ნაფოტების გემოსაც კი ვგრძნობ. სეფელტს კრუნჩხვა რამდენჯერმე უმეორდება, ხან გახევებულ ფეხებს იატაკს სცემს და ერთიანად დაჭიმული ხიდზე დგება, ხანაც მოდუნებული ბეჭებით ენარცხება ფილაქანს, კიდევ და კიდევ, სულ უფრო და უფრო დიდი შუალედებით, ვიდრე მთავარი ექთანიც მობრძანდება და თავზე დაადგება; მაშინ უკვე მთლად იღვენთება, წყლად მიდის და ნაცრისფერ გუბედ იღვრება იატაკზე.

ქალს ხელები წინ გამოუწვდია, თითქოს სანთლით ინათებს გზასო, და კოპებშეკრული დასცქერის იმას, რაც სეფელტისგან

დარჩენილა – პერანგის სახელოებიდან და შარვლის ტოტებიდან გამოჟონილი. „მისტერ სეფელტია, არა?“ ეკითხება შავ ბიჭს.

„ა-ჰაა,“ შავი ჯოხს ეჯაჯგურება, „მისტა სეფელი.“

„არადა, ამტკიცებდა, წამალი არ მჭირდებაო.“ ქალი თავს აქნევს და ერთი ნაბიჯით იხევს უკან – გუბე ჯიუტად მიიწევს იმისი თეთრი ფეხსაცმელებისკენ. ცოტა ხანს მკაცრად ათვალიერებს სასეიროდ შემოჯარული მწვავეების რიგს, ისევ აქნევს თავს და იმეორებს: „...წამალი აღარ მჭირდებაო!“. კარგად ნაცნობი, გაწვრთნილ-გავარჯიშებული გამომეტყველება მოურგია სახეზე – სიბრალულის, მოთმინებისა და ზიზღის ერთდროულად გამომხატველი ღიმილი.

მაკმერფის ჯერ მსგავსი არაფერი უნახავს. რა ხდება, რა ჭირსო, – კითხულობს.

ქალი გუბეს დასცქერის, მაკმერფისკენ არც იხედება. „მისტერ სეფელტი ეპილეპტიკია, მისტერ მაკმერფი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წამს შეიძლება ასეთი შეტევის მსხვერპლი გახდეს, თუკი სათანადო დანიშნულებებს არ შეასრულებს. ყველაზე უკეთ თვითონ იცის ეს. ათასჯერ ვუთხარით, ასე მოხდება, წამალს თუ არ დალევო. არადა, მაინც ჯიუტობს და სულელურად იქცევა.“

რიგიდან წარბებაჯაგრული ფრედრიქსონი გამოდის. დაბღვერილი, სისხლნაკლული ბიჭია, ქერა თმა, სქელი, ქერა წარბები და წაწვეტებული ნიკაპი აქვს; დროგამოშვებით ისიც ისე გამომწვევად იქცევა ხოლმე, როგორც თავის დროზე ჩესვიკი ცდილობდა მოქცევას – ღრიალებს, ყველას ჭკუას არიგებს, უმცროს ექთნებს ლანძღავს, იმუქრება, დავკრავ ფეხს და სამუდამოდ მივატოვებ ამ აქოთებულ ბოსელსო! ღრიალსაც აცლიან და მუშტების ქნევასაც, სანამ თვითონვე არ დაწყნარდება, მერე კითხავენ – მორჩით, მისტერ ფრედრიქსონ? თუ სათქმელი აღარაფერი დაგრჩათ, მაშინ ბარემ დავიწყებთ აქედან გასაწერი საბუთების ბეჭდვასო – და ექთნების სამორიგეოში ერთმანეთს ენაძლევებიან, აბა ერთი რა დრო გავა, ვიდრე შუშაზე დამნაშავის სახით მოგვიკაკუნებს, პატიებას ითხოვს და შეგვეხვეწება,

იქნებ დაივიწყოთ ცხელ გულზე ნაბოდვარი, იქნებ ერთი-ორი დღით მაგიდის უჯრაში შეინახოთ ეგ ბლანკებიო.

ახლაც მუშტებმოღერებული მიიწევს მთავარი ექთნისკენ. „ახ, ასეა საქმე? ასეა, არა? ჯვარს გინდა აცვა საწყალი სეფი, თითქოს შენ ჯინაზე არ სვამს წამალს, არა?“

ქალი დასამშვიდებლად მკლავზე კიდებს ხელს და ფრედრიქსონიც მაშინვე შლის მუშტებს.

„ყველაფერი რიგზეა, ბრუს. შენი მეგობარი კარგად იქნება. ეტყობა, თავისი წილი დილანტინი არ ჩაუყლაპავს. უბრალოდ, ვერ გამიგია, სად მიაქვს, რას უშვრება?!“

მშვენივრად იცის, რასაც უშვრება, იმანაც და ყველამ: სეფელტი წამლის კაფსულებს ენის ქვეშ მალავს და მერე, მოგვიანებით, ფრედრიქსონს აძლევს. ვერ იტანს ამ დილანტინს თუ ოხრობას, როგორც თვითონ ამბობს, „დამღუპველი თანამდევი ეფექტის“ გამო ეჯავრება, ფრედრიქსონი კი სიამოვნებით ყლაპავს ორმაგ დოზას, იმიტომ რომ შეტევის სიკვდილზე მეტად ეშინია. მთავარმა ექთანმა ყველაფერი ძალიან კარგად იცის, ხმაზეც ეტყობა, ოღონდ ისეთი სახე აქვს, კეთილი და თანაგრძნობით განაზებული, იფიქრებ, ფრედრიქსონისა და სეფელტის ეშმაკობის არაფერი გაეგებაო.

„დიიიიახ,“ ამბობს ფრედრიქსონი, თუმცა წელანდელი მრისხანების და შეუპოვრობის აღარაფერი სცხია, „დიიიახ, კარგად იქნება... ოღონდ, ძალიანაც ნუ გაამარტივებთ საქმეს, ვითომ მთავარი ის იყოს, დალია წამალი თუ არ დალია! არ იცით, როგორ დარდობს სეფი თავის გარეგნობაზე? როგორ იტანჯება – ქალები მახინჯად მთვლიანო; დილანტინი კი...“

„ვიცი,“ ამბობს ქალი და კვლავ ნაზად ეხება მკლავზე. „ვიცი, ჩვენი ბებერი სეფელტი წამალს აბრალებს თმის ცვენას.“

„არც ისეთი ბებერია...“

„ვიცი, ბრუს. ასე რატომ ნერვიულობ? ვერა და ვერ მივხვდი, მაინც რა ხდება ასეთი შენსა და შენს მეგობარს შორის, რა მიზეზით იცავ ასე თავგამოდებული?“

„კაი ბატონო, ჯანდაბას, სულერთია ყველაფერი!“ ამბობს ფრედრიქსონი და მჯიღებს ჯიბეებში იჩრის.

მთავარი ექთანი იხრება, პატარა ადგილს ასუფთავებს იატაკზე, მუხლზე დგება და სეფელტის შეკოწიწებას იწყებს, თუნდაც რაღაც ფორმა რომ დაუბრუნოს. შავ ბიჭს ეუბნება, შენ საწყალ ბებერთან დარჩი, მე ზევიდან ბორბლებიან საკაცეს ჩამოვატანინებო; საძინებელში შეაგორეთ და აცალეთ, დღეს მთელი დღე იძინოსო. როცა ისევ ფეხზე დგება, ერთხელაც უთათუნებს ფრედრიქსონს მკლავზე ხელს, ფრედრიქსონი კი ბუზღუნებს – „ხო, დილანტინს მეც ვსვამ და ვიცი, რა დღეშიცაა სეფი. ესე იგი, რატომაც... ეეეხ, ჯანდაბას!“

„მესმის, ბრუს, რასაც განიცდით ორივე, მაგრამ არ გგონია, რომ ამას ყველაფერი სჯობს?“

ფრედრიქსონი იქით იყურება, საითაც ქალი უთითებს. სეფელტი სანახევროდ დაბრუნებია ნორმალურ მდგომარეობას, ღრმა, სველი, ხიხინა სუნთქვის რიტმში იბერება და იჩუტება. თავზე, იმ ადგილას, იატაკს რომ დაკრა, კოპი აზის; იმის ტუჩებსაც და შავი ბიჭის ჯოხსაც წითელი ქაფი მოსდებია; თვალები კი ნელ-ნელა ბუდეებს უბრუნდებიან. ხელისგულებამოტრიალებულს, ორივე ხელი იატაკზე აქვს მილურსმული და ხან შლის, ხან კეცავს თითებს – ზუსტად იმათსავით, დასაშოკში რომ მინახავს ჩემი თვალით, ჯვარედინ მაგიდებზე დაკრულები, ელექტროდენისგან ხელისგულებაბოლებულები. სეფელტი და ფრედრიქსონი დასაშოკში არასდროს ყოფილან. ისეთნაირად არიან აწყობილები, საკუთარი ძაბვის გამომუშავების და ხერხემალში დაგროვების უნარი აქვთ; რამე თუ აურიეს, შორიდანვე ჩართავენ, სამორიგეოს ფოლადის კარებში ჩატანებული პულტიდან – იქიდანვე დააჯახებენ ეშმაკის მანქანას და წამში ისე გაახევებენ, თითქოს შიგ კუდუსუნში ხიეს წიხლიო. ზევით ამათი თრევით ზედმეტად არ იწუხებენ თავს.

მთავარი ექთანი ოდნავ ანჯღრევს ფრედრიქსონის მკლავს, თითქოს ჩაეძინა და აღვიძებსო, და კითხვას ჯიუტად უმეორებს:

„გინდაც წამლის მავნე ეფექტებიც გავითვალისწინოთ, განა არ ფიქრობთ, რომ ამას მაინც ყველაფერი სჯობს?“

ქალი ისევ იატაკს დასცქერის, ფრედრიქსონს კი წარბები აუწკეპია, ვითომ პირველად ხედავს ბნედიანს, აღარ ახსოვს, როგორ გამოიყურება თვითონაც თვეში, სულ ცოტა, ერთხელ მაინც. მთავარი ექთანი უღიმის, მკლავზე ხელს უთათუნებს და კარებისკენ მიდის, თან მწვავეებს უბრიალებს თვალებს, არ-ცხვენს – ასეთი სანახაობის საცქერად რამ მოგიყვანათო. ოთახიდან რომ გადის, ფრედრიქსონს ერთს ციებიანივით გა-აჟრჟოლებს, თან გაღიმებას ცდილობს.

„მეც არ ვიცი, რას დავეტაკე დედიკოს... ესე იგი, იმას ვამბობ, არ გავუბრაზებივარ-მეთქი, საბაბი არ მოუცია, არა? რამ ამაფეთქა?..“

არაფერზე ეტყობა, პასუხს თუ ელოდება ვინმესგან; შე-კითხვა საკუთარი საქციელის მიზეზის ხმამაღალ ძიებას უფრო ჰგავს, ხმამაღალი ანალიზის მცდელობას. ისევ აჟრჟოლებს და ნელი ნაბიჯით შორდება დანარჩენებს. მაკმერფი მიყვება და ჩუმად ეკითხება, მაინც რასა სვამთო?

„დილანტინს, მაკმერფი, ანტიკონვულსანტს, თუ ძალიან გაინტერესებს!“

„და რა, არ შველის?“

„როგორ არა, შველის, თუკი დალევ.“

„მაშინ რაღა ბაზარია?! დალია, არ დაულევია...“

„ეგრე გულით თუ გინდა, აჰა, ნახე, რა ბაზარიცაა.“ ფრედ-რიქსონი ქვედა ტუჩს ექაჩება, იტრიალებს, ცერს და საჩვენებელ თითს შუა იმწყვდევს და დაფლეთილ, უსისხლო ღრძილებს აჩენს გრძელი, მბზინავი კბილების ქვეშ. „შეხედე ღრძილებს,“ თლი-ფინებს ტუჩს ჩაფრენილი, „დილანტინი ღრძილებს ალპობს. შეტევის დროს კბილები გემსხვრევა, მერე ეს და...“

იატაკიდან ხმა ისმის. ყველა აკვნესებულ-ახრიალებულ სე-ფელტს მისჩერებია. შავი ბიჭი ჯოხთან ერთად ორ კბილსაც ულებს პირიდან.

სქანლონს თავისი ლანგარი მაგრად ჩაუბღუჯია და ბუზ-ღუნ-ბუზღუნით შორდება დანარჩენებს: „ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთია. დალევ წამალს – ჭირია, არ დალევ – უარესი. დაწყევლილები ვართ ყველანი, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ – საშველი არ არის!“

„მესმის შენი,“ ამბობს მაკმერფი და თან ახლად შეკოწიწებულ სეფელტს არ აშორებს თვალს. იატაკზე გართხმული ბნედიანის არ იყოს, ნელ-ნელა იმისი სახეც მოტეხილი, გაოგნებული, დათრგუნული კაცის სახეს ემსგავსება.

არ ვიცი, მექანიზმში რა მოიშალა, ოღონდ ამ დროისთვის უკვე ყველაფერი ისევ მოაწესრიგეს. ისევ განახლდა უზადო, ზუსტად გამოთვლილი ჟამთასვლა: შვიდის ნახევარზე ადგომა, შვიდზე საუზმე, რვაზე – ქრონიკულებისთვის რებუსები და ბანქო მწვავეებისთვის... ვხედავ, როგორ დასრიალებენ სამორიგეოში მთავარი ექთნის თეთრი ხელები საკონტროლო პულტზე.

ზოგჯერ, არც ისე ხშირად, მწვავეებს მეც გამაყოლებენ ხოლმე. ახლაც იმათთან ერთად მივდივარ ბიბლიოთეკაში, ტექნიკურ განყოფილებაში შევდივარ, ვდგავარ და ყდებს ვათვალიერებ. განსაკუთრებით კოლეჯის დროიდან ნაცნობი ელექტრონიკის სახელმძღვანელოები მაინტერესებს. მახსოვს, ამ წიგნების ფურცლები სულ სქემებით, განტოლებებითა და თეორიებითაა აჭრელებული – მყარი, საიმედო, უხიფათო რამეებით.

მინდა, რომელიმე გადავშალო, მაგრამ მეშინია. ყველაფრის მეშინია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ბიბლიოთეკის მტვრიან, ყვითელ ჰაერში დავცურავ, სადღაც ოთახის შუაში, ჭერსაც და იატაკსაც თანაბრად დაშორებული. ზიგ ზაგურად აზვინული წიგნები ალმაცერად დამცქერიან თავზე, ერთმანეთს ათასნაირი, უცნაური, წარმოუდგენელი კუთხით მიჯრილები. ერთი თარო ცოტათი მარცხნივ გადახრილა, სხვა – მარჯვნივ. ზოგიც წინ, ჩემკენ წამოწეულა და ვერ გამიგია, რა აჩერებს წიგნებს ადგილზე. სულ ზევით და ზევით, ჭერში იკარგებიან, თვალს ეფარებიან ბიჯგებით და წვრილი ფიცრებით გამაგრებულები, კიბეებისკენ დაფერდებულები – ოთხივე მხარეს, საითაც გაიხედავ. ერთი წიგნიც რომ გამოვაძრო, ღმერთმა იცის, რა უბედურება დატრიალდება.

მესმის, ვიღაცეები შემოდიან; ჩვენი განყოფილების შავი ჯეელია, ჰარდინგის ცოლი მოყავს. გაღიმებულები ესაუბრებიან ერთმანეთს.

„ერთი აქეთაც მოგვხედე, დეილ,“ წიგნის კითხვით გართულ ჰარდინგს ეძახის შავი ბიჭი. „ნახე, ვინ გესტუმრა! კი ვეუბნები, ეხლა სტუმრობის დრო არ არი-მეთქი, მარა ისე მომთაფლა, უარი აღარ გამოვიდა.“ ქალს ბიბლიოთეკაში ტოვებს და გადის, ოღონდ მანამდე ასწრებს და გასაიდუმლოებული ხმით ეუბნება – იცოდე, არ დაგავიწყდესო.

ქალი ჰაეროვან კოცნას ადევნებს და თეძოების თამაშ-თამაშით ჰარდინგისკენ ტრიალდება. „სალამი, დეილ.“

„ძვირფასო,“ ამბობს ჰარდინგი, თუმცა ადგილიდან ფეხს არ იცვლის, ნაბიჯსაც არ დგამს ცოლისკენ. მზერა თვალებად ქცეული პაციენტებისკენ გაურბის.

ქალი თითქმის ქმრის სიმაღლეა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და შავი ხელჩანთა უჭირავს, ოღონდ თასმით არა, წიგნს რომ დაიჭერ ხელში – ისე. ტყავის ჩანთის პრიალა, შავ ფონზე ფრჩხილები სისხლის წვეთებს გვანან.

„ეი, მაკ!“ კომიქსებში ჩაღრმავებულ მაკმერფის გასძახის ჰარდინგი, „წამით ფილოლოგიურ ძიებებს თუ შეწყვეტ, ჩემს მეორე ნახევარს და ნემესიდას წარმოგიდგენ; ბანალურობას არ მოვერიდებოდი და ვიტყოდი – ჩემს საუკეთესო ნახევარს-მეთქი, მაგრამ ეს ფრაზა საფუძველშივე რაღაც თანაბრის ორად გაყოფას გულისხმობს, არა?“

გაცინებას ცდილობს. ორი ნატიფი, სპილოს ძვლისფერი თითით სიგარეტს დაეძებს ჯიბეში, კოლოფიდან ფაცაფუცით იღებს უკანასკნელ ღერს. ტუჩებში მომწყვდეული სიგარეტი თრთის და ცახცახებს. ჰარდინგს და მის ცოლს ჯერ ერთმანეთისკენ ნაბიჯიც არ გადაუდგამთ.

მაკმერფი სკამიდან დგება და, ცოლ-ქმრისკენ დაძრული, გზაში ქუდს იხდის. ქალბატონი ჰარდინგი ღიმილით შესცქერის, ცალწარბაზიდული. „შუადღე მშვიდობისა, მისის ჰარდინგ!“ ამბობს მაკმერფი.

ქალი კიდევ უფრო მომხიბლავად იღიმება: „არ მიყვარს „მისის ჰარდინგი“, მაკ. იქნებ, უბრალოდ ვერა ჯობდეს?“

სამივე იმ ტახტზე ჯდება, რომელზეც წელან ჰარდინგი იჯდა და ჰარდინგიც მაშინვე მაკმერფის ამბების მოყოლას იწყებს, ცოლს უამბობს, როგორ გადარია ჩვენმა ჩემპიონმა მთავარი ექთანი, როგორ მოსვა ადგილზე; ამ საქმეში ბადალი არ ყავსო, აქებს მაკმერფის და ცოლიც ღიმილით ეუბნება – ეჭვი არ მეპარება და სრულებითაც არ მიკვირსო. ჰარდინგი ეშხში შედის, აღტაცებული ლაპარაკობს და საკუთარი ხელები ავიწყდება – ხელები იმის ცხვირწინ საკმაოდ თვალნათელ სურათებს ქსოვენ ჰაერისგან, ორ მშვენიერ, თეთრად შემოსილ ბალერინასავით ცეკვა-ცეკვით გადმოცემენ სხვადასხვა ამბავს თხრობის ტაქტში. რადაც გინდა, იმად წარმოიდგენ ჰარდინგის ხელებს; ოღონდ, ამთავრებს თუ არა თხრობას, მაშინვე ამჩნევს – მაკმერფიც და ჩემი ცოლიც ხელებზე მიყურებენო – და ხელებს იმწამსვე მუხლებშუა იმწყვდევს. თვითონვე ეცინება და ცოლი უწყრება, დეილ, როდისღა უნდა ისწავლო სიცილი, როდემდე უნდა იწრიპინო ასე თაგვივითო?

იმ პირველ დღეს მაკმერფიმაც დაახლოებით იგივე უთხრა, მაგრამ ცოლის ახლანდელი ნათქვამი მაინც აშკარად სხვაა; მაკმერფის სიტყვებმა მაშინ ჰარდინგი დააწყნარა, ქალის შენიშვნა კი რაღაც უჩვეულოდ ანერვიულებს.

ქალი სიგარეტს ითხოვს. ჰარდინგი ისევ აფათურებს ხელს ჯიბეში, მაგრამ ჯიბე ცარიელია. „რაციონი დაგვინიშნეს, ლიმიტი...“ უხსნის ცოლს, თან თხელ მხრებს იწურავს, თითქოს უკვე სანახევროდ მოწეული სიგარეტის დამალვას ცდილობს. „დღეში თითო კოლოფი. ჰოდა, ჩემო ძვირფასო ვერა, რაინდობას მაინცდამაინც ველარ ვახერხებთ... არ გვყოფნის მარაგი.“

„კარგი ერთი, დეილ! ნეტა როდის ახერხებდი?“

ჰარდინგი ცბიერი, გაეშმაკებული თვალებით უღიმის ცოლს. „სიმბოლურად ვლაპარაკობთ, თუ ჯერაც კონკრეტულ, ამწამიერ სიგარეტს ვგულისხმობთ? თუმცა, სულერთია, რასაც არ უნდა გულისხმობდე, პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში ცნობილია.“

„რაც ვთქვი, ის ვთქვი, დეილ; სხვა არც არაფერი მიგულისხმია...“

„არაფერი მიგულისხმია-თქო, საყვარელო; „არც“ და „არაფერი“ – უკვე ორმაგი უარყოფაა, სრულიად ზედმეტი და უსარგებლო. მაკმერფი, ვერას ინგლისური, უწიგნურობის თვალსაზრისით, ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს შენსას. აბა, დაფიქრდი, სულზე უტკბესო: „არც“ თავისთავად უკვე ნიშნავს „არაფერს“...“

„კარგი! გეყოფა! სხვა რამეც ვიგულისხმე. როგორც გაგიხარდება, ისე გაიგე. სულ ჯიბეგაფხეკილი ხარ-მეთქი, მინდოდა მეთქვა; არასდროს არაფრის მარაგი არ გყოფნის-მეთქი.“

„არასდროს არ გყოფნის კი არა, არასდროს გყოფნის – ჩემო პატარა, ნიჭიერო გოგონა!“

ქალი სულ ერთი წამით ბრაზიანად უცქერის ჰარდინგს, მერე მაკმერფისკენ ტრიალდება. „შენ, მაკ, შენ რას იტყვი? შენთვისაც ძნელი საქმეა მანდილოსნის სიგარეტით გამასპინძლება?“

სიგარეტის კოლოფი მაკმერფის მუხლზე უდევს, მაგრამ ისეთი სახით დასცქერის, თითქოს ნატრობს – ნეტა სულ არ მქონდესო. „არა, რა თქმა უნდა... მე სიგარეტი ყოველთვის მომეძებნება,“ ამბობს ცოტა ხნის მერე. „ოღონდ, ბუნებით მათხოვარი ვარ და იმიტომ. საცა გამივა, ყველგან ვმათხოვრობ, ამიტომ მიძლებს სიგარეტი ჰარდინგზე დიდხანს. ჰარდინგი მარტო თავისას ეწევა. უფრო მალეც უთავდება... ეგრეა.“

„ჩემი უნდილობისთვის შენ ნუ ბოდიშობ, მეგობარო. ბოდიშები არც შენ გიხდება და ვერც მე მშველის.“

„ნამდვილად ვერ გშველის,“ ამბობს ქალი. „მომიკიდე მაინც!“

ისე იხრება ასანთისკენ, ოთახის მეორე ბოლოდანაც კი მშვენივრად ვხედავ იმისი უბის ბარაქას.

მერე ცოტა ხანს ჰარდინგის ვილაც მეგობრებზე ლაპარაკობს, ჰარდინგს ებუზღუნება – აღარ შეწყვეტენ ჩემს სახლთან წანწალს და შენი ამბის კითხვასო? „იცნობ არა, ეგეთ ტიპებს, მაკ?“ ეკითხება მაკმერფის. „გამოწკეპილებს, კოხტად კულულებდავარცხნილებს, ლამაზად რომ აიქნევენ ხოლმე ჰაერში წვრილ, სუსტ მაჯებს?“ არა მგონია, მარტო ჩემი ამბის საკითხა-

ვად დაიარებოდნენო, – ეუბნება ჰარდინგი. აბა, ჩემს სანახავად მოსულები სხვა რამეს იქნევენო, – პასუხობს ცოლი.

მერე უცებ დგება და გავიქეცი, მეჩქარებაო, – აცხადებს. მაკმერფის ხელს ართმევს, იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებითო, ენაზება და ბიბლიოთეკიდან გადის. მაკმერფის ენა ჩავარდნია. მაღალი ქუსლების პაკიპუკზე ყველა ისევ მაღლა სწევს თავს და მანამდე აყოლებენ დერეფანში მიმავალს თვალს, სანამ საბოლოოდ არ გაუჩინარდება.

„რას იტყვი?“ მაკმერფის ეკითხება ჰარდინგი.

მაკმერფი რინდიდან გამოდის. „ჯიგრები ნაღდად ჯამრთელი აქს,“ სხვა ვერაფრის თქმას ვერ ახერხებს, „ჩვენ ბებერ ლედი რეჩედს ტოლს არ დაუდებს.“

„ფიზიკურ მხარეს არ ვგულისხმობდი, ჩემო მეგობარო. მე გეკითხები, რას...“

„თუ ძმა ხარ, ჰარდინგ!“ მოულოდნელად ყვირის მაკმერფი. „რა ვიცი, რას ვიტყვი?! რა გინდა ჩემგან? მაჭანკლობა? მე მარტო ერთი რამე ვიცი: მაინცდამაინც დიდი ისედაც არავინაა, არადა, თითქოს ყველას დანარჩენების დაგლეჯა და დაკნინება გაუხდია ცხოვრების მიზნად. ვიცი, რაც გინდა ვთქვა; გინდა შემეცოდო, გითხრა – ნაღდი კახპაა-მეთქი! კაი ბატონო, მარა შენ როდის აგრძნობინე თავი დედოფლად? „რას იტყვი?“ გადი, გადაშენდი! ვითომ ჩემი სადარდებელი არ მყოფნის, ეხლა შენიც რო არ ავიკიდო! ხოდა, მოკეტე!“ გაბრაზებული ათვალიერებს ბიბლიოთეკას, დანარჩენ პაციენტებს. „ყველამ! ყველამ მოკეტეთ და შემეშვით, არ გამიხურეს საქმე?!“

ისევ იფხატებს თავზე ქუდს და კომიქსებს უბრუნდება ოთახის მეორე ბოლოში. გაშტერებულ მწვავეებს პირები დაუფჩენიათ. რას ყვირის, რო ყვირის? ნეტა ვინ გაუხურა? არც აღარაფერი უთხოვია ვინმეს მას მერე, რაც გაიგეს – დღეიდან ჭკვიანად მოიქცევა, იძულებითი მკურნალობის ვადა რომ არ გაუგრძელონო. უკვირთ, როგორ გადაუარა ჰარდინგს და ვერც იმას მიმხვდარან, ასე გიჟივით რას დააფრინდა სკამზე მიგდებულ წიგნს,

რას ჩარგო შიგ ცხვირ-პირი – სხვებს უნდა დაემალოს თუ თვითონ აარიდოს ყველას თვალი.

თუმცა იმ საღამოსვე, ვახშამზე, ჰარდინგს ბოდიშს უხდის და ეუბნება, არ ვიცი, რა ბზიკმა მიკბინა ბიბლიოთეკაშიო. ჰარდინგი პასუხობს – შეიძლება, ჩემმა ცოლმაო; ხშირად აგიჟებს ეგრე ხალხსო. მაკმერფი თავჩაქინდრული ზის, ყავის ფინჯანს ჩასჩერებია. „არ ვიცი, ძმაო," ამბობს ბოლოს, „შენი ცოლი დღევანდლამდე თვალით არ მინახია. ბოლო კვირის საზიზღარ სიზმრებს იმას ნაღდად ვერ დავაბრალებ."

„კი, მაგრამ, მის-თაჰ მაკმერფი," ყვირის ჰარდინგი, შეკრებებზე დამსწრე ახალგაზრდა, გაფსხნიკულ ექიმს ბაძავს ხმით. „თქვენც ადექით და უბრალოდ გვიამბეთ თქვენი სიზმრები! ერთი წუთით, ფანქარს და ბლოკნოტს მოვიტან." ხუმრობას ცდილობს, ვითომ მაიმუნობს, ოღონდ როგორმე მაკმერფის ბოდიშით გამოწვეული დაძაბულობა გააქარწყლოს. კოვზს და ხელსახოცს იღებს მაგიდიდან და ისე იჭერს ხელში, თითქოს მართლა რაღაცის ჩაწერას აპირებს. „აბა! უფრო გასაგებად მითხარით. მაინც რას ხედავთ იმ – ხოოო – სიზმრებში?"

მაკმერფი ზრდილობისთვისაც არ იღიმება. „არ ვიცი, ძმაო. მგონი, მარტო რაღაც სახეებს. სახეების მეტს – არაფერს."

მეორე დილით მარტინი აბაზანაში საკონტროლო პულტთან დგას და თამაშობს – ვითომ რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავის პილოტია. იმის სისულელეებზე ყველას ეცინება და წამით პოკერს თავს ანებებენ.

„ეეეეააჰოოომეეერრრ. ბაზა ვარ. ბაზა ვარ: ობიექტი გამოჩდა. ოთხი-ნოლი-თექვსმეტი-ასი. მტრის რაკეტას გავს. სრული მზადყოფნა! ეეეააჰოოოომმმ..."

ციფერბლატს ატრიალებს, ბერკეტს ექაჩება და თვითონაც წინ იხრება, თვითმფრინავთან ერთად დაფერდებული. ისარს „მაქსიმუმზე" აყენებს, მაგრამ კაფელის ოთხკუთხა კაბინაში გაყვანილი დრეკადი მილებიდან წვეთი წყალი არ გადმოდის. ჰიდ-

როთერაპიას უკვე აღარ იყენებენ და წყალიც გადაკეტილია. ახალ-თახალი, მოქრომილი მოწყობილობა და ფოლადის პულტი არას-დროს უხმარიათ. ქრომი რომ არა, პულტიც და შხაპიც ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჰიდროთერაპიის თხუთმეტი წლის წინანდე-ლი, ძველ კორპუსში დარჩენილი დანადგარები: დრეკადი მილებით ჭავლი სხეულის ნებისმიერ ნაწილს წვდება კაბინის ოთხივე კუთხიდან, რეზინისწინსაფრიან ტექნიკოსს ოთახის მეორე ბო-ლოდან შეუძლია პულტზე რეგულატორების მართვა: საით მიუშვას წყალი, რა ძალით, რა ტემპერატურით. ჭავლი თავიდან რბილია და დამამშვიდებელი, მერე ბასრი ხდება და ნემსებივით იჩხვლიტება: კიდიხარ ტილოს თოკებით მილებს შორის, დამბალი, მოღვენთილი, მოჭმუჭნილი, ტექნიკოსი კი თავისი სათამაშოთი ერთობა...

„ეეეაააოოოოოომმმმ... ბაზა, ბაზა: რაკეტა გამოჩდა; ჩემ ზონაში შემოდის...“

მარტინი იხრება, დახვეულ შლანგებში იჭყიტება და რაღაცას იღებს მიზანში. ცალ თვალს მაგრად ხუჭავს.

„არის მიზანი! მზად ვარ... ყურადღება... ცეცხ...“

დამდუღრულივით იღებს ხელებს პულტიდან, წელში სწორ-დება: თმა აფოფრია, თვალებგადმოკარკლული მიშტერებია შხა-პის კაბინას და ისეთი დამზაფრავი შიში აწერია სახეზე, ბანქოს მოთამაშეებიც ტრიალდებიან სკამებზე და ისინიც ცდილობენ რაღაცის დანახვას, თუმცა ვერაფერს ხედავენ მილებს შორის უხეში ახალი ტილოს თოკებზე ჩამოკონწიალებული ბალთების გარდა.

მარტინი მაკმერფის მისჩერებია. სხვას არავის იმჩნევს. „ვერ დაინახე? ვერა?“

„რა, მარტ? რა უნდა დამენახა?“

„იმ თოკებში? ვერაფერი დაინახე?“

მაკმერფი ალმაცერად იყურება შხაპისკენ. „ვერაჰ. ვერა-ფერი...“

„ერთი წუთი ეგრე იჯექი. აუცილებლად უნდა დაინახო, იმათ ჭირდებათ...“ ამბობს მარტინი.

„წადი, კოჭი გააგორე, მარტ! გეუბნები – ვერა ვხედავ-მეთქი! გაიგე? არ არი არაფერი...“

„ოოოჰ,“ ოხრავს მარტინი და თავჩაქინდრული კაბინისკენ ზურგით ტრიალდება. „კაი, ბატონო. არც მე დამინახია. გეხუმრებოდი.“

მაკმერფი ტკაცანით ჭრის კარტს და არიგებს. „ხოოო, ეგეთი ხუმრობა მაინდამაინც არ მევასება, მარტ.“ დარიგებას აგრძელებს და უცებ დასტა მთელ ოთახში ისეთი ძალით იფანტება, თითქოს აცახცახებულ ხელებში აუფეთქდაო.

ახსოვს, მაშინაც პარასკევი იყო, კენჭისყრიდან სამი კვირის თავზე; ყველა, ვისაც სიარული შეგვეძლო, პირველი კორპუსისკენ გაგვრეკეს, როგორც აგვიხსნეს, ვითომ გულმკერდის გასაშუქებლად, ტუბერკულოზზე გამოსაკვლევად, არადა ვიცოდი, სინამდვილეში იმის გაგება უნდოდათ, ჩამონტაჟებული მექანიზმები წესიერად მუშაობდნენ თუ არა.

დაბალ სკამზე ვსხედვართ, სათადარიგო კალათბურთელებივით. გრძელი დერეფანი ერთ მხარეს რენტგენის კაბინეტით ბოლოვდება, კაბინეტის გვერდით კიდევ ერთი კარია, „ოტოლარინგოლოგი“ აწერია. აქ ზამთრობით მოვყავართ ხოლმე და ყელ-ყურს გვისინჯავენ. მოპირდაპირე კედლის გასწვრივაც დგას ზუსტად ჩვენნაირი სკამი, სკამის გვერდზე კი ის ლითონის კარია. მოქლონებიანი. უწარწერო. იმ სკამზე აქეთ-იქიდან შავ ბიჭებს შუა მომწყვდეული ვიღაც ორი პაციენტი თვლემს, მესამეს უკვე ოთახში „მკურნალობენ“ – იმის კივილი მესმის. მერე კარი შიგნით, ხვნეშით იღება და ოთახში მოციმციმე ნათურებს ვხედავ. ჯერაც აბოლებულ მსხვერპლს დერეფანში მოაგორებენ. მაგრად, მთელი ძალით ვებღაუჭები სკამს, მეშინია, იმ ოთახმა არ შემისრუტოს. შავი ბიჭი და ერთ-ერთი პაციენტი მეორეს ძალით აყენებენ სკამიდან, ის ბარბაცებს და თავს ძლივს იმაგრებს წამლებით გაბრუებული. შოკის წინ, როგორც წესი, წითელ კაპსულას გაყლაპებენ. კარისკენ უბიძგებენ და ტექნი-

კოსებიც მაშინვე მკლავებში აფრინდებიან. წამით ვხედავ, საცოდავი უკვე მიმხვდარა, სად მოუყვანიათ და გაძალიანებას აპირებს, ქუსლებს არჭობს ცემენტის იატაკს, იქნებ მაგიდამდე ვერ მიმათრიონო, მერე კარი იკეტება, ლითონი შხუილით ეფლობა ბამბის სქელ ლეიბში და ველარაფერს ვხედავ.

„იქ რაღა ხდება, ძმაკაც, იმ ოთახში?“ ჰარდინგს ეკითხება მაკმერფი.

„იქ? შენ რა, მართლა არ იცი? თუმცა ეგ სიამოვნება ჯერ არ გამოგიცდია. სამწუხაროა. მაგ გამოცდილების გარეშე ცხოვრებას ფასი არა აქვს!“ ჰარდინგი თითებს კეფაზე იჭდობს და უკან თავგადაგდებული შეცქერის კარს. „ეს შოკის ოთახია, ამასწინათ რომ გეუბნებოდი – ეშთ: ელექტროშოკურითერაპია. აქ მოხვედრილ ბედნიერებს მთვარეზე უფასო მოგზაურობის შანსი ეძლევათ. ისე, ჩვენში დარჩეს, მთლად უფასოც არ ეთქმის. ფულის მაგივრად მომსახურებაში ტვინის უჯრედებს იხდი; ეგ უჯრედები კი მილიარდობით გვიდევს ანგარიშზე. მაინცდამაინც არ დავზარალდებით.“

შუბლშეჭმუხნილი აკვირდება მოპირდაპირე სკამზე მარტო დარჩენილ პაციენტს. „კლიენტურა შეთხელებიათ, სადღაა უწინდელი რია-რია და თავ-პირის ლეწვა. რას იზამ, c'est la vie – ყველა ახირებას გასდის ბოლოს ყავლი. ვშიშობ, ეშთ-ს მზის ჩასვენების მომსწრენი ვხდებით. არადა, ჩვენი ძვირფასი მთავარი ექთანი ერთ-ერთი უპირველესია იმ მცირერიცხოვან მკურნალთა შორის, ვინც თავგამოდებით იცავს გონამღვრეულთა წამლობის ძველთაძველ ფოლკნერულ ტრადიციას: ტვინის გადაბუგვას!“

კარი იღება. დასაშოკიდან ზუზუნით მოგორავს ბორბლებიანი საკაცე, თუმცა ხელს არავინ არ კრავს. მთელი დერეფნის გაბოლვას ასწრებს, სანამ ორ ბორბალზე შემდგარი კუთხეში შეუხვევს და გაუჩინარდება. მაკმერფი თვალს არ აშორებს, როგორ შეყავთ ოთახში ბოლო პაციენტიც და ისევ კეტავენ კარს.

„ესე იგი...“ მაკმერფი ცოტა ხანს რაღაცას უგდებს ყურს. „ესე იგი, შეაბრძანებენ ჩიტუნას და თავში ელექტრონს უტარებენ?“

„თუკი მოვლენის ჭეშმარიტ არსს ძალიან შეკუმშულად გადმოვცემთ, ნამდვილად ასეა.“

„და რა ეშმაკებად ჭირდებათ?“

„როგორ თუ რაში სჭირდებათ?! ცხადია, პაციენტის საკეთილდღეოდ. აქ რაც კეთდება, ყველაფერი პაციენტის კეთილდღეობას ემსახურება. მხოლოდ ჩვენი განყოფილების მიხედვით თუ იმსჯელებ კაცი, ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოს, საავადმყოფო ერთი დიდი, უშველებელი, აწყობილი მექანიზმია და თავისთავად ფუნქციონირებასაც შესანიშნავად მოახერხებდა, პაციენტი, ზოგადად ვამბობ, რომ არ უშლიდეს ხელსო. ოღონდ სინამდვილეში მთლად ასეც არ არის საქმე. მართალია, ჩვენი მის რეჩედი ძირითადად ამისთვის იყენებს, მაგრამ ეშთ-ს მარტო დამსჯელობითი ფუნქცია კი არ ეკისრება! გგონია, მხოლოდ პერსონალის წმინდა სადისტური მიდრეკილებების დაკმაყოფილებას ემსახურება? არა, გენაცვალე. იცი, რამდენი გადადებული მოაბრუნა შოკმა სააქაოს? ბევრს უშველა, ბევრს, როგორც ლობოტომიამ ანდა ლეიკოტომიამ... შოკურ მკურნალობას გარკვეული უპირატესობებიც ახასიათებს: იაფია, სწრაფი, სრულიად უმტკივნეულო. ერთი ეგაა, კრუნჩხვებს იწვევს.“

„ეს ცხოვრებაა?“ ოხრავს სეფელტი. „ზოგს შეტევების შესაჩერებლად აბებს აყლაპებენ, ზოგსაც დენს უერთებენ შეტევის გამოსაწვევად.“

ჰარდინგი უფრო ახლოს იხრება მაკმერფისკენ, სეფელტის ნათქვამი უნდა აუხსნას. „ყველაფერი ასე დაიწყო: ორი ცნობილი ფსიქიატრი სასაკლაოს ესტუმრა, ღმერთმა იცის, რა ჟინმა მოუარა ან ერთს, ან მეორეს, ოღონდ კარგა ხანს კი იდგნენ და დიდი ინტერესით შესცქეროდნენ, როგორ უბათქუნებდნენ თვალებშორის უშველებელ ურoს და როგორ ხოცავდნენ საქონელს. ისიც კარგად შეამჩნიეს, ურoს დარტყმით ყველა პირუტყვი მაშინვე არ კვდებოდა, ზოგი ძირს ენარცხებოდა და ზუსტად ბნედიანივით იწყებდა კრუნჩხვას. „ააა, zo!“ უთქვამს ერთ ღვაწლმოსილ დასტაქარს მეორისათვის. „აი, ეზ არიზ ზუშ-

ტად იშ, რაჩ შვენს პაჩიენთებშ შჩირდებათ – ხელოვნური შეთევა!“ რასაკვირველია, კოლეგაც დაეთანხმა. მაშინ უკვე ცნობილი გახლდათ, რომ ეპილეფსიური კონვულსიების შემდეგ ავადმყოფები ცოტა ხანს წყნარდებოდნენ და მშვიდდებოდნენ, განსაკუთრებით შმაგებიც კი – ვისთან უბრალო კონტაქტის დამყარებაც კი უკიდურესად ჭირდა – სწორედ კონვულსიების შემდეგ, გარკვეული პერიოდი, სავსებით დალაგებულად ლაპარაკობდნენ. მიზეზი ვერავინ ახსნა; ვერც ახლა ახსნის ვინმე. არადა, აშკარად ჩანდა – თუ მსგავსი კრუნჩხვების არაეპილეპტიკებში გამოწვევაც მოხერხდებოდა, შედეგად დიდი წარმატება იყო მოსალოდნელი. მით უმეტეს, დასტაქართა თვალწინ იდგა ცოცხალი კაცი, რომელიც ლამის ყოველ წუთში ერთხელ და თან საოცარი აპლომბით იწვევდა ფეთქებად კრუნჩხვებს საცოდავ პირუტყვებში.“

ფეთქებადი რა შუაშია, მე მეგონა, სასაკლაოებზე უროს ხმარობდნენ და არა ყუმბარებსო, – ამბობს სქანლონი, მაგრამ ჰარდინგი იმის ნათქვამს აინუნშიც არ აგდებს, გამოცოცხლებული, თავის ისტორიულ ექსკურსს აგრძელებს.

„ყასაბი ნამდვილად ურუს ხმარობდა. და კოლეგასაც სწორედ ურუსთან დაკავშირებით გაუჩნდა გარკვეული შენიშვნები. მოგეხსენება, ადამიანი ძროხისგან ცოტათი განსხვავდება. ურუს ტარიც შეიძლება ხელიდან გაგისხლტეს, შეიძლება ვინმეს, შორიახლოს მდგომს, ცხვირ-პირი გაუჩეჩქვო ანდა ოცდათორმეტივე კბილი დააყრევინო... დანტისტის ხელობის საყოველთაო სიძვირის პირობებში მართლა მძიმე დღეში ჩავცვივდებოდით. მოკლედ, ეს ჩვენი დასტაქრები თუ სერიოზულად აპირებდნენ, ადამიანისთვისაც დაეკრათ თავში, რამე ურუზე უფრო საიმედო და მოსახერხებელი უნდა ეპოვათ. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს არჩევანი ელექტრობაზე შეაჩერეს!“

„უფალო იესო ქრისტე! მაგარი რამე მოუფიქრებიათ... კი მარა, ყაყანი არავინ ატეხა? პარტიებმა, ორგანიზაციებმა?..“

„არა მგონია, მთლად კარგად იცნობდე ჩვენს საზოგადო-

ებას, მეგობარო. ამ ქვეყანაში რამე თუ გაფუჭდა, შეკეთების უსწრაფესი გზა ავტომატურად საუკეთესოდაც ითვლება.“

მაკმერფი შეფიქრიანებული აქნევს თავს. „ჩემი კარგი!.. ელექტრონი თავში... ეგ იგივეა, გინდა მკვლელი ელექტრონის სკამზე დაგისვია.“

„სხვათა შორის, ორივე ამ ღონისძიების მიზანი გაცილებით უფრო მჭიდროდაა გადაჯაჭვული, ვიდრე შენ გგონია; ერთიც მკურნალობაა და მეორეც.“

„მაიცა და, მტკივნეული არ არიო?“

„პირადად ვიძლევი გარანტიას. სრულიად უმტკივნეულოა. ერთს გაიელვებს და იმწამსვე კარგავ გონებას. არავითარი გაზი, არავითარი ნემსი, არავითარი ყასბის ურო... სრული და აბსოლუტური გაუტკივარება. ოღონდ საქმე ისაა, მეორეჯერ ამის განცდის მსურველს სანთლით ვერ იპოვი. კაცი რაღაცნაირად... იცვლები! რაღაც-რაღაცეები გავიწყდება. თითქოს...“ საფეთქლებზე ხელებს იჭერს და თვალებს ხუჭავს. „თითქოს დენის დარტყმისთანავე ირთვება გიჟური კარუსელი – სახეების, ემოციების, მოგონებების. ალბათ შენც გინახავს ეგეთი კარუსელები: ატრაქციონისტი ფულს გამოგართმევს, ღილაკს თითს დააჭერს და – წავიდააააა! მუსიკის, სინათლეების, ციფრების მორევი ტრიალებს და ტრიალებს, თავბრუსხვევამდე, გულისრევამდე... თუ ბედმა გაგიღიმა და შენს ციფრზე გაჩერდა, რამეს მოიგებ, არადა წააგებ და ხელახლა ცდი ბედს. გადაუხადე ბიძიას ფული და სცადე თავიდან! გადაუხადე!“

„კარგი, ჰარდინგ, დაწყნარდი!“

კარი ისევ იღება, ბორბლებიანი საკაცით ბოლო პაციენტიც გამოყავთ და ტექნიკოსები ყავის დასალევად მიდიან. მაკმერფი ქეჩოს იფხანს. „ეტყობა, ამ ამბების მიხვედრას ჩემი ჭკუა არ ეყოფა.“

„რაზე ამბობ, შოკურ თერაპიაზე?“

„ხო. არა, მარტო მაგაზეც არა... საერთოდ...“ ხელით წრეს ხაზავს ჰაერში. „რაც ხდება...“

ჰარდინგი მუხლზე ადებს ხელს. „დაიწყნარე აღგზნებული გონება, მეგობარო. ისეთი პირი უჩანს, ეშთ-ზე აღარ უნდა ინერვიულო. ეტყობა, უკვე გავიდა მოდიდან და უკიდურეს შემთხვევებშიღა იყენებენ, როცა სხვა გამოსავალი არ რჩება. ლობოტომიის არ იყოს.“

„ეგ რომელია? ნაწილ-ნაწილ რო გაჭრიან ტვინს?“

„ამჯერადაც სწორი ბრძანდები. ძალიან უცებ გაიწაფე აქაურ ჟარგონში. დიახ, ტვინის ამოჭრა! წინა ნაწილის კასტრაცია. წელს ქვევით თუ ვერაფერს დაგაკლებს, წარბებს ზევით ჭრა-კერვით მაინც მოიოხებს გულს...“

„რეჩედზე ამბობ?“

„რასაკვირველია.“

„არ მეგონა, ეგეთ საქმეებშიც ექთნის ჭკუაზე თუ ივლიდნენ.“

„კი დადიან და...“

მაკმერფის, როგორც ჩანს, შოკის და ლობოტომიის თემის ამოწურვა სიამოვნებს და ხალისით იწყებს ისევ მთავარ ექთანზე საუბარს. შენი აზრით, მაინც რა ჯანდაბა ჭირს ეგეთიო, – ეკითხება ჰარდინგს. ჰარდინგს, სქანლონს და ზოგიერთ სხვასაც ამ საკითხთან დაკავშირებით ათასნაირი მოსაზრება აქვთ. ცოტა ხანს საქმიანად მსჯელობენ, მართლა მის რეჩედია თუ არა ყველა აქაური უბედურების თავი და თავიო – და ჰარდინგი ასკვნის, კი, ძირითადად ასეაო. დანარჩენებიც ასე ფიქრობენ, მაკმერფის კი უკვე ეჭვი შეპარვია. ერთ დროს მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ ეხლა აღარ ვიციო, აღიარებს. თავიდან რომც მოგვაშორონ, არა მგონია, დიდი შვება ვიგრძნოთო; რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანია მთელი ამ დომხალის მიზეზიო... დიდხანს ლაპარაკობს, იმ სხვა მიზეზის პოვნას ცდილობს ხმამაღლა, მაგრამ, როცა თავისი ეჭვების ხეირიანად ახსნას ვერ ახერხებს, ბოლოს ისიც ჩუმდება.

ჯერ წესიერად თვითონაც არ იცის, ჯერ ვერ გაუაზრებია, მარტო ტანი უგრძნობს იმას, რასაც მე დიდი ხნის წინ მივხვდი: ცხადია, თავისთავად მთავარი ექთანი კი არაა დიდი უბედურება,

არამედ კომბინატი, მთელი ქვეყნის მომცველი და მართლა ანგარიშგასაწევი ძალა. მთავარი ექთანი უბრალოდ ამ ურჩხულის ერთი მაღალკვალიფიციური მოხელეა და სხვა არაფერი.

ბიჭები მაკმერფის არ ეთანხმებიან. ამბობენ, როგორ, ჩვენ არ ვიცით, ვინც გვიშრობს სისხლსო, და ისევ ცხარე კამათს იწყებენ. იქამდე კამათობენ, სანამ მაკმერფი უცებ არ აყვირდება.

„თქვენ რო გისმინოთ კაცმა, მართლა დაუსტვენს," ცხარობს მაკმერფი. „სულ ჩაგვრა, ჩაგვრა და ჩაგვრა გაკერიათ პირზე! რეჩედი გვჩაგრავსო, პერსონალიო, საავადმყოფოო... აი, სქანლონს ყველაფრის აფეთქება უნდა. სეფელტი წამლების მომგონს აგინებს. ფრედრიქსონი – ოჯახისას. ეგრე ადვილია, ძმაო, მარტო სხვების დადანაშაულება!"

თქვენი მთავარი ექთანი ერთი ჩვეულებრივი, ცივსისხლიანი დედაბერია და ტყუილად გინდათ, რქებით დამაჯახოთო; ეგ ხეირს არავის დააყრის, მით უმეტეს – მეო. ქალისგან გათავისუფლება მთელი ამ ჩაგვრის გამომწვევი ნამდვილი, უჩინარი წყლულისგან ვერ განგვკურნავსო.

„მართლა ასე ფიქრობ?" ეკითხება ჰარდინგი. „მაშინ კარგი, რაკი სულიერი ჯანმრთელობის საკითხებში ამდენად გათვითცნობიერდი, ისიც აგვიხსენი, მთავარი პრობლემა რა არის? რა სახელი ჰქვია იმ, როგორც ხატოვნად ბრძანე, უჩინარ წყლულს?"

„აბა რას გეუბნები, ძმაკაც, არ ვიცი-მეთქი! აქაურობის მსგავსი ჯერ ცხოვრებაში არაფერი მინახია." ცოტა ხანს გაუნძრევლად ზის, რენტგენის კაბინეტიდან გამომავალ ბზუილს უსმენს. „ოღონდ, რასაც შენ ამბობ, იმის მეტი თუ მართლა არაფერია, თუ მართლა ეგ ბებერია ყველაფრის თავი და თავი, მაგისი სექსუალური სადარდებლები, მაშინ ერთი გადაგეყვანათ პარტერში, გეცათ პატივი და მოევლებოდა ყველაფერს. არა რო?"

სქანლონი ტაშს უკრავს. „არ გაარტყა ათიანში?! სწორია, მაკ! ჩათვალე, რო შენი კანდიდატურა ერთხმად გავიდა. შენა ხარ ამ საქმის დიდოსტატი. ნამდვილად!"

„მე არა... დიდი მადლობა. მისამართი შეგეშალათ."

„რატომაც არა? რაც შენ იტრაბახე! მეგონა, აწყვეტილი ბუღა იყავი.“

„სქანლონ, ძმაო, მე კაი ხანია დავიგინე, იმ ბებერ სვავს საერთოდ სათოფეზე აღარ გავეკარო.“

„შეგატყვე, ხომ იცი!“ ღიმილით ეუბნება ჰარდინგი. „ვიფიქრე, გუგულებივით იყვნენ და რა შავმა კატამ გაურბინათ-მეთქი? ისე, კუთხეში კი გყავდა უკვე მიმწყვდეული; არ უნდა გაგეშვა. რა მოხდა, უცებ თანაგრძნობით განიმსჭვალე ჩვენი მფარველი ანგელოზის მიმართ?“

„არა, უბრალოდ რაღაც-რაღაცეები გავარკვიე. გავიკითხ-გამოვიკითხე. ისიც გავიგე, რატო უკოცნით დიდ ლოყას მონდომებით, რატო ეგლისებით და ფეხქვეშ რატო ეგებით. მეც დავჭკვიანდი და მივხვდი, რა შარშიც მხვევდით, ძმებო!“

„მართლა? საინტერესოა.“

„საინტერესო და ეგრე?! მეც ძაან მაინტერესებს, ქლიავებო, რატო არ გამაფრთხილეთ, ცეცხლს ეთამაშებიო? რატო არ მითხარით, ძალიანაც ნუ გაუთამამდები და ნუ გაუშინაურდებიო? კი, მაგრა არ მევასება, მარა მარტო მაგიტომ ამ კურორტზე ერთი წლით დარჩენას ნაღდად არ ვაპირებ! ხანდახან კაცმა წყენა უნდა ჩაყლაპო კიდეც, რაღაცეებზე თვალი დახუჭო, სიამაყესაც მიაფურთხო... ჯერ თავო და თავოო – არ გაგიგიათ?“

„მეგობრებო, არ გეჩვენებათ, რომ იმ ჭორებს, მისტერ მაკმერფი დადგენილ წესებს მხოლოდ იმიტომ შეეგუა, დროზე ადრე გათავისუფლების შანსი არ გაუშვას ხელიდანო, რეალური საფუძველი გააჩნია?“

„შენც მშვენივრად იცი, რაზეც ვლაპარაკობ, ჰარდინგ! რატო არ მითხარი, იმდენ ხანს შეუძლია აქ გაყურყუტოს, სანამ ბოლომდე ყოფას არ გიტირებსო?“

„უკაცრავად, დამავიწყდა, აქ იძულებით რომ მოგათავსეს.“ ჰარდინგს ნაძალადევი ღიმილი სახეს უბზარავს. „დიახ, მისტერ მაკმერფი, თქვენ ნამდვილად დაბრძენებულხართ, არც ერთ ჩვენგანს აღარ დაგვიდებთ ტოლს.“

„არა, ბიჭო! არა, ისე, მაინცდამაინც სუ მე რატო უნდა ვმდგარიყავი წინა რიგში? თქვენ რაღაც სირობებზე წუწუნებდით – კარს ნუ გვიკეტავთო, სიგარეტს ნუ გვამადლითო – და მეც ყველას მაგივრად ვიჭაჭებოდი! ან თავიდან რას მომცვივდით, გვიშველე, გვიხსენიო... რომელი მესია მე მნახეთ? კიდე კაი, დროზე მოვკარი ყური, აქ საბოლოოდ ექთნები წყვეტენ, ვინ გაუშვან და ვინ დატოვონო. აი, სწორედ მაშინ დავბრძენდი! მივხვდი, მომატყუეს ამ შებერტყილმა ნაბიჭვრებმა, მახვეტინეს თავიანთი ნაგავი-მეთქი. არა, მართლა როგორია – არიფივით გაცუცურაკებული რ. პ. მაკმერფი! ხურავს!“ თავს უკან აგდებს და სკამზე ჩამოსკუპებულებს ტკბილად გვიღიმის. „კარგი, ხო, არ გეწყინოთ, პირადად არავინ მიგულისხმია. მოვრჩეთ ბაზარს. აქედან დროზე დახვევა მეც ისე ძაან მინდა, როგორც თქვენ ყველას. ბებერი სვავის გაღიზიანებით ვერავინ ვერაფერს მოვიგებთ.“

იღიმება, თვალს ეშმაკურად გვიპაჭუნებს, ჰარდინგს ნეკნებში ცერს წაკრავს – ვითომ, მოთავდა გაუგებრობა, გულში არავის არაფერი ჩარჩენიაო – და ამ დროს უკვე ჰარდინგი ამბობს:

„არა, მაკ, არა. შენ ჩემზე გაცილებით მეტს წააგებ, მეგობარო.“

ჰარდინგიც იღიმება, გაცეცებული, დამფრთხალი, ჟინიანი ჭაკის თვალებით უყურებს მაკმერფის და საცაა, თავსაც მართლა ჭაკივით აიქნევს. ყველა ერთდროულად ვინაცვლებთ ადგილს სკამზე, მაკმერფისკენ და ჰარდინგისკენ ვიჩოჩებთ. კაბინეტის გამოღებულ კარში მოჩანს, როგორ გამოდის რენტგენის ეკრანს იქიდან მარტინი, პერანგს იბნევს და ბუტბუტებს – ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდიო. მარტინის ადგილს ბილი ბიბიტი იკავებს, ახლა ის უახლოვდება შავ შუშას.

„ჩემზე გაცილებით მეტი გაქვს დასაკარგი,“ აგრძელებს ჰარდინგი. „მე მოხალისე ვარ. ძალით აქ არავის მოვუყვანივარ.“

მაკმერფი ხმას არ იღებს. ახლაც აშკარად გაოგნებული ჩანს, სახეზე აწერია ყველაფერი, ხვდება, რაღაც ახალი შარი გამო-

მიტყვრაო, ოღონდ რა – ვერ გაუგია. გაუნძრევლად ზის და ჰარდინგს არ აშორებს თვალს. ჰარდინგის მორცხვი ღიმილი უკვალოდ ქრება; მაკმერფის უცნაური მზერით შეცბუნებული, ადგილზე ცქმუტვას იწყებს. გაჭირვებით ყლაპავს ნერწყვს და ამბობს: „სხვათა შორის, ამ განყოფილებაში იძულებით მოთავსებული სულ რამდენიმე კაცია. აი, სქანლონი... ხოო... ალბათ, ზოგი ქრონიკული და... და შენ. მთლიანად საავადმყოფოშიც არ არის ბევრი. არა, ბევრი არ არის."

მერე ჩუმდება, იმის ხმა თითქოს მაკმერფის მზერაში იწრიტება. „შენ რა, მაშაყირებ?" წყნარად ამბობს მაკმერფი ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. ჰარდინგი თავს აქნევს. შეშინებული ჩანს. მაკმერფი ფეხზე დგება და უკვე მთელი დერეფნის გასაგონად ღრიალებს: „ბიჭებო, თქვენ რა, მაშაყირებთ?"

პასუხის გაცემას ვერავინ ბედავს. მაკმერფი გრძელი სკამის წინ მიდი-მოდის, თან გრუზა თმას იჩეჩავს. ჩაუყვება რიგს ბოლომდე და უკან ბრუნდება, რენტგენის კაბინეტის კარისკენ. კაბინეტში აპარატი შიშინებს და იფურთხება.

„შენა, ბილი? ღმერთს გაფიცებ, მართალი თქვი – შენ ხო ძალით ხარ მოყვანილი?"

ბილი უკვე ჩვენკენ ზურგით დგას კაბინეტში, ნიკაპი შავი ეკრანის კიდეზე ჩამოუდვია, თითის წვერებზე აწეულა. არაო, – ეუბნება აპარატს.

„აბა რა გინდა აქ? რა? ახალგაზრდა კაცი ხარ! შენ ეხლა კაბრიოლეტით უნდა დაგრიალებდე, გოგოებს დასდევდე... ძმურად, მითხარი, აი ეს ყველაფერი..." ჰაერში იქნევს ხელს, „...რა ჩემფეხებად გჭირდება?!"

ბილი ხმას არ იღებს და მაკმერფიც დანარჩენებისკენ ტრიალდება.

„ამოიღეთ ხმა! დღედაღამე წუწუნებთ, ტვინი წამჭამეთ, როგორ ვერ იტანთ აქაურობას, ექთანს, ყველაფერს... და რა, ძალით მოყვანილები არა ხართ? არა, ბებრების მესმის, ქრონიკულების, მართლა მაგრა ერეკებიან და ღმერთმა გაუმარჯოთ,

მარა თქვენ? კაი, მთლად დალაგებულები არა ხართ, თქვენისთანას ყველა ფეხის ნაბიჯზე ვერ გადაეყრები ქუჩაში, მარა არც ეგრე ერეკებით...“

არავინ ეკამათება. სეფელტის ჯერი დგება.

„შენ რაღას იტყვი, სეფელტ? შენ ხო ისეთი არაფერი გჭირს, ხანდახან შეტევა წამოგივლის და ეგ არი! ამის დედა ვატირე, ბიძა მყავდა ერთი – ათასჯერ შენზე უარესი ფლანთხვები მოსდიოდა, პირადად ეშმაკის გამოგზავნილ წერილებს იღებდა – და საგიჟეთში არ დაუმწყვდევიათ. შენ რა დაგეტაკა, ცოტა ვაუკაცობა გამოგეჩინა და გეცხოვრა ადამიანურად...“

„აბა რა!“ ეს ბილია, ჩვენკენ მოუბრუნებია თავი, სახეზე მდუღარე ცრემლი სდის. „რა თქმა უნდა!“ ლამის კივის. „ვ-ვ-ვაუკაცობა გგგ-ამოგვეჩინა! ვაუკაცობა რ-რომ მმ-მ-მქონდეს, დღესვე შ-შ-შემიძლია აქედან გ-გ-გასვ-ვ-ვლა. დ-დ-დედაჩემი მის რ-რ-ეჩედის ა-ააახლო მეგობარია, შუადღემდე გ-გ-გგგ-ამიმზადებდა ს-ს-საბუთებს... ვ-ვ-ვ-აუკაც-ც-ობა რომ მქონდეს!“

სკამზე მიგდებულ მაისურს აფრინდება და ცდილობს, თავზე გადაიცვას, მაგრამ ისე კანკალებს, არაფერი გამოსდის. ბოლოს მაისურს გამწარებული ისვრის და ისევ მაკმერფის ეტაკება.

„შენ გგონია, მე მ-მ-მინდა აქ დ-დ-არჩენა? გგონია, არ მომეწონებოდა კა-კაჰ-კაბრიოლეტით გრიალი, თ-თ-უჰ ლ-ლ-ლამაზი გოგოები მ-მ-აწყენდა? ოღ-ოღ-ოღონდ ალალად მი-მი-მიჰთხარი – შენთვის რ-რ-როდისმე დ-დ-დაუცინიათ? არა! იმ-მიტომ რომ ჯანიანი ხარ დ-და თან ეგეთი შემყვანი! მ-მ-მე კიდე არც ერთი ვ-ვ-ვარ და არც მმმ-მ-მეორე. არც ჰარდინგი. არც ფ-ფრედრიქსონი. არც ს-სეფელტი. კარგი ერთი, ის-ს-სსე ლლ-ლ-ლაპარაკობ, ვითომ აქაურობა მ-მ-მოგვწონს და იმ-იმ-მმიტომ არ მივდივართ. სუ-სუ-სულლ-ლერთია ყველაფერი!“

ტირის და ენას უკიდებს; ისე მაგრად უკიდებს, ქოშინი უვარდება, სიტყვას ველარ აგრძელებს. ცრემლი ღვარად მოსდის, აბრმავებს და ხელის ზურგებით იწყებს თვალების ფშვნეტას. ერთ ხელზე ფუფხი ძვრება და რაც უფრო მაგრად ისრესს თვალებს,

მით უფრო მეტად ეგლისება სახეზე სისხლი. მერე ბრმად, უაზროდ გარბის, აქეთ-იქით აწყდება მთელ დერეფანში, კედლებს ეხლება სახეზე სისხლგადღაბნილი. შავი ბიჭი ფეხდაფეხ მისდევს.

მაკმერფი ისევ ჩვენკენ ტრიალდება და კიდევ რაღაცის საკითხავად პირსაც აღებს, მაგრამ როცა ბიჭების თვალებს ხედავს, სიტყვის უთქმელად მაგრად მუწავს ტუჩებს. დაახლოებით ერთ წუთს დგას ჩუმად ახლა უკვე „იმ“ კარის მოქლონებივით ჩარიგებული თვალების წინ; ამის დედაც ვატირეო, – ამბობს მერე რაღაცნაირი უჯიგრო ბრაზით, ისევ იხურავს ქუდს, მაგრად იფხატებს და თავის ადგილზე ჯდება. ყავის დასალევად წასული ტექნიკოსები ბრუნდებიან და მოპირდაპირე ოთახში შედიან. როცა კარი ფშვინვით იღება, ჰაერი უცებ იჟღინთება მჟავის სუნით, თითქოს უამრავი აკუმულატორი ერთად დატენესო. მაკმერფი ზის და კარს თვალს არ აშორებს.

ეტყობა, ამის მიხვედრას ჩემი ჭკუა არ ეყოფაო, – ამბობს.

როცა ისევ ეზოში გამოგვიყვანეს და ჩვენი განყოფილების გზას გაგვიყენეს, მწვანე პიჟამის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, წარბებამდე ქუდჩამოფხატული მაკმერფი მწკრივის ბოლოში მოჩანჩალებდა და ფიქრიანად დასცქეროდა ჩამქრალ სიგარეტს. ხმას არავინ იღებდა. უკვე ბილიც დააწყნარეს, მწკრივის თავში მიაბიჯებდა, ერთი მხრიდან შავი ბიჭი ამოდგომოდა გვერდში და მეორედან – დასაშოკის ხალისიანი ტექნიკოსი.

სხვებს ჩამოვრჩი, მაკმერფის დაველოდე, მინდოდა მეთქვა, რა ვუყოთ, არავითარი საშველი თუ არ არსებობს, მაგიტომ ნუ იტანჯები-მეთქი – ხომ ვხედავდი, რაღაც საფიქრალი უღრღნიდა ტვინს, აწვალებდა, როგორც ძაღლს აწვალებს და აფორიაქებს უცნობი სორო: ერთი ხმა ეუბნება, გადი იქით, ძაღლო, ეგ სორო შენი საქმე არ არის, ძალიან ღრმაა და ბნელი, ირგვლივაც დათვის, თუ ვინ იცის, კიდევ უარესის უამრავი ნაკვალევიაო. რაღაც სხვა ხმა კი, ყურისგამხვრეტი, საკუთარი მოდგმის წარსულიდან მომავალი, არც ფრთხილი და არც მაინცდამაინც მაცდური, ჯიუტად უჩურჩულებს: მიდი, ძაღლო, მიდი, ნახეო!

მინდოდა მეთქვა, ნუ იტანჯები-მეთქი, ის იყო, დავაპირე კიდეც ხმის ამოღება, მაგრამ სწორედ ამ დროს მაკმერფიმ თავი აწია, ქუდი კეფაზე მოიგდო, ნაბიჯს აუჩქარა, დაგვაჯულ შავ ბიჭს წამოეწია, მხარზე ხელი დაკრა და კითხა – რას იტყვი, სემ, შეიძლება ერთი წუთით ბუფეტში შევიარო და რამდენიმე ბლოკი სიგარეტი დავიადოო?

არ მინდოდა, ჩამოვრჩენოდი და შეფუცხუნება მომიწია. აჩქარებული გულისცემა ხმამაღლა, გიჟურად რეკავდა და ხმიანებდა თავში. მერე, მართალია, გულისცემა დამიმშვიდდა, მაგრამ იგივე ხმა ბუფეტშიც მესმოდა – უკვე ჟღრიალა ექოდ ქცეული. ხმამ გამახსენა სწორედ შემოდგომის ცივი პარასკევი საღამოები, იმდროინდელი განცდები, როცა ფეხბურთის მოედანზე გულისფანცქალით ველოდებოდი, როდის დაარტყამდნენ ბურთს და როდის დაიწყებოდა თამაში. ზარების რეკვასავით ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ხოლმე და ვინ იცის, რამდენჯერ მიფიქრია – გავგიჟდები, ასე დგომა და ლოდინი აღარ შემიძლია-მეთქი; მაგრამ მერე ბურთზე ფეხის დარტყმის ხმაც გაისმებოდა, წამშივე მიწყდებოდა და თამაშიც ხურდებოდა. ახლაც, როგორც იმ პარასკევ საღამოობით, იგივე ხმა რეკავდა თავში, ისეთივე ჟინიან, ამაფორიაქებელ მოუთმენლობას ვგრძნობდი და დანახვითაც ყველაფერს მკაფიოდ და გამძაფრებულად ვხედავდი, როგორც ადრე, თამაშის დაწყებამდე, ანდა როგორც ცოტა ხნის წინ, ღამე, როცა საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ვიყურებოდი: მკაფიოდ და ნათლად; საგნებს თითქოს ძველი, იმ დავიწყებული ცხოვრების დროინდელი სიმკვრივე დაებრუნებინათ: კბილის პასტის კოლოფებსაც და ფეხსაცმლის ზონრებსაც, კოხტად ჩაწიკწიკებულ მზის სათვალეებსაც და უსინდისოდ რეკლამირებულ კალმისტრებსაც – წყალქვეშ კარაქზე დაწერენ მეორედ მოსვლის დღემდეო – და მთელი ამ დოვლათის ქურდბაცაცებისგან დასაცავად დახლს ზევით, მაღლა თაროზე დასკუპებული დიდთვალება დათუნიების რაზმსაც.

მაკმერფი ბრაგაბრუგით მოუახლოვდა დახლს, გვერდში ამომიდგა, შარვლის ჯიბეებს კაუჭებივით გამოსდო ცერი თითები და გამყიდველ გოგონას „მარლბოროს“ ორი ბლოკი სთხოვა. „სამიც შეიძლება,“ უთხრა ღიმილით, „გადავწყვიტე, სულ გავბუღო მთელი განყოფილება.“

თავში ზარების რეკვა შუადღის შეკრებამდე არ შეწყვეტილა. უყურადღებოდ ვუსმენდი, როგორ ამუშავებდნენ საცოდავ სე-

ფელტს, აიძულებდნენ საკუთარი პრობლემების რეალობისთვის თვალი გაესწორებინა, იქნებ როგორმე გარემოსთან შეგუება მოეხერხებინა („დილანტინის ბრალია ყველაფერი!“ ბოლოს უკვე კივის სეფელტი. „კარგი ერთი, მისტერ სეფელტ, გულწრფელი თუ არ იქნებით, როგორ გინდათ გიშველოთ?“ უკვირს მთავარ ექთანს. „რა, დილანტინმა არ ჩამაგდო ამ დღეში?! დილანტინმა არ მომისპო ღრძილები?!“ ქალი მშვიდად იღიმება: „ჯიმ, თქვენ უკვე ორმოცდახუთი წლის ხართ...“) და უნებლიეთ კუთხეში მიმჯდარი მაკმერფისკენ გამექცა თვალი. არც ბანქოს დასტით ერთობოდა და არც ჟურნალში ცხვირჩარგული თვლემდა – როგორც მუდამ ბოლოდროინდელ შეკრებებზე. მხრებიც გაეშალა. გახევებული, წელგამართული იჯდა, თვალები ანთებოდა, სახეზე თავზეხელაღებული კაცის ღიმილი დასთამაშებდა და ხან სეფელტს გახედავდა, ხან მთავარ ექთანს. სანამ იმას ვუყურებდი, რეკვა უფრო გაძლიერდა. უფერულ წარბებქვეშ მაკმერფის თვალები ორ წვრილ, ცისფერ ზოლად გადაქცეოდა, ცეცხლს აკვესებდნენ, როგორც პოკერის მაგიდასთან კარტის საბოლოო გახსნის დროს. ეჭვიც არ მეპარებოდა, ყოველ წამს რაღაც სიგიჟე შეიძლება ჩაიდინოს-მეთქი, ნაღდად დასაბმელებში აყვანის კანდიდატს გავდა. ადრეც მინახავს სხვა პაციენტების მსგავსი თვალები, ასე იყურებოდნენ ხოლმე, სანამ რომელიმე შავ ბიჭს დაეძგერებოდნენ. სავარძლის სახელურს ჩავაფრინდი და ველოდებოდი, რა მოხდებოდა. მეშინოდა, ახლაც იგივე გამეორდებოდა, ვიღაცას დაეტაკებოდა, მაგრამ, არანაკლებ შეშინებულმა, უცებ ვიაზრე – არც არაფერი მოხდება-მთქი!

სეფელტს სანამ არ მოეშვნენ, საერთოდ არ ამოუღია ხმა, ყველაფერს ჩუმად აკვირდებოდა, მერე სავარძელში სანახევროდ შეტრიალდა და ახლა ფრედრიქსონს მიაჩერდა – ის თავისებურად ცდილობდა, მეგობრის სულთამხუთავებისთვის სამაგიერო გადაეხადა: ცოტა ხანს იხმაურა, იწუწუნა, სიგარეტს სამორიგეოში რატომ ინახავენო, ბოლოს გაწითლდა, როგორც ყოველთვის, ბოდიში მოიხადა და დაჯდა. მაკმერფი არც გან-

ძრეულა. სავარძლის სახელურს ხელი გავუშვი და – შემეშალა-მეთქი – გავიფიქრე.

შეკრების დამთავრებამდე ორიოდე წუთი რჩებოდა. მთავარმა ექთანმა ქაღალდები მოაგროვა, მუხლებზე დადებულ კალათში ჩაალაგა, კალათი იატაკზე დადგა და მხოლოდ ერთი წამით თვალები მაკმერფის მიანათა – თითქოს შეამოწმა, ხომ ნამდვილად გვისმენს, ხომ არ ჩაეძინაო. მერე ხელები მუხლებზე დაიკრიფა, თითებზე დაიხედა, ღრმად ამოისუნთქა და თავი გადააქნია.

„იმაზე, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, ძალიან ბევრი ვიფიქრე, ბიჭებო. ექიმ სპაივისაც და პერსონალის სხვა წევრებსაც რამდენჯერმე ვესაუბრე და როგორც არ უნდა გვწყდებოდეს გული, ყველანი მაინც ერთ დასკვნამდე მივედით – სამი კვირის წინანდელ, ენით უთქმელ უმსგავსობას აუცილებლად უნდა მოჰყვეს რაღაც სასჯელი!“ ხელი შემართა და მიმოიხედა. „აქამდე სიტყვაც არ დაგვცდენია, იმედი გვქონდა, საკუთარი ნებით მოიხდიდით ბოდიშს იმ გამომწვევი თავხედობისთვის. მაგრამ არც ერთ თქვენგანს სინდისის ქენჯნის მსგავსიც კი არაფერი გამოგიხატავთ.“

ნებისმიერი შესაძლო შეკამათების ძირშივე აღმოსაფხვრელად ისევ მბრძანებლურად ასწია მაღლა ხელი, ზუსტად ისე, შუშის ჯიხურში მჯდომმა ტაროს კარტზე მკითხავებმა რომ იციან.

„კარგად გამიგეთ: სამკურნალო ეფექტები საფუძვლიანად თუ არ ავწონ-დავწონეთ, ისე არანაირ წესებს არ გახვევთ ხოლმე თავზე, ზედმეტად არაფრით გზღუდავთ. ბევრი თქვენგანის აქ მოხვედრის მიზეზი გარე სამყაროსთან, საზოგადოებრივ წესრიგთან შეგუების უუნარობაა. თქვენ ამ წესრიგის უგულებელყოფა მოინდომეთ, მისგან საერთოდ გაქცევა, სავალდებულო წესების ეშმაკობით თავიდან აცილება! ეტყობა, თავის დროზე, ალბათ ბავშვობაში, ნებას გაძლევდნენ, საზოგადოებაში დადგენილი წესები მასხრად აგეგდოთ და თქვენს ჭკუაზე გეცხოვრათ. წესებს არღვევდით და თან ეს მშვენივრად იცოდით. სას-

ჯელსაც ელოდით, გინდოდათ კიდეც, დანაშაულისთვის დაესაჯეთ, მაგრამ მოლოდინი გიცრუვდებოდათ. თქვენი მშობლების ყოვლად უაზრო და გაუმართლებელმა მიმტევებლობამ, შესაძლოა, იმ ჩანასახის როლი ითამაშა, რომლიდანაც შემდგომში თქვენი ამჟამინდელი ავადმყოფობა აღმოცენდა. ამას რომ ვამბობ, იმედი მაქვს, ყველაფერს სწორად გაიგებთ, მიხვდებით – დისციპლინისა და წესრიგის დაცვის მკაცრი მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ თქვენს კეთილდღეობაზე ზრუნვითაა განპირობებული."

პირველად მხოლოდ ახლაღა შეარხია თავი, ოთახი მოათვალიერა. სახეზე ყალბი სინანული გამოეხატა, ვითომ იძულებითი, ვითომ მისთვისაც არასასურველი ნაბიჯის გამო. ჩემს თავში ზარების გაბმულ, აგანგაშებულ რეკვას თუ არ ჩავთვლით, ირგვლივ სრული დუმილი იყო გამეფებული.

„ასეთ გარემოში მკაცრი დისციპლინის დამყარება იოლი საქმე არ არის. წესით, ამდენს თქვენც მშვენივრად უნდა ხვდებოდეთ. რა შეგვიძლია? ვერ დაგაპატიმრებთ. პურსა და წყალზე ვერ დაგსვამთ. ხედავთ, ალბათ, პერსონალსაც თავისი პრობლემები აქვს. რა ვქნათ, რა ვიღონოთ?"

რაქლიმ გამოთქვა აზრი, რაც უნდა ექნათ, მაგრამ ქალს მისი წინადადებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ვითომ შეშფოთებულ სახეს მალ-მალე აქეთ-იქით აბრუნებდა, წიკწიკით, სანამ ბოლოს ახალი, სულ სხვა გამომეტყველება არ მოირგო. საკუთარ შეკითხვასაც თავადვე გასცა პასუხი.

„ალბათ, რაღაც პრივილეგია უნდა გაგიუქმოთ. იმდღევანდელი ჯანყის მცდელობა გულდასმით გავაანალიზეთ და გადავწყვიტეთ, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად, დღის განმავლობაში სააბაზანოში შეკრება და ბანქოს თამაში აგიკრძალოთ. მე მგონი, ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ არ მოგეჩვენებათ!"

თავს არ არხევდა. ზედაც არავის უყურებდა. აი, სხვებმა კი, უკლებლივ ყველამ, იმ კუთხისკენ გაიხედეს ერთდრო-

ულად. ბებერმა ქრონიკულებმაც კი, ვისაც ვერ გაეგო, ერთ მხარეს რატომ მიტრიალდა ერთბაშად ყველა თავი, იმათაც წაიგრძელეს გალეული, ჩიტის კისრები და დაუფარავი, გაუბედავი იმედით სახეები მაკმერფისკენ მიაბრუნეს.

ერთადერთი მაღალი ნოტი ისე წუოდა თავში, როგორც ადგილიდან მომწყდარი მანქანის საბურავი ქვაფენილზე.

მაკმერფი წელგამართული იჯდა, სქელი წითელი თითით ზარმაცად იწვალებდა ნაკერებს ცხვირზე; გულითადად გაუღიმა ყველას საერთო ყურადღებისთვის მადლობის ნიშნად, ქუდის ბოლო წკიპად აიწია ზევით და მერეღა შეხედა მთავარ ექთანს.

„ძალიან კარგი," თქვა ამ დროს ქალმა. „თუკი გადაწყვეტილებას არანაირი შეკითხვები არ გამოუწვევია, ერთი საათი უკვე გავიდა და..."

სიტყვა გაწყვიტა და თვითონაც მაკმერფისკენ გაიხედა. მაკმერფიმ მხრები აიჩეჩა, ხმამაღლა ამოიოხრა, ხელისგულები მუხლებზე დაიტყაპუნა და სავარძლიდან მოწყვეტით წამოდგა. გაიზმორა, დაამთქნარა, ისევ მოისრისა ცხვირი და შუშის სამორიგეოს შორიახლოს მოკალათებული მთავარი ექთნისკენ დააღირა თავი. გზადაგზა ცერებით ჩაჩაჩულ შარვალს ისწორებდა. სულერთია, რა სულელური საქციელიც არ უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებული, ვატყობდი, მაინც ვეღარაფერი გააჩერებდა. მეც დანარჩენებივით გასუსული ვიჯექი და უხმოდ შევცქეროდი. გრძელი, ძალიან გრძელი ნაბიჯებით უახლოვდებოდა ექთნების სამორიგეოს, ცერები ახლა კავებივით გამოედო შარვლის ჯიბეებისთვის. ქუსლებზე დარტყმული ნალები იატაკის ფილებზე ნაპერწკლებს ყრიდნენ. ახლა ისევ ის ძველი ტყისმჭრელი იყო, თავზეხელაღებული მოთამაშე, მოხეული, ჟღალთმიანი, ჩხუბისთავი ირლანდიელი, დაცარიელებული ქალაქის მთავარ ქუჩაზე მტერთან შესახვედრად მიმავალი, ეკრანიდან გადმოსული კოვბოი.

მიუახლოვდა და მთავარ ექთანსაც თეთრად გადმოეკარკლა თვალები. მაკმერფისგან შარს აღარ ელოდა. ეჭვი აღარ ეპარებოდა, საბოლოოდ დავამარცხეო. იმედი ჰქონდა, ერთხელ და

სამუდამოდ დავაკანონე ამ განყოფილებაში ჩემი წესებიო. არადა, აგერ, მოდის და თან რამხელაა, სახლისოდენა!

ტუჩები ააცმაცუნა, შიშისგან გულგახეთქილმა თვალებით შავ ბიჭებს დაუწყო ძებნა. ამ დროს მაკმერფიც გაჩერდა, სამორიგეოს ფანჯარასთან შედგა, ხმადაგუდულმა მძიმე-მძიმედ გაწელა – მგონი დროა, დილით ნაყიდი სიგარეტი მოვიძიოო და ხელი შუშაში გაყო.

შუშამ ნიაღვარივით იხუვლა, მთავარმა ექთანმა ყურებზე აიფარა ხელი. მაკმერფი თავისი კუთვნილი „მარლბოროს“ ბლოკებიდან ერთ-ერთს წაეტანა, ბლოკიდან ერთი კოლოფი ამოიღო, ბლოკი ადგილზე დააბრუნა, ცარცის ქანდაკებასავით გახევებულ მთავარ ექთანს მიუახლოვდა და ძალიან ფაქიზად, ნაზადაც კი შეუდგა იმისი ქუდიდან და მხრებიდან შუშის ნამსხვრევების გადაფერთხვას.

„მართლა გულით ვწუხვარ, ქალბატონო,“ მოუბოდიშა ქალს. „ისეთი სუფთა იყო შუშა, ისეთი კრიალა, ღმერთმანი, იმის არსებობაც კი გადამავიწყდა.“

ორიოდე წამში მოათავა საქმე. მერე შეტრიალდა, აცახცახებულ და სახემორღვეულ მთავარ ექთანს ზურგი შეაქცია, მთელი პალატა გადაჭრა და თავის ადგილს დაუბრუნდა; გზადაგზა, სიარულში, სიგარეტს უკიდებდა.

ზარების რეკვის ხმა საბოლოოდ მიწყდა.

ნაწილი მესამე

ამ ამბის შემდეგ, საკმაოდ დიდხანს, მაკმერფის უკვე მტკიცედ ეპყრა სადავეები. მთავარი ექთანი კი დროს იგებდა, სანამ რამე ახალი იდეა დაებადებოდა და ისევ დაიბრუნებდა ერთპიროვნულ მმართველობას. მართალია, ჯერ ერთი მნიშვნელოვანი რაუნდი წააგო, ახლა მეორესაც აგებდა, მაგრამ მაინც ოდნავადაც არ ჩქარობდა. რაც მთავარია, სრულებითაც არ აპირებდა მაკმერფისთვის საავადმყოფოდან გაწერის რეკომენდაცია მიეცა. ბრძოლა იმდენ ხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, რამდენსაც ქალი ინებებდა, იქამდე, ვიდრე მაკმერფი ან სერიოზულ შეცდომას დაუშვებდა, ან, უბრალოდ, ფარ-ხმალს დაყრიდა, ანდა თვითონ ქალი გამონახავდა უფრო ეფექტურ ტაქტიკას და კვლავ საყოველთაო პატივისცემას მოიპოვებდა.

ახალი ტაქტიკის გამოძებნამდე კი ბევრი რამე მოხდა. მას მერე, რაც მაკმერფი, ასე ვთქვათ, ხანმოკლე ტაიმაუტიდან ისევ ასპარეზს დაუბრუნდა და შუშის ჩამსხვრევით ხმაურიანად დაადასტურა ცეცხლის ხაზზე ძველი პოზიციების ურყევი ერთგულება, მისი წყალობით განყოფილებაში სხვა საინტერესო ამბე-

ბიც დატრიალდა. საჯარო შეკრებებს ბეჯითად ესწრებოდა, განხილვებში აქტიურად მონაწილეობდა – ღადაობდა, ყველას თვალს უპაჭუნებდა, გაუთავებლად შაყირობდა და ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ოღონდ როგორმე მჭლე სიცილი მაინც გამოეტყუა იმ ხალხისთვის, ვინც თამამად გაღიმებასაც ვერ ბედავდა იმ დღიდან, რაც თორმეტი წელი შეუსრულდათ. მერე კი, ერთ მშვენიერ დღესაც, კალათბურთის გუნდის შესაქმნელად საკმარისი რაოდენობით ბიჭებს მოუყარა თავი და როგორღაც ექიმიც დაიყოლია სპორტული დარბაზიდან ბურთის გამოტანაზე – ხომ უნდა მიჩვეოდა გუნდი ხელში ბურთის დაჭერას. მთავარმა ექთანმა გაიბრძოლა, ხვალ დღის პალატაში ფეხბურთის, ცოტა ხანში კი პოლოს თამაშსაც გააჩაღებენო, მაგრამ ექიმმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოავლინა სიმტკიცე და – გაუშვით, ითამაშონო – თქვა. „კალათბურთის გუნდის ჩამოყალიბების შემდეგ მოთამაშეთა გარკვეულ ნაწილს უკეთესობა დაეტყო, მის რეჩედ. ვფიქრობ, ამ წამოწყების სამკურნალო ეფექტი უეჭველია.“

ქალი გაოგნებული მიაჩერდა. თურმე ცოტ-ცოტა ექიმიც ცდილობდა ძალის გამომჟღავნებას. საუბრის ამგვარ კილოს სამომავლოდ კი დაუმახსოვრებდა, იმ დროისთვის, როცა ისევ დაკრავდა მისი საათი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი და ექთნების სამორიგეოს მიაშურა, დაჯდა და საკონტროლო ღილაკებზე ნერვიულად აათამაშა თითები. დარაჯებმა, სანამ ზომაზე მოჭრილ ახალ შუშას მოიტანდნენ, ცარიელ ჩარჩოში დროებით მუყაო ჩასვეს და მთავარი ექთანიც დილაობით ისე იკავებდა ჩვეულ ადგილს მაგიდასთან, ვითომ მუყაოს ვერც ამჩნევდა, ვითომ ძველებურად ხედავდა ყველაფერს, რაც დღის პალატაში ხდებოდა. მუყაოს იმ ოთხკუთხედს რომ შევცქეროდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ნახატი სახით კედლისკენ შეაბრუნესო.

მოთმინებით ელოდა თავის დროს, ვიდრე მაკმერფი დილაობით თავის ვეშაპებიან შორტებში გამოწყობილი დატანტალებდა ან საძინებელში ერთობოდა ხურდა ფულის მიზანში სროლით,

ანდა დერეფანში დაქროდა აღმა-დაღმა, მსაჯის მონიკელებულ სასტვენს არ აჩუმებდა და მწვავეებს სწრაფ კონტრშეტევაში ავარჯიშებდა – განყოფილების კარიდან იზოლატორამდე, დერეფნის მეორე ბოლომდე. ბურთი მთელ განყოფილებაში ზარბაზანივით გრგვინავდა და მაკმერფიც სერჟანტივით ბღაოდა – დრიბლინგი, შე დედალო, დრიბლინგიო!

ერთმანეთს მხოლოდ ხაზგასმული ზრდილობით ელაპარაკებოდნენ. მაკმერფი ენადათაფლული ეკითხებოდა ხოლმე, საავადმყოფოდან თანმხლების გარეშე გასვლის თხოვნა მაქვს დასაწერი და შეიძლება, თქვენი კალმისტრით ვისარგებლოო? თხოვნას იქვე წერდა, პირდაპირ მთავარი ექთნის მაგიდაზე, ქალის თვალწინ, კალმისტარს და თხოვნას ერთად გაუწვდიდა და მოკრძალებულ მადლობასაც უხდიდა. ქალი ქაღალდს დახედავდა, თვითონაც, რაც შეეძლო, ზრდილობიანად უხსნიდა – ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, თხოვნა პერსონალთან ერთად უნდა განვიხილოთო, „განხილვიდან“ ყველაზე დიდი, სამ წუთში ბრუნდებოდა და მუდამ ერთსა და იმავეს პასუხობდა: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ ეტაპზე თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება თერაპიული თვალსაზრისით გამართლებულად ვერ ჩაითვლებაო. მაკმერფი ერთხელ კიდევ უხდიდა მადლობას, ექთნების სამორიგეოდან გამოდიოდა და ისეთი ძალით ჩაბერავდა ხოლმე სასტვენს, ათი მილის იქით ჩაიმსხვრეოდა ყველა ფანჯარა; თან ყვიროდა – გაინძერით, თქვენი დედა... აიღეთ ბურთი და ცოტა ოფლი გამოიდინეთო.

განყოფილებაში მაკმერფის მოყვანიდან მთელი თვე იყო გასული. ამდენი ხნის მერე უფლება ჰქონდა, დერეფანში გამოკრულ განცხადებების დაფაზე თავისი გვარიც მიეწერა და ეთხოვა, თუნდაც თანმხლებთან ერთად მისი გაშვების საკითხიც მოესმინათ ჯგუფურ შეკრებაზე. მთავარი ექთნის კალმისტრიანად მივიდა კიდეც დაფასთან და გრაფაში „თანმხლების ვინაობა“ ჩაწერა – ქენდი სთარი, პორტლენდელი მაგარი ნაშაო. თან ისეთი წერტილი დასვა ბოლოში, კალმისტარს წვერი მოტყდა. თხოვნას ჯგუფურ შეკრებაზე იხილავდნენ რამდენიმე დღის შემდეგ. სხვათა შორის,

სწორედ ამ განხილვის დღეს ჩასვეს მუშებმა ახალი შუშა ექთნების სამორიგეოში და მაკმერფიმაც, როცა თხოვნაზე უარი უთხრეს იმ საბაბით, მის სთარი პაციენტის თანმხლებად ალბათ მაინცდამაინც ვერ გამოდგებაო, მხრები აიჩეჩა, ეტყობა მიხვრა-მოხვრას უწუნებთო ,– თქვა, წამოიზლაზნა, ექთნების სამორიგეოსთან მივიდა და ახალი შუშაც, რომელსაც ქვევით, კუთხეში, ჯერაც ემჩნეოდა კომპანიის საფირმო ნიშანი, მუშტით ჩაამსხვრია. მერე თითებდასისხლიანებული მთავარ ექთანს უხსნიდა, მეგონა, მუყაოს ამოღების მერე ჩარჩო ჯერაც ცარიელი იყო, როდის მოასწრეს ამ ოხერი შუშის ჩასმა, ხალხი არ უნდა გააფრთხილონო?!

სანამ სქანლონი და ჰარდინგი გადაგდებულ მუყაოს ნაგვიდან ამოათრევდნენ და ისევ ჩარჩოში ჩასვამდნენ, მთავარი ექთანი სამორიგეოში ხელს უხვევდა, იმავე ხვეულიდან მოხეულ სალბუნს ადებდა ჭრილობაზე, რომელსაც სქანლონი და ჰარდინგიც ხმარობდნენ მუყაოს გასამაგრებლად. მაკმერფი უზურგო სკამზე იჯდა, სანამ ტკივილებს დაუამებდნენ, საშინლად იმანჭებოდა და მთავარი ექთნისგან მალულად სქანლონს და ჰარდინგს თვალს უკრავდა. ქალს სახე მინანქარს მიუგავდა, მშვიდი და არაფრისმთქმელი გამომეტყველება ეწერა ზედ, თუმცა შინაგანი დაძაბულობა ნელ-ნელა სხვანაირად იჩენდა თავს – იმის შემხედვარე, რა მაგრად, როგორი გააფთრებით აკრავდა ჭრილობებზე სალბუნს, იოლად შეატყობდი, რამდენი მოკლებოდა ადრე თითქოს ამოუწურავი მოთმინების მარაგს.

მერე ყველას დაგვრთეს ნება, სპორტდარბაზში წავსულიყავით და ჩვენი კალათბურთის გუნდის თამაში გვენახა – ჰარდინგის, ბილი ბიბიტის, სქანლონის, ფრედრიქსონის, მარტინის და მაკმერფის, როცა სისხლისდენა ცოტა ხნით უჩერდებოდა. სანიტრების გუნდს ეჯიბრებოდნენ, ჩვენი ორი მაღალ-მაღალიც სანიტრებში თამაშობდა. საუკეთესოები იყვნენ მოედანზე, წითელი ატლასის ტრუსებიანი წყვილი ჩრდილივით დაქროდა წინ და უკან და მექანიკური სიზუსტით ზედიზედ ყრიდა კალათში ბურთებს. ჩვენი გუნდი ზედმეტად ტანდაბალი და ზანტი გა-

მოდგა, მარტინიც ჯიუტად აძლევდა პასებს მარტო მისთვის ხილულ პარტნიორებს და ოცი ქულით წავაგეთ. თუმცა თამაშის დროს ერთი ისეთი ამბავიც მოხდა, თითქმის გამარჯვების ტოლფასი სიხარული განვიცადეთ მთელმა განყოფილებამ: ბურთისთვის ერთ-ერთი შეტაკებისას შავ ჯეელს, უოშინგტონს, სიფათში ვიღაცის იდაყვი მოხვდა და მთელი იმათი გუნდი კაი ხანს იძულებული იყო, ხელებზე ჩამოკონწიალებოდა, როგორმე გაეკავებინა და დაეწყნარებინა – გავეშებული უოშინგტონი მოსაკლავად იწევდა ბურთზე მშვიდად ჩამოსკუპებული მაკმერფისკენ. მაკმერფი თავისთვის იჯდა, ვითომც არაფერიო, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გაქაჩულ მუტრუკს, რომელსაც კარტოფილივით ცხვირიდან ღვარად სდიოდა სისხლი, მკერდზე ეღვრებოდა – თითქოს დაფაზე წითელი საღებავი მიუსხამთო, თავის გათავისუფლებას ცდილობდა და გიჟივით ღრიალებდა: თითონ არი შარზე! შარზეა ეგ ნაბიჭვარიო!

ტუალეტში სარკით საკითხავ ახალ-ახალ ბარათებსაც არ აკლებდა მთავარ ექთანს. დავთარში საკუთარ თავზე გრძელ, უცნაურ, გაუგონარ ზღაპრებსაც წერდა და „ანონ.“-ო, აწერდა ხელს. დილაობით ზოგჯერ რვა საათამდეც ეძინა. ქალი შეძლებისდაგვარად მშვიდად, დედაშვილურად ტუქსავდა, ის კი იდგა თავჩაღუნული, სიტყვას ჩაათავებინებდა და ბოლოს მთელ ეფექტს უშხამებდა – ნეტავი გამომაცნობინა, რა ზომის ლიფს იცვამთ, ათს, თორმეტს, თუ ლიფს საერთოდ არ ხმარობთო, – მიახლიდა ხოლმე რაღაც ამდაგვარს.

ნელ-ნელა სხვა პაციენტებიც აიყოლია, თავის ჭკუაზე მოაქცია. ჰარდინგი განურჩევლად ყველა პრაქტიკანტ ექთანს ეარშიყებოდა, ბილი ბიბიტმა სულ აიღო ხელი დავთარში საკუთარი, როგორც თვითონ ამბობდა, „დაკვირვებების“ ჩაწერაზე, ერთხელ კი, როცა სამორიგეოში შუშა ისევ ჩასვეს და შუაში თეთრი საღებავით უშველებელი „იქსიც“ დაახატეს მაკმერფის გასაფრთხილებლად – არანაირი ბოდიშები აღარ გაგივაო, – ახლა სქანლონმა ხეთქა კალათბურთის ბურთი ფანჯარას შემთხვე-

ვით და ნამსხვრევებად აქცია, გაშრობაც არ აცალა საღებავს. ბურთი გასკდა, მარტინიმ მკვდარი ფრინველივით აიღო იატაკიდან და მთელ მაგიდაზე მობნეულ ნამსხვრევებს მიშტერებულ მთავარ ექთანს შეუტანა სამორიგეოში. შეეხვეწა, თუ არ შეწუხდებით, იქნებ ლეიკოპლასტირით ან სხვა რამით დაგვიწებოთ, ძალიან გვჭირდებაო. ქალმა უსიტყვოდ გამოგლიჯა ხელიდან ბურთი და ნაგავში გადაუძახა.

მოკლედ, რაკიღა კალათბურთის სეზონი სამუდამოდ დაიხურა, მაკმერფიმ დაასკვნა, ახლა კი თევზაობის დრო დადგაო. ერთხელ კიდევ ითხოვა გაშვება, მას მერე, რაც ექიმს ელაპარაკა და აუხსნა, ფლორენსში, სიუსლოუს ყურეში მეგობრები მყავს და, ცხადია, პერსონალი წინააღმდეგი თუ არ იქნება, იმ ჩემ მეგობრებს ძაან გულით უნდათ, რვა-ცხრა პაციენტი გაშლილ ზღვაში სათევზაოდ გაიყვანონო; დერეფანში გამოკრულ თხოვნის ქაღალდზე კი მიაწერა, რომ ამჯერად „ორეგონ სითის მახლობლად, პატარა სოფელში მცხოვრები ორი მოხუცი, ტკბილი დეიდა“ გაყვებოდა თან. შეკრებაზე გადაწყდა, მომავალ შაბათ-კვირას გაეშვათ. როცა მთავარმა ექთანმა თავის ჟურნალში შვებულების ოფიციალური გაფორმება მოათავა, მოწნულ ჩანთაში ხელი მოაფათურა, დილის გაზეთის ამონაჭერი ამოაძვრინა და ხმამაღლა წაიკითხა. „მართალია, ორეგონის სანაპიროსთან უკვე გახურდა წლევანდელი სათევზაო სეზონი, მაგრამ ორაგული ქვირითობაზე ჩვეულებრივზე უხალისოდ მოდის და ზღვაც სახიფათოდ ღელავსო“ – იუწყებოდა გაზეთი. გირჩევთ, ამაზე დაფიქრდეთო, – უკვე თავისგან დაუმატა ქალმა.

„გადასარევი აზრია,“ წამოიძახა მაკმერფიმ. თვალები დახუჭა და კბილებდაკრეჭილმა ჰაერი ღრმად შეისუნთქა. „დიახ! ბობოქარი ზღვის მარილიანი სუნი, გემი ცხვირით ტალღებს ეხლება – აი, სად უნდა სიმამაცე, აი, როდის გამოჩნდება, ვინ რა ვაჟკაცია და რომელი გემი რომელს ჯობია! მის რეჩედ, თქვენ დამიყოლიეთ. ამ საღამოსვე ვრეკავ და გემს ვქირაობ. თქვენ ჩაგწეროთ?“

ქალმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა, განცხადებების დაფასთან მივიდა და გაზეთის ამონაჭერი ზედ მიაკრა.

მეორე დღესვე დაიწყო მსურველების ჩაწერა, იმათი, ვისაც გემის ქირის ანგარიშში დასადები ათი დოლარი მოეძებნებოდა. მთავარ ექთანს კი ჯიუტად მოქონდა და მოქონდა ახალ-ახალი ამონაჭრები გაზეთებიდან – ან სად პოულობდა ამდენ ცნობას სულ დამსხვრეულ გემებზე და ზღაპრულ ამინდში უცებ ამოვარდნილ გრიგალებზე! მაკმერფი ყველაფერს უბიაბრუებდა, ამშვიდებდა, ჩემ ორივე დეიდას ნახევარ ცხოვრებაზე მეტი ზღვაში აქვს გატარებული, მაგათი უნახავი პორტი არ დარჩენილა და ამერიკის თითქმის მთელ საზღვაო ფლოტსაც პირზე კოცნით იცნობენო; იმათი გამოცდილების ძალიან მჯერა, ისინი კი იფიცებიან – ჩვენი გასეირნება ღვეზელის გამოცხობასავით უხიფათო და პუდინგის ჭამასავით იოლი საქმე იქნებაო; გემუდარებით, ასე ნუ განიცდით და წინასწარ ნუ იხეთქავთ გულსო. ოღონდ ეგ იყო, მთავარი ექთანიც ძალიან კარგად იცნობდა თავის სამწყსოს. გაზეთის ამონაჭრებმა ბიჭები იმაზე გაცილებით მეტად დააფრთხო, ვიდრე მაკმერფი წარმოიდგენდა. იმას ეგონა, სიაში ჩაწერაზე თავ-პირის მტვრევა ატყდებოდა, არადა, ხალხის დასაყოლიებლად დიდი ლაილაი და პირფერობაც კი დაჭირდა, თუმცა ბევრი მაინც ვერ დაიყოლია. გასეირნების წინა დღეს ორი-სამი კაცის ფული მაინც აკლდა მთელი ქირის გასასტუმრებლად.

მე ფული არ მქონდა. არადა, სიაში ჩაწერის სურვილიც ამეკვიატა. რაც უფრო მეტს გვიყვებოდა ორაგულზე თევზაობის ამბებს, მით უფრო მიმძაფრდებოდა წასვლის ჟინი. თან ვიცოდი, ცეცხლს ვეთამაშებოდი: სიაში თუ ჩავეწერებოდი, იგივე იქნებოდა, გინდაც საკუთარი პირით საჯაროდ მეღიარებინა – ყრუ არა ვარ-მეთქი. თუ გავამხელდი, მეც რომ მესმოდა მთელი ეს ლაპარაკი გემებზე და თევზაობაზე, ათწლიანი ეშმაკობა და თვალთმაქცობა სულ წყალში ჩამეყრებოდა. მერე მთავარ ექთანს რა გადაურჩებოდა! თავისი ჭკუით ყველასგან მალულად დაწყობილი ვერაგული

ხრიკების და მუხანათური გეგმების მოწმის ვინაობას როცა გაიგებდა, ელექტროხერხით გადამჭრიდა შუაზე, იქ გამომამწყვდევდა, სადაც მართლა სამუდამოდ დავყრუვდებოდი და დავმუნჯდებოდი. წასვლა ნამდვილად ძალიან მინდოდა, გულიც მწყდებოდა, ოღონდ თან ცოტა მეცინებოდა კიდეც, როცა ვფიქრობდი – თუ ვაპირებ მომავალშიც საერთოდ რამე გავიგონო, ჯობია ისევ ყრუ-მუნჯივით მოვიქცე-მეთქი.

თევზაობის წინა ღამეს ლოგინში ვიწექი, ერთხელ კიდევ ვფიქრობდი მთელ ჩემს ცხოვრებაზე, ბედზე, ყველაფერზე... სიყრუეზეც, იმ წლებზეც, როცა არავის ვუმჟღავნებდი, რამე თუ მესმოდა – და მინდოდა გამომეცნო, მომავალში, როდისმე მაინც, სხვაგვარად მოქცევას მოვახერხებდი თუ ვერა. ერთ რამეში მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული: მთელი ეს თვალთმაქცობა პირველს მე არ დამიწყია; ხალხი მექცეოდა ისე, თითქოს იმდენად ჩლუნგი ვიყავი, არც გაგონება შემეძლო რამის, არც დანახვა და არც თქმა.

თან საავადმყოფომდე დაიწყო ყველაფერი, მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ აქ ამოვყოფდი თავს. ჯარშიც ასე მექცეოდნენ, ყველანი, ვისაც ჩემზე მეტი ზოლი ეკერა სამხრეებზე. იმათი ღრმა რწმენით, ჩემნაირ არსებასთან სხვანაირად არც შეიძლებოდა. ჯარი რა, ჯარამდე კაი ხნის წინაც, დაწყებით სკოლაში, მახსოვს, ყველა გაიძახოდა, არა გვგონია, გვისმენდესო და ბოლოს უკვე ჩემს ნათქვამსაც აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ვიწექი ლოგინში და ვცდილობდი გამეხსენებინა, როდის შევნიშნე ეს პირველად. მგონი მაშინ, როცა ჯერაც სოფელში ვცხოვრობდი, ქალამბიაზე. ზაფხული იდგა...

...ასე, ათიოდე წლისა ვარ და ქოხის წინ ორაგულს ვამარილებ, უკანა ეზოში მზეზე დასაწყობად ვამზადებ და ამ დროს ვხედავ, გზატკეცილიდან მანქანა უხვევს, ნაურმალებზე მოხტის აბზინდის ბალახში, ვაგონების მწკრივივით მკვრივი წითელი მტვრის კუდს მოითრევს.

გორაკს ებრძვის და მერე ჩვენი ეზოს შორიახლო ჩერდება.

უკნიდან მტვერი ეწევა, საბარგულს ეხლება, ოთხივე მხარეს იფანტება და ბოლოს აბზინდას და სარეველას ეფინება, წითელ აბოლებულ ნამსხვრევებს ამსგავსებს ბალახს. მტვერი ნელ-ნელა ჯდება, მზეზე აციმციმებული მანქანა უძრავად დგას. ვიცი, სტუმრები ფოტოაპარატებიანი ტურისტები არ არიან – ისინი სოფელთან ასე ახლოს არასდროს მოდიან მანქანებით. თევზის ყიდვა თუ უნდათ ხოლმე, გზატკეცილზევე ყიდულობენ, სოფელს ერიდებიან, ეტყობა გონიათ, ჩვენ ჯერაც სკალპებს ვაძრობთ ხალხს და ბოძებზე მიბმულებს ცოცხლად ვწვავთ. გინდაც ვუთხრათ, ზოგი ჩვენიანი პორტლენდში ვექილობსო, მაინც არ დაიჯერებენ. ჩემმა ერთმა ბიძამ მართლა დაიწყო ვექილობა, მამამ თქვა – მარტო იმიტომ, ხალხისთვის დაემტკიცებინა, ვექილობა ინდიელსაც შეუძლიაო, თორემ ისე, შემოდგომაზე ბარჯით ორაგულის ჭერას არაფერი ერჩია, სხვაზე არც არაფერზე ოცნებობდა. მამა ამბობს, ფრთხილად თუ არ იქენი, ასე თუ ისე ხალხი მაინც გაიძულებს ის აკეთო, რაც იმათი აზრით შეგეფერებაო; არადა, ჯორივით თუ გაჯიუტდი, მაშინ მთელი ცხოვრება საპირისპიროს კეთებას გადაყვები, ოღონდ უკვე ვიღაცის ჯიბრითო.

მანქანის სამი კარი იღება ერთდროულად, სამნი გადმოდიან, ორნი წინიდან და ერთიც უკნიდან. ჩვენი სოფლისკენ მოფორთხავენ ფერდობზე, უკვე ვხედავ, წინ ორი კაცი მოდის, ორივე ლურჯკოსტუმიანი, კვალში კი ხნიერი, ჭაღარა ქალი მოსდევთ, რაღაც ისეთი მძიმე და გახევებული აცვია, ჯავშანი გეგონება. აბზინდიდან აქოშინებულები და ოფლად გაღვრილები გამოდიან და ჩვენი მოტიტვლებული ეზოსკენ აღერებენ თავს.

ყველაზე წინ მომავალი კაცი ჩერდება და სოფელს ათვალიერებს. ჩიკორაა, ჩამრგვალებული, თეთრი სტეტსონის ქუდი ახურავს. თევზის გასაშრობი მონჯღრეული ლატნების, ძველი მანქანების, წინწილების საბუდრების, მოტოციკლეტების და ძაღლების დანახვაზე თავს აქნევს.

„გინახავთ ცხოვრებაში რამე მსგავსი? ჰა? მითხარით, თუ ღმერთი გწამთ!“

ქუდს იხდის და ცხვირსახოცს ნაზად ითათუნებს თავზე – რეზინის წითელ ბურთზე, ძალიან ფრთხილად, თითქოს ეშინია, ცხვირსახოცი არ დაეჭმუჭნოს ანდა ოფლით დამბალი, შეწებებული თმის ბღუჯა არ აეშალოს.

„ვერ წარმომიდგენია, ხალხს ასე ცხოვრება უნდოდეს! ნორმალური ამბავია ახლა ეს?! გამაგებინე ერთი, ჯონ, შენი ჭირიმე!“ ხმამაღლა ლაპარაკობს, ფაქტიურად ყვირის, მიუჩვეველია ჩანჩქერის ღრიალს.

ჯონი უკვე გვერდით უდგას, ლამის ცხვირის წვერთან მიუტანია სქელი, ნაცრისფერი ულვაშები – ჩემი ორაგულის სუნი აწუხებს. კისერი და ლოყები ოფლით დაცვარვია, ლურჯი პიჯაკის ზურგიც ოფლს დაულაქავს. რაღაცეებს იწერს წიგნაკში, თან ვერ ისვენებს, ცქმუტავს, ხან ქოხს შეავლებს თვალს, ხან ჩვენს პატარა ბაღს, ხან თოკზე გასაშრობად გაფენილ, დედას წითელ, მწვანე და ყვითელ საკვირაო კაბებს, ბოლოს ისევ მე ვხვდები თვალში, ისე მიყურებს, ვითომ პირველად დამინახა, ვითომ ამდენ ხანს იქვე, ორ ნაბიჯში, არ ვედექი, ცხვირწინ. ჩემკენ იხრება, ალმაცერად მიცქერის, ულვაშიც ისევ ცხვირისკენ გაურბის, თითქოს მარტო თევზი კი არა, მეც აუტანლად ვქოთდე.

„როგორ გგონია, სად იქნებიან ამის მშობლები?“ ეკითხება ამხანაგს. „სახლში? თუ ჩანჩქერზე? იქნება მოვლაპარაკებოდით იმ კაცს, ბარემ აქა ვართ...“

„მე, ჩემდა თავად, ამ სოროში ფეხის შემდგმელი არა ვარ,“ ამბობს მსუქანი.

„ბელადი სწორედ ამ სოროში ცხოვრობს, ბრიქენრიჯ,“ ულვაშებში დუდღუნებს ჯონი, „ის კაცი, ვისაც უნდა მოველაპარაკოთ! ამ ხალხის კეთილშობილი წინამძღოლი.“

„მოველაპარაკოთ? ეგ ჩემი საქმე არ არის. მე აქაურობის შეფასებაში მიხდიან ფულს, წითელკანიანებთან ჩიბუხის გაბოლება არ მევალება.“

ჯონს ეცინება.

„მაგაში მართალი ხარ. მაგრამ მთავრობის გეგმაც ხომ უნდა

გააცნოს ვიღაცამ?“

„გააცნობენ, ნუ გეშინია. მალე გაიგებენ ყველაფერს.“

„ჯობდა, ბარემ შევსულიყავით და დავლაპარაკებოდით.“

„ამ საღორეში? რაზეც გინდა დაგენაძლევები, აქაურობა შავი ტარაკნებით იქნება გაძეძგილი. გამიგია, ამ თიხით შელესილი ქოხმახების კედლებში მთელი ცივილიზაციებია დაბუდებულიო. თან რა ცხელა, ღმერთო, შენ მიშველე! ბუღი იდგება შიგნით. ერთი ნახე, პატარა ჰაიავათაც როგორ გადახურებულა. ვენაცვალე! მგონი, ცოტა დამწვარა კიდეც.“

იცინის, თან თავზე ხელს იცაცუნებს, მერე ქალის მზერას ამჩნევს და ჩუმდება; ყელს ისუფთავებს, მტვერში აფურთხებს, მიდის და ღვიაზე მამას ჩამობმულ საქანელაზე ჯდება, ცოტა ხანს ქანაობს ჩემს საქანელაზე, ერთობა, სტეტსონის ქუდს მარაოსავით ინიავებს.

რაც მეტს ვფიქრობ იმის სიტყვებზე, უფრო და უფრო ვცოფდები. მერე ისევ აგრძელებენ ლაპარაკს ის და ჯონი – ჩვენს სახლზე, სოფელზე, მიწაზე, ამ ყველაფრის სავარაუდო ფასზე. ჩემი თანდასწრებით ისე თავისუფლად ჭიკჭიკებენ, ვხვდები, არ გონიათ, ინგლისური თუ მესმის-მეთქი. ეტყობა, აღმოსავლეთიდან არიან, იქაურებმა ხომ კინოში ნანახის მეტი არაფერი იციან ინდიელებზე. იმაზე ვფიქრობ, როგორ შერცხვებათ, საკუთარ შეცდომას როცა მიხვდებიან.

სანამ სიცხეზე და ჩვენს სახლზე ლაპარაკი არ მობეზრდებათ, ჩუმადა ვარ, ხმას არ ვიღებ, მერე ვდგები და ინგლისურის საუკეთესო სასკოლო სახელმძღვანელოს ენით მსუქანს ვეუბნები – თიხით შელესილი ჩვენი სახლი, ალბათ, ნებისმიერ ქალაქურ ბინაზე უფრო გრილი, შეუდარებლად გრილია-მეთქი! „დანამდვილებით გეტყვით, რომ იმ სკოლაზე ბევრად გრილია, სადაც დავდივარ. თქვენ წარმოიდგინეთ, დალეზის კინოთეატრზე უფრო გრილიც, თუმცა კინოთეატრის ფირნიშის ლოლუებიანი ასოები იუწყებიან: „მობრძანდით, ჩვენთან გრილაო!“

უკვე იმის თქმასაც ვაპირებ, შინ თუ შემობრძანდებით, გა-

ვიქცევი და მამას მოვიყვან-მეთქი, მაგრამ რაღაც სულ არ ეტყობა არც ერთს, საერთოდ თუ გაიგონეს ჩემი ხმა, ვითომ კრინტიც არ დამეძრას. ზედაც არ მიყურებენ. მსუქანი ძველებურად ქანაობს, გაქვავებული ლავის ბექობს ზემოდან იყურება იქით, სადაც კაცებს თავ-თავიანთი ადგილები დაუკავებიათ ჩანჩქერის ქვეშ გამართულ ხარაჩოებზე: ამსიშორიდან ბურუსში მარტო იმათი უჯრებიანი პერანგები გაიელვებს ხოლმე. თუმცა ხანდახან ისიც კარგად მოჩანს, როგორ მოიქნევს მკლავს რომელიმე, მოფარიკავესავით წადგამს წინ ნაბიჯს და მერე ორკაპა ბარჯზე ასხმარტალებულ თხუთმეტფუტიან ორაგულს ზევით აწოდებს თავისიანებს – დაიჭით, მომეხმარეთო. მსუქანი წყლის ორმოცდაათფუტიანი პირბადის იქით მდგომ კაცებს მისჩერებია, თვალებს ახამხამებს და ყოველ ჯერზე, როცა ვინმე ბარჯზე ორაგულს წამოაცვამს, სიამოვნებისგან ღრუტუნებს.

დანარჩენები, ჯონი და ქალი, უხმოდ დგანან. სამიდან არც ერთს არ ეტყობა, ჩემი ნალაპარაკებიდან სიტყვა მაინც თუ გაიგონა; არც კი მიმჩნევენ, ვითომ არც ვიყო იქ.

წუთით ყველაფერი ქვავდება და ირინდება.

მანამდე უცნობი, უცნაური განცდა მეუფლება – თითქოს მზე უწინდელზე მეტი სიკაშკაშით დანათის ამ სამ სტუმარს, სხვა ყველაფერი კი ჩვეულებრივად გამოიყურება: თიხის სახლების სახურავებზე წიწილები დაფუსფუსებენ ბალახში, კალიები ბუჩქიდან ბუჩქზე დახტიან, ბავშვები აბზინდის ლოგოროებით აფეთებენ ბუზებს და ისინიც შავ ღრუბლებად ირევიან თევზის ლარტყების ირგვლივ – როგორც ყოველთვის, როგორც ზაფხულის ნებისმიერ სხვა დღესაც. აი, მზე არ გავს თავის თავს, განსხვავებულად, უჩვეულოდ და საზარლად დაკაშკაშებს სამ უცნობს და მერე მეც ვხედავ... ნაკერებს. ნაკერებსაც და ჩადგმულ აპარატებსაც, რომლებიც ეს-ესაა ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებს იჭერენ და ცდილობენ, ეს სიტყვები სადმე მოარგონ, ამა თუ იმ ადგილას, მაგრამ როცა შესაფერის მზამზარეულ ადგილს ვერ პოულობენ, გადატვირთული მექანიზმები სიტყვებს თავადვე

აბრუნებენ უკან, თითქოს არც თქმულანო.

სანამ ეს კადრი გაქრება, სამივე ქანდაკებასავითაა გაქვავებული. მზეს საქანელაც კი გაუშეშებია ჰაერში, მსუქანი გაშტერებული ზის ზედ, რეზინის თოჯინასავით. მერე ღვიის ტოტებში მამას ციცარი იღვიძებს, ხედავს, უცხოები გვწვევიანო, ძაღლივით უყეფს და ჯადოც იხსნება.

მსუქანი ყვირის, საქანელადან ხტება და გვერდულად მიბორძიკებს მტვერში, თვალებს წინგაშვერილი ქუდით იჩრდილავს, უნდა დაინახოს, რამ ატეხა ასეთი ალიაქოთი ღვიის ფოთლებში. როცა რწმუნდება, ერთი ქეციანი ჭრელი წიწილა ყოფილაო, მიწაზე აფურთხებს და ქუდს იხურავს.

„მე თუ მკითხავთ," ეუბნება თანამგზავრებს, „რამდენიც არ უნდა შევაძლიოთ ამ... მეტროპოლისში, მაინც თავზე გადაუვათ."

„შეიძლება. მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც ჯობია, ბელადს დაველაპარაკოთ..."

ქალი ჟღრიალით დგამს წინ ნაბიჯს და კამათში ერთვება. „არა," მოსვლის მერე ეს მისი პირველი სიტყვაა. „არა," იმეორებს ისევ და რაღაცით მის რეჩედს მაგონებს. წარბებს წკიპავს, მიდამოს ათვალიერებს. თვალები სალაროს აპარატის ციფრებივით დაუხტის; დედას თოკზე გაფენილ კაბებს უყურებს და თავს აქნევს.

„არა. დღეს ჩვენ ბელადს არ დაველაპარაკებით. ჯერ არა. მე ვფიქრობ... ამ შემთხვევაში ბრიქენრიჯს უნდა დავეთანხმოთ. ოღონდ სხვა მოსაზრების გამო. თუ გახსოვთ, ჩვენი მონაცემებით, ბელადის ცოლი ინდიელი კი არა, თეთრკანიანია. თეთრკანიანი. ქალაქელი ქალი. გვარად ბრომდენი. ქმარი გადავიდა ცოლის გვარზე და არა პირიქით. დიახ, ბატონებო! მე მგონი, ჩვენ თუ ახლა ქალაქში დავბრუნდებით და, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ფართო ფენებს საფუძვლიანად გავაცნობთ მთავრობის გეგმებს, ავუხსნით, ჩანჩქერთან ერთი მუჭა ქოხმახების არსებობასთან შედარებით რამდენად მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურის აგება, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვუგზავნით ბელადის ცოლს ჩვენს დაბეჭდილ წინადადებებს ფოს-

ტით, – რა თქმა უნდა, შეცდომით, იმედია, ხვდებით, არა? – დარწმუნებული ვარ, საქმე ბევრად უფრო გაგვიიოლდება.“

თან ჩვენს კაცებს გასცქერის ძველთაძველ, დაკლაკნილ, მორყეულ ხარაჩოებზე – საუკუნეების მანძილზე რომ იზრდებოდნენ და იტოტებოდნენ ჩანჩქერის კლდეებს შორის.

„ხოლო თუკი ახლა შევხვდებით ქმარს და ნაუცბათევად შევთავაზებთ რამეს, გამორიცხული არ არის, ენით უთქმელ ნავახოურ სიჯიუტეს და – ალბათ, შეიძლება, ასე ითქვას – სალი კლდეების დაუძლეველ სიყვარულსაც გადავაწყდეთ.“

ერთი პირობა ვაპირებ ვუთხრა, მამა ნავახო არ არის-მეთქი, მაგრამ თუკი ჩემს სიტყვებს ვერ იგებენ, რა აზრი აქვს? ან რაში ედარდებათ, რომელი ტომიდან ვართ...

ქალი იღიმება და თავს აქნევს, თითოეულ თანამგზავრს თითო გაღიმებით და თავის თითო დაქნევით აჯილდოებს, მერე თვალებით ნიშანს აძლევს და, გახევებულ-გაშეშებული, მანქანისკენ მიდის, თან ხალისიანი, ახალგაზრდული ხმით ტიტინებს:

„ჩემს სოციოლოგიის პროფესორს უყვარდა ხაზგასმა – ნებისმიერ სიტუაციაში მოინახება ისეთი პიროვნება, ვისი გავლენის ძალის უგულებელყოფა დანაშაულის ტოლფასიაო.“

მანქანაში სხდებიან და მიდიან, მე კი ვდგავარ და ვერ გამიგია – საერთოდ დამინახეს კი?..

ცოტა გამიკვირდა კიდეც, ეს ამბავი რამ გამახსენა-მეთქი. ალბათ, საუკუნეები გავიდა მას მერე, რაც ბავშვობისდროინდელი ამდენი რამე მომაგონდა ერთბაშად. თურმე ეს მაინც ჯერ კიდევ შემეძლო და ამ აღმოჩენამ აღმაფრთოვანა. ლოგინში ვიწექი, მეღვიძა, სხვა რაღაც-რაღაცეებსაც ვიხსენებდი და უცებ, სანახევროდ ძილ-ბურანში, ჩემი საწოლის ქვეშ უცნაური ხმა გავიგონე, თითქოს თაგვი კაკალს ეთამაშებაო. მთელი ტანით გადავიხარე და დავინახე, როგორ კბეჩდა აბრჭყვიალებული ლითონი საგულდაგულოდ დამალულ კევებს. მე სიბნელეშიც თვალდახუჭული ვპოულობდი ხოლმე, ზეპირად ვიცოდი იმათი ადგილ-

სამყოფელი, ახლა კი სამალავისთვის შავ ბიჭსაც მიეგნო, გივერს; დიდი, ხახადაფჩენილი მაკრატლით ჭრიდა საწოლის ქვემოდან მიკრულ კევებს და პაკეტში აგროვებდა.

საჩქაროდ საბანში შევძვერი. ვაითუ დამინახა-მეთქი, შიშისგან გული ყურებში მიჟღრიალებდა. ვეტყოდი ერთ-ორ ტკბილ სიტყვას, წადი, შენი საქმე ნახე, ჩემს კევს თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ ხმის ამოღება კი არა, იმის გამჟღავნებაც არ შემეძლო, რამე თუ გავიგონე საერთოდ. გაუნძრევლად ვიწექი, სუნთქვაშეკრული; ვმარჩიელობდი – დამინახავდა თუ ვერა საწოლიდან გადახრილს, მაგრამ ეტყობა, არაფერი დაუნახია, მარტო ისევ მაკრატლის ხრაშუნი და პაკეტში კევის ტყაპანი ისმოდა. ამ ხმამ გამახსენა, რა რაკარუკს აუტეხავდა ხოლმე სეტყვა ჩვენი ქოხის გუდრონის სახურავს. გივერმა ენა გააწკლაპუნა და ჩაიხითხითა.

„ჰი-ჰი-ჰი. ღმერთო, შენ გამაგებინე, ნეტა თითო რამდენჯერ ექნება გადაღეჭილი ამ მუტრუკს?! არა, ისე რა მაგრებია, ამათი..“

ბუტბუტმა მაკმერფიც გამოაღვიძა, იდაყვზე წამოიწია და დიდი ინტერესით მიაჩერდა ჩემი საწოლის ქვეშ დაოთხილ გივერს. ცოტა ხანს ჩუმად უყურებდა, თან პატარა ბავშვივით იფშვნეტდა თვალებს – ხომ არ მესიზმრებაო, მერე ლოგინში წამოჯდა.

„ბოზიშვილი ვიყო, თუ მეჩვენებოდეს! ნაღდად თორმეტის ნახევარია, ნაღდად ბნელშია წაკუზული და ხელშიც ნაღდად მაკრატელი და პაკეტი უჭირავს.“ შავი ბიჭი დაფეთებული წამოვარდა, პირდაპირ თვალებში მიანათა ჯიბის ფარანი. „გამოტყდი, სემ: რას აგროვებ მანდ იმისთანას, დღის სინათლეს რო ემალები? დედას გაფიცებ!..“

„დაიძინე, მაკმერფი. ეგ არავის ჭკუის საქმე არ არი.“

მაკმერფიმ უხალისოდ, ნაძალადევად გაიღიმა, კბილები გამოაჩინა, თუმცა ფარნისთვის თვალი არ მოურიდებია. გივერსაც მხოლოდ ნახევარი წუთის მერე შეეტყო უხერხულობა – ნახევარ წუთს ჯიუტად ანათებდა მაკმერფის პრიალა, ახლად შეხორცებულ იარას, დაკრეჭილ კბილებს, მხარზე მოსვირინგებულ პანტერას – და მერეღა მოაცილა ფარანი. ისევ დაიკუზა,

საქმეს მიუბრუნდა, თან კუთავდა და ხვნეშოდა, ვითომ დიდი ჯაფა ადგებოდა მიმხმარი კევის აძრობაზე.

„რო იცოდე, ღამის მორიგის ერთი მოვალეობა ესეცაა," მეგობრულად მოძღვრავდა მაკმერფის ამოოხვრებს შორის. „საწოლებთან სისუფთავეზე ზრუნვა."

„შუაღამისას?"

„მაკმერფი, შინაგანაწესში შავით თეთრზე წერია – დასუფთავება-დალაგება დღე-ღამეში ოცდაოთხი საათიო."

„მერე, შე ჩემა, ჩვენ დაწოლამდე ვერ მოითავე ეგ ოცდაოთხსაათიანი? რას უჯექი ტელევიზორს თერთმეტის ნახევრამდე? სხვათა შორის, ძაან ღრმად პატივსაცემმა ქალბატონმა რეჩედმა თუ იცის, მთელი ღამე ტელევიზორთან რო იწყალებ თვალებს? როგორ გგონია, მოეწონება?"

გივერი წამოდგა და საწოლის კიდეზე ჩამომიჯდა. ფარანი დაკრეჭილ კბილებზე მიინათა, თან, ყურებამდე პირგახეული, ჩუმ-ჩუმად ხითხითებდა. ქვევიდან განათებული სიფათი შავ, თვალებამოჭრილ გოგრას მიუგავდა.

„კაი, ძაან თუ გაინტერესებს, გეტყვი," ძველი ძმაკაცივით წაიხარა მაკმერფისკენ. „რამდენი წელია ვწვალობდი და ვერაფრით ვერ გავიგე, სად შოულობდა ბელადი კევს – ფული მაგას არ ქონია თავის დღეში, ჩუქებით არავის უჩუქებია და თხოვნითაც ვერავის თხოვდა – ამდენი ხანია ვუთვალთვალებ, კინაღამ გავგიჟდი! ეხლა ეს ნახე!" ისევ მუხლებზე დაეცა, ჩემი საბნის კიდე აწია და ფარანი საწოლქვეშ შეანათა. „ჰა? ხო მაგარია? გაგიმაზავ, თითო ათიათასჯერ ექნება დაღეჭილ-გადაღეჭილი. ხო მაგარია?!"

ამ ამბავმა მაკმერფიც გაამხიარულა. ისიც ახითხითდა. შავმა პაკეტი მაღლა ასწია, შეანჯღრია და ცოტა ხანს ახლა ამაზე იცინეს. მერე გივერმა მაკმერფის ძილი ნებისა უსურვა, პაკეტს კაი საგზალივით მოუკრა თავი და, რა იცი, რაში გამომადგებაო, სადღაც წაიღო შესანახად.

„ბელადო!" მაშინვე აჩურჩულდა მაკმერფი. „ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ..." და ძველი, ოდესღაც პოპულარული ხალხური

სიმღერის სიტყვები წაიღიღინა: „არ ივარგებს დილით კევი, საწოლზე თუ მივაკრავ?..“

თავიდან მაგრად გავცოფდი – ესეც სხვებივით მასხრად მიგდებს-მეთქი.

„მთელი ღამის გამომშრალი...“ მღეროდა ჩუმად, „...ვითომ გემოს დაკარგავს?“

თუმცა, რაც მეტს ვფიქრობდი სიმღერის სიტყვებზე, უფრო და უფრო სასაცილო მეჩვენებოდა. ვცდილობდი არ გამცინებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ცოტაც და გულიანად ავხარხარდებოდი, სიმღერაზე იმდენად არა, ჩემს თავზე მეცინებოდა.

„ვისაც ვკითხე, ხმა არ გამცა, პასუხი არ იკადრა; მთელი ღამის გამომხმარი – ნეტა გემოს და�ა-კარგა-ااااავს?“

ბოლო ნოტი გააგრძელა, გაჭიმა. ისე მიღიტინებდა ამ ნოტით, როგორც ინდაურის ბუმბულით. მეც თავი ველარ შევიკავე და ჩავიცინე, თან კინაღამ გავთავდი შიშისგან – საცაა დასაბმელი გიჟივით ავხარხარდები და რაღა გამაჩერებს-მეთქი. კიდევ კარგი, მაკმერფიც სწორედ იმწუთას წამოხტა ლოგინიდან და თავისი ღამის ტუმბის უჯრაში დაიწყო ფხაკუნი. გავისუსე. კბილი კბილს დავაჭირე, ვფიქრობდი – ახლა რაღა ვქნა-მეთქი? აღარც მახსოვდა, რამდენი ხანი იყო გასული, რაც ჩემგან ხვნეშისა და ბღავილის მეტი კაციშვილს არაფერი გაეგონა. მაკმერფიმ უჯრა შეწია და ტუმბამ ისეთი ექო გამოსცა, გინდაც საქვაბის კარი მიეჯახუნებინა მთელი ძალით. „აჰა,“ ჩაიჩურჩულა სიბნელეში და საწოლზე რაღაც დამიგდო, ხვლიკის თუ გველის ნიწილისოდენა...

„ამჯერად ხილისაზე უკეთესს ვერაფერს შემოგთავაზებ, ბელადო. სქანლონს მოვუგე ხურდის სროლაში.“ მერე ისევ ლოგინში შეწვა.

მე კი, სანამ მივხვდებოდი, რას მივქარავდი, მადლობთ-მეთქი – ვუთხარი.

თავიდან არაფერი უპასუხია. ისევ იდაყვზე იყო დაყრდნობილი. მეც ისე მიცქეროდა, როგორც წეღან გივერს. ალბათ ელო-

დებოდა, კიდევ მეტყვის რამესო. საბნიდან კევი ავიღე, ჩავბღუ-ჯე და მადლობა ერთხელაც გავუმეორე.

ხმამაღლა არ მითქვამს – ყელიც ჩაჟანგებული მქონდა და ენასაც ძლივს, ჭრაჭუნით ვატრიალებდი პირში. ცოტა არ იყოს, გადაჩვეულხარო, – მითხრა და გაეცინა. მეც ვცადე, სიცილში ავყოლოდი, მაგრამ რაღაც გამყივანი ხმა ამოვუშვი, ახლად წამოჩიტულ ყვინჩილასავით წამოვიყივლე, ტირილს უფრო გავდა ეს ხმა, ვიდრე სიცილს.

ნუ ჩქარობ, წავარჯიშება თუ გინდა, დილის შვიდის ნახევრამდე დრო გვაქვსო, მითხრა. ამდენ ხანს დამუნჯებულ კაცს სალაპარაკო ნამდვილად ბევრი გექნებაო – თავი ბალიშზე მიდო და მოსასმენად მოემზადა. ჩავფიქრდი, რა ვუთხრა, რა ველაპარაკომეთქი? თავში ერთადერთი რამე მიტრიალებდა, მაგრამ იმას ვერ ვეტყოდი, მაგაზე საერთოდ არ ლაპარაკობენ, მაგ სათქმელს სიტყვები მარტო ამახინჯებენ ხოლმე. როცა დარწმუნდა, ხმის ამომღები არ ვიყავი, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვითონ ალაპარაკდა.

„იცი, ბელადო, სწორედ ეხლა ძველი დრო გამახსენდა, უილამიტის ხეობაში გატარებული – ბარდას ვკრეფდი იქ, იუჯინის მახლობლად და ჩემზე იღბლიანი კაცი არ მეგონა, ეს რა ოქროსავით სამუშაო დავირტყი-მეთქი. ოცდაათიანი წლები იწყებოდა, ჩემი ხნის ბიჭების უმეტესობა უმუშევარი დაბორიალობდა უაზროდ. მეც იმიტომ მომცეს სამუშაო, ბარდის ბოსს დავუმტკიცე, ვინც გინდა გამაჯიბრე, იმაზე სწრაფად და სუფთად თუ არ დავკრიფომეთქი. მოკლედ, მთელ ტრიალ მინდორში ერთადერთი არასრულწლოვანი მე ვიყავი. დანარჩენი – სუ უფროსობა. ერთი-ორჯერ ვცადე დალაპარაკება, მარა არც მისმენდნენ – ვის დაკარგვია ეს წრიპა წითური ლაწირაკიო – ფიქრობდნენ. ხოდა, მეც მოვკეტე. ისე გამაბრაზეს, რაც იქ ვიყავი, მთელი ოთხი კვირა, ხმა არ ამომიღია, ოღონდ იმათ ლაყაფს ყურს ვუგდებდი, მაინტერესებდა – ხან ვილაცის ბიძაზე ბაზრობდნენ, ხან ვილაცის ბიძაშვილზე... ვინმე სამუშაოდ თუ არ გამოვიდოდა, უნდა გენახა, რას ჭორავდნენ და თხრიდნენ ზურგს უკან. ოთხი კვირა კრინტი არ დამიძ-

რია, მერე ვიფიქრე, ამ ბეჭებდახავსებულ ბებერ ნაბიჭვრებს ხო არ გონიათ, ლაპარაკი დაავიწყდაო? მაინც ჩუმათ ვითმენდი, ვითმენდი და აი, ბოლო დღეს მოვხსენი გუდას პირი! ვიჯერე გული ლაპარაკით, სუ წვრილ-წვრილად ჩამოვუფქვი რა ჩიტებიც ბრძანდებოდნენ. ყველას ჩავუჭიკჭიკე, რასაც სხვები იმათზე ყბედობდნენ. უუუუ, მაშინ კი დაცქვიტეს ყურები! დაერიენ, მარა რა დაერიენ ერთმანეთს! ისე ააქოთეს იქაურობა – პრემია დამაკარგინეს: არც ერთი დღე გაცდენა არ მქონდა და თითო ფუნტ ბარდაზე მეოთხედ ცენტს მიმატებდნენ... ისე, ქალაქში რეპუტაცია უკვე ცოტა შერყეული მქონდა და ბარდის ბოსმა – შენი ბრალია ყველაფერი, შენი ატეხილია მთელი ტრაკატრუკიო. დამტკიცებით ვერ დამიმტკიცა, რას დამიმტკიცებდა?! მარა პრემია ფაფუ! ისე, თბილად კი მოვუკითხე კეთილები, სხვა რა მექნა... მოკლედ, ერთი პირის დაღება ოცი დოლარი დამიჯდა, შეიძლება მეტიც. მოუკვდა პატრონი, არ ვნანობ, ღირდა ძმაო!“

ცოტა ხანს კიდევ იხითხითა თავისთვის, რაღაცას იხსენებდა, მერე ჩემკენ გადმობრუნდა და შემომხედა.

„შენც შენ დროს ელოდები არა, ბელადო? მერე მოხსნი გუდას პირს და ყველას ყოფას უტირებ.“

„არა,“ ალალად ვუპასუხე, „მე ეგეთები არ შემიძლია.“

„რა არ შეგიძლია? რაც ვინმესთვის სათქმელი გაქ, ვერ იტყვი? ეგ, შენ რო გგონია, იმაზე ბევრად ადვილი საქმეა.“

„შენ... ჩემზე დიდიც ხარ და ღონიერიც,“ ჩავიბურტყუნე ბრიყვულად.

„მაიცა, რანაირად? რაღაც ვერ გავიგე, ჯიგარო.“

გაჭირვებით ჩავყლაპე ნერწყვი. „შენ ჩემზე დიდი და ღონიერი ხარ. შენთვის ადვილია.“

„მაიცა, მე ვარ შენზე დიდი? შაყირობ? სარკეში არ ჩაგიხედია, შე კაი კაცო?! გულივერივით ხარ ამ განყოფილებაში. მტერს მოხვდა შენი მუშტი!..“

„არა. მე ძალიან პატარა ვარ. ერთ დროს ვიყავი დიდი. ახლა აღარ... შენ ორი ჩემოდენა მაინც იქნები.“

„კაი ერთი, თუ ძმა ხარ! გარეკე თუ რა გჭირს?! შემოსული არ ვიყავი, ეს რა მთასავით კაცი გაიჩითა-მეთქი, ვიფიქრე. ქლამათიც მომივლია, ტეხასიც, ოკლაჰომაც, გელაფიც, მარა, დედას გეფიცები, შენხელა ინდიელი არსად არ შემხვედრია.“

„მე ქალამბიის ხეობიდან ვარ,“ ვთქვი და გავჩუმდი, ისიც მელოდებოდა, როდის გააგრძელებსო. „მამაჩემი მართლა ბელადი იყო, თი აჰ მილათუნა ერქვა. მთაზე ყველაზე მაღალ ფიჭვს ნიშნავს. ოღონდ ჩვენ მთებში არ ვცხოვრობდით. ბავშვობაში მამაზე დიდი კაცი არც მინახია. მერე დედა ორი მამასოდენა გახდა.“

„ნაღდი ამერიკული ბიზონი გყოლია დედა. მაინც რამხელა იყო?“

„ოოოო! დიდი... დიდი.“

„ხო, გავიგე, მაინც რამსიმაღლე?“

„რამსიმაღლე? ბაზრობაზე ერთმა ტიპმა შეხედა და თქვა – სიმაღლით ექვს ფუტამდე იქნება და ასოცდაათ გირვანქას იწონისო. მარა იმან მარტო ერთხელ ნახა, მაშინ, დედაჩემი კი იზრდებოდა და იზრდებოდა...“

„ჰოო? ეგ რანაირად?“

„მე და მამაჩემი ერთად გამოვიჭრებოდით.“

„ესე იგი, ერთ მშვენიერ დღეს ადგა და გაზრდა დაიწყო, არა? ინდიელ ქალებზე ბევრი რამე ვიცოდი, მარა ეგ რაღაც ახალია ჩემთვის...“

„ინდიელი არ ყოფილა. ქალაქელი ქალი იყო, დალეზიდან.“

„და რა გვარი? ბრომდენი, არა? გასაგებია... ერთი წუთი მოიცა,“ ცოტა ხანს რაღაცას ფიქრობდა, „ქალაქელი ქალისთვის ინდიელზე გათხოვება თავისზე დაბლა მდგომის ცოლობას ნიშნავს, ეგრე არ არი? ხო, მე მგონი გასაგებია ყველაფერი.“

„არა. მარტო ეგ არ იყო მამაჩემის დაპატარავების მიზეზი. იმისი სიდიდე მანამდეც ეხამუშებოდათ. ქედს არავის უდრეკდა, თავის ჭკუაზე ცხოვრობდა და ყველა კრიჭაში ჩაუდგა, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა იმის დაჩოქებას ცდილობდა. შენც მაგ დღეში არა ხარ?!“

„ვინ ყველა, ბელადო?“ მკითხა ჩუმი, მოულოდნელად დასეარიოზულებული ხმით.

„კომბინატი. იცი, რამდენი წელი ებრძოდა? იმოდენა იყო, სწრაფად ვერც მოერეოდნენ. ჩვენი სახლების ინსპექციის ჩატარება უნდოდათ. ჩანჩქერის წართმევა. ჩვენს ტომშიც შემოაღწია კომბინატმა, ბოლოს შიგნიდანაც ებრძოდა მამას. ქალაქში ჩასული რამდენჯერ სცემეს მიყრუებულ ქუჩებში! ერთხელ თმაც გადაპარსეს ძალით... ოოო, კომბინატი დიდია, ძალიან დიდი. მაინც კაი ხანს უმკლავდებოდა, სანამ დედამ არ დააპატარავა. მერე ხელიც ჩაიქნია და დანებდა.“

მაკმერფის დიდხანს აღარ ამოუღია ხმა. ბოლოს ისევ იდაყვზე წამოიწია და გამომხედა, მკითხა – მიყრუებულ ქუჩებში რატო ცემდნენო? ასე აფრთხილებდნენ-მეთქი, ავუხსენი, მთავრობის მოთხოვნებს თუ არ დათანხმდები და ქაღალდებს ხელს არ მოაწერ, უარესი დაგემართებაო.

„მთავრობა რაღას მოითხოვდა?“

„ყველაფერს. ჩვენს ჩანჩქერს, სახლებს, მიწას, სისხლს...“

„ეხლა გამახსენდა. იმ ჩანჩქერზე ამბობ, სადაც ინდიელები დიდი ხნის წინ ბარჯებით იჭერდნენ ორაგულს. ხო მართალია? ოღონდ, მე მგონი, კაი მაყუთიც გადაგიხადეს, არა?“

„მამასაც მაგას ეუბნებოდნენ. მამამ კითხა, ადამიანის ცხოვრების წესი რამდენად შეგიძლიათ იყიდოთო? თავისი ცხოვრებით ცხოვრებას რამდენად შეუფასებთო? ვერ გაიგეს. ვერც იმათ და ვერც ჩვენებმა. ჩვენები ყველანი ჩვენს ეზოში იდგნენ, მთელი ტომი, ხელში ჩეკები ეჭირათ და მამას ეკითხებოდნენ, ახლა რა ვქნათო? თხოვდნენ, ან სადმე დაგვაბანდებინე ფული, ან გვითხარი, ვის მივადგეთ, ანდა ფერმის ყიდვაში მოგვეხმარეო. ოღონდ ის მაშინ უკვე ძალიან პატარა იყო. პატარა და მთვრალი. თან, ბოლო-ბოლო, კომბინატიც მოერია. ბოლოს ყველას ერევა ხოლმე. შენც მოგერევა, შენც გაგტეხავს. თუ იმისიანი არ არი და იმის საქმეს არ აკეთებს, მამასნაირ დიდ კაცს თავის ნებაზე არ მიუშვებს. გესმის ალბათ...“

„ხო, მგონი მესმის.“

„ჰოდა, ამიტომაც არ უნდა ჩაგემტვრია ფანჯარა. ახლა იციან – დიდიაო. უკვე იძულებულიც არიან, გაგხედნონ.“

„მუსტანგივით, არა?“

„არა. მუსტანგივით არ გხედნიან. ისეთ ხერხებს იყენებენ, რასაც ვერც შეებრძოლები! რაღაც-რაღაცეებს ჩაგიმონტაჟებენ. შეგატყობენ თუ არა, ეს ნაღდად დიდი გაიზრდებაო, მაშინვე დაიკაპიწებენ მკლავებს, მუშაობას გააჩაღებენ, ბავშვობაშივე ჩაგიდგამენ თავიანთ ბინძურ აპარატებს და აღარც მოგეშვებიან, სანამ ყოფას არ გიტირებენ, თავს აღარ დაგანებებენ!.. “

„ჩჩჩჩუუუუ, დამშვიდდი, ძმაკაც!“

„...და თუ მაინც იბრძვი, სადმე დაგამწყვდევენ, ჩაგკეტავენ, ძალით გაგაჩერებენ.“

„კაი ეხლა, ბელადო, ცოტა დაშოშმინდი. თან, მგონი შენი ხმაც გაიგონეს.“

ხმა გაკმინდა და ისევ ბალიშზე მიდო თავი. ლოგინი ჩამიხურდა. რეზინის ლანჩების წრიპინი გავიგონე, შავმა ბიჭმა ფარნის შუქი მოგვატარა, ხმაურის მიზეზს ეძებდა. გასუსულები ვიწექით, სანამ ისევ არ გავიდა.

„ბოლოს მთლად გალოთდა,“ ავჩურჩულდი ისევ. გულს თუ არ მოვიოხებდი, ეტყობა ვეღარც გავჩუმდებოდი – ყველაფერი უნდა მეთქვა, რის თქმაც აუცილებლად მიმაჩნდა. „უკანასკნელად კედრების ჭალაში ვნახე, ლოთობისგან დაბრმავებული. უკვე ის კი აღარ წრუპავდა სასმელს, ბოთლი წრუპავდა მამაჩემს; ერთიანად გამოშრა, დანაოჭდა, ისე გაყვითლდა, ძაღლებიც ვეღარ ცნობდნენ... პირდაპირ კედრებიდანვე წავიყვანეთ პიკაპით პორტლენდში. იქ მოკვდა კიდეც. არ ვამბობ, მოკლეს-მეთქი. იმათ არც მოუკლავთ. სხვა რაღაც დამართეს.“

საშინლად მეძინებოდა. აღარც ლაპარაკის ხალისი მქონდა. ვცადე გამეხსენებინა, რა ვიბოდიალე და მივხვდი, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა.

„გიჟივით ვლაპარაკობდი, არა?“

„ხო, ბელადო,“ მაკმერფი გვერდზე გადაბრუნდა, „ალალი გიჟივით.“

„სხვა რამის მოყოლას ვაპირებდი. ოღონდ ვერ ვახერხებ, მიჭირს, თან აზრსაც ვერ გამოიტან...“

„ვინა თქვა, აზრს ვერ გამოიტანო? უბრალოდ, გიჟურად ლაპარაკობ-მეთქი.“

მერე იმდენ ხანს აღარ ამოუღია ხმა, მეგონა დაიძინა. ვინანე, რატომ ძილი ნებისა არ ვუსურვე. გავხედე – ჩემკენ ზურგით იწვა. ცალი ხელი საბანზე ედო ზემოდან და მოსვირინგებული ტუზები და რვიანები მოუჩანდა. რამოდენა მკლავები აქვს-მეთქი, გავიფიქრე; სანამ ფეხბურთს ვთამაშობდი, მეც ამოდენა მკლავები მქონდა. მინდოდა, ხელი გადამეწვდინა, იმ მოსვირინგებულ ადგილს შევხებოდი და დავრწმუნებულიყავი, ჯერაც ცოცხალია-მეთქი. შემაშფოთებლად უძრავად იწვა, საკუთარ თავს ვუმტკიცებდი – ვალდებულიც ხარ, შეეხო, ხომ უნდა გაიგო, რომ არ მომკვდარაო...

ტყუილს ვამბობ. ვიცი – ცოცხალია, ხელით შეხება მაგიტომ არ მინდა.

უბრალოდ, კაცია, ადამიანია და იმიტომ.

ესეც ტყუილია, ირგვლივ სხვა კაცებიც არიან. არც ეგაა მიზეზი.

მეც წავიპედერასტებ – ეგ არი და ეგ!

ოღონდ ესეც რომ ტყუილია?! ერთი შიში მალავს მეორეს. ნამდვილად იმნაირი რომ ვიყო, მარტო ხელით შეხებას დავჯერდებოდი?! ხელი ერთადერთი მიზეზის გამო მინდა შევახო – მართლა ის არის, რაც არის. ნაღდი.

თუმცა, ხელი გავიწვდინე თუ არა, თვითონვე შემეხმიანა: „ერთი მითხარი, ბელადო,“ ჩემკენ გადმობრუნდა, საბანი ლაჯებში ამოიდო, „არ გინდა, ხვალ შენც წამოხვიდე სათევზაოდ?“

არაფერი მიპასუხია.

„ჰა, რას იტყვი? წამო, გული მიგრძნობს, ხოშიან დროს გავატარებთ. ჩემი ორი დეიდაც მოგვყვება, იცი, არა? მართლა დეიდები კი არ არიან, ორი აწყვეტილი პორტლენდელი ნაშაა! ა, თქვი რამე!“

ქესატად ვარ-მეთქი – სხვა რა უნდა მეთქვა?!

„როგორა ხარ?“

„უფულოდ.“

„ააა,“ თქვა მან. „გასაგებია. ეგ კი არ მიფიქრია.“

ცოტა ხანს კიდევ გაჩუმდა, ცხვირზე ნაიარევს იწვალებდა თითით. მერე შეეშვა. იდაყვზე წამოიწია და ერთხელაც შემომხედა.

„ბელადო,“ ყურადღებით მათვალიერებდა, „ერთი ეს მითხარი, თავის დროზე, სანამ დაგაპატარავებდნენ, აი, რა ვიცი, როცა ექვსი, შვიდი, რვა ფუტი იყავი სიმაღლეში და ასე, ორას ოთხმოცგირვანქასაც იწონიდი, ჩვენი აბაზანის პულტს აწევდი?“

გამახსენდა ის საკონტროლო პულტი. ჯარში რომ დავათრევდი, იმ ზეთის კასრებზე ბევრად მძიმე არ იქნებოდა. მაშინ ალბათ ავწევდი-მეთქი, – ვუთხარი.

„ისევ იმხელა თუ გახდი, მერეც აწევ?“

ასე მგონია-მეთქი.

„კაცო, რა გგონია, მე არ ვიცი. ზუსტად მითხარი: მპირდები, რო აწევ, ისევ იმხელად თუ გაქციე? აი, თუ დამპირდები, აღდგენით კურსსაც უფასოდ ჩაგიტარებ და ათდოლარიან თევზაობაზეც უფასოდ წაგიყვან, მოსულა?“ ტუჩები გაილოკა და ისევ მიდო ბალიშზე თავი. „თანაც, თუ გინდა დაგენიძლავები, მოგებულიც დავრჩები.“

იწვა, რაღაც თავის ფიქრებზე ეცინებოდა. როცა ვკითხე, როგორ გინდა ისევ იმოდენად მაქციო-მეთქი, ტუჩებზე თითი მიიდო და ჩამაჩუმა.

„ეგეთი საიდუმლოს გახმაურება იქნება, ძმაო? დაგპირდი, გეტყვი როგორ-მეთქი? ეგ ჩემი საქმეა. კაცის ძველ ზომებამდე გაბერვა ისეთი საიდუმლოა, ყველას ვერ გაანდობ. მტერმაც თუ მოკრა ყური – დავიბრიდეთ! ისე, შენ თითონ ვერც მიხვდები რა გემართება. მარა, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ჩემი პროგრამის სავარჯიშოების კეთება თუ არ დაგეზარება, ნახავ რა მადლობელი დარჩები!“

ფეხები გადმოკიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა მუხლებზე ხელებდაბჯენილი. მხარზე ექთნების სამორიგეოდან მომავალი მკრთალი შუქი ეცემოდა, სინათლის სხივმა წამით იმის კბილებზე და ჩემკენ მოშტერებულ თვალის გუგებზეც გაიბრწყინა. მერე საძინებელ ოთახში ისევ ის ხალისიანი, შემპარავი, აუქციონერის ხმა გაისმა.

„ნახე, რა მაგარი რამე იქნება. მთაკაცი ბელადი ბრომდენი ბულვარზე მოალაჯებს. ქალები, კაცები, ბავშვები ქვევიდან აცქერიან: „ბიჭოს, ბიჭოს, ეს რა გოლიათი დაბრძანდება ჩვენ ქალაქში, რამოდენა ნაბიჯებს დგამს; ნახეთ, კინაღამ ტელეფონის მავთულებს წამოედო!“ დასეირნობს ქალაქში ამაყად, მარტო წიწკვების დასათირად ჩერდება ხანდახან, დანარჩენებს შეუძლიათ შეაყოლონ, თავისუფალი არიან ჯარიდან – ვისაც ნესვივით ძუძუები, ბელადის ზურგზე საკაიფოდ შემოსაჭდობი შხვართი ფეხები და კიდე პაააატარა, თბილი, თაფლგარეული კარაქივით ტკბილი რამერუმეები არა აქვთ...“

უბერავს და უბერავს სიბნელეში თავისებურად, ყვება და ყვება ზღაპრებს – როგორ დავაფეთებ, როგორ დავუხეთქავ შიშით გულებს კაცებს და როგორ მომეგლისებიან, კისერზე როგორ ჩამომეკიდებიან ლამაზ-ლამაზი გოგოები... მერე მითხრა, ამწუთასვე წავალ და მეთევზეების სიაში ჩაგწერო. წამოდგა კიდეც, ტუმბა გამოაღო, პირსახოცი აიღო, თეძოებზე შემოიხვია, ქუდიც ჩამოიფხატა და ზემოდან დამაჩერდა.

„გესმის, ძმაკაც, რას გეუბნები? ქალები თითონ დაგიდებენ კვანტს, წაგაქცევენ და ზედაც დაგახტებიან.“

უცებ, სრულიად მოულოდნელად, ხელი გამოიქნია, გაკვანძული ზეწარი ერთი მოძრაობით გამიხსნა, საბანიც გადამაძრო და მთლად დედიშობილა დამტოვა.

„აჰა, ნახე! რას გეუბნებოდი? უკვე ნახევარი ფუტი მოგმატებია, ჯიგარო!“

სიცილ-სიცილით ჩაუყვა საწოლების რიგს დერეფნისკენ.

პორტლენდიდან ორი ბოზი მოიჩქარის ჩვენკენ, გაშლილ ზღვაში სათევზაოდ უნდა გაგვიყვანონ! რა გაძლებს ლოგინში შვიდის ნახევრამდე, რა დაელოდება შუქის ანთებას...

საძინებლიდან პირველი გამოვედი, ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი ექთნების სამორიგეოსთან გამოკრულ ქაღალდს, როდის დავრწმუნდებოდი, სიაში ჩემი გვარიც მართლა შეუტანია-მეთქი. ქაღალდზე ჯერ დიდი ასოებით „მეთევზეების სია" ეწერა, ქვევით პირველი მაკმერფი აწერდა ხელს, მაკმერფის შემდეგ – ბილი ბიბიტი. ბილის ჰარდინგი მოსდევდა, მეოთხე ნომრად ფრედრიქსონი ჩაწერილიყო და ასე შემდეგ, მეათემდე. მეათე ნომრის გასწვრივ ჯერ არავის მოეწერა ხელი. აი, ჩემი გვარი კი მართლა შეეტანა სიაში – მეცხრე ვიყავი! მართლა მივდიოდი სათევზაოდ, გემით, ბოზებთან ერთად; ათიათასჯერ ვიმეორებდი გულში ერთსა და იმავეს – რა ვქნა, მიჭირდა დაჯერება.

წინ სამი შავი ჯეელი ამესვეტა, ნაცრისფერ თითებს ფურცელს აყოლებდნენ, ჩემს გვარსაც მიადგნენ, შემოტრიალდნენ და სახეში შემომცინეს.

„კი მარა, ბელადი ვიღამ ჩაწერა? ინდიელებმა წერა არ იციან."

„კითხვა იციან რო?"

ამ უთენია ჯერაც ახალ, გახევებულ სახამებელს მოტეხვა ვერ მოესწრო და ხელის ყოველ განძრევაზე თეთრი ქურთუკების სახელოები ქაღალდის ფრთებივით უშრიალებდათ. დაცინვა, რა თქმა

უნდა, ვითომც არ გამიგონია, თავს ვიყრუებდი – თითქოს არაფრის ბაიბურში არ ვიყავი. მაგრამ როცა ცოცხი მომაჩეჩეს და თავიანთი ნამამაძაღლების მოწმენდა დამავალეს, ზურგი შევაქციე და ისევ საძინებლისკენ დავაღირე თავი, თან გულში ვთქვი – ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ-მეთქი. არა ბიჭო, პორტლენდელ ბოზებთან ერთად სათევზაოდ მიმავალი, ამისთანა სისულელეზე მოვცდებოდი!

ისე, ცოტათი კი მეშინოდა, უნებართვოდ ნაბიჯს არ ვდგამდი ხოლმე, ახლა კი უცებ ძალიან დავიკიდე ფეხებზე. უკან მივიხედე – ცოცხით მომდევდნენ. ალბათ, საძინებელშიც შემომყვებოდნენ და ძალით გამათრევდნენ დერეფანში, მაგრამ მაკმერფიმ მიშველა: ისეთი ალიაქოთი აეტეხა, ისეთი ღრიალით დაქროდა საწოლებს შორის, ისე გამეტებით უტყლაშუნებდა „მეთევზეებს“ პირსახოცს, შავმა ბიჭებმა იფიქრეს, ახლა საძინებლის დალაშქვრა შეიძლება მთლად უხიფათო საქმე არ გამოდგეს და დერეფნის დალაგება ზედმეტ დავიდარაბად იქნებ არც ღირდესო.

მაკმერფის მოტოციკლისტის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, ალბათ კაპიტანს თუ უნდოდა დამგვანებოდა, მით უმეტეს, მოკლესახელოებიანი მაისურიდანაც სინგაპურული სვირინგები მოუჩანდა. პალატაში ისე დაალაჯებდა, თითქოს გემბანზეაო და მუჭშიც ისე უსტვენდა, როგორც ბოცმანის სასტვენში.

„აბა, დროზე წამოვიშალოთ, ბიჭებო! ნუ იზლაზნებით, თორე კილქვეშ გაძრომიალებთ ცხვირიდან კიჩომდე!“

ჰარდინგის ტუმბაზე აათამაშა თითები.

„აშენდა ქვეყანა. აუშვით აფრები. დროზე, დროზე! გეყოთ ყვერების ფხანა!“

კარებში გახირული შემამჩნია, მეცა და ისე დამკრა ბეჭებზე ხელი, ბოლი ამადინა.

„აჰა, შეხედეთ ბელადს, აი, ნამდვილი მეზღვაური და მეთევზე: ჩიტებს დაასწრო წამოფრენა, უკვე ჭიაყელებიც მოაგროვა. ამას მიბაძეთ, თქვე უსაქმურო ცუანებო, აითრიეთ-მეთქი წელი! ნახეთ, რა დღე გათენდა! ზღვაში გავდივართ, რა დროს კოტრიალია...“

მწვავეები ბუზღუნებდნენ, იჭყანებოდნენ, გაბრაზებულები აპარებდნენ თვალს იმისი პირსახოცისკენ. ქრონიკულებსაც გამოეღვიძათ, გულზე მეტისმეტად მაგრად გადაჭერილი ზეწრებით სისხლშეგუბებულები, გაცისფერებულ თავებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ, თვალებს აცეცებდნენ, სანამ ბოლოს ჩემზე არ შეაჩერებდნენ მზერას, მე არ მომაშტერებდნენ დასუსტებულ, აწყლიანებულ თვალებს და სევდიან, ცნობისმოყვარე სახეებს. იწვნენ გატრუნულები და მიყურებდნენ, როგორ ვიცვამდი თბილებს სამგზავროდ მიმავალი, მეც უხერხულად ვგრძნობდი თავს, ცოტათი დამნაშავედაც. ხვდებოდნენ, იმათგან ერთადერთი მე გამოვერჩიეთ. თვალს არ მაშორებდნენ – წლების მანძილზე თავიანთ ბორბლებიან სავარძლებს მიჯაჭვული ბებრები, კათეტერებით სამუდამოდ ერთ ადგილზე ფესვგადგმულები, ერთ წერტილს შეზრდილები, მიყურებდნენ და ინსტინქტურად ხვდებოდნენ, მეც რომ მივდიოდი. და თან, ჯერ კიდევ შურდათ, რატომ ჩვენც არაო. მხოლოდ გუმანით ხვდებოდნენ რაღაცას, რადგან ადამიანური იმათში დიდი ხანია საბოლოოდ ჩაკვდა და ცხოველურ ინსტინქტებს დაუთმო უპირატესობა (ზოგჯერ, ღამღამობით, ბებერი ქრონიკულები მანამდე იღვიძებენ ხოლმე, სანამ ვინმე სხვაც შეიტყობს რომელიმე პაციენტის გარდაცვალებას, თავს უკან გადააგდებენ და ყმუიან), შურით კი იმიტომ შურდათ, ხსოვნისთვის საკმარისი ადამიანობის კვალი ჯერ მაინც რომ ჰქონდათ შერჩენილი.

მაკმერფი დერეფანში გავიდა, სიას თვალი შეავლო, შემობრუნდა და სცადა, მწვავეებიდან კიდევ ვინმე დაეყოლიებინა ხელის მოწერაზე. ჩარიგებულ საწოლებს მიუყვებოდა, ჯერაც თავზე საბანწაფარებულ ბიჭებს ანჯღრევდა, უხსნიდა, რა მაგარი რამე იყო ქარიშხლის კლანჭებში მოხვედრა, აბობოქრებული, ჯიგრული ზღვა და – ოჰოჰო, ბოთლი რომი! „ჰა, მიდით, თქვე უნდილებო, ერთი კაციც მჭირდება ეკიპაჟის დასაკომპლექტებლად, ერთი მოხალისე, თქვე ქლიავებო...“

მაგრამ ვერავინ დაიყოლია. ეტყობა, მთავარმა ექთანმა მაგრად დააშინა ხალხი თავისი ზღაპრებით აღელვებულ ზღვაზე

და ჩაძირულ გემებზე. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ეკიპაჟის ბოლო წევრს ვეღარც ვიშოვიდით, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ნახევარი საათის მერე საუზმის რიგში მდგარ მაკმერფის უცებ ჯორჯ სორენსენი მიადგა.

მოდღლეზილმა, უკბილო, ერთიანად დაკოჟრილმა შვედმა – სისუფთავის პათოლოგიური სიყვარულის გამო შავმა ბიჭებმა „წყლის გიჟი“ შეარქვეს – ფეხების ფრატუნით გამოიარა დერეფანი, წელში გადაზნექილმა, იმდენად უკანგადახრილმა, ფეხები ბევრად უსწრებდნენ წინ თავს (მუდამ ასე იზნიქება ხოლმე, ცდილობს, რაც შეიძლება მეტად მოარიდოს მოსაუბრეს სახე); მაკმერფის წინ აიტუზა და მუჭში რაღაც ჩაიბუტბუტა. იმის მორცხვობაზე ლეგენდები დადიოდა. ხშირ, დაფანჩულ წარბებქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები ხომ თითქმის არ მოუჩანდა, მაგრამ ერთთავად პირზე ვეება ტორაფარებულს, სახის დანარჩენ ნაწილსაც ვერ დაუნახავდი კაცი. ამ აწოწილი ჭოკის კენწეროში ყვავის ბუდესავით თავი ირწეოდა. მანამდე იბუტბუტა მუჭში, ვიდრე ბოლოს მაკმერფიმ ძალით არ ჩამოაღებინა ხელი.

„აბა, ჯორჯ, ძმურად, ერთი გამაგებინე, რა გინდა!“

„წითელი ჭიაყელები,“ ბლუყუნებდა ჯორჯი, „ჩემი აზრით, არაფერში გამოგადგებათ, ორაგულზე არ მიდიხართ?“

„ეგრე გგონია? იქნება დაგთანხმებოდი კიდეც, ჩემო ჯორჯ, ოღონდ რო არ ვიცი, რა ჭიაყელებზე ლაპარაკობ?“

„ცოტა ხნის წინ არა თქვი, მისტერ ბრომდენმა უკვე ჭიაყელებიც მოაგროვაო?! ყური მოვკარი...“

„მართალი ხარ, ძია, ეგრე იყო.“

„ხოდა, მეც მანდა ვარ: ჭიაყელები არ გინდათ. ეხლა ქვირითობის დროა, ასპროცენტიანს გეუბნები. ქაშაყი დაგჭირდებათ. ას პროცენტში! ცოტა ქაშაყი წაიღეთ მისატყუარად და თევზაობა მაშინ ნახე.“

ყოველი წინადადების ბოლოს ხმას უწევდა, თითქოს შეკითხვას უსვამდა მაკმერფის – ნა-ხე? – მერე ვეება, დილით უკვე ლამის კანის გაძრობამდე გახეხილი ნიკაპი ერთი-ორჯერ და-

უქნია, შეტრიალდა და დერეფანს გაუყვა რიგის ბოლოსკენ. მაკმერფიმ დაუძახა, უკან მოაბრუნა.

„ერთი წუთი მოიცადე, ჯორჯ. რაღაც ისე ლაპარაკობ, გეტყობა, თევზაობის ამბავში მაგარი გაჩითული უნდა იყო.“

ჯორჯი მოტრიალდა, ისევ ფეხების ფრატუნით მიუახლოვდა მაკმერფის, ისევ წელში გადაზნექილი, იფიქრებდი – ჰა და ჰა, ესაა, ფეხებს აიშვერს და მოჯდებაო.

„ასპროცენტიანი ხარ. ოცდახუთი წელი დავცურავდი ჰაფ მუნის ყურიდან ფიუგეთის სრუტემდე, ტრალერებზე ვმუშაობდი. ოცდახუთი წელი ვითევზავე – სანამ აი, ესე არ გავჭუჭყიანდი.“ ხელები წინ გაიწვდინა, ყველას დაანახვა ჭუჭყი. მთელმა რიგმა კისრები წაიგრძელა, ყველამ დახედა ხელებზე. ჭუჭყი არა და, ათასობით მილი ბადის ბაგირის თრევისგან ხელისგულებში ღრმად ჩამჯდარი ნაიარევები კი დავინახე. თითქმის ერთ წუთს დაგვაცალა ცქერა, მერე ხელები მომუშტა და პიჟამის ქურთუკის ჯიბეებში დამალა, თითქოს თვალებით კიდევ უფრო გავუჭუჭყიანებდით; იდგა, მარილწყალში ღორის ხორცივით გათეთრებული ღრძილები გადმოეყარა და მაკმერფის უღიმოდა.

„მაგარი ნავი მქონდა, სიგრძეში ორმოც ფუტზე მეტი არ იქნებოდა, მარა წყალში თორმეტ ფუტზე იჯდა, მაგარი რამე იყო – მუხის!“ ჯორჯი ისე ირწეოდა, დაეჭვდებოდი, იატაკი ხომ არ ირყევაო. „ნავის უნახავს გაგხდიდა, ასპროცენტიანს გეუბნები.“

ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ მაკმერფიმ ერთხელაც გააჩერა.

„მერე, შე კაი დედმამიშვილო, მეთევზე თუ იყავი, რას მიმალავდი? მე აქ „მოხუცი და ზღვის“ გმირივით ვახურებ თევზაობაზე და შენ ჩუმადა ხარ? ჩვენში დარჩეს, გემზე ერთადერთხელ ვარ ცხოვრებაში ნაჯდომი – სახაზო გემი იყო, „მისური“... თევზზეც მარტო ერთი რამე შემიძლია გითხრა დაბეჯითებით: გაფცქვნას ჭამა მირჩევნია.“

„გაფცქვნას რა უნდა?! ერთხელ თუ ვინმემ გასწავლა...“

„ხოდა მასწავლე! მორჩა, აღარ უნდა ბევრი ლაილაი, შენ ჩვენი კაპიტანი იქნები. ეკიპაჟმა ერთხმად აგირჩია, ჯორჯ!“

ჯორჯი კიდევ უფრო გადაიხარა უკან, თან თავს აქნევდა. „ის ნავები უკვე ძალიან დაბინძურდა – ყველაფერი გაჭუჭყიანდა...“

„თუ ძმა ხარ... მე შენ ჭუჭყიან ნავში ჩაგსვამ?! ჩვენი ნავი სპეციალურად გასტერილებულია, ძაღლის კბილივით პრიალებს ცხვირიდან კიჩომდე. ნუ გეშინია, არ დაისვრები. თან კაპიტანი იქნები, ჯორჯ. ანკესზე მისატყუარის წამოცმაც არ დაგჭირდება; მარტო ბრძანებებს გაცემ და ჩვენც – ზღვის ხამები – უსიტყვოდ დაგემორჩილებით, ჰა, რას იტყვი, მაგარი აზრია?“

ვხედავდი, როგორ აწვალებდა პიჟამის ქვეშ შემალულ ხელებს ჯორჯი და ვხვდებოდი, დიდი ცდუნების წინაშე იდგა; თუმცა ჯერ მაინც უარობდა – დავისვრები, ვერ გავრისკავო. მაკმერფი ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ჯორჯი კი მაინც თავს აქნევდა, როცა კარში მთავარი ექთნის გასაღები გაჩხაკუნდა და ისიც თავისი სიურპრიზებით სავსე მოწნული ჩანთის ჩხარაჩხურით შემობრძანდა დერეფანში, ავტომატური, მყარად მორგებული ღიმილის ტკაცატკუცით ჩაუყვა ჩვენს რიგს და არ დაიზარა, ყველას სათითაოდ გვისურვა დილა მშვიდობისა. მაკმერფიმ შეამჩნია, როგორ დაფრთხა ქალის დანახვაზე ჯორჯი და მოიღუშა. ქალი თვალს რომ მიეფარა, თავი ასწია და გაბრწყინებული ერთხელაც ჯიუტად მიაშტერდა ჯორჯს თვალებში.

„ჯორჯ, შენ როგორ გგონია, მართალია ის სისულელე, რასაც მთავარი ექთანი აღელვებულ ზღვაზე ლაპარაკობდა? მართლა საშიშია მოგზაურობა?“

„ოკეანე ზოგჯერ ძალიან მოიგიჟიანებს ხოლმე თავს, სახიფათოა, აბა რა?! ას პროცენტში.“

მაკმერფიმ მთავარ ექთანს გახედა, რომელიც ის-ის იყო სამორიგეოში შედიოდა და მერე ისევ ჯორჯს მიაჩერდა. ჯორჯი პიჟამაში დამალულ ხელებს ვერ ასვენებდა, თან თვალებსაც აცეცებდა, მდუმარედ მიშტერებული პაციენტების სახეებისკენ გაურბოდა თვალი.

„ერთი მაგისიც!“ თქვა უცებ. „რა გგონიათ, ოკეანით შემაშინებს? არა, მართლა ეგრე გგონიათ?!“

„ჰე, ეგ როგორ მგონია, ჯორჯ. ოღონდ, რა არი, იცი, შენ თუ არ გაგვიძეხი და მართლა ქარიშხალი ამოვარდა, ალბათ ყველანი დავიბრიდებით, ხო აზრზე ხარ? ალალად გითხარი, მე მეზღვაურობის ბაიბურში არა ვარ, ერთ რამესაც არ დაგიმალავ – ის ორი ქალი, ჩვენ წასაყვანად რო მოდის, ექიმს ჩემი დეიდები და მეთევზეების ქვრივები გონია, მასე ვუთხარი... არადა, იმათი კრუიზები პორტლენდის ასფალტზე იწყება და ასფალტზევე თავდება. ჩემზე მეტი ხეირი არც იმათგან იქნება. უეჭველი გვჭირდები, ჯორჯ!“ სიგარეტი მოქაჩა. „სხვათა შორის, ათი დოლარი თუ გაქვს?“

ჯორჯმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

„მაგას ნაღდად ვერ ვიფიქრებდი. ჯანდაბას, არა უშავს, გამდიდრების იმედი დიდი ხანია დავკარგე. აი...“ ჯიბიდან ფანქარი ამოიღო, მწვანე პიჟამის კალთით მაგრად გაწმინდა და ჯორჯს გაუწოდა. „გვიკაპიტნე და ნებას მოგცემთ, ხუთ დოლარად წამოხვიდე.“

ჯორჯმა ერთხელ კიდევ შეგვათვალიერა, ღრმად ჩაფიქრებულს კოპები ჰქონდა შეკრული და ხშირი წარბები გადაბმოდა. მერე ნელ-ნელა შუბლი გახსნა, გაგვიღიმა, ჩათეთრებული ღრძილები გამოაჩინა და ფანქარს ხელი წაატანა. „ერთი მაგისიც!“ გაიმეორა ისევ, ფანქარი ჩაბღუჯა და კედელზე გამოკრული სიისკენ დააღირა თავი. ნასაუზმევს, დერეფანს რომ მიუყვებოდა, სიასთან მაკმერფიც შეჩერდა და ჯორჯის გვარის გასწვრივ – „კაპიტ.“ – მიაწერა ბეჭდური ასოებით.

ბოზები იგვიანებდნენ. უკვე იმედიც გვეწურებოდა, საერთოდ აღარ მოვლენო, მაგრამ სწორედ ამ დროს ფანჯარასთან დადარაჯებულმა მაკმერფიმ ყიჟინა დასცა და ყველანი იქით გავცვივდით. ისინი არიანო, გვითხრა, არადა, ჩვენ მარტო ერთ მანქანას ვხედავდით ორის მაგივრად და შიგაც მარტო ერთი ქალი იჯდა. მანქანა სადგომზე გაჩერდა, ქალი გადმოვიდა, გისოსებს ჩაფრენილი მაკმერფი შეეხმიანა და იმანაც მოკლეზე, პირდაპირ ბალახზე გადმოჭრა ეზო ჩვენი განყოფილებისკენ.

უფრო ახალგაზრდა და ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს წარმოედგინა. დეიდების ნაცვლად ბოზები რომ გვესტუმრებოდნენ, საიდუმლო უკვე აღარავისთვის იყო და ბიჭები, ვინ იცის, რის ნახვას აღარ ელოდებოდნენ. ზოგი, მეტისმეტად მორწმუნე, უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა. ოღონდ როცა დაინახეს, მსუბუქად როგორ მორბოდა ბალახზე, როგორ ანათებდა მწვანე თვალებს ჩვენს ფანჯარას, მზეზე აბრჭყვიალებული სპილენძის ზამბარებივით როგორ უთრთოდა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას კეფაზე დაგრაგნილი გრძელი კულულები – ყველაფერი დაავიწყდათ იმის გარდა, ქალია, მდედრი და თავფეხიანადაც არ გადათეთრებულა შაქრის ფხვნილში ამოვლებულივითო. არავისთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როგორ და რა გზით შოულობდა ცხოვრების სახსარს.

ფანჯარასთან მოირბინა, თითები გისოსებში შემოყო და ზედ მოეკრა. ნარბენი მძიმედ სუნთქავდა და ყოველ ამოსუნთქვაზე თითქოს რკინის ბადეში შემოძრომას ცდილობდა. თვალები აწყლიანებოდა.

„მაკმერფი! ო, შე ოხერო მაკმერფი...“

„კაი, ხო. სანდრა სად არი?“

„სანდრა მაგარი გაჭედილია. ვერ წამოვიდა. შენ როგორა ხარ, ხო ხარ კარგად?“

„გაჭედილია?“

„თუ სიმართლე გინდა,“ გოგომ ცხვირი მოიწმინდა და ჩაიხითხითა, „ჩვენი ბებრუხა გაგვითხოვდა. ბივერტონელი ართი გილფილიანი გახსოვს? ყველა შარაფში იჩითებოდა ხოლმე, ჯიბეში ან დახვეული გველი, ან თეთრი თაგვი, ანდა რამე ეგეთი საზიზღრობა ეჯდა... არ გახსოვს? სუფთა მანიაკი...“

„ღმერთო, შენ მიშველე,“ ამოიკვნესა მაკმერფიმ. „ქენდი, ტკბილო, ათი კაცი ერთ ბითურ „ფორდში“ როგორ ჩავატიო? სანდრას და იმის ბივერტონელ დახვეულ გველს რა, ფოკუზნიკი ვგონივარ?“

გოგოს ისეთი სახე დაედო, თითქოს გამალებული ფიქრობდა

პასუხზე და ამ დროს უცებ ჭერში რეპროდუქტორმა გაიტკაცუნა, მთავარი ექთნის ხმით ალაპარაკდა და მაკმერფის დედაშვილურად ურჩია, თუ მეგობარ ქალიშვილთან საუბარი გსურთ, არ ჯობია, წესისამებრ მთავარი შესასვლელიდან შემობრძანდეს და მთელი საავადმყოფო არ შეაწუხოსო. გოგო გისოსებს მოშორდა და მთავარი შესასვლელისკენ გაემართა, მერე მაკმერფიც მოცილდა ფანჯარას და თავჩაქინდრული კუთხეში მიდგმულ სკამზე დაენარცხა. „ოხ, სანდრა, შენი დედა ვატირე," შეიგინა გულით.

დაგვაჯულმა შავმა ბიჭმა გოგო განყოფილებაში შემოუშვა, იმის ზურგს უკან კარის დაკეტვა კი დაავიწყდა (ნაძლევს დავდებ, კაი ტურას დააჭერინებდნენ). ერთიანად ათამთამებულ-ათახთახებული გოგო დერეფანს გამოუყვა – ექთნების სამორიგეოს რომ ჩაუარა, ყველა ექთანმა გაერთიანებული, სუსხიანი მზერით სცადა ამ თუხთუხის გაყინვა – და სულ ორიოდე ნაბიჯით შემოასწრო დღის პალატაში ექიმს. ექიმი რაღაც ქაღალდებით ექთნების სამორიგეოსკენ მიიჩქაროდა, გოგოს დანახვაზე შედგა, ქაღალდებს ჩახედა, მერე ისევ გოგოსკენ გაექცა თვალი და ბოლოს ორივე ხელი ერთად ააფათურა, ჯიბეებში სათვალეს დაუწყო ძებნა.

გოგო შუა პალატაში გაჩერდა, ორმოცი მწვანედ შემოსილი, თვალებად ქცეული კაცით გარშემორტყმული. ისეთი სიჩუმე იდგა, თავისუფლად გაიგონებდი მუცლების ბუყბუყს და ქრონიკულების კათეტერების სისინს.

მთელ წუთს მოუწია ასე დგომა, სანამ პალატას მოათვალიერებდა და მაკმერფის იპოვიდა. მოკლედ, დრო გვქონდა და თვალს წყალიც დავალევინეთ. ზემოთ, ჭერში, ზუსტად გოგოს თავზე, ცისფერი კვამლი ეკიდა; ეტყობა, მთელ განყოფილებაში გადაინვა აპარატურა, ასე მგზნებარედ შემოსული სტუმრის სიხშირეზე გადართვა სცადა, იმისი ელექტრონული მუხტის გამოთვლა, მიხვდა – ასეთ დაძაბულობას მე ვერ გავუძლებო და უბრალოდ გადაიწვა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს.

გოგოსაც, მაკმერფივით, მოკლემკლავებიანი მაისური ეცვა, ოღონდ ზომაზე ბევრად უფრო პატარა, თეთრი, სპორტული ფეხსაცმელები და – ეტყობა, ფეხებში სისხლის უკეთესი მიმოქცევისთვის – მუხლებს ზემოთ გადაჭრილი „ლევისები“. სასეირნოდ გამოსული მანდილოსნის კვალობაზე ქსოვილის ნაკლებობა აშკარად იგრძნობოდა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რამდენი რამე ჰქონდა ქსოვილს დასაფარი. მართალია, ბევრად ამაზე შილიფად მოსილიც ბევრად მეტ მამაკაცს უნდა ყოლოდა ბევრჯერ ნანახი, მაგრამ გარემოებათა და გარემოებათა გამო მაინც რატომღაც აღელდა და სცენაზე გამოსულ მოწაფე გოგონასავით დაიმორცხვა კიდეც. კრინტი არავის დაუძრავს, ხმაგაკმენდილები უცქეროდნენ. ერთი მარტინიმ ჩაიჩურჩულა, ისეთი ვიწრო ჯინსები აცვია, ჯიბეში ხურდა ფულზე მოჭრის თარიღს წაიკითხავს კაციო, მაგრამ ის ყველაზე ახლოს იდგა და ეტყობა, სხვებზე უკეთესადაც ხედავდა.

სიჩუმე პირველმა ბილი ბიბიტმა დაარღვია, თუმცა აზრი სიტყვებით კი არ გამოუთქვამს, უბრალოდ დაგუდულად, ლამის ტანჯვით ამოისტვინა რაღაც და ამ სტვენით ნებისმიერ სხვაზე უკეთესად გამოხატა საერთო აღტაცება. გოგოს გაეცინა, დიდი მადლობა გადაუხადა, მაგრამ ბილი ისე გაწითლდა, გოგოც გააწითლა და ერთხელ კიდევ გააცინა. უცებ ყველა და ყველაფერი ამოძრავდა. მწვავეები შემოეხვივნენ და ცდილობდნენ, ყველანი ერთად, ერთდროულად გამოლაპარაკებოდნენ. ექიმი პიჟამის კალთაზე ექაჩებოდა ჰარდინგს და – ვინ არის და ვინ არისო – ეკითხებოდა აღელვებული. მაკმერფი სკამიდან წამოდგა, შეჯგუფული ხალხი გაარღვია, გოგოს მიუახლოვდა, გოგომ დაინახა, მიეტმასნა, მკლავები შემოხვია, შე ოხერო მაკმერფიო, – მიესიყვარულა, მაგრამ ისევ დაიმორცხვა და ისევ გაწითლდა. როცა წითლდებოდა ხოლმე, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისაზე მეტისას არ გავდა, მართლა, მამას გეფიცებით.

მაკმერფიმ სათითაოდ გააცნო ყველას, გოგომაც ყველას რიგრიგობით ჩამოართვა ხელი. ბილის ჯერიც რომ დადგა, ისევ

გადაუხადა მადლობა წეღანდელი სტვენისთვის. სამორიგეოდან მთავარი ექთანი გამოსრიალდა ღიმილით, მაკმერფის ჰკითხა, მაინც როგორ აპირებდა ათივე მოგზაურის ერთ მანქანაში ჩატევას; იქნებ შეიძლება, აქაური მანქანა ვიქირაოთ და ვინც ვერ ჩაეტევა, იმათ იმ მანქანით მე თვითონ წავიყვანო, უთხრა მაკმერფიმ, მაგრამ მთავარმა ექთანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამის პასუხად ვრცელი ციტატა მოიშველია სწორედ ამგვარი საქციელის სასტიკად ამკრძალავი წესიდან. მეორე მძღოლიც თუ არ იქნა და თუ იმანაც არ მოაწერა ხელი თავდებობის საბუთს, მაშინ ეკიპაჟის ნახევარს დარჩენა მოუწევსო. სხვაობის დასაფარად ორმოცდაათი დოლარი მექნება გადასახდელიო, – აუხსნა მაკმერფიმ, დარჩენილებს თავისი ფული ხომ უნდა დავუბრუნოო.

„მაშინ, იქნებ გადაგედოთ მგზავრობა," თქვა ქალმა, „იქნებ მთელი ფული დაგებრუნებინათ უკან?"

„გემი უკვე ვიქირავე, იმის პატრონს ამწუთას ჩემი სამოცდაათი დოლარი უდევს ჯიბეში."

„სამოცდაათი? სამოცდაათი თქვით, არა? მე კი მახსოვს, პაციენტებს ეუბნებოდით, ჩემი ათი დოლარის გარდა კიდევ ასი დაგვჭირდება მოგზაურობის დასაფინანსებლადო."

„იქით-აქეთ ბენზინი? მანქანებში ბენზინი არ ჩამესხა?"

„აბა, რასა ბრძანებთ, მაგას ოცდაათი დოლარი რად უნდა, მისტერ მაკმერფი? თქვენ რა, მეხუმრებით?"

ნაზად, ჩამტკბარმა გაუღიმა, ღიმილით ელოდა პასუხს. მაკმერფიმ ხელი აიქნია, ჭერს ახედა.

„არა, რაც მართალია, მართალია, თქვენ კაცი ვერაფერს გამოგაპარებთ, ქალბატონო პროკურორო. ხო, სწორია, რაც მორჩა, ჯიბეში ჩავიდე, ოღონდ ეგ ბიჭებმა წინასწარვე იცოდნენ. სხვანაირად არც უფიქრიათ. ამდენი წვალების ფასად ცოტა მეც ხო უნდა მეხეირა..."

„მაგრამ გეგმა ჩაგეშალათ," თქვა ქალმა. კვლავ უღიმოდა, თანაგრძნობით. „განურჩევლად ყველა თქვენი პატარა ფინანსური სპეკულაცია ხომ ვერ დაგვირგვინდება წარმატებით,

რენდლ? და საერთოდაც, როგორც მეჩვენება, ისედაც გაცილებით მეტი გამარჯვება მოიპოვეთ, ვიდრე იმსახურებდით.“ თავისივე ნათქვამს ჩაუღრმავდა, აშკარად რაღაც საფიქრალი აწვალებდა; მივხვდი, ამ საუბარს მოგვიანებით აუცილებლად მოყვებოდა გაგრძელება. „დიახ. განყოფილებაში უკვე ყველა მწვავე პაციენტმა მოგიწერათ სხვადასხვა დროს ხელი თამასუქებზე, ამა თუ იმ თქვენს „წამოწყებასთან“ დაკავშირებით. ერთი პატარა მარცხი ძალიანაც ვერ გაზარალებთ.“

მერე გაჩუმდა. შეამჩნია, მაკმერფი აღარ უსმენდა. ექიმს უცქეროდა დაჟინებით. ექიმი კი ქერა გოგოს მაისურს ვერ წყვეტდა თვალს, თითქოს სხვა აღარაფერი არსებობდა ქვეყანაზე. გაშტერებული ექიმის დანახვაზე მაკმერფის სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა, ქუდი კეფაზე მოიგდო, ექიმს მიაშურა, მხარზე ხელი დაადო და საცოდავს კინაღამ გული გაუხეთქა.

„ექიმო სპაივი, არ დამიმალოთ, მართალი მითხარით, გინახავთ როდისმე ანკესზე წამოგებული ორაგული? მაგარი რამეა. ქენდი, ტკბილო, რატომ არ უამბობ ექიმს ღია ზღვაში თევზაობის ამბებს? იცი, როგორ აინტერესებს!..“

გაერთიანებული ძალით მაკმერფის და გოგოს ორ წუთზე მეტი არ დაჭირვებიათ ჩვენი პატარა ექიმის დასამუშავებლად, ორ წუთში ექიმმა საჩქაროდ ჩაკეტა კაბინეტის კარი, პორტფელში ქაღალდები ნაუცბათევად ჩატენა და ცუხცუხით ისევ დღის პალატისკენ გამოუყვა დერეფანს.

„ამ ქაღალდების კირკიტი გემზეც მშვენივრად შეიძლება,“ აუხსნა მთავარ ექთანს და ისე ჩაუქროლა, პასუხის გაცემაც არ აცალა, ეკიპაჟის დანარჩენი წევრებიც უკან მივყევით, ოღონდ უფრო ნელა, თან ყველანი სამორიგეოს კარში გახირულ მთავარ ექთანს ვუღიმოდით.

გამცილებელი მწვავეები დღის პალატის კარებთან შექუჩდნენ, იცოდეთ, გაუწმენდავი თევზი აქ არ დაგვანახოთო, – მოგვაძახეს. ის კი არა, ელისმაც აიწყვიტა კედლიდან, ბილი ბიბიტს ხელი მაგრად ჩამოართვა და – შენ კაცთა მესათხევლე იყავიო – უთხრა.

ბილი კი ამ დროს უკვე პალატიდან გასულ გოგოს მისჩერებოდა, მონუსხული შესცქეროდა, როგორ უპაჭუნებდნენ თვალებს იმისი ჯინსების სპილენძის ღილები და ელისისთვის სულ არ სცხელოდა, ეგ საქმე შენთვის დამილოციაო, – ერთი კი ჩაიდუდუნა და გასასვლელთან წამოგვეწია. დაგვაჯულმა შავმა ბიჭმა გადაგვთვალა, გამოგვატარა და კარი ზურგს უკან მოგვიკეტა. უკვე გარეთ ვიყავით, ქუჩაში.

მზე ღრუბლებიდან იჭყიტებოდა და საავადმყოფოს აგურის ფასადს ვარდისფრად ანათებდა. სუსტი ქარი შერჩენილ ფოთლებსაც ახერხავდა მუხებს და კოხტად აქუჩებდა მავთულის ღობესთან. ღობეზე აქა-იქ პატარა ყავისფერი ჩიტები ისხდნენ. როცა ფოთლების გროვა ღობეს მიეხლებოდა ხოლმე, წამოფრინდებოდნენ და ქარს მიყვებოდნენ. იფიქრებდი, ღობეს შეხლილი ფოთლები ჩიტებად იქცნენ და სადღაც, შორს მიფრინავენო.

აბოლებული ფოთლების სუნით გაჟღენთილი, შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა, ბურთს დადევნებული ბავშვების ყიჟინითა და პატარა თვითმფრინავების ბზუილით სავსე, ბედნიერების განსაცდელად უკეთესს თითქოს ვერც ინატრებდი კაცი. ჩვენ კი, ჯიბეებში ხელებჩაყოფილები, მაინც მოღუშულები და ხმაგაკმენდილები ვიდექით, სანამ ექიმი თავის მანქანას მოიყვანდა. ერთად შექუჩებულები, ჩუმად ვადევნებდით თვალს სამსახურში მიმავალი ქალაქელების მანქანებს და ისინიც მწვანეებში გამოწყობილი ამდენი გიჟის დანახვაზე სვლას ანელებდნენ და ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდნენ. მაკმერფიმ უხერხულობა შეგვატყო, შაყირით და გოგოსთან ლაზღანდარობით სცადა, გუნება გამოეკეთებინა ჩვენთვის, მაგრამ ამან რაღაც უფრო უარესად მოგვშხამა. ყველა იმაზე ფიქრობდა, რა იოლი საქმე იქნებოდა ახლა კარზე დაკაკუნება, ისევ უკან, განყოფილებაში დაბრუნება და აღიარება, მთავარი ექთნის სიმართლეში დავრწმუნდით, ამ ქარში ზღვა მართლა ძალიან საშიში იქნებაო.

ექიმმა მანქანა მოიყვანა, ჩავსხედით და გზას გავუდექით. მე, ჯორჯი, ჰარდინგი, ბილი ბიბიტი და მაკმერფი გოგოსთან, ქენ-

დისთან ვისხედით; ფრედრიქსონი, სეფელტი, სქანლონი, მარტინი, თეიდემი და გრეგორი ექიმის მანქანით მოგვყვებოდნენ უკან. მანქანაში საშინელი სიჩუმე იდგა. საავადმყოფოდან დაახლოებით ერთი მილის იქით ავტოგასამართ სადგურში შევუხვიეთ; ექიმიც არ ჩამოგვრჩა. პირველი ის გადმოხტა მანქანიდან, სადგურის თანამშრომელი ცქვიტად მიეგება, გაღიმებული, თან ჩვრით ხელებს იწმენდდა. მერე ღიმილი სადღაც გაუქრა, ექიმს გვერდით ჩაუარა და ძალიან დაინტერესდა მანქანების მგზავრების ვინაობით. ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილა, მანქანებს მოშორდა, ზეთიანი ხელების წმენდა წუთითაც არ შეუწყვეტია, და შუბლი შეიჭმუხნა. ექიმი ნერვიულად ჩააფრინდა სახელოში, ჯიბიდან ათდოლარიანი ამოაძვრინა და ისე ჩაუჩურთა მუჭში, თითქოს პამიდვრის ჩითილი ჩარგოო.

„ორივე ავზი აგვივსეთ, გეთაყვა. ჩვეულებრივით.“ საავადმყოფოს კედლებს გარეთ ისიც ისევე უხერხულად გრძნობდა თავს, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი. „თუ არ შეწუხდებით...“

„ეგ ფორმიანები, გზაზე რო საავადმყოფოა, იქიდან არიან, არა?“ კითხა სადგურის თანამშრომელმა. თან აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ჩაქუჩს ან რამე ეგეთს დაეძებდა. ბოლოს სოდიანის ცარიელი ბოთლების გროვას მიუახლოვდა. „კი, ნაღდად იმ საგიჟეთიდან ხართ, ბიჭებო!“

ექიმმა ხელები ააფათურა, სათვალე მოიძია და იმანაც ისეთი ინტერესით შემოგვხედა, თითქოს ფორმა მხოლოდ ახლაღა შეამჩნიაო. „დიახ. არა, ესე იგი, ჩვენ... ესენი საგიჟეთიდან კი არიან, რა თქმა უნდა, ოღონდ იქ მუშაობენ, არ მკურნალობენ; რა თქმა უნდა, არ მკურნალობენ. მუშების ბრიგადაა.“

სადგურის თანამშრომელმა ჯერ ექიმს მოუჭუტა თვალი, მერე ჩვენ და ბოლოს ახალ ამბავზე საჩურჩულოდ ჯიხურში დარჩენილ თავის კომპანიონს მიაშურა. ცოტა ხანს იჩურჩულეს, მერე კომპანიონმა ექიმს ჯიხურიდან გამოსძახა – არა, მაინც ვინ არიანო? ექიმმა იმასაც იგივე გაუმეორა, მუშების ბრიგადაო და სადგურის ორივე თანამშრომელმა გულიანად გაიცინა.

სიცილზე შევატყვე, ბენზინს ნაღდად მოგვყიდიდნენ – ყველაზე უხარისხოს, გაწყალებულს, თანაც ჩვეულებრივზე ორჯერ ძვირად – და ამან გუნება ოდნავადაც ვერ გამომიკეთა. სხვებიც დაძმარებულები ჩანდნენ. ექიმის ნათქვამმა მთლად მოგვსპო, ოღონდ ტყუილმა კი არა, სიმართლემ მოგვშხამა.

ჯიხურში მჯდომი გარეთ გამოვიდა, ისიც ღიმილით მოუახლოვდა ექიმს. „უმაღლესი ხარისხის გვინდაო, ასე თქვით, არა? ამწუთას, ჩემო ბატონო. ზეთის ფილტრებიც ხო არ შევამოწმოთ, გინდათ, შუშებსაც გაგიწმინდავთ?“ მეგობარზე უფრო ზორბა იყო, ექიმისკენ ისე დაიხარა, თითქოს საიდუმლოს უზიარებდა. „დამიჯერებთ? ბოლო მონაცემებით ჩვენ გზებზე მანქანების ოთხმოცდარვა პროცენტს ზეთის ფილტრები და შუშის საწმენდები არ უვარგა.“

ღიმილი ნახშირისფრად შეფერადებოდა – ეტყობა, წლების მანძილზე კბილებით უშვებდა და უჭერდა ძრავის სანთლებს. ექიმს ზევიდან ისე დაღიმოდა, ისედაც ჩიას უარესად აჩიავებდა და უცდიდა, აბა ერთი როდის აღიარებს, გამომიჭირეს და კედელთან მიმაყენესო. „თქვენ მუშებს მზის სათვალეები არ ჭირდებათ? ნაღდი „პოლაროიდები“ გვაქვს.“ ექიმი უკვე ხვდებოდა, კვატივით რომ იყო გამოჭერილი. ოღონდ სანამ დანებებას აღიარებდა, სანამ პირს გააღებდა და ყველაფერზე დათანხმდებოდა, უცებ რაღაც ბზუილივით ხმა გაისმა და ჩვენი მანქანის სახურავმაც აკეცვა დაიწყო. მაკმერფი გააფთრებული ებრძოდა აკორდეონივით დატალღულ ბრეზენტს, იგინებოდა და იმაზე უფრო სწრაფად ცდილობდა სახურავის გადახდას, ვიდრე ამას ზანტი მექანიზმი მოახერხებდა. მტრისას, ისეთი გაცოფებული ჩანდა. როცა გინებ-გინებით და ძიძგილაობით თავისას მიაღწია, გოგოს ლამის ზედ გადაალაჯა, მანქანიდან გადაფოფხდა, ექიმსა და სადგურის თანამშრომელს შორის ჩადგა და ნახშირისფრად მოღიმარ მუტრუკს ჯიქურად მიაშტერდა.

„კარგი ეხლა, გეყო, ჰენკ! აკი გითხრეს, ჩვეულებრივი ჩაგვისხიო – ორი ავზი ჩვეულებრივი! გაუგებარია რამე? სხვა ხარა-

ხურა შენთვის შეინახე. ბენზინიც სამი ცენტით იაფად გვეკუთვნის, ამ ჩემალალა ექსპედიციას ხელისუფლება კურირებს.“

მუტრუკი არ განძრეულა. „ჰოო? აბა პროფესორმა რო თქვა წეღან, პაციენტები არ არიანო?“

„კარგი, თუ ძმა ხარ, ჰენკ! კეთილი კაცია, თქვენ გაგიფრთხილდათ, გულები არ დაუსკდეთო. არა, ისე სხვა პაციენტების გულისთვის ექიმი, რა თქმა უნდა, ტყუილს არ იკადრებდა, მარა ჩვენ – განსაკუთრებული ცენტრები ვართ. რაღაც-რაღაცეები გვაქ ნამამაძაღლები შეურაცხად მდგომარეობაში, ხო აზრზე ხარ? ესწუთია სპეცპალატებიდან გამოგვიყვანეს და სან-ქვენტინში მივყავართ – იქ უკეთესი პირობები ქონიათ ჩვენისთანების მოსავლელად. აგე, იმ ჭორფლიანს ხედავ? რო შეხედავ, „სათადეი ივნინგ პოსტის“ ყდიდან გადმოსულს გავს, არადა, თუ გარეკა და დანა დაატრიალა – მტრისას! სამი კაცი ყავს დაბრედილი. მაგის გვერდზე რო ზის, ცენტრების ცენტრია, დაჭრილ ტახზე უარესი. ვერ გაიგებ, როდის რა წამოუვლის. აი, ის ოყლაყი კიდე ინდიელია, ვიღაც თეთრკანიანებმა ანდატრის ტყავების ამბავში გადაგდება დაუპირეს და ექვს ტიპს წერაქვით დაუხეთქა თავები. ადე, ბელადო, დაენახე ამ პატიოსან ხალხს.“

ჰარდინგმა ფერდში თითი მატაკა და მეც წამოვდექი. მუტრუკმა თვალი მოიჩრდილა, ამხედ-დამხედა და კრინტი არ დაუძრავს.

„ვაღიარებ, ცოტა არასასიამოვნო ჯგუფია,“ თქვა მაკმერფიმ, „მარა ეს ექსპედიცია კანონიერი მთავრობის სანქცირებულია; ხოდა, ჩვენც ისეთივე შეღავათები გვეკუთნის, როგორც, ვთქვათ, გამოძიების ფედერალურ ბიუროს.“

მუტრუკი ისევ მაკმერფის მიაჩერდა, იმანაც ცერა თითები კავებივით გამოსდო ჯიბეებს, უკან გადაიზნიქა და თვალი თვალში გაუყარა. მუტრუკმა ამხანაგს გახედა, ბოთლების გროვასთან ახლოს დგას თუ არაო, და მერე ღიმილით კვლავ მაკმერფის მოუტრიალდა.

„ნანატრი მუშტრებიაო, ვერ იტყვი არა, ძველო? გვირჩევნია,

ჭკუით ვიყოთ და რასაც გვეუბნებიან, ის ვაკეთოთ, ხო? კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ერთი ეს მითხარი, შენ როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში? პრეზიდენტის მოკვლას აპირებდი?“

„აი, ეგ ნაღდად ვერ შემომტენეს, ჰენკ! სიაბანდზე ჩავვარდი, რინგზე შემომაკვდა ერთი, ხო აზრზე ხარ? მერე გამიტკბა და წავიდა და წავიდა...“

„ესე იგი, შენც რინგის გლადიატორი ყოფილხარ, არა, ეგრე არ ეძახიან?“

„ეგ გითხარი? არა, ძმაო, იმ ბალიშებს ვერაფრით ვერ მივეჩვიე. ვერც ტელევიზორში მნახავდი – ჩემი ბრძოლები „მედისონ სქვერ გარდენიდან“ არ გადმოუციათ. მე ერთი ქუჩის ბიჭი ვარ, ქუჩაში მიყვარს მუშტების ქნევა.“

მუტრუკმაც ჯიბეებში ჩაიყო ცერა თითები – ვითომ მაკმერფის გამოაჯავრა. „მუშტების ქნევა არა და, ენის ფხანა ნაღდად გეყვარება.“

„მა რა! მაგით მიდგას სული. ოღონდ, ერთი აქეთაც მომხედე, ჯიგარ,“ სახესთან მიუტანა ხელები, ძალიან ახლოს, ზედ ცხვირწინ უტრიალებდა ნელ-ნელა. „სადმე გინახავს, მარტო ლაილაით კაცს ხელები ამ დღეში ჩაეგდოს? გინახავს-მეთქი, ჰენკ?“

კარგა ხანს ეჭირა ხელები ასე, ელოდებოდა, კიდევ გამოუჩნდება რამე სათქმელი თუ არაო. მუტრუკმა ხელებს დახედა, მერე მე შემათვალიერა, მერე ისევ მაკმერფის მუშტებზე გადაიტანა მზერა. როცა ნათელი გახდა, გადაუდებელი და აუცილებელი არაფერი აქვს სათქმელიო, მაკმერფიც გამოეცალა და ახლა მეორეს მიაშურა, ბოთლების გროვასთან გაშტერებულს, მუჭიდან ექიმის ათდოლარიანი ამოაცალა და იქვე, სადგურის გვერდით დუქნისკენ გაემართა.

„თქვენ ბენზინის ხარჯი იანგარიშეთ და ანგარიში საავადმყოფოში გამოგზავნეთ. მე მანამდე ჩემებს რამეს ვუყიდი, ცოტას გავახალისებ. ცოდვაა ამ ფულის შუშის საწმენდებზე და ოთხმოცდარვაპროცენტიან ზეთის ფილტრებზე დახარჯვა.“

როცა უკან დაბრუნდა, ბიჭები უკვე მოჩხუბარი მამლაყინ-

წებივით აღგზნებულები დახვდნენ, სადგურის თანამშრომლებს ბატონკაცურად აძლევდნენ ბრძანებებს – ჰაერის წნევას ამოწმებინებდნენ სათადარიგო საბურავებში, შუშებს აპრიალებინებდნენ და, ძმაკაც, თუ არ შეწუხდებიო, კაპოტიდან ჩიტის დასკლინტულს აფხეკინებდნენ. მუტრუკმა მთლად ბილის გულის მოსაგებად რომ ვერ შეასრულა დავალება, ბილიმ დაუძახა და უკან მოაბრუნა.

„აი აქ, ე-ე-ეტყობა, ხოჭო მიესრისა, ლლ-ლ-აქა დარჩა.“

„ხოჭო არა...“ პირქუშად ჩაიბუზღუნა მუტრუკმა, თან ლაქას ფრჩხილით ფხეკდა. „ჩიტისაა...“

ჩიტი არაფერ შუაშიაო, მეორე მანქანიდან გამოსძახა მარტინიმ. „მაშინ ბუმბული და ძვლები სადღაა?“

გზაზე ვილაც კაცმა ჩაიარა ველოსიპედით, ჩვენ დანახვაზე გაჩერდა და იკითხა, ეს ერთნაირი მწვანე ფორმა რას ნიშნავს, რამე კლუბის წევრები ხართო? ამაზე ჰარდინგმა წამოყო თავი.

„არა, მეგობარო. ჩვენ საავადმყოფოდან გამოქცეული მთვარეულები ვართ. ფსიქოკერამიკულიდან; კაცობრიობის დამსხვრეული ქოთნები. გნებავთ, რორშახის ტესტი ჩაგიტაროთ? არა? გეჩქარებათ? წავიდა... საწყენია.“ მაკმერფის მიუბრუნდა. „ადრე არც მიფიქრია, სულიერი ავადმყოფობა ძალაუფლების გარკვეულ ასპექტსაც თუ შეიცავდა. არა, წარმოგიდგენიათ? თურმე რაც უფრო გიჟია კაცი, შეიძლება, მით უფრო მეტი ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. მაგალითად თუნდაც ჰიტლერი გამოდგება. მთელი ეს ამაოების ბაზარი გონებას გიფანტავს კაცს, არადა ღირს ამ ამბავზე სერიოზული დაფიქრება.“

ბილიმ გოგოს ლუდის ქილა გაუხსნა და იმანაც ისე ააღელვა გაცისკროვნებული ღიმილით, ისეთი ხმით უთხრა – მადლობთ, ბილიო, მერე ყველას რიგრიგობით გაგვიხსნა თითო-თითო ქილა.

ტროტუარზე კი ამ დროს ზურგზე ფრთებდაკრეფილი მტრედები დააბიჯებდნენ აღმა-დაღმა.

მანქანაში ვიჯექი, თავს ჯანმრთელად და ლაღად ვგრძნობდი და ლუდს ვწრუპავდი; მესმოდა, ყელიდან კუჭამდე, მთელ

სიგრძეზე როგორი ხმით მისრიალებდა – ზზზტ, ზზზტ, – დაახლოებით ასე. აღარც მახსოვდა, ამქვეყნად თუ არსებობდა ასეთი კარგი ხმა და გემო, როგორი ხმა და გემოც გადაყლაპულ ლუდს ჰქონდა. ერთხელაც მოვსვი გემრიელად, ბლომად და აქეთ-იქით ყურება დავიწყე, ხომ უნდა მენახა, კიდევ რა დამვიწყებოდა ოც წელიწადში.

„ბიჭოს!“ შესძახა მაკმერფიმ, თან საჭეს მიუჯდა, გოგო გვერდით მიჭყლიტა, ლამის ზედ მიაკრა ბილის. „ერთი ნახეთ, როგორ ნთქავს ცეცხლოვან წყალს დიდი ბელადი!“ მანქანა ადგილს მოწყვიტა, გზატკეცილზე სხვა მანქანების ნიაღვარში შეაგდო და ექიმიც, არ ჩამოვრჩეო, სულ საბურავების წუილ-წუილით მოგვყვა უკან.

გვაჩვენა, რის მიღწევა შეიძლებოდა სულ მცირეოდენი სითამამისა და გამბედაობის ფასად და ჩვენც ეშხში შევედით, დავასკვენით – გაკვეთილი კარგად დავისწავლეთო. სანაპირომდე მთელი გზა გულად ბიჭობას ვთამაშობდით და კარგადაც ვერთობოდით. შუქნიშნებთან, როცა სხვა მანქანების მგზავრები ჩვენი მწვანე ტანსაცმლით მეტისმეტად დაინტერესდებოდნენ და მოგვაშტერდებოდნენ ხოლმე, ყველანი ზუსტად მაკმერფივით ვიქცეოდით, გაჯგიმულები, ღონივრები, ცალწარბაქაჩულები და დამცინავად მოღიმარები, თვალს თვალში ვუყრიდით ცნობისმოყვარეებს და მანამდე აღარ ვაშორებდით, სანამ ძრავები არ ჩაუქრებოდათ, მზერა არ დაებინდებოდათ, შუქნიშანზე ფერების გარჩევის უნარს არ დაკარგავდნენ და შიშის ოფლი არ დაასხამდათ – ეს რა საზიზღარი მაიმუნების ხროვა გვედგა გვერდით, ორ ნაბიჯში, წუთის წინ, არადა, საშველადაც ვის გინდა დაუძახოო.

მაკმერფი კი თავის თორმეტკაციან ეკიპაჟს ოკეანისკენ მიუძღვებოდა.

მე მგონი, მთელი ამ ბრექისა და თვალების ბრიალის მოჩვენებითობა მაკმერფის ჩვენზე უკეთ ესმოდა. ჯერ ხომ გულიანი, ნამდვილი სიცილითაც ვერ გაგვაცინა ვერავინ. ალბათ, უჭირდა

გაგება, ახლა მაინც რა ემართებათ, აქ მაინც რატომ ვერ იცინიან თამამადო, თუმცა ის კი კარგად იცოდა, კაცი მართლა მაგარი ვერასდროს გახდები, ნებისმიერი მოვლენის და საგნის სასაცილო მხარის დანახვაც თუ არ შეგიძლია. არადა, თვითონ ისეთი მონდომებით ცდილობდა, ეს სასაცილო მხარე სხვებისთვისაც დაენახვებინა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი – ეგება სხვა, მეორე მხარეს საერთოდ ვერც ამჩნევს, იქნებ საერთოდ ვერ ხვდება, რა უშრობს და უქვავებს კაცს სიცილს სადღაც, შიგანში-მეთქი. შეიძლება, ამას ბიჭებიც ვერ ხვდებოდნენ, შეიძლება უბრალოდ ათასნაირი, ოთხივე მხრიდან მომავალი სხივების და ტალღების დარტყმის ძალას და სიხშირეებს აღიქვამდნენ, იმათი გავლენით აწყდებოდნენ და ეხლებოდნენ აქეთ-იქით, კომბინატის საქმიანობას მხოლოდ გრძნობდნენ საკუთარ ტყავზე, მე კი, მე ამ საქმიანობას *ვხედავდი* კიდეც.

კაცს ცვლილებას მაშინ შეატყობ, როცა დიდი ხნის უნახავს შეხვდები, ყოველდღე თუ უყურებ, დილა-საღამოს, ვერაფერს შეამჩნევ, რადგან ცვლილება თანდათანობით ხდება. მთელი გზა ვამჩნევდი იმის უამრავ ნიშანს, რისთვის მიეღწია კომბინატს ჩემს არყოფნაში; აი, მაგალითად, სადგურში მატარებელი ჩერდება, კუჭს ითავისუფლებს – ფჰტ, ფჰტ, ფჰტ – ერთი დიდი ოჯახის მწერებივით გადაბმული, ცოცხალმკვდარი არსებების გრძელ ჯაჭვს მოისაქმებს, დაიცლება სარკეში არეკლილივით ერთნაირი, ერთნაირკოსტიუმებიანი და დაშტამპულშლაპებიანი ზრდასრული, საქმიანი მამაკაცების ურდოებისგან, ელექტროსაყვირს ჩაბერავს და გზას აგრძელებს, ახლა სხვაგან უნდა გააპოხიეროს გაბერწებული მიწა.

მერე ერთ თარგზე მოჭრილ, კონვეიერიდან ეს-ესაა გადმოსულ ხუთი ათას ერთნაირ სახლსაც ვხედავ, ქალაქგარეთ, გორაკზე ჩარიგებულს – ახალთახალი სახლები ჯერაც სოსისებივით გადაბმიან ერთმანეთს: „მოიწყვეთ ბუდე დასავლეთში“ – გვაქეზებს დიდი სარეკლამო აბრა – „ვეტერანები პირველი შესატანისგან თავისუფლდებიან“. გორაკის ძირში, სახლების ქვემოთ, მავთულით

შემოღობილი სათამაშო მოედანია, ერთი აბრა ღობეზეც კიდია – „წმინდა ლუკას ვაჟთა სკოლა“. მწვანე ველვეტის შარვლებში, თეთრ პერანგებსა და მწვანე პულოვერებში გამოწყობილი ხუთი ათასი ბიჭი მოედანზე, ერთ აკრ ხრეშზე ლახტს თამაშობს. ქამრები შხუიან, იკლაკნებიან, გველებივით იგრიხებიან... ერთი პატარა, ბეღურასავით მობუზული ბიჭი ქამრის ყოველ მოქნევაზე თვალ-დახუჭული ღობისკენ გაფრთხიალდება ხოლმე, მაგრამ რატომღაც ყველაზე მეტი სწორედ იმას ხვდება, ყველა ქამარი თითქოს მარტო იმას პოულობს, მაინცდამაინც იმას უწვავს კანჭებს.

ხუთი ათასივე ბიჭი იქვე, იმ ხუთი ათას სახლში ცხოვრობს, მატარებლიდან გადმოსული იმ კაცების ოჯახებში. სახლები იმდენად გვანან ერთმანეთს, ბავშვებს ხშირად ეშლებათ და დედ-მამის მაგივრად უცხო ხალხს მიადგებიან ხოლმე. ოღონდ ვერავინ ვერაფერს ამჩნევს. ვახშამს შეჭამენ და დასაძინებლად წვებიან. მარტო იმ პატარა ბიჭს ცნობს ყველა. მუდამ ისეთი დაოსებული და დალილავებულია, სადაც არ უნდა მივიდეს, ყველგან უცხოდ ჩანს. არც გულის გახსნა შეუძლია ვინმესთვის და არც გაცინება. ძნელია სიცილი, როცა იმ სხივების ძალას გრძნობ, ის სხივები გეძგერებიან ქუჩაში ჩავლილი ნებისმიერი მანქანიდა-ნაც და გზად შემოხვედრილი ნებისმიერი სახლიდანაც.

„შეგვიძლია, ჩვენი ლობი გავიჩინოთ ვაშინგტონში,“ ამბობდა ჰარდინგი, „საკუთარი ორგანიზაცია შევქმნათ, სულით ავად-მყოფთა ეროვნული ასოციაცია. მობილური, ჩალიჩა ჯგუფები დაგვჭირდება. ყველა მთავარ გზატკეცილზე დიდი ფირნიშები დავდგათ, ზედ ვინმე ყბედი შიზოფრენიკი დავახატოთ – შეიძ-ლება, ვთქვათ, კედლის სანგრევი მანქანის საჭესთან იჯდეს – და უშველებელი, წითელ-მწვანე ასოებით დავაწეროთ: „დაიქი-რავეთ გიჟები!“ არა, ჩვენ ნამდვილად ვარდისფერი მომავალი გველოდება, ჯენტლმენებო.“

სიუსლოს ხიდზე გადავედით. ჰაერში სწორედ იმდენი ნისლი იყო, შემეძლო, ენაგამოყოფილს მანამდე მეგრძნო ოკეანის გე-

მო, სანამ თვალით დავინახავდი. ყველამ იცოდა, საცაა მივალთო და სანამ დოკებს არ მივადექით, ხმა აღარავის ამოუღია.

კაპიტანს, ვისაც ზღვაში უნდა გავეყვანეთ, მელოტი, ნაცრისფერი თუჯის თავი ისე აჯდა შავ, ყელიან სვიტერზე, როგორც წყალქვეშა ნავს – ქვემეხის კოშკურა; პირში გაჩრილი ჩამქრალი სიგარა ლულასავით მოგვატარა. მაკმერფის გვერდით იდგა ნავმისადგომზე, გველაპარაკებოდა და თან ზღვას გასცქეროდა. იმის ზურგს უკან, რამდენიმე საფეხურით ზემოთ, სათევზაო მოწყობილობის დუქანთან, სკამზე ექვსი თუ რვა ქარგაუმტარ ლაბადიანი კაცი იჯდა. კაპიტანი ხმამაღლა ლაპარაკობდა, იქით იმ უსაქმურების და აქეთ მაკმერფის გასაგონად – სადღაც შუაში უმიზნებდა ჟღრიალა ხმას.

„არ მაინტერესებს. სპეციალურად მოგწერეთ. ხელმოწერილი საბუთი არ მოგიტანიათ, უსაბუთოდ ზღვაში გასვლის უფლება არ მაქვს და არც გავალ!“ მრგვალი თავი-კოშკურა სვიტერის საყელოში აქეთ-იქით ტრიალებდა, თან, ერთად შექუჩებულებს, სიგარასაც გვიმიზნებდა. „ერთი შეხედეთ! აბა ეს ზღვაში გასაყვანი ხალხია, ვირთხებივით გადაცვივდებიან წყალში. მერე მაგათი ნათესავები დაიწყებენ ჩივილს, ტყავს გამაძრობენ. ვერ გავრისკავ.“

მაკმერფიმ აუხსნა, დოკუმენტები მეორე გოგოს უნდა აეღო პორტლენდშიო. „ვინ მეორე გოგოს?“ გამოსძახა დუქნის კედელს მიყუდებულმა ერთ-ერთმა უსაქმურმა. „ეგ ქერა რა, ყველას ვერ გაგწვდებათ?“ მაკმერფიმ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, კაპიტანთან გააგრძელა კამათი, არადა ამ სიტყვებმა გოგოს აშკარად გული ატკინა. დუქანთან შეგროვილები თვალებით ჭამდნენ, თავებს მიატყუპებდნენ ხოლმე და რაღაცას ჩურჩულებდნენ. მთელი ჩვენი ეკიპაჟი ხედავდა, ექიმიც და სირცხვილი გვკლავდა, ვერაფერს ვაკეთებთო. წეღანდელი, ავტოგასამართი სადგურის ამკლები მაგარი ბიჭების კვალიც აღარსად ჩანდა.

როცა დარწმუნდა, კაპიტანთან საერთო ენას ვერ გამოვნახავო, მაკმერფიმ კამათი შეწყვიტა, თმა მოიჩეჩა და რამდენჯერმე მიიხედ-მოიხედა.

„ჩვენი ნაქირავები გემი რომელია?“

„აგე, „ტოროლა“. ოღონდ სანამ ხელმოწერილი საბუთი ჯიბეში არ მედება, კაციშვილი ვერ დაადგამს ზედ ფეხს. კაციშვილი!“

„გემი იმისთვის არ მიქირავებია, ესე ყეყეჩივით ვიდგე მთელი დღე და დავტკბე, როგორ ატორტმანებენ დოკში ტალღები,“ თქვა მაკმერფიმ. „მაგ თქვენ ფარდულში ტელეფონი არა გაქთ? წავიდეთ, გავარკვიოთ საქმე.“

ბრაგაბრუგით აუყვნენ კიბეს დუქნისკენ, დუქანში შევიდნენ და საცოდავად აბუზულები შეგვატოვეს ლაზღანდარებს. ისინიც შეუფარავად გვათვალიერებდნენ, ხმამაღლა გვახასიათებდნენ, ხორხოცებდნენ და ერთმანეთს მუჯლუგუნებს უბაზუნებდნენ. ნავმისადგომთან ქარი ნავებს ატორტმანებდა, ისეთი ხმით ახლიდა ცხვირებით ნაპირის გასწვრივ ჩარიგებულ ავტომობილის საბურავებს, თითქოს ისინიც ჩვენ დაგვცინოდნენ. ფიცრებქვეშ წყალი ხითხითებდა და ჟანგიან კავებზე დაკიდებული დუქნის აბრაც – „ყველაფერი მეთევზეებისთვის, კაპიტ. ბლოკის საკუთრ.“ – გულისგამაწვრილებლად ჟღარუნობდა და წრიპინებდა. წყლიდან ოთხ ფუტზე, ზუსტად მოქცევის დონეზე, ხიმინჯებს მიკრული ნიჟარები მზეზე უსტვენდნენ და ტკაცუნობდნენ.

ქარი გაავდა, სუსხი მოემატა, ბილი ბიბიტმა მწვანე ქურთუკი გაიხადა, გოგოს გაუწოდა და იმანაც მაისურზე შემოიცვა. ერთი უსაქმური გაუთავებლად ეძახდა ზევიდან: „ეი, ლამაზო, გევასება დარეხვილები, ჩემი გოგო?“ კაცს თირკმლისფერი ტუჩები ჰქონდა, თვალების ქვეშ კი, სადაც ქარს სისხლძარღვები დაეფუფქა, ალისფერი დაკრავდა. „ეი, ლამაზო, შენ გეუბნები,“ არა და არ ცხრებოდა კაცის გამყივანი და თან მოღლილი ხმა, „ეი, ლამაზო... ეი, ლამაზო... ეი, ლამაზო...“

ქარით შეწუხებულები, უფრო და უფრო ვეკვროდით და ვეტმასნებოდით ერთმანეთს.

„ერთი მითხარი, ლამაზო, შენ რიღასთვის დაგამწყვდიეს, ჰა?“

„ეგ დამწყვდეული არ არი, პერს, ეგ მკურნალობაში ითვლება.“

„მართლა, ლამაზო? მკურნალად დაგიქირავეს? ეი, ლამაზო!“

გოგომ თავი ასწია და თვალებით გვკითხა, წეღანდელი ძველი ბიჭების ხროვა რა იქნა, რატომ ხმას არ იღებთ და არ მექომაგებითო? თვალი ვერავინ გაუსწორა. მთელი ჩვენი ვაჟკაცობა და გამბედაობა კიბეს აუყვა ამ ცოტა ხნის წინ, მელოტ კაპიტანს ხელი გადახვია და დუქანში გაუჩინარდა.

გოგომ პიჟამის საყელო აიწია, ერთიანად აიწურა და უხმოდ გაგვეცალა, ნავმისადგომის შორეული ბოლოსკენ წავიდა. არავინ გაყოლია. ბილი ბიბიტს სიცივისგან გააურიალა და ტუჩი მოიკვნიტა. დუქანთან ჩამომსხდარმა უსაქმურებმა კიდევ რაღაც იჩურჩულეს და ისევ აჭიხვინდნენ.

„მიდი, მიდი, კითხე, პერს.“

„ეი, ლამაზო, შენი უფლება-მოვალეობების ქაღალდზე ხელი მოაწერინე? როგორც გავიგე, ამათგან ვინმე წყალში თუ გადავარდა და დაიხრჩო, ნათესავებმა შეიძლება იჩივლონ. მაგაზე არ გიფიქრია? იქნება ჩვენთან დარჩენილიყავი, ცუნცულ!“

„მართლა, ჩემი გოგო! ჩემი ნათესავები არ გიჩივლებენ. პირობას გაძლევ. დარჩი ჩვენთან, ლამაზო.“

წარმოვიდგინე, ვითომ ფეხები მისველდებოდა, ვითომ ნავმისადგომი ყურეში იძირებოდა სირცხვილისგან. აქაურობისთვის, ამ ლაზღანდარა უსაქმურებისთვის ნაღდად არ ვვარგოდით, არც იყო აქ ჩვენი ადგილი. ვინატრე, ნეტა მაკმერფი დროზე გამოჩნდეს, ამათ ერთი კარგად შეუკურთხოს და მერე ჩვენც ისევ უკან, მშობლიურ ბუდეში დაგვაბრუნოს-მეთქი.

თირკმლისფერტუჩებიანმა დანა დაკეცა, წამოდგა და კალთიდან ბურბუშელა ჩამოიფერთხა. კიბის საფეხურებისკენ დაიღერა თავი. „გეყო ეხლა, ლამაზო, ამ ქლიავებთან რა საქმე გაქვს?“

ნავმისადგომის ბოლოში გასული გოგო მოტრიალდა, გამოხედა, მერე ისევ ჩვენ მოგვაჩერდა – აშკარად შეეტყო, კაცის ნათქვამზე ფიქრობდა, იქნება მართლა ეგრე ჯობდესო – და ამ დროს უცებ დუქნის კარი მოფრიალდა, მაკმერფი გამოვარდა, დუქნის წინ ჩამომსხდარებს ლამის ზედ გადაუარა და ფართხაფურთხით კიბეზე დაეშვა.

„აუშვით აფრები, მოგვარდა ყველაფერი! ნავიც მზათაა, საწვავიც ასხია, ანკესები და ლუდიც ატანილია...“

ბილის წამოარტყა, ერთი მეზღვაურულად წაუცეკვა და ბაგირების ახსნა დაიწყო.

„ზღვის ლომი კაპიტანი ბლოკი ჯერაც ტელეფონზე კიდია, მარა გამოვა თუ არა, ჩვენც მოვხევთ. ჯორჯ, აბა ვნახოთ ერთი, ამ მოტორს თუ გაახურებ. სქანლონ, შენ და ჰარდინგმა ეგ თოკი მოხსენით. ქენდი! მანდ რა გინდა, გოგო?! მოდი დროზე, ზღვაში გავდივართ.“

გახარებულები თავპირისმტვრევით ავცვივდით გემბანზე, იმ ჯეელების ყურებას და მოსმენას უკვე ყველაფერი გვერჩია. ბილიმ გოგოს ხელი ჩაკიდა და გემზე ამოსვლაში მოეხმარა. ჯორჯი ხელსაწყოების დაფას დაღილინებდა კაპიტნის ბოგაზე, მაკმერფის უხსნიდა, რა გადაეტრიალებინა და რომელ ღილაკზე დაეჭირა თითი.

„ესეთი გემები დედის რძეს არ შეგარჩენს კაცს, ეგრეც ვეძახდით – მარწყევინას,“ ეუბნებოდა მაკმერფის, „მარა სამართავად ძაან იოლია, გინდაც მანქანა გიტარებია.“

ექიმმა, სანამ გემბანზე ამოვიდოდა, ცოტა იყოყმანა, დუქნისკენ გაიხედა. უკვე ფეხზე წამომდგარი და კიბის თავში შეგროვილი უსაქმურებისკენ გაექცა თვალი.

„იქნებ ჯობდეს, მოვიცადოთ, რენდლ... სანამ კაპიტანი...“

მაკმერფიმ საყელოში ჩაავლო ხელები, ასწია, მიწას ააცილა და პირდაპირ გემბანზე დაასკუპა პატარა ბავშვივით. „აბა რა, დოკ!“ თქვა მაკმერფიმ. „მოვიცადოთ, სანამ კაპიტანი... რას იზამს?..“ სიცილი აუტყდა, მთვრალივით იცინოდა, თან აღგზნებული, განერვიულებული ლაპარაკობდა: „მოვიცადოთ, სანამ კაპიტანი გამოვა და გვეტყვის, პორტლენდში ღამის გასათევი სახლის ტელეფონი მოგიციათო? სუ მაგ ჭკუაზე ვარ! რა ჭირი გეტაკა, ჯორჯ? მიხედე საქმეს და მოგვაშორე აქაურობას! სეფელტ! მოხსენი თოკი და ამოხტი დროზე. აბა შენ იცი, ჯორჯ...“

ძრავამ ამოიხვნეშა და დადუმდა; ერთხელაც ამოიხვნეშა,

თითქოს ყელს ისუფთავებსო, და მერე გემრიელად აღრიალდა.

„ჰეჰეჰეეე! წავედით. შეუკეთე, შეუკეთე ჯორჯ! აბა, ბიჭებო, აბორდაჟის მოსაგერიებლად მოემზადეთ!“

კიჩოს უკან თეთრად ათუხთუხდა ბოლი და წყალი, სწორედ ამ დროს დუქნის კარიც გაიღო ჯახანით, დუქნიდან ყუმბარასავით გამოვარდა კაპიტნის თავი და გრიალით დაგორდა კიბის საფეხურებზე – თითქოს მარტო კაპიტნის კი არა, დანარჩენი რვა ბიჭის სხეულებსაც მოათრევდა თან. ბრაგაბრუგით გამოირბინეს ნავმისადგომი, ადუღებულ ქაფში გამოტოპეს და მერეღა გაჩერდნენ – ჯორჯმა უკვე მოასწრო გემის შემობრუნება, ნავმისადგომს ზურგი აქცია და ჩვენ ფერხთით გადაშლილი ზღვისკენ ააღებინა გეზი.

გემის უეცარმა შემობრუნებამ ქენდი მუხლებზე დაანარცხა. ბილი მაშინვე მისახმარებლად მივარდა, თან წამოდგომაში შველოდა და თან ბოდიშებს უხდიდა ნავმისადგომზე თავისი წეღანდელი საქციელის გამო. მაკმერფი კაპიტნის ბოგადან ჩამოვიდა, ბილის და გოგოს კითხა, იქნებ თქვენ ორს განმარტოება გინდათ, ძველი დროის გახსენებაო? ქენდიმ ბილის გადახედა, იმან კიდევ მარტო თავის გაქნევა მოახერხა და ენის ბორძიკ-ბორძიკით რაღაც გაუგებარი ჩაიბუტბუტა. მაშინ მე და ქენდი ჩავალთ ქვევით, ვნახავთ, სადმე წყალი ხომ არ ჟონავს, თქვენ კი ცოტა ხანს უჩემოდ შეიქციეთ თავიო, თქვა მაკმერფიმ. კაბინის კარებთან წამით გაჩერდა, მხედრულად მოგვესალმა, თვალი ჩაგვიკრა, ჯორჯი კაპიტნად, ჰარდინგი კი კაპიტნის პირველ თანაშემწედ დანიშნა, აბა, თქვენ იცით, ბიჭებოო! – დაგვიბარა და გოგოსთან ერთად კაბინაში გაუჩინარდა.

ქარი ცოტათი ჩადგა და ძალამოკრებილი მზეც ქრომისფრად ავარაყებდა მუქი მწვანე ტალღების აღმოსავლეთ ფერდობებს. ჯორჯს გემი სრული სვლით გაყავდა ღია ზღვაში, სულ უფრო და უფრო უკან ტოვებდა ნავმისადგომსაც და იმ დუქანსაც. როცა ჯებირსაც და უკანასკნელ შავ კლდესაც ჩავუარეთ, ვიგრძენი, როგორ დამეუფლა საოცარი სიმშვიდე და ეს განცდა თან-

დათანობით, განუწყვეტლივ ძლიერდებოდა, რაც უფრო მეტად ვშორდებოდით ნაპირს.

ბიჭებმა ცოტა ხანს აღგზნებულებმა იყაყანეს ჩვენ მეკობრეობაზე, გემის მოტაცებაზე და მალევე მიჩუმდნენ. უცებ კაბინის კარი გაიღო, ზუსტად იმდენზე და იმდენი ხნით, რაც იქიდან ერთი ყუთი ლუდის გამოცურებას დაჭირდებოდა. ბილიმ სადღაც გასახსნელი იპოვა, სათითაოდ გაგვიხსნა ბოთლები და ყველას ჩამოგვირიგა. ვსვამდით და ვუყურებდით, როგორ იძირებოდა მიწა კილვატერში.

დაახლოებით ერთი მილის გავლის მერე ჯორჯმა სიჩქარეს უკლო, როგორც თვითონ თქვა, „სათევზაოზე“ დაიყვანა, ოთხი ბიჭი ოთხი ანკესით დააყენა კიჩოზე და ჩვენც, დანარჩენები, მზეს მივეფიცხეთ – ზოგი კაბინის სახურავზე მოვკალათდით და ზოგიც გემის ცხვირზე, პერანგები გავიხადეთ და ცალი თვალით ვუყურებდით, როგორ ებრძოდა და ეჯახირებოდა ანკესებს ოთხი მეთევზე. ჰარდინგმა ასე დააწესა – ყველა მანამდე ითევზავებდა, სანამ იმის ანკესს თევზი არ წამოეგებოდა, მერე კი ადგილს სხვას დაუთმობდა. ჯორჯი საჭესთან იდგა, მარილმიმხმარი შუშის იქიდან თვალებმოჭუტული გამოგვცქეროდა და ყვირილით გვიხსნიდა, რა უნდა გვეკეთებინა, კოჭზე ძუა როგორ დაგვეხვია, კავზე ქაშაყი როგორ წამოგვეცვა, რამსიშორეზე და რა სიღრმეზე გადაგვეგდო ანკესი:

„აი, ეგ ოთხი ნომერი აიღე, თორმეტუნციიანი ტივტივა გაუკეთე... ხო, კარგი, ამწუთას გაჩვენებ... ყველაზე დიდი უნდა ამოვათრიოთ, ფსკერიდან, ას პროცენტში!“

მარტინიმ ქიმთან მიირბინა, გადაიხარა და დაჟინებით დააშტერდა წყალს, თავისი ანკესის ძუას ჩააყოლა თვალი. „აუჰ, აუჰ, ღმერთო!..“ აშკარად რაღაცამ გააკვირვა, თუმცა რა დაინახა, ვერ გავიგეთ, რაც იყო, ჩვენთვის, დანარჩენებისთვის, ეტყობა, ძალიან ღრმად იყო.

სანაპიროს მთელ გაყოლებაზე სხვა სპორტული ნავებიდანაც თევზაობდნენ მოყვარულები, მაგრამ ჯორჯს არც უცდია იმათ

შეერთებოდა; ჯიუტად უქცევდა გვერდს და გეზი ღია ზღვისკენ ეჭირა. „არა ბიჭო!“ ბუზღუნებდა თავისთვის. „ამათ გავუყადრებ თავს. ჩვენ ნაღდ მეთეზეებთან გავალთ, თევზი თუა, იქაა.“

ირგვლივ ტალღები დაგორავდნენ, ცალ მხარეს ზურმუხტის, მეორე მხარეს კი ქრომისფერი. მარტო ძრავის ფრუტუნღულუნი ისმოდა – ხან ხმამაღლა, ხან კი უფრო სუსტად, იმის მიხედვით, ტალღა გემს ზევით აისროდა თუ წყალში ჩააყოფინებდა ხოლმე გამოსაბოლქვ მილს – და კიდევ უშნო, პატარა, შავი ჩიტების უცნაური, მოწყენილი ჭყივილი, გემის გარშემო მოტივტივეები, ალბათ გზას თუ ეკითხებოდნენ ერთმანეთს. სხვა ყველა და ყველაფერი დუმდა. ბიჭებიდან ზოგს ეძინა, სხვები წყალს დასცქეროდნენ. თითქმის ერთი საათი გავიდა, როცა უცებ სეფელტის ანკესი მოირკალა და წვერი წყალში ჩაყო.

„ჯორჯ! ღმერთო ჩემო, ჯორჯ! მოდი, მოგვეშველე!..“

ჯორჯს ცოცხალი თავით ანკესთან სათოფეზე მიკარებაც არ უნდოდა; ჩაიცინა, სეფელტს უბრძანა, მუხრუჭი აუშვი, ანკესი სულ მაღლა გეჭიროს და მოქაჩე, გასაქანი არ მისცე თევზსო.

„კი, მაგრამ, შეტევა რომ მომივიდეს?“ აყვირდა სეფელტი.

„მოგივიდეს! მაშინ კაუჭზე შენ წამოგაცვამთ და თევზსაც შენზე მოვიტყუებთ!“ უყვირა ჰარდინგმაც. „მიდი, მაგრად მოქაჩე, შეასრულე კაპიტნის ბრძანება და შეტევაზე ლაპარაკი აღარ გამაგონო!“

გემიდან ოცდაათი იარდის მოშორებით მზეზე თევზმა გაიბრწყინა, ვერცხლის ქერცლი მიმოაბნია. სეფელტი თვალებად იქცა, ისე აღელდა, ისე გაერთო თევზის ცქერით, ანკესი დაბლა დაუშვა და გაწყვეტილმა ძუამაც რეზინივით გაიტკაცუნა გემბანზე.

„მაღლა-მეთქი, ხო გითხარი?! რას დააქაჩინე? მაღლა არ იცი, რა არი? რამხელა იყო მაინც...“

როცა ბოლოს და ბოლოს ანკესი ფრედრიქსონს გადასცა, სეფელტს ერთიანად გათეთრებული ყბა ციებიანივით უკანკალებდა. „ჯანდაბას თქვენი თავი, ოღონდ იცოდეთ, ლაყუჩში

კაუჭგაყრილი თევზი თუ დაიჭირეთ ვინმემ, ეგ იქნება, ჩემი!“

მეც დანარჩენებივით აღგზნებული ვიყავი. თევზაობას არ ვაპირებდი, მაგრამ როცა ძუის ბოლოზე ორაგულის ეს ფოლადისებური ძალა დავინახე, კაბინის სახურავიდან ქვევით ჩავედი, პერანგი ჩავიცვი და ჩემს რიგს დაველოდე.

სქანლონმა სანაძლეოების დადება დაიწყო, ჯერ თქვა, ყველაზე დიდ თევზს ვინ დაიჭერსო, მერე – პირველად ვის გაუმართლებსო. ორმოცდაათ-ორმოცდაათ ცენტს ადებინებდა ყველა მსურველს. ჯიბეში ფულის შენახვაც ვერ მოასწრო და ბილიმ წყლიდან რაღაც საზიზღრობა ამოათრია, ათგირვანქიან გომბეშოს გავდა და თან მაჩვზღარბასავით ეკლებიც ესხა.

„ეს რა თევზია,“ აიმრიზა სქანლონი, „ეს მოგებაში არ გეთვლება.“

„აბა, ჩ-ჩ-ჩიტია?“

„თევზია, თევზი,“ დაგვამშვიდა ჯორჯმა. „მშვენიერი გემო აქვს, ოღონდ კაი გასუფთავება უნდა.“

„გაიგე? ესეც თევზია. აბა, მ-მ-მივიღოთ ფული!“

ბილიმ თავისი ანკესი მომცა, ფული ჩაიბარა და კაბინის შორიახლოს ჩამოჯდა, სევდიანად მიაჩერდა ჩაკეტილ კარებს. „ნ-ნ-ნეტა ყველას სამყოფი ანკესები გვქონოდა“, ჩაილაპარაკა მოწყენილმა და ზურგით კაბინას მიეყრდნო.

ვიჯექი, ხელში ანკესი მეჭირა და კილვატერში ჩათრეულ ძუას არ ვაშორებდი თვალს. ხარბად ვისუნთქავდი ჰაერს, ვგრძნობდი, დალეული ლუდი მოკლედ როგორ რთავდა მთელ ჩემს სხეულში ჩამონტაჟებულ ათობით საკონტროლო მავთულს: ირგვლივ, ოთხივე მხარეს, მზეზე ტალღების ქრომისფერი ფერდები ციმციმებდნენ და ანათებდნენ.

ჯორჯმა სიმღერ-სიმღერით გვიბრძანა, წინ იყურეთ, ეხლა ნახავთ, რასაც ეძებთო. კისერწაგრძელებულმა მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე მოტივტივე მორისა და იმ შავი თოლიების გარდა, რომლებიც მორის გარშემო ყვინთავდნენ, ქარბორბალათი ატაცებული შავი ფოთლებივით ირეოდნენ. ჯორჯმა

ცოტათი მოუმატა სიჩქარეს, ფრინველების გუნდისკენ აიღო გეზი. სიჩქარისგან ძუა გამექცა, დაიჭიმა. ვიფიქრე, ახლა ველარც მივხვდები, თევზი როდის წამოეგება-მეთქი.

„ეგენი, ეგ მუცელღმერთები, ცქიმურას გუნდებს დაყვებიან," გვმოძღვრავდა საჭესთან მდგომი ჯორჯი, „სხვანაირად სანთელა თევზებსაც ეძახიან, პატარები არიან, თეთრები, თითისტოლები. რო გააშრობ, მართლა სანთელივით ანთია ხოლმე. იჭმევა, კაი თევზია. ხოდა, სადაც სანთელას ნახავ, იცოდე, ჩვენი ვერცხლისფერი ორაგულიც სადღაც იქვეა, ას პროცენტში."

მორს გვერდი აუქცია და პირდაპირ ჩიტებში შეაჭრა. უცებ გემის ირგვლივ ტალღების ქრომისფერი ფერდები მყვინთავი ჩიტებით და ასხმარტალებული თევზებით ათუხთუხდა, აზავთდა, მერე კი მთელ ამ ალიაქოთში ორაგულების მოვერცხლისფრო-მოცისფრო, ტორპედოსებურმა ზურგებმაც გაიელვეს. დავინახე, როგორ მოირკალა ერთი ზურგი, მიმართულება შეიცვალა და სწორედ იქით გამოეშურა, სადაც, კიჩოდან ოცდაათიოდე იარდის მოშორებით, წესით, ჩემი ანკესის ქაშაყიანი კავი უნდა ყოფილიყო. ერთიანად დავიჭიმე, გულმა ზარივით დამიწყო რეკვა და უცებ ლამის ორივე ხელი მომწყდა, საშინელი ბიძგი ვიგრძენი, თითქოს ანკესს ვიღაცამ ბეისბოლის კეტი შემოკრაო, ცეცხლმოკიდებული და სისხლივით გაწითლებული ძუა კოჭიდან მოწყდა და მეც სულ ტყუილად ვცდილობდი, როგორმე ცერა თითით შემეკავებინა. „მუხრუჭი იხმარე, მუხრუჭი!" მიყვიროდა ჯორჯი, მაგრამ ეგ მუხრუჭი რა ხილი იყო, წარმოდგენა არ მქონდა და ისევ ცერით დავაწექი მთელი ძალით, სანამ ძუა ისევ არ გაყვითლდა, მერე ნელ-ნელა სიჩქარე დაკარგა და ბოლოს სულ გაჩერდა. მივიხედ-მოვიხედე. ჩემი ანკესივით სამი დანარჩენიც შხუოდა და ჰაერში იგრიხებოდა, კაბინის სახურავიდან ბიჭები ჩამოხტნენ, აწითლებულები, აღგზნებულები, და ვისაც როგორ შეეძლო, ცდილობდა ფეხებში გაგვბლანდვოდა.

„მოქაჩე! მოქაჩე! არ დაუშვა, მაღლა გეჭიროს!" ღრიალებდა ჯორჯი.

„მაკმერფი! გამოდი მაქედან და მოგვხედე.“

„მადლობა ღმერთს, ფრედ, ჩემი თევზი დაგიჭერია!“

„მაკმერფი, მოგვეხმარე, მაკმერფი, ცუდადაა საქმე!“

მაკმერფის სიცილი გავიგონე და ცალი თვალით დავინახე კიდეც – ვითომც არაფერიო, კაბინის კართან იდგა და არც ფიქრობდა რამის გაკეთებას. მე ჩემი გასაჭირი მქონდა, ანკესს ვეომებოდი და საშველადაც რანაირად დავუძახებდი?! რამე ქენიო, უყვიროდა ყველა, მაგრამ მაკმერფი არც ინძრეოდა. ექიმიც კი, ვისაც ანკესი ღრმად ჰქონდა გადაგდებული, შველას ითხოვდა. არადა, მაკმერფი ჯორივით იდგა და იცინოდა. ბოლოს ჰარდინგი მიხვდა, ეგ თითის თითზე დამკარებელი არ არისო, თვითონვე დასწვდა ბარჯს და ოსტატურად, რაღაცნაირად ლამაზადაც ამოაგდო ჩემი ასხმარტალებული თევზი გემბანზე, ერთი მოძრაობით, თითქოს ცხოვრებაში თევზის ჭერის მეტი არაფერი უკეთებიაო. რამხელაა ეს ოხერი, ლამის ჩემი ფეხის ან სულაც მესრის ბოძისოდენა-მეთქი, გავიფიქრე. ამოდენა თევზი ჩანჩქერზეც არ დაგვიჭერია არასდროს. მართლა შეშლილ ცისარტყელასავით ხტის მთელ გემბანზე, სისხლით თხვრის ყველაფერს და ქერცლსაც ვერცხლის ხურდა ფულივით აბნევს ირგვლივ. ნეტავი ისევ წყალში არ გადახტებოდეს-მეთქი, ვნატრობ. ეს მაკმერფიც რომ არ ფიქრობს მოხმარებას! სქანლონი თევზს აცხრება, ეჭიდავება და გემბანის ფიცრებს აკრავს, არ აცლის გადახტომას. მერე ქვევიდან გოგოც ამორბის, ჩემი რიგი არ მოვიდაო, ყვირის, ანკესს ხელიდან მგლეჯს და სანამ ახალ ქაშაყს წამოვუცვამ ზედ, სამჯერ მიყრის თითში კაუჭს.

„ბელადო, მამაძაღლი ვიყო, ამოდენა რამე თუ მენახოს ცხოვრებაში! ჰა, რა იყო, ცერი გაგეჭრა? გიკბინა ამ ვირმა? ვინმემ ბელადს თითი შეუხვიეთ, დროზე!“

„ახალ გუნდში შევდივართ,“ ყვირის ჯორჯი. მეც ძუას კიჩოდან წყალში ვუშვებ და ვხედავ, წამით გამკრთალ ქაშაყს როგორ ეტაკება და ნთქავს ორაგულის მუქი ლურჯი ჩრდილი. ძუა შიშინით უჩინარდება წყალქვეშ. გოგოს ორივე ხელით მაგრად ჩაუბ-

ღუჯია ანკესი და კბილი კბილზე დაუჭერია. „არ გაბედო, შე ოხერო! არ გაბედო-მეთქი...“

გოგო ფეხზე დგას, ანკესის ჯოხი ლაჯებში ამოუჩრია, ხელები კოჭის ქვეშ აქვს ჩავლებული, კოჭი ტრიალებს და იმის სახელურიც გამეტებით სცემს ტანზე, სანამ ძუა ბოლომდე არ ჩათავდება: „ოოოხ, გაჩერდი-მეთქი, შე ვირო!“ ახლაც ბილის მწვანე პიჟამა აცვია, კოჭის სახელური პიჟამას უღეღავს და ყველა ვხედავთ – მაისური გაუხდია, პიჟამის ქვეშ მთლად დედიშობილაა. ბიჭები ირცხვენენ, თან ვითომ მარტო თავ-თავიანთი თევზების ამოთრევა აინტერესებთ, ცდილობენ, მთელ გემბანზე მოხტუნავე ჩემს თევზსაც მოერიდონ, სახელური კი ტრიალებს და ტრიალებს, ისეთი სისწრაფით ეხლება გოგოს მკერდზე, ძუძუს კერტი ერთიან ალისფერ ლაქად გადაქცეულა.

ბილი მისახმარებლად გოგოსკენ ხტება. უკეთესის ვერაფრის მოფიქრებას ვერ ახერხებს, უკნიდან ხელებს ხვევს და კიდევ უფრო მაგრად აჭერს ანკესის ჯოხს გულზე, ძუძუებს შორის, ისე მაგრად, ტანზე მიკრული კოჭი ბოლოს და ბოლოს ჩერდება კიდეც. გოგო ისეთი დაძაბულია და ძუძუებიც, ეტყობა, ისე გამაგრებია, ბილიმაც და იმანაც ერთდროულად რომ გაუშვან ანკესს ხელი, მაინც ძველ ადგილზე დარჩება-მეთქი, მგონია.

ეს ალიაქოთი კარგა ხანს გრძელდება, არადა, ზღვისთვის სულ ერთი წამია – კაცები ჭყივიან, იბრძვიან, ფაციფუცობენ, თან ანკესების ამოქაჩვა უნდათ და თან გოგოსკენ გაურბით თვალი; სადღაც, ფეხებთან, სქანლონის და ჩემი თევზის სისხლიან ორთაბრძოლას არ ადგება საშველი; ერთმანეთში აბლანდულ და გადახლართულ ძუებს თავს და ბოლოს ვერ გაუგებ: ერთ ძუას ექიმის სათვალეც გამოდებია ზონრით და კიჩოს უკან, ათიოდე ფუტის მოშორებით ქანაობს ჰაერში; სათვალის აციმციმებულ შუშებს თევზი ეხლება, გოგო უკანასკნელი სიტყვებით იგინება და ახლაღა დასცქერის გაშიშვლებულ ძუძუებს, ერთს თეთრს და მეორეს – ალისფრად მოვარვარეს. ჯორჯი აღარ უყურებს, საით მიყავს გემი, პირდაპირ მორს ეტაკება და ძრავაც ქრება.

მაკმერფი კი ამ დროს გაუჩერებლად იცინის. უფრო და უფრო იზნიქება უკან, ლამის წვება კაბინის სახურავზე და მთელ არე-მარეს აყრუებს თავისი ხარხარით. გოგოსაც დასცინის, ბიჭებსაც, ჯორჯსაც... ჩემზეც ეცინება – როგორ ვილოკავ ამოდენა ვირი გასისხლიანებულ ცერს, ნავმისადგომზე დარჩენილ კაპიტანზეც, დილანდელ ველოსიპედისტზეც, ბენზინის ჩამსხმელებზეც, ხუთი ათას სახლზეც, მთავარ ექთანზეც და საერთოდ, ყველაფერზე. იმიტომ რომ იცის, თუკი წონასწორობის შენარჩუნება გინდა, თუკი ცდილობ, ცხოვრებამ ჭკუიდან არ გადაგიყვანოს, ყველაფერზე უნდა იცინო, რაც ტკივილს გაყენებს. რა თქმა უნდა, იმ მეორე, მტკივნეული მხარის არსებობაც მშვენივრად მოეხსენება; იცის, მე თითი მტკივა, იმის მეგობარ გოგოს მკერდი აქვს დაბეჟილი, ექიმმა სათვალე დაკარგა – მაგრამ ტკივილს არაფრით მისცემს ნებას, სასაცილო მხარე დაჩრდილოს, ზუსტად ისევე, როგორც სასაცილოთი არ მიჩქმალავს მტკივნეულს.

ვხედავ, ჰარდინგიც მაკმერფის გვერდით გადათხლაშულა და ისიც სიცილით კვდება. მერე თევზთან მოჭიდავე სქანლონიც ამათ ყვება. ჩვენც, დანარჩენებსაც დაგვცინიან და საკუთარ თავსაც. სიცილს გოგოც იწყებს, არადა, ჯერაც თვალები ეწვის და ჩქარ-ჩქარა ხან თეთრ ძუძუს დახედავს ხოლმე, ხან კიდევ ალისფერს... უკვე სეფელტიც იცინის, ექიმიც... ყველა.

სიცილი მოულოდნელად დაიწყო, ნელ-ნელა, მერე იმატა, იმძლავრა და ბიჭებიც თითქოს თანდათან გაიზარდნენ, გადიდდნენ, უფრო და უფრო გაძლიერდნენ... ვიდექი და დანარჩენებს შევცქეროდი, იმათიანი, იმათი ნაწილი, იმათსავით გულიანად ახარხარებული, ოღონდ თან რაღაცნაირად სხვებისგან გამიჯნულიც. გემბანს მოვწყდი, მაღლა ავიჭერი და, ქარს მიყოლილი, მეც იმ შავ ჩიტებთან ერთად დავფრინავდი ცაში. მაღლიდან ვიყურებოდი და საკუთარ თავსაც ვხედავდი, დანარჩენებსაც, მყვინთავ ჩიტებს შორის ატორტმანებულ გემსაც, თორმეტი ამხანაგით გარშემორტყმულ მაკმერფისაც... თვალს არ ვაშორებდი არც იმათ და არც საკუთარ თავს, ირგვლივ კი ჩვენი ხარ-

ხარი აზანზარებდა ჰაერს, სულ უფრო და უფრო შორს ვრცელდებოდა, წრიულად, ვიდრე მთელი სანაპიროს პლაჟებს არ მიეხლებოდა, ყველა სანაპიროს ყველა პლაჟს, რიგრიგობით, ახალ-ახალ ტალღებად, კიდევ და კიდევ.

ექიმის ანკესი ზედ ფსკერთან გამოედო რაღაც უშველებელს და სანამ ზემოთ ამოქაჩვას მოახერხებდა, ჯორჯის გარდა უკვე ყველამ დავიჭირეთ და გემბანზეც ამოვაგდეთ თითო-თითო თევზი. ბოლო-ბოლო, ექიმის ნადავლსაც მოვკარით თვალი, დავინახეთ, როგორ გაიელვა წამით თეთრად და, ექიმის მთელი მცდელობის მიუხედავად, ისევ ფსკერზე ჩაყვინთა. ექიმი ცოცხალი თავით არ ყრიდა ფარ-ხმალს, ნებისმიერ მიხმარებაზე ჯიუტად ამბობდა უარს, აქოშინებული ეჯავჯგურებოდა ანკესს, კოჭსაც გააფთრებული ატრიალებდა, მაგრამ თევზი ზედაპირს მოუახლოვდებოდა თუ არა, მოკრავდა თუ არა თვალს სინათლეს, მაშინვე სიღრმეში უჩინარდებოდა.

ჯორჯს ძრავას ამუშავება აღარც უცდია, ქვევით ჩამოვიდა და თევზის ისე გაფცქვნას გვასწავლიდა, ქერცლი გემბანზე არ დაყრილიყო; მერე ლაყუჩებიც დაგვაძრობინა – გემო არ გაუფუჭდებათო. მაკმერფიმ ოთხფუტიანი ძუის ორივე ბოლოზე თევზის ნაჭრები გამოაბა, ჰაერში ააგდო და ორი გამყივანად აჭყივლებული ჩიტიც გვერდიგვერდ მოჰყვა ჩვენ თავზე ტრიალს – „სამარის კარამდე ერთად!“

გემის მთელი კიჩო და ეკიპაჟის უმეტესობა წითლად და ვერცხლისფრად იყო მოთხვრილი. ზოგიერთებმა პერანგები გავიხადეთ, წყალში გავავლეთ, გარეცხვა ვცადეთ. ასე გაგვყავდა დრო, ცოტ-ცოტას ვთევზაობდით, ლუდს ვწრუპავდით, უკვე მეორე ყუთიდან, და შუადღემდე ჩიტებს ვაპურებდით. გემი ზარმაცად ირწეოდა ტალღებზე, ექიმი კი ჯერაც ფსკერის ბინადარ ურჩხულს ეომებოდა. ქარი გაძლიერდა, ზღვა მწვანე და ვერცხლისფერ ნამსხვრევებად აქცია, შუშის და ქრომის მინდორს დაამსგავსა, გემიც თანდათან უფრო მაგრად ატორტმან-

და. ჯორჯმა ექიმს უთხრა, ან დაიჭირე ეგ თევზი, ანდა ძუა გადაჭერი, თორემ ამინდი ფუჭდებაო. ექიმს არაფერი უპასუხია. ოღონდ ანკესს კი ჩააფრინდა მეტი გააფთრებით, მთელი ტანით წინ გადაიხარა, მობოშებული ძუა კოჭზე დაახვია და ერთიც კაცურად მოქაჩა.

ბილიმ და გოგომ გემის ცხვირზე მოიკალათეს, საუბრობდნენ და წყალში იყურებოდნენ. უცებ ბილიმ იყვირა, რაღაც დავინახეო და ყველა იქით გავცვივდით. წყალქვეშ, ათი-თხუთმეტი ფუტის სიღრმეზე, თანდათან მართლაც აშკარად იკვეთებოდა ბუნდოვანი, განიერი და თეთრი ლანდი. უცნაური სანახავი იყო, როგორ ამოდიოდა ზედაპირზე, თავიდან სინათლისფერი, მერე წყალქვეშ თეთრი ნისლივით გაბნეული, ბოლოს კი ფორმაშეძენილი, გამკვრივებული, ცოცხალი...

„ღმერთო ძლიერო!“ იყვირა სქანლონმა. „ეს ექიმის თევზია!“

მართალია, თევზი გემის სხვა მხარეს გამოჩნდა, მაგრამ ძუის მიმართულება სქანლონის სიმართლეს ადასტურებდა.

„ამას გემზე თავის დღეში ვერ ამოვათრევთ,“ თქვა სეფელტმა. „თან ქარიც ძლიერდება...“

„დიდი კამბალაა,“ თქვა ჯორჯმა. „ზოგჯერ ორას, სამას გირვანქასაც იწონის ხოლმე. ჯალამბრის გარეშე არაფერი გამოვა.“

„ძუა უნდა გადავჭრათ და გავუშვათ, დოკ“, თქვა სეფელტმა და ექიმს ბეჭებზე ხელი შემოხვია. ექიმს ხმა არ ამოუღია; პიჯაკის ზურგი მთლად დამბალი ჰქონდა ოფლისგან, უსათვალოდ დარჩენილს თვალები წითლად უელავდა. მანამდე ქაჩა ანკესი, სანამ ბოლოს თევზი თავის მხარეს არ გაათრია. ცოტა ხანს კიდევ დავცქეროდით ზედაპირზე აფართხალებულს, მერე კი თოკების და ბარჯის მოსატანად გავცვივდით.

ბარჯგაყრილმაც ერთი საათი გვაწვალა, დანარჩენი სამი ანკესის გამოდებაც მოგვიხდა. ბოლოს მაკმერფი გემბანიდან გადაეყუდა, ლაყუჩებში ჩააფრინდა, მოქაჩა, ამოათრია და ექიმთან ერთად მოადენინა ზღართანი ამ გამჭვირვალედ თეთრ ბრტყელ სხეულს.

„აი, ეს მესმის!“ ქოშინებდა გემბანზე გართხმული ექიმი და იმდენის თავიც აღარ ჰქონდა, უშველებელი თევზის ქვემოდან გამომძვრალიყო. „აი, ეს მესმის, ეს... ეს მართლა სხვაა!“

აქეთობას გემი საშინლად ირყეოდა და ჭრიალებდა. არც მაკმერფი გვაკლებდა შავ-შავ ამბებს ჩაძირულ გემებზე და ზვიგენებზე. ნაპირს რომ მივუახლოვდით, ღელვა გაძლიერდა, ქარი ნაღებივით ხდიდა ტალღებს ქაფის თეთრ ბღუჯებს და სადღაც შორს მიაფრენდა თოლიებთან ერთად. კონცხის კიდესთან ყალყზე შემდგარი ტალღები უკვე გემბანზე გადადიოდ-გადმოდიოდნენ და ჯორჯმა ყველას მაშველი ჟილეტების ჩაცმა გვიბრძანა. შევამჩნიე, უკვე ყველა სასეირნო კატარღა ნაპირზე გასულიყო.

სამი ჟილეტი გვაკლდა, პატარა ჩოჩქოლი ატყდა, ვინ იქნებოდა ის სამი გულადი, ვინც ამ სახიფათო მონაკვეთის გავლას უჟილეტოდ გაბედავდა. ბილიმ, ჰარდინგმა და ჯორჯმა გაბედეს, თუმცა ჯორჯი ჭუჭყიან ჟილეტს მაინც არ ჩაიცვამდა ცოცხალი თავით. ბილის თავგამოდებამ ყველა გააკვირვა: საქმე არჩევანზე მიდგა თუ არა, ჟილეტი უსიტყვოდ გოგოს დაუთმო და ჩაცმაშიც მიეხმარა. თუმცა უფრო დიდი გაოცება მაკმერფის საქციელმა გამოიწვია: ვინ იფიქრებდა, სწორედ ის თუ არ გამოიდებდა გმირობაზე თავს; არადა, ხანმოკლე კამათის დროს გაუნძრევლად იდგა, კაბინას მიყუდებული, ატორტმანებულ გემბანზე წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა და სიტყვის უთქმელად შესცქეროდა ბიჭებს. მხოლოდ იღიმებოდა და დანარჩენებს თვალს არ აშორებდა.

თავთხელში გამოვედით და წყლის კანიონში ამოვყავით თავი. გემს ცხვირი ჩვენ წინ აგორებული, აშიშინებული ტალღისკენ ჰქონდა აშვერილი, უკნიდან კი მეორე ტალღა მოგვდევდა. ყველა, ვინც დაქანებულ კიჩოზე იდგა, მოაჯირს იყო ჩაფრენილი, ხან წამოწეული წყლის მთას გახედავდნენ, ხან კონცხის სველ, შავ კლდეებს ჩვენგან ხელმარცხნივ, ორმოც ნაბიჯში, ხან კიდევ საჭეს ჩაფრენილ ჯორჯს. ჯორჯი ანძასავით იდგა. გაუჩერებლად ატრიალებდა თავს წინ და უკან, მოუმატებდა გაზს, მერე მო-

უკლებდა, ისევ მოუმატებდა და ცდილობდა, გემი მუდმივად ტალღის უკანა ფერდზე შეეკავებინა. წინასწარ გაგვაფრთხილა – თუ გადავასწარით, საჭე და ხრახნი ჰაერში გამოკიდებული დარჩება და ტალღა ნაფოტივით აგვათამაშებს, ხოლო თუ პირიქით, ძალიან ავითრიეთ ფეხი, მეორე ტალღა დაგვეწევა და ათი ტონა წყალი გემბანიდან გადაგვრეცხავსო. არავის დაუწყია ხუმრობა, კრინტიც არ დაუძრავთ იმაზე, რა სასაცილოდ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით დასაქოქ სათამაშოსავით.

ყურეში ზღვა ისევ დამშვიდებული დაგვხვდა. ჩვენს ნავმისადგომზე, დუქანთან, ზედ წყლის პირას კაპიტანი და ორი პოლიციელი დავინახეთ. იმათ ზურგს უკან უკლებლივ ყველა უსაქმურსაც მოეყარა თავი. ჯორჯმა მთელი სისწრაფით პირდაპირ იმათკენ გააქანა გემი. ისე მივქროდით, კაპიტანმა ხელების ქნევა და ყვირილი დაგვიწყო, პოლიციელები და უსაქმურები კი ფართხაფურთხით აცვივდნენ კიბეზე. მაგრამ სწორედ იმ წამს, როცა გემი, წესით, ცხვირით უნდა შესკდომოდა ნაპირს და მთელი ნავმისადგომიც ნამსხვრევებად ექცია, ჯორჯმა საჭე დაახვია, სრული უკუსვლის რაღაც ენით უთქმელი მანევრი ჩაატარა და დამაყრუებლად აღრიალებული გემი ისე ჩააკონა რეზინის საბურავებს, თითქოს ჩვილი ლოგინში ჩააწვინაო. ჩვენც უკვე ნაპირზე ვიყავით და ბაგირებს ვაბამდით, ვიდრე უკნიდან ტალღა წამოგვეწეოდა; ტალღამ ირგვლივ ყველა გემი და კატარღა აატორტმანა, ნავმისადგომზე დაიფშვნა და თეთრი ქაფით დაფარა იქაურობა, თითქოს მთელი ზღვა მოვიყოლეთ თან ნაპირზე დაბრუნებულებმა.

კაპიტანმა, პოლიციელებმა და უსაქმურებმა ბრაგაბრუგით ჩამოირბინეს კიბის საფეხურები და ჩვენკენ გამოცვივდნენ. დარტყმა ექიმმა მიიღო თავის თავზე, ის კი არა, იქითაც შეუტია პირველმა პოლიციელებს, უთხრა, თქვენი იურისდიქცია ჩვენზე არ ვრცელდება, ჩვენი ექსპედიცია სავსებით კანონიერი, მთავრობის მიერ ნებადართული ღონისძიებაა და თუ მაინცდამაინც ვინმეს წინაშე უნდა ვაგოთ პასუხი, მხოლოდ და მხოლოდ ფედერა-

ლური ხელისუფლების წინაშეო. მოკლედ, გაღმა შეედავა, ძალიან თუ ეძებთ მტყუან-მართალს, გირჩევნიათ, ის გაარკვიოთ, გემზე ჟილეტები რატომ დაგვაკლდა, პატივცემულმა კაპიტანმა რა, კანონი არ იცის, ეკიპაჟის ყველა წევრი ჟილეტით უზრუნველყოფილი რომ უნდა იყოსო? როცა კაპიტანმა ამ კითხვაზე ვერაფერი უპასუხა, პოლიციელებმაც ზრდილობისთვის რამდენიმე სახელი და გვარი ჩაიწერეს, ცოტა იბუზღუნეს და შემცბარები გაგვეცალნენ. თვალს მიეფარნენ თუ არა, ერთმანეთს მაკმერფი და კაპიტანი წაეკიდნენ, კაი გაწევ-გამოწევაც წავიდა. მაკმერფი მაგარი მთვრალი იყო, ანდა, შეიძლება, ჯერაც გემბანზე ეგონა თავი, სველ ფიცრებზე წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა და ერთი-ორჯერ ნავმისადგომიდან წყალშიც გადაუცდა ფეხი. თუმცა ბოლო-ბოლო მყარი საყრდენი მაინც იპოვა, ერთი გემრიელად ჩააფარა კაპიტანს მოტვლეპილ თავში და ამან უკვე საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყოველგვარ გაუგებრობას და აყალმაყალს. უკმაყოფილება აღარავის გამოუთქვამს, მაკმერფი და კაპიტანი დუქნისკენ გაემართნენ ლუდის მოსატანად, ჩვენ კი გემიდან ჩვენი ნადავლის გადმოტვირთვას შევუდექით. უსაქმურები კიბის თავში იდგნენ, თვალს არ გვაშორებდნენ და თვითნაკეთ ჩიბუხებს აბოლებდნენ. დაძაბულები ველოდით, როდის იტყოდნენ კიდევ რამეს გოგოზე, სიმართლე გითხრათ, გვინდოდა კიდეც, აბა ერთი რამე თქვანო, მაგრამ, როცა ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთმა ხმა ამოიღო, გოგო აღარც უხსენებია, ნადავლი შეგვიქო და გვითხრა, ორეგონის სანაპიროზე დაჭერილი ამოდენა კამბალა ჩემ დღეში არ მინახავსო. დანარჩენებმაც კვერი დაუკრეს, კი, ნამდვილად იშვიათი რამეაო. მერე ყველანი ერთად, ჯგროდ მოგვიახლოვდნენ თევზის უკეთესად შესათვალიერებლად. ჯორჯს კითხეს, ნაპირთან ასე კარგად გემის მოყენება სად ისწავლეო, და გამოირკვა – ჩვენი ჯორჯი თურმე მარტო მეთევზე კი არ ყოფილიყო, წყნარ ოკეანეზე საყარაულო გემის კაპიტნადაც ემსახურა და საზღვაო ჯვრითაც დაეჯილდოებინათ თავის დროზე. „სახელმწიფო თანამდებობა შეგეძლო მიგეღო," უთხრა ერთ-

ერთმა უსაქმურმა. „ძაან ჭუჭყიანი საქმეა,“ შორს დაიჭირა ჯორჯმა.

იმათ აშკარად დაინახეს ის ცვლილება, რასაც ჩვენების უმრავლესობა მხოლოდ გუმანით გრძნობდა: უკვე მუხლებაკანკალებული გიჟები აღარ ვედექით წინ, დილით უხმოდ რომ ითმენდნენ შეურაცხყოფას. მართალია, გოგოსთვის პირდაპირ არ მოუბოდიშებიათ, მაგრამ როცა სთხოვეს, შენი დაჭერილი თევზიც გვაჩვენეო, ნამდვილი ზრდილობისა და თავაზიანობის განსახიერებებად გადაიქცნენ უცებ. ამასობაში მაკმერფი და კაპიტანიც მოვიდნენ დუქნიდან და სანამ გზას გამოვუდგებოდით, ყველამ ერთად დავურტყით ლუდი.

საავადმყოფოში ღამე, გვიან დავბრუნდით.

გოგოს ბილის მკერდზე თავმიდებულს ეძინა და როცა გამოეღვიძა, კარგა ხანს უზელდა საწყალ ბილის დაბუჟებულ ხელს. ბილიმ უთხრა, უახლოეს მომავალში შაბათ-კვირას თუ გამომიშვეს, იქნებ ერთმანეთს შევხვედროდითო; გოგომ შესთავაზა, ორი კვირის მერე მე თვითონ მოგაკითხავ საავადმყოფოში, ოღონდ მითხარი, რა დროს ჯობია სტუმრობაო. ბილიმ მაკმერფის გადახედა. მაკმერფიმ ორივეს ხელი გადახვია და – ზუსტად ორ საათზეო – თქვა.

„შაბათს, შუადღისას?“ იკითხა გოგომ.

მაკმერფიმ ბილის თვალი ჩაუკრა და გოგო მაგრად მიიზიდა თავისკენ. „არა. შაბათს ღამის ორ საათზე. ჩუმად მოხვალ იმ ფანჯარასთან, დილას რო იდექი, და დააკაკუნებ. ღამის მორიგესთან მოლაპარაკებული ვიქნები და შემოგიშვებს.“

გოგომ ჩაიცინა და თავი დაუქნია. „ო, შე ოხერო მაკმერფი.“

ჩვენი განყოფილების მწვავეებიდან ზოგს არ ეძინა, საპირფარეშოსთან იდგნენ, უნდოდათ ენახათ – დავიხრჩვეთ თუ არა. გაშტერებულები გვიყურებდნენ დერეფანში შემოცვენილებს, სისხლით მოთხვრილებს, მზემოკიდებულებს, ლუდით და თევზით აქოთებულებს... ჩვენც მოვდიოდით და ჩვენ-ჩვენს ორაგულებს მოვიქნევდით კაი ომგადახდილი გმირებივით. ექიმმა იკითხა, ხომ არ გინდათ, ეზოში გამოხვიდეთ და კამბალაც ნახოთ

ჩემი მანქანის საბარგულშიო? მაკმერფის გარდა ყველა ისევ გარეთ გავიკრიფეთ, იმან – მკვდარივით ვარ და ჯობია წავუპლაცკარტოო. საძინებელში რომ შევიდა, შინ დარჩენილი მწვავეებიდან ერთ-ერთმა გვკითხა, რა იყო, რა მოუვიდა, თქვენ ლოყები დაგბრაწვიათ და ასე გახალისებულხართ, ეგ რაღამ გააფითრა და გაასავათაო? ჰარდინგმა გაუბიაბრუა, არაფერია, უბრალოდ ფერზე ვერ არისო.

„არ გახსოვთ, აქ რომ მოვიდა, ერთიანად თუხთუხებდა – გარუჯული, ჯანმრთელი, გამოსასწორებელი ფერმის მინდვრებში გაკაჟებული. ახლა კი მისი ფსიქოპათიური, ჯანმრთელი ფერის დაკარგვის მოწმენი ვხდებით. ეგაა და ეგ. დღეს რამდენიმე მომქანცველი საათის გატარება მოუწია – სხვათა შორის, კაიუტის ბინდბუნდში – ჩვენ კი ამასობაში, სუფთა ჰაერზე სტიქიას შეჭიდებულები, ვიტამინ „დ“-თი ვიჟღინთებოდით. თავისთავად, რა თქმა უნდა, იმ ბინდბუნდშიც დაადგებოდა გვარიანი ჯაფა, ეს მომენტიც იმოქმედებდა, მეგობრებო, აბა დაფიქრდით! თუმცა მე, ჩემდა თავად, ვიტამინს მოვიკლებდი და იმ ჯაფას გავინაწილებდი დიდი სიამოვნებით. მით უმეტეს, თუკი პატარა ქენდიც შემაშველებდა ხელს. ტყუილს ვამბობ?“

თქმით, ცხადია, არაფერი მითქვამს, თუმცა ძალიან ვცდილობდი გაგებას და მაინც ვერ გამეგო – ამბობდა ტყუილს თუ არა. დაღლილობა და უხალისობა მაკმერფის ადრევე შევატყვე, საავადმყოფოში დაბრუნებამდე, გზაში, როცა აიჩემა, იმ ქალაქზე უნდა გავიაროთ, სადაც ერთ დროს ვცხოვრობდიო. ის-ის იყო ლუდს წირვა გამოვუყვანეთ, ბოლო ცარიელი ქილაც მანქანის ფანჯრიდან მოვისროლეთ და სკამზე გადავწექით – გვინდოდა, ერთხელაც გვეგრძნო იმდღევანდელი დღის მთელი სიამოვნება, ისეთ გემრიელ ბურანში დავცურავდით, მარტო სასიამოვნო საქმით დაღლილს რომ გეუფლება ხოლმე კაცს, სანახევროდ მზით და სანახევროდ სასმელით მოთენთილები მხოლოდ იმიტომ არ ვიძინებდით, ვცდილობდით, რაც შეიძლება დიდხანს შეგვენარჩუნებინა ეს გემო და ეს შეგრძნება. ბუნდოვ-

ნად ვხვდებოდი, ისეთ გუნებაზე დავდექი, უკვე შემეძლო, სამყაროში კარგიც დამენახა. მაკმერფის წყალობით. ბავშვობის მერე ასე კარგად არასდროს მიგრძნია თავი, იმ დროიდან, როცა ყველაფერი მშვენიერი მეჩვენებოდა და ცხოვრებაც ჯერ საბავშვო ლექსებს მიმღეროდა.

უკან ნაპირ-ნაპირ აღარ ვბრუნდებოდით, გზა გავიგრძელეთ, რადგან იმ ქალაქზე უნდა გაგვევლო, სადაც გადაბმულად ყველაზე დიდხანს ეცხოვრა მაკმერფის. კასკადის მთის ფერდობს მივუყვებოდით ქვემოთ, უკვე მეგონა, გზა აგვებნა-მეთქი და უცებ ჩვენი საავადმყოფოს ეზოზე ალბათ სულ ორჯერ დიდ ქალაქში ამოვყავით თავი. იმ ქუჩაზე, სადაც მაკმერფიმ მანქანა გააჩერა, ქარის წამოხვეტილ ქვიშას მზე დაებურა. სარეველა ბალახში ვიდექით და მაკმერფიც გზის გადაღმა გვიჩვენებდა რაღაცას ხელით.

„აგე. ეგ არი. სარეველაში ჩაკარგული – ჩემი უაზროდ გაფლანგული სიჭაბუკის უბადრუკი თავშესაფარი.“

ექვსი საათის ბინდბუნდში გახვეულ ქუჩაზე ფოთლებგაძარცული ხეები იდგა, ფესვები ელვასავით იკლაკნებოდნენ ტროტუარზე და ბეტონიც დაებზარათ. გავერანებულ ეზოს რკინის ღობე ერტყა გარს, სიღრმეში დიდი, ხის აივნიანი სახლი მოჩანდა, ჩამოვარდნილი მხარი ქარისთვის მიეშვირა და უძალიანდებოდა, ჯერ ნებას არ აძლევდა, აეტაცებინა და ქუჩა-ქუჩა ეჩოჩიალებინა ცარიელი მუყაოს ყუთივით. ქარმა საიდანღაც წვიმის ორიოდე წვეთი მოაყოლა ხელს, დავინახე – სახლს თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული... კარზე ჯაჭვზე დაკიდებულმა მძიმე ბოქლომმა გაიჟღრიალა.

აივანზე ერთი იმნაირი უცნაურობა ეკიდა, იაპონელები რომ აკეთებენ ხოლმე შუშისგან, ძაფზე ჩამოაბამენ და ისიც, პატარა სიოს დაბერვისთანავე ჟღარუნს და წკრიალს იწყებს. ოთხი შუშაღა შერჩენოდა ზედ. ეს ოთხიც საკმარისი იყო, აქანავებული შუშები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და იმათი სუსტი ხმაც წვრილწვრილ ნამსხვრევებად იბნეოდა აივნის ფიცრულ იატაკზე.

მაკმერფიმ ისევ აამუშავა ძრავა.

„ერთხელ ადრეც დავხედე აქაურობას – ეშმაკმა უწყის, რამდენი წლის წინ, მაშინ კორეის ჯოჯოხეთიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. სტუმრად შემოვიარე. დედაჩემი და მამაჩემი ჯერ ცოცხლები იყვნენ. კარგი ბუდე გვქონდა.“

მანქანა სიჩქარეში ჩააგდო, დაძრა კიდეც, მაგრამ მაშინვე გააჩერა.

„ღმერთო დიდებულო,“ თქვა ჩუმად, „ერთი იქ აიხედეთ, კაბას ხედავთ?“ ზევით, სადღაც სახლის უკან, იშვერდა თითს. „იმ ხის ტოტებში? შავზოლებიან ყვითელ ნაჭერს?“

მართლა ვხედავდი რაღაც დროშისმაგვარს, ტოტებს გამოდებული ფრიალებდა მაღლა, ფარდულის ზემოთ.

„პირველ გოგოს, ვინც ცხოვრებაში პირველად შემიტყუა თავის საწოლში, აი, ზუსტად ეგ კაბა ეცვა. ათიოდე წლის ვიქნებოდი ალბათ, ის კიდე უფრო ნაკლების... მაგ ასაკში ეგეთი რამე ხო დიდი ამბავი გგონია და მე იდიოტმაც ვკითხე, როგორ ფიქრობ, მშობლებს არ უნდა გავაგებინოთ-მეთქი? მივცუნცულდებოდით და ვეტყოდით – დედიკო, მე და ჯუდი დღეს დავინიშნეთო. მართლა ვაპირებდი, კი არ ვშაყირობ, მაშინ მაგარი ქლიავი ვიყავი; რახან მოსახდენი მოხდა-მეთქი, ვფიქრობდი, ეხლა, ძმაკაც, ეუვანიც შებმული გაქ და, გინდა-არგინდა, წესიც უნდა დაიცვა-მეთქი. ის პატარა ძუკნა კიდე – რვა წლის იქნებოდა, ჰა-ჰა ცხრის – გადაიხარა, იატაკიდან კაბა აიღო და შენიაო – მეუბნება, თუ გინდა, სადმე დაკიდე, მე სახლში ტრუსიკით წავალ და რო დამინახავენ, ხო ისედაც მიხვდებიან ყველაფერსო. ღმერთო, შენ მიშველე, ცხრა წლის, ხო აზრზე ხართ!“ ხელი გადაიწვდინა და ქენდის ცხვირზე წკიპურტი წაკრა. „არადა, ზოგ-ზოგ პროფესიონალზე მეტი იცოდა.“

გოგომ ხელზე უკბინა სიცილით და მაკმერფიც ნაკბილარების თვალიერებას შეუდგა.

„მოკლეთ, ესე ტიტლიკანა წაცუნცულდა შინ, მე კიდე დაბნელებას ველოდებოდი, კაბა ხო უნდა გადამეგდო სადმე – მარა

ხედავთ, რა ქარი იცის? კაბა ფრანივით აიტაცა, ცოტა ხანს სახლის გარშემო ატრიალა და სადღაც გააქრო, დილას კიდე, ჩემმა მზემ, აი, ამ ხეზე კონწიალობდა მთელი ქალაქის დასანახად, მეგონა, ჩვენი ამბავი ძაღლმაც და ღორმაც გაიგო-მეთქი."

ნაკბენი მოიწუწნა, ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, ქენდის გაეცინა და ხელზე აკოცა.

„ეგრეა, ჩემი დროშა ამაყად ფრიალებდა. სხვათა შორის, იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, მე მგონი, ჩემი სახელიც არ გამიმტყუნებია – სიყვარულის მონა! დამნაშავე კი, ღმერთმანი, მარტო ის ცხრა წლის ლაწირაკია, ჩემი პირველი სიყვარული."

სახლმა გვერდით ჩაისრიალა, მაკმერფიმ დაამთქნარა და თვალი ჩაგვიკრა. „სიყვარულის გემო გამაგებინა, ვენაცვალე ტაკუნებში."

უცებ – ჯერ ისევ ლაპარაკობდა – მანქანამ გადაგვისწრო და იმისმა უკანა სინათლეებმა სახე გაუნათა. საქარე მინაში მაკ-მერფის გამომეტყველება აირეკლა. ამნაირ სახეს ცოცხალი თა-ვით არასდროს დაგვანახვებდა, უბრალოდ ახლაც სიბნელის იმედი ჰქონდა და ეგონა, ვერავინ ვერაფერს შეამჩნევსო – სა-შინლად დაღლილი, დაძაბული და განწირული კაცის სახე ედო, თითქოს დრო აღარ რჩებოდა რაღაც აუცილებლად მოსასწრების დასაბოლოებლად...

არადა, მშვიდი, ხალისიანი ხმა იმისი ცხოვრების ამბავს გვიყვებოდა, ჩვენც გვაცხოვრებდა იმ ცხოვრებით, ნებისმიერი ჩვენგანის ოცნებას უღებდა იმ მხიარული წარსულის კარს, რომე-ლიც სავსე იყო ბავშვური ცელქობებით, მოქეიფე ძმაკაცებით, მოყვარული ქალებით და ბარებში უაზრო, უმიზეზო ჩხუბებით.

ნაწილი მეოთხე

ამ თავარმა ექთანმა თავისი ახალი მანევრი თევზაობის მეორე დღესვე წამოიწყო. იდეა მაშინ დაებადა, როცა გამგზავრებამდე მაკმერფის ელაპარაკა და აგრძნობინა, ვიცი, რა მოგებასაც ნახულობ პაციენტების ზღვაში გაყვანით და სხვა მსგავსი პატარ-პატარა ღონისძიებებითო. ამ იდეაზე მთელი ღამე იფიქრა, ყველანაირად აწონ-დაწონა და დაასკვნა, წაუგებელი ვარიანტიაო; ამიტომაც თევზაობიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო გეგმის განხორციელება, ხან ერთს გადაუკრა სიტყვა, ხან სხვას ჩააწვეთა რაღაც, თავისთავად, ვითომ სხვათა შორის გააჩინა ჭორების საფუძველი და ნიადაგიც მოამზადა პირდაპირი შეტევისთვის.

კაცის ბუნება ნამდვილად არ ესწავლებოდა, მშვენივრად იცოდა, ადრე თუ გვიან ადამიანები აუცილებლად მოიძულებენ იმათ, ვინც ჩვეულებრივზე მეტს აძლევთ – სანტა კლაუსებს, მისიონერებს, საქველმოქმედო ფონდების დამაარსებლებს; აუცილებლად უჩდებათ ეჭვი და მოსვენებაც ეკარგებათ, რა უნდათ, თვითონ რა გამორჩენა აქვთ ამ ყველაფრიდანო? ამრეზილები ილიმებიან ხოლმე, როცა, ვთქვათ, ვინმე ახალგაზრდა ადვოკატს, შებერტყილ აფერისტს, ზუსტად შტატის არჩევნების წინ ადგილობრივ სკოლაში ბავშვებისთვის საჩუქრები მიაქვს და

ერთმანეთს ეუბნებიან – ეს ჭკუას არ წააგებს, შორს წავა ჯიგარიო.

ძალიან კარგად მოეხსენებოდა, პატარა ხელის წაკვრა და ჩვენი ბიჭებიც უთუოდ დაიწყებდნენ იმაზე ფიქრს, რა რჯიდა მაკმერფის, რატომ ხარჯავდა ამდენ დროს და ენერგიას თევზაობებზე, ბინგოს თამაშების მოწყობაზე თუ კალათბურთის გუნდის გაწვრთნაზე. რაღა ეგ ძვრებოდა ტყავიდან და კედლებზე გადიოდა, როცა სხვა ყველა თავისთვის იჯდა, წყნარად, რებუსებში და შარშანწინდელ ჟურნალებში ცხვირჩარგული? ვითომ რას ფიქრობდა ეს ტყისმჭრელი, გადარეული ირლანდიელი, ციხეში აზარტული თამაშისთვის და ჩხუბისთვის ჩაყუდებული ძველი ბიჭი, როცა ხილაბანდით თავს იკრავდა, უფროსკლასელ გოგოსავით იპრანჭებოდა და მწვავეების გულის გასახარად და გასაცინებლად მთელი ორი საათი ცეკვას ასწავლიდა ბილი ბიბიტს, თავისი ჭკუით პარტნიორობას უწევდა. ანდა რანაირად შეეძლო ამ შებერტყილ მოთამაშეს – გამოქექილ პროფესიონალს, ბაზრობების ოინბაზს, მუდამ თვლას და ანგარიშს მიჩვეულ ყომარბაზს – ამოდენა რისკი გაეწია, სულ უფრო და უფრო მეტად გაემწარებინა და მტრად მოეკიდებინა ქალი, ვინც, თუკი მოინდომებდა, მთელი ცხოვრება საგიჟეთში აყურყუტებდა, ვის საბოლოო სიტყვაზეც ეკიდა, გაუშვებდნენ როდისმე აქედან თუ არა.

ბიჭების დასაფიქრებლად მთავარმა ექთანმა ჯერ პაციენტების ფინანსური მდგომარეობის ანგარიში გამოამზეურა; როგორც ჩანს, არა ერთი და ორი საათი მოანდომა ქაღალდებში ქექვას. თუმცა შრომა დაუფასდა, ყველა მწვავეს, ერთის გარდა, სახსრები კატასტროფულად შემცირებოდა. მხოლოდ ამ ერთის შემოსავალი იზრდებოდა მუდმივად, საავადმყოფოში მოსვლის პირველივე დღიდან.

მწვავეებმა მაკმერფის ხუმრობა დაუწყეს, რა გინდა, ძმაო, ქერის ორმოში ჩავარდნილხარო, და არც ის გაპრანჭულა მაინცდამაინც. თავის მოსაწყლება არც უფიქრია. პირიქით, ტრაბახსაც კი მოყვა, ამ საავადმყოფოში ერთი წელი თუ გამაჩერეს, აქედან მართლა შეძლებული კაცი გავალ და დარჩენილ ცხოვ-

რებას ფლორიდაში გავატარებ ჩემ გემოზეო. თუ თვითონაც იქვე იყო, მსგავს განცხადებებზე ყველას ეცინებოდა, მაგრამ როცა განყოფილებიდან *ეთ*-ზე, *ოთ*-ზე ან *ფთ*-ზე მიყავდათ, ანდა როცა ექთნების სამორიგეოში იბარებდნენ რამე უსაქციელობისთვის დასატუქსავად და მთავარი ექთნის გაყინულ პლასტმასის ღიმილს უტიფრად კბილებდაკრეჭილი მიაჩერდებოდა ხოლმე, განყოფილებაში დარჩენილებს სიცილის და მხიარულების აღარაფერი ეტყობოდათ.

უკვე ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რას გამოიდო ამ ბოლო დროს თავი, რა ძალიან იბრძვის ჩვენი უფლებებისთვისო – ჯერ იმ წესს აუჯანყდა, რომლის თანახმადაც აუცილებლად რვა-რვაკაციან თერაპიულ ჯგუფებად უნდა გვევლო ყველგან („ბილი ისევ ვენების გადაჭრით იმუქრება," გამოაცხადა ერთ-ერთ შეკრებაზე, როცა ამ რვაკაციან წესზე მიდიოდა კამათი, „ხოდა, ბიჭებო, რომელი ხართ ის შვიდი, ვინც შეუერთდებით და ყველაფერს თერაპიულად გააკეთებთ?"); ექიმს, რომელიც თევზაობის მერე აშკარად დაუახლოვდა პაციენტებს, ჭირი მოჭამა, ბიჭებისთვის „ფლეიბოი", „ნაგეთი" და „მენი" გამოვიწეროთო. ისე, უკვე მართლა ყველას ყელში გვქონდა ამოსული პუტკუნა პიარ-ტექნოლოგის სახლიდან მოთრეული „მაქქოლის" ძველისძველი ნომრები, საითაც გაიხედავდი, ზვინებად იდგა, თან ჩვენთვის სასარგებლო სტატიების სათაურები სულ თავისი ხელით გაეხაზა მწვანე მელნით. ეგ კი არა, ფოსტით პეტიციაც კი გაუგზავნა ვიღაცას ვაშინგტონში, იმ საკითხის გარკვევას მოითხოვდა, სახელმწიფო საავადმყოფოებში დღემდე რატომ გრძელდება ელექტროშოკით და ლობოტომიით მკურნალობაო. კარგი და, მერე ამ ყველაფრიდან მაგას რაო, თავს იტეხდნენ ბიჭები და კითხვაზე პასუხს ვერ პოულობდნენ.

ამგვარმა განწყობილებამ დაახლოებით ერთ კვირას იტრიალა ჰაერში და მთავარმა ექთანმა უკვე საერთო შეკრებაზე გადაწყვიტა პირველი სვლის გაკეთება, თავიდან მაკმერფის თანდასწრებით; ოღონდ იმ ჯერზე არაფერი გამოუვიდა, ხეირიანად გახურებაც ვერ მოასწრო და მაშინვე მწარე მარცხი განიცადა

(გასახურებლად კი ჯგუფს იმაზე ჩამოუგდო სიტყვა, როგორ აშფოთებდა და თან რაოდენ აკვირვებდა განყოფილებაში გამეფებული ქაოსი და უწესრიგობა. რას დაემგვანეთო, შეგვარცხვინა, ღმერთი აღარ გწამთ, ირგვლივ მიიხედ-მოიხედეთ, ბინძური წიგნებიდან ნამდვილი პორნოგრაფია ამოგიხევიათ და კედლები რას დაგიმგვანებიათო – სხვათა შორის, აპირებდა, საქმის კურსში მთავარი კორპუსი ჩაეყენებინა და ისინიც დაეინტერესებინა ბოლო დროს საავადმყოფოში შემოღწეული *სიბილწით*... სკამზე გასწორდა, სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, საცაა სააშკარაოზე უნდა გამოეყვანა მთელი ამ უმსგავსობის მოთავე და ჭეშმარიტი მოტივებიც ემხილებინა. იმისი მუქარით გამოწვეულ სრულ სიჩუმეში ტახტზე მჯდომი დედოფალივით მკაცრად მოგვავლო თვალი მომაკვდინებელი დარტყმისთვის მომზადებულმა და ამ დროს მაკმერფიმ დიადი წამის მთელი ზეიმურობა უცებ, თვალის დახამხამებაში გაუმასხარავა – რა თქმა უნდაო, უთხრა, ოღონდ არ დაიზაროთ და ჩემგანაც თხოვეთ მთავარ კორპუსში, ინსპექციაზე რომ მოვლენ, თავიანთი პატარ-პატარა სარკეებიც გამოაყოლონ ხელსო), ამიტომ გადაწყვიტა, მომდევნო შეტევა უკვე მაშინ წამოეწყო, როცა მაკმერფი შეკრებაზე არ იქნებოდა.

იმ დღეს პორტლენდიდან უნდა დაერეკა ვილაცას ტელეფონზე და ერთ-ერთი სანიტრის თანხლებით ქვევით ჩაყვანილი მაკმერფიც ვესტიბიულში ელოდებოდა ზარს. პირველი საათი მოახლოვდა, შეკრებისთვის დღის პალატის მოსუფთავებას შევუდექით და დაგვაჯულმა შავმა ბიჭმა მთავარ ექთანს ჰკითხა, გინდათ, ჩავიდე და მაკმერფი და უოშინგტონი ამოვიყვანოო? იყოს, არ არის საჭიროო, უთხრა ქალმა, თანაც, შეძლება ზოგიერთს ერჩიოს კიდეც, ისე გამოთქვას აზრი ჩვენს ძვირფას მისტერ რენდლ პატრიკ მაკმერფიზე, მისი ძლიერი პიროვნების აურით არ იყოს დათრგუნულიო.

შეკრება სასაცილო ამბების მოყოლით დაიწყო, მაკმერფიზე და იმის მაიმუნობებზე ყვებოდნენ, ცოტა ხანს იყაყანეს, რა მაგარი ვინმეაო და ქალიც ხმის ამოუღებლად უსმენდა, აცდიდა, როდის

დაიცლებოდნენ სასიამოვნო ემოციებისგან. მერე სხვა ხასიათის შეკითხვებიც გაისმა. რა სჭირს მაკმერფისო? ასე რატომ იქცევა და გუნებაში რა აქვსო? ზოგმა ივარაუდა, იქნებ მაკმერფის ნათქვამი, აქ გადმოსვლა მინდოდა და კოლონიაში სიაბანდზე ვჩხუბობდი, მთლად მართალიც არ არის და სინამდვილეში იმაზე უფრო მაგარი გიჟია, ვიდრე ხალხს გონიაო. ამ სიტყვებზე მთავარ ექთანს გაეღიმა და ხელი ასწია.

„მელიასავით," თქვა ქალმა, „დარწმუნებული ვარ, ასე ფიქრობთ."

„რ-რ-რას გგულისხმობთ?" ჰკითხა ბილიმ. მაკმერფი ბილის გულითადი მეგობარი და გმირი იყო, მთავარი ექთნის ნათქვამი მაინცდამაინც არ ესიამოვნა, რაღაც გამოუთქმელი ღვარძლი იგრძნობოდა ამ ვითომკომპლიმენტში. „რ-რ-რას ნიშნავს „მ-მ-მელიასავით"?"

„ეს უბრალოდ ჩემი დაკვირვებაა, ბილი," დათაფლული ხმით მიუგო მთავარმა ექთანმა. „მოდი, აბა, იქნებ მეგობრებიდან აგიხსნას ვინმემ, რას შეიძლება ნიშნავდეს. რას იტყვით, მისტერ სქანლონ?"

„რას გულისხმობს ბილი და, მაკმერფი კაი შებერტყილი ეშმაკიაო."

„ვინა თქვა, არ-რ-რაო?!" ბოლო სიტყვის ამოსათქმელად ბილიმ მაგრად დაკრა ხელი სავარძლის სახელურს. „ოღონდ მის რეჩედს უ-უ-უნ-დოდა..."

„არა, ბილი, მე არაფერი არ მინდოდა. უბრალოდ შევამჩნიე, რომ მისტერ მაკმერფი რისკზე უაზროდ წამსვლელ კაცს არ ჰგავს. წესით, შენც უნდა დამეთანხმო ამაში, არა? არ მეთანხმებით ყველანი?"

არავის არაფერი უპასუხია.

„და მიუხედავად ამისა," გააგრძელა ქალმა, „თითქოს მაინც დაუფიქრებლად იქცევა, წმინდანივით თუ მარტვილივით, საერთოდ არ ფიქრობს საკუთარ თავზე. რომელიმე თქვენგანს მისტერ მაკმერფი წმინდანად მიგაჩნიათ?"

პასუხის მოლოდინში ოთახს თავდაჯერებული, ღიმილიანი მზერა მოავლო.

„ცხადია, წამებულად და წმინდანად არავინ თვლით. აი! გნებავთ უფრო დეტალურად გავაანალიზოთ ამ პიროვნების ფილანტროპიული მიდრეკილებები?“ კალათიდან ყვითელი ქაღალდის ფურცელი ამოაფრიალა. „ვნახოთ, ზოგიერთი მისი თავგამოდებული გულშემატკივრის სიტყვებით თუ ვიტყვით, რით *დაგასაჩუქრათ* მისტერ მაკმერფიმ. პირველ საჩუქრად სააბაზანო ოთახი შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა განა ოთახი მისი იყო, ვინმესთვის რომ ეჩუქებინა? ან, წააგო რამე, როცა იქაურობა კაზინოდ გადააქცია? ისე, თუ დაფიქრებულა ვინმე, თავისი პატარა მონტე-კარლოს კრუპიეობით რამდენი ფული იშოვა ამ მოკლე ხანში? თქვენ პირადად რამდენი წააგეთ, ბრუს? მისტერ სეფელტ? მისტერ სქანლონ? ალბათ, ყველას მეტ-ნაკლებად წარმოგიდგენიათ საკუთარი ზარალის მასშტაბები, მაგრამ მისი საერთო მოგების რაოდენობა თუ იცით, იცით, რა თანხა უზის საავადმყოფოს შემნახველი სალაროს დეპოზიტზე? თითქმის სამასი დოლარი.“

სქანლონმა ჩუმად დაუსტვინა, თუმცა სხვებს ხმა არ ამოუღიათ.

„სანაძლეოების მთელი სიაც აგერ მაქვს, თუ გნებავთ, მობრძანდით და ჩახედეთ, იმ სანაძლეოების ჩათვლით, პერსონალის წყობიდან გამოყვანას რომ ისახავდნენ მიზნად. ასეთი აზარტული ციებ-ცხელება საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ეწინააღმდეგება, განყოფილების განაწესს და როცა იმას აჰყევით, ეს ნებისმიერ თქვენგანს მშვენივრად მოეხსენებოდა.“

ისევ ფურცელს დახედა და მერე კალათში შეინახა.

„ანდა ეს ბოლო თევზაობა ავიღოთ. როგორ გგონიათ, ამ თავგადასავლიდან რა მოგება ნახა მისტერ მაკმერფიმ? ჩემი ინფორმაციით, ერთ-ერთი მანქანა პატივცემული ექიმის იყო, ბენზინის ფულიც ექიმმა გადაუხადა და თურმე სხვა პატარ-პატარა შეღავათებითაც ისარგებლა – თვითონ კი ცენტიც არ დაუხარჯავს. მელიაა, აბა რა არის?“

ხელი მაღლა ასწია და ბილის შეკამათება არ აცალა.

„ბილი, გთხოვ, სწორად გამიგო: თავისთავად ამ ყაიდის აქტიურობა დასაგმობად არ მიმაჩნია. უბრალოდ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თავს თუ არ მოვიტყუებთ ამ ადამიანის მოტივებთან დაკავშირებით. თუმცა, ალბათ, ზურგს უკან ვინმეს განკითხვაც არასამართლიანია. მოდი, ისევ გუშინ განხილულ პრობლემებს დავუბრუნდეთ – რაზე ვსაუბრობდით?“ კალათში ააფათურა ხელი. „თქვენ ხომ არ გახსოვთ, ექიმო სპაივი?“

ექიმმა ჩაქინდრული თავი აიქნია. „არა... მოიცათ... მე მგონი...“

ქალმა საქაღალდიდან ერთი ფურცელი ამოაძვრინა. „დიახ, აი! მისტერ სქანლონზე და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მის დამოკიდებულებაზე. ძალიან კარგი. ახლა სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ, მისტერ მაკმერფის კი სხვა დროს დავუბრუნდებით, როცა თვითონაც ჩვენ შორის იქნება. ოღონდ მაინც მგონია, ცუდი არ იქნება, დღეს აქ ნათქვამზე სერიოზულად თუ დაფიქრდებით. აბა, მისტერ სქანლონ...“

უკვე მოსაღამოვებულზე ასე რვა ან ათი კაცი ჩვენი ჯიხურის კართან შევგროვდით, ველოდებოდით, ბოლო-ბოლო როდის მოახერხებდა შავი ბიჭი ბრიოლინის მოპარვას, და ვიღაცამ ისევ წამოიწყო მაკმერფიზე საუბარი. დანარჩენებიც აყვნენ, ამბობდნენ, მთავარი ექთანი კი ახურებს, მაგრამ, ამის დედა ვატირე, რაღაცრაღაცეებში ბოლომდე მტყუანიც არ არისო. ოღონდ მაკიც ნაღდად ჯიგარია, ვინც რა უნდა თქვას... ამას წყალი არ გაუვაო.

მერე ისევ ჰარდინგს მობეზრდა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

„ძმებო, თქვენ იმდენ რამეს აპროტესტებთ, საკუთარი პროტესტის თვითონაც აღარ გჯერათ და მაგ პაწაწინა, მფრთხალი გულების სიღრმეშიც ყველამ იცით, რაც მწყალობელმა ანგელოზმა მის რეჩედმა მაკმერფიზე თქვა, ნებისმიერი თვალსაზრისით აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. მაგაში არც თქვენ გეპარებათ ეჭვი და არც მე. აბა რატომღა ვკამათობთ? რა ჯობია, ზურგს უკან ჩუმ-ჩუმად ვაკრიტიკოთ მაკმერფის კაპიტალისტური ტალანტები, თუ გულწრფელები ვიყოთ და პატიოსნად მივაგოთ კუთვნილი პატივი? მერე რა, ცოტა თუ იხეირა? ყო-

ველთვის, როცა მართლა ბეკეკებივით გვკრეჭდა, ჩვენ რა, ჩვენი ფულის სანაცვლოდ სიამოვნებას არ ვიღებდით? ერთი ჭკვიანი და საქმიანი კაცია, იოლად საშოვნელ დოლარს ხელიდან არ გაუშვებს და ამას ხმამაღლაც აღიარებს. მოგვატყუა როდისმე რამე? ჩვენ რაღას ვიკატუნებთ თავს? მთელი იმისი ეშმაკობა საფუძველშივე უაღრესად ჯანსაღი და გულწრფელია და მეც გულით და სულით მივესალმები, მთელი არსებით ვუჭერ მხარს ისევე, როგორც თავისუფალი კერძო მეწარმეობის ძველ, ტკბილ კაპიტალისტურ სისტემას, ამხანაგებო; მხარს ვუჭერ მას, მის უდრეკ და გულუბრყვილო, თავხედობასთან წილნაყარ სითამამეს, ამერიკულ დროშას, ღმერთმა აკურთხოს მრავალჟამიერ, ლინკოლნის მემორიალს და სხვა მრავალს და მრავალს. გვახსოვდეს ხომალდი „მენი“, ფ. თ. ბარნუმი და ოთხი ივლისი. მე ვალდებული ვარ, დავიცვა ჩემი მეგობრის ღირსება, როგორც ნაღდი, თეთრ-ლურჯ-წითელი, ასპროცენტიანი ამერიკელი გაიძვერასი. მართლა მაგარი ბიჭია. თავს არავის გაასულელებინებს. ალბათ, ძალიან დაირცხვენდა და თვალზე ცრემლიც მოადგებოდა, როცა გაიგებდა, რა ქველი და კეთილშობილური მოტივებით ვცდილობთ მისი ამა თუ იმ ნაბიჯის ახსნას. ეგ კი არა, საკუთარი მოწოდების შეურაცხყოფადაც ჩათვლიდა.“

სიგარეტს დაუწყო ჯიბეში ძებნა; ვერ იპოვა და ფრედრიქსონს სთხოვა, ხაზგასმული არტისტიზმით გაკრა ასანთს, მოუკიდა და ლაპარაკი გააგრძელა.

„უნდა ვაღიარო, თავიდან მაკმერფის საქციელმა მეც გამაკვირვა. შუშა რომ ჩაამსხვრია, ვიფიქრე – ღმერთო, აი კაცი, ვისაც, ეტყობა, მართლა უნდა საავადმყოფოში დარჩენა და ბოლომდე მეგობრების გვერდში დგომა-მეთქი, ათას რამეს ვფიქრობდი, სანამ სიმართლეს არ მივხვდი: უბრალოდ სარფიან საქმეზე არასდროს იტყვის უარს. შანსს არ გაუშვებს ხელიდან. არც აქ კარგავს დროს უქმად. ამ ტეტია ტყისმჭრელის გარეგნობამ არ მოგატყუოთ – საკმაოდ შებერტყილი, პრაქტიკული კაცია და ჭკუაც კარგად უჭრის. დააკვირდით: ყველა ნაბიჯი გათვლილი

ჰქონდა და ყველაფერი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.“

ბილი ასე იოლად დანებებას არ აპირებდა. „ხოო? ც-ც-ეკვას რრო მასწავლიდა, იმ-მ-აზე რას იტყვი?“ მუშტები თეძოებზე მიეჭირა, სიგარეტით ამომწვარი ხელები თითქმის მთლიანად მოშუშებოდა და იარების მაგივრად ქიმიური ფანქრით გაკეთებული სვირინგები მოუჩანდა. „რ-რ-ა მმიზანს ემ-მ-მ-სახურებოდა? ფულს მ-მ-მახდევინებდა გაკვეთილ-ლ-ლებში?“

„ნუ ბრაზობ, ბილი,“ უთხრა ჰარდინგმა. „და ნურც ჩქარობ. მოითმინე და ვნახოთ, რა მოხდება.“

ისეთი პირი უჩანდა, მარტო მე და ბილისღა გვჯეროდა მაკმერფისა. არადა, უკვე იმავე საღამოს ბილიც ჰარდინგისკენ გადაიხარა, მას მერე, რაც კიდევ სადღაც დასარეკად ჩასული მაკმერფი განყოფილებაში ამობრუნდა, ბილის უთხრა, შენი და ქენდის შეხვედრის ამბავი საბოლოოდ მოგვარებულიაო და როცა ქაღალდზე მისამართს უწერდა, სხვათა შორის დაამატა – ცუდი არ იქნება, აქეთ გამომგზავრებამდე გოგოს ცოტა მწვანეებსაც თუ გაუგზავნიო.

„მ-მ-მწვანეებს? ფ-ფ-უუ-ულს? რ-რ-ამდენს?“ ბილიმ ეშმაკურად მოღიმარ ჰარდინგს გახედა.

„რა ვიცი, ალბათ... ერთი ათ დოლარს იმას და ათსაც...“

„ოც დოლარს?! ავ-ავ-ავტობუსის ბი-ბიჰ-ლეთი ამდენი რო არ ღირს?“

მაკმერფიმ შუბლზე ჩამოფხატული ქუდის ქვემოდან ახედა, შემპარავად გაულიმა, ყელი მოიფხანა და გამშრალი ენა გამოყო. „გაშრა, ჩემო ბილი, ყელი, გაშრა. კიდე ერთი კვირაა შაბათამდე, დავიხრჩობი, საბოლოოდ მეტირება ყოფა. ძაან თუ არ გაუბრაზდები, ცოტა ყელის ჩასაკოკლოზინებელიც გამოაყოლოს ხელს.“

ისეთი უმანკო და მიამიტი თვალები მიანათა, ბილის უნებურად გაეცინა, თავი გადააქნია და მომავალი შაბათის გეგმებზე მღელვარედ საჩურჩულოდ პალატის შორეულ კუთხეს მიაშურა სიბერეში გამაჭანკლებულ მაკმერფისთან ერთად.

მე ჯერ ისევ ძველ აზრზე ვიდექი – მაკმერფი ცით მოვლე-

ნილ ბუმბერაზად მიმაჩნდა, ჩვენს მხსნელად იმ კომბინატის კლანჭებიდან, რომელიც მთელ დედამიწას სპილენძის მავთულების და ათასნაირი კრისტალების ბადეში ხვევდა, ისეთ დიდ არსებად, ვისთვისაც ფულისმაგვარი ამაოება საერთოდ არც ნიშნავდა არაფერს – თუმცა მოგვიანებით, დანარჩენების ეჭვების გაზიარებას ვერც მე გადავურჩი. საქმე ასე იყო: მორიგი შეკრების დაწყებამდე მაგიდები გაგვქონდა სააბაზანოში და უცებ საკონტროლო პულტის გვერდით გაჩერებული დამინახა.

„ღმერთს გეფიცები, ბელადო," მითხრა მაკმერფიმ, „იმ თევზაობის მერე ერთი ათი ინჩით კიდე გაზრდილხარ. ფეხის ტერფი ნახე, ფეხის ტერფი; რკინიგზის პლატფორმასავით არ არი?!"

დაბლა დავიხედე, ამოდენა ფეხი მართლა არასდროს მქონია, თითქოს მაკმერფის სიტყვებმა ორჯერ გაზარდა ზომაშიო.

„და მკლავი! ნაღდი ინდიელის და თან ნაღდი ძველი ფეხბურთელის მკლავია. იცი, რას ვფიქრობ? მე მგონი, დროა, ამ პულტს გაეთამაშო, ნახო, როგორ მიდის საქმეები."

არა-მეთქი, თავი გავაქნიე, იმან კიდევ, ხელშეკრულება გვაქვს დადებულიო, ვალდებულიც ხარ, სცადო, ხომ უნდა შევამოწმოთ *გადიდების* ჩემი სისტემა ვარგა თუ არაო. სხვა გზა არ იყო, პანელს მივუახლოვდი, მარტო იმიტომ, დამენახვებინა, არაფერი გამომივა-მეთქი. დავიხარე და სახელურებს ხელი ჩავავლე.

„კაი ბიჭი ხარ, ბელადო. ეხლა გასწორდი, მეტი არაფერი. ფეხები გაამაგრე, ეგრე... ხო, ყოჩაღ. არ იჩქარო... უბრალოდ გასწორდი. ჰე-ჰეე!.. დაუშვი, დადგი ძირს!"

მეგონა, გაწბილდებოდა, არადა, როცა სახელურებს ხელი გავუშვი და გავსწორდი, გაბრწყინებული შემომცინოდა და იმ ადგილს მაჩვენებდა, სადაც პულტი თითქმის ნახევარი ფუტით ასცდენოდა თავის ბუდეს. „ჯობია, ადგილზე დავაბრუნოთ, ძმაკაც, ვინმემ არ ნახოს. ჯერ არავინ არ უნდა გაიგოს."

შეკრების დამთავრების მერე, როცა კარტის თამაშით გართულ ბიჭებს უსაქმოდ დასტრიალებდა თავზე, მოულოდნელად ღონეზე, ნებისყოფის სიმტკიცეზე და სააბაზანოს პულტზე ჩა-

მოაგდო სიტყვა. ვიფიქრე, იმას მოყვება, ძველი ზომის დაბრუ-ნებაში როგორ დამეხმარა-მეთქი; ეს ნამდვილად დაარწმუნებდა ყველას, მარტო ფული და გამორჩენა არ ამოძრავებს მაკმერფისო.

მაგრამ მე საერთოდ არც ვუხსენებივარ. იმდენი ილაპა-რაკა, სანამ ჰარდინგმა არ კითხა, ერთხელაც ხომ არ გინდა იმ პულტს დაეჭიდოო; არაო, უპასუხა, ოღონდ მე თუ არ შემიძლია, ეგ იმას არ ნიშნავს, სხვაც რომ ვერ აწევს ვერავინო. სქანლონმა, როგორ ვერა, ამწე ნამდვილად აწევს, აი ცოცხალი ადამიანის კი რა მოგახსენოო. მაკმერფიმ თავი დაუქნია – ალბათ, ალბათ, თუმცა ეგეთ საქმეში წინასწარაც ვერ იტყვი ვერაფერსო.

ვხედავდი, როგორ იტყუებდა დანარჩენებს, მახეში აბამდა, იქამდე მიიყვანა, ბოლოს უკვე აყვირდნენ, არა, ძმაო, დედამი-წის ზურგზე კაციშვილს არ შეუძლია მაგის აწევაო, და ნაძლევის დადებაც იქით მოთხოვეს. დანაძლევება ვითომ ესიკვდილე-ბოდა, ძალიან არ უნდოდა. ფსონებს ზრდიდა და ზრდიდა, ერთი ხუთამდე ააყვანინა, ააგდო არიფები, არადა, წაუგებელს თამა-შობდა. ზოგი ისე შევიდა ეშხში, ოც დოლარს დებდა ფაცაფუ-ცით. ცხადია, იმაზე კრინტიც არ დაუძრავს, ჩემი თვალით ვნახე, ბელადმა პულტი როგორ აწიაო.

ღამე იმ იმედით გავათენე, გადაიფიქრებს-მეთქი. მეორე დღესაც, შეკრებაზე, როცა მთავარმა ექთანმა გამოგვიცხადა, ეჭვი არსებობს, რომ ყველა მეთევზეს მკბენარი გაუჩნდა და სპეციალური შხაპი უნდა მიიღოთო, სულ მეგონა, ქალი მაინც შეუშლის ხელს, ამწუთასვე დასაბანად გაგვიშვებს ანდა სხვას მოიფიქრებს რამეს და იმ პულტის აწევას გადავრჩები-მეთქი.

არადა, შეკრება დამთავრდა თუ არა, მეც და დანარჩენებიც სააბაზანოში შეგვიყვანა, სანამ შავი ბიჭები კარის ჩაკეტვას მოას-წრებდნენ, მაიძულა, პანელის სახელურებს დავჭიდებოდი და ამე-წია. არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზაც არ მქონდა. ისეთი განცდა დამეუფლა, ვითომ ფულის გამოძალვაში დავეხმარე. როცა წაგებულს აბარებდნენ, ძალიან მეგობრულად ეჭირათ თავი, თუმცა ვიცოდი, რასაც გრძნობდნენ, თითქოს ფეხქვეშ რაღაც

საიმედო საყრდენი გამოეცალათო. პანელი ადგილზე დავაბრუნე თუ არა, სააბაზანოდან გამოვიქეცი, მაკმერფისთვის ზედაც არ შემიხედია, და ტუალეტში შევედი. მარტო დარჩენა მინდოდა. სარკეში საკუთარ გამოსახულებას შევავლე თვალი. რასაც დამპირდა, შეასრულა: მკლავები ისევ გამდიდებოდა, ახლაც იმოდენა მკლავები მქონდა, როგორც სკოლის დამთავრებისას, სოფელში ცხოვრებისას, მკერდი და მხრებიც გამგანიერებოდა და გამმაგრებოდა. ვიდექი, სარკეში ვიყურებოდი და ამ დროს ისიც შემოვიდა. ხუთდოლარიანი გამომიწოდა.

„აჰა, კევის ფულად გამომართვი, ბელადო."

თავი გავაქნიე და ტუალეტიდან გასვლა დავაპირე. მკლავით დამიჭირა.

„ბელადო, ეს უბრალოდ ჩემი მადლიერების ნიშანია. თუ ფიქრობ, რო მეტი გეკუთვნის..."

„არა! მოაშორე, არ ავიღებ."

ნაბიჯი უკან გადადგა, ცერები ჯიბეებში ჩაიყო და ქვევიდან ამომხედა. ცოტა ხანს მათვალიერა.

„კარგი," თქვა ბოლოს. „რაშია საქმე? რატო მიბზუებთ ყველა ცხვირს?"

პასუხი არ გამიცია.

„არ შევასრულე, რასაც დაგპირდი? ხო გაგზარდე კაცის ზომამდე? აბა უცებ რა დანაშაული გამომიჩხრიკეთ? ისე მიყურებთ ჩიტუნიები, ვითომ სამშობლოს მოღალატე ვიყო."

„შენ ყოველთვის... *მოგებული* რჩები!"

„მოგებული ვრჩები? მერე მაგაში მდებ ბრალს, შე მართლა ბიზონო, შენა? ხელშეკრულება დაიდო? დაიდო. მე ჩემ პირობას ვასრულებ? ვასრულებ. რა, მაინცდამაინც უნდა გავკოტრდე კიდეც?.."

„ჩვენ გვეგონა, *მოსაგებად* არ აკეთებდი..."

ვგრძნობდი, ყბა ისე ამიკანკალდა, სატირლად გამზადებულმა ბავშვებმა რომ იციან ხოლმე; თუმცა ტირილი არ დამიწყია. მაკმერფის წინ ვიდექი და ყბა მიკანკალებდა. პირი დააღო, რაღა-

ცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ცერები ჯიბეებიდან ამოიღო, ცალი ხელი ასწია, ცერით და საჩვენებელი თითით ცხვირის კეხი ისე მოიფხანა, თითქოს სათვალე უჭერდა ცხვირზე და თვალები დახუჭა.

„მოსაგებადო, ჰა? ღმერთო...“ თვალდახუჭული ლაპარაკობდა. „არა, გესმით, მოსაგებადო!“

ამიტომაც მგონია, რაც იმ ნაშუადღევს საშხაპეში მოხდა, ჩემი ბრალი უფრო იყო, ვიდრე ვინმე სხვისი. სხვა გზა არც იყო, შეცდომის გამოსწორებას თუ ვაპირებდი, მხოლოდ ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც მოვიქეცი, არ უნდა მეფიქრა არც ეშმაკობაზე, არც უსაფრთხოებაზე, არც სასჯელზე – აუცილებლად გასაკეთებელის გარდა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამომეგდო თავიდან ყველაფერი და ყოყმანიც არ უნდა დამეწყო.

ტუალეტიდან გამოვედით თუ არა, სამი შავი ბიჭიც გამოჩნდა და სპეციალური შხაპისთვის პაციენტების შეგროვება დაიწყეს. დაგვაჯულმა ცუხცუხით დაიარა მთელი განყოფილება და ლურსმნების დასაძრობი გაზივით შავი და ცივი, დაგრეხილი ხელით რიგრიგობით აადღლიზა კედლებს ზედ აკრული ყოფილი მეთევზეები, თან გვიხსნიდა, მთავარმა ექთანმა ამ ღონისძიებას „პროფილაქტიკური განბანვა“ დაარქვაო. სათევზაოდ წასულებს ისეთ ხალხში გქონდათ საქმე, კარგად თუ არ დაგამუშავეთ და გაგახვანჩალეთ, ათას უბედურებას გაავრცელებთ მთელ საავადმყოფოშიო.

შიშვლები გავმწკრივდით კაფელის კედლის გასწვრივ. ერთერთმა შავმა ჯეელმა შავი პლასტმასის ტუბი გააძრო, თავი მოხსნა და ცუილით გამოადინა რაღაც სქელი და კვერცხის ცილასავით წებოვანი მასა. ჯერ თმაში, მერე მობრუნდებით, წაიკუზებით და ტაკუნებსაც გადაფურჩქნითო!

ბიჭები აბუზღუნდნენ, თან შაყირობდნენ, მაიმუნობდნენ, ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის თვალი აერიდებინათ და არც ჰაერში მოლივლივე გრიფელის იმ ნიღბებისთვის შეეხედათ, კოშმარულ სიზმარში დასიზმრებული იმ ნეგატივებისთვის, ჩვენ

ზურგს უკან რომ ქშინავდნენ და რბილ, წებოვან, კოშმარულ ლუ-ლებს გვიმიზნებდნენ. სანიტრებსაც ელაზღანდარავებოდნენ – უოშინგტონ, დღე-ღამეში დანარჩენი თექვსმეტი საათი რით ერთობიო? უილიამს, აბა მითხარი, საუზმეზე რა ვჭამეო?

ყველა იცინოდა. სანიტრებს მაგრად ჰქონდათ კბილი კბილზე დაჭერილი და პასუხს არ სცემდნენ; საავადმყოფოში ამ წითური ახვრის გამოჩენამდე ამგვარი რამეები არ ხდებოდა ხოლმე.

ფრედრიქსონმა დუნდულები გადაიწია და ისეთი ხმით ბუთ-ქა, ვიფიქრე, ესაა, დაგვაჯული საშხაპიდან გაფრინდება-მეთქი.

„იყუჩეთ!“ თქვა ჰარდინგმა და პეშვი ყურთან მიიტანა.“ გეს-მათ ანგელოსის საამური ხმა.“

დიდი ხმაური და ხორხოცი იდგა, ერთმანეთს ეხუმრებოდ-ნენ, დასცინოდნენ, სანამ შავი ბიჭი შემდეგ პაციენტს არ მიადგა და იმასთან არ გაჩერდა. ოთახში უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგი ჯორჯი იყო და იმიტომ. იმ ერთ წამში, როცა ხმაურიც, ხუმრობაც და წუწუნიც შეწყდა, როცა ჯორჯის გვერ-დით მდგომი ფრედრიქსონიც წელში გასწორდა და შემოტრი-ალდა, შავმა ბიჭმა კი დააპირა ჯორჯისთვის ებრძანებინა, თავი დახარეო და იმ მყრალი ჟელეს თმაში შეზელა მოუნდომა – სწო-რედ იმ წამს უცებ ყველას გაგვინათდა გონება და ყველაფერს მივხვდით: რაც მოხდებოდა, რატომაც მოხდებოდა და რა არას-წორი წარმოდგენა გვქონდა მაკმერფიზე.

ჯორჯი საპონს არასდროს ეკარებოდა. ის კი არა, სხვისი მიწოდებული პირსახოცითაც არ გამშრალდებოდა ცოცხალი თავით. საღამოს ცვლის სანიტრები, ვინც სამშაბათობით და ხუთშაბათობით საშხაპეში დაგვყვებოდნენ, დიდი ხნის წინ დარ-წმუნდნენ, ჯორჯისთვის ძალის დატანება უარესი იქნებაო და თავი დაანებეს, კისერი გიტეხიაო. წლების მანძილზე გრძელ-დებოდა ასე. ყველა სანიტარმა მშვენივრად იცოდა ჯორჯის ახირება. თუმცა ახლა იმასაც ვხედავდით – ჩვენც და ჯორჯიც, უკანგადაზნექილი რომ იქნევდა თავს და მუხის ორი ფოთო-ლივით აქნევდა ჰაერში ხელებს – ეს ცხვირმონგრეული, დედის

რძენაწყენი შავი ბიჭი არაფრით არ მოეშვებოდა, თუნდაც მარტო ორი ამხანაგის დასანახად გაიტანდა თავისას.

„ოოოხ, დაწიე-მეთქი თავი, ჯოოჯ...“

უკვე იქით გაგვირბოდა თვალი, სადაც მაკმერფი იდგა, ჯორჯისგან სამი-ოთხი კაცის შემდეგ.

„გეყო ეხლა, დაიხარე, ჯოოჯ...“

მარტინი და სეფელტი უკვე შხაპის ქვეშ იდგნენ, არ ინძრეოდნენ. იმათ ფეხებთან ტრაპი პატარ-პატარა ყლუპებად ხვრეპდა ჰაერს და საპნიან წყალს. წამით ტრაპს ჯორჯმაც შეავლო თვალი, თითქოს ტრაპი პირადად იმას ეუბნებოდა რაღაცას. ყურიც მიუგდო, როგორ ბუყბუყებდა და იხრჩობოდა. მერე ისევ მისკენ გამოშვერილ, შავ ხელში ჩაბღუჯულ ტუბს შეხედა, იმისი ვიწრო ნახვრეტიდან ზარმაცად გამოცოცებულ და შავი თუჯის მუშტზე ჩამოღვენთილ ლორწოს. შავმა ბიჭმა ტუბი ლამის ზედ მიადო და ჯორჯიც კიდევ უფრო მაგრად გადაიხარა უკან, თან გაუჩერებლად იქნევდა თავს.

„არა... აი, ეგ არა...“

„საჭიროა, პუწკია, აუცილებელია,“ ვითომ მშვიდად უხსნიდა შავი, ვითომ ებოდიშებოდა კიდეც. „რას იზამ? აბა, აქაურობა რწყილებს და ბაღლინჯოებს გადავაჭმევინოთ? მე რა ვიცი, იქნებ უკვე კანშიც ჩაგაჯდნენ.“

„არა!“ ბოლომდე იბრძოდა ჯორჯი.

„ოოოო, გეყო! შენ რა იცი? ჯერ ვერც იგრძნობდი. იცი, რა პაწაწინები არიან? ქინძისთავზე პაწაწკინტელები. თმაზე შეგახტებიან, ცოტა ხანი ეგრე დაეკიდებიან, და მერე კანქვეშ შემოძრომასაც ჩალიჩობენ, გეუბნები!“

„არა მყავს რწყილები!“

„მომისმინე, ჯოოჯ: ჩემი თვალით მინახია, ეგ ახვრები როგორ...“

„მორჩი, უოშინგტონ,“ თქვა მაკმერფიმ.

უოშინგტონს გატეხილ ცხვირზე ნეონის ზიგზაგივით აჩნდა ნაიარევი. მშვენივრად იცოდა, ვინც შეეხმიანა, მაგრამ არ მოტრიალებულა; თუმცა მაკმერფის ხმა რომ გაიგონა, აშკარად შე-

ეტყო – გაჩუმდა, ჯორჯსაც მიანება თავი და კალათბურთის თამაშის დროს გატეხილი ცხვირი გრძელი, ნაცრისფერი თითით მოისინჯა. ცოტა ხანს იწვალა ნაიარევი, მერე ხელი გაიშვირა, სახესთან მიუტანა ჯორჯს და ხუთივე თითი თვალებთან აუთამაშა. „აი, რწყილი, ჯოოჯ, ხედავ? ხო ხედავ? ეხლა ხო იცი, როგორია? იმ გემზე უეჭველი აიკიდებდი. ჩვენ ამათ შენ თავს ვერ შევაჭმევინებთ, ჯოოჯ!“

„არა მყავს რწყილები, არა!“ იყვირა ჯორჯმა. უკვე წელგამართული იდგა და ხშირი წარბებიც ისე აექაჩა, იმის თვალებს ვხედავდით. შავმა ბიჭმა ცოტათი უკან დაიხია. დანარჩენ ორს გაეცინა. „უოშინგტონ, ჩემი ბიჭი, რაღაც არ გამოდის, არა?“ კითხა მაღალ-მაღალმა, თავისნაირმა. „ვერ გახურდა პროცედურა?“

შავი ისევ მიუახლოვდა ჯორჯს. „ჯოოჯ, ბოლოჯერ გეუბნები: დაიხარე! ან დაიხრები და ამ ჩემის ჟელეს წაისვამ, ან არადა აი, ხელს მოგადებ!“ ხელი ისევ ასწია – დიდი, შავი, ჭაობისფერი. „იცოდე, მოგადებ ამ შავ! ბინძურ! აყროლებულ ხელს! სულ ცხვირ-პირზე მიგისვ-მოგისვამ!“

„არა, ხელი არა!“ თქვა ჯორჯმა და თავზემოთ შემართა მუშტი, თითქოს უნდოდა, ეს გრიფელის თავის ქალა დაეფშვნა, ნამსხვრევებად ექცია, მთელ იატაკზე მიმოებნია ჭანჭიკები, ხრახნები და კბილანები. მაგრამ ამ დროს შავმა ტუბი ჭიპში აძგერა და ხელი მაგრად მოუჭირა, ჯორჯმაც ერთი ღრმად ამოიოხრა და ორად მოიკაკვა. მთელი პეშვი შეაზილა გათხელებულ, ჭაღარა თმაში, იქამდე არ მოეშვა, სანამ ერთიანად არ გაწება ნახშირისფერი, მყრალი ჟელეთი. ჯორჯმა ორივე ხელი მუცელზე მიიჭირა და აღრიალდა:

„არა! არა!“

„აბაა, ეხლა მოვბრუნდეთ, ჯოოჯ...“

„გითხარი, მორჩი-მეთქი, ძმაკაც.“ ხმამ ამჯერად უკვე აიძულა შავი ბიჭი, მაკმერფისკენ შებრუნებულიყო და უტიფრად მიჩერებოდა სახეში. ვხედავდი, რა სხვანაირად ეღიმებოდა ტიტველი მაკმერფის დანახვაზე – არც ქუდი, არც ნალებიანი ფეხსაცმელი... ჯიბეებსაც კი ვერ გამოსდებდა ცერა თითებს

კავებივით. შავი თვალს არ აშორებდა, თავფეხიანად ზომავდა.

„მაკმერფი," თქვა და თავი გადააქნია, „მგონი, ჩვენი დალაპარაკების დროც მოსულა..."

„უუუ, შე ვირთხა," სიბრაზეზე მეტად მაკმერფის ხმაში დაღლილობა უფრო ისმოდა. შავ ბიჭს არაფერი უპასუხია. მაკმერფიმ ხმას აუწია. „შე ბინძურო, დედააფეთქებულო ზანგო!"

შავმა ისევ გადააქნია თავი, ჩაიხითხითა და ორ ამხანაგს გახედა. „რას ფიქრობთ, ბიჭებო, ამნაირი ლაპარაკით საითკენ მიყავს საქმე? ვითომ უნდა, მე ავიღო ინიციატივა? ჰიი-ჰიი-ჰიი. ჩვენმა მაკმერფიმ არ იცის, გიუებისგან ამაზე უარესი ლანძღვის მოთმენასაც რო ასწავლიან ამ საავადმყოფოში?"

„შე ჭუჭუს წურბელა! უოშინგტონ, გითხრა, რა ქვიათ შენისთანებს..."

უოშინგტონმა ზურგი შეაქცია, ისევ ჯორჯს მიუბრუნდა. ჯორჯი ჯერ ისევ წელში მოხრილი იდგა და ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, ჭიპში ტუბის დაძგერების მერე სული ვერაფრით მოებრუნებინა. შავმა ბიჭმა მკლავში ჩაავლო ხელი და სახით კედლისკენ მიატრიალა.

„აი ესე, ჯოოჯ, მოდი, ეხლა დუნდულებიც გადავიწიოთ."

„ააა-რااა!"

„უოშინგტონ," თქვა მაკმერფიმ. ღრმად ჩაისუნთქა, შავ ბიჭს მიუახლოვდა და ჯორჯისთვის ხელი გააშვებინა. „მორჩა, უოშინგტონ, დამთავრდა..."

მაკმერფის ადრე არასდროს ჰქონია ასეთი ხმა, თითქოს ის კი არა, ვიღაც უძლური, კუთხეში მიმწყვდეული, სასოწარკვეთილი კაცი ლაპარაკობდა.

„მაკმერფი, შენ მაიძულებ, თავი დავიცვა. მაიძულებს არა, ბიჭებო?" ორივე ამხანაგმა უხმოდ დაუქნია თავი. უოშინგტონმა ფრთხილად დადო ტუბი დაბალ სკამზე, ჯორჯის გვერდით, იქიდანვე სწრაფად, მოწყვეტით მოიქნია მკლავი და მაკმერფის მოულოდნელად ხეთქა მუშტი ყვრიმალში. მაკმერფი კინალამ წაიქცა. ზურგით მიაწყდა შიშველი კაცების რიგს, იმათ დაიჭირეს, გააჩერეს და ისევ

დაკრეჭილი გრიფელის სიფათისკენ უბიძგეს. ამჯერად უკვე კისერში მოხვდა მუშტი, ეტყობა, დრო დაჭირდა, სანამ გაიაზრებდა – ბოლოს და ბოლოს მაინც დაიწყო და მოსახდენიც უნდა მოხდესო. შავი გველივით მოქნეული ხელი ჰაერში დაუჭირა უოშინგტონს, გადაუგრიხა და დაბინდული გონების დასაწმენდად მაგრად გააქნია თავი.

ერთი წამი ამ პოზაში ირწეოდნენ ადგილზე, ისინიც ტრაპივით აქლოშინებულები; მერე მაკმერფიმ შავ ბიჭს ხელი კრა, მოიშორა, წელში მოიხარა, თავი განიერ მხრებში ჩარგო – ნიკაპი დამალა – მუშტები საფეთქლებთან მიიტანა და ნელ-ნელა უოშინგტონის ირგვლივ დაიწყო სიარული.

და ერთ ხაზზე ჩამწკრივებული შიშველი კაცების მდუმარე მწკრივიც უცებ აღრიალებულ წრედ გადაიქცა, კიდურები და ტორსები – რინგის ცოცხალ ბაგირებად.

ორი შავი ხელი რიგრიგობით, სწრაფ-სწრაფად ხვდებოდა წითურ თავს და ხარის კისერს, სისხლიც ადინა წარბიდან და ნიკაპიდან. შავი ბიჭი ცეკვა-ცეკვით მოძრაობდა. უფრო მაღალიც იყო, მაკმერფის სქელ, წითელ მკლავებთან შედარებით უფრო გრძელი ხელებიც ქონდა და მოწყვეტილ, სწრაფ დარტყმებსაც შორიდანვე აწვდენდა მეტოქის თავს და მხრებს. მაკმერფი ჯიქურად აწვებოდა – მოკლე, მძიმე ნაბიჯებით მიიწევდა შავი ბიჭისკენ, სახე მუშტებში დაემალა და მოსვირინგებული მუშტებიდან იჭყიტებოდა – იქამდე, სანამ „რინგის“ ცოცხალ ბაგირებზე არ მიაგდო, პირდაპირ გახამებული, თეთრი გულმკერდის ზედ შუაში დაუმიზნა და მთელი ძალითაც გლიჯა მუშტი. გრიფელის სახე ვარდისფრად გაიბზარა, მარწყვის ნაყინისფერმა ენამ ტუჩებზე გადაისრიალა. შავმა დაყვინთა, მაკმერფის სატანკო შეტევას გაერიდა, ერთი-ორჯერაც მოასწრო ხელის მოქნევა, ვიდრე მოსვირინგებული მუშტი ხელახლა მიწვდებოდა გემრიელად. ამჯერად უფრო ფართოდ დააფჩინა პირი – ავადმყოფური ფერის ლაქა.

მაკმერფის თავი და მხრები წითლად უხურდა, მაგრამ, ეტყობა, ტკივილს არ გრძნობდა. ისევ შეტევას აგრძელებდა და ათ დარტყმას ერთით პასუხობდა. კარგა ხანს იტრიალეს ასე მთელ

საშხაპეში, შავი უკვე ქოშინებდა, ფეხიც უცურავდა და ძირითადად იმაზე ზრუნავდა, როგორმე ეს ჯიუტი წითელი ტორები აეცდინა. ჩვენები მაკმერფის უყვიროდნენ, მიდი, ბარემ დააგდეო, მაგრამ მაკმერფი არ ჩქარობდა.

მხარში მოხვედრილმა მუშტმა შავი ადგილზე დაატრიალა და იმანაც სწრაფად ამხანაგებისკენ გააპარა თვალი. „უილიამს... უორენ... თქვენი დედა!..“ მეორე მაღალ-მაღალმა წრე გამოარღვია და მაკმერფის უკნიდან შემოხვია მკლავები. მაკმერფიმ ისე დაიქნია, როგორც ხარმა მაიმუნი, მაგრამ შავი მაშინვე ისევ ეცა.

ამიტომაც ჩავბღუჯე და შხაპის კაბინაში ვისროლე. რადიოლამპებით იყო გაძეძგილი; ალბათ, ათ, ბევრი-ბევრი თხუთმეტ ფუნტზე მეტს არ იწონიდა.

დაგვაჯულმა ცოტა ხანს აქეთ-იქით აცეცა თვალები, მერე დაბზრიალდა და კარს ეცა. სანამ იმას ვუყურებდი, ის მეორე შხაპის კაბინიდან გამოვიდა და უკნიდან კლასიკური „ნელსონი“ გამიკეთა – ხელები იღლიებქვეშ ამომიტარა და კისერი გამიკავა. იძულებული გავხდი, უკან-უკან გავქცეულიყავი და კაბინაში ზურგით მივსკდომოდი კაფელის კედელს. წყალში ჩამჯდარი იქიდან ვხედავდი, როგორ უმტვრევდა მაკმერფი უოშინგტონს ნეკნებს სათითაოდ, ამასობაში ჩემიც მოვიდა აზრზე, კისერში დამიწყო კბენა და მეც რა მექნა, საბოლოოდ დავაწყნარე. უკვე მშვიდად იწვა, მარტო იმისი ქურთუკის სახამებელი იწრიტებოდა ტრაპში ქშენა-ქშენით.

როცა დაგვაჯული ისევ შემოვარდა საშხაპეში, ღვედები, ხელბორკილები, სველი პირსახოცები მოიტანა და დასაბმელებიდან გამოძახებული ოთხი სანიტარიც თან მოიყოლა, უკვე ყველანი ტანზე იცვამდნენ, მე და მაკმერფის ხელს გვართმევდნენ, ღირსები იყვნენო, გვეუბნებოდნენ და გვილოცავდნენ – ეს რა უნიკალური ბრძოლა ვნახეთ, ეს რა შესანიშნავი გამარჯვებაოო! დიდხანს აღარ გაჩუმებულან, ხმაურობდნენ, გვამხნევებდნენ, გვაქებდნენ – რა ჩხუბი იყო და რა გამარჯვებაო, ამ დროს კი მთავარი ექთანი დასაბმელების სანიტრებს ჩვენთვის რბილი ტყავის ხელბორკილების დადებაში ეხმარებოდა.

ზემოთ, დასაბმელებში, სახელოსნოს მარადიული, ყურის-წამღები გუგუნი ისმის, ციხის საამქრო სალიცენზიო ბარათებს შტამპავს უსასრულოდ. დრო კი პინგ-პონგის მაგიდაზე ბურთის კაკუნით იზომება: დი-დოკ, დი-დოკ. პაციენტები თავ-თავიანთი, პირადი ბილიკებით მიდი-მოდიან, კედელს მიადგებიან, შემობრუნდებიან და მოპირდაპირე კედლისკენ აღერებენ თავს, ისევ მობრუნდებიან და უკან გამოუყვებიან იმავე გზას სწრაფი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, ჯვარედინად სერავენ კაფელის იატაკს და გალიაში უწყლოდ გამომწყვდეულების თვალებით იყურებიან. ჰაერში საბოლოოდ და უსასოოდ გულგახეთქილი ადამიანების დამწვრის სუნი ტრიალებს, ოთხივე კუთხეში და პინგ-პონგის მაგიდის ქვეშ საზარელი არსებები აღრჭიალებენ კბილებს, ამათ ექიმები და ექთნები ვერ ხედავენ და ვერც სანიტრები დახოცავენ დეზინფექციით. განყოფილების კარის გაღებისთანავე მეცა ეს დამწვრის სუნი და კბილების ღრჭიალიც იმწამსვე გავიგონე.

სანიტრებმა რომ შეგვიყვანეს, პირველი, ვინც დავინახეთ, ბეჭებშუა დამაგრებულ მავთულზე გამობმული მაღალი, ხნიერი, გაძვალტყავებული კაცი იყო. ყვითელი ქერცლიანი თვალებით საფუძვლიანად შეგვისწავლა და თავი გადააქნია. მე ამ საქმეში ხელი დამიბანიაო, – გამოუცხადა ერთ-ერთ შავ სანიტარს და მავთულმაც მაშინვე დერეფნის სიღრმისკენ გაათრია.

ჩვენც იმის კვალს მივყევით და დღის პალატას მივადექით,

მაკმერფი კარებში გაჩერდა, ფეხები გაჩაჩხა, თავი უკან გადაგდო და ახალი სამყოფელი მოათვალიერა; ცერა თითების ჯიბეებში ჩაყოფაც უნდოდა, მაგრამ ხელბორკილების გამო ვერ მოახერხა. „აი, მართლა იშვიათი სანახაობა," გამოცრა კბილებში. თავი დავუქნიე. აქაურობა ადრეც მქონდა ნანახი.

თავ-თავიანთ ბილიკებზე მოსიარულე ერთი-ორი პაციენტი გაჩერდა და ჩვენ შემოგვხედა, უცებ საიდანღაც ის გაძვალტყავებულიც ისევ მოათრია მავთულმა, ყველაფერზე ხელები რომ დაიბანა. თავიდან დიდი ყურადღება არავის გამოუმჟღავნებია. სანიტრები ექთნების სამორიგეოსკენ გაემართნენ და მე და მაკმერფი დღის პალატის კარში გახირულები მიგვატოვეს. მაკმერფის თვალი ისე გასიებოდა, ჩაპაჭუნება ნამდვილად გაუჭირდებოდა, იმასაც ვატყობდი, გაღიმებისას ტუჩი როგორ სტკიოდა. დაბორკილი ხელები მაღლა ასწია, ხმაურიანი საზოგადოება ერთხელაც მოათვალიერა და ღრმად ამოიოხრა.

„გვარად მაკმერფი გახლავართ, ძმებო," კოვბოის როლის შემსრულებელი მსახიობის ხმით დაიწყო თავისებური, „და პირველ რიგში იმის გაგება მინდა, მთავარი პოკერისტი ვინ არი ამ დაწესებულებაში."

პინგ-პონგის საათი გახშირებულად აწიკწიკდა და უცებ იატაკზე მიჩუმდა.

„ესე გაკოჭილს, „ოცდაერთში" კარტის დარიგება ნაღდად გამიჭირდება, მარა პოკერში ბდღვირს ავადენ აქაურობას."

დაამთქნარა, მხარი შეათამაშა, მერე წელში მოიხარა, ამოახველა და ხუთი ფუტის მოშორებით დადგმულ ნაგვის ყუთში ჩააფურთხა. ყუთში რაღაცამ გაირაკუნა. მაკმერფი ისევ გასწორდა, გაიღიმა და ენით მოილოკა კბილის ადგილზე დარჩენილი სისხლიანი სიცარიელე.

„ქვევით ცოტა ვიცელქეთ. ორ მაკაკას აღმზრდელობითი მუშაობა ჩაუტარეთ მე და ბელადმა."

ამასობაში საამქროს გუგუნიც შეწყდა და უკვე ყველა ჩვენ შემოგვცქეროდა, კარებში აყუდებულებს. მაკმერფი ყოველთვის

ყველა თვალს თავისკენ იზიდავდა ბაზრობის მყვირალა მოვაჭ-რესავით. იმის გვერდით მეც ვალდებული ვიყავი, ღირსეული სახე შემენარჩუნებინა, ასეთი ყურადღებით გარემოცული, რაც შეიძ-ლება ამაყად უნდა გავჯგიმულიყავი და თავი არ შემერცხვინა. ზურგი კი მტკიოდა, მაგრად მივასკდით მე და შავი ჯიგარი კაბინის კედელს, მაგრამ არ ვიმჩნევდი. ვიღაც მომიახლოვდა, მშიერ-თვალებიანი, გაბურძგნილი, შავთმიანი და ხელი ისე გამომიშვირა, თითქოს მოწყალებას მთხოვდა. ვცადე, ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ არ მომეშვა, საითაც არ მივბრუნდი, ცხვირწინ ამეტუზა აბეზარი ბავშვივით, პეშვამოტრიალებული.

მაკმერფი ცოტა ხანს ჩხუბის ამბებს ყვებოდა, მე კი სულ უფრო და უფრო მეტად მაწუხებდა ნატკენი ზურგი. იმდენი წე-ლი ვიჯექი კუთხეში ჩემს სკამზე მოკუნტული, დიდხანს წელგა-მართული დგომა მიჭირდა. ამიტომაც გამიხარდა, როცა ერთი ბე-წო იაპონელმა ექთანმა მოგვაკითხა და ექთნების სამორიგეოში წაგვიყვანა – დავჯდებოდი მაინც და ცოტა სულს მოვითქვამდი.

დაწყნარდითო? – გვკითხა. – შეიძლება ხელბორკილების მოხსნაო? კიო, ანიშნა მაკმერფიმ, მერე მოღვენთილი სკამზე დაეშვა, თავი ჩაქინდრა და დაქანცულმა მუხლებშორის ჩაკიდა ხელები – არ მეგონა, ჩემსავით იმასაც ასე თუ გაუძნელდებოდა გამართული დგომა.

ექთანმა – როგორც მერე მაკმერფიმ თქვა, მთლად არაფრის მოკლე ბოლომ – ხელები გაგვითავისუფლა და მაკმერფის სიგა-რეტი, მე კი კევი მომაწოდა. მახსოვს, რომ გიყვართო, – მითხრა. მე ეს ექთანი საერთოდ არ მახსოვდა. მაკმერფი აბოლებდა, ექთანმა მალამოიან ქილაში ჩაყო თითები – ტორტის ვარდისფერი სანთლები – და ჭრილობებზე მალამოს წასმა დაუწყო, მაკმერფის ყოველ შეკრთომაზე თვითონაც კრთებოდა და ბოდიშს უხდიდა. მერე ორივე ხელით ხელი აუწია და მალამო დახეთქილ სახსრებ-ზეც გადაუსვა. „უოშინგტონი იყო თუ უორენი?“

მაკმერფიმ ქვემოდან ახედა. „უოშინგტონი,“ უპასუხა ექთანს და ჩაიცინა. „უორენს ჩვენმა ბელადმა მიხედა.“

ექთანმა მაკმერფის ხელი გაუშვა და მე მომიბრუნდა. სახის ძვლები ისეთი წვრილი ჰქონდა, როგორც საცოდავ ჩიტს. „გტკივათ რამე?“ არა-მეთქი, გავაქნიე თავი.

„უოშინგტონს და უორენს რაღა დაემართათ?“

მაკმერფიმ უთხრა, როცა ისევ ნახავთ, ალბათ თაბაშირის აბჯრები ეცმევათო. ქალმა თავი დაუქნია და თვალები დახარა. „უცნაურია, იმის განყოფილებაში ასეთი ამბავი როგორ მოხდა,“ თქვა ცოტა ხნის მერე. „ბევრი რამეა უცნაური, ოღონდ ყველაფერი არა. საერთოდ, სამხედრო ექთნები ცდილობენ, აქაურობაც სამხედრო წესებით მართონ. ცოტ-ცოტა თვითონაც ვერ არიან. ბევრჯერ მიფიქრია, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ყველა გაუთხოვარი ექთანი სამსახურიდან უნდა გაუშვან-მეთქი.“

„ყოველ შემთხვევაში, ყველა გაუთხოვარი *სამხედრო* ექთანი მაინც,“ კვერი დაუკრა მაკმერფიმ. მერე კითხა – თქვენი გულთბილი მასპინძლობით რამდენ ხანს შეიძლება ვისიამოვნოთო.

„ვშიშობ, არც ისე დიდხანს.“

„*შიშობ*, არც ისე დიდხანს?“ ჩაეკითხა მაკმერფი.

„დიახ. ზოგჯერ პაციენტის უკან გაგზავნას აქ დატოვება მირჩევნია ხოლმე, მაგრამ თანამდებობრივად ის ჩემზე მაღლა დგას. არა, თქვენ, ალბათ, დიდხანს არ დაგტოვებენ... ანუ... ამჯერად მაინც.“

დასაბმელების საძინებელში ყველა საწოლი უვარგისია – ზოგი ძალიან მაგარია და ზოგიც ჩავარდნილი. გვერდიგვერდ დაგვაწვინეს. ჩემთვის ზეწრები არ გადაუჭერიათ, თუმცა საწოლთან სუსტი შუქი კი დამიტოვეს ანთებული. შუაღამისას ვიღაც აყვირდა: „ტრიალს ვიწყებ, ინდიელო! მიყურე, მიყურე!“ თვალი გავახილე და ცხვირწინ ყვითლად მოელვარე გრძელი კბილები დავინახე. ის ჯეელი იყო, რაღაცას რომ მთხოვდა პეშვგამოშვერილი. „დავიწყე-მეთქი ტრიალი! შემხედე, ძალიან გთხოვ!“

ორმა სანიტარმა დაითრია უკნიდან, ახარხარებულ-აღრიალებული გაათრია საძინებლიდან. ჯერ ცოტა ხანს ისევ ის სიტყვები ისმოდა – ტრიალს ვიწყებო, მერე უკვე მარტო ხარხა-

რი. სანამ დერეფანი არ ჩაათავებინეს, ხმაური არ შეწყვეტილა, მერეღა მიწყნარდა ყველაფერი და სიჩუმეში ახლა სხვა ხმა გავიგონე – ძალიან კარგი... მე ამ საქმეში ხელი დამიბანიაო.

„მაგარი ძმაკაცი გეჩითებოდა, ბელადო. რა დროს აგახიეს...“ ჩურჩულით შემეხმიანა მაკმერფი და დასაძინებლად გადაბრუნდა. მე კი თითქმის მთელი ღამე აღარ მომეკარა ძილი, სულ ის ყვითელი კბილები და მშიერი სახე მედგა თვალწინ, მიყურე და მიყურეო – მეხვეწებოდა. მერე, როცა ჩამეძინა, უკვე უსიტყვოდ მთხოვდა რაღაცას. სიბნელიდან მოცურავდა ჩემკენ ეს სახე, თითქოს ერთი მთლიანი ყვითელი სათხოვარი, და ვერ გაიგებდი, რა უნდოდა... რას მევედრებოდა. მაკმერფისაც მიკვირდა, ასი, ორასი და იქნებ ათასი ამისთანა სახის გარემოცვაში ძილი რანაირად შეუძლია-მეთქი.

დასაბმელებში პაციენტებს განგაშის სიგნალით აღვიძებენ. მარტო შუქების ანთებით არ კმაყოფილდებიან, როგორც ქვევით, ჩვენთან. სიგნალს ისეთი ხმა აქვს, თითქოს გიგანტური ფანქრის სათლელით რაღაც საშინელს უმახავენ წვერსო. დაფეთებულები წამოგვყარა მე და მაკმერფი, მერე ძილის შებრუნება დავაპირეთ, მაგრამ ახლა რეპროდუქტორმა გამოგვიძახა ექთნების სამორიგეოში. ლოგინიდან ძლივძლივობით გამოვძვერი, ღამე ზურგი ისე გამიშეშდა, სულ ოდნავ დახრაც მიჭირდა; მაკმერფიც ისე დაჩლახუნებდა, ეტყობოდა, თვითონაც არ იყო ჩემზე უკეთეს დღეში.

„შენი აზრით, რა პროგრამას შემოგვთავაზებენ, ბელადო?“ მკითხა უფრო გამოცდილს. „ესპანურ ჩექმას? სარზე გასმას? იმედია, ძაან მტკივნეულიც არ იქნება, თორე მაგარი დანგრეული ვარ.“

მტკივნეული არ იქნება-მეთქი, მარტო ეს ვუთხარი, სხვაში ჯერ მე თვითონაც არ ვიყავი დარწმუნებული, სანამ სამორიგეოში არ მივედით და ექთანმა, უკვე სხვამ, გვკითხა – მისტერ მაკმერფი და მისტერ ბრომდენი თქვენ ბრძანდებითო? თავები დავუქნიეთ და იმანაც თითო პატარა ქაღალდის ჭიქა გამოგვიწოდა.

ჩემსაში ჩავიხედე და სამი ცალი ის წითელი აბი დავინახე.

*ddd*ііііннг*g!* ჟღრიალებს გაბმულად თავში და ამ ჟღრიალს ვერაფერს ვუხერხებ.

„მოიცათ," ამბობს მაკმერფი, „ეს ის წამალი არ არი, ნოკაუტივით რო გთიშავს?"

ექთანი თავს უქნევს, მერე უკან იყურება, საიმედოდ თუ ვარ ზურგიდან დაცულიო. უკან ორნი დგანან დადარაჯებულები, სიამის ტყუპებივით ერთმანეთს იდაყვებით შეზრდილები, და ყინულის ასაღები მაშები უჭირავთ.

მაკმერფი ექთანს უწვდის ჭიქას: „არა, ბატონო ჩემო, ანუ ქალბატონო, თვალების ახვევაზე უარს ვამბობ. აი, *უკანასკნელ* სიგარეტს კი აუცილებლად მოვწევ."

ჭიქას მეც ვუბრუნებ. ექთანი გვეუბნება, უნდა დავრეკოო, ჩვენ შუა სხლტება შუშის კარში და სანამ ვინმე ხმას ამოიღებდეს, უკვე ტელეფონის ყურმილი უჭირავს ხელში.

„ბოდიშს გიხდი, შარში თუ გაგხვიე, ბელადო," მეუბნება მაკმერფი და კედლებში დატანებული სატელეფონო მავთულების სტვენა-სისინში იმისი ხმა ბუნდოვნად მესმის. ვგრძნობ, თავში როგორ აწყდებიან ერთმანეთს დაფეთებული აზრები და უფსკრულში მიექანებიან.

უკვე დღის პალატაში ვსხედვართ, იმ სახეებით გარშემორტყმულები, და ამ დროს კარებში მთავარი ექთანი შემოდის, ერთი ნაბიჯით უკან მაღალ-მაღალი შავი ბიჭებიც მოყვებიან, აქეთიქიდან უმშვენებენ მხარს. ვცდილობ, სავარძელში ჩავიმალო, თვალში არ მოვხვდე, მაგრამ ძალიან გვიანია. ძალიან ბევრი ხალხი მიყურებს; გაწებილი თვალები ადგილზე მაკრავენ.

„დილა მშვიდობისა," გვესალმება ქალი, ისევ ძველებური ღიმილი მოურგია. მაკმერფი სალამზე სალმით პასუხობს, მე კი ხმას არ ვიღებ, თუმცა მთავარი ექთანი მეც მომესალმა და თან საკმაოდ ხმამაღლა. შავ ბიჭებს მივჩერებივარ. ერთს ცხვირზე სალბუნი ადევს და ხელიც ჩამოკიდებული აქვს, ნაცრისფერი მტევანი დამხრჩვალ ობობასავით ირწევა ჰაერში; მეორე ისე

დადის, ნეკნებზე თაბაშირის არტახი უნდა ჰქონდეს დადებული. ორივეს ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს ტუჩებზე. ასე დაზარალებულებს, წესით, სახლშიც შეეძლოთ დარჩენა, მაგრამ მოსალოდნელ სიამოვნებას როგორ მოიკლებდნენ! იღიმებიან და მეც დამცინავი ღიმილით ვპასუხობ – თქვენნაირები შეაშინეთ-მეთქი.

მთავარი ექთანი მაკმერფის ესაუბრება, მშვიდად და მოთმინებით უხსნის, რა უპასუხისმგებლოდ მოიქცა, ბავშვურად, ჭირვეული ბავშვივით დააყენა განყოფილება ყირაზე. ნუთუ არ *გრცხვენიაო,* – ეკითხება. მგონი, არაო, პასუხობს მაკმერფი, ოღონდ ეგ არაფერი, რაც სათქმელი გაქვთ, ბრძანეთ ბოლომდეო.

ხოდა, ისიც უყვება, გუშინ საღამოს გამართულ საგანგებო შეკრებაზე იქ, ჩვენთან, როგორ დათანხმებია უკლებლივ ყველა პაციენტი პერსონალს – საკუთარი შეცდომები თუ არ გაიაზრა, მაკმერფის, ალბათ, ნამდვილად დასჭირდება და უთუოდ არგებს კიდეც პატარა შოკური თერაპიაო. მაგრამ თუ მხოლოდ აღიარებთ, მართალი არ ვიყავიო, თუ გვაგრძნობინებთ და აშკარადაც *გამოხატავთ* გონივრული კონტაქტების სურვილს, მკურნალობის ამ მეთოდისგან ჯერჯერობით შეიძლება თავიც შეგვეკავებინაო.

მოლოდინად ქცეული სახეების რკალი შემოგვცქერის. ყველაფერი თქვენი გადასაწყვეტიაო, – წერტილს სვამს მთავარი ექთანი.

„მართლა?“ უკვირს მაკმერფის. „რამე ქაღალდიცაა ხელმოსაწერი?“

„არა, ქაღალდი არა, თუმცა თუ ეს აუცილებელად მიგა...“

„ვხედავ, საქმისთვის საფუძვლიანად მოგიკიდიათ ხელი და ბარემ კიდევ ჩამოგეწერათ რაღაც-რაღაცეები – ვთქვათ, როგორ ვადგენდი სახელმწიფო გადატრიალების გეგმას, ანდა როგორ ვამტკიცებდი, აქედან და ჰავაის კუნძულებამდე მის რეჩედის განყოფილებაზე ტკბილ და თბილ ადგილს დედამიწის ზურგზე სანთლით ვერ იპოვის ვერავინო... რა ვიცი, რამე ეგეთიც ჩაგვეწერა, არა?“

„არა მგონია, ამან...“

„მეც ხელს მოვაწერდი, თქვენ კიდე მერე თბილი საბნით და წითელი ჯვრის ნაწყალობევი სიგარეტით დამაჯილდოვებდით! ოოოხ, ქალბატონო, რამდენ რამეს ისწავლიდნენ თქვენგან ჩინელი კომუნისტები...“

„რენდლ, ჩვენ ვცდილობთ, დაგეხმაროთ.“

მაკმერფი კი უკვე ფეხზე დგას, მუცელს იფხანს, ქალს და იმის ამალას ზედაც აღარ უყურებს და ბანქოს სათამაშო მაგიდისკენ აღერებს თავს.

„ააბა, ბიჭებო, მოვედი. პოკერს რომელ მაგიდასთან უბერავთ?..“

მთავარი ექთანი წამით თვალს აყოლებს, მერე სამორიგეოში შედის ტელეფონზე დასარეკად.

ორ შავ და ერთ თეთრკანიან, ქერაკულულებიან სანიტარს მთავარ კორპუსში მივყავართ. მაკმერფი მთელი გზა ისეთი გახალისებული ექაქანება თეთრკანიანს, ვითომც აქ არაფერიო.

ბალახზე სქელი თრთვილი დევს, წინ მიმავალი ორი შავი სანიტარი ლოკომოტივივით ქშენს და ბოლქვებად ისვრის პირიდან ჰაერს. მზეს ალაგ-ალაგ დაუბზარავს ღრუბლები, თრთვილს მიწვდომია და ბალახი ჭრელად აუბრჭყვიალებია. ბრჭყვიალა ბალახში მობუზული ბელურები დაეძებენ საზრდოს. ხრაშუნა მდელოს ირიბად ვჭრით, ზაზუნების სოროებთან, სადაც იმ დღეს ძაღლი დავინახე. თრთვილი ცივად ბრწყინავს. სოროებშიც აღწევს, ღრმად, სიბნელეში.

იმის სიცივეს მუცელშიც ვგრძნობ.

დიდი ხნის ნაცნობ კარებთან მივდივართ. კარს იქით ხმაური ისმის, თითქოს ვიღაცამ ფუტკრების სკა ააფორიაქაო. ჩვენამდე ორი კაცია, წითელი აბებით გაბრუებულები ძლივს დგანან ფეხზე. ერთი ბავშვივით ბზუის – „ეს ჩემი ჯვარია, მადლობა, უფალო, სხვა არაფერი მაქვს, მადლობა, უფალო...“

მეორე – დაიჭი ბურთი, დაიჭი ბურთიო – იმეორებს ერთსა და იმავეს. ჩვენი აუზის მეთვალყურეა. ცოტა ამასაც გაბზარვია სატირლად ხმა.

მე არც ვიტირებ და არც ვიყვირებ. მაკმერფი რომ არ იყოს, კიდევ ხო, მაგრამ მაკმერფის დასანახად – არავითარ შემთხვევაში.

ტექნიკოსი გვეუბნება, ფეხზე გაიხადეთო და მაკმერფი ეკითხება – შარვალსაც შემოგვახევენ და თავებსაც გადაგვპარსავენო? ნამეტანი მოგივათო, – გვემასხრება ტექნიკოსი.

ლითონის კარს თვალებივით მოუშტერებია ჩვენთვის მოქლონები.

მერე იღება, ბავშვივით აბზუვლებულს ისრუტავს. აუზის მეთვალყურე ჯერ ჯიუტობს, იბრძვის. ოთახში დადგმული პანელიდან ნეონის ბოლივით ვარდება სხივი, პირდაპირ ბუცებით დაკბილულ შუბლზე ებჯინება და გაძალიანებულს, ყულფგადაცმული მაწანწალა ძაღლივით მიათრევს შიგნით. სანამ კარი ხელახლა დაიკეტება, შიშისგან სახეწაშლილს სხივი სამჯერ აბზრიალებს ადგილზე. „პირველი ზონა," ხვნეშის ძველი ფეხბურთელი. „მეორე ზონა! მესამე ზონა!"

მესმის, თავს ძალით აწევინებენ, ისე ეჯაჯგურებიან, როგორც კანალიზაციის ლუკს. გაჭედილი კბილანები სისხლის გამყინავად ღრჭიალებენ და ხვნეშიან.

ბოლი კარს აფრიალებს, ოთახიდან ბორბლებიანი საკაცე მოგორავს, ზედ პირველი პაციენტი წევს. ფოცხივით მკაწრავს თვალებით. იმისი სახე. საკაცე ისევ უკან ბრუნდება და აუზის მეთვალყურეც გამოყავს. მესმის, როგორ გაჰყვირიან სტადიონის ტრიბუნების დირიჟორები თავიანთი კერპის სახელს.

„შემდეგი ჯგუფი," იძახის ტექნიკოსი.

იატაკი ცივია, დათრთვილული, ხრაშუნა. ზევით შუქი ყმუის გრძელ, თეთრ, ლოლუასავით ნათურაში. გრაფიტის მალამოს სუნი მცემს, გარაჟის სუნი. და შიშის მჟავასიც. მაღლა კედელში ერთი პატარა ფანჯარაა დატანებული, იქიდან ვხედავ მავთულზე ჩამომსხდარ მობუზულ ბელურებს, მძივის ყავისფერ მარცვლებს. შეციებულებს თავები ფრთებქვეშ დაუმალიათ. ვგრძნობ, საიდანღაც მოვარდნილმა გრიგალმა როგორ

გადამიარა ფუტურო ძვლებზე, კიდევ და კიდევ, საჰაერო განგაში! საჰაერო განგაში!

„ნუ ღრიალებ, ბელადო...“

საჰაერო განგაში!

„დაწყნარდი. პირველი მე შევალ. საამათოდ სქელი შუბლი მაქ, ფეხებს ვერ მომჭამენ. ხოდა, მე თუ ვერ მომჭამენ, არც შენ გემუქრება არაფერი.“

დაუხმარებლად ადის მაგიდაზე და ზუსტად იმის ფორმაზე შლის ხელებს განზე. რელე ტკაცუნით ურთავს სამაგრებს მაჯებზე და კოჭებთან, მაგიდის სილუეტს აბამს. ვიღაცის ხელი სქანლონისთვის მოგებულ საათს ხსნის, პანელის გვერდით აგდებს. საათს ხუფი სძვრება, პაწაწინა ბორბლები, კბილანები და გრძელი, ზანტი ზამბარა ცოტა ხანს იატაკზე ხტიან და მერე მყარად ეკვრებიან პანელის გვერდს.

შიშის საერთოდ არაფერი ეტყობა. ძველებურად მიღიმის.

საფეთქლებზე გრაფიტის მალამოს უსვამენ. „ეგ რა არი?“ ეკითხება ტექნიკოსს. „გამტარი,“ ეუბნება ტექნიკოსი. „და მცხეს მე გამტარი. ეკლის გვირგვინსაც დამადგამთ?“

კარგა მაგრად შეაზილეს. თვითონ კი მღერის და იმათაც ხელები უკანკალებთ.

„ვაზელინი იხმარეთო, რჩევა მიცა ბიჭებს...“

უკვე ისინიც ჩამოაცვეს, ყურსაცვამებივით რაღაცეები – ვერცხლისფერეკლებიანი გვირგვინი გრაფიტის საფეთქლებზე. აჩუმებენ და რეზინის შლანგის ნაჭერი დაიჭირე მაგრად კბილებითო, ეუბნებიან.

„ერთხელ ცადეთ, მაშინ ნახავთ, რა კაიფს დაიჭერთ.“

ციფერბლატს ატრიალებენ, მანქანა თრთის, რობოტის ორი მკლავი თითო-თითო რკინის სარჩილავს იღებს – იდაყვში მოხრილებს იმის თავისკენ მიაქვთ. ის კი თვალს მიკრავს და რაღაცას მეუბნება, თლიფინებს, რაღაცის თქმა უნდა პირში რეზინის შლანგგაჩრილს, შლანგი არ აძლევს ნებას, სარჩილავები კი ვერცხლის სალტეს უახლოვდებიან იმის საფეთქლებთან – სინათლე

კაშკაშებს, ის ქვავდება, მერე მაგიდაზე ირკალება მარტო მაჯებს და ქუსლებს დაყრდნობილი, ჩაშავებული, ჩაკბეჩილი რეზინის შლანგიდან ჰუუუეეე -ო, ისმის ღრმა ამოოხვრა და ისიც საბოლოოდ ირინდება ნაპერწკლების თრთვილით ერთიანად გათოშილი.

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ ცვივიან აბოლებული ბეღურები მავთულიდან.

საკაცით მოაგორებენ, აკანკალებულს, თრთვილით სახეგადათეთრებულს. კოროზია. აკუმულატორის მჟავა. ტექნიკოსი ჩემკენ ტრიალდება.

ამ სქელკანიანთან ფრთხილად. მაგას ვიცნობ. მაგრად დაიჭი!

ნებისყოფის სიმტკიცე უკვე აღარაფერ შუაშია.

დაიჭი-მეთქი, შე ჩემა! სეკონალდაულეველი აღარ დავინახო აქ არავინ.

კლემები მაჯებზე და კოჭებზე მკბენენ.

გრაფიტის მალამოში რკინის ნაქლიბი ურევია, საფეთქლები მეკაწრება.

თვალს რომ მიკრავდა, რაღაცას მეუბნებოდა. რაღაც მითხრა.

კაცი ჩემკენ იხრება, რკინის ორი ნაჭერი მოაქვს შუბლზე გადაჭერილ სალტესთან.

მანქანა წელში მტეხს.

საჰაერო განგაში.

თავქვე დაეშვა, ტალახში წაიქცა. ვერც უკან გაბრუნდა, ვეღარც წინ გაიქცა. ტყვია დაეწია, უსულოდ დაეცა.

ლელიანიდან რკინიგზასთან გამოვდივართ ბილიკით. ლიანდაგს ყურს ვადებ და ლოყა მეწვება.

„არც იქით, არც აქეთ არაფერია," ვეუბნები მამას, „ას მილზე არაფერი..."

„ჰმ," ამბობს მამა.

„ბიზონებზეც ესე არ ვნადირობდით – დანას მიწაში ჩავარ-

ჭობდით, ტარს კბილებით დავიჭერდით და შორიდანვე ვპოულობ-დით ჯოგს.“

„ჰმ,“ ისევ იმეორებს მამა, ოღონდ ვიცი, თან ეცინება. რკინიგზის გადაღმა შარშანდელი ზამთრიდან დარჩენილი ბზის გრძელი ზვინული მოჩანს. იქაურობა თაგვებითაა სავსეო, – გვკარნახობს ძაღლი.

„ზევით ავუყვეთ, შვილო, ლიანდაგს თუ ქვევით წავიდეთ?“

„ძაღლი გვეუბნება, რკინიგზის გადაღმა იარეთო.“

„ეგ ძაღლი უჭკუოა, გვერდზე არ მოგვყვება.“

„გამოგვყვება. გვეუბნება, ფრინველითაა იქაურობა სავსეო.“

„ჯობია, მამის ნათქვამი დაიჯერო, მიწაყრილს გავყვეთ, იქ ვინადიროთ.“

„გადაღმა უკეთესია, ბზასთან, ძაღლიც ეგრე მკარნახობს.“

გადაღმა... თვალის დახამხამებას ვერ ვასწრებ და მთელი ლიანდაგის გაყოლებაზე ჩამწკრივებულ კაცებს ვხედავ, ხოხბებს ესვრიან, დაყრუვდები, ისეთი ბათქაბუთქი აუტეხიათ. ეტყობა, ჩვენმა ძაღლმა ძალიან გადაგვისწრო და რაც რამე ფრინველი იყო ბზასთან, სულ რკინიგზისკენ გამოდენა.

სამი თაგვიც დაუჭერია.

...კაცი, კაცი, კაცი, კაცი... დიდი და მხარბეჭიანი, ვარსკვლავივით მოციმციმე.

ო, უფალო იესო, ისევ ეს ჭიანჭველები, რამდენი არიან მაინც, მწარედ იკბინებიან ნაძირლები. გახსოვს, ერთხელ გავსინჯეთ და კამის თესლის გემო ქონდათ? ჰა? შენ ამბობდი, კამის თესლს არ გავსო, მე კიდე გითხარი, ეგ არი-მეთქი, მერე დედაშენმა კინაღამ მომკლა, ბავშვს ჭიების ჭამას აჩვევო...

ხე-ხე. გაძლება და გადარჩენა თუ უნდა, ნაღდ ინდიელ ბიჭს ყველაფრის ჭამა უნდა შეეძლოს, ყველაფერი უნდა შეჭამოს, რაც მანამდე იქით არ შეჭამს.

ჩვენ ინდიელები არა ვართ. ჩვენ ცივილიზებულები ვართ და ეს კარგად დაიმახსოვრე.

მამა, შენ მითხარი, როცა მოვკვდები, ცას მიმაბნიეო.

დედა გვარად ბრომდენი იყო. ჯერაც ბრომდენია. მამამ თქვა, დავიბადე და მარტო სახელი მქონდაო, პირდაპირ ჩემს სახელზე დავიბადე, როგორც ხბო დაფენილ საბანზე, როცა ძროხას მაინცდამაინც ფეხზედგომელა უნდა მოგებაო. თი აჰ მილათუნა, ყველაზე მაღალი ფიჭვი მთაზე, და ღმერთმანი, მართლა ყველაზე დიდი ინდიელი ვარ მთელ ორეგონის შტატში, იქნებ მთელ კალიფორნიაში და აიდაჰოშიცო. პირდაპირ სახელზე დავიბადეო.

მართლა ყველაზე დიდი სულელი ხარ, თუ გგონია, პატიოსანი ქრისტიანი ქალი მაგისთანა სახელით ივლის, თი აჰ მილათუნა გახდებაო. კი ბატონო, შენ შენი სახელით დაიბადე, მაგრამ მეცა მაქვს ჩემი სახელი და გვარი, ბრომდენი. მერი ლუიზა ბრომდენიო.

ხოდა, ქალაქში რომ გადავალთ, ამბობს მამა, მაგ სახელით და გვარით უფრო ადვილად მივიღებთ სოციალური დაცვის ბარათსო.

ტიპი სამოქლონე ურითი მისდევს ვიღაცას, ძაან თუ მოინდომებს, დაეწევა კიდეც. ვხედავ, ისევ იელვა, ფერად-ფერადად აჭრელდა ყველაფერი.

ძძძინ. ნუ ამთქნარებ იცოდე, საყვარელო ბიცოლა, მებადური ძველი, ქათმებს იჭერ ხელით... ცხრაკლიტულში კეტავ, რას უპირებ ნეტავ... გუნდში სამი ბატი გყავს, მეტი არ გაბადია... ერთი მოფრინდა, ერთი გაფრინდა, გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა... აყიყინდა – გამოდი, ჩვენ ეზოში ჩამოდი.

ბებია ღიღინებდა ხოლმე ამას თამაშის დროს. საათობით ვთამაშობდით, გამოყვანილი თევზის ლარტყებთან ვისხედით და ბუზებს ვაქშევდით. თამაშს „ნუ ამთქნარებ“ ერქვა. თითებს გავფარჩხავდი და ბებიაც ლექსის ყოველ მარცვალზე ჩემს თითებს ითვლიდა სათითაოდ.

ნუ ამთქნარებ იცოდე (შვიდი თითი), საყვარელო ბიცოლა (კიდევ შვიდი, სულ თოთხმეტი, შავი, კიბორჩხალასავით ხელით მითვლის თითებს ტაქტში. ჩემი ყველა ფრჩხილი ქვევიდან ასცქერის, პაწაწინა სახეებივით, და უნდათ, იმ ბატად გადაიქცნენ, გუგულის ბუდეზე რომ გადაფრინდა).

მიყვარს ეს თამაში და ბებიაც მიყვარს. ქათმების დამჭერი ბიცოლა – არა. კიდევ ის ბატი მიყვარს, გუგულის ბუდეზე გადაფრენილი. ის, ბებია და ბებიას ნაოჭებში ჩამჯდარი მტვერი.

როცა ბოლოჯერ ვნახე, დალეზში ტროტუართან იწვა გახეევებული, გაყინული, მკვდარი... ჭრელპერანგიანი ხალხი ეხვია გარს, ზოგი ინდიელი, ზოგი მესაქონლე, ზოგი მიწათმოქმედი. ფორნით მიასვენეს ქალაქის სასაფლაოზე, თიხა შეაზილეს თვალებში.

ცხელი, საავდროდ გაყუჩებული დღეები მახსოვს, როცა კურდღლები ბორბლებში უცვივდებოდნენ დიდ სატვირთო მანქანებს.

კასრში თევზ ჯოს კონტრაქტის გაფორმების მერე ოცი ათასი დოლარი ერგო და სამი კადილაკი იყიდა. ვერც ერთს ვერ ატარებდა.

კამათელს ვხედავ.

შიგნიდან. მე თვითონ კამათლის ძირზე ვარ მაგნიტად დამაგრებული, ყოველთვის ჩემ ზემოთ დარჩენილი გვერდი რომ დაჯდეს. დაამაგნიტეს, სულ იაქე უნდათ მოვიდეს, მე მაგნიტი ვარ, ექვსი წერტილი ჩემ ირგვლივ, ექვსი თეთრი ბალიში, აუცილებლად ქვევით მოექცევა, რამდენჯერაც არ უნდა გააგორონ. ნეტა მეორე კამათელი როგორღა დაამაგნიტეს? ნაძლევს დავდებ, ისიც იაქეზე. იაგანს ჩალიჩობენ. თაღლითებს ეთამაშება და მეც მაგნიტი ვარ.

ჰა, მიყურე, ვაგორებ. რა ვქნა, ქალბატონო, ჯიბეგაფხეკილი დავრჩი, ვერ გიყიდი მაღალქუსლიან ზიზია ფეხსაცმელს. ეეეხ, ჩემი ბედი...

მარცხი მოგვივიდა.

წყალი. გუბეში ვწევარ.

იაგანი. ისევ გააცუცურაკეს. თავს ზემოთ იაქეს ვხედავ: ჩიხში, ფარდულს უკან, სათავისოდ ვერ გააგორებს გაყინულ კამათლებს... პორტლენდში.

ჩიხი გვირაბია და ცივა, იმიტომ რომ მზე საღამოსკენ გადაიხარა. წავალ... წავალ რა, დედა, ბებიას ვნახავ.

მაინც რა მითხრა, როცა თვალი ჩამიკრა?

ერთი მოფრინდა ერთი გაფრინდა.

მომეცალე გზიდან.

ჯანდაბას შენი თავი, ექთანო, მომეცალე-მეთქი გზიდან გზიდან გზიდან!

ჩემი გაგორებაა. წადი შენი... ძაღლის ძვალი ხარ. კიდე წავაგე. ისევ იაგანია.

სკოლაში მასწავლებელმა მითხრა, ცინცხალი გონება გაქვსო, რაღაც გამოვა შენგანო...

რა გამოვა, მამა? ძია ერ ჯი მგელივით ხალიჩების ოსტატი? თუ კალათების? თუ კიდე ერთი ლოთი ინდიელი?

მაიცა, ოსტატო, შენ ინდიელი არა ხარ?

კი, ინდიელი ვარ.

გამართულად ლაპარაკობ, აი...

კი.

კაი... სამი დოლარის ჩვეულებრივი ჩამისხი.

ასე არ გაიბღინძებოდნენ, რომ იცოდნენ, რა ურთიერთობა გვაქვს მე და *მთვარეს*. აღარ ჩამთვლიდნენ ჩვეულებრივად...

იმას რაო... როგორ იყო?.. სხვა დოლის ბრაგუნი ვის ესმისო? ვინც მწყობრს ვერ უწყობს ფეხსო.

კიდე იაგანი. რა ცივია ეს ოხერი კამათლები.

დასაფლავების მერე მე, მამამ და ძია ერ ჯი მგელმა ბებია ისევ ამოვთხარეთ საფლავიდან. რომც გვეთქვა, დედა მაინც არ წამოგვყვებოდა; ცხოვრებაში არ გაეგო მსგავსი არაფერი. *ხეზე* ჩამოკიდებული გვამი! გაფიქრებაც შეგზარავს.

გვამის შეგინებისთვის მამამ და ძია ერ ჯი მგელმა ოცი დღე გაატარეს დალეზის ციხის გამოსაფხიზლებელში, „რამსს“ უბერავდნენ დილიდან ღამემდე.

კი მარა, ეს ჩვენი საკუთარი დედაა, ხალხო!

მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ბიჭებო. მიცვალებული არ უნდა შეგეწუხებინათ. ვეღარ ისწავლეთ ჭკუა ამ ინდიელებმა. აბა, სად არის, რა უყავით? ჯობია, გამოტყდეთ.

გაგარტყი ბრტყლად, გაფითრებულოო, – უთხრა ძია ერ ჯი მგელმა, თან თამბაქოს ახვევდა. ცხოვრებაში არ გეტყვიო.

მაღლა მაღლა მაღლა მთებში, მაღლა ფიჭვის კენწეროზე, ქარს აყოლებს ბებერ ხელს და ღიღინით თვლის ცაში ღრუბლებს: ... გუნდში სამი ბატი გყავს...

რა მითხარი, როცა თვალი ჩამიკარი?

ორკესტრი გრიალებს. ნახე... ცა, დღეს ოთხი ივლისია.

კამათლები გაქვავებულან.

ისევ მომადგნენ ეშმაკის მანქანით... ნეტა გამაგებინა...

რა თქვა?

... გამაგებინა, ისევ დიდად როგორ მაქცია მაკმერფიმ.

რა მითხრა...და – დაიჭი ბურთიო.

უკვე გამობრძანებულან. თეთრად გამოწკეპილი შავი ჯეელები კარის ღრიჭოდან მაფსამენ, მერე მოვლენ და დამაბრალებენ, ჩაგიფსია და ქვეშ ამოდებული ექვსივე ბალიში გაგიოხრებიაო! შაში. ოთახი კამათელი მეგონა. მაღლა, ჭერში, ნათურის თეთრი თვალი – იაქე... აი რას ვხედავდი... ამ ციცქნა, ოთხკუთხა ოთახში... ესე იგი, დაღამებულა. რამდენი საათი ვეგდე გათიშული? ცოტ-ცოტა გვნისლავენ, მაგრამ ნისლში არ ჩავყვინთავ და არ დავიმალები. არა... უკვე აღარასოდეს...

ნელ-ნელა წამოვდექი, გაჭირვებით, ბეჭებშუა ვერაფერს ვერ ვგრძნობდი. იზოლატორის იატაკზე თეთრი, დამბალი ბალიშები ეყარა, მე დავალბე შარდით, გათიშულმა. ჯერ ყველაფერს ვერ ვიხსენებდი, თუმცა ხელის ზურგებით მაგრად ვიფშვნეტდი თვალებს და აზრის მოკრებას ვცდილობდი. ძალიან ვცდილობდი. ადრე ამ მდგომარეობიდან გამოსვლა არასდროს მიცდია.

კარში დატანებულ პატარა, მრგვალ, ბადიან ფანჯარასთან მივლასლასდი და ზედ მივაკაკუნე. მერე დერეფანში მომავალი სანიტარი დავინახე, ლანგრით საჭმელი მოქონდა ჩემთვის, და მივხვდი – ამჯერად დავამარცხე-მეთქი.

ადრე შოკური თერაპიის მერე ზოგჯერ მთელი ორი კვირა გაბრუებული დავბორიალებდი ხოლმე, იმ დანისლულ, მოჟამულ ბინდში ვცხოვრობდი, რომელიც ყველაზე უფრო ძილის დაკბილულ საზღვარს გავს, ნაცრისფერ წყალგამყოფს სინათლესა და სიბნელეს, ან ძილსა და სიფხიზლეს, ანდა სულაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, როცა იცი, უგონოდ აღარ ვარო, მაგრამ ვერც იმას იტყვი, კვირის რომელი დღეა, ვერც საკუთარ ვინაობას იხსენებ და ვერც იმას ხვდები, საერთოდ რა აზრი ჰქონდა შენს გამობრუნებას... მთელი ორი კვირის განმავლობაში. თუ გამოღვიძების მიზეზი არ არსებობს, გონებადაბინდულმა შეგიძლია დიდხანს იტივტივო ამ ნაცრისფერ უაზრობაში, მაგრამ თუ გამოფხიზლება ძალიან გულით მოინდომე, თურმე ესეც შესაძლებელი ყოფილა. დიდი ძალდატანების ფასად ამჯერად ერთ დღეზე ნაკლები მოვანდომე გამოფხიზლებას. ასე სწრაფად აქამდე არასდროს მომიხერხებია.

როცა თავში ნისლი საბოლოოდ გამეფანტა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დიდხანს ძალიან ღრმად ჩაყვინთული, ას წელიწადს წყალქვეშ ნამყოფი, უცებ ამოვვარდი წყლის ზედაპირზე. ჩემს ცხოვრებაში ეს უკანასკნელი ელექტროშოკი იყო.

მაკმერფის კი იმ კვირაში სამი ჩაუტარეს. როგორც კი ცოტა აზრზე მოვიდოდა და თავისებურად თვალის ეშმაკურ პაჭუნს დაიწყებდა, მთავარი ექთანიც მაშინვე გამოეცხადებოდა ხოლმე ექიმის თანხლებით და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა – მიხვდი

შეცდომას, მზად ხარ, აღიარო და ჩვენს განყოფილებაში მკურნალობის კურსი დაასრულოო? მაკმერფი ყოყლოჩინობდა, იცოდა, რამდენი დასაბმელის თვალი მიჩერებოდა, რამდენი ელოდებოდა იმის პასუხს და მთავარ ექთანს ძველებურად ელაზღანდარავებოდა – რატომ ასი სიცოცხლე არა მაქვს, ასივე სამშობლოს შევწიროო, თქვენ კი ამ ვარდისფერ ტაკუნაზე მაკოცეთ და იქამდე არაფერი გეტკინოთ, სანამ კაპიტანმა ჩასაძირად განწირული გემი მივატოვოო. აბა!

მერე წამოდგებოდა, მოღიმარ აუდიტორიას ერთი-ორჯერ თავს დაუკრავდა და მთავარი ექთანიც, ცხადია, ექიმთან ერთად, მაშინვე სამორიგეოში შედიოდა დასარეკად, მორიგი ელექტროშოკის უფროსობასთან შესათანხმებლად.

ერთხელაც, როცა მთავარმა ექთანმა ისევ სამორიგეოსკენ წასვლა დააპირა, ისეთი უბწკინა უკნიდან მსუქან ადგილზე, ქალს მაკმერფის თმაზე უარესად აუვარვარდა სახე და მე მგონი, ჩასაბჟირებლად გამზადებული ექიმიც იქვე რომ არ მდგარიყო, სერიოზულ სილასაც არ დაინანებდა.

ვცადე დამერწმუნებინა, თამაშში აყევი, აღარ გინდა ამდენი ელექტროშოკი-მეთქი, მაგრამ სიცილადაც არ ეყო და მითხრა – ბებიამაგათმა, ფეხებს ვერ მომჭამენ, მარტო აკუმულატორს მიტენიან უფასოდო. აქედან რომ გავალ, პირველივე ქალი, ვინც ძველ თავწითელა მაკმერფის, ათიათასვატიან ფსიქოპათს, გულში ჩაიხუტებს, სათამაშო ავტომატივით აელვარდება და ვერცხლის დოლარიანებს დაყრის ტრაკიდანო. არა, მაგათი სიაბანდი ელექტრონიკის არ მეშინიაო.

მიმტკიცებდა, ტკივილს საერთოდ არ ვგრძნობო. წამლის დალევაზეც ჯიუტად ამბობდა უარს. თუმცა ყოველთვის, როცა რეპროდუქტორი იმის გვარს აცხადებდა, საუზმისგან თავის შეკავებას ურჩევდა და პირველ კორპუსში წასასვლელად ეპატიჟებოდა, კრიჭა ეკვროდა და თავფეხიანად ფითრდებოდა, გამხდარ სახეზე შიში და უსასოობა ეხატებოდა – როგორც მაშინ, მანქანაში, თევზაობიდან რომ ვბრუნდებოდით.

იმ კვირის ბოლოს დასაბმელებიდან ისევ ჩვენს განყოფილებაში დამაბრუნეს. ბევრის თქმა მინდოდა მაკმერფისთვის, მაგრამ პროცედურიდან ახლად დაბრუნებული ისეთი სახით მიჩერებოდა პინგ-პონგის თამაშს, თითქოს თვალებით ბურთზე გამოაბესო. ერთ-ერთმა ზანგმა და ქერაკულულებიანმა სანიტარმა ქვევით ჩამიყვანეს, განყოფილებაში შემიშვეს და ზურგს უკან კარი ჩამიკეტეს. დასაბმელების მერე აქაურობა საოცრად წყნარი მომეჩვენა. დღის პალატას მივაშურე და, არ ვიცი რატომ, კარებში გავჩერდი. ყველამ მე შემომხედა, ოღონდ სულ სხვანაირად, სხვა გამომეტყველებით, როგორც ადრე არასდროს შემოუხედავთ. სახეები ისეთი ბავშვური სიხარულით გაუბრწყინდათ, თითქოს ცირკის გაკაშკაშებულ არენას უყურებენო. „თქვენ წინაშეა...“ უბერავს ჰარდინგი, „ადამიანი-მთა, ძირძველი ამერიკელი, რომელმაც შავ სანიტარს... ხელი მოტეხა! გთხოვთ, შეეგებოთ, ტაში, ტაში!“ მეც გავიღიმესავით და მივხვდი, ასეთი სახეების შემხედვარე, რას გრძნობდა ხოლმე მაკმერფი ამდენი თვის განმავლობაში.

შემომეხვივნენ და მთხოვდნენ, ყველაფერი დაწვრილებით მოგვიყევი, რაც მოხდაო; მაკმერფი რას შვრება იქო? როგორ იქცევაო? მართალია, რასაც ფიზკულტურის დარბაზში მოვკარით ყური, თითქოს ეშთ-ს ყოველდღე უტარებენ და იმას არაფერი ეტყობაო? მართლა იმაზე ენაძლევება ტექნიკოსებს, დენის ჩართვიდან რამდენ ხანს გაძლებს თვალგახელილიო?

რაც შემეძლო, ყველაფერი ვუამბე; და ჩემი უეცარი ალაპარაკებაც, მგონი, არავის გაკვირვებია – ამდენ ხანს ყველა ყრუმუნჯად მთვლიდა, არადა, მეც სხვებივით ვჭიკჭიკებდი და ნათქვამიც მშვენივრად მესმოდა. ეგ ყველაფერი მართალია-მეთქი, დავუმოწმე და ჩემგანაც დავამატე ერთი-ორი ისტორია. მთავარი ექთნის და მაკმერფის ზოგიერთმა დიალოგმა ისე გაამხიარულა მთელი პალატა, ქრონიკულების მხარეს თავიანთ სველ საბნებში გახვეული ორი ბოსტნეულიც კი აქირქილდა, ვითომ ჩვენც მივხვდით მარილსო.

როცა მეორე დღეს მთავარმა ექთანმაც დააპირა პაციენტ მაკმერფის პრობლემების საჯარო შეკრებაზე განხილვა, როცა გამოგვიცხადა, რაღაც აუხსნელი მიზეზების გამო ეშთ მასზე ვერანაირ ეფექტს ვერ ახდენს და კონტაქტურობის გასაუმჯობესებლად ალბათ კიდევ სხვა, უფრო ქმედითი ზომების მიღება გახდება საჭიროო, ჰარდინგი შეეკამათა და უთხრა – შეიძლება ასეცაა და სავსებით სწორიც ბრძანდებით, მის რეჩედ, მაგრამ მე როგორც გავიგე, თქვენ და მაკმერფის იქ, ზემოთ, ურთიერთობაში უშუალო კონტაქტის პრობლემა არ გაგჩენიათო.

ამ სიტყვებმა ქალს წონასწორობა დააკარგვინა და საერთო ხარხარმაც ისე გაამწარა, თემას აღარ დაბრუნებია.

ხვდებოდა, პაციენტების თვალში სულ უფრო და უფრო როგორ იზრდებოდა ზემოთ გამომწყვდეული მაკმერფი. თვითონ კი იცოდა, რა დღეშიც ყავდა, მაგრამ ბიჭები ამას ვერ ხედავდნენ და მათი გმირიც თანდათან ლეგენდარული შარავანდედით იმოსებოდა. თუ კაცს ვერ ხედავ, ვერც იმის სისუსტეს შეამჩნევო, დაასკვნა და მაკმერფის უკან დასაბრუნებელ გეგმაზე დაიწყო ფიქრი. დავაბრუნებ და მაშინ დარწმუნდებიან, ისიც რომ დანარჩენებივით დაუცველიაო. როცა შოკის მერე გაბრუებულს და მობუზულს დაინახავენ პალატაში, მერეც ილაპარაკონ იმის გმირობაზეო.

ბიჭებმა ეს ჩანაფიქრიც გამოიცნეს, მიხვდნენ, განყოფილებაში დაბრუნებულს საერთოდ აღარ მისცემს გასაქანს და მარტო ჩვენს დასანახად ამოხდის სულს ელექტროშოკითო. ამიტომ ჰარდინგმა, სქანლონმა, ფრედრიქსონმა და მე იმაზე დავიწყეთ ბჭობა, როგორ დაგვერწმუნებინა მაკმერფი – შენთვისაც და ყველასთვისაც საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი საერთოდ გაიპარები საავადმყოფოდანო. შაბათისთვის, როცა განყოფილებაში დააბრუნეს – დღის პალატაში ისე შემოვიდა, როგორც მოკრივე რინგზე, ცეკვა-ცეკვით, მაღლა ხელებაწეული მოგვესალმა, დაგიბრუნდით ჩემპიონიო, მოგვახარა – გეგმა უკვე მზად გვქონდა. დაბნელებას დაველოდებოდით, მერე ლეიბს ცეცხლს წავუკიდებდით და როცა მეხანძრეები მოცვივდებოდნენ, ღია

კარიდან გავაქცევდით. გეგმა ისეთი მომხიბლავი გვეჩვენებოდა, ვერც წარმოგვედგინა, უარი როგორ უნდა ეთქვა.

ოღონდ ის კი დაგვავიწყდა, ზუსტად იმ ღამეს რომ აპირებდა საავადმყოფოში გოგოს შემოპარებას, ბილი და ქენდი უნდა შეეხვედრებინა ერთმანეთისთვის.

განყოფილებაში დაახლოებით დილის ათ საათზე დააბრუნეს. „მაგრა ამაწყეს ბიჭებო ზევით, კაპიტალურად; ელექტროდებიც შემიცვალეს, კარბურატორი გაწმინდეს, დინამო მაქ – ბოლო მოდელი „ფორდი“! დამმუხტეს, იმის დედა ვატირე... სიგარეტის მოკიდება თუ გინდათ ვინმეს, აქა ვარ, არ მოგერიდოთ!“ მთელი განყოფილება დაიარა ქაქან-ქაქანით, უწინდელზე კიდევ უფრო დიდმა, ხმაურიანმა, ექთნების სამორიგეოს კართან ჭუჭყიანი წყლით სავსე ვედრო წააქცია, დაგვაჯულ შავ ბიჭს თეთრ ფეხსაცმელზე ჩუმად კარაქის ნაჭერი დაუგდო და მერე მთელი სადილი იჭაჭებოდა, სანამ ფეხსაცმელი, ჰარდინგის სიტყვებით თუ ვიტყვით, „საეჭვოდ ყვითელ ელფერს იძენდა“... ბევრად დიდმა... პრაქტიკანტ ექთანს გვერდით თუ ჩაუვლიდა ხოლმე, იმას ელეთმელეთი მოსდიოდა, თვალებს ატრიალებდა და მერე თეძოს ფხანით გარბოდა დაფეთებული.

გეგმა გავაცანით და გვითხრა, ნუ ვიჩქარებთო; ბილის პაემანიც გაგვახსენა. „ბილის იმედს ვერ გავუცრუებთ, ეგრე არ არი, ძმებო? მით უმეტეს, როცა უმანკო წარსულთან გამოთხოვება გადაწყვიტა კაცმა. ამალამ უნდა შევუბეროთ, რამე თუ არ შეგვეშალა, მაგარ დროს გავატარებთ. რა იცი, იქნებ ბოლოს ჩემი გამოსათხოვარი ბანკეტიც გამოვიდეს...“

ამ უქმეებზე მთავარმა ექთანმა მუშაობა გადაწყვიტა – უნდოდა მაკმერფის დაბრუნებას დასწრებოდა – და ზოგიერთი საკითხის გასარკვევად ბარემ ერთი კარგი შეკრებაც დაგეგმა. შეკრებაზე ხელახლა წამოიწყო სხვა, უფრო ქმედით ზომებზე საუბარი და ექიმსაც სთხოვა, იქნებ ამ იდეაზე თქვენც გეფიქრათ, „სანამ პაციენტის შველა ჯერ კიდევ შეიძლებაო“. მაკმერფი მოუსვენრად ცქმუტავდა, გაუთავებლად გვიპაჭუნებდა

თვალს, ამთქნარებდა, აბოყინებდა, ფაქტიურად ლაპარაკს არ აცდიდა და ბოლოს საერთოდ ჩააჩუმა კიდეც. მაშინ კი მთლად გააშტერა ექიმიც და დანარჩენებიც, გაიჯგიმა და – ყველა თქვენ სიტყვას თავიდან ბოლომდე ვეთანხმებიო – აჯახა ქალს.

„იცით, ქალბატონი შეიძლება მართალიცაა, დოკ. ნახეთ, რა სიკეთე მიყო რამდენიმე საცოდავმა ვოლტმა. ძაბვას თუ გავაორმაგებთ, იქნებ მარტინივით მეც დამეჭირა მერვე არხი, ჩემ თავს ანტენად მაინც გამოვადგებოდი. გამაშტერა ლოგინში გდებამ და მეოთხე არხის ამბებმა და ამინდმა. მაგას მართლა ჰალუცინაციები ჯობია.“

მთავარმა ექთანმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა, დაკარგული ინიციატივის დაბრუნება სცადა. „მე ელექტროშოკზე აღარ ვლაპარაკობდი, მისტერ მაკმერფი.“

„ვერ მიგიხვდით, პატივცემულო.“

„ოპერაციის შესაძლებლობაზე ვფიქრობდი... ძალიან მარტივი ოპერაციის, დამერწმუნეთ. მით უმეტეს, არაერთი შემთხვევა ვიცით, როცა მტრულად განწყობილ პაციენტებს აგრესიული მიდრეკილებები გაუქრათ...“

„მტრულად? ქალბატონო, მე ლეკვივით მეგობრული და ალერსიანი ვარ. ორ კვირაზე მეტია, არც ერთი სანიტრისთვის ბუზიც არ ამიფრენია. მე პირადად ჭრა-კერვის ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ, თქვენ რას იტყვით?“

ქალმა თავისი ღიმილი აიფარა, თვალნათლივ დაანახვა თანაგრძნობა. „რენდლ, არაფრის მოჭრ...“

„თანაც,“ ერეკებოდა მაკმერფი, „აზრიც არა აქვს. რამდენს მომჭრით? ერთი წყვილი უჯრაშიც მიყრია, საძინებელში.“

„წყვილი?“

„ცალი ბეისბოლის ბურთისოდენაა, დოკ.“

„მისტერ მაკმერფი!“ შუშასავით შეემსხვრა სახეზე ღიმილი, მიხვდა – ახლაც მასხრად მიგდებენო.

„მეორეს არა უშავს, შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.“

სანამ დაძინების დრო არ მოვიდა, არა და არ დაწყნარდა,

სულ ამისთანებს უბერავდა. პალატაში საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა, როგორც სოფლის ბაზრობაზე. ყველანი იმაზე ჩურჩულებდნენ, გოგომ დასალევი თუ მოიტანა, მაგრად უნდა შევუბეროთო. ცდილობდნენ, ბილის მზერა დაეჭირათ, თვალი ჩაეკრათ და ღიმილით გაემხნევებინათ. როცა სავალდებული წამლების მისაღებად ჩაგვამწკრივეს, მაკმერფი პატარა, ხალიან და ჯვარცმიან ექთანს მიადგა და კითხა – ერთი-ორი აბი ვიტამინი შეიძლება გთხოვოო? იმან გაკვირვებულმა მიაშტერა თვალები, უარის მიზეზს ვერ ვხედავო, და რამდენიმე, ჩიტის კვერცხისხელა აბი გამოუტანა. მაკმერფიმ აბები ჯიბეში ჩაიდო.

„დალევას არ აპირებთ?“ კითხა ექთანმა.

„მე? ღმერთმა დამიფაროს. მე ვიტამინები არ მჭირდება. ჩვენი პატარა ბილისთვის დავითხოვე. ბოლო დროს რაღაც სხვანაირად მოჭკნა, არა? ვითომ დაღლილი სისხლის ბრალია?“

„და... აბა, მაშინ რატომ არ აძლევთ?“

„მივცემ, საყვარელო, მივცემ, ოღონდ შუაღამეს დაველოდები – როცა ძალიან-ძალიან დაჭირდება..“ მერე ბილის ავარვარებულ კისერზე ხელი გადახვია და საძინებლისკენ წააჩაქჩაქა.გზად ჰარდინგს თვალი ჩაუკრა, მე კი ფერდში მატაკა ცერი. გაშტერებული ექთანი თვალებგადმოყრილი იდგა და გრაფინიდან ფეხსაცმელებზე ისხამდა წყალს.

რამდენიმე სიტყვა ბილი ბიბიტზეც უნდა გითხრათ: მართალია, სახეზეც ნაოჭები ემჩნეოდა და თმაშიც ჭაღარა გამორეოდა, მაგრამ მაინც პატარა ბიჭს გავდა – ყურპარტყუნას, ჭორფლიანს, ბაჭიასავით კბილებგადმოყრილს, ზუსტად იმათ ასლს, კალენდრებზე რომ მიკუნტრუშებენ ხოლმე ფეხშიშველები და მტვრის ბუქში წნელზე ასხმულ ახლად დაჭერილ ღორჯოებს მიიქნევენ, თუმცა სინამდვილეში სულ არ იყო ასეთი. რომელიმე სხვა პაციენტის გვერდით მდგომს თუ დაინახავდი და სახეზეც დააკვირდებოდი, აუცილებლად გაოცდებოდი – არც სიმაღლით ჩამორჩებოდა ვინმეს, არც პარტყუნა ყურები ჰქონდა, არც ჭორფლი, არც გადმოყრილი კბილები და ასაკითაც უკვე ოცდაათისთვის გადაებიჯებინა.

წლოვანებაზე ლაპარაკი საერთოდ არ უყვარდა და მეც, გამოგიტყდებით, სრულიად შემთხვევით გავიგე ბილის ასაკი, ჩემდა უნებურად მოვკარი ყური ბილის და დედამისის საუბარს. დედამისი ჩვენივე საავადმყოფოს რეგისტრატურაში მსახურობდა, მოსული, ძონძროხი ქალბატონი, რომელსაც რამდენიმე თვეში ერთხელ თმის ფერი ქერადან მოცისფროდ, მერე მოცისფროდან შავად და ბოლოს ისევ ქერად ეცვლებოდა. როგორც ამბობდნენ, თურმე მთავარი ექთნის მეზობლად ცხოვრობდა და მის უგულითადეს მეგობრადაც ითვლებოდა. ყოველთვის, როცა შენობიდან გავყავდით და ვესტიბიული უნდა გაგვევლო, ბილი აუცილებლად უნდა შეჩერებულიყო რეგისტრატურასთან და ავარდისფრებული ლოყა საკოცნელად მიეშვირა დედისთვის. ბილიზე ნაკლებად არც დანარჩენებს გვეხამუშებოდა ეს რიტუალი, ისეთ უხერხულობას განვიცდიდით, ბილისთან გახუმრება აზრადაც არავის მოსდიოდა, მაკმერფისაც კი.

ერთხელაც, შუადღისას, აღარ მახსოვს, რამდენი ხნის წინ, კორპუსიდან უნდა გავეყვანეთ, მაგრამ რატომღაც შევფერხდით და ზოგი ვესტიბიულშივე ჩამოვსხედით განიერ, რბილ დივანებზე, ზოგმაც კორპუსის წინ მდელოზე მოიკალათა და ორი საათის მზეს მიეფიცხა. ერთ-ერთი შავი ბიჭი ტელეფონით თავის ბუკმეკერს ელაპარაკებოდა. ბილის დედამ მომენტით ისარგებლა, სამუშაო ადგილი მიატოვა, ვაჟიშვილს ხელი ჩაკიდა და გარეთ გამოიყვანა – ჩემ შორიახლოს ჩამოსხდნენ ბალახზე. ქალი წელგამართული იჯდა, კაბაზე ერთი ნაკეციც არ ეტყობოდა, მრგვალ, მსუქან ფეხებზე ძეხვის კანისფერი წინდები ეცვა. ბილი წამოწვა და თავი კალთაში ჩაუდო, ქალი ბაბუაწვერას ღეროთი უღიტინებდა ყურში. ბილი ეუბნებოდა, საცოლის ძებნა უნდა დავიწყო და როდისმე ალბათ კოლეჯშიც უნდა შევიდეო. დედა უღიტინებდა და ამ სისულელეებზე ეცინებოდა.

„მაგეებისთვის ჯერ უამრავი დრო გაქვს, საყვარელო. მთელი ცხოვრება წინაა.“

„დედა, მე უკვე ო-ო-ო-ცდა-თერ-თერ–თმეტი წლისა ვარ!“

ქალმა გადაიკისკისა და ბაბუაწვერას ღერო ყურში დაუტრიალა. „საყვარელო, ვგავარ მე შუახნის კაცის დედას?“

ცხვირი აიბზუა, პირი ოდნავ დააღო და ენა გააწკლაპუნა, ვითომ რაღაც ჰაეროვანი კოცნისმაგვარი გაუგზავნა ვაჟიშვილს და მეც იძულებული გავხდი, გულში დავთანხმებოდი – დედას საერთოდ არ გავხარ-მეთქი. ბილის ასაკი კი ვერ დავიჯერე, მანამდე, სანამ მოგვიანებით ახლოს არ მივუცუცქდი და საკუთარი თვალით არ წავიკითხე დაბადების თარიღი იმის სამაჯურზე.

შუაღამისას, როცა გივერი, კიდევ ერთი შავი სანიტარი და ექთანი წავიდნენ და სამორიგეოდ ხნიერი ზანგი, მისტერ თერქლი გამოცხადდა, მაკმერფი და ბილი უკვე ფეხზე იყვნენ, მე მგონი, ვიტამინებს სვამდნენ. მეც ავდექი, ხალათი შემოვიცვი და დღის პალატაში გავედი, სადაც ბიჭები მისტერ თერქლს ელაპარაკებოდნენ. მერე ჰარდინგი, სქანლონი, სეფელტი და კიდევ რამდენიმე პაციენტიც შემოგვიერთდა. გოგო თუ მოვიდა, ასე და ასე უნდა მოვიქცეთო, უხსნიდა მაკმერფი მისტერ თერქლს, უფრო სწორად, ახსენებდა, იმიტომ რომ ყველაფერზე, როგორც ჩანს, ადრევე იყვნენ მოლაპარაკებული, ორი კვირის წინ. მთავარია, გოგო ფანჯრიდან უნდა შემოვიდესო, ვესტიბიულში გავლა რისკია, უფროს ზედამხედველს არ გადაეყაროსო. მერე იზოლატორი უნდა გავაღოთო. შეყვარებული გვრიტებისთვის უკეთესი ბუდე სად გინდა ნახოო? უფრო იზოლირებულად სად იქნებიანო? („ggg-eee-ყო რრა, მაკმერფი“, ბურტყუნებდა ბილი). და შუქი არსად არ უნდა აინთოსო. ზედამხედველმა არ შემოიხედოსო. საძინებლის კარიც მაგრად უნდა დაიკეტოს, ღმერთმა არ ქნას, დორბლიან ქრონიკულებს არ გაეღვიძოთო. რაც მთავარია, არ უნდა ვიხმაუროთ, არავინ არ უნდა შევაწუხოთ, მით უმეტეს, შეყვარებული გვრიტებიო.

„მორჩი რა, მ-მ-მაკ“, ისევ აბურტყუნდა ბილი.

მისტერ თერქლი თავს საეჭვოდ აკანტურებდა, მგონი, ნახევრად უკვე ეძინა, თუმცა, როცა მაკმერფიმ კითხა, ხო შევთანხმდით ყველაფერზეო, უცებ გამოფხიზლდა და – არა, ყველა-

ფერზე არაო – ჩაიფხუკუნა ეშმაკურად; იჯდა თეთრ ქურთუკში გამოწყობილი, ხითხითებდა და მელოტი ყვითელი თავიც ძაფზე გამობმული გასაბერი ბუშტივით ერწეოდა წვრილ კისერზე.

„კარგი ეხლა, თერქლ. უკმაყოფილო არ დარჩები. დარწმუნებული ვარ, ერთ-ორ ბოთლს უეჭველი გამოაყოლებს ხელს.“

„ცოტათი დათბა,“ თქვა მისტერ თერქლმა. თავი გვერდზე უვარდებოდა, ძლივს იმაგრებდა. ძილთან გამკლავებას აშკარად დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებდა. გაგონილი მქონდა, დღისით კიდევ სხვაგანაც მუშაობსო, მგონი, იპოდრომზე. მაკმერფი ბილის მიუბრუნდა.

„თერქლი კონტრაქტის პირობების გადასინჯვას მოითხოვს, ჩემო ბილი. რამდენი გიღირს უმანკოების დაკარგვა, ძმაო?“

სანამ ბილი სიტყვის სათქმელად საკმარის ქანს აიღებდა, მისტერ თერქლმა მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი. „მაგაში არ არი საქმე. ფულში. თქვენ გოგოს ბოთლების გარდა სხვა გემრიელი რამერუმეებიც ხო ექნება? მე რა, მარტო სასმელის წილში ვიყო?“ ახითხითებულმა ყველა სათითაოდ შეგვათვალიერა.

ბილი კინაღამ დაიხრჩო, რაღაცის თქმას ცდილობდა აღშფოთებული, მგონი, ჩემ ქენდიზე როგორ ამბობ მაგასო, წესიერად ვერ გაიგებდი. მაკმერფიმ გვერდზე გაიყვანა და დაამშვიდა, *შენი* გოგოს ხელშეუხებლობაზე არ იდარდო – როცა შენ და ქენდი გულს იჯერებთ, თერქლი ისეთი გაგლეჯილი და დაბურანებული იქნება, სტაფილოს ვერ ჩადებს სარეცხის ქვაბშიო.

გოგომ ამჯერადაც დაიგვიანა. დღის პალატაში ვისხედით, ხალათები გვეცვა და მაკმერფის და მისტერ თერქლის ჯარისკაცობისდროინდელ თავგადასავლებს ვისმენდით. ათას რამეს ყვებოდნენ და თან მისტერ თერქლის სიგარეტს აბოლებდნენ რიგრიგობით. რაღაც უცნაურად ეწეოდნენ, ნაფაზის დარტყმის მერე იმდენ ხანს იჩერებდნენ ბოლს, სანამ თვალები შუბლზე არ აუცვივდებოდათ. ჰარდინგმა იკითხა – რას ეწევით, რა გამაღიზიანებელი სუნი აქვსო, და მისტერ თერქლმაც გაპარული, დაგუდული ხმით უპასუხა – ჩვეულებრივი სიგარეტია და თუ

ძალიან გინდა, შენც დაარტყი ნაფაზიო.

ბილი სულ უფრო და უფრო მეტად ნერვიულობდა, იმისიც ეშინოდა, საერთოდ აღარ მოვაო და იმისიც, რომ მოვიდეს, მერე რა ვქნაო. გვეკითხებოდა, რატომ არ წვებით, რას უზიხართ ამ სიცივეში და სიბნელეში, რას უცდით ნასუფრალის მომლოდინე ძაღლებივითო, ჩვენ კი მხოლოდ ვუღიმოდით პასუხად. დაწოლა არავის გვინდოდა: სრულებით არ ციოდა და სასიამოვნოც კი იყო ბინდბუნდში ასე მშვიდად ჯდომა და მაკმერფის და მისტერ თერქლის ზღაპრების მოსმენა. არავის ეტყობოდა, თუ ეძინებოდა, ან იმაზე თუ წუხდა, უკვე ორს გადაცილდა და გოგო ჯერაც არ გამოჩენილაო. თერქლმა ივარაუდა, შეიძლება იმიტომ იგვიანებს, ამ უკუნეთში ვერ მიხვდა, რომელი განყოფილების ფანჯრებს უნდა მიადგესო, მაკმერფიმაც – ნაღდად ეგაა მიზეზიო და ორივემ ერთად დაიარა მთელი განყოფილება, ყველგან აანთეს შუქი, ის კი არა, საძინებელშიც აპირებდნენ იმ კაშკაშა სინათლეების ანთებას, რითაც გვაღვიძებდნენ ხოლმე, მაგრამ ჰარდინგმა ივაჟკაცა, უთხრა – ეგ ყველას დააფეთებს, სხვებიც გაიღვიძებენ და სიამოვნებას ჩაგვაშხამებენო. ამაში დაეთანხმნენ, სამაგიეროდ ექიმის კაბინეტი გააჩახჩახეს.

დღესავით განათდა თუ არა მთელი განყოფილება, ფანჯარაზეც გაისმა სუსტი კაკუნი. მაკმერფიმ მიირბინა და შუშას ცხვირი მიადო, თან სახეზე აქეთ-იქიდან ხელები აიფარა. მერე მოტრიალდა და შემოგვცინა.

„თვით სილამაზე დადის ღამეში," გამოაცხადა გაბადრულმა, ბილის მაჯაში ჩაავლო ხელი და ფანჯარასთან მიათრია. „გაუღე, თერქლ. მივუშვათ ბუღა."

„მოიცა, მა-მა-მაკ-მმმ-მერფი, მომისმინე," ბილი ჯორივით ჯიუტობდა.

„არა ვარ მე შენი მა-მა-მა-მა, ბილი. და აღარც ქვეშიდან გამოსვლის დროა. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნება. მაიცა, გინდა ხუთ დოლარზე მაზიანი, რო კედლებზე გაიყვან? მოსულა? აჩვენე კლასი! თერქლ, გააღე!"

სიბნელეში ორი გოგო იდგა, ქენდი და ის მეორე, სათევზაოდ რომ ვერ წამოვიდა. „ასაკმა არ შეგაცდინოთ!“ სტუმრებს ჩანგლავდა თერქლი, თან ფანჯარაში გადმოძრომაში ეხმარებოდა. „ჩემი რქაც კი ხნავს.“

მაინც მივედით მისაშველებლად: გადმოძრომა ძალიან გაუჭირდათ, ლამის ჭიპებამდე მოუწიათ ისედაც მოკლე ქვედაკაბების აწევა. „ოხერო მაკმერფი,“ მიესიყვარულა ქენდი და ისეთი გრძნობით შემოხვია კისერზე ხელები, კინაღამ ერთმანეთს შეაფშხვნა ორი ჩაბღუჯული ბოთლი. წონასწორობის შენარჩუნება ცოტა არ იყოს უჭირდა და კინკრიხოზე აკრეფილი თმაც მალ-მალე ეშლებოდა. ჩემი აზრით, ძველი ვარცხნილობა უფრო უხდებოდა – უკან, კეფაზე შეკრული. ბოთლი დაქალისკენ გაიშვირა, უკვე ისიც ფანჯარაში ძვრებოდა.

„სენდიც წამოვიდა. ადგა და მიატოვა თავისი ბივერტონელი მანიაკი ქმარი. დალაგებული ქვია ამას?“

მეორე გოგოც გადმოვიდა სამშვიდობოს, მაკმერფი გადაკოცნა: „გამარჯობა, მაკ. მაშინდელისთვის ბოდიშს გიხდი. ვერ მოვახერხე წამოსვლა, მარა ეხლა თავისუფალი ვარ. ამოვიდა ყელში ამდენი ფოკუზები – ხან თეთრ თაგვს ვპოულობდი ბალიშისპირში, ხან მატლებს კრემის ქილაში და ხან ბაყაყებს ლიფში.“ თავი გადააქნია და ხელი ისე დაინიავა ცხვირწინ, თითქოს ცხოველების მეგობარი ქმარყოფილის ხსოვნა სამუდამოდ გადაშალაო. „სუფთა მანიაკია, შენ თავს გეფიცები.“

ორივეს მოკლე ქვედაკაბები, სვიტერები და ნეილონის წინდები ეცვა, ფეხსაცმელები გაეხადათ; ლოყები აწითლებოდათ და წამდაუწუმ ხითხითებდნენ. „კითხვა-კითხვით მოგაგენით,“ აგვიხსნა ქენდიმ, „ძირითადად ბარებში ვკითხულობდით გზას.“

სენდი ფართოდ თვალებგახელილი ათვალიერებდა ჩვენს სამყოფელს. „ქენდი, დედას გაფიცებ, სადა ვართ? მესიზმრება თუ მართალია, რასაც ვხედავ? ნაღდად საგიჟეთია? დავიშოკე!“ ქენდიზე მაღალიც იყო და მოსულიც, ალბათ ხუთიოდე წლით უფროსიც, გულით ცდილობდა, წაბლისფერი თმა მოდურად, კეფაზე

აწეული დაემაგრებინა , მაგრამ კულულები ადგილზე არ ჩერდებოდნენ და ჯიუტად აქცევდნენ ჩარჩოში იმის ხორციან, ნაპატიებ ლოყებს – გლეხის გოგოს გავდა, მესაქონლეს, თუმცა, ეტყობოდა, ძალიან უნდოდა, გამოსულ ქალბატონად ჩაეთვალათ. მეტისმეტად განიერი მხრები, მკერდი და თეძოები ჰქონდა, ღიმილიც რაღაცნაირად სოფლურად გაბადრული, მოკლედ, ლამაზიაო, ვერ იტყოდი, უფრო სიმპათიური ეთქმოდა, ერთი სანდომიანი, ჯანმრთელი გოგო იყო და თანაც მაჯაზე წითელი ღვინის გალონიანი, მოწნული ბოთლი ერწეოდა, ხელჩანთასავით იქნევდა მუხლებთან.

„მითხარი, ქენდი, შენი ჭირიმე, რანაირად, რანაირად, რანაირად გვემართება სულ ესეთი გიჟური რაღაცეები?“ ერთხელაც დატრიალდა ადგილზე და გაქვავდა, ფეხები განზე გადგა და ახითხითდა.

„ეს რაღაცეები არ გემართებათ,“ უთხრა ჰარდინგმა სერიოზული ხმით. „ეს უბრალოდ თქვენი ღამეული ფანტაზიებია, როცა ძილი არ გეკარებათ ხოლმე და იმაზე ოცნებობთ, რასაც მერე შიშით ფსიქოანალიტიკოსსაც ვერ უმხელთ. თქვენ *სინამდვილეში* აქ არ ხართ. არც ეგ ღვინოა ნამდვილი. საერთოდ *არაფერი ეს* არ არსებობს. ახლა კი, მოდით, მოვცილდეთ ფანჯარას.“

„გამარჯობა, ბილი,“ თქვა ქენდიმ.

„კამფეტივით გოგოა,“ დაასკვნა თერქლმა.

ქენდიმ უხერხულად გაუწოდა ბილის ბოთლი. „საჩუქარი მოგიტანე.“

„რაღაცეებიო!“ შესძახა ჰარდინგმა. „რაღაცეები კი არა, უმანკო ყმაწვილის სიზმარია, ახდენილი.“

„დედიკო, დედა,“ თქვა გოგომ, სენდიმ. „რა დღეში ჩავიგდეთ თავი!“

„ჩჩჩუუუ,“ ჩააჩუმა სქანლონმა და კოპებშეკრულმა მიიხედ-მოიხედა. „ხმამაღლა ლაპარაკობ, ის ქლიავები არ გააღვიძო.“

„რატო, წუწკო?“ სენდიმ ჩაიხითხითა და ერთხელაც დატრიალდა ადგილზე. „გეშინია, რამეში არ ჩაგეზიარონ?“

„უნდა მცოდნოდა, ამ სიაბანდ პორტვეინს რო მოიტანდი, სენდი.“

„დედაა!“ სენდი ტრიალს მოეშვა და მე მომაჩერდა. „ეს ნახე რა, ქენდი! გოლიათი არ არი? ამას თუ მოშივდა, შეგვჭამს...“

„ბებერი ხარის რქაც ხნავს,“ ფარ-ხმალს არ ყრიდა თერქლი, მერე ფანჯარასთან მივიდა და საფუძვლიანად ჩარაზა. სენდიმ – დედიკო, დედაო – გაიმეორა ერთხელ კიდევ. ჯგროდ ვიდექით დღის პალატის შუაგულში, უხერხულად ვიშმუშნებოდით, სისულელეებს ვროშავდით, იმიტომ რომ ვერ ვხვდებოდით, სხვა რა უნდა გვექნა – უჩვეულო სიტუაციაში ამოვყავით უცებ თავი – და არც ვიცი როდის მოთავდებოდა ეს უაზრო ლაპარაკი, უხერხული სიცილ-ფხუკუნი და ერთი ადგილის უსასრულო ტკეპნა, მოულოდნელად განყოფილების კარში გასაღებს რომ არ გაეჟღრიალა და ამ ხმასაც ისე არ დავეფეთებინეთ, თითქოს ელექტროსიგნალიზაცია ჩაირთო კივილითო.

„ღმერთო, შენ მიშველე,“ ამოიხავლა მისტერ თერქლმა და მელოტ კეფაში წაითაქა ხელი. „უფროსი ზედამხედველია, დამერხა მე გამოსირებულს.“

ყველანი ტუალეტში შევცვივდით, შუქი ჩავაქრეთ და სიბნელეში გავისუსეთ ერთმანეთის გულისცემას მიყურადებულები. გვესმოდა, როგორ მიდი-მოდიოდა ზედამხედველი განყოფილებაში, ხმამაღალი, ცოტათი შემკრთალი ჩურჩულით ეძახდა მისტერ თერქლს. ცდილობდა, ხმისთვის არ აეწია და ყოველ დაძახილშიც შიში იგრძნობოდა: „მისტერ თე-ერქლ? მის-ტერ თე-ერქლ!“

„სად ბაბუაჩემთან წაეთრა?“ აჩურჩულდა მაკმერფი. „ხმას რატო არ იღებს?“

„ნუ ნერვიულობ,“ დაამშვიდა სქანლონმა. „ტუალეტში არ შემოვა.“

„კი, მარა პასუხს რატო არ ცემს? მაგრა დაიბოლა ეგ ჩემისა.“

„რას ბლატაობ? მე დავიბოლე? ერთი მასტირკით?“ ჩაბნელებულ ტუალეტში მისტერ თერქლის ხმა სადღაც ძალიან ახლოდან ისმოდა.

„თერქლ, შენ რა, მაშაყირებ, აქ რა გინდა?“ მაკმერფი ცდილობდა, მკაცრად ელაპარაკა, არადა, ეტყობოდა, სიცილს ძლივს იკავებდა. „გადი და გაიგე, რა უნდა. რას იფიქრებს ის ქალი, თუ ვერ გიპოვა?“

„დაგვიდგა ჟამი აღსასრულისა,“ თქვა ჰარდინგმა და იატაკზე ჩაჯდა. „იყავ მოწყალე, დიდო ალაჰო.“

თერქლმა კარი გამოაღო, ჩუმად გაძვრა და ზედამხედველს დერეფანში წამოეწია. ქალს ძალიან აინტერესებდა, რატომ ენთო შუქი ყველგან, რა აუცილებელი იყო განყოფილებაში ყველა ნათურის ანთებაო? ყველასი არაო, ალუღლუღდა თერქლი; საძინებელშიც ჩამქრალია ნათურები და ტუალეტშიცო. ეგ რა დიდი შეღავათიაო, გაიკვირვა ზედამხედველმა; ვერ გავიგე, ამ დროს აქაურობა ასე რას გაგიჩახჩახებიაო. თერქლს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუძნელდა, ხანგრძლივი პაუზის განმავლობაში გავიგონე, ჩემ შორიახლოს, სიბნელეში, როგორ გადადიოდა ბოთლი ხელიდან ხელში. ქალმა კითხვა გაუმეორა და თერქლმაც ამოღერღა, ვალაგებდი რა, რაღაც-რაღაცეები გასაპრიალებელი მქონდა და სიბნელეში არ ჩანდაო. აბა მაშინ ტუალეტი, ის ადგილი, რომლის დასუფთავებაცაა შენი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა, რატომღაა ასე ჩასკვარამებულიო? თერქლის დამაჯერებელი პასუხის მოლოდინში ბოთლმა ერთხელაც ჩამოიარა. ჩემი რიგიც მოვიდა და მეც მოვიყუდე. ვგრძნობდი, მჭირდებოდა. ტუალეტშიც გარკვევით ისმოდა, როგორ ყლაპავდა თერქლი ნერწყვს დერეფანში, თან ზმუილ-ბლუყუნით ვითომ პასუხის გაცემასაც ცდილობდა.

„ჭკუაზე აღარ არი,“ ჩაისისინა მაკმერფიმ. „ვინმე უნდა გავიდეს და მიეხმაროს.“

გვერდით უნიტაზში ჩაშვებული წყლის ხმა გავიგონე, კარი გაიღო და დერეფნიდან შემომავალ შუქში დავინახე, როგორ უახლოვდებოდა ზედამხედველს ჰარდინგი პიჟამის შარვლის სწორებ-სწორებით. ჰარდინგის დანახვაზე გულგახეთქილმა ზედამხედველმა წამოიკივლა, იმანაც მოუბოდიშა, ძალიან ბნელა და ვერ დაგინახეთო.

„რანაირად ბნელა, ყველა ნათურა ანთია?“

„ტუალეტს ვგულისხმობდი, ქალბატონო. ყოველთვის ვაქრობ ხოლმე შუქს, შარდის შეკავების მეშინია. სარკეები... ხომ გესმით? შუქი თუ ანთია, ასე მგონია, სარკეები ნაფიცი მსაჯულებივით მჭამენ თვალებით და თუ ვერ ვივარგე, უმკაცრეს განაჩენს გამომიტანენ.“

„კი, მაგრამ, სანიტარმა თერქლმა მითხრა, იქ ვალაგებდიო და...“

„ალაგებდა და, მერწმუნეთ, სამაგალითოდაც. თან მუშაობის პირობებსაც თუ გავითვალისწინებთ, ფაქტიურად გუმანის წყალობით ართმევდა საქმეს თავს იმ უკუნეთში. გნებავთ, ნაშრომი შეუმოწმოთ?“

ჰარდინგმა ტუალეტის კარი შემოაღო, კაფელის იატაკზე სინათლის ვიწრო ზოლი გაიწვართა. თვალი მოვკარი, როგორ წავიდა უკან-უკან ზედამხედველი, ამჯერად მაგისთვის ვერ მოვიცლი, შემოვლა უნდა გავაგრძელოო, – უთხრა ჰარდინგს. დერეფნის ბოლოში მძიმე კარი ერთხელაც გაიღო და ზედამხედველი განყოფილებიდან გავიდა. არ დაგვივიწყოთო, მიაძახა ჰარდინგმა და მერე ჩვენც დერეფანში გავცვივდით, ყველანი მხურვალედ ვართმევდით ხელს, მხრებზეც ვუტყაპუნებდით და ბრწყინვალე გამარჯვებას ვულოცავდით.

დერეფანში ვიდექით, ბოთლი ერთხელაც ჩამოვატარეთ. სეფელტმა თქვა, გასაზავებელი რომ იყოს რამე, არაყსაც დავარტყამდი სიამოვნებითო. თერქლს კითხა, ვერაფერს ვიპოვით განყოფილებაში არყის გასაზავებლადო, და იმანაც ცივი უარი სტკიცა, წყლის მეტს ვერაფერსო. ფრედრიქსონს უცებ ხველის მიქსტურა გაახსენდა: „ხანდახან მასმევენ ხოლმე, ნახევარგალონიანი ბოთლით უდგათ აფთიაქში. გემოს არა უშავს. აფთიაქის გასაღები არა გაქვს, თერქლ?“

თერქლმა, აფთიაქის გასაღები ღამღამობით უფროს ზედამხედველს აბარიაო, და მაკმერფისაც კარგა ხანს მოუხდა იმის დაყოლიება, სანამ კლიტის წვალების ნებას მოგვცემდა. თერ-

ქლი გაუჩერებლად ხითხითებდა და ზარმაცად აქნევდა თავს. ის და მაკმერფი ქაღალდების სამაგრით ცდილობდნენ აფთიაქის კარის საკეტის გაღებას, ჩვენ კი, გოგოები და დანარჩენები, ამასობაში ექთნების სამორიგეოში შევედით, საქაღალდეები გადმოვალაგეთ და პირადი საქმეების კითხვა დავიწყეთ.

„ეს ნახეთ," სქანლონი საქაღალდეს აქნევდა ჰაერში. „მთელი ჩემი ცხოვრების სრული ისტორია. პირველი კლასის ნიშნების ფურცელიც უპოვიათ. სირცხვილო, რა ცუდი მოწაფე ვყოფილვარ."

ბილი და ქენდი ბილის ისტორიას ეცნობოდნენ. გოგომ ნაბიჯი უკან გადადგა და კავალერი თავფეხიანად შეათვალიერა. „ეს სულ შენა ხარ, ბილი? ამდენი ფრენიები და პათიები სულ შენია? შესახედავად არ გეტყობა."

მეორე გოგომ კარადის ქვედა უჯრა გამოაღო და დაეჭვებულმა იკითხა, გამაგებინეთ, რაში ჭირდებათ თქვენს ექთნებს ამდენი სათბურა, სათვალავი ამერიაო. ჰარდინგი კი მთავარი ექთნის მაგიდაზე ჩამომჯდარიყო და თავის კანტურით შემოგვცქეროდა.

მაკმერფიმ და თერქლმა აფთიაქის კარი გააღეს და მაცივარში ბლანტი, ალუბლისფერი სითხით სავსე მოზრდილ ბოთლსაც მიაგნეს. მაკმერფიმ ბოთლს სინათლეზე გახედა და ხმამაღლა წაგვიკითხა წამლის შემადგენლობა.

„არომატული ესენცია, საღებავი კვების მრეწველობაში გამოსაყენებლად, ლიმონის მჟავა. სამოცდაათი პროცენტი ინერტული ნივთიერებები – ეგ, ეტყობა, წყალია, – ოცი პროცენტი ალკოჰოლი – გაასწორა! – და ათი პროცენტი კოდეინი. ფრთხილად, ნარკოტიკმა მიჩვევა იცის." ბოთლს თავსახური მოხსნა და თვალდახუჭულმა მოიყუდა დასაჭაშნიკებლად. ტუჩები ენით მოიტლიკა და მეორე ყლუპიც გადაკრა, ისევ დახედა ეტიკეტს. „კარგი," თქვა და კბილები ისე ააწკაპუნა, თითქოს ესწუთია გაულესესო. „ძააალიან ცოტას თუ გავურევთ არაყში, მე მგონი, ივარგებს. თერქლ, ყინულის საქმე როგორ გვაქ, ძველო ძმაო?"

ქაღალდის სამედიცინო ჭიქებში არაყი და პორტვეინი ჩამოვასხით და მიქსტურაც გავურიეთ, თავიდან საბავშვო სასმელის გემო ჰქონდა, ოღონდ გაჭრა – მტერს და ავს! კაქტუსის არაყი გამახსენა, დალეზში რომ ვყიდულობდით ხოლმე, დასალევად სასიამოვნოც იყო, გრილად და რბილად მისრიალებდა ყელში, მაგრამ კუჭში ცეცხლი ეკიდებოდა. დღის პალატაში შუქი ჩავაქრეთ, ვისხედით სიბნელეში და „კოქტეილს“ ვწრუპავდით. პირველი ორ-ორი ჭიქა მართლა წამალივით დავლიეთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, მდუმარედ, სერიოზული სახეებით ვაკვირდებოდით ერთმანეთს რეაქციის მოლოდინში – გაფშეკს ვინმე ფეხებს თუ არაო. მაკმერფი და თერქლი დროდადრო ისევ თერქლის სიგარეტზე გადაერთვებოდნენ ხოლმე და მერე ისევ მსმელებს გვიერთდებოდნენ. მალე ორივე უწინდებურად ახითხითდა და იმის გარკვევა დაიწყეს, ხალიან ექთანს თორმეტ საათზე მორიგეობა რომ არ მოეთავებინა და ჩვენთან დარჩენილიყო, როგორი დასადები იქნებოდაო.

„მე ნაღდად გული გამისკდებოდა,“ თქვა თერქლმა, „უეჭველი იმ სქელ ჯაჭვზე ჩამოკიდებული ჯვრით გამიხეთქავდა თავს. არ ვიქნებოდი ცოდო?“

„მაგის არა და, მე იცი, რისი მეშინია,“ ფხუკუნებდა მაკმერფი, „ჩემ სიამაყეს გამოვამზეურებდი თუ არა, ეგრევე ზურგიდან დამითრევდა, თერმომეტრს მატაკებდა და სიცხეს გამიზომავდა.“

ყველას გულიანად გაეცინა. ყველაზე მალე ჰარდინგმა იჯერა სიცილით გული და ისიც დიალოგში ჩაერია.

„უარესს გეტყვი,“ უთხრა მაკმერფის, „წაგიწვებოდა, ამოგხედავდა თავისებურად ძალიან-ძალიან საქმიანი სახით და... უი, არ შემიძლია!.. ზუსტად გეტყოდა, წუთში რამდენჯერ გიცემდა გული.“

„კაი, გეყოთ... გაჩერდით...“

„უფრო მაგარი: გაგიყუჩდებოდა მკლავებში და ერთდროულად გაგიზომავდა სიცხესაც და პულსსაც – უინსტრუმენტებოდ!“

„მორჩით, დავიხრჩვი... გადამცდა...“

ახარხარებულები ვგორაობდით დივანზე და სავარძლებში, სული გვეხუთებოდა და თვალებიდან ცრემლი გვდიოდა. სიცილმა გოგოებიც ისე გაასავათა, სანამ ფეხზე წამოდგომას მოახერხებდნენ, სამჯერ თუ ოთხჯერ დაენარცხნენ სავარძლებზე. „უნდა გავიდე... თორე შევრცხვები,“ შემოგვცინა სენდიმ და ტუალეტისკენ წაცუნცულდა, მაგრამ კარი შეეშალა და პირდაპირ საძინებელში ამოყო თავი. ყველა გავიტრუნეთ, ტუჩებზე თითებს ვიდებდით და ერთმანეთს ვაჩუმებდით, ცოტა ხანში ჯერ გოგოს წივილი გავიგონეთ, მერე კი პოლკოვნიკ მეთერსონის ღრიალი: „ბალიში... ცხენია!“ – თავისი ბორბლებიანი სავარძლით მოსდევდა დაფეთებულ სენდის.

სეფელტმა პოლკოვნიკი უკანვე შეაგორა და პირადად მიაცილა გოგო ტუალეტამდე. მართალია, ამ ტუალეტით ძირითადად მამაკაცები სარგებლობენო, – უთხრა, – მაგრამ კართან დავდგები, ცოცხალი თავით არავის შემოვუშვებ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავიცავ თქვენს სიმყუდროვესო. სენდიმ მოკრძალებული მადლობა გადაუხადა, ხელი ჩამოართვა და ბოლოს მხედრულადაც მიესალმნენ ერთმანეთს. მიეფარა თუ არა გოგო თვალს, პოლკოვნიკი ისევ გამოგორდა საძინებლიდან და სეფელტსაც მართლა სერიოზული ჯაფა დაადგა ტუალეტის კარზე ბორბლებიანი სავარძლით მიტანილი იერიშის მოსაგერიებლად. სენდიმ საქმე რომ მოითავა და ისევ გამოჩდა კარში, სეფელტი სავარძლის ჯიუტ შემოტევებთან უკვე წიხლებით ცდილობდა გამკლავებას, ჩვენც ბრძოლის ველის ირგვლივ ვიდექით და ყიჟინით ვამხნევებდით ხან ერთსა და ხან მეორეს. გოგო სეფელტს პოლკოვნიკის ლოგინში ჩაწვენაში მიეხმარა, მერე დერეფანში გამოვიდნენ და ვალსის ცეკვა დაიწყეს იმ მუსიკის ხმაზე, რომელიც არავის ესმოდა.

ჰარდინგი სვამდა, სცენას მდუმარედ აკვირდებოდა და თავს აქნევდა. „არა, სინამდვილეში არაფერი ეს არ ხდება. ეს კაფკას, მარკ ტვენისა და მარტინის ფანტაზიების ერთობლივი ნაყოფია.“

მაკმერფი და თერქლი აფორიაქდნენ, მაინც ბევრი შუქი ანთიაო და დერეფანში ყველა სინათლე ჩააქრეს, კედლებზე პატარა ღამის ნათურების ჩათვლით, მთლად ჩააბნელეს იქაურობა. თერქლმა ჯიბის ფარნები მოიტანა, მერე ბნელ დერეფანში უქმად მდგომი ბორბლებიანი სავარძლებით რალი გავმართეთ და ძალიანაც ვიმხიარულეთ. მხიარულება სეფელტის კრუნჩხვის მაუწყებელმა ღრიალმა შეგვაწყვეტინა, ამ ხმისკენ გავცვივდით და სეფელტი უკვე იატაკზე გართხმული დაგვხვდა, სენდიც იქვე იყო – გვერდით ეჯდა, ქვედაკაბას იფერთხავდა და სეფელტს ვერ აშორებდა თვალს. „ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მომსვლია," ამოილუღლუღა მოკრძალებული შიშით გაოგნებულმა.

ფრედრიქსონმა მეგობართან ჩაიმუხლა და კბილებში საფულე ჩაუდო – ენა არ მოიკვნიტოსო; მერე შარვლის ღილებიც შეუკრა. „როგორა ხარ, სეფ? ჰა, სეფ?"

სეფელტს თვალები არ გაუხელია, მაგრამ დასუსტებული ხელის აწევა მოახერხა და საფულე პირიდან გამოიღო. გადმოაფურთხა და გაღიმება სცადა. „არა მიშავს," თქვა ჩუმად. „წამალი მომეცით და სენდისთან მიმიშვით."

„მართლა გინდა წამალი, სეფ?"

„წამალი მომიტანეთ."

„წამალი," მხარზემოდან გამოგვძახა ჯერაც ჩაჩოქილმა ფრედრიქსონმა. „წამალი," გაიმეორა ჰარდინგმაც და აფთიაქისკენ წაფრატუნდა, გზას ჯიბის ფარნით ინათებდა. სენდიმ შუშადქცეული თვალები გააყოლა. სეფელტის გვერდით იჯდა და გაოგნებული თავზე უსვამდა ხელს.

„იქნებ ჩემთვისაც გამოაყოლო რამე ხელს," მთვრალი ხმით გასძახა ჰარდინგს. „ამის *მსგავსიც* კი არ მომსვლია ცხოვრებაში არაფერი."

დერეფნის ბოლოს შუშის მსხვრევის ხმა გაისმა და ცოტა ხანში ჰარდინგიც გამოგვეცხადა, ორივე პეშვი აბებით გაევსო; ისე დააყარა თავზე გოგოს და სეფელტს, თითქოს ახლად ამოვსებულ სამარეს მიწა მოაბნიაო. თვალები ჭერში აღაპყრო.

„დიდო ღმერთო მოწყალეო, ჩაიკარი გულში ეს ორი საბრალო ცოდვილი. და ჩვენთვისაც, ამათ კვალად მომავალთათვისაც, გამოღებული დატოვე კარი, რამეთუ მოწმე ხარ დასასრულისა – სრული, უსაშველო და ფანტასტიკური აღსასრულისა. როგორც იქნა, მივხვდი, რაც ხდება. ეს ჩვენი უკანასკნელი გაბრძოლებაა. განწირულები ვართ აწ და მარადის. ახლა მთელი სიმამაცე ოფლიან მჯიღში უნდა მოვიკრიბოთ და ვაჟკაცურად გავუსწოროთ თვალი საკუთარ გარდაუვალ დაღუპვას. გამთენიისას ყველას დაგვხვრეტენ. თითოეულს ას-ას კუბს შეგვიშხაპუნებენ. მის რეჩედი კედელთან გაგვამწკრივებს და ჩვენც მილთაუნებით! თორაზინებით! ლიბრიუმებით! სტელაზინებით! დატენილ შავ ლულებს ჩავხედავთ თვალებში. ხმალს აიქნევს და *ბაბახ!* სამარადისო არყოფნისთვის დაგვატრანკვილიზებს.“

კედელს მიეხალა და იატაკზე ჩაცურდა, აბები დაუცვივდა და იმათაც წითელი, მწვანე და ყვითელი რწყილებივით დაიწყეს აქეთ-იქით ხტუნვა. „ამინ,“ თქვა ჰარდინგმა და თვალები დახუჭა.

იატაკზე მჯდომმა გოგომ ქვედაკაბა გრძელ, ჯიშიან, ღონიერ ფეხებზე ჩამოიქაჩა, ჯერაც სევდიანად მოღიმარ, აცახცახებულ სეფელტს გახედა და – *სანახევროდ* ამის მსგავსიც არაფერი ყოფილა ჩემ ცხოვრებაშიო – თქვა.

ჰარდინგის სიტყვამ მთლად თუ ვერ გამოგვაფხიზლა, საკუთარი საქციელის სერიოზულობაზე მაინც დაგვაფიქრა. ღამე ილეოდა და დრო იყო, გაგვხსენებოდა, დილით სამსახურში პერსონალი გამოცხადდება მთელი შემადგენლობითო. ბილიმ და ქენდიმ თქვეს, უკვე ხუთი საათი დაიწყო და თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, იქნებ მისტერ თერქლმა იზოლატორი გაგვიღოსო. იზოლატორისკენ ჯიბის ფარნების სხივების თაღქვეშ მიაბიჯებდნენ ნეფე-პატარძალივით... მერე დანარჩენები ისევ დღის პალატისკენ გამოვბრუნდით, გვინდოდა, რამე გადაგვეწყვიტა განყოფილების მილაგებასთან დაკავშირებით. ამასობაში თერქლი მთლად წავიდა ხელიდან და იძულებული გავხდით

ბორბლებიან სავარძელში მისვენებული წამოგვებრძანებინა.

თერქლს მივაგორებდით და უცებ გაოცებულმა გავიფიქრე, მართლა კაი მაგარი, სერიოზული მთვრალი ვარ-მეთქი: გადასარევ გუნებაზე ვიყავი, სულელივით ვიკრიჭებოდი და ჯარის მერე პირველად მერეოდა სიმთვრალისგან ფეხი, თანაც სად, მაგასაც ხომ ჰქონდა მნიშვნელობა? მთავარი ექთნის განყოფილებაში გამოვთვერი ათიოდე ამხანაგთან და ორ გოგოსთან ერთად! კომბინატის უმთავრესი და უმტკიცესი ციტადელის შუაგულში ვსვამდი, ვხარხარებდი, ყირაზე გადავდიოდი და გოგოებში ვგრიალებდი! იმღამინდელ ამბებს დაწვრილებით ვიხსენებდი, ყველა ჩვენს ცელქობას და მომხდარის დაჯერება ძალიან მიჭირდა. რაც ხდება, *მართლა* ხდება – ვუმტკიცებდი, ჩავჩიჩინებდი საკუთარ თავს – და თანაც ჩვენივე ნება-სურვილით-მეთქი. უბრალოდ, ფანჯარა გავაღეთ და ეს ყველაფერი სუფთა ჰაერივით შემოვუშვით შიგნით. იქნებ კომბინატიც არ იყო ყოვლისშემძლე? ახლა, როცა დავრწმუნდით, შეგვძლებიაო, გამეორებაში რაღა შეგვიშლიდა ხელს? ანდა სხვა სურვილების განხორციელებაში? ამ ფიქრებმა ისეთ კარგ ხასიათზე დამაყენა, ერთი ხმამაღლა შევყვირე, ჩემ წინ მიმავალ მაკმერფის და სენდის წამოვეწიე, თითო-თითო ხელით ორივე ავიტაცე და სანამ ისინი ბავშვებივით ჭყლოპინებდნენ და ფეხებს იქნევდნენ, სირბილით ჩავათავე დერეფანი დღის პალატამდე. აი, ეგეთ გუნებაზე ვიყავი.

პოლკოვნიკი მეთერსონი ისევ ადგა, თვალებგაბრწყინებული, ჩვენთვის ასახსნელი ახალ-ახალი გაკვეთილებით აღგზნებული წამოგვადგა თავზე და ამჯერად უკვე სქანლონს მოუწია საწოლამდე იმის მიცილება. სეფელტმა, მარტინიმ და ფრედრიქსონმა გამოგვიცხადეს, ჯობია, ჩვენც მოვატყუებთ თვალსო. ხველის მიქსტურას მაკმერფიმ, მე, ჰარდინგმა, გოგომ და მისტერ თერქლმა გამოვუყვანეთ წირვა, თან იმაზე ვბჭობდით, ყირაზე დამდგარ განყოფილებას რა მოვუხერხოთო. ეს ამბავი, ეტყობა, ყველაზე მეტად მე და ჰარდინგს გვაწუხებდა; მაკმერ-

ფის და სენდის შეშფოთება არ ეტყობოდათ, გაბადრულები ისხდნენ, მიქსტურას წრუპავდნენ და ბინდბუნდში ერთმანეთს ხელებს უცაცუნებდნენ. თერქლი სათვალავში აღარ ითვლებოდა, თვალები ებლიტებოდა და ყოველწუთას თავი უვარდებოდა. ჰარდინგი დიდი მონდომებით ცდილობდა პრობლემის მნიშვნელობის ახსნას.

„ვერც ერთი ვერ ხვდებით სიტუაციის დრამატულობას“, ცხარობდა მაკმერფის გულგრილობით აღშფოთებული.

„მკიდია,“ ყოყლოჩინობდა მაკმერფი.

ჰარდინგმა მაგიდას დაკრა ხელი. „მაკმერფი, თერქლ, თქვენ არ გესმით, რა მოხდა დღეს აქ – სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში. მის რეჩედის განყოფილებაში! შედეგები... მომაკვდინებელი იქნება!“

მაკმერფიმ ყურის ბიბილოზე უკბინა გოგოს, თერქლმა თავი დააქნია, ცალი თვალი გაახილა და – ხო, ხვალ რეჩედიც მუშაობსო – თქვა.

„მოკლედ, გეგმა მაქვს,“ არ ცხრებოდა ჰარდინგი. ფეხზე წამოდგა. შენო, უთხრა მაკმერფის, ისეთ დღეში ხარ, სიტუაციას ველარ მართავ და ამიტომ ვინმე სხვამ უნდა აიღოს ხელში სადავეებიო. სანამ ლაპარაკობდა, სულ უფრო და უფრო იშლებოდა მხრებში და აშკარად ფხიზლდებოდა კიდეც. გულწრფელი, დამაჯერებლი ხმა ჰქონდა და ნათქვამსაც ხელებით ასურათხატებდა. მიხაროდა, კარგია, ინიციატივა რომ გამოიჩინა-მეთქი.

გეგმის მიხედვით, თერქლი უნდა გაგვეკოჭა, საქმე ისე უნდა წარმოგვეჩინა, ვითომ მაკმერფი უკნიდან მიეპარა, ხელფეხი, ვთქვათ, ზეწრებით შეუკრა, გასაღებები წაართვა, აფთიაქი გააღო, წამლები მიფანტ-მოფანტა და საქაღალდეებსაც დაერია მარტო მთავარი ექთნის გულის გასახეთქად, – ამას აუცილებლად დაიჯერებსო, გვიმტკიცებდა ჰარდინგი, – მერე გასაღები გისოსებიან ფანჯარასაც მოარგო და გაიქცა.

მაკმერფიმ თქვა, ეგ გეგმა ტელესერიალის სიუჟეტს გავს, იმდენად უაზროა, აუცილებლად იმუშავებსო და ჰარდინგის ნა-

თელი გონების სადღეგრძელო შესვა. გეგმას სხვა ღირსებებიც აქვსო, მთლად გაიბღინძა ჰარდინგი: მთავარი ექთანი დანარჩენ პაციენტებს აღარ დაერევა, თერქლს არ მოხსნიან, მაკმერფი კი აქაურობას თავს დააღწევსო. გოგოებს სთხოვ და, შენი ნება არ არის, გინდა კანადაში წაგიყვანენ, გინდა ტიხუანაში და გინდა სულაც ნევადაშიო; თან არაფერიც არ გემუქრება, პოლიცია დიდი თავგამოდებით არასდროს ეძებს საავადმყოფოდან გაქცეულ პაციენტებს, იმიტომ რომ იმათი ოთხმოცდაათი პროცენტი რამდენიმე დღეში ყოველთვის თვითონვე ბრუნდება უკან, ჯიბეგაფხეკილი, მთვრალი, უფასო ლოგინს და საჭმელს მონატრებულიო. საკმაო ხანს ვისაუბრეთ ამ თემაზე და მიქსტურაც ბოლო წვეთამდე გამოვწრუპეთ. ბოლოს ყველანი გავჩუმდით. ჰარდინგიც ისევ დაჯდა.

მაკმერფიმ გოგოს გადახვეული ხელი მოაშორა და იმ უცნაური, დაღლილი, ფიქრიანი სახით ჯერ მე შემომხედა, მერე ჰარდინგს. თქვენ რას იზამთო, გვკითხა, არ გინდათ, მოხიკეთ ბარგი-ბარხანა და ერთად გავიქცეთ აქედანო?

„მე ბოლომდე არა ვარ მზად, მაკ," უთხრა ჰარდინგმა.

„შენ რა, გგონია, მე მზათა ვარ?"

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ჰარდინგმა მაკმერფის შეხედა, კარგა ხანს უყურა, მერე გაიღიმა. „მაგ მზადყოფნას არ ვგულისხმობ. რამდენიმე კვირაც მჭირდება. ჩემი ნებით უნდა მოხდეს ყველაფერი, გესმის, ჩემი სურვილით. მთავარი კარიდან უნდა გავიდე, ზარ-ზეიმით, ყველა ფორმალობის დაცვით... მინდა, კართან ცოლი მელოდებოდეს მანქანით, ზუსტად დანიშნულ დროს მომაკითხოს წასაყვანად. მინდა, ყველას დავუმტკიცო, *შეძლებია* ამ ნაბიჯის გადადგმაო."

მაკმერფიმ თავი დაუქნია. „შენა, ბელადო?"

„მე რა, მე ჯანმრთელი ვარ. უბრალოდ, ჯერ არ ვიცი, სად მინდა წასვლა. თანაც, შენი გაქცევის მერე რამდენიმე კვირა აქაურობასაც უნდა მიხედოს ვინმემ, ძველ ცხოვრებას ხომ არ დავუბრუნდებით?!"

„ბილი, სეფელტი, ფრედრიქსონი, დანარჩენები?“

„ცხადია, იმათ მაგივრად ვერ ვილაპარაკებ,“ თქვა ჰარდინგმა, „იმათ ჯერ კიდევ თავ-თავიანთი პრობლემები აქვთ, როგორც ყველას. ბევრი თვალსაზრისით, ჯერ ისევ ავად არიან, ოღონდ, რა არის, იცი, უკვე ავადმყოფ *ადამიანებად* თვლიან თავს, ბაჭიებად კი არა, ადამიანებად! და ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს იქნებ ჯანმრთელ ადამიანებადაც იქცნენ, მაკ. მე, პირადად, არც მაგას გამოვრიცხავ.“

ჰარდინგის სიტყვებმა მაკმერფი კიდევ უფრო ჩააფიქრა, თავჩაქინდრული საკუთარ ხელებს დასცქეროდა. მერე ისევ ჰარდინგს შეხედა სახეში.

„რა ხდება ეს, ჰარდინგ? რატომ ხდება?“

„ამ ყველაფერს გულისხმობ?“

მაკმერფიმ თავი დაუქნია.

ჰარდინგმა მხრები აიჩეჩა. „არა მგონია, მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა შემეძლოს. არა, ღრმად ინტელექტუალური ფროიდისტული ტერმინოლოგიით უამრავ მიზეზს ჩამოგითვლიდი და გარკვეული თვალსაზრისით სწორსაც გეტყოდი, ოღონდ შენ მიზეზთა მიზეზების გაგება გინდა, რაც არც მე ვიცი. ყოველ შემთხვევაში, სხვებთან დაკავშირებით მაინც. პირადად ჩემი მიზეზები გაინტერესებს? დანაშაულის განცდა. სირცხვილი. შიში. საკუთარი თავის დაკნინება. ადრეულ ასაკში აღმოვაჩინე, რომ... ძალიან მკაცრად თუ არ ვიტყვით, სხვანაირი ვიყავი. ეს უკეთესი, უფრო ზოგადი სიტყვაა იმ მეორესთან შედარებით. მოკლედ, გარკვეულ მიდრეკილებას ვამჟღავნებდი, რასაც ჩვენი საზოგადოება სამარცხვინოდ მიიჩნევს. და ავად გავხდი. მიდრეკილებების გამო არა, არა მგონია. იმ განცდამ დამაავადმყოფა, რომ საზოგადოების დიდი, ვეებერთელა, მკაცრად გახევებული საჩვენებელი თითი მუდმივად ჩემკენ იყო მოშვერილი და მილიონხმიანი ქოროც – სირცხვილი. სირცხვილი. სირცხვილიო – გუგუნებდა გაუთავებლად. ეტყობა, საერთოდ ესაა სხვანაირებთან საზოგადოების ურთიერთობის ფორმა.“

„მეც სხვანაირი ვარ,“ თქვა მაკმერფიმ. „მე რატო არ მომივიდა რამე ეგეთი? რაც თავი მახსოვს, სულ ვიღაცა მეტაკებოდა, ხან რაზე, ხან რაზე. ოღონდ მაგიტომ არ... ოღონდ მაგას არ გავუგიჟებივარ.“

„ხო, სწორი ხარ. შენ მაგას არ გაუგიჟებიხარ. არც მიფიქრია, პირადად ჩემი მიზეზი ერთადერთად ჩამეთვალა. მართალია, ადრე, წლების წინ, როცა წვრილკისერა ჭაბუკი ვიყავი, ეჭვიც არ მეპარებოდა, ერთადერთი, რაც სიგიჟისკენ გიბიძგებს კაცს, საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი დაუნდობლობაა-მეთქი, მაგრამ შენ ჩემი თეორია გადამასინჯვინე. ეტყობა, ადამიანებს, ძლიერ ადამიანებს, შენნაირებს, ჩემო მეგობარო, სიგიჟისკენ კიდევ რაღაც სხვაც უბიძგებს.“

„ხოო? იცოდე, სიგიჟის გზაზე ვდგავარ-მეთქი, მაგას არ ვაღიარებ, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ის „რაღაც სხვა“ რა უნდა იყოს?“

„ჩვენ“, ჰარდინგის ხელმა ჰაერში რბილი თეთრი წრე შემოხაზა, „ყველა.“

„სისულელეა“, არცთუ მთლად გულწრფელად შეეკამათა მაკმერფი, ჩაიღიმა, წამოდგა და გოგოც წამოაყენა. ბინდში ჩამალულ კედლის საათს ახედა. „თითქმის ხუთია. გრანდიოზულ გაქცევამდე ცოტა თვალი უნდა მოვატყუო. დილის ცვლა კიდე ორ საათს არ მოვა; ბილის და ქენდის ჯერ ნუ დავაფრთხობთ. ექვსზე ავდგები. სენდი, უტკბილესო, საძინებელში გატარებული ერთი საათი გამოგვაფხიზლებს, არა? რას იტყვი? ხვალე გრძელი გზა გველოდება, სულერთია, კანადისკენ დავუბერავთ, მექსიკისკენ თუ სადმე სხვაგან.“

თერქლიც, ჰარდინგიც და მეც წამოვდექით. ფეხზე დგომა ჯერ ისევ ყველას გვიჭირდა, ჯერაც მაგარი მთვრალები ვიყავით, თუმცა სიმთვრალე მაინც გაგვინელა მსუბუქმა სევდამ. თერქლმა მაკმერფის უთხრა, შენ და გოგოს ერთ საათში გაგაღვიძებთო.

„მეც გამაღვიძეთ,“ ითხოვა ჰარდინგმა. „როცა გაიქცევი, მინ-

და, ფანჯარასთან ვიდგე, ხელში ვერცხლის ტყვია მეჭიროს და ვიკითხო – „ის ნიღბიანი ვინ მიაგელვებს ცხენს ასე მარდად“-მეთქი.“

„არ გინდა შენებური ფოკუზები. ჯობია, გამოიძინოთ, ძმებო, და საერთოდ, აღარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა. გაიგეთ?“

ჰარდინგმა ჩაიცინა, თავი დაუქნია, თუმცა არაფერი უთქვამს. მაკმერფიმ ხელი გაუწოდა და ჰარდინგმაც ჩამოართვა. მერე მაკმერფი წელში გაიზნიქა სალუნიდან გამოსული კოვბოივით და თვალი ჩაუკრა.

„მიდის, ძმაო, დიდი მაკი და ისევ მთავარი ცენტრი ხდები, რა გინდა?!“

მერე მე მომიტრიალდა და შუბლი შეიჭმუხნა. „შენ ვინ გახდები, არ ვიცი, ბელადო. თითონ მოგიწევს გადაწყვეტა. იქნებ ტელევიზიაში გეცადა ბედი, ცუდი ბიჭები გეთამაშა სერიალებში. მოკლედ, გული არ გაიტეხო და მაგრათ იყავი.“

ხელი მეც ჩამოვართვი და ყველანი საძინებლისკენ წავედით. მაკმერფიმ თერქლს უთხრა, რამდენიმე ზეწარი დახიე და მოიფიქრე, რომელია შენი საყვარელი კვანძიო. აუცილებლადო, მიუგო თერქლმა. ლოგინში რომ ჩავწექი, უკვე თენდებოდა, მესმოდა, მეზობელ საწოლზე როგორ ეწყობოდნენ გოგო და მაკმერფი. დაბუჟებულ სხეულში სითბოს ვგრძნობდი. მერე ისიც გავიგონე, როგორ გამოაღო მისტერ თერქლმა საკუჭნაოს კარი დერეფანში, ერთი ხმამაღლა, გაბმულად ამოიოხრ-ამოაქარვა და კარი ისევ მიხურა. თვალები სიბნელეს მივაჩვიე, ვხედავდი, როგორ იწვნენ ერთმანეთის მხარზე ცხვირმიდებული მაკმერფი და სენდი, მოხერხებულად მოწყობილიყვნენ, სასიყვარულოდ დაწოლილი ქალივით და კაცივით კი არა, ორი პატარა დაღლილი ბავშვივით.

ზუსტად ასევე იწვნენ, როცა შვიდის ნახევარზე შუქის ასანთებად შემოსული შავი ბიჭები წაადგნენ თავზე.

ერე რაც მოხდა, იმაზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და ბოლოს დავასკვენი, როგორც ჩანს, ყველაფერი გარდაუვალი იყო და ასე თუ ისე, ადრე თუ გვიან, მაინც აუცილებლად მოხდებოდა-მეთქი – სულერთია, გინდაც მისტერ თერქლს მაკმერფი და გოგოები გეგმის მიხედვით დროზეც გაეღვიძებინა და განყოფილებიდანაც გაეპარებინა, მთავარი ექთანი როგორღაც მაინც გაიგებდა ღამეული თავგადასავლის ამბავს, თუნდაც მხოლოდ ბილის სახის შემხედვარე, და ზუსტად იმავეს გააკეთებდა, რაც გააკეთა, მნიშვნელობა არა აქვს, მაკმერფიც იქვე იქნებოდა თუ ათასი მილის იქით. ბილიც ნებისმიერ შემთხვევაში იმავე ნაბიჯს გადადგამდა და როცა მომხდარი მაკმერფის ყურამდე მიაღწევდა, უთუოდ დაბრუნდებოდა უკან.

*მოუწევ*და დაბრუნება, რადგან საავადმყოფოდან თავდაღწეულს, უკვე აღარ შეეძლო ძველებურად ეთამაშა პოკერი ქარსონ სითიში, რინოში თუ სადმე სხვაგან, ვეღარ მისცემდა მთავარ ექთანს უკანასკნელი სვლის გაკეთების და საბოლოო გამარჯვების უფლებას, რის უფლებაც აქაურ კედლებში გამომწყვდეულსაც არ მიუცია. თითქოს ვალდებულებას მოაწერა ხელი – ყოველ მიზეზგარეშე ბოლომდე მიეყვანა თამაში და პირობას ვერაფრით ვერ დაარღვევდა.

საწოლებიდან წამოვიზლაზნეთ თუ არა, როგორც კი აქეთ-იქით უაზრო ბოდიალს მოვყევით, ღამეულ თავგადასავალზე მითქმა-მოთქმაც თვალისდახამხამებაში მოედო მთელ განყოფილებას

ხმელ ბალახს წაკიდებული ცეცხლივით. „*ვინ* შემოაპარესო?“ კითხულობდნენ ისინი, ვისაც მთელი ღამე მკვდრებივით ეძინათ. „ბოზი? საძინებელში? ღმერთო, გვიშველე“. მარტო ბოზი კი არაო, ეუბნებოდნენ სხვები, ზღვა სასმელიცო. მაკმერფის თურმე დილის ცვლის მოსვლამდე ნდომებია გოგოს გაპარება, მაგრამ დროზე ვერ გაუღვიძიაო. მოიცა, რას გვასულელებთო, – არ იჯერებდა ნაწილი. რას გასულელებთ, წმინდა წყლის სიმართლეს გეუბნებით, ჩვენც მაგრად შევუბერეთო, – ტრაბახობდნენ სხვები.

მართლა ღამენათევები კი ყველაფერს მოკრძალებული სიამაყით და ერთგვარი გაოცებითაც ყვებოდნენ – როგორც სასტუმროს ხანძრის ან კაშხლის აფეთქების თვითმხილველები: ძალიან სერიოზულად და თავშეკავებულად – თავიდან ხომ მსხვერპლის რაოდენობა გარკვეული არ არის ხოლმე. თუმცა რაც უფრო და უფრო მეტ წვრილმანს იხსენებდნენ მოყოლისას, მოკრძალებაც მით უფრო სწრაფად და უკვალოდ ქრებოდა სადღაც. ყოველ ჯერზე, როცა მთავარი ექთანი და იმისი ბეჯითი ხელქვეითები რაღაც ახალს პოულობდნენ, ვთქვათ, ხველის მიქსტურის ცარიელ ბოთლს ანდა დერეფნის ბოლოს ერთმანეთში უთავბოლოდ არეულ ბორბლებმორყეულ სავარძლებს, უცებ ღამეული დროსტარების სხვა დეტალებიც აგონდებოდათ და უკვე ისე დაწვრილებით და თან ხატოვნადაც უამბობდნენ დაჩაგრულ ამხანაგებს, საწყლებს პირზე ნერწყვი ადგებოდათ. შავმა ბიჭებმა აღგზნებული და დაბნეული პაციენტები, მწვავეებიც და ქრონიკულებიც, ერთად შეყარეს დღის პალატაში. თავიანთ საფენებში ჩამბალი ორი ბებერი ბოსტნეულიც არ დავიწყებიათ – გაოგნებულები უაზროდ ატრიალებდნენ თვალებს და უკბილო ღრძილებს აცმაცუნებდნენ. ჯერ ყველას ისევ პიჟამები და ფლოსტები ეცვა, მაკმერფისა და გოგოს გარდა. ფეხსაცმელებს თუ არ ჩავთვლით, გოგოს თავფეხიანად გამოწყობა მოესწრო, მარტო ნეილონის წინდები გადაეკიდა მხარზე, მაკმერფი კი თავისი შავი, თეთრვეშაპებიანი შორტების ამარა გამოსულიყო საძინებლიდან. ხელიხელჩაკიდებულები, გვერდიგვერდ ისხდნენ დივანზე. გოგო ისევ თვლემდა, მაკმერფის იმის

მხარზე ჩამოედო თავი და სახეზე კმაყოფილი, ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა.

ჩვენდა უნებურად უწინდელი შეშფოთება უეცრად სადღაც გაგვიქრა, რატომღაც ძალიან გავმხიარულდით და ხუმრობის ხასიათზეც დავდექით. როცა მთავარმა ექთანმა ის ფერად-ფერადი აბები იპოვა, ჰარდინგმა სეფელტს და სენდის რომ დააყარა თავზე, ავფხუკუნდით და სიცილის შეკავება ძლივს მოვახერხეთ; მაგრამ, როცა საკუჭნაოში მისტერ თერქლსაც მიაგნეს, გაშტერებული და ახვნეშებული გამოათრიეს იქიდან ნაბახუსევ მუმიასავით ასობით იარდ დაფხრეწილ ზეწარში გახვეული, ყველაფერი ფეხებზე დავიკიდეთ და მართლა დასაბმელებივით ავხარხარდით. ჩვენ კი ასე ვხარხარებდით და ვმხიარულობდით, მაგრამ მთავარ ექთანს სახეზე თავისი მიხატული ღიმილის მსგავსიც არაფერი შეტყობია; ყოველი გაცინება თითქოს ძვალივით ადგებოდა ყელზე და თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსებოდა გასკდომამდე გაბერილ ბუშტს.

მაკმერფის ცალი შიშველი ფეხი დივანის სახელურზე გადმოეკიდა, უძინარი თვალების შუქისგან დასაცავად ქუდი მაგრად ჩამოეფხატა და მალ-მალე ილოკავდა ტუჩებს – ხველის მიქსტურისგან ჯერაც ლაქწასმულივით უბზინავდა ენა. ავადმყოფ და საშინლად დაღლილ კაცს გავდა, წამდაუწუმ საფეთქლებზე იჭერდა ხელებს და ამთქნარებდა, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, სახიდან ღიმილი მაინც არ მოშორებია, რამდენჯერმე კი, როცა მთავარმა ექთანმა წუხანდელი „ორგიის“ ახალ-ახალ სამხილებს მიაგნო, ხმამაღლა, გულიანადაც გაიცინა.

მერე მთავარი ექთანი ტელეფონზე დასარეკად გაემართა, მისტერ თერქლის სამსახურიდან დათხოვნის ამბავი უნდა შეეთანხმებინა ხელმძღვანელობასთან, და თერქლმა და გოგომაც დრო იხელთეს, ფანჯარა გააღეს, დასამშვიდობებლად ხელი დაგვიქნიეს და თავს უშველეს. ნამიან, მზის პირველი სხივებით აჭრელებულ მდელოზე ფეხი კი უცურავდათ, მაგრამ მაინც სულ სირბილით გადაჭრეს ეზო.

„ფანჯარა ღია დატოვა," უთხრა ჰარდინგმა მაკმერფის. „წადი. გაყევი დროზე!"

მაკმერფიმ ამოიოხრა და ცალი, კრუხის ნაჯდომი კვერცხივით ჩაწითლებულ-ჩასისხლიანებული თვალი გაახილა. „მაშაყირებ? მაგ ფანჯარაში გადავძვრები კი არა, თავს ვერ გავყოფ, ისე ვარ."

„ჩემო მეგობარო, არა მგონია, ბოლომდე იაზრებდე..."

„თუ ძმა ხარ, შემეშვი, ჰარდინგ, ეხლა შენი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მოსმენა ნაღდად არ შემიძლია. ბოლომდე მარტო ერთ რამეს ვიაზრებ – ჯერაც მთვრალი ვარ. და გულიც მერევა. სხვათა შორის, მე მგონი, არც შენ გავხარ გამოფხიზლებულს. შენ რას იტყვი, ბელადო? ისევ მთვრალი ხარ?"

ცხვირს და ლოყებს ვერ ვგრძნობ, თუ ეგ რამეს ნიშნავს-მეთქი, ვუთხარი.

მაკმერფიმ თავი დამიქნია და ისევ მილულა თვალები; გულხელი დაიკრიფა, დივანზე ჩაცურდა და ნიკაპი გულზე დაიბჯინა. მერე ტუჩები გააწკლაპუნა და ისე გაგვიღიმა, თითქოს საცაა უნდა ჩასძინებოდა. „ჯერაც მთვრალები ვართ, ძმებო."

ჰარდინგი ვერ მშვიდდებოდა. ტვინი გაუბურღა, სანამ მწყალობელი ანგელოზი ტელეფონით ექიმს ელაპარაკება, დროზე ჩაიცვიო, მაკმერფი კი აწყნარებდა, სანერვიულო არაფერია, ბოლო-ბოლო, როგორც ვიყავი, იმაზე უარეს დღეში ხო არ ჩამაგდებენო. „რაც რამე საუკეთესო ქონდათ, უკვე გამოცადეს ჩემზე." ჰარდინგმა ორივე ხელი ასწია, გარდაუვალი დაღუპვა უწინასწარმეტყველა და გაეცალა.

ერთ-ერთმა შავმა ბიჭმა გაღებული ფანჯარა შეამჩნია, მივიდა, ჩაკეტა და ექთნების სამორიგეოსკენ გაემართა. იქიდან სქელი საქაღალდით დაბრუნდა და სიის ამოკითხვა დაიწყო, ფურცელს თითს აყოლებდა, გვარს ჯერ ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა, მერე ხმამაღლა დაიძახებდა და თვალებით ამ გვარის პატრონს დაეძებდა. სია, ხალხის უარესად დასაბნევად, უკულმა იყო შედგენილი, ამიტომ ასო „ბ"-ს სულ ბოლოს

მიადგა. პალატა მოათვალიერა, თან უკანასკნელ გვართან გაშეშებულ თითს ფურცლიდან არ იღებდა.

„ბიბიტი. სად არი ბილი ბიბიტი?“ თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ეგონა, ბილი ცხვირწინ გამეპარა და აწი ჩემ ფეხებს დავეწევიო. „ქლიავებო, რომელმა დაინახეთ, როდის გაიქცა ბიბიტი?“

ამ კითხვაზე უცებ ყველას გაახსენდა ბილის ადგილსამყოფელი. ატყდა ერთი ჩურჩული და სიცილ-ხითხითი.

შავი ბიჭი ისევ სამორიგეოში დაბრუნდა, მთავარი ექთნისთვის პატაკის ჩასაბარებლად. ქალმა ტელეფონის ყურმილი დაახეთქა და დერეფანში გამოენთო, შავიც ცუხცუხით მოსდევდა უკან. მთავარ ექთანს თეთრი ქუდიდან სველი ნაცარივით ჩამოშლოდა სახეზე თმა, წარბებშუა და ზედა ტუჩზე ოფლი უბზინავდა. სად გადამალეთ უბედური რომეოო, გვკითხა თვალების ბრიალით. პასუხად მხოლოდ საერთო ხარხარი გაისმა და ამაზე მთლად გადაირია.

„აბა! ამოიღეთ ხმა! გაიქცა? ჰარდინგ, თქვი, სად დაიმალა! განყოფილებაშია? გამეცით პასუხი, სეფელტ!..“

ყოველ სიტყვაზე პატარა შუბებივით გვასობდა სახეში თვალებს, რიგრიგობით ყველას, ოღონდ იმისი შხამი აღარ მოქმედებდა, ძალა დაკარგვოდა. თვალს აღარავინ არიდებდა და პაციენტების ახლანდელი თამამი ღიმილიც თითქოს მის უკვალოდ გამქრალ თავდაჯერებულ ღიმილს იგდებდა მასხრად.

„უოშინგტონ! უორენ! გამომყევით, ოთახები უნდა გავჩხრიკოთ.“

ჩვენც წამოვიშალეთ და ფეხდაფეხ მივყევით სამეულს, რომელიც ზედიზედ აღებდა ლაბორატორიის, აბაზანის, ექიმის კაბინეტის კარებს... გაბადრულმა სქანლონმა სახეზე დაძარღვული ხელი აიფარა და წაგვჩურჩულა: „მაგარი ანეკდოტი ელოდება ჩვენ ბილის, ჰა?“ ყველამ თავი დავუქნიეთ. „კაცმა რომ თქვას, რატო მარტო ბილის? დაგავიწყდათ, ვისთან ერთადაა?“

დერეფანი ჩაათავეს და იზოლატორის კარს მიადგნენ. იმათ ზურგს უკან შევგროვდით ჯგროდ და კისრები წავიგრძელეთ, არ

გვინდოდა, კარის გაღების მომენტი გამოგვრჩენოდა. უფანჯრებო ოთახში ბნელოდა. სიბნელეში წკმუტუნი და შარიშური გაისმა, მთავარმა ექთანმა ხელი გაიწვდინა და შუქი აანთო – იატაკზე გაშლილ ლეიბზე ბილი და გოგო ბუდეში მოკალათებულ ორ ბუსავით აფახულებდნენ თვალებს. მთავარ ექთანს დერეფანში ამტყდარი ღრიანცელისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

„უილიამ ბიბიტ!“ ძალიან ცდილობდა, დინჯი და მკაცრი ხმით ელაპარაკა. „უილიამ... ბიბიტ!“

„დილა მშვიდობის, მის რეჩედ,“ უთხრა ბილიმ, წამოდგომა და პიჟამის ღილების შეკვრა არც უფიქრია. გოგოს ხელზე ხელი მოკიდა და გაიღიმა. „ეს ქენდია.“

მთავარ ექთანს ხმაურით გაეჩხირა ენა გამხმარ ყელში. „ოოჰ, ბილი, ბილი, ბილი... როგორ მრცხვენია შენ მაგივრად.“

ბილი ბოლომდე გამოფხიზლებულს არ გავდა და საყვედურიც გულთან ძალიან ახლოს არ მიუტანია, გოგო კი, ჯერაც ჩამთბარი და მოთენთილი, ლეიბის ქვეშ აფათურებდა ხელებს, ნეილონის წინდებს ეძებდა. დროდადრო ხელებს აჩერებდა, ამოიხედავდა და გულხელდაკრეფილ, ყინულის ქანდაკებასავით სუსხიან მთავარ ექთანს უღიმოდა; თან მალ-მალე თითებით საკინძეს ისინჯავდა, შეკრული მაქვს თუ არაო და ისევ კაფელის იატაკსა და ლეიბს შორის ჩარჩენილ წინდებს ექაჩებოდა უღონოდ. თბილი რძით გამძღარი, მზის გულზე მოთენთილი კნუტებივით მოძრაობდა ორივე; როგორც შევატყვე, არც ამათ გამონელებოდათ სასმელი ბოლომდე.

„ოხ, ბილი,“ გაიმეორა მთავარმა ექთანმა, ისეთი იმედგაცრუებული ჩანდა, იფიქრებდი, თავს ვეღარ მოერევა და აქვითინდებაო. „*ამის*თანა ქალთან! იაფფასიან! წამხდარ! დათხაპნილ...“

„კურტიზანთან?“ ივარაუდა ჰარდინგმა. „იეზებელთან?“ მთავარი ექთანი შემოტრიალდა და თვალებით კედელზე მილურსმა დაუპირა, მაგრამ ჰარდინგი თავისას უბერავდა. „იეზებელი არა? არ მოგწონთ?“ ჩაფიქრებულმა მოიქექა თავი. „აბა, სალომე? გარყვნილებით არავისზე ნაკლებად არ იყო ცნობილი. იქნებ სიტყვა

„როსკიპი“ იყოს, რომელსაც ეძებთ? არა, მე უბრალოდ ვცდილობ, *დაგეხმაროთ.*“

ქალი ისევ ბილის მიუბრუნდა. ბილი დიდი მონდომებით ცდილობდა წამოდგომას. მუცელზე გადაბრუნდა, მუხლები მოკეცა, ძროხასავით აიშვირა გავა, მერე ხელებზე აიწია, ჯერ ერთ ფეხს დაეყრდნო, მერე ორივეს და წელში გასწორდა. საკუთარი წარმატებით აშკარად კმაყოფილი ჩანდა და თითქოს საერთოდ ვერც გვამჩნევდა, ყურადღებას არ აქცევდა არც ჩვენს ღადაობას და არც მოწონების შეძახილებს.

ამ გაუთავებელმა ხორხოცმა და ჟრიამულმა ბოლოს მთავარი ექთანიც გატეხა. გოგოს და ბილის თვალი მოარიდა და ზურგს უკან აყაყანებულ ჯგროს გამოხედა. მომინანქრებული, პლასტმასის სახე ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. თვალები დახუჭა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და შეეცადა, კანკალს გამკლავებოდა. მიხვდა, ის წამი დამდგარიყო – კედელზე მიჭყლეტის წამი. მერე ისევ შემოგვხედა დავიწროებული, უმოძრაო თვალებით.

„ერთადერთი, რაც მაშინებს,“ უთხრა ბილის და მეც იმწამსვე ვიგრძენი ხმაში ცვლილება, „დედაშენია. არ ვიცი, როგორ გადაიტანს ამ ამბავს საცოდავი ქალი.“

ნათქვამმა გაჭრა, მიიღო, რასაც ელოდა. ბილის გააჟრჟოლა და ლოყასთან ისე უცებ მიიტანა ხელი, თითქოს მჟავა შეესხაო.

„მისის ბიბიტი ყოველთვის ამაყობდა შენი კეთილგონიერებით. პირადად ჩემთვისაც უთქვამს ბევრჯერ. რა საშინელი დარტყმა იქნება. მერე როგორი მგრძნობიარე ქალია! შენ ეგ ჩემზე უკეთესად იცი, ბილი. ლოგინად ჩავარდება საწყალი. რა გული გაუძლებს?! შენზე ამოსდის მზე და მთვარე. რა სიამაყით მელაპარაკებოდა შენზე. როგორ..“

„არრა! არრა!“ ბილის ყბა აუცახცახდა, მუდარით აქნევდა თავს იქით-აქეთ. „არ არ-რ-რი-ს სა-სა-სა-ჭჭჭ-ირ-რო!“

„ბილი, ბილი, ბილი,“ თქვა ქალმა, „დედაშენი და მე ძველი მეგობრები ვართ.“

„არა!“ იყვირა ბილიმ. ხმამ იზოლატორის თეთრი შიშველი

კედლები ჩამოკაწრა: ნიკაპი ასწია და ჭერში დატანებულ მთვარე-ნათურას აყმუვლა. „ა-ა-ა-რ-რ-ა-ა!“

უკვე აღარ ვიცინოდით. ვხედავდით, როგორ იკუნტებოდა ბილი იატაკზე, თავი უკან გადაუვარდა, მუხლები მოეკეცა. გამალებული უსვამდა ხელს ზევით-ქვევით შარვლის მწვანე ტოტს. დაფეთებული აქნევდა თავს პატარა, გულგახეთქილი ბიჭივით, ვისაც დაემუქრნენ, აი, მოვჭრით ამ ტოტს და მაშინვე გაგროზგავთო. მთავარმა ექთანმა დასამშვიდებლად მხარზე დაადო ხელი. ბილი ისე შეხტა, თითქოს მართლა როზგი მოხვდაო.

„ბილი, ნამდვილად არ მინდა, დედამ ეს ამბავი გაიგოს და შენზე წარმოდგენა შეეცვალოს... მაგრამ, მე, მე თვითონ რა უნდა ვიფიქრო?“

„აჰ-აჰ-არრ უ-უ-თ-თ-თხრათ, მ-მ-მ-მისს რეჩედ. აჰ-აჰ-აჰრ...“

„ბილი, ვალდებული ვარ. ნეტავი საკუთარი თვალით არ მენახე ამ დღეში, სხვის მონაყოლს ვერც დავიჯერებდი, მაგრამ ახლა რა ვქნა? ჩაკეტილხარ აქ, ლეიბზე წევხარ, ვისთან? რანაირ ქალთან ერთად...“

„არა! მე არ-რრ-ა. მე...“ ისევ ლოყასთან მიიტანა ხელი, გააშეშა. „ამან შემომიყვანა.“

„ბილი, ეს გოგო ძალით ვერ შემოგიყვანდა აქ.“ მთავარმა ექთანმა თავი გადააქნია. „გამიგე, ნამდვილად მინდა, სხვანაირად ვიფიქრო, თუნდაც მხოლოდ უბედური დედაშენის გამო, მაგრამ...“

ხელი ლოყიდან ქვემოთ ჩამოცურდა და გრძელი წითელი ნაკვალევი დატოვა. „ამ-მ-ან, კი, ძ-ძ-ალ-ლით.“ ირგვლივ მიმოიხედა. „და მ-მ-მაკმერფიმ! იმანაც. ჰარდინგმაც! დდდა დ-დ-ანარჩენ-ნ-ნებმაც! დდამცინ-ნ-ნოდნენ, *რაღაცეებს* მეძახდნენ!“

სახეებით გადაბმოდნენ ერთმანეთს. ბილის სხვა აღარავინ აინტერესებდა, დაჟინებით მისჩერებოდა მთავარი ექთნის სახეს, თითქოს ნაკვთებს კი არა, სპირალურად დახვეულ სინათლეს ხედავდა, ნაღებისფრად თეთრი, ცისფერი და ნარინჯისფერი ჰიპნოზური შუქის გრიგალს. გაჭირვებით გადაყლაპა ნერ-

წყვი, დაძაბული ელოდებოდა ქალის სიტყვებს, ის კი ხმას არ იღებდა; უკვე დაბრუნებოდა ძველი უნარ-ჩვევები, ფანტასტიკური მექანიკური ძალა, სიტუაციის გაანალიზებაც მოესწრო და დასკვნის გამოტანაც – ახლა მთავარია, ჩუმად ვიყოო.

„მ-მ-მ-აიძულეს! გეხვეწებით, მის რეჩედ, მართლა მმმ-ააა-იძძ-ულეს, გეე-ხ...“

მთავარმა ექთანმა შუქს დაუწია და ბილისაც თავი ჩამოუვარდა, შვებით ამოისლუკუნა. ქალმა კისერზე მოხვია ხელი, ლოყით გახამებულ მკერდზე მიიხუტა, მხარზე მიეფერა და ზიზღიანი, ზარმაცი მზერა მოგვატარა.

„დაწყნარდი, ბილი. დაწყნარდი. ველარავინ ველარ გაწყენინებს. დამშვიდდი. ყველაფერს ავუხსნი დედას.“

ლაპარაკობდა და თვალებით გვჭამდა. ამ ფაიფურის გაყინული სახის შემხედვარე, ვერ მიხვდებოდი, საიდან მოდიოდა ასეთი რბილი, მშვიდი, ბალიშივით თბილი ხმა.

„კარგი, ბილი. წამოდი ჩემთან. შეგიძლია ექიმის კაბინეტში მოიცადო. აუცილებელი არ არის, პალატაში იჯდე ამ შენს... მეგობრებთან ერთად.“

კაბინეტისკენ წაიყვანა, თან ჩაქინდრულ თავზე ეფერებოდა და – საწყალი ბიჭი, საწყალი ბიჭიო – იმეორებდა გულაჩუყებული. ჩვენ უხმოდ გამოვტრიალდით, დღის პალატაში დავბრუნდით დაძმარებულები, დანა პირს არ გვიხსნიდა და ერთმანეთსაც თვალს ვარიდებდით. უკანასკნელი მაკმერფი შემოვიდა და სავარძელში ჩაჯდა.

ოთახის მეორე მხარეს ქრონიკულები უაზრო ბოდიალს მოეშვნენ და ისინიც თავ-თავიანთ ბუდეებში მოიბუზნენ. ქურდულად მაკმერფისკენ გავაპარე თვალი. მომდევნო რაუნდის წინ წუთით ითქვამდა სულს თავის კუთხეში და, ვინ იცის, რამდენი რაუნდი ელოდა კიდევ. რასაც ის ებრძოდა, ერთხელ და სამუდამოდ ვერ დამარცხდებოდა. ამ მეტოქეს უბრალოდ არაქათის გაწყვეტამდე უნდა გაუწიო წინააღმდეგობა, სანამ ფეხზე დგომა შეგიძლია, მერე კი ადგილი სხვას დაუთმო.

სამორიგეოდან რამდენჯერმე დარეკეს სადღაც, მერე უფროსობაც მობრძანდა სამხილების სანახავად. როცა ბოლოს და ბოლოს ექიმი სპაივიც გამოჩნდა, ისეთი თვალებით შეხედეს, ვითომ ყველაფერი იმისი მოწყობილი თუ არა, წახალისებული და ნებადართული ნამდვილად იყო. გადაფითრებული და აცახცახებული ემალებოდა ამ თვალებს. ეტყობოდა, თავის განყოფილებაში მომხდარი უმსგავსობის ამბავი უკვე დეტალურად იცოდა, თუმცა მთავარმა ექთანმა მაინც ხელახლა უამბო ყველაფერი, დინჯად, აუღელვებლად, დაწვრილებით – ჩვენ გასაგონადაც. ამჯერად ისე ვუსმენდით, როგორც საჭირო იყო, სერიოზულად, ჩუმად, ყოველგვარი ხითხითისა და ჩურჩულის გარეშე. ექიმი ჩქარ-ჩქარა აკანტურებდა თავს, სათვალეს აწვალებდა და ისე ენერგიულად აფახულებდა ნამიან თვალებს, ვიფიქრე, ქალს სულ გაწუწავს-მეთქი. ბოლო ლუკმად ბილის ამბავი მოიტოვა, უამბო, რა ტრაგედიის გადატანა მოუხდა საცოდავს ჩვენი წყალობით.

„დროებით თქვენს კაბინეტში შევიყვანე. ისეთ დღეშია, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. მე მგონი, დაუყოვნებლივ უნდა ნახოთ. საშინელი გამოცდა მოუწყვეს. წარმოდგენაც კი მზარავს, რა გადაიტანა საბრალო ბავშვმა.“

წამით გაჩუმდა, შეიცადა, სანამ ექიმსაც შეზარავდა ბილის ტრაგედიის წარმოდგენა.

„იქნებ გასაუბრებოდით კიდეც. ახლა განსაკუთრებული თანაგრძნობა სჭირდება. განადგურებულია ბიჭი.“

ექიმმა ისევ დაუქნია თავი და კაბინეტისკენ გაემართა. თვალი გავაყოლეთ.

„მაკ,“ თქვა სქანლონმა, „მომისმინე... შენ ხო არ გგონია, ამ სისულელეს ვინმე დავიჯერებთ? კი, საქმე მართლა ცუდადაა, მაგრამ ვიცით, დამნაშავე ვინც არის... შენ არაფერს გაბრალებთ, გაიგე?“

„ხო,“ ვთქვი მეც, „არავინ, არც ერთი არ გაბრალებთ არაფერს.“ მაშინვე ვინანე, როგორც კი დავინახე, რანაირად შემომხედა, ნეტა ენა გამხმობოდა-მეთქი, – ვინატრე.

მერე თვალები დახუჭა და ერთიანად მოეშვა. თითქოს რაღაცას ელოდებოდა. ჰარდინგი წამოდგა და მიუახლოვდა, მაკმერფისთან დალაპარაკებას აპირებდა, მაგრამ პირი დააღო თუ არა, დერეფანში ექიმის ყვირილი გაისმა და ეს ხმა ერთნაირ შეძრწუნებად და მიხვედრად მიეხალა ერთბაშად ყველა სახეს.

„მის რეჩედ!“ ყვიროდა ექიმი. „ღმერთო, შენ გვიშველე, მის რეჩედ!“

მთავარი ექთანი დერეფანში გავარდა, ხმისკენ, სამივე შავი ბიჭიც სირბილით მიყვა უკან. არც ერთი პაციენტი არ წამომდგარა ადგილიდან. ყველამ ვიცოდით, სხვას ველარაფერს გავაკეთებდით, ასე გაუნძრევლად უნდა ვმსხდარიყავით და დავლოდებოდით, როდის დაბრუნდებოდა დღის პალატაში და იმას გამოგვიცხადებდა, რის გარდაუვალობაშიც არც ერთს აღარ გვეპარებოდა ეჭვი.

მთავარი ექთანი პირდაპირ მაკმერფის მიადგა.

„ყელი გამოიჭრა.“ პასუხს დაელოდა, იმედი ჰქონდა, რამეს იტყვისო. მაკმერფის თავიც არ აუღია. „ექიმის მაგიდის უჯრა გამოაღო, ინსტრუმენტებს მიაგნო და ყელი გამოიჭრა. თავი მოიკლა იმ საცოდავმა, უბედურმა, დაბრიყვებულმა ბიჭმა. ახლაც იქ ზის, ექიმის სავარძელში, ყელგამოღადრული.“

ისევ გაჩუმდა პასუხის მოლოდინში. მაკმერფის არც ამჯერად აუწევია თავი.

„ჯერ ჩარლზ ჩესვიკი, ახლა უილიამ ბიბიტი! იმედი მაქვს, საბოლოოდ დაკმაყოფილდით. ერთობით, ადამიანების სიცოცხლით თამაშობთ... სიცოცხლეზე თამაშობთ... *ღმერთი* გგონიათ თქვენი თავი?“

შეტრიალდა და ექთნების სამორიგეოსკენ წავიდა, ზურგს უკან მოიჯახუნა კარი. ჭერში დატანებული დახვეული ნათურებიდან გამომსკდარი გამყივანი, მომაკვდინებლად ცივი ხმა მიაცილებდა...

მაშინვე გამიელვა აზრმა, უნდა ვცადო და შევაჩერო, დავარწმუნო, უკვე მოგებულს დასჯერდეს და დარჩენილი რაუნდები

ქალს დაუთმოს-მეთქი, მაგრამ სხვა, უფრო დიდმა აზრმა მთლიანად გადაშალა ეს პირველი. უეცრად აუტანელი სიცხადით მივხვდი – ვერც მე, ვერც ათი ჩემნაირი ვერ გააჩერებდა. ვერც ჰარდინგი თავისი არგუმენტებით, ვერც მე, ჩემი ინდიელი ფეხბურთელის მკლავებით, ვერც ბებერი პოლკოვნიკი ბრძნული გამონათქვამებით და ვერც სქანლონი შემპარავი ჟღურტულით: ყველანი ერთად რომ წამოვცვენილიყავით, მაინც ვერ გავაჩერებდით.

სწორედ ჩვენ თვითონ ვაიძულებდით ამის გაკეთებას და იმიტომ. მთავარი ექთანი კი არა, ჩვენი დაწყევლილი ყოფა იყო იმის მიზეზი, ნელ-ნელა რომ წამოიმართა სავარძლიდან, ღონიერი ხელებით დაეყრდნო ტყავის სახელურებს, მოწყვეტით წამოხტა და კინოში ნანახი ზომბივით გაირინდა ერთ ადგილას, თითქოს ორმოცი ბატონის შემდგომ ბრძანებას ელოდებაო. ჩვენ არ ვაძლევდით ამოსუნთქვის საშუალებას ამდენი კვირის განმავლობაში, ფეხზე დგომას ვაიძულებდით, თუმცა მუხლებში უკვე ძალა ჰქონდა გამოცლილი, ჩვენ გვინდოდა, უსასრულოდ ეხუმრა, ეცინა, თვალი ეპაჭუნებინა, ბოლომდე ჩაეთავებინა სახუმარო ნომერი, არადა, მთელი იმის მხიარულება დიდი ხნის წინ გამოიბუგა ორ ელექტროდს შორის.

ახლაც ჩვენ ვაიძულეთ, ამდგარიყო, ისე გაესწორებინა ტანზე შავი შორტები, თითქოს ცხენის ტყავის კოვბოური შარვალი ეცვა, დინჯად, აუჩქარებლად, ერთი თითით გადაეწია შუბლიდან ჩამოფხატული ქუდი, ფარფლებიანი სტეტსონივით, და ექთნების სამორიგეოსკენ დაძრულს, შიშველი ქუსლების ლითონისებური წკარუნით კაფელის იატაკისთვის ნაპერწკლები გაეყრევინებინა.

და მხოლოდ მერე, უკანასკნელ წამს – როცა ის შუშის კარიც შეამსხვრია, როცა ქალმაც მოაბრუნა სამომავლოდ მოსარგები ნებისმიერი გამომეტყველების ერთხელ და სამუდამოდ წამშლელი შეძრწუნებით დადაღული სახე, როცა აკივლებულს დაეძგერა, მუხლებამდე ჩამოახია ქათქათა ხალათი, როცა ერთხელ

კიდევ ყურისწამღებად აკივლებულ ქალს ჩამოფხრეწილი გულისპირიდან ავარვარებულ ძუძუსთავიანი ორი უშველებელი, ნებისმიერი ჩვენგანის მიერ წარმოდგენილზე შეუდარებლად დიდი, ვეებერთელა, გასასკდომად გამზადებული ბურთი ამოუვარდა, კიდევ და კიდევ რომ იბერებოდნენ ჩვენ თვალწინ ნათურის შუქით ავარდისფერებულები და შემთბარები, – მხოლოდ მაშინ, როცა უფროსობაც მიხვდა, სამიდან არც ერთი შავი ბიჭი განძრევას არ აპირებს, ასე ჯორებივით იდგებიან ბოლომდე და ამათი დახმარების გარეშე უნდა ვიღონოთ რამეო, როცა ექიმები, ზედამხედველები და ექთნები ერთად ეცნენ და ისეთი გაჭირვებით ააღღლიზეს წითელი თითები გათეთრებულ ყელს, თითქოს თითები კი არ მოაშორეს, კისრის მალები ამოაგლიჯეს ქალსო, და როცა, ბოლოს და ბოლოს, ხმამაღლა აქლოშინებულებმა, როგორც იქნა, უკანაც გაათრიეს, აი მხოლოდ იმწამს შეეტყო პირველად და უკანასკნელად, შეიძლება, მართლა არ იყოს მთლად ნორმალური, ჭკუადამჯდარი, ჯიუტი, იმ მძიმე მოვალეობის ნებაყოფლობით მტვირთველი კაცი, რომლის აღსრულებაც, სულერთია, უნდა თუ არა, მაინც აუცილებლად მოუწევსო.

თვითონაც იყვირა. უკვე სულ ბოლოს, როცა ზურგზე ეცემოდა და წამით იმის ამოყირავებულ სახეს მოვკარით თვალი, სანამ თოვლივით თეთრხალათიანების ზვავი ჩაიტანდა და ქვეშ მოიყოლებდა.

კუთხეში მიმწყვდეული ცხოველის შიშიც ისმოდა ამ ხმაში, სიძულვილიც, უსასოობაც და მუქარაც. ვისაც როდისმე ენოტზე, პუმაზე ან ფოცხვერზე უნადირია, ვერასოდეს დაივიწყებს ამ ხმას – ხეზე ავარდნილი, დაჭრილი, ისევ მიწისკენ დაქანებული მხეცის უკანასკნელ განწირულ ღრიალს, როცა საცაა დაგეშილი ძაღლები უნდა ეცნენ და როცა უკვე ყველაფერი სულერთია, საკუთარი თავისა და საკუთარი სიკვდილის გარდა.

ერთ-ორ კვირას კიდევ დავრჩი იქ, მინდოდა, მენახა, რა მოხდებოდა. ყველაფერი შეიცვალა. ექიმების რჩევის მიუხე-

დავად, სეფელტი და ფრედრიქსონი მაინც გაეწერნენ ხელწერილით, სამ დღეში იმათ კვალს სამი სხვა მწვავეც მიყვა, კიდევ ექვსი მეორე განყოფილებაში გადავიდა საკუთარი თხოვნით. ღამეული თავგადასავალი და ბილის სიკვდილი ხანგრძლივი გამოძიების საგნად იქცა, ექიმს აგრძნობინეს, წასვლის შესახებ განცხადებას თუ დაწერ, თხოვნას დაგიკმაყოფილებთო, იმან კი – ბარემ ბოლომდე მიიყვანეთ საქმე და მოსახსნელი თუ ვარ, თქვენ მომხსენით, მე ჩემით არ წავალო.

მთავარ ექთანს ერთკვირიანი მკურნალობა დასჭირდა, განყოფილება ცოტა ხნით დასაბმელების პატარა იაპონელმა ექთანმა გადაიბარა და დღის განაწესში ბევრი რამის შეცვლის შესაძლებლობაც მოგვეცა. მთავარი ექთნის დაბრუნებამდე ჰარდინგმა სააბაზანოს ხელახლა გაღებასაც კი მიაღწია, „ოცდაერთის“ უპირველეს მოთავედ იქცა და თან ძალიან გულით ცდილობდა, თამაშისას თავისებური, წვრილი და ზრდილობიანი ხმით კი აღარ ელაპარაკა, ძველი აუქციონერივით ეყვირა და ეროხროხა – ზუსტად ისე, როგორც მაკმერფის.

სამსახურში დაბრუნებული მთავარი ექთნის დასახვედრადაც სწორედ სააბაზანოდან გამოვედით დერეფანში – მაკმერფის ამბავი გვინდოდა გვეკითხა. ჩვენ დანახვაზე ორი ნაბიჯით უკან ისკუპა, წამით ისიც კი ვიფიქრე, დაფეთებული გაიქცევა-მეთქი. ფორმადაკარგული სახე ცალ მხარეს მთლიანად ჩალურჯებოდა და ისე გასიებოდა, თვალი საერთოდ არ მოუჩანდა, კისერზე სქელი სახვევი ეკეთა. და ახალთახალი, ქათქათა ფორმის ხალათი ეცვა. ხალათის გულისპირის დანახვაზე ბიჭებიდან ზოგს ჩაეცინა: მართალია, ბოლომდეც შეეკრა, მაგრადაც შემოეტმასნა ტანზე და ყველა უწინდელ ხალათზე მეტადაც გაეხამებინა, მაგრამ ყველას მაინც იმდღევანდელი, გაშიშვლებული მდედრი დაგვიდგა თვალწინ.

ჰარდინგი გაბადრული მიუახლოვდა და, მაკმერფის რა დაემართაო, – კითხა.

ქალმა ჯიბიდან პატარა ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო,

„მალე დაბრუნდება“ – დაწერა ფურცელზე და ფურცელი სათითაოდ წაგვაკითხა. ხელი აშკარად უკანკალებდა. „დარწმუნებული ხართ?“ ჰარდინგს წაკითხულის დადასტურება სურდა. ათას რამეს მოვკარით ყური: მაკმერფიმ დასაბმელებში ორი სანიტარი დაანოკაუტა, გასაღებები წაართვა და გაიქცაო, ისევ კოლონიაში დააბრუნესო... ზოგი იმასაც ამბობდა, ახალი ექიმის დანიშვნამდე უფროსად დატოვებული ექთანი რაღაც განსაკუთრებულ, ახლებურ მკურნალობას უტარებსო.

„მაგაში ეჭვი არ გეპარებათ?“ არ ეშვებოდა ჰარდინგი.

მთავარმა ექთანმა ისევ ამოაძვრინა ბლოკნოტი. სახსრებს გაჭირვებით ამოძრავებდა და იმისი თეთრი ხელიც, ბევრად თეთრი, ვიდრე ოდესმე, ბაზრობის მკითხავი, ბედის მწერალი ბოშა ქალის ხელივით უხერხულად აცოდვილებდა ფანქარს ბლოკნოტის ფურცელზე. „დიახ, მისტერ ჰარდინგ,“ დაწერა როგორც იქნა. „ეჭვი რომ მეპარებოდეს, არც გეტყოდით. აუცილებლად დაბრუნდება.“

ჰარდინგმა დაწერილი წაიკითხა, მერე ფურცელი დახია და ნაკუწები სახეში შეაყარა. ქალი შეკრთა, უნებურად გასიებულ ლოყაზე აიფარა ხელი. „დაბრუნდება, კი, ბებიათქვენის ტრაკმა!“ მიახალა ჰარდინგმა. ქალი დაჟინებით მიაჩერდა, ბლოკნოტიანი ხელი ისევ ჰაერში უთრთოდა, მერე ზურგი შეაქცია, ბლოკნოტიც და ფანქარიც ჯიბეში ჩაიდო და სამორიგეოსკენ გაემართა.

„ჰმ,“ ჩაიცინა ჰარდინგმა. „დიალოგი, მგონი, არ აეწყო. თუმცა, „ბებიაშენის ტრაკმაო“, რომ მოგახლიან, რაღას დაწერ პასუხად?!“

მაინც დიდი მონდომებით ცდილობდა, განყოფილება ძველ კალაპოტში მოექცია, არადა, როგორ გინდა ამის გაკეთება, როცა მაკმერფი თითქოს ჯერაც ბრაგაბრუგით დაქრის დერეფანში, შეკრებებზე გულიანად ხარხარებს და ტუალეტში ხმის ჩახლეჩამდე მღერის. ვეღარაფრით მოიგდო ხელში სადავეები, მით უმეტეს, ცალი ხელით ბლოკნოტში უწევდა წერა. ზედიზედ

კარგავდა პაციენტებს. მას მერე, რაც ჰარდინგიც დაგვემშვიდობა – ცოლმა მოაკითხა მანქანით – და ჯორჯმაც სხვა განყოფილებაში გადაყვანა მოითხოვა, ძველი მეთევზეებიდან სამნიღა დავრჩით: მე, მარტინი და სქანლონი.

მე ჯერ არ მინდოდა წასვლა: რაღაც ძალიან თავდაჯერებული ჩანდა ჩვენი მწყალობელი ანგელოზი; ეტყობა, კიდევ ერთ რაუნდს ელოდა და მინდოდა, ამ რაუნდს აუცილებლად დავსწრებოდი. მოკლედ, ერთ დილასაც, მაკმერფის გაუჩინარებიდან სამი კვირის შემდეგ, უკანასკნელი პარტიის გათამაშება მართლა წამოიწყო.

განყოფილების კარი გაიღო და შავმა ბიჭებმა ბორბლებიანი საკაცით ვიღაც შემოაგორეს. ფეხებთან მიმაგრებულ აბრაზე მსუქანი, შავი ასოებით იყო დაბეჭდილი – მაკმერფი, რენდლ პ. ნაოპერაციები. უფრო ქვევით კი „ლობოტომია“ მიეწერათ მელნით.

დღის პალატაში შემოიყვანეს და კედელთან დატოვეს, ქრონიკულების მხარეს. ჩვენ საკაცესთან ვიდექით, აბრასთან, და ზედ დაბეჭდილ სიტყვებს ვკითხულობდით, მერე თვალი გაგვექცა, პაციენტს ავხედეთ, ბალიშში ჩაფლულ იმის უღონო თავს, რძესავით თეთრ შუბლზე ჩამოშლილ ჟღალ ქოჩორს, მეწამულ სისხლჩაქცევებს ორივე თვალთან.

ალბათ, ერთ წუთს ვიდექით ჩუმად, მერე სქანლონი შეტრიალდა და იატაკზე დააფურთხა. „ეეეჰ, ამის შემოტენას გვიპირებს ბებერი ძუკნა? ეს მაკმერფი არ არის.“

„საერთოდ არ გავს,“ დაამოწმა მარტინიმ.

„ძმურად, თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, მართლა ესეთი შტერები ვგონივართ?“

„ისე, ცუდად არ უმუშავიათ,“ მარტინი თავთან დაუდგა მწოლიარეს და თითი მიუშვირა. „ნახეთ, ცხვირიც ზუსტად ისე გაუტეხიათ, ნაიარევიც ზუსტად იმისნაირია... ბაკებიც.“

„აბა რა!“ ჩაიბუზღუნა სქანლონმა. „ოღონდ მაგას ვინ ჭამს?!“

სხვა პაციენტები მივწი-მოვწიე და მარტინის ამოვუდექი გვერდით. „ნაიარევების და გატეხილი ცხვირების მიმსგავსება მართლა შეუძლიათ,“ ვთქვი ხმამაღლა, „მაგრამ გამომეტყველებას რას უზამენ? ეს ის სახეა? ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენს გავს, არა, სქანლონ?“

სქანლონმა ისევ გადააფურთხა. „ზუსტად. ფიტულია. ბავშვიც მიხვდება.“

„ეს ნახეთ?“ ერთ-ერთმა პაციენტმა მწოლიარეს საბანი გადახადა. „სვირინგები!“

„მერე რა?“ ვუთხარი მე. „სვირინგებსაც აკეთებენ. ჯობია, ხელებს შეხედე, ხელებს. მაგას ვერ უხერხებენ ვერაფერს. მაკმერფის დიდი ხელები ქონდა!“

მთელი დარჩენილი საღამო სქანლონი, მარტინი და მე ამ მანეკენზე ვშაყირობდით, ბაზრობის მახინჯ ტიკინაზე, როგორც სქანლონმა შეარქვა, თუმცა დრო გადიოდა, თვალების გარშემო სიმსივნე თანდათან ცხრებოდა და შევამჩნიე, პაციენტები სულ უფრო და უფრო ხშირად მიდიოდნენ იქით მწოლიარის დასახედად. ვითომ ჟურნალებიან თაროზე ეძებდნენ რაღაცას, ან ვითომ წყლის დალევა უნდოდათ, არადა, სინამდვილეში თვალი ბორბლებიანი საკაცისკენ გაურბოდათ ქურდულად. ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, ის როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას. ერთში ეჭვი არ მეპარებოდა: ცოცხალი თავით არ დაუშვებდა, ამ დღეში მყოფი, ფეხებთან აბრამიმაგრებული, ოცი ან ოცდაათი წელი გდებულიყო დღის პალატაში და მთავარ ექთანსაც წამდაუწუმ თითი მიეშვირა სხვების გასაფრთხილებლად – ვინც სისტემას აუჯანყდება, ყველას იგივე მოელისო. ამაში ნამდვილად არ მეპარებოდა ეჭვი.

ღამე იქამდე დავიცადე, სანამ საძინებლის ხმებმა არ მიკარნახეს, უკვე ყველას სძინავსო, სანამ შავმა ბიჭებმაც არ მოათავეს შემოვლა. მერე ბალიშზე თავი მივატრიალე, მეზობელი საწოლი მინდოდა დამენახა. სუნთქვა უკვე არაერთი საათის განმავლობაში მესმოდა, მას მერე, რაც ბორბლებიანი საკაცე შე-

მოაგორეს და საწოლზე გადაიტანეს. ყურს ვუგდებდი, როგორ წვალობდნენ და იხრჩობოდნენ ფილტვები, ხან საერთოდ უარს ამბობდნენ მუშაობაზე, მერე უცებ ისევ იწყებდნენ ხრიალს და სულ იმედი მქონდა, ერთხელაც იქნება, საბოლოოდ ჩაიქნევენ-მეთქი ხელს; თუმცა გახედვით იქით არც ერთხელ არ გამიხედია.

ფანჯარაში ცივი მთვარე ეკიდა, მოხდილი რძისფერ შუქს აფრქვევდა საძინებელში. საწოლში წამოვჯექი და ჩემი შავი ჩრდილი მწოლიარეს დაეცა, შუაზე გადაჭრა მხრებიდან თეძოებამდე. შეშუპებული თვალები დაცხრომოდა, თვალღია იწვა. პირდაპირ მთვარეს შესცქეროდა, ფართოდ გახელილი, აზრგამოცლილი, დიდი ხნის დაუხუჭავი, დამჯდარი ნათურებივით დაბინდული თვალებით. ბალიშს დავწვდი და ეს მოძრაობა იმისმა თვალებმაც დაიჭირეს, ხედავდნენ, როგორ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი საწოლიდან საწოლამდე.

დიდი, ღონიერი სხეული ჯიუტად ებღაუჭებოდა სიცოცხლეს. დიდხანს იბრძოლა, არა და არ დათმო, ფართხალებდა, სხლტებოდა, მომიწია, მთელი ტანით დავწოლოდი ზედ და ფეხებით იმისი ფეხები გამეკავებინა, სანამ სახეზე ბალიში მქონდა დაფარებული. მომეჩვენა, თითქოს რამდენიმე დღე ვიწექი ასე. მერე ბრძოლა შეწყვიტა. გაირინდა, ერთხელაც გაიფართხალა და საბოლოოდ გაქვავდა. მაშინღა წამოვდექი. ბალიში ავიღე და მთვარის შუქზე დავინახე, უაზრო, უსასოო გამომეტყველება ოდნავაც არ შეცვლილიყო, სიკვდილის მერეც კი. ცერა თითებით დავუხუჭე თვალები და სანამ ქუთუთოებიც არ გაუხევდა, თითები არ მომიშორებია. მერე ჩემს საწოლზე დავწექი.

ცოტა ხანს ვიწექი, სახეზე საბანწაფარებული, მეგონა, ყველაფერი უხმაუროდ მოთავდა-მეთქი, თუმცა სქანლონის საწოლის მხრიდან მომავალმა სისინმა საკუთარ შეცდომაში დამარწმუნა.

„დაწყნარდი, ბელადო,“ ჩურჩულებდა სქანლონი. „დაწყნარდი. სწორია ყველაფერი.“

„გაჩუმდი,“ გადავუჩურჩულე მეც. „დაიძინე.“

სიჩუმემ დაისადგურა. მერე სქანლონი ისევ აჩურჩულდა – გათავდაო? – მკითხა.

კი-მეთქი, ვუპასუხე.

„ღმერთო,“ თქვა უცებ. „აუცილებლად მიხვდება. ხო გესმის? დამტკიცებით ვერაფერს დაამტკიცებენ... ნებისმიერი ნაოპერაციები შეიძლება დაიბრიდოს, თანაც მაგ დღეში მყოფი, ცოტა მომხდარა?!.. ოღონდ ის მაინც მიხვდება.“

არაფერი მითქვამს.

„შენ ადგილზე უეჭველი მოვხევდი, ბელადო. ასპროცენტიანი. მისმინე! შენ გაიპარე და მე ვიტყვი, ბელადის გაქცევის მერე დავინახე, საწოლიდან წამოდგა და საძინებელშიც დადიოდა-მეთქი, რა გინდა, შენზე ველარ იფიქრებენ. თქვი, ცუდი აზრია?“

„სათქმელად ადვილია. რა, ვთხოვო, კარი გამიღეთ-მეთქი, თუ როგორ გავიდე აქედან?“

„ერთხელ გაჩვენა, როგორც უნდა გახვიდე. აღარ გახსოვს? ადრე, ჯერ ახალი მოსული იყო. ხვდები?“

ხმა არ გამიცია, აღარც იმას უთქვამს რამე, საძინებელში ისევ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე წუთს კიდევ ვიწექი, მერე ავდექი და ჩაცმა დავიწყე. როცა ამასაც მოვრჩი, მაკმერფის უჯრა გამოვაღე და იმისი ქუდი ავიღე, მოვიზომე. ძალიან პატარა იყო ჩემთვის, თან უცებ შემრცხვა კიდეც, რა ნამუსით ვაპირებდი ამ ქუდის ტარებას. ქუდი სქანლონის საწოლზე დავაგდე და საძინებლიდან გამოვედი. „დაწყნარდი, ძმაკაც,“ ბოლო ეს მომაყოლა სქანლონმა.

ბადეაკრული ფანჯრებიდან სააბაზანოში შემომავალი მთვარის ცივი შუქი ჩასხმულ, მძიმე პულტს ეცემოდა და შუშისა და ქრომის ნაწილებზე ბრწყინავდა – ისეთი ცივი და სუსხიანი, თითქოს წკარუნიც კი მესმოდა ლითონთან იმის შეხებისას. ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე, დავიხარე და სახელურებს ჩავაფრინდი. ფეხები გავამაგრე და ვიგრძენი, როგორ ახრაშუნდა რაღაც ამოდენა მახინის ქვეშ. ისევ მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და

უკვე გავიგონე კიდეც, როგორ ამოვგლიჯე იატაკიდან სადენები და ქუროები. პულტი მუხლზე შევიდგი, მოვახერხე, ცალი ხელი შემომეხვია და მეორე ქვევიდან ამომედო. ლითონი ყვრიმალს და კისერს მითოშავდა. ფანჯარასთან ზურგით დავდექი, მერე შევტრიალდი, სანახევროდ შებრუნებულმა პულტს ხელი გავუშვი და იმანაც ინერციით გაბმული ლაწანით გაგლიჯა შუშაც და ბადეც. ნამსხვრევები შხეფებს გავდნენ მთვარის შუქზე, თითქოს მძინარე მიწას ყინულივით ცივი წყლის ბრჭყვიალა წვეთები დააპკურესო. სული მოვითქვი, ერთი პირობა სქანლონის და კიდევ რამდენიმე კაცის წამოსაყვანად დაბრუნებაც ვიფიქრე, მაგრამ ამ დროს დერეფანში შავი ბიჭების ფეხსაცმელების გამალებული წრიპინი გავიგონე, ფანჯრის რაფას ხელით დავებჯინე და პულტის კვალდაკვალ მთვარის შუქში ვისკუპე.

საავადმყოფოს ეზოში მივრბოდი, მეც იქით, საითაც ოდესღაც ის ძაღლი გაიქცა – გზატკეცილისკენ. მახსოვს, ვეებერთელა ნაბიჯებს ვდგამდი, თითქოს მიწას ფეხს დავკრავდი ხოლმე და მერე კარგა ხანს ჰაერში ვეკიდე, სანამ ბოლოს ისევ არ მივაწვდენდი ფეხს მიწას. მივფრინავ-მეთქი, მეგონა. თავისუფალი ვიყავი. გაქცეულებს არავინ მისდევდა, ეს ვიცოდი, და სქანლონიც გარდაცვლილთან დაკავშირებით ყველა კითხვას გასცემდა პასუხს... ასე თავქუდმოგლეჯილი სირბილი აუცილებელი არც იყო. თუმცა მაინც არ გავჩერდი. არც ვიცი, რამდენი მილი გავირბინე გაუჩერებლად, მერე გზატკეცილზე გავედი.

მექსიკელმა მძღოლმა დამიმგზავრა, ცხვრები გადაყავდა ჩრდილოეთში, ისეთი ზღაპრები ვუამბე – ძველი პროფესიონალი მოჭიდავე ინდიელი ვარ, განგსტერებმა საგიჟეთში დამამწყვდიეს-მეთქი, – ჩემი მწვანე სამოსის დასამალად ულაპარაკოდ მომცა ტყავის ქურთუკი და საჭმლისთვის ათი დოლარიც მასესხა, კანადამდე გრძელი გზა გაქვსო. დამშვიდობებისას ვთხოვე, მისამართი დამიწერე, როგორც კი სამუშაოდ მოვეწყობი, ფულს გამოგიგზავნი-მეთქი.

კანადაში შეიძლება მართლა წავიდე, ოღონდ გზად ალბათ

ქალამბიასაც მოვინახულებ. პორტლენდის მიდამოებში მივიხედ-მოვიხედავ, მდინარე ჰუდის ნაპირებს დავივლი, დალეზსაც ვესტუმრები – იქნებ ჩვენი სოფლელებიდანაც გადავეყარო ვინმეს, ისეთს, ვინც ჯერ არ გალოთებულა. მინდა ვნახო, რას საქმიანობენ იმ დღის მერე, რაც მთავრობამ იმათგან ინდიელობის უფლება იყიდა. სხვათა შორის, ყური მოვკარი, ჩვენი ტომის ხალხიდან ზოგმა ისევ წამოიწყო პატარ-პატარა ხარაჩოების მშენებლობა ჰიდროელექტროსადგურის კაშხალთანო, თურმე წყალგადასაშვებშიც თევზაობენ ძველებურად. რას არ მივცემდი ამის სანახავად. ყველაზე უფრო კი ჩვენი ადგილები მომენატრა ხეობაში, ერთი კარგად მინდა გავიხსენო იქაურობა.

რა ხანია აღარ მინახავს.

კენ კიზი
1935 - 2001

„ძალიან ხნიერი როკ-ენ-როლისათვის, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა სიკვდილისათვის“, – ბრიტანულ საკულტო როკ-ჯგუფ „ჯეთრო ტალის“ ეს ცნობილი გამონათქვამი კარგად მოირგო ამერიკელმა საკულტო მწერალმა კენ კიზიმ, როცა საკუთარი თავი დაახასიათა, როგორც „ძალიან ახალგაზრდა ბიტნიკობისათვის, მაგრამ ძალიან ხნიერი – ჰიპობისათვის“.

კენ კიზი 50-იანი და 60-იანი წლების შუაში მოხვდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, თავისი ცხოვრების წესითა და შემოქმედებით მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა იმ პერიოდის ამერიკის კონტრკულტურაზე. ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის საუნივერსიტეტო კურსები, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობა და ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე ჰალუცინოგენების ზემოქმედების შემსწავლელ ექსპერიმენტებში მოხალისედ მონაწილეობა საკმარისი გამოდგა, რომ 1962 წელს კენ კიზის შეექმნა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რომანი „...გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“.

რომანს მომენტალური წარმატება ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ მისი სასცენო ვერსია ბროდვეიზე დაიდგა. 1975 წელს მილოშ ფორმანმა რომანის მიხედვით ფილმი გადაიღო. ფილმმა, რომელმაც კინემატოგრაფის ისტორიაში უიშვიათეს წარმატებას მიაღწია, მიიღო 5 მთავარი „ოსკარი“ – საუკეთესო ფილმის, რეჟისურის, მსახიობი ქალის, მამაკაცის და სცენარისათვის, – და კიდევ უფრო გაზარდა წიგნის პოპულარობა.

ტოტალიტარულ სისტემაში თავისუფლებისათვის ბრძოლის თემა მიუღებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისთვის და ჩვენში ეს ნაწარმოები აკრძალეს. თუმცა ვიდეოტექნიკის განვითარებასთან ერთად 80-იან წლებში „გუგული“ პროტესტისა და დაუმორჩილებლობის არაოფიციალურ, ერთადერთ და უპირობო გამოხატულებად იქცა.

„...გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდას“ შემდეგ კენ კიზიმ სხვა ნაწარმოებებიც გამოაქვეყნა, მაგრამ, ეს რომანი რომ არა, ჯეკ კერუაკი არ იტყოდა მის შესახებ, ამერიკას უდიდესი ახალი რომანისტი მოევლინაო.

ბიძინა მაყაშვილი

ISBN 9789941110153